ᲛᲝᲜᲐᲗᲔ
ᲓᲘᲓᲘ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ

# ათას ერთი ღამე

## ტომი I

**არაბულიდან თარგმნა**
**ნანა ფურცელაძემ,**
**თბილისი, 1969**

*არაბული ფოლკლორის ბრწყინვალე ძეგლი „ათას ერთი ღამე“ წარმოადგენს ერთ ფაბულურ ჩარჩოში გაერთიანებული ზღაპრების, სამიჯნურო და რაინდული რომანების, ნოველების, იგავ-არაკებისა და ნაკვესების კრებულს, რომელიც IX-XV საუკუნეებშია შექმნილი. იგი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.*

# „ათას ერთი ღამის“ გამო

„ალფ ლაილა ვა-ლაილა“ — „ათას ერთი ღამე“ ეწოდება არაბული ზღაპრების კრებულს, რომელიც მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე (როგორც ვარაუდობენ, 800 ან 900 და 1500 წლებს შორის) იქმნებოდა არაბეთის აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეში.

უძველესი ნიმუში „ათას ერთი ღამის“ ტექსტისა შენახულია მეცხრე საუკუნის ფრაგმენტში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აღმოაჩინა Nabia Abbott-მა (Nabia Abbot, A Ninth-Century Fragment of the „Thousand Nights“. New Light on the Early History of the Arabian Nights. Journal of Near Eastern Studies, 1949).

ცნობა „ათას ერთი ღამის“ შესახებ გვხვდება უკვე X საუკუნის არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-მას'უდის შრომაში მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა-მა'ადინ ალ-ჯავჰარ („ოქროს სამრეცხლოები და ძვირფას თვალთა მადნები“), სადაც ნათქვამია, რომ «მათი (ე. ი.

ზოგიერთი ზღაპრის) ამბავი ჰგავს იმ წიგნებს, რომლებმაც მოაღწია ჩვენამდე სპარსულიდან, ინდურიდან (ზოგიერთი ხელნაწერით: ფალაურიდან), ბერძნულიდან და ითარგმნა ჩვენთვის, და რომელიც წარმოდგება იმ გზით, ჩვენ რომ აღვწერეთ, ასე, როგორც, მაგალითად, წიგნი ჰაზარ აფსანა, რაც არაბულად ნიშნავს „ათას ზღაპარს“, რადგან ზღაპარი არაბულად არის „აფსანა“. ხალხი ამ წიგნს უწოდებს „ათას ღამეს“ (ზოგიერთი ხელნაწერით: „ათას ღამეს და ერთ ღამეს“). ეს არის ამბავი მეფისა და ვაზირისა და მისი ასულისა და მხევლისა. ამათ ეწოდება შირაზად და დინაზად».

მეათე საუკუნეს ეკუთვნის აგრეთვე მეორე ცნობა „ათას ერთი ღამის“ შესახებ, რომელიც შემონახულია ცნობილი ბიბლიოგრაფის მუჰამმად იბნ ისჰაკ იბნ აბი Ძაკუბ ალ-ნადიმ-ის ალ-ფიჰრისთ-ში (დაიწერა 377/987 წწ.), სადაც მოხსენებულია ჰაზარ აფსან და მოცემულია ჩარჩო ძირითადი ამბისა. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ „ვაზირთა წიგნის“ ავტორმა აბუ აბდ ალ-ლაჰ იბნ აბდუს ალ-ჯაჰშიარი-მ დაიწყო წერა წიგნისა, რომელშიც მან თავი მოუყარა ათას ზღაპარს არაბთა, სპარსელთა, ბერძენთა და სხვა ზღაპრებიდან, მან მოაგროვა ოთხას ორმოცი ზღაპარი, მაგრამ გარდაიცვალა, სანამ თავის მიზანს განახორციელებდა, ე. ი., ვიდრე ათას ზღაპარს შეასრულებდა.

XII საუკუნეში ეგვიპტეში ცნობილი იყო ზღაპართა კრებული სახელწოდებით „ათასი ღამე და ერთი ღამე“, როგორც ეს ჩანს ალ-კურტი-ს თხზულებიდან, რომელიც ეხება ეგვიპტის ისტორიას ფატიმიდ ხალიფთა დროს (1160-1171 წწ.). გარდა ამისა, ალ-ღუზული-ს (გარდ. 815/1412 წწ.) ანთოლოგიაში შენახულია ამბავი „ათას ერთი ღამიდან“. ამ დროიდან მოყოლებული უკვე საკმაო რაოდენობით მოიპოვება „ათას ერთი ღამის“ ხელნაწერები.

შინაარსის მიხედვით ტექსტი შედგება სხვადასხვა ხასიათის თხზულებებისგან, რომლებისთვისაც ძეგლის გამოჩენილი

მკვლევარი ენო ლიტმანი (E. Littmann) შემდეგს დაახლოებითს კლასიფიკაციას იძლევა: 1. ძირითადი ჩარჩო თხზულებისა, რომელიც მოიცავს ინდური წარმოშობის ჯადოსნურ ზღაპრებს: ვაჭარი და ჯინი; მებადური და ჯინი; მოთხრობა მებარგულის შესახებ; სამი დერვიში და სამი ქალი ბაღდადში; კუზიანის ზღაპარი. ეს ზღაპრები თვით წარმოადგენენ ნიმუშს ერთ ჩარჩოში გაერთიანებული მოთხრობების სისტემისას და ატარებენ ინდური პროტოტიპის კვალს. ზოგიერთი მოტივი, რომელიც აქ გვხვდება, პარალელს პოულობს შორეულ აღმოსავლეთში, ჯადოსნურ ზღაპართა შორის განსაკუთრებით ცნობილია 'ალა ალ-დინი და ჯადოსნური ლამპარი; ალი ბაბა; ეჭვიანი დები; აჰმად ამირი და ფარი განუ, საჲფ ალ-მულუქ; ჰასან ბასრელი; ზაჲნ ალ-ასნამი.

2. მეორე ჯგუფში შედის სამიჯნურო მოთხრობები და სხვადასხვა ხასიათის რომანები, რომელთაგან ცნობილია: 'უმარ იბნ ალ-ნუმან-ი და მისი შვილები და ისლამური ხალხური რომანის ნიმუში 'აჯიბ-ი და ღარიბ-ი. სამიჯნურო მოთხრობები სამი ჯგუფისაგან შედგება: ძველი არაბული ცხოვრება ისლამის წინა პერიოდისა; ბაღდადისა და ბასრის ქალაქელთა ცხოვრება; და სატრფიალო რომანები კაიროს ცხოვრებიდან, ზოგჯერ ფრივოლური და ვულგარული ხასიათისა.

ამ ჯგუფში შედის აგრეთვე მოთხრობები მოხეტიალე მოგზაურთა და მეზღვაურთა შესახებ. ცნობილი ამბავი სინდბად მეზღვაურისა ემყარება წიგნს „ინდოეთის საკვირველებათა“ შესახებ, რომელშიც შესულია მეათე საუკუნეში სპარსელი მეზღვაურის მიერ ბასრაში შეკრებილი ზღაპრები: აბუ მუჰამმად უქნარას ისტორიის პირველი ნაწილი შეიცავს მეზღვაურთა ისტორიასა და ჯადოსნური ზღაპრების მოტივებს.

3. მცირე ნაწილი ტექსტისა წარმოადგენს ძველ არაბულ ლეგენდებს, რომლებიც შესულია კრებულში. ასეთია: ჰაკიმ ალ-ტაი;

ირამ სვეტების ქალაქი; სპილენძის ქალაქი; ამბავი არაბების მიერ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის დაპყრობის ისტორიიდან; რიგი თხზულება ამ ხასიათისა ეხება კეთილმორწმუნე ადამიანებს.

4. ტექსტში გვხვდება აგრეთვე დიდაქტიკური ხასიათის მოთხრობები, მსგავსი ქილილა და დამანასი, და ინდური წარმოშობის სხვა არაკები, გადაკეთებული არაბულ ყაიდაზე. ამ რიცხვს ეკუთვნის სინდბად ბრძენის ამბავი ჯალი'ად და ვირდ ხანი და სხვა. ბრძენი მხევლის თავადდუდის ამბის პროტოტიპად ბერძნული დედანია მიჩნეული.

5. „ათას ერთი ღამე“ მრავლად მოიცავს აგრეთვე იუმორისტულ მოთხრობებს, რომელთაგან აღსანიშნავია ხალიფა და მეზღვაური, ჯა'ფარ ბარმაქიანი და მოხუცი ბედუინი, 'ალი სპარსელი და სხვ.

6. დასასრულ, უკანასკნელ ჯგუფში გამოჰყოფენ ანეკდოტებს, რომლებიც მრავლადაა გაბნეული სხვადასხვა ხასიათის მოთხრობებში. ეს ანეკდოტები ეხება მეფეებს (მაგ., ალექსანდრე მაკედონელს), ხალიფებს (მათ შორის ჰარუნ ალ-რაშიდს), მამლუქთა სულტნებსა (და მისთ.; მთავრებს, ვაჭრებს, მდიდრებს, უბრალო ადამიანებს, მსაჯულებს, მასწავლებლებს, საჭურისებსა და სხვ.

გარდა ამისა, „ათას ერთ ღამეში“ უხვადაა გამოყენებული ფრაგმენტები არაბული პოეზიიდან, რომელთა რაოდენობა 1420-ს აღწევს. სპეციალურმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ ეს ლექსები ეკუთვნის XII-XIV საუკუნეებს, ე. ი. ეგვიპტის პერიოდს და, როგორც ჩანს, შემდეგ არის ჩამატებული, შინაარსის თვალსაზრისით ტექსტისათვის აუცილებელ საჭიროებას ისინი არ წარმოადგენენ.

ივარაუდება, რომ კრებულის პირვანდელი სახელწოდება, როგორც ამას მისი სპარსული პროტოტიპი (ჰაზარ აფსანა — ათა-

სი ზღაპარი) მოწმობს, იყო „ათასი ზღაპარი“. შემდეგში, როდესაც არაბებმა „ათას ზღაპრად“ წოდებულ კრებულში წარმოდგენილი ზღაპრები ერთ ჩარჩოში გააერთიანეს, პირვანდელი სახელწოდება „ათასი ზღაპარი“ შეცვალეს ახლით: „ათასი ღამე“. სიტყვა „ათასი“ ამ სახელწოდებაში არ ნიშნავდა, რომ ტექსტი მართლა ათასი ზღაპრისაგან შედგებოდა, „ათასი“ აქ ნახმარია უბრალოდ „მრავლის“, „აურაცხელის“ მნიშვნელობით. უფრო გვიან „ათასი“ გადაკეთდა „ათას ერთად“, რაც აგრეთვე „მრავალს, მრავალრიცხოვანს“ ნიშნავდა, როგორც ამას მოწმობს თურქული ბინ ბირ „მრავალი, მრავალრიცხოვანი“ და მისი სპარსული შესატყვისი ჰაზარია ჯაქ („ათას ერთი“).

ამგვარად, სათაური „ათას ერთი ღამე“ პირველად ნიშნავდა ღამეების (ზღაპრების) დიდ რაოდენობას, მაგრამ შემდეგში იგი პირდაპირი მნიშვნელობით იქნა გაგებული და საჭირო გახდა პირვანდელი კრებულისათვის სხვა ზღაპრები დაემატებინათ, რომ შეევსოთ რიცხვი 1001.

„ათას ერთი ღამის“ წარმოშობის შესახებ მრავალი სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს. მეცნიერული არაბისტიკის ფუძემდებელი, ფრანგი მკვლევარი სილვესტრ დე სასი (Silvestre de Sacy, Journal des savants, 1817; Recherches sur l'origine du recueil des contes intitulés les Mille et une nuits, Paris, 1829 და სხვ.) ფიქრობდა, რომ ძეგლი შექმნილია არაბულ ნიადაგზე, სპარსული და ინდური გავლენის გარეშე, საკმაოდ გვიანდელ ხანაში. ამასთან დაკავშირებით მა'სუდის ცნობა X საუკუნისა, სადაც „ათას ერთი ღამის“ გმირები არიან მოხსენიებული, მან ყალბად და მერმინდელ ინტერპოლაციად მიიჩნია.

Silvestre de Sacy–საგან განსხვავებით ი. ჰამმრი (J. Hammer Wiener Jahrbücher 1819; JA, I სერია, X; 3 სერია, VIII და სხვ.) ემყარება მას'უდი-სა და ალ-ნადიმ-ის ზემოხსენებულ ცნობებს და

ამის საფუძველზე ასკვნის, რომ X საუკუნეში ბაღდადში არსებობდა არაბული თარგმანი სპარსული კრებულისა ჰაზარ აფსანე — „ათასი ზღაპარი“, რომელიც არაბთა შორის „ათასი ღამის“ ან „ათას ერთი ღამის“ სახელით იყო ცნობილი. სინამდვილეში ეს კრებული მოიცავდა ზღაპრების გაცილებით ნაკლებ რაოდენობას, შეიძლება მხოლოდ ორასს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთ ჩარჩოში მეფისა და შაჰრაზადის ამბავთან დაკავშირებით.

ჰამმერის აზრით, კრებული, რომელიც არაბულად პირველად, შეიძლება, IX საუკუნეში ითარგმნა სპარსულიდან, შემდეგში თანდათან განივრცო აგრეთვე ინდური და სპარსული წარმოშობის ახალი მასალით. უფრო გვიან ამას დაემატა საკუთრივ არაბული მოთხრობები, რომლებმაც ადრინდელ ტექსტზედაც მოახდინეს გავლენა, ისე რომ, ძნელი გახდა ერთმანეთისგან გარჩევა პირვანდელი სპარსული და მერმინდელი არაბული მასალისა. ტექსტის ნაწილი, ჰამმერის აზრით, შესაძლებელია ეგვიპტეში დაემატა კრებულს უკვე გვიანდელ საუკუნეებში.

„ათას ერთი ღამის“ ინგლისურად მთარგმნელი ე. ლეჲნ-ი (E. Lane), ცნობილი, სხვათა შორის, თავისი არაბულ-ინგლისური ლექსიკონითაც, ავტორი „ათას ერთი ღამის“ ბრწყინვალე კომენტარებისა, თავის თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ჰამმერის მოსაზრებას და ფიქრობს, რომ კრებული შედგენილია მთლიანად ეგვიპტეში ერთი ან ორი ავტორის მიერ, 1475-1525 წლებში (The Arabian Nights Entertainments, წინასიტყვაობა).

გამოჩენილი ჰოლანდიელი არაბისტი დე გუე (de Goeje, De Arabische Nachvertellingen, De Gids, 1886, III: აგრეთვე The Thousand and One Nights, ბრიტანეთის ენციკლოპედიაში), რომელიც არსებითად ლეინის თეორიას იზიარებს, ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ, ფიჰრისთ-ის მიხედვით, ჰაზარ აფსანე

დაწერილი იყო მეფე ბაჰმანის ასულის ჰუმაჲ—ს ან ჰუმანი-სათვის, მეორე მხრით, ისტორიკოს ალ-ტაბარი-ს (მე-9 საუკ.) მიხედვით (ტ. I. 688), ესთერი იწოდება ბაჰმანის დედად, ხოლო სახელი შაჰრაზად-ი მიეწერება ჰუმალ-ს. აქედან დე გუე ასკვნის, რომ ჰუმაჲ — შაჰრაზად — ესთერ ერთი და იგივე პირია და რომ „ათას ერთი ღამის“ მთავარი ჩარჩო და ბიბლიური მოთხრობა ესთერის შესახებ წარმოდგება ერთი საერთო წყაროდან, სპარსული ლეგენდიდან.

აუგუსტ მიულერმა (A. Miller) ცნობილი ისლამის ისტორიის (Der Islam im Morgen und Abendland, Berlin, 1886, რუსული თარგმანი, მედნიკოვის რედაქციით, პეტერბურგი, 1895-1896 ქართულად შემოკლებული და გადმოკეთებული აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის მიერ, ქუთაისი) ავტორმა, პირველმა მკვლევართაგან გამოჰყო „ათას ერთი ღამის“ ტექსტში სხვადასხვა ფენა: ძირითადი, ბაღდადში დაწერილი, და შემდეგ, XII საუკ. დართული, ეგვიპტური წარმოშობისა (Bezzenbergers Beiträge, XIII, 222; Die deutsche Rundschau, XIII, ივლისი, 10, 1887, 77-96).

„ათას ერთი ღამის“ ტექსტის შემადგენლობის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანიელი მეცნიერის ი. ესტრუპის (J. Oestrup) გამოკვლევა (Studier over 1001 Nat, Copenhagen 1891; თარგმნილია რუსულად ა. კრიმსკის რედაქციითა და შესავლით, მოსკოვი, 1905). ა. მიულლერსა და თ. ნელდეკეზე დაყრდნობით ესტრუპი აჯგუფებს „ათას ერთ ღამეში“ შემავალ ზღაპრებს სამ ფენად: 1. ჯადოსნური ზღაპრები, რომლებიც მომდინარეობენ სპარსული ჰაზარ აფსანა-დან, თვით ძირითადი ჩარჩოს ჩათვლით; 2. ბაღდადური წარმოშობის ზღაპრები; და 3. შემდეგში დამატებული ზღაპრები, მათ შორის, ეგვიპტური წარმოშობისა.

გარდა ამისა, ესტრუპის აზრით, არის ერთი წყება ზღაპრებისა, რომელიც არ ეკუთვნის ძირითად ტექსტს, არამედ არსებობდა

დამოუკიდებლად და შემდეგ იქნა დამატებული უკვე დასრულებული კრებულისათვის. ასეთებად ესტრუპი მიიჩნევს სინდბად მეზღვაურის თავგადასავალს, უმარ იბნ ალ-ნუ'მან-ის რომანს, ათი ვაზირის ზღაპართა ციკლსა და სხვა. მაგრამ სულ-ისა და შუმულ-ის ისტორია, რომელიც შენახულია ტიუბინგენის ხელნაწერებში და რომელსაც ზოგიერთი გამომცემელი „ათას ერთ ღამეს“ მიაკუთვნებს, მისი აზრით, სინამდვილეში არასდროს არ იყო ტექსტის განუყრელი ნაწილი, რადგან ამ მოთხრობის მიხედვით მუსლიმი გაქრისტიანდა, რაც მუსლიმური სულით გაჟღენთილი ნაწარმოებისათვის შეუძლებელია დავუშვათ. „ათას ერთი ღამის“ ტექსტში აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც წარმართი, ზოროასტრელი, ქრისტიანი ღებულობს მუსლიმანობას, მაგრამ არა პირიქით.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი ფოლკლორისტის ე. კოსკენის (E. Cosquain) შრომა (La prologue – Cadre des 1001 Nuits, Revue Biblique, 1909), რომელშიც უარყოფილია დე გუეს თეორია ბიბლიური ესთერის შესახებ და ეჭვმიუტანლად არის დამტკიცებული დებულება ძირითადი ჩარჩოს წარმოშობილობის შესახებ ინდურიდან, ამასთან ავტორი მიუთითებს, რომ ეს სიუჟეტი შეიძლება ცნობილი ყოფილიყო არაბებისათვის ჰაზარ აფსანა-ს გარეშეც, რადგან ტექსტი ზეპირი გზითაც ვრცელდებოდა სხვადასხვა ხალხებში.

გათვალისწინება მთელი ამ ლიტერატურისა დ. მაკდონალდის (D. Macdonald, The Earlier History of the Arabian Nights, Journal of the Royal Asiatic Society, 1924), Nabia Abbott–is (Journal of Near Eastern Studies, 1949), E. Littmann–is (The Encyclopaedia of Islam, New Edition, I, 1960, 358-364), G. v. Grunebaum–is (Der Islam im Mittelalter, Zürich und Stuttgart, 1963) და სხვების უკანასკნელი გამოკვლევებისა საშუალებას იძ-

ლევა ამჟამად გამოვყოთ „ათას ერთ ღამეში“ სხვადასხვა წარმოშობის კომპონენტები. ამის საჩვენებლად მიუთითებენ ზოგიერთ გარეგნულ ნიშნებზეც, როგორიცაა საკუთარი სახელები: ინდური — სინდბად; სპარსული — შაჰრაზად, დინაზად, შაჰზამან; თურქული — ალიბაბა, ხათუნი; დიდი ნაწილი — არაბული მათ შორის ძველი არაბული სახელები; რამდენიმე სახელი ბერძნული და ევროპული; ზოგიერთი — კოპტური, აგრეთვე — ებრაული (სოლომონ, დავით, ასაფ, ბარაქიდა ან ბარახიდა, რომელიც ბალავარიანშიაც გვხვდება, ბულუკიდა და სხვ.), თუმცა საკუთარ სახელებს ამ მხრივ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს სახელები ხალხიდან ხალხში გადადიოდა და ზოგჯერ მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა.

ცალკეული ზღაპრების სიუჟეტისა, სხვადასხვა ხასიათის მოტივებისა და სხვ. ნიშნების ანალიზის საფუძველზე ამჟამად დამტკიცებულად ითვლება, რომ ძირითადი ჩარჩო ინდური წარმოშობისაა. ეს შეადგენს სამ ძირითად ნაწილს, რომლებსაც სხვადასხვა წყაროდან მომდინარედ მიიჩნევენ: 1. თავგადასავალი ცოლის ღალატის გამო დამწუხრებული კაცისა, რომლის მწუხარება განქარვებულ იქნა იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იგივე ბედი ეწია იმაზე უფრო დიდ პიროვნებას; 2. ისტორია ჯინნისა, რომელსაც ღალატობენ ცოლი და მხევალი; 3. ამბავი ჭკვიანი ქალისა, რომელიც ზღაპრების მოხერხებული თხრობის საშუალებით იხსნის თავის თავსა და თავის მამას დაღუპვისაგან.

სპარსული წარმოშობისაა ჯადოსნური ზღაპრები, რომლებშიც სულები და ფერიებია გამოყვანილი.

ტექსტის საკმაოდ დიდი ნაწილი ბაღდადური წარმოშობისაა, ასეთებია, პირველ ყოვლისა, ამბები აბასიანთ ხალიფებზე. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ აქ შეიძლება ასახული იყოს კვალი ძველი აღმოსავლური მითოლოგიისა. ასე, მაგ., ფიქრობენ, რომ ჰაჯკარ ბრძენის ამბავი, შესაძლებელია, ძველი

მესოპოტამიური წარმოშობისა იყოს და ებრაული და ქრისტიანული ლიტერატურის საშუალებით გაეკაფოს მას გზა არაბულ მწერლობაში; ხიდრ მარადიული ჭაბუკის პროტოტიპი ბაბილონურ ლიტერატურაშია დადასტურებული ბულუკიდა-ს მოგზაურობისა და აჰმად ამირის მიერ მოპოვებული სიცოცხლის წყაროს მოტივები გილგამეშის ბაბილონურ ეპოსში პოულობენ პარალელებს, თუმცა, მეორე მხრით, გამორიცხულად არ მიაჩნიათ შესაძლებლობა, რომ ხიდრ მარადიული ჭაბუკის ისტორიას არაბები ალექსანდრეს რომანის საშუალებით გაეცვნენ; ხოლო ბულუკიდას მოგზაურობის ამბავი ებრაული ლიტერატურის გზით შევიდა კრებულში.

ეგვიპტეშია შექმნილი მოთხრობები ქურდებისა და მოხეტიალეების შესახებ, გარდა ამისა, ნაწილი ზღაპრებისა, ჯინნებისა და თილისმათა შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი ამბავი მამლუქთა და თურქთა ეპოქიდან, მოთხრობები ქალაქელთა ცხოვრებიდან და სხვ., რომელთაგან ნაწილი შეიძლება გაცილებით უფრო ძველი ხანიდან მომდინარეობდეს.

დასასრულ, ბერძნულის გავლენაზედაც მიუთითებენ. ასე, მაგ., თავადდუდის ამბის პროტოტიპად, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული დედანია მიჩნეული, ხოლო სინდბადის მოგზაურობაში გ. ე. გრუნებაუმი (G. E. v. Grunebaum, Der Islam im Mittelalter (ციურიხი და შტუტტჰარტი, 1963, თავი 9. Schöpferische Entlehnung: Griechenland in Tatisendundeiner Nacht, === შდრ.) ოდისეას ეპოპეის პარალელს ხედავს.

ამგვარად, გრუნებაუმის სიტყვით, ინდური და სპარსული, ებრაული და ქრისტიანული, ბაბილონური და ეგვიპტური მასალა შერწყმულია წმინდა არაბულ ელემენტებთან უცნობ ხელოვანთა მიერ, რომლებსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ „ათას ერთი ღამის“ კორპუსის იშვიათ სიმდიდრეს.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ფ. მაინეკესთან (F. Meineke,

Die Entstehung des Historismus, München, 1959) ერთად მიუთითებს გოეთეზე, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ „უცხო კულტურის შეთვისება არის ორგანულ-ინდივიდუალური აქტი, ნიშანი სასიცოცხლო უნარის სიძლიერისა და არა სისუსტისა...“

„ათას ერთი ღამის“ დედანი მრავალჯერ არის გამოქვეყნებული. ტექსტის ერთი ნაწილი, რომელიც დასაწყისს ორას ღამეს მოიცავდა, პირველად გამოაქვეყნა კალკუტაში 1814 წელს შეიხ აჰმად იბნ მუჰამმად შირვანი-მ. სრული გამოცემა გამოვიდა 1825-1843 წლებში თორმეტ ტომად, რომელთაგან პირველი ცხრა ეკუთვნის ბრესლაუს უნივერსიტეტის პროფესორს მაქსიმილიან ჰაბიხტს (M. Habicht), ხოლო უკანასკნელი სამი — ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორს ჰ. ლ. ფლაიშერს (H. Fleischer). როგორც დ. ბ. მაკდონალდმა (D. Macdonald, JRAS, 1909) დაამტკიცა, ჰაბიხტის გამოცემა ემყარება ერთი ტუნისელი ებრაელის მიერ სხვადასხვა ღირსების ხელნაწერებიდან მისთვის გადმოღებულ ტექსტს, რომელსაც გამოცემის ავტორი მეტად თვითნებურად ეპყრობოდა: ცვლიდა, ავსებდა და არსებითად ძეგლის თავისებურ ვერსიას ქმნიდა. ამავე დროს ჰაბიხტი არ ასწორებდა ვულგარულ ფორმებსა და გამოთქმებს, მსგავსად სწავლული შეიხებისა, და ამიტომ მისი ტექსტი ძეგლის ენის კრიტიკული შესწავლისათვის გარკვეულ ნაწილში საყურადღებო მასალას იძლევა.

უფრო მნიშვნელოვანია კალკუტის მეორე გამოცემა ოთხ ტომად, ეგვიპტური ხელნაწერის საფუძველზე, რომელიც 1839-1842 წელს განახორციელა ინგლისელმა მკვლევარმა ვ. ჰ. მაკნოტენმა (W. H. Macnaghten, The Alif Laila or the Book of the Thousand Nights and one Night, Commonly known as „The Arabian Nights Entertainments“).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რამდენ-

ჯერმე გამოვიდა ბულაკისა (კაიროს რაიონი) და კაიროს გამოცემები, რომელთა ტექსტი არსებითად კალკუტის მეორე გამოცემას ემთხვევა. ეს გამოცემები ემყარებიან ე. წ. ხოტენბერგის „ეგვიპტურ რეცენზიას“, რომელიც წარმოადგენს XVIII საუკუნეში ვინმე შეიხის მიერ შედგენილ კომპილაციას. უფრო დამოუკიდებელია ბეირუთის გამოცემა, განხორციელებული გამოჩენილი არაბი ფილოლოგის საჰანის მიერ.

ეგვიპტისა და კალკუტის გამოცემებში ზუსტად არის ასახული ხელნაწერებში დაცული დედანი, აქ მხოლოდ დიალექტიზმები არის შეცვლილი ლიტერატურული ფორმებით. ბეირუთის გამოცემა იმავე ვერსიის სხვა ხელნაწერებს ემყარება, მაგრამ საგრძნობლად არის გადაკეთებული იეზუიტი გამომცემლის მიერ, რომელმაც საჩოთირო ადგილები ამოიღო და ამით ტექსტი მისაღები გახადა ლიტერატურული წრეებისათვის,

„ათას ერთი ღამე“ ევროპაში უკვე საშუალო საუკუნეებიდან არის ცნობილი. მისი კვალი გვხვდება ჯოვანნი სერკამბის (Giovanni Sercambi, 1347-1424) რომანში, აგრეთვე არიოსტოს (XVI ს. დასაწყისი) ცნობილ ნაწარმოებში „შმაგი ორლანდო“ (Ariosto, Orlando Furioso); „ათას ერთი ღამის“ ზოგიერთი არაკი შესულია აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში (შდრ. მაგ., მწყემსისა და თაფლის ამბავი).

მაგრამ „ათას ერთი ღამის“ მთელი ტექსტი ევროპაში პირველად გაიცვნეს მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკ. დასაწყისში, როდესაც ფრანგმა მეცნიერმა და მოგზაურმა ჟან ანტუან გალლანმა (Jean Antoine Galland – 1646-1715) გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი.

ა. გალლანი დაიბადა პიკარდიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მან მიიღო კლასიკური განათლება და, გარდა ამისა, შეისწავლა არაბული და ებრაული ენები. ერთხანს ის ლათინური ენის მას-

წავლებლის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო შემდეგ დაინიშნა საფრანგეთის ელჩის მდივნად კონსტანტინოპოლში. აღმოსავლეთში მოღვაწეობისას ის ბევრს მოგზაურობდა და ეცნობოდა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ძეგლებს. ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ა. გალლანი გაეცნო არაბულ ზღაპრებს, რომელთა გამოქვეყნება მან დაიწყო 1704 წელს, საფრანგეთში დაბრუნებისას, სათაურით: Les mille et une Nuits. Contes arabes traduits en Français, 1717 წლამდე გამოქვეყნდა თორმეტი ტომი, აქედან ორი უკანასკნელი გალლანის გარდაცვალების შემდეგ. გალლანმა პირველად სინდბად მეზღვაურის თარგმნა დაიწყო ხელნაწერის მიხედვით, რომელიც დღემდე არაა იდენტიფიცირებული, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გაიგო, რომ ეს იყო ნაწილი „ათას ერთ ღამედ“ წოდებული ზღაპრების კრებულისა, მან მოიპოვა ამ კრებულის ხელნაწერი, რომელიც დღესაც უძველესად ითვლება (თუ არ ჩავთვლით Nabia Abbott–ის მიერ აღმოჩენილ IX საუკ. ფრაგმენტებს) და საფუძვლად დაუდო თავის ფრანგულ თარგმანს.

არსებითად გალლანის საშუალებით გახდა „ათას ერთი ღამე“ ცნობილი მთელ მსოფლიოში. ეს შრომა არ წარმოადგენს თარგმანს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გალლანმა არაბული ზღაპრები საგრძნობლად გადააკეთა და იმდროინდელ ფრანგულ ლიტერატურულ გემოვნებას შეუფარდა. ამით აიხსნება ის იშვიათი წარმატება, რომელიც ა. გალლანის შრომას ხვდა წილად. გალლანის თარგმანი შეიცავს ტექსტის მხოლოდ ნაწილს. მალე მას მოჰყვა მთელი რიგი დამატებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ უფრო მეტად ფანტაზიის ნაყოფს, ვიდრე ნამდვილ თარგმანს.

მხოლოდ 1839-1841 წლებში გამოვიდა ინგლისურ ენაზე Lane–ის ზუსტი მეცნიერული თარგმანი, რომელიც ტექსტის ეგ-

ვიპტურ ვერსიას ემყარება და შესრულებულია ბულაკის პირველი გამოცემის მიხედვით. Lane–ის თარგმანი არ არის სრული, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთარგმნელის მეტად საყურადღებო კომენტარების გამო, 1882-1884 წლებში გამოვიდა პეინის (Payne) თარგმანი ცხრა ტომად, შესრულებული კალკუტის მეორე გამოცემის მიხედვით. სამი დამატებითი ტომი შეიცავს ზღაპრებს ბრესლაუსა და კალკუტის პირველი გამოცემებიდან, ხოლო მეოთხე (რომელიც 1889 წელს გამოვიდა) — 'ალა ალ-დინ-ისა და ზაჯნ ალ-ასნამ-ის ამბებს. შემდეგში ეს თარგმანი რამდენჯერმე დაიბეჭდა. 1885 წელს გამოვიდა ათ ტომად რ. ბერტონის R. Burton) თარგმანი (რომელიც არსებითად პეინის თარგმანის გამეორებას წარმოადგენს), ხოლო 1886-1888 წლებში — კიდევ ექვსი დამატებითი ტომი, რომელიც შემდეგში მრავალჯერ გადაიბეჭდა.

ლეინის თარგმანთან ქრონოლოგიურად ახლოს დგას გ. ვაილის გერმანული თარგმანი ოთხ ტომად. 1895-1897 წლებში მაქს ჰენნინგმა (M. Henning) გამოსცა გერმანული თარგმანი 24 ტომად, რომელთაგან პირველი 17 ტომი ბულაკის გამოცემას ემყარება, ხოლო 18-24 ტომები წარმოადგენს სხვადასხვა დამატებას, ხშირად ბერტონიდან თარგმნილს. 1899 წელს ჟ. კ. მარდრუსმა (J. C. Mardhrus) დაიწყო „ათას ერთი ღამის“ ახალი ფრანგული თარგმანის გამოქვეყნება. ეს შრომა, მსგავსად გალლანის ძველი თარგმანისა, წარმოადგენს თავისუფალ გადაკეთებას და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეცნიერული ღირებულება ნაკლებია, მან მაინც დიდი პოპულარობა მოიპოვა ფრანგულ საზოგადოებაში, უმთავრესად ბრწყინვალე ფრანგული ენისა და სტილის, აგრეთვე არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნიჭის წყალობით, რომელსაც მთარგმნელი ჰფლობდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენო ლიტმანის გერმანული

თარგმანი (1921 – 1928. მეორე გამოცემა – 1935, მესამე გამოცემა – 1954), რომელიც მეცნიერული დონითა და სიზუსტით სანიმუშოა სხვა თარგმანებთან შედარებით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია შემდეგი თარგმანები: ესპანური, ვისენტე ბლასკო იბანიესისა (Vicente Blasco Ibanez), ინგლისური ე. პოვის მაზერსისა (E. Powis Mathers), – დანიური ი. ესტრუპისა (I. Oestrup, კოპენჰაგენი, 1927) და რუსული თარგმანი მ. ა. სალიესი, კრაჩკოვსკის რედაქციით, 10 ტომად, რომელიც გამოვიდა 1932-1936 წლებში, ხოლო გადაიბეჭდა 1959-1960 წელს. მ. სალიეს თარგმანს საფუძვლად უდევს კალკუტის მეორე გამოცემა (1839-1841 წწ.), რომელსაც მთარგმნელმა სხვა ტექსტებიც შეუდარა. მთარგმნელი მიზნად ისახავდა „შეენარჩუნებინა ობიექტურობა ორიგინალის მიმართ“ და „ზუსტად დაეცვა თარგმანში ის თავისებურებანი, რაც არაბულ ტექსტს ახასიათებს, დამოუკიდებლად იმისა. შეესაბამება თუ არა ეს თავისებურებანი ევროპულ წარმოდგენებს სტილის სილამაზისა თუ თხრობის მომხიბვლელობის შესახებ“. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანებს და მოგვცა თარგმანი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არსებულ თარგმანთა შორის.

ქართულ ენაზე „ათას ერთი ღამის“ მხოლოდ რამდენიმე არაკია თარგმნილი რუსულიდან. ეს თარგმანები ჩამოთვლილია ვ. სიდამონიძის სტატიაში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1967 წ. 7 ივლისი, 27).

წინამდებარე გამოცემაში პირველად ქვეყნდება „ათას ერთი ღამის“ სრული ქართული თარგმანი უშუალოდ არაბული ორიგინალიდან. თარგმანი მიზნად ისახავს ზუსტად ასახოს ქართულ ენაზე არაბული დედნის თავისებურება ისე, რომ ქართული ენის ნორმები არ იქნეს დარღვეული. ვინაიდან გამოცემა განკუთვნილია არა მარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ მეცნიერულ

მიზნებსაც ისახავს, თარგმანში ტექსტი გადმოღებულია უცვლელად. გარდა მცირეოდენი შემთხვევებისა, როდესაც თხრობის უშუალობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. პირველ ტომში ჩართული არაბული პოეზიის ნიმუშების ერთი ნაწილი გალექსა ვახუშტი კოტეტიშვილმა ნანა ფურცელაძის მიერ ქართულად შესრულებული ბწკარედის მიხედვით.

„ათას ერთი ღამის“ ქართულ თარგმანს საფუძვლად უდევს არაბული დედნის ეგვიპტური ვერსია, მაგრამ, გარდა ამისა, გამოყენებულია აგრეთვე სხვა გამოცემებიც.

*თბილისი, 1967, ივლისი.*

*გიორგი ჭერეთელი*

სახელითა ალაჰისა მოწყალისა, მწყალობელისა, დიდება ალაჰსა, უფალსა სამყაროთა, კურთხევა და გამარჯვება მოციქულთ ბატონს, ბატონსა ჩვენსა და მეუფესა მუჰამადსა და სახლეულთა მისმა სამარადისო კურთხევითა და გამარჯვებითა საუკუნოდ — განკითხვის დღემდე.

მერმე კი, აი, რა: ჭეშმარიტად, წინაპართა ცხოვრება შეგონებად იქცა მომდევნო თაობათათვის; რათა იხილოს კაცმა ის, რაც სხვას გარდახდომია, და შეიგონოს. განბჭოს გარდასულ ტომთა ამბები, მათი თავგადასავალი და გულისხმა ჰყოს. დიდება მას, ვინც ძველთა ამბავი მომავალ თაობათა შეგონებად აქცია. ამგვარი შეგონებაა საკვირველ ამბავთა და იგავთა ეს წიგნიც, წოდებული „ათას ერთ ღამედ“.

# ამბავი შაჰრიარ მეფისა და მისი ძმის მეფე შაჰზამანისა

ამბობენ, და ალაჰმა უკეთ უწყის, იგია ბრძენთა ბრძენი, მძლეთამძლე და ყოვლად სულგრძელი, რომ დიდი ხნის წინათ, გარდასულ დროსა და ჟამს ინდოეთსა და ჩინეთს განაგებდა ერთი ხელმწიფე სასანიანთა გვარისა — მბრძანებელი ლაშქართა და სპათა, მსახურთა და ყმათა. ორი ძე ესვა მეფეს, ერთი მოწიფული და მეორე ყმაწვილი, ორივ მამაცი და კარგი ვაჟკაცი, მაგრამ უფროსი უკეთესი რაინდი იყო. უფროსი უფლისწული გამეფდა ამ ქვეყანაში და სამართლიანად განაგებდა ქვეშევრდომებს. ხოლო უმცროსი, მეფე შაჰზამანი, სპარსთა სამარყანდის ხელმწიფედ იჯდა. ორივე სამართლიანად განსჯიდა თავის სამწყსოსა და ოცი წლის განმავლობაში მორჭმითა და დალხინებით ცხოვრობდა, ვიდრე უფროს ძმას არ მოენატრა უმცროსი. მაშინ შაჰრიარ მეფემ უბრძანა ვაზირს, გამგზავრებულიყო და მისთვის უმცროსი

ძმა ეახლებინა. ვაზირი დაჰყვა მის ნებას სმენითა და მორჩილებითა, წავიდა და იარა, ვიდრე მშვიდობით არ მიაღწია სამარყანდს. ეახლა მეფის ძმას, გადასცა სალამი და ამცნო: შაჰრიარ მეფეს ძლიერ მოენატრე და თავისთან გიხმობსო. შაჰზამანიც დაეთანხმა სმენითა და მორჩილებითა და მგზავრობის თადარიგი დაიჭირა. ბრძანა კარვების გამოტანა, გამოასხა ჯორ-აქლემი, გამოიყვანა მსახურები და ქეშიკნი. თავისი ქვეყნის გამგებლად ვაზირი დატოვა, თვითონ კი ძმის სამეფოსაკენ გაემართა. შუაღამისას ხელმწიფეს მოაგონდა, სასახლეში რაღაც დამრჩაო. დაბრუნდა გზიდან, შევიდა სასახლეში და ხედავს: მისი ცოლი ვიღაც შავ მონას მოხვევია და მის სარეცელზე სძინავს. ეს რა იხილა, საწუთრო დაუბნელდა ხელმწიფეს. გულში თქვა: „ჯერ ქალაქს არც კი გავცილებივარ და ასეთი ამბავი დატრიალდა, ძმასთან რომ დავრჩები ცოტა ხანს, მაშინ რაღას იზამს ეს მრუში დიაცი“. იშიშვლა ხმალი, მოიქნია და ორივე მოკლა. უმალვე გაბრუნდა, გამგზავრება ბრძანა და იარა, ვიდრე თავისი ძმის ქალაქს არ მიაღწია. ხელმწიფეს იამა ძმის ჩამოსვლა. გამოეგება, სალამი უთხრა, გაიხარა დიდი სიხარულითა და ბრძანა, მის პატივსაცემად ქალაქი მოერთოთ. იმ დროს, როცა ისხდნენ და გულღიად ბაასობდნენ, მეფე შაჰზამანს ცოლის ამბავი გაახსენდა. ძლიერ დაღონდა, გაყვითლდა და შეუძლოდ შეიქნა. ხელმწიფემ ძმა რომ ასეთ ყოფაში ნახა, გულში გაივლო; „ჩემი ძმა ალბათ თავისი ქვეყნის დატოვებას ნაღვლობსო“. თავი ანება და აღარაფერი ჰკითხა მერე ერთ დღეს ეუბნება:

— ძმაო, რაღაც ფერმიხდილი და უძლური მეჩვენები. — შიგნით წყლული რამ მჭირსო, — მიუგო ამაზე შაჰზამანმა, ცოლის ამბავი კი არ გაუმხილა. შაჰრიარმა უთხრა:

— მწადს სანადიროდ და მხეცთა საჭერად წამომყვე, იქნებ გულს დარდი გადაგეყაროს.

ძმამ უარი თქვა. მაშინ შაჰრიარი მარტო წავიდა. ხელმწიფის

სასახლის ზოგი სარკმელი მის ბაღნარს გადაჰყურებდა შაჰზამანმა სარკმელში გაიხედა და, აი, უეცრად გაიღო სასახლის კარიბჭე, გამოვიდა ოცი მხევალი და ოცი მონა. მისი ძმის ცოლიც, უტურფესი და მშვენიერი, მათ შორის მოდიოდა. შადრევანთან მივიდნენ, ტანთ გაიხადეს და ერთმანეთს მოუსხდნენ.

— ჰეი, მასუდ, — დაიძახა დედოფალმა. მიეახლა შავი მონა, მოეხვია და დაეუფლა. ასე მოექცნენ სხვა მონებიც დანარჩენ მხევლებს და ხვევნა-კოცნასა და მრუშობაში იყვნენ, ვიდრე დღემ პირი არ იბრუნა. მეფის ძმამ რომ ეს ამბავი ნახა, გულში თქვა: „ვფიცავ ალაჰს, ჩემი უბედურება ამაზე მსუბუქია“. თავისი სევდა და ნაღველი არარად მოეჩვენა „ეს იმაზე მეტია, რაც მე დამემართაო“, და ჭამა-სმაზე უარი აღარ უთქვამს. შაჰრიარ მეფე ნადირობიდან დაბრუნდა. ძმები ერთმანეთს მიესალმნენ და ხედავს შაჰრიარ მეფე, რომ მისი ძმა მეფე შაჰზამანი ფერზე მოსულა, სახე შეჰფაკვლია და დიდი ხნის უმადობის მერე მადა გახსნია. გაიკვირვა ეს ამბავი:

— ძმაო ჩემო, გაყვითლებულს გხედავდი, ახლა კი ფერზე მოსულხარ. მითხარ, რა დაგემართაო.

— ფერის წასვლის მიზეზს მოგახსენებ, მაგრამ ფერის დაბრუნების მიზეზს კი ვერ გაგიმხელო.

ძმამ უთხრა:

— ჯერ ფერის წასვლის მიზეზი მითხარიო, შაჰზამანმა მიუგო:

— ჩემო ძმაო, შენ რომ ვაზირი მაწვიე და მიხმე, მე მოვემზადე, გამოვედი ქალაქიდან და მერე გამახსენდა, სასახლეში დამრჩენოდა ის მარგალიტი, შენ რომ მოგართვი, დავბრუნდი და ვხედავ, ჩემს სარეცელზე ჩემს ცოლთან შავი მონა წევს. ორივე მოვკალ და შენკენ გამოვწიე. მე ამ ამბავზე ვწუხდი. ეს არის ჩემი ფერის წასვლისა და უღონობის მიზეზი. და ახლა ნება მიბოძე, არ მოგახსენო მიზეზი ჩემი ფერზე მოსვლისაო.

ხელმწიფემ რომ მისი ნათქვამი მოისმინა, უთხრა:

— გაფიცებ ალაჰს, შენი ფერზე მოსვლის მიზეზიც მითხარი.

მაშინ ძმამ ყოველივე უამბო და შაჰზამან მეფემ თავის ძმას, მეფე შაჰრიარს, უთხრა:

— შენ მოემზადე, ვითომ სანადიროდ და მხეცთა საჭერად მიდიხარ და ჩემთან დაიმალე. მაშინ შენ თვითონ ნახავ ამასა და შენი თვალით დარწმუნდები.

მეფემ მყისვე გამგზავრება ბრძანა. ლაშქარი და კარვები ქალაქგარეთ გაეფინა. ხელმწიფემაც დატოვა ქალაქი, დაჯდა კარავში და ღულამებს უბრძანა, ჩემთან არავინ შემოვიდესო. მერე ტანსაცმელი გამოიცვალა და მალულად იმ სასახლეში დაბრუნდა. სადაც ძმა ელოდა. ერთხანს იჯდა იმ სარკმელთან, ბაღნარს რომ გადასცქეროდა, და, აჰა, შემოვიდნენ მხევლები და მათი დედოფალი, მონებთან ერთად. ისე მოიქცნენ, როგორც ძმამ უამბო. ასე იყვნენ საღამომდე. ამის მხილველ შაჰრიარ მეფეს თავზარი დაეცა, შეძრწუნდა და თავის ძმას უთხრა:

— ავდგეთ და წავიდეთ, აღარ გვინდა ხელმწიფობა. ვნახოთ, თუ ვისმე დამართნია იმისი მსგავსი, რაც ჩვენ დაგვატყდა. თუ არადა, სიკვდილი გვერჩიოს ამგვარ სიცოცხლეს.

ძმა დაეთანხმა. ისინი სასახლის საიდუმლო კარიდან გავიდნენ და გზას გაუდგნენ. იარეს მრავალი დღე და მრავალი ღამე, იარეს, ვიდრე ერთ ტრამალზე გაზრდილ ხეს არ მიადგნენ. ხესთან, ზღვის ნაპირას. წყარო ამოჩუხჩუხებდა. დალიეს წყაროს წყალი და ჩაიმუხლეს. გავიდა ცოტა ხანი. უეცრად ზღვა აზვირთდა, ზღვიდან ზეცაში შავი სვეტი აიზიდა და იმ ტრამალისაკენ გადაეშვა. მეფეებს შეეშინდათ. ხე მაღალი იყო, ისინი ხის კენწეროზე აძვრნენ და ელოდნენ, რა მოხდებაო. უეცრად დაინახეს უზარმაზარი, დიდთავა, მხარბეჭიანი ჯინი. ჯინს თავზე კიდობანი ედგა. იგი ხმელეთზე ამოვიდა, იმ ხესთან მივიდა, დაჯდა ხის ძირას, გააღო კიდობანი და კიდობნიდან ზარდახშა ამოიღო, ისიც გააღო

და იქიდან ამოვიდა მშვენიერი ქალი, კაშკაშა მზესავით ბრწყინვალე. ისე, როგორც მგოსანს უთქვამს:

ის ამობრწყინდა წყვდიადში და გათენდა დილა,
მისი სინათლით განთიადი მოუცავს ნათელს.
და ბრწყინავს, თითქოს მზეთა დასი აისის ჟამზე
გამოავლენდეს ყველაფერს და აქრობდეს მთვარეს.
ყოველი არსი ქვეყნიერი მუხლს იყრის მის წინ,
როს გამოჩნდება და ქვეყანას საფარველს ახდის.
ხოლო, როდესაც გაიელვებს რისხვათა ელვით,
წვიმათა ცრემლი დასდინდება ქმნილებას ყოველს.

ჯინმა შეხედა ქალს და უთხრა:

ნებიერთა ქალბატონო. ჩემგან შენი ქორწინების ღამეს მოტაცებულო. მინდა, რომ ცოტა წავთვლიმო.

ჯინმა ქალს კალთაში თავი ჩაუდო და დაიძინა. ქალმა ახედა ხის კენწეროს და დაინახა იქ შემომსხდარი მეფეები. ქალმა ჯინის თავს მუხლები გამოაცალა, მიწაზე დააგდო, ხის ქვეშ გაჩერდა და ანიშნა:

ჩამოდით, ნუ გეშინიათ ამ იფრითისა. დაგვეხსენ, ღვთის გულისათვის, — უპასუხეს მათ.

— გაფიცებთ ალაჰს, — თქვა ქალმა, — ჩამოდით, თორემ გავაღვიძებ ამ იფრითს და საზარელი სიკვდილით მოგკლავთ. ძმები შეშინდნენ და ჩამოვიდნენ. ქალმა თქვა:

— შემომეჭდეთ მაგრად, თორემ იფრითს გავაღვიძებ. შეშინებულმა შაჰრიარ მეფემ თავის ძმას, შაჰზამან მეფეს, უთხრა:

— შეასრულე, რაც გიბრძანა. შაჰზამანმა მიუგო — არა, ჯერ შენო, და ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ.

— ამას რას ვხედავ, — თქვა ქალმა, — ერთმანეთს თვალით ანიშნებთ, ახლავე მოდით, თორემ იფრითს გავაღვიძებო. ჯინის

შიშით ხელმწიფენი ისე მოიქცნენ, როგორც ქალმა ისურვა.

— გამოფხიზლდით, — თქვა მერე ქალმა და ჯიბიდან ქისა ამოიღო, ქისიდან კი ყელსაბამი, რომელზედაც ხუთას სამოცდაათი ბეჭედი იყო ასხმული.

— იცით ეს რა არის? — ჰკითხა ქალმა. — არა, — მიუგეს მეფეებმა.

— ყველა ამ ბეჭდის მფლობელთან ვუღალატე იფრითს, სწორედ მის რქებზე და ახლა თქვენ ორმაც მომეცით თქვენი ბეჭდები.

წაიძვრეს ხელზე ბეჭდები და მისცეს. ქალმა თქვა:

— ამ იფრითმა ჩემი ქორწილის ღამეს მომიტაცა, მერე ზარდახშაში ჩამსვა, ზარდახშა კიდობანში ჩადო, კიდობანს შვიდი კლიტე დაადო და აბობოქრებული ზღვის ფსკერზე დამნთქა. მაგრამ რა იცოდა, რომ, თუ ქალმა რაიმე მოინდომა, იმას ვერაფერი დაუდგება წინ. ერთი მგოსნის ნათქვამისა არ იყოს:

ნუ მიენდობი დიაცთა აღთქმას,
არ ირწმუნო ქადილი მათი.
მათი თანხმობა მათი რისხვაც
გამოწვეული არის ლირწებით.
გამოავლენენ რიოშ სიყვარულს
და ღალატი აქვთ სამოსის ქობად.
შენ იუსუფის საქმე გახსოვდეს
და განერიდე დიაცთა ზაკვას.
განა არ უწყი მათი გულისთვის,
ვით განაძევა იბლისმა ადამ?

და ვიღაცას უთქვამს:

იკმარე ლანძღვა, რადგან ძაგება ხვალ ძალას მისცემს შენგან

გაკიცხულს
და გატაცებას გადაუქცევს უმძლავრეს ვნებად.
მიჯნური ვარ და საოცარი არაფერია.
ჩემზე უწინაც მამაკაცებს ამ გზით უვლიათ.
გასაოცარი მხოლოდ ის არის,
ვისთვისაც გრძნებას დიაცისას არა უვნია.

მეფეებმა მოისმინეს ეს სიტყვები და ძლიერ გაუკვირდათ. ერთმანეთს უთხრეს:

— ეს იფრითია, მაგრამ ჩვენზე უარესი უბედურება კი დასტეხია თავს. აი, ჩვენ ამ ამბავმა უნდა გვანუგეშოსო.

იმწამსვე გაეცალნენ იმ ქალს, შაჰრიარ მეფის ქალაქში დაბრუნდნენ და სასახლეში შევიდნენ. შაჰრიარ მეფემ თავი მოჰკვეთა თავის ცოლს, თავი მოჰკვეთა იმ მხევლებსა და მონებსაც. ამის მერე ხელმწიფე ყოველღამე ირთავდა ქალწულსა და იმავე ღამეს კლავდა. ასე გრძელდებოდა ეს ამბავი სამ წელიწადს. ხალხმა დრტვინვა იწყო. ქალწულები გადახიზნეს და იმ ქალაქში გასათხოვარი ქალი აღარ დარჩა. ერთხელ მეფემ, ჩვეულებისამებრ, ვაზირს უბრძანა, ქალწული მომგვარეო. გავიდა ვაზირი, ბევრი ეძება, მაგრამ ვერავინ იპოვა. გაემართა შინისაკენ დაღონებული. მჭმუნვარე და შეშფოთებული, ვაითუ მეფემ რამე ამიტეხოსო. ვაზირს ორი ქალი ჰყავდა. ორივე ტურფა, ლამაზი და მშვენიერი, ტანკენარი, ალვისტანა. უფროსს შაჰრაზადი ერქვა, უმცროსს კი დუნიაზადი. შაჰრაზადი კარგი მწიგნობარი იყო. მრავალი რამ წაეკითხა — ძველთა მეფეთა ცხოვრება და გარდასულ ტომთა ამბები, ამბობდნენ, რომ შაჰრაზადს ათასი წიგნი შეეკრიბა, სადაც უძველეს ხალხთა და მგოსანთა ამბები იყო აღწერილი. ქალმა მამას უთხრა:

— რა არის ჩემს თავს, შენ რომ ნირშეცვლილს, მჭმუნვარესა და ნაღვლიანს გხედავ? ერთ მგოსანს უთქვამს ამაზე:

მჭმუნვარეს უთხარ: საუკუნო არ არის ჭმუნვა,
წარმავალია მჭმუნვარებაც სიხარულივით.

ვაზირმა რომ თავისი ქალის სიტყვები მოისმინა, ყოველივეს მოჰყვა, რაც მეფესთან შეემთხვა — თავიდან ბოლომდე.

— მამაჩემო, გაფიცებ ალაჰს, მიმათხოვე ხელმწიფეს. ან ვიცოცხლებ, ან მსხვერპლად შევეწირები მუსლიმ ქალწულებს და მეფის ხელთაგან ვიხსნიო მათ.

— ღვთის გულისათვის, — უთხრა მამამ, — საფრთხეში თავს ნუ იგდებ

ეს გარდუვალია, — მიუგო ქალმა.

მამამ უთხრა:

— მე მეშინია, შენც ის არ დაგემართოს, რაც ერთ ვირსა, ხარსა და მემამულეს შეემთხვა.

— განა რა შეემთხვა ისეთი? — ჰკითხა ქალმა.

ვირის, ხარისა და მემამულის ამბავი

ვაზირმა თქვა:

— იცოდე, ასულო ჩემო, რომ ერთ ვაჭარს, ქონებისა და პირუტყვის მფლობელს, ჰყავდა ცოლი და შვილები. და ალაჰს, მაღალიმც არს იგი, ამ ვაჭრისათვის ცხოველთა და ფრინველთა ენის ცოდნა მიენიჭებინა,

ის ვაჭარი სოფელში ცხოვრობდა. სახლში ერთი ვირი და ხარი ჰყავდა. ერთხელ ხარი ვირის სადგომში შევიდა. ხედავს, იქაურობა დაგვილი და მორწყულია. გეჯაში ვირს გაცხრილული ქერი და ჩალა უყრია. თვითონ კი არხეინად წამოწოლილა. პატრონი მხოლოდ ხანდახან შეჯდება ვირზე, როცა რაიმე სჭირდება, და მალე უკანვე აბრუნებს. ერთ დღეს ვაჭარს ესმის, ხარი ეუბნება

ვირს:

ღმერთმა შეგარგოს, მე ვიღლები და შენ ისვენებ. გაცხრილულ ქერს მიირთმევ, გემსახურებიან, ბატონს მხოლოდ ხანდახან მიჰყავხარ და უკანვე ბრუნდები, მე კი ნიადაგ სახნავსა და კალოზე ვარ, ვირმა უთხრა:

მინდორში რომ გაგიყვანენ და ქედზე უღელს დაგადგამენ, დაწექი და აღარ ადგე. თუ ადგები, ისევ დაწექი. შინ რომ დაგაბრუნებენ და წინ კიდევ ცერცვს დაგიდგამენ. პირი არ ახლო, ვითომ დაუძლურებული ხარ. ერთი, ორი ან სამი დღის განმავლობაში თავი დაანებე ჭამა-სმასა და ჭაპანწყვეტა აგცდებაო.

ვაჭარს კი ესმოდა მათი საუბარი. მოვიდა მეხრე, რომ ხარისათვის საჭმელი მიეცა. იმან კი პირი ძლივს დააკარა. დილით მეხრეს ხარის წაყვანა უნდოდა, მაგრამ ნახა, მეტისმეტად დაუძლურებულიყო. მაშინ ვაჭარმა უთხრა მეხრეს:

ვირი წაიყვანე ხარის მაგიერ და მთელი დღე ახვნევინეო. მეხრემ ხარის მაგიერ ვირი წაიყვანა და მთელი დღე ამუშავა. საღამოს, როდესაც ვირი დაბრუნდა, ხარმა მადლობა მოახსენა და იმ დღეს მოისვენა. ვირს პასუხი არ გაუცია. ნანობდა თავის საქციელს. მეორე დღეს მოვიდა მხვნელ-მთესველი, ვირი წაიყვანა და საღამომდე ახვნევინა, ვირი კისერგადატყავებული და ქანცგამოლეული დაბრუნდა. ხარმა შეათვალიერა, მადლობა უთხრა და შეაქო. მაშინ ვირმა თქვა:

— განცხრომაში ვიყავი და ჩემმა მეტიჩრობამ დამღუპაო.

მერე ხარს უთხრა:

— იცოდე, რომ შენი გულწრფელი მრჩეველი ვარ, გავიგონე, ჩვენი პატრონი ამბობდა: — ხარი თუ არ წამოდგა, ყასაბს მივცემ დასაკლავად ის კი მისი ტყავისგან ნატს გააკეთებსო, მეშინია, რაიმე არ აგიტყდეს. მე შენთვის ეს მირჩევია და ახლა შენ იცი...

ხარმა რომ ვირის სიტყვები გაიგონა. მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ხვალ სახნავად წავყვებიო.

და მთელი ულუფა ისე შეჭამა, რომ ბაგაც კი ამოლოკა. პატრონს ყველაფერი ესმოდა. მეორე დღეს ვაჭარი და მისი ცოლი ბოსელში შევიდნენ და დასხდნენ. მოვიდა მეხრე, ხარს ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა. ხარმა თავისი პატრონი რომ დაინახა, კუდი ამოიძუა, ქარები გამოუშვა და მოკურცხლა. ვაჭარი სიცილისაგან გადაბრუნდა. — რაზე იცინი, — ჰკითხა ცოლმა.

ერთ რამეზე, რაც დავინახე და გავიგონე. მაგრამ რომ გავამხილო, მოვკვდებიო, — მიუგო ქმარმა...

ცოლმა უთხრა:

— კიდევაც მოკვდე, უნდა მითხრა, რაზე იცინოდი.

ქმარმა მიუგო:

— სიკვდილისა მეშინია, ვერ გავამჟღავნებო.

— მე ვიცი, შენ ალბათ ჩემზე იცინოდი, — უთხრა ცოლმა. ჩაცივდა და არ მოეშვა, სანამ არ დაიყოლია და ჭკუა არ აურია. მაშინ ვაჭარმა მოუხმო შვილებს, კაცი გაგზავნა ყადისა და მოწმეების მოსაყვანად. სურდა დაეტოვებინა ანდერძი, მერე გაენდო საიდუმლო ცოლისთვის და მომკვდარიყო. იმიტომ, რომ დიდი სიყვარულით უყვარდა ცოლი. რადგან ის იყო შვილი მისი ბიძისა და დედა მისი შვილებისა და ვაჭარს ას ოცი წელი ეცხოვრა ამქვეყნად. მერე კაცი გაგზავნა და დაიბარა ცოლის მთელი ოჯახი და მეზობლის ოჯახი, ამცნო მათ თავისი ამბავი და თქვა, რომ თუკი ვისმეს გავანდობ ჩემს საიდუმლოს, მაშინვე მოვკვდებიო. ყველამ, ვინც კი იქ იყო, ქალს უთხრა:

— ალაჰს გაფიცებთ, დაანებე თავი ამ საქმეს, თორემ ქმარი მოგიკვდება შენი შვილების მამაო. ქალმა თქვა:

— კიდევაც რომ მოკვდეს, თავს არ დავანებებ, სანამ არ მეტყვისო.

მაშინ ყველა გაჩუმდა. ვაჭარი ადგა და პირუტყვის სადგომი-

საკენ გაემართა, რათა აღესრულებინა განბანა, დაბრუნებულიყო, ეამბნა საიდუმლო და მომკვდარიყო. ვაჭარს ერთი ძაღლი და მამალი ჰყავდა. იმ მამლის გამგებლობაში ორმოცდაათი დედალი იყო. ვაჭარმა გაიგონა: ძაღლი მამალს ლანძღავს და ეუბნება:

— შენ არხეინად ხარ, რა გენაღვლება, ჩვენი პატრონი კი სიკვდილს აპირებს.

მამალმა ჰკითხა:

— როგორაო?

ძაღლმა უამბო მამალს ეს ამბავი.

მამალმა თქვა:

— ვფიცავ ალაჰს. თუ ჩვენი პატრონი ჭკუანაკლული არ იყოს მე ორმოცდაათი ცოლი მყავს, ერთს ვეფერები, მეორეს ვუჯავრდები... იმას კი ერთი ცოლის მეტი არ გააჩნია და იმისთვისაც ვერ მოუვლიაო. ერთი რატომ არ აიღებს თუთის წკეპლებს, არ შევა იმის ოთახში და იმდენს არ ურტყამს, სანამ არ მოკვდება, ან არადა მოინანიებს და მეორედ აღარაფერს ჰკითხავსო...

ვაჭარს რომ ძაღლისა და მამლის ბაასი ესმა, გონს მოეგო და ცოლის ცემა განიზრახა. ვაზირმა უთხრა შაჰრაზადს:

ეგების მეც ის გიყო შენ, რაც ვაჭარმა უყო თავის ცოლს. რა უყო? — ჰკითხა შაჰრაზადმა.

მოჭრა თუთის ტოტები, — მიუგო მამამ, — და ოთახში დამალა. შევიდა ცოლთან და უთხრა: — შემოდი ოთახში, ისე უნდა გითხრა, რომ არავინ დამინახოს და მერე მოვკვდეო.

ქალი შეჰყვა ქმარს. ვაჭარმა გამოკეტა და იმდენი სცემა, სანამ ქალს გული არ შეუღონდა და არ თქვა — მაპატიეო. დაუკოცნა ქმარს ხელები და ფეხები. მოინანია და ქმართან ერთად გამოვიდა. ყველა იქ შეკრებილმა და ქალის ოჯახმა დიდად გაიხარა... და ისინი სიკვდილამდის ბედნიერად ცხოვრობდნენ.

შაჰრაზადმა მოისმინა მამის სიტყვა და თქვა:

— არა, ეს უთუოდ ასე უნდა მოხდესო.

მაშინ მოამზადა იგი მამამ და მიჰგვარა შაჰრიარ მეფეს. შაჰრაზადს. თავისი უმცროსი დისათვის დაებარებინა, — მეფესთან რომ წავალ, ვინმეს გამოვგზავნი, მოვითხოვ, რომ ჩემთან მოხვიდე. როდესაც მოხვალ და ნახავ, რომ მეფეს აღარ ვჭირდები, მითხარი: — ჩემო დაო, მოჰყევი რაიმე უცხო ამბავს, რომ უძილო ღამე შეუმჩნევლად გავიდეს. მე მოვყვები რაიმეს და ამ ამბავში იქნება ჩემი ხსნა, თუ ინებებს ალაჰი, მაღალიმც არს იგი.

შემდეგ წაიყვანა ვაზირმა და ხელმწიფეს მიჰგვარა. ხელმწიფეს იამა ვაზირის დანახვა და ჰკითხა:

— შემისრულე წადილი?

— დიახ, — მიუგო ვაზირმა. როდესაც ხელმწიფემ შაჰრაზადის დაუფლება ისურვა, ქალი ატირდა, ხელმწიფემ ჰკითხა:

— რა დაგემართა?

— მე ერთი პატარა და მყავს, — მიუგო შაჰრაზადმა, — მინდა იმას გამოვემშვიდობო.

ხელმწიფემ გაგზავნა კაცი დუნიაზადთან. დუნიაზადი მოვიდა თავის დასთან, მოეხვია და სარეცელთან მოიკალათა. ხელმწიფე დაეუფლა შაჰრაზადს. მერე დასხდნენ და საუბარი დაიწყეს. უმცროსმა დამ შაჰრაზადს უთხრა:

— გაფიცებ ალაჰს, ჩემო დაო, მოჰყევი რასმე, რომ ეს უძილო ღამე გავითენოთ.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — თქვა შაჰრაზადმა, — თუკი ნებას დამრთავს ეს უზადო ხელმწიფე.

შაჰრიარ მეფე მოწყენილი იყო. ეს სიტყვები რომ გაიგონა, გაუხარდა ამბის მოსმენა და ნება დართო.

# ამბავი ვაჭრისა და ჯინისა

და თქვა შაჰრაზადმა პირველ ღამეს: მეფევ, სვიანო, მსმენია, რომ იყო თურმე მდიდარი სოვდაგარი. რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ვაჭრობდა.

ერთ დღეს ვაჭარი შეჯდა ცხენზე და ერთი ქვეყნისაკენ გაემართა. გზაში ძლიერ დასცხა და ხის ქვეშ ჩაიმუხლა, ხურჯინში ხელი ჩაჰყო, პურის ნატეხი და ფინიკი ამოიღო და შეექცა. ფინიკის ჭამა რომ დაამთავრა, კურკა ისროლა და ანაზდეულად მის წინაშე უზარმაზარი. ხმალამოწვდილი იფრითი გაჩნდა. იგი მიეჭრა ვაჭარს და უთხრა:

— ადექი, რომ მოგკლა ისე, როგორც შენ ვაჟი მომიკალი. ვაჭარმა უთხრა: — მე როდის მოვკალი მენი ვაჟი?

— შენ რომ ფინიკი შეჭამე და კურკა ისროლე, — მიუგო იფრითმა. — ჩემს ვაჟს შიგ მკერდში მოხვდა, თავისმა წერამ უწია და მაშინვე მოკვდაო.

ვაჭარმა მიუგო:

— იფრითო, იცოდე, რომ მე ვალი მაძევს. მაქვს დიდძალი ფული, მყავს შვილები და ცოლი, ჩემთან არის მრავალი გირაო, დამრთე ნება, შინ წავიდე და მივცე, ვისაც რა ეკუთვნის. მერე დავბრუნდები, გაძლევ სიტყვას, და, რაც გინდა, ის მიყავი, ალაჰიმც იქნება ჩემი სიტყვის თავდები.

ჯინმა ვაჭარს პირობა ჩამოართვა და გაუშვა. ვაჭარი დაბრუნდა თავის ქვეყანაში, დაუბრუნა, ვისიც რა ემართა, ამცნო შვილებსა და ცოლს, რაც თავს გადახდა, დაწერა ანდერძი და იმ წლის მიწურულამდე მათთან დაჰყო. მერე ადგა, განბანა აღასრულა, სუდარა იღლიის ქვეშ ამოიდო, გამოემშვიდობა თავის ოჯახს, მეზობლებს, ყველა ნათესავს და წავიდა შინიდან, თუმცა ფეხის მოცვლა ეძნელებოდა... შეიქნა დიდი მოთქმა და გოდება. ვაჭარმა იარა, ვიდრე იმ ბაღნარს არ მიაღწია. ეს დღე ახალი წლის დამდეგი იყო. იმ დროს, როცა ვაჭარი იჯდა და თავის ბედს დასტიროდა, უეცრად მასთან ერთი ბერიკაცი მივიდა. მოხუცს თან ახლდა ჯაჭვგამობმული ქურციკი. მიესალმა ვაჭარს, დღეგრძელობა უსურვა და ჰკითხა:

— რად დამჯდარხარ აქ განმარტოებით, ეს ხომ ჯინების სამყოფელია?

ვაჭარმა უამბო მოხუცს, რაც მას იფრითთან შეემთხვა და უთხრა მისი აქ ჯდომის მიზეზი. ქურციკის პატრონს გაუკვირდა და თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, ჩემო ძმაო, ჭეშმარიტად დიდებულია რწმენა შენი და საოცარი — ამბავი შენი. ის რომ ნემსით თვალის უპეებში დაიწეროს, შეგონება იქნებოდა იმისათვის, ვინც შეიგონებს. მიუჯდა ვაჭარსა და თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, ჩემო ძმაო, არ დაგტოვებ, ვიდრე არ ვნახავ, რა გადაგხდება იმ იფრითთან.

დაჯდა და საუბარი გაიბა. ვაჭარს გული შეუღონდა ძრწოლამ, ძლიერმა დარდმა და მწარე ნაღველმა ხელი დარია. ანაზდად

მათთან მეორე მოხუცი მოვიდა. თან ორი შავი მწევარი ჰყავდა, მიესალმა და ჰკითხა მათი ჯდომის მიზეზი — ეს ხომ ჯინების მიწაა-ო. მოუთხრეს ამბავი თავიდან ბოლომდე და ის იყო დასხდნენ, რომ მიუახლოვდა მესამე ბერიკაცი, რომელმაც თან ჭრელი ჯორი მოიყვანა. სალამი თქვა და მათი აქ ყოფნის მიზეზი იკითხა. ისინიც თავიდან ბოლომდე მოჰყვნენ ამ ამბავს. უეცრად უდაბნოს შუაგულში მტვრის ღრუბელი ამოიჭრა და მბრუნავ სვეტად იქცა. გაიფანტა მტვერი და, აჰა, ჯინიც გამოჩნდა — ხმალამოწვდილი, თვალთაგან ნაპერწკლებს აფრქვევდა. მივიდა, გამოათრია ვაჭარი და უთხრა:

— ადექი, რომ მოგკლა ისე, როგორც შენ მომიკალი შვილი, ჩემი უკანასკნელი სულისთქმა.

ვაჭარი აქვითინდა. სამთავე ბერიკაცმაც ტირილი და გოდება იწყო. მაშინ გამოვიდა პირველი მოხუცი, ქურციკის პატრონი, იფრითს ხელზე ემთხვია და უთხრა:

— ჰეი, ჯინო, ჯინების მეფეთა გვირგვინო, მე მოგიყვები ჩემს ამბავს, რაიც ამ ქურციკთან გარდამხდა და მიბოძე ამ ვაჭრის სისხლის ერთი მესამედი, თუ კი ჩემი ამბავი გაგაოცებს.

— კარგიო, — მიუგო ჯინმა, თუ შენი მოყოლილი ამბავი გამაოცებს, მიბოძებია შენთვის მისი სისხლის მესამედი!

## პირველი ბერიკაცის ნაამბობი

მოხუცმა თქვა:

— იცოდე, ჯინო, რომ ეს ქურციკი ბიძაჩემის ქალია, ჩემი სისხლი და ხორცი, ის მე ცოლად შევირთე, როცა ჯერ კიდევ სულ ბავშვი იყო. ოცდაათი წელი ვიცხოვრე მასთან და შვილი არ მყოლია, ხარჯი ავიყვანე და იმისაგან ბადრი მთვარის მსგავსი, თვალმშვენიერი და წარბხატულა ბიჭი შემეძინა. ბიჭი რომ გაიზარდა და თხუთმეტი წლის შეიქნა, ერთ ქალაქში გამგზავრება

მომიხდა. წავედი და თან წავიღე დიდძალი საქონელი. ბიძაჩემის ქალს, ამ ქურციკს, ბავშვობიდან სცოდნია ჯადოქრობა და მისნობა, ამან ბიჭი ხბოდ აქცია, დედამისი — ძროხად და ორივე მწყემსს ჩააბარა. დიდი ხნის შემდეგ მოგზაურობიდან დავბრუნდი, მოვიკითხე ჩემი ვაჟი და დედამისი. მან მითხრა:

— შენი მხევალი მოკვდა, შენი ვაჟი კი გაიქცა და სად წავიდა, არ ვიციო.

ერთ წელიწადს ვიჯექი გულდამწუხრებული და თვალცრემლიანი, ვიდრე ალაჰის დიდი დღესასწაული არ დადგა. მაშინ მწყემსთან კაცი გავგზავნე და ვუბრძანე, რომ მსუქანი ძროხა მოეგვარა. მწყემსმა მომგვარა მსუქანი ძროხა. ის ძროხა ჩემი მხევალი ყოფილა, რომელიც ამ ქურციკმა მონუსხა. კალთები ავიკეცე, ხელში დანა ავიღე და, დაკვლა რომ დავუპირე, ძროხა აბღავლდა და ატირდა. მე შემეცოდა და თავი დავანებე. მწყემსს ვუთხარი:

— სხვა ძროხა მომგვარე-მეთქი. ბიძაჩემის ქალმა დაიყვირა:

— არა მყავს მე ამაზე უკეთესი და მსუქანი ძროხაო. მივედი დასაკლავად და ისევ აბღავლდა. მაშინ ავდექი და მწყემსს ვუბრძანე მისი დაკვლა და გატყავება. მწყემსმა დაკლა, გაატყავა და აღმოჩნდა, რომ ძვალისა და ტყავის მეტი არა იყო რა — გამხდარი და მჭლე. ვინანე მისი დაკვლა, მაგრამ სინანული რაღას მარგებდა. მივეცი მწყემსსა და ვუთხარი:

— მსუქანი ხბო მომგვარე-მეთქი.

მომიყვანა ხბოდ მონუსხული ჩემი ვაჟი. ხბომ ჩემს დანახვაზე გაწყვიტა საბელი, მომვარდა, მომელაქუცა და ტირილი დაიწყო. შემებრალა და მწყემსს ვუთხარი:

— წაიყვანე ეს ხბო და ძროხა მომიყვანე-მეთქი. ბიძაჩემის ქალმა, აი, ამ ქურციკმა, დამიყვირა:

— უთუოდ ეგ ხბო უნდა დავკლათ, დღეს ხომ კურთხეული და დიადი დღეა, ასეთ დღეს მხოლოდ ლამაზ პირუტყვსა კლავენ. მაგაზე მსუქანი და ლამაზი ხბო კი ჩვენ არ გაგვაჩნია.

მე მივუგე:

— ხომ ნახე, როგორი გამოდგა შენი ბრძანებით დაკლული ძროხა, სარგებელი ვერა ვნახეთ რა, ხელი მოგვეცარა და ბევრიც ვინანეთ. ახლა აღარ დაგიჯერებ-მეთქი.

ცოლმა მითხრა:

— ვფიცავ ალაჰს, უსათუოდ ეგ ხბო უნდა დავკლა ამ დიდებულ დღეს, თორემ მე შენი ცოლი აღარ ვიქნები და შენ — ჩემი ქმარიო ცოლისგან რომ ეს მძიმე სიტყვა მესმა, მისი ზრახვა კი ვიცოდი,

მივედი ხბოსთან, დანა ავიღე... და შაჰრაზადს მოუსწრო განთიადმა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები. დამ უთხრა:

— რა კარგია შენი მოთხრობა, სასმენელად ამო და ტკბილიო. შაჰრაზადმა უპასუხა:

— სად ეს და სად ის ამბავი, რომელსაც მომავალ ღამეს მოვყვები, მეფემ თუ სიცოცხლე არ მომისწრაფა. მეფემ გუნებაში თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, არ მოვკლა, ვიდრე ამბის დასასრულს არ მოვისმენ.

მერე ის ღამე დილამდე ერთმანეთის ალერსში გაატარეს. დილით ხელმწიფე სამსჯავრო დარბაზში გავიდა. მოვიდა ვაზირი და იღლიის ქვეშ ამოჩრილი სუდარა მოიტანა. ხელმწიფე საღამომდე განსჯიდა, ნიშნავდა და შერისხავდა მოხელეთ. ვაზირისათვის არაფერი უბრძანებია. ვაზირს ძლიერ გაუკვირდა. დამთავრდა დივანი. შაჰრიარ მეფე სასახლეში შევიდა.

და როდესაც დადგა ღამე მეორე, დუნიაზადმა უთხრა თავის დას, შაჰრაზადს:

— დაასრულე ვაჭრისა და ჯინის ამბავი.

— სიყვარულითა და პატივით თქვა შაჰრაზადმა, — თუკი იქნება ნება ხელმწიფისა.

— მოჰყევიო, — უთხრა ხელმწიფემ. შაჰრაზადმა თქვა:

— მსმენია, მეფევ სვებედნიერო და გამგებელო, სწორი გზით

მავალო, რომ როდესაც ვაჭარმა ხბოს დაკვლა დააპირა, შეებრალა და მწყემსს უთხრა: ეგ ხბო საქონელთან დატოვეო. ბერიკაცი ჰყვებოდა ყოველივე ამას და ჯინს უკვირდა საოცარი ამბავი და საკვირველი სიტყვა მისი. ქურციკის პატრონმა თქვა:

— ჰოი, ჯინების მეფეთა უფალო, ყოველივე ეს მოხდა და ბიძაჩემის ქალი, ეს ქურციკი, უყურებდა და ამბობდა:

— დაკალი ეგ ხბო, მსუქანიაო. მე ვერ გავიმეტე და მწყემსს ვუბრძანე წაეყვანა. მწყემსმა წაიყვანა და წავიდა. მეორე დღეს, შინ რომ ვიჯექი, მწყემსი მეახლა და მეუბნება:

— ბატონო, ერთ სასიხარულო ამბავს გეტყვი და სამახარობლო მეკუთვნისო.

— კარგი-მეთქი, — ვუთხარი. მწყემსი მეუბნება:

— ვაჭარო. მე ერთი ქალიშვილი მყავს, იმან ბავშვობაში ისწავლა ჯადოქრობა ერთი დედაბრისაგან, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა. გუშინ ხბო რომ მომეცი, ჩემს ქალთან შევედი. იმან ამ ხბოს თვალი შეავლო და სახე დაიფარა. ატირდა, მერე გაიცინა და მითხრა:

— მამა. ჩემი ხათრი არა გქონია, უცხო კაცები რომ შემოგყავს ჩემთანო.

— ან უცხო კაცები სად არიან, ან რისთვის ატირდი და მერე რისთვის გაიცინე-მეთქი.

— ეგ ხბო, რომელიც შენ გახლავს, — მომიგო მან, — ჩვენი ბატონის ვაჟია. ის და დედამისი მამამისის ცოლმა მოაჯადოვა. ეს არის ჩემი სიცილის მიზეზი. ტირილის მიზეზი კი დედამისია, რომელიც მამამისმა დაკლაო.

— მე ძლიერ გამიკვირდა და განთიადითვე გეახელი, რომ ეს ამბავი მემცნო.

მწყემსის ნათქვამი რომ გავიგონე, შინიდან გამოვედი მასთან ერთად. მთვრალი ვიყავ უღვინოდ. მთვრალი ვიყავ იმ დიდი სი-

ხარულისა და ნეტარებისაგან, რაც წილად მხვდა. მივედი მწყემ-სის სახლში. მივესალმე მწყემსის ასულსა და ხელზე ვემთხვიე. ხბო მოვიდა და მომელაქუცა. მწყემსის ქალს ვუთხარი:

— მართალია, რაც შენ ამ ხბოზე თქვი?

— დიახ, ჩემო ბატონო, — მომიგო მან, — ეს არის შენი ვაჟი, შენი უკანასკნელი სულისთქმა.

— მწყემსის ქალო, — ვუთხარი მე, — შენ თუ ამას გადაარჩენ, შენი იყოს. რაც მამაშენის ხელში ჩემი პირუტყვი და საქონელია. გაიღიმა და თქვა:

— მე შენი ქონება არ მინდა, თუ არა ორი პირობით. ერთი, რომ შენს ვაჟზე დამაქორწინო და მეორე, რომ მონუსხო და შევიპყრო ის, ვინც ეგ მოაჯადოვა, თორემ მე სულ მისი მზაკვრობის შიში მექნებაო.

მწყემსის ქალის ნათქვამი რომ მესმა, ჰეი, ჯინო, მივუგე:

— შენი იყოს, რასაც ითხოვ, და ის საქონელიც ზედ დამიმატე-ბია, რაც მამაშენის ხელშია. ბიძაჩემის ქალის სისხლიც ალალი ყოფილიყოს შენზე.

ჩემი სიტყვა რომ მოისმინა, აიღო თასი, აავსო წყლით, წყალს შეულოცა და ხბოს მიასხურა.

— თუ ალაჰს შენ ხბოდ შეუქმნიხარ, — წარმოთქვა მან, — დარჩი აგრე და ნუ შეიცვლები და თუ მონუსხული ხარ, მაღალი ალაჰის ნებით დაგიბრუნდეს უწინდელი სახე.

უეცრად ხბო შეირხა, შეტორტმანდა და ადამიანად იქცა. მე მივვარდი და ვუთხარი:

— გაფიცებ ალაჰს, თქვი, რა გიყოთ ბიძაჩემის ქალმა შენ და დედაშენს. ის მოჰყვა, რაც თავს გარდახდომოდა. მე ვუთხარი:

— შვილო, ალაჰმა ისეთი მხსნელი მოგვივლინა, ვინც შენც გიხსნა და შენი უფლებაც.

მწყემსის ქალი ჩემს ვაჟზე დავაქორწინე. მერე მან ბიძაჩემის

ქალს, ამ ქურციკს, ჯადო უყო და მითხრა: — ქურციკი ლამაზი ცხოველია და იგი ველური ნადირი მაინც არ იქნება, კაცმა რომ თვალი ვერ გაუსწოროს.

მწყემსის ქალი ჩვენთან დარჩა მრავალი დღე და მრავალი ღამე, ვიდრემდის იგი ალაჰმა არ მიიბარა. მისი სიკვდილის შემდეგ ჩემი ვაჟი ინდოეთს გაემგზავრა. ინდოეთი კი ამ კაცის სამშობლოა, ეს ამბავი რომ შეემთხვა შენთან. მე ავიყვანე ქურციკი, ბიძაჩემის ქალი, და ქვეყნით ქვეყნად დავდიოდი ჩემი ვაჟის ამბის გასაგებად, ვიარე, ვიდრე განგებამ ამ ადგილას არ მომიყვანა და არ ვნახე ვაჭარი, რომელიც აქ იჯდა და ჰგოდებდა. ჯინმა თქვა:

— ეს მართლაც საოცარი ამბავია. მიბოძებია შენთვის ამ ვაჭრის სისხლის მესამედიო.

ამ დროს წინ წარდგა მეორე ბერიკაცი, ორი შავი მწევრის პატრონი. ჯინს უთხრა:

— მე მოგიყვები, რაც გარდამხდა ჩემს ძმებთან, ამ შავ ძაღლებთან. და თუ ჩემს ნაამბობს შენ ყველაზე საკვირველ და საოცარ ამბად ჩათვლი, მაჩუქე ამ ვაჭრის სისხლის მესამედი.

— თუ შენი მოთხრობა საოცარი და საუცხოო იქნება, — მიუგო ჯინმა. — შენი იყოს მისი სისხლიო.

ბერიკაცმა თქვა:

## მეორე ბერიკაცის ნაამბობი

— იცოდე, ჯინების მეფეთა მეუფევ, რომ ეს ორი ძაღლი ჩემი ძმები არიან, მე კი მათი მესამე ძმა გახლავარ. მამაჩემი რომ მოკვდა, სამი ათასი დინარი დაგვიტოვა. მე დუქანი გავხსენი და აღებ-მიცემობას მივყე ხელი. ჩემმა ძმებმაც თავ-თავისი დუქანი გახსნეს. ცოტა ხნის შემდეგ უფროსმა ძმამ, ერთ-ერთმა ამ ძაღლთაგანმა, თავისი დუქანი ათას დინარად გაყიდა, საქონელი შეისყიდა და გაემგზავრა. სრულ ერთ წელიწადს აღარ ჩანდა. ერთ

დღეს, როდესაც დუქანში ვიყავი, ჩემ წინ მათხოვარი გაჩერდა.

— ალაჰიმც გაგიკითხავს, — ვუთხარი მე. მან ტირილი მორთო და მითხრა:

— ნუთუ ვერ მიცანიო. მაშინ ვიცანი. ჩემი ძმა იყო. ავდექი, სალამი ვუთხარი და შინ წავიყვანე. ამბავი ვკითხე. იმან მიპასუხა:

— ნუღარ მეკითხები, ქონება დავკარგე, ბედმა მიმტყუნაო. ავდექი, აბანოში წავიყვანე, ძვირფას ტანსაცმელში გამოვაწყვე, პური გავტეხეთ და ვთქვი:

— ვიანგარიშებ ჩემი დუქნის შემოსავალს წლიდან წლამდე და ერთმანეთში გავიყოთ, გარდა თავისა-მეთქი.

ვიანგარიშე ჩემი დუქნის შემოსავალი. ვნახე, ორი ათასი დინარი მომიგია, მონაგები ძმას გავუყავი და ვუთხარი:

— დაივიწყე, რომ იხეტიალე და უცხოეთში იყავი, ვითომ არც არაფერი შეგმთხვევია.

გახარებულმა ფული აიღო და დუქანი გახსნა. გავიდა მრავალი დღე და მრავალი ღამე. ადგა ჩემი მეორე ძმა — აი, ეს მეორე ძაღლი, გაყიდა, რაც ებადა, მთელი თავისი ქონება და მოგზაურობა ინება. დავუშალეთ და არ დაიშალა. იყიდა საქონელი და მოგზაურებს გაჰყვა. სრულ ერთ წელიწადს არ ჩანდა. მერე ისიც ისეთი სანახავი მომადგა, როგორც უფროსი ძმა.

მე ვუთხარი: — ხომ გირჩიე, რომ არ გამგზავრებულიყავი. ატირდა და თქვა:

ეჰ, ასეთი ბედი მქონია, ძმაო, ახლა ღატაკი ვარ, ერთი დირჰამიც კი არ მაბადია, შიშველი ვარ და პერანგი არ გამაჩნიაო.

ავდექი, ჯინო, და აბანოში წავიყვანე, ჩემს ახალ ტანსაცმელში გამოვაწყვე. ჩემს დუქანში დავსვი; ვჭამეთ, ვსვით და მერე ვუთხარი:

— ძმაო, მე ყოველი წლის დამდეგს ვანგარიშობ ჩემი დუქნის გასავალ-შემოსავალს. ვიანგარიშებ და მონაგებს რასაც ვნახავ, ის გავიყოთ-მეთქი.

— ავდექი, იფრითო, ვიანგარიშე და ვნახე, ორი ათასი დინარი მქონია. ვადიდე ალაჰი. ძლიერი და დიდებული, ძმას ათასი დინარი მივეცი და მეც ათასი დინარი დამრჩა. ადგა ჩემი ძმა და დუქანი გახსნა. მთელი დღეები ვისხედით ჩვენ-ჩვენს დუქნებში. გამოხდა ხანი. ერთხელ მოვიდნენ ჩემი ძმები და მოგზაურობა შემომთავაზეს. მე უარი ვუთხარი და მივუგე:

— თქვენ რა მოიგეთ, თქვენი მოგზაურობით, რომ მე მოვიგო რამე-მეთქი.

— ყურიც აღარ ვათხოვე. ვიყავით ჩვენს დუქნებში, ვყიდულობდით და ვყიდდით. ისინი ყოველ წელიწადს შემომთავაზებდნენ ხოლმე მოგზაურობას და მე სულ უარზე ვიდექი, სანამ არ გავიდა ექვსი წელიწადი. მაშინ ძმებს მოგზაურობის ნება დავრთე და ვუთხარი:

— ძმებო. ჰა, მეც თქვენთან ერთად ვიმოგზაურებ, მაგრამ ჯერ ვნახოთ, რამდენი ფული გაქვთ-მეთქი. მაგრამ ჩემს ძმებს არაფერი აღმოაჩნდათ. ყველაფერი გაეფლანგათ, რადგან სულ მუდამ ჭამა-სმასა და სიამოვნებაში ატარებდნენ დროს. მე აღარაფერი ვუთხარი. ჩემი ფული და საქონელი ვიანგარიშე და ვნახე, რომ ექვსი ათასი დინარი მქონია. გამიხარდა. ფული ორ ნაწილად გავყავი და ძმებს ვუთხარი:

— ეს სამი ათასი დინარი სავაჭროდ მე და თქვენ.

მეორე სამი ათასი კი დავფალი იმ ვარაუდით, რომ თუ მეც ის დამემართებოდა, რაც ჩემს ძმებს, დავბრუნდებოდი, სამი ათასი დინარი დამხვდებოდა და ჩვენ-ჩვენს დუქნებს გავხსნიდით. ძმები დამთანხმდნენ. თითოეულ მათგანს ათასი დინარი მივეცი და მეც ათასი დამრჩა. ვიყიდეთ საქონელი, მგზავრობის თადარიგი დავიჭირეთ, ვიქირავეთ გემი და ჩვენი ავლა-დიდება ზედ გადავიტანეთ. გავიდა ერთი დღე. მეორე დღე, ერთი თვეც მიიწურა, სანამ ჩვენი საქონლით ერთ ქალაქს არ მივადექით; დინარზე ათი დი-

ნარი მოვიგეთ და გამგზავრებას რომ ვაპირებდით, ზღვის ნაპირას ერთი დაძონძილი მხევალი შეგვხვდა. მხევალი ხელზე მემთხვია და მითხრა:

— ჩემო ბატონო, შეგიძლია თუ არა, სიკეთე და სამადლო საქმე ჩაიდინო, რისთვისაც სამაგიეროს მოგიზღავო.

— დიახ, მე მინდა მადლისა და სიკეთის ჩადენა, თუნდაც რომ სამაგიერო არ მომიზღა-მეთქი.

მაშინ ქალმა მითხრა:

— შემირთე ცოლად. ჩემო ბატონო, და წამიყვანე შენს ქვეყანაში. ჩემი თავი შენთვის მომიცია. მიყავ სიკეთე. მე მადლისა და სიკეთის ღირსი ვარ და სამაგიეროს მოგიზღავ კიდეც. შენ ჩემმა ახლანდელმა ყოფამ არ მოგატყუოსო.

მე რომ ამ ქალის ნათქვამი მესმა, გულმა იმისკენ გამიწია, იმ საქმის გამო, რაც უნებებია ალაჰს — ძლიერსა და დიდებულს. ის ქალი გემზე ავიყვანე, კარგი ლოგინი გავუშალე და დიდი პატივი ვეცი. გულში იმ ქალის სიყვარული ჩამივარდა. ვეღარ ვცილდებოდი, ვერც დღე, ვერც ღამე, ძმებს აღარ ვეკარებოდი, სულ იმასთან ვიყავი. ძმებმა ეჭვიანობა დაიწყეს. შეშურდათ ჩემი ფული და ჩემი საქონელი. მთელ ჩემს ქონებას ხარბი თვალი დაადგეს. მოილაპარაკეს, რომ მოვეკალით და მთელი ჩემი სარჩო-საბადებელი მიეთვისებინათ. შეითანმა აცთუნა ისინი და იმ დროს, როცა მე ჩემი ცოლის გვერდით მეძინა, აგვიყვანეს და ზღვაში გადაგვიძახეს. ჩემმა ცოლმა გაიღვიძა, შეირხა და ძუ იფრითად იქცა. მატარა და ერთ კუნძულზე გამიყვანა. ერთხანს სადღაც გაქრა. გათენებისას დაბრუნდა და მითხრა:

— აი, მე ვარ. შენი ცოლი, მაღალი ალაჰის ნებით გამოგიყვანე და სიკვდილს გადაგარჩინე, იცოდე, რომ მე ძუ ჯინი ვარ. დაგინახე და შემიყვარდი, ალაჰის გულისათვის. მე მორწმუნე ჯინების გვარისა ვარ. მწამს ალაჰი და მისი მოციქული, ალაჰიმც აკურ-

თხებს მას და გაუმარჯვებს. იმ სახით გამოგეცხადე, როგორც მნახე, შენ ცოლად შემირთე და, აი, ახლა დახრჩობას გადაგარჩინე. მაგრამ შენს ძმებზე ვარ განრისხებული და უთუოდ უნდა მოვკლა ისინიო.

ეს ამბავი რომ მესმა, გავოცდი. მადლობა მოვახსენე და ვუთხარი: — არა, ჩემი ძმების მოკვლას კი ვერ დავყაბულდები.

მერე თავიდან ბოლომდე მოვუყევი, რაც მე იმათთან თავს გარდამხდა. ქალმა რომ ჩემი ამბავი გაიგო, თქვა:

— გავფრინდები ამაღამ, ჩავძირავ იმ გემს და დავღუპავ შენს ძმებსაო

მე ვუთხარი:

— გაფიცებ ალაჰს, ნუ ჩაიდენ ამ საქმეს. ანდაზა ამბობს: — „ბოროტის კეთილისმყოფელო, კმა არს ბოროტისათვის სიბოროტეი მისი“. რაც უნდა იყოს, ისინი ჩემი ძმები არიან. მაგრამ იმან მომიგო:

— ალაჰს ვფიცავ, უეჭველად უნდა მოვკლა ისინიო. მე შევავედრე ჩემი ძმები. ქალმა ამიყვანა, გაფრინდა და ჩემი სახლის ბანზე დამსვა. გავაღე კარები, ამოვიღე ის, რაც მიწაში მქონდა დაფლული და შემდგომ იმისა, რაც ხალხს სალამი ვუთხარი და საქონელი შევისყიდე, დუქანი გავხსენი,

საღამოს შინ დავბრუნდი, სახლში ეს ორი ძაღლი დამხვდა დაბმული, რომ დამინახეს, მოვიდნენ ჩემთან და მომელაქუცნენ. მე ვერ მივხვდი, სანამ ცოლმა არ მითხრა:

— ესენი შენი ძმები არიანო. მე ვუთხარი:

— ვინ უყო ჩემს ძმებს ეს საქმე? ცოლმა მომიგო:

— ჩემი და დავიბარე და იმანო. არ განთავისუფლდებიან, ვიდრე ათი წელი არ გავაო.

და, აი, ახლა მივდივარ ცოლისდასთან, რომ ჯადო ახადოს ჩემს ძმებს, იმის შემდეგ, რაც ამგვარ ყოფაში გაატარეს ათი წე-

ლი. აქ ვნახე ეს კაცი, მიამბო. რაც დამართნია. ვიფიქრე, არ დავ-ტოვებ, სანამ არ ვნახავ, რა მოხდება იფრითსა და ამ კაცს შორის-მეთქი. ეს არის ჩემი მოთხრობა. ჯინმა თქვა:

— ეს მართლაც საოცარი ამბავია. მიბოძებია შენთვის მისი სისხლი და დანაშაულის ერთი მესამედი. მესამე ბერიკაცმა თქვა:

— ჰეი, ჯინო, მე შენ გიამბობ ამ ორ ამბავზე უფრო საკვირველ ამბავს და მაჩუქე ამ კაცის სისხლისა და დანაშაულის ნარჩენი.

— კარგიო, — თქვა ჯინმა.

## მესამე ბერიკაცის ნაამბობი

— ჰე, სულტანო და ჯინების მთავარო, — თქვა ბერიკაცმა. — ეს ჯორი ერთ დროს ჩემი ცოლი იყო. ერთხელ სხვაგან გავემგზავრე და ერთი წელი აღარ გამოვჩენილვარ. ბოლოს დამთავრდა ჩემი მოგზაურობა. შინ ღამით დავბრუნდი და რა ვნახე!.. ჩემს ცოლ-თან შავი მონა იწვა. ისინი საუბრობდნენ, ლაღობდნენ, კოცნიდ-ნენ ერთმანეთს და ეალერსებოდნენ. ჩემს დანახვაზე ცოლი სწრაფად წამოხტა, წყლით სავსე დოქს ხელი სტაცა, რაღაც წა-ულაპარაკა წყალს, მომასხურა და თქვა:

— იცვალე ეგ სახე და იქეც ძაღლად! იმწამსვე ძაღლად გადა-ვიქეცი. ცოლმა სახლიდან გამაგდო. გამოვედი გარეთ და ვიარე, ვიდრე ერთ საყასბოს არ მივადექი. მივედი და ძვლების ხვრა და-ვიწყე. ყასაბმა სახლში წამიყვანა. ყასაბის ქალიშვილმა რომ და-მინახა, სახე დაიფარა. მამას უთხრა: — კაცი მოგყავს და ჩემთან შემოგყავს?

კაცი სად არისო? — ჰკითხა მამამ.

ეს ძაღლი სინამდვილეში კაცია, — თქვა ქალმა, — იგი ცოლმა მოაჯადოვა და მე შემიძლია მისი განთავისუფლება. მამამ რომ მისი ნათქვამი გაიგონა, უთხრა:

— შვილო. გაფიცებ ალაჰს, გაათავისუფლეო. ქალმა აიღო

წყლიანი დოქი, შეულოცა, ცოტაოდენი მომასხურა და წარმოთქვა:

— იცვალე ეგ სახე და შენს წინანდელ ხატს დაუბრუნდიო! მე მივიღე ჩემი სახე. ქალს ხელზე ვემთხვიე და ვუთხარი:

— მინდა, რომ ჩემი ცოლი ისე მოვნუსხო, როგორც იმან მომნუსხა-მეთქი. ქალმა მომცა ცოტაოდენი წყალი და მითხრა:

ცოლს მძინარეს რომ ნახავ, მაშინ მიასხურე ეს წყალი, თქვი და, რადაც ისურვებ, იმად იქცევა.

მე გამოვართვი წყალი და შევედი ჩემს ცოლთან. მძინარეს მივუსწარ. მივასხურე წყალი და წარმოვთქვი:

— იცვალე ეგ სახე და იქეც ჯორად. მყისვე ჯორად გადაიქცა. ეს არის ის ჯორი, რომელსაც შენი თვალით ხედავ, სულტანო და ჯინების მთავარო.

ჯინმა ჯორს ჰკითხა: — მართალია ეს ამბავი? ჯორმა თავი დაუქნია და ანიშნა: — დიახ, მართალიაო.

ბერიკაცმა დაასრულა თავისი ამბავი. ჯინი სიამოვნებისაგან ათრთოლდა და უბოძა შეიხს ვაჭრის სისხლის მესამედი.

და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები. დამ უთხრა:

— რა ტკბილია შენი ამბავი, რა კარგი, სასმენელად ამო და მშვენიერიო.

შაჰრაზადმა თქვა:

— ამ ამბავზე უკეთესია ის, მომავალ ღამეს რომ მოვყვები, მეფემ თუ ცოცხალი დამტოვა.

ხელმწიფემ თქვა:

— არ მოვკლავ, სანამ ამბის ბოლოს არ მოვისმენ, რადგან ეს ამბავი მართლაც საკვირველიაო.

მერე ის ღამე დილამდე ერთმანეთის ხვევნაში გაატარეს. დილით მეფე გავიდა სამსჯავრო დარბაზში. გამოვიდა ლაშქარი,

ეახლა ვაზირი. გაივსო დივანი. ხელმწიფე დღის ბოლომდე განსჯიდა, ნიშნავდა და შერისხავდა მოხელეთ, აკრძალვიდა და ბრძანებდა. ბოლოს დაიშალა დივანი და შაჰრიარ მეფე სასახლეში შებრუნდა.

და როდესაც დადგა ღამე მესამე, დუნიაზადმა უთხრა შაჰრაზადს:

დაასრულე შენი ამბავი. შაჰრაზადმა თქვა:

— სიყვარულითა და პატივისცემით. გავიგე, მეფევ სვებედნიერო, რომ მესამე ბერიკაცმა ჯინს პირველ ორ ამბავზე საკვირველი ამბავი მოუთხრო. ჯინს ძლიერ გაუკვირდა, სიამოვნებისგან ათრთოლდა და თქვა:

— მიბოძებია შენთვის მისი დანაშაულის ნარჩენი და გამითავისუფლებიაო იგი.

ვაჭარი მიუბრუნდა ბერიკაცებს და დიდი მადლობა უძღვნა. ბერიკაცებმა ვაჭარს გადარჩენა მიულოცეს და თავ-თავის ქვეყანაში გაბრუნდნენ.

— მაგრამ მებადურის ამბავი ამაზე უფრო საოცარი რამ არის, — თქვა შაჰრაზადმა.

— როგორ იყო ეგ ამბავიო? — ჰკითხა მეფემ.

# ამბავი მებადურისა და იფრითისა

და თქვა შაჰრაზადმა:

— მეფევ სვებედნიერო, იყო თურმე ერთი მოხუცი მებადური. ჰყავდა ცოლი და სამი შვილი. ღარიბად ცხოვრობდა და ჩვეულებად ჰქონდა, დღეში ოთხჯერ გადაეგდო ბადე, არც მეტად, არც ნაკლებად. ერთხელ, შუადღის ჟამს, მებადური ნაპირს მიადგა. დადო კალათა, ისროლა ბადე და, წყალში რომ გაჩერდა, თოკები შემოკრიბა. ხედავს, ბადე დამძიმებულა. მოვიდა, მაგრამ ვერ ამოათრია. მაშინ ბადის ერთი ბოლო ნაპირზე გამოიტანა, პალო ჩაასო და ზედ გამოაბა. გაიხადა და ბადის გარშემო ჩაყვინთა. ბევრი იწვალა, სანამ ზევით არ გამოათრია. გახარებულმა ჩაიცვა. მივიდა და ხედავს, შიგ ვირის ლეში გახვეულა. დაღონდა მებადური ამის დანახვაზე და თქვა:

— არა არს ძალი და ღონე. თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა

და დიდებულისა! ჭეშმარიტად საოცარია ეს სარჩო! — და წაიღიღინა:

შენ, ხიფათსა და უკუნ ღამეს, ვინც ფონს გადიხარ,
იკმარე შრომა, რადგან სარჩოს არ მოგცემს გარჯა.

დაინახა მებადურმა ვირის ლეში, გამოხსნა და ბადე გაწურა. გაწურვა რომ გაათავა, გაშალა, შევიდა წყალში, ახსენა ალაჰი და ბადე ისროლა დაიცადა, სანამ ბადე წყალში არ გაჩერდა მერე კი მოზიდა. ბადე დამძიმებულიყო და წინანდელზე მეტად მოსდებოდა რაღაცას. თევზი იქნებაო, — გაიფიქრა. პალოს გამოაბა. გაიხადა, წყალში ჩავიდა და ჩაყვინთა. იწვალა, სანამ ბადე არ გამოხსნა და ნაპირზე არ გამოიტანა. ნახა, ბადეს თიხითა და ქვიშით სავსე კოკა მოჰყოლია. შეწუხდა მებადური ამის დანახვაზე და თქვა სიტყვა მგოსნისა:

დაცხრი, იკმარე. ბედო, სიავე,
თუ არ იკმარებ, შელბილდი მაინც.
ვარ ბედისაგან კიდეგან ქმნილი
თვით ხელობაც ხელს აღარ მაძლევს.
გამოველ, რათა მეძია სარჩო,
მაგრამ რა, ჩემთვის გამქრალა იგი.
აღზევებულა ბევრი უვიცი
და მიჩქმალულა მრავალი ბრძენი.

კოკა გადააგდო, ბადე გაწურა, გაასუფთავა, ალაჰს შენდობა სთხოვა და მესამედ მიუბრუნდა ზღვას. ისროლა ბადე, დაიცადა, რომ გაჩერებულიყო, მოზიდა თოკები და ხედავს — ბადე შუშისა და თიხის ნამსხვრევებს აუვსია. და წარმოთქვა მებადურმა სიტყვა მგოსნისა:

შეხედე სარჩოს, რომელიც შენთვის არც ალალია და არც არამი,

არ გარგებს იმის მოსაპოვებლად არც დაწერილი და არც კალამი.

მებადურმა ზეცას ახედა და თქვა:

— ღმერთო, შენ იცი, ბადეს მხოლოდ ოთხჯერ ვისვრი და სამჯერ უკვე გადავაგდე.

ახსენა ალაჰი, ბადე ზღვაში სტყორცნა, დაელოდა ბადის გაჩერებას, მერე მოზიდა თოკები, მაგრამ ვერ ამოათრია. ბადე ზღვის ფსკერზე გახლართულიყო.

— არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, თქვა მებადურმა, გაიხადა, ჩაყვინთა და იწვალა, სანამ ბადე ნაპირზე არ გამოათრია. გამოხსნა ბადე და შიგ რაღაცით სავსე სპილენძის თუნგი იპოვა. თავზე ტყვიის საცობი ჰქონდა. საცობზე კი ჩვენი მეუფის სულაიმანის ბეჭედი იყო ამოტვიფრული. გაიხარა მებადურმა ამის დანახვაზე და თქვა:

ამ თუნგს მკლავებში გავყიდი ბაზარზე, ათი ოქროს დინარი მაინც ღირსო!

შეანჯღრია თუნგი. ემძიმა.

— უნდა გავხსნა და ვნახო, შიგ რა არის; ხურჯინში შევინახავ და მერე გავყიდი.

ამოიღო დანა და არ მოეშვა, სანამ საცობი არ ამოაძრო. მიწაზე დააგდო და დაანჯღრია, რომ გადმოეღვარა, შიგ რაც იდგა. მაგრამ თუნგს არაფერი წამოსდინდა. ამოვიდა მხოლოდ კვამლი, რომელიც მაღლა ღრუბლებისკენ აიზიდა და დაბლა დედამიწის ზურგს გადაუარა, მებადური საშინლად გაოცდა. კვამლი შეერთდა, შეიკრა. მერე შეირხა და იფრითად იქცა. იფრითი თა-

ვით ღრუბლებს სწვდებოდა, ფეხით კი მიწაზე იდგა. თმაგაჩეჩილსა და უწმინდურს თავი გუმბათს მიუგავდა, ხელები ნიჩბებს, ფეხები ანძებს, პირი გამოქვაბულს, კბილები ლოდებს, ნესტოები დოქებს. თვალები ორ ჩირაღს. ამ ავსულის დანახვაზე მებადური კანკალმა და ძრწოლამ აიტანა. შიშისგან კბილს კბილზე აცემინებდა, ნერწყვი გაუშრა და თვალთ დაუბნელდა. იფრითმა მებადური დაინახა და თქვა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და სულაიმანია მოციქული ალაჰისა! ნუ მომკლავ, ალაჰის მოციქულო, და არასოდეს შენი ურჩი აღარ ვიქნები არც სიტყვითა და არც საქმით.

— რას ამბობ, სულაიმანი ვინ თქვა ალაჰის მოციქულად, — უთხრა მებადურმა მარიდს, — ის ხომ ათას რვაასი წლის წინ მოკვდა და ჩვენ კი უკვე დროის მიწურულში ვცხოვრობთ, მარიდო, მიამბე შენი ამბავი და თავგადასავალი, ან ამ თუნგში რატომ ჩასულხარ?

ამის გაგონებაზე იფრითმა თქვა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და გაიხარე, მებადურო!

— რით უნდა გამახარო? — ჰკითხა მებადურმა. იმით, რომ ახლავე საზარელი სიკვდილით მოგკლავ.

— ასეთი სამახარობლოსათვის. იფრითების მთავარო, ღირსი ხარ ღმერთმა შენზე ხელი აიღოს, შე წყეულო! — წამოიძახა მებადურმა. რად უნდა მომკლა, რას მერჩი? თუნგიდან გამოგიშვი, ზღვის უფსკრულიდან გიხსენ. ხმელეთზე გამოგიყვანე.

— აირჩიე, როგორ მოგკლა, როგორ სიკვდილს ამჯობინებ, — თქვა იფრითმა.

— ისეთი რა შევცოდე, ასე რომ მიმეტებ? — უთხრა მებადურმა.

— ყური დაუგდე ჩემს ამბავს, მებადურო, — თქვა ჯინმა.

თქვი, ოღონდ მოკლედ მოსჭერ, — უთხრა მებადურმა, — თორემ სული ყელში მომებჯინა. იფრითმა თქვა:

— იცოდე, რომ მე ურწმუნო ჯინებიდან ვარ. სულაიმან იბნ დაუდს ვეურჩებოდით მე და ჯინი სახრი. სულაიმანმა თავისი ვაზირი ასაფ იბნ ბარახია მომიგზავნა. იმან ძალისძალად წამიყვანა, დამცირებული მიმგვარა სულაიმანსა და მის წინაშე დამაყენა. სულაიმანმა ღმერთს შეწევნა სთხოვა ჩემს წინააღმდეგ. სჯულის მიღება და მორჩილება შემომთავაზა. მე უარი ვთქვი. მაშინ ეს თუნგი მოითხოვა. ჩამამწყვდია, თუნგს თავი ტყვიით დაუცო და ზედ ალაჰის უდიადესი სახელი ამოჭრა. მისი ბრძანებით ჯინებმა წამიყვანეს და შუა ზღვაში გადამაგდეს. ასი წელი გავატარე იქ და პირობა დავდე-სამუდამოდ გავამდიდრებ, ვინც გამათავისუფლებს-მეთქი და არავინ გამათავისუფლა. დაიწყო მეორე ასი წელი. ვთქვი დედამიწის ყველა საგანძურს გავუხსნი-მეთქი ჩემს მხსნელს, მაგრამ არავინ მიხსნა. გავიდა ოთხასი წელი და ვთქვი — სამ სურვილს შევუსრულებ, ვინც არ უნდა გამომიშვას-მეთქი და არავინ გამომიშვა. მაშინ კი გავშმაგდი: — ახლა კი მოვკლავ ჩემს მხსნელს, ვეტყვი, ოღონდ აირჩიოს, როგორი სიკვდილი უნდა. და, აი, შენ გამათავისუფლე, მე კი გეუბნები, როგორ სიკვდილს ამჯობინებ.

— ჰოი, ალაჰის საოცრებავ, — თქვა მებადურმა, — რაღა ახლა მოვსულვარ შენს გასათავისუფლებლად. შემინდე, ნუ მომკლავ. ალაჰიმც შეგინდობს. — შეევედრა მებადური. — ნუ დამღუპავ, ალაჰიმც გაუმარჯვებს შენს დამღუპველს.

— უთუოდ უნდა მოგკლა და აირჩიე, როგორი სიკვდილი გინდა, — მიუგო მარიდმა.

მებადური დარწმუნდა, რომ სიკვდილი არ ასცდება, მიუბრუნდა მარიდს და უთხრა:

— განა მე არ გაგათავისუფლე, რა იქნება, მაპატიო.

— მე ხომ სწორედ იმიტომ გკლავ. რომ გამათავისუფლე.

— ჰე, იფრითების შეიხო, სიკეთის წილ ბოროტი უნდა მომაგო, ტყუილი არ უთქვამს ამის მთქმელს:

სიკეთის მოქმედთ. ჩვენ პირუკუ გვიზღეს ყოველი,
რაიც, სულს ვფიცავ, უკეთურთა წესია მხოლოდ.
უღირსისათვის სიკეთის მქმნელს იგი მოუვა,
რაც აფთრის მფარველს მიეზღო და მიეგო წილად.

იფრითმა მოისმინა მისი ნათქვამი და უთხრა:

— სიცოცხლეს ნუ ებღაუჭები, სიკვდილი მაინც არ აგცდება. მაშინ მებადურმა თქვა:

— ეს ჯინია, მე კი ადამიანი. ღმერთს ჩემთვის სრულქმნილი ჭკუა მოუცია. მოდი, მოვიფიქრო, როგორ მოვუღო ბოლო ჭკუითა და ხერხით, როგორც ის ფიქრობს დამღუპოს თავის მზაკვრობითა და ვერაგობით.

მერე იფრითს უთხრა:

— უსათუოდ უნდა მომკლა? — ჰო, — მიუგო იფრითმა.

— გაფიცებ სულაიმანის ბეჭედზე ამოჭრილ უდიადეს სახელს, უთხრა მაშინ მებადურმა, — ერთ რასმე გკითხავ და მართალი მითხარი.

— კარგი, — მიუგო იფრითმა, რომელიც უდიადესი სახელის ხსენებაზე ათრთოლდა და აკანკალდა, — მკითხე, ოღონდ მოკლედ.

როგორ იყავი იმ თუნგში, შიგ ხომ არც ხელი ჩაგეტევა და არც ფეხი, და მთლიანად როგორღა მოთავსდი?

— რაო, არა გჯერა, რომ იმ თუნგში ვიყავი? — უთხრა იფრითმა.

ვერ დავიჯერებ, სანამ ჩემი თვალით არ დაგინახავ, — მიუგო მებადურმა.. და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეოთხე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ მებადურს იფრითისათვის უთქვამს:

— ვერ დავიჯერებ, სანამ ჩემი თვალით არ გნახავ თუნგშიო.

მაშინ იფრითი შეირხა და იქცა კვამლად, რომელიც ჯერ ცაში აიზიდა, მერე შეიკრა და ნელ-ნელა თუნგში ჩაიკრიფა, სანამ მთლიანად არ მოთავსდა. უეცრად მებადურმა ხელი დაავლო ტყვიის საცობს. თუნგს თავი დაუცო და იფრითს დაუყვირა:

— ახლა შენ აირჩიე. როგორი სიკვდილი გინდა. გადაგაგდებ ზღვაში, ავიშენებ აქ სახლსა და თევზის ჭერას ავუკრძალავ ყველას, ვინც კი მოვა ვეტყვი, აქ ერთი იფრითია და, ვინც მას ზღვიდან ამოიყვანს, სიკვდილს პირდება სამაგიეროდ, ოღონდ სთავაზობს, აირჩიოს, როგორი სიკვდილი უნდა-მეთქი.

— ეს რომ გაიგონა, იფრითმა, თუნგიდან ამოსვლა სცადა და ვერ შესძლო. ნახა. რომ ჩამწყვდეული და სულაიმანის ბეჭდით თავდაცულია.

მაშინ კი მიხვდა — მებადურს იგი ყველაზე უბადრუკი, დამცირებული და ბინძური ჯინების საპყრობილეში დაემწყვდია. მებადურმა თუნგი ნაპირისკენ წაიღო.

— არა, არა, — იყვირა იფრითმა.

— უსათუოდ. უსათუოდ, — უთხრა მებადურმა. მაშინ მარიდი მებადურს მიელაქუცა, მოიკუნტა და უთხრა:

— რას მიპირებ, მებადურო?

— გადაგაგდებ ზღვაში და, სადაც ათას რვაასი წელი გაგიტარებია, იქამც ყოფილხარ განკითხვის დღემდე! — მიუგო მებადურმა.

— ხომ გეუბნებოდი, დამტოვე, ალაჰიმც დაგარჩენს, ნუ მომკლავ. ალაჰიმც მოგკლავს-მეთქი. შენ კი ყურიც არ მათხოვე. გინდოდა გემუხთლა ჩემთვის. ახლა კი ალაჰმა ჩემს ხელში ჩაგაგდო და მუხთლობა ჩემზე იყოს.

იფრითმა უთხრა:

— გამომიშვი და ბედსა გწევ.

— სტყუი, შე წყეულო, — თქვა მებადურმა. — მე და შენი ამბავი

იუნან მეფის — ვაზირისა და რუიან ბრძენის ამბავსა ჰგავს.

— როგორ იყო მათი ამბავი? — იკითხა იფრითმა.

## იუნან მეფის ვაზირისა და რუიონ ბრძენის ამბავი

მებადურმა თქვა:

— იფრითო, იცოდე, რომ დიდი ხნის წინათ, გარდასულ დროსა და ჟამს სპარსელთა ქალაქში, რუმანის ქვეყნად იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც იუნან მეფე ერქვა. იყო მდიდარი და ძლევამოსილი, მბრძანებელი ლაშქართა და სპათა. ამ ხელმწიფეს ტანზე კეთრი ჰქონდა. ვერას გახდნენ მკურნალნი და ბრძენნი. მეფეს არას რგებდა არც წამლის სმა, არც ფხვნილი და არც მალამო. მისი მორჩენა ვერავინ შესძლო. იუნან მეფის ქალაქში ერთი მოხუცი, ხანშიშესული ბრძენი მისულა. მას რუიან ბრძენი ერქვა. იცნობდა იგი ბერძნულსა და სპარსულ, ბიზანტიურ და სირიულ წიგნებს. იცოდა აქიმობა და ვარსკვლავთმრიცხველობა, საფუძველი ამ მეცნიერებათა, წესები მათი გამოყენებისა და მათი ავ-კარგი. ცნობდა საგანგებო მცენარეებს, გამხმარსა და ცოცხალ ბალახს, მარგებელსაც და მავნებელსაც. იყო განსწავლული სიბრძნისმეტყველებაში და მცოდნე ყოველთა სამკურნალო და სხვა მეცნიერებათა. როდესაც ბრძენი ქალაქში შევიდა და იქ რამდენსამე დღეს დაჰყო, ხელმწიფის ამბავი ესმა. გაიგო, რომ ალაჰს მისთვის განსაცდელად კეთრი მოუვლენია და მკურნალებმა და სწავლულებმა სნება ვერ დახსნეს ხელმწიფეს. ბრძენმა გაიგონა ყოველივე ეს, ადგა და მთელი ღამე საქმიანობაში გაატარა. დილას, როდესაც გათენდა, ინათა დილის სხივითა და განათდა, და როცა მზე სიკეთის მშვენებას მიესალმა, ბრძენი თავის საუკეთესო სამოსში გამოეწყო, შევიდა იუნან მეფესთან, ემთხვია მიწას, დალოცა ხელმწიფე და სამარადისო ძლიერება და სიკეთე უსურ-

ვა. და ეს ყოველივე შესანიშნავად მოიმოქმედა. ბრძენმა ხელ-მწიფეს თავისი თავი გააცნო და უთხრა:

— მეფეო, მესმა იმ სენის შესახებ, შენ რომ გაწუხებს. ჭეშმარი-ტად მრავალმა მკურნალმა არ იცის მისი განკურნების ხერხი, მე კი ისე მოგარჩენ, არც წამალს დაგალევინებ და არც მალამოს წა-გისვამ.

ხელმწიფე გაოცდა ბრძენის სიტყვების გაგონებაზე და თქვა:

— ამას როგორ გააკეთებ? ალაჰს ვფიცავ, შვილთა შვილამდე გაგამდიდრებ, ოღონდ მომარჩინე. წყალობას გიზამ, შენი იყოს ყველა ფერი, რასაც ისურვებ. შენ იქნები ჩემი მეინახე და ჩემი საყვარელი კაცი.

იუნან მეფემ ბრძენს ხალათი უბოძა, მოწყალედ მოეპყრა და უთხრა:

— ნუთუ ისე მომარჩენ, არც წამალს დამალევინებ და არც მა-ლამოს წამისვამ?

— დიახ, — მიუგო ბრძენმა, — ისე მოგარჩენ, შენი სხეული მკურნალობით არ შევაწუხო! მეფეს ძლიერ გაუკვირდა და თქვა:

— რა დროსა და რა დღეს გააკეთებ იმას, რასაც ამბობ. ბრძე-ნო, იჩქარე, ჩემო შვილო.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ბრძენმა. დატოვა მეფე, იქირავა სახლი, დააწყო იქ თავისი წიგნები, წამლები, სამკურნა-ლო ბალახები. მერე აიღო წამლები და ბალახები. ჩოგანი გააკე-თა, გული გამოუღო და წამლებით ამოავსო. ტარი მოარგო და თავისებურად გააკეთა ბურთიც. მეორე დღეს, როცა ყოველივე დაასრულა, ეახლა ხელმწიფეს, შევიდა, ეამბორა მიწას მის წინა-შე და უთხრა: — ცხენს მოაჯექი და ასპარეზზე ჩოგანი და ბურთი ითამაშეო.

ხელმწიფესთან ამირები, ეჯიბები, ვაზირები და სახელმწიფოს დიდებულები იყვნენ. ის იყო მეფე ასპარეზზე მიბრძანდა, რომ ბრძენიც ეახლა, ჩოგანი მიართვა და უთხრა:

— აიღე ჩოგანი და, აი, ასე დაიჭირე. ასპარეზზე იარე და ჩოგანი ბურთს ურტყი, რაც კი ძალი და ღონე გაქვს. ისე, რომ ხელისგული და ტანი გაგიოფლიანდეს. წამალი ხელს გაგიჟღინთავს და მთელ სხეულს მოედება. როდესაც გაოფლიანდები და წამალი თავისას იზამს, სასახლეში დაბრუნდი, აბანოში შედი, დაიბანე, დაიძინე და მორჩებიო.

იუნან მეფემ ბრძენს ჩოგანი გამოართვა, შეჯდა ბედაურზე, ბურთი წინ გაიგდო, გაეკიდა, დაეწია და მაგრად გაჰკრა. ხელში ჩოგნის ტარი ეკავა და სცემდა ბურთს, სანამ ხელისგული და სხეული არ გაუოფლიანდა და წამალი ტარიდან სხეულში არ გადაუკიდა. ბრძენი მიხვდა, რომ წამალი უკვე ტანში გაუჯდა ხელმწიფეს და უბრძანა, სასახლეში დაბრუნდი და მყისვე აბანოში შედიო. ხელმწიფე იმწამსვე დაბრუნდა და ბრძანა მისთვის აბანოს მომზადება. დაუცალეს აბანო, იჩქარეს ფარეშებმა, დატრიალდნენ მონები, ტანსაცმელიც გაუმზადეს. ხელმწიფე აბანოში შებრძანდა. კარგად დაიბანა, ჩაიცვა, გამოვიდა, სასახლეში გაემგზავრა და დაიძინა. ასეთი იყო იუნან მეფის ამბავი. რაც შეეხება რუიან ბრძენს, ის კი შინ დაბრუნდა, ღამე გაათია და როცა გათენდა, მეფეს ეახლა. შესვლის ნება ითხოვა. მეფემ ნება დართო. ბრძენი შევიდა, ეამბორა მიწას მის წინაშე და ეს ლექსი უთხრა:

ნათელს შეიძენს მჭევრმეტყველება, ოდეს მის მამად შენ იწოდები.
არვინ ისურვებს სხვას ეწოდოს იგივე სახელი.
შენა ხარ იგი, ვისი ხატის ნათელი სხივნი
ქვეყნად საძულველ სიავეთა ფანტავენ წყვდიადს.
მივიღე მადლი შენგნით უხვად ნაწყალობევი,
ეს არის ის, რასაც ღრუბელთაგან იღებენ მთანი.
ხატება შენი შუქფენილი იყო მარადის.
რათა არ ჭვრეტდეს ბედისწერის მოქუფრულ აჩრდილს.

სიმაღლის ძებნად უამრავი გაეცი განძი
და საწუთროსგან მოიპოვე, რაც მოისურვე.

როდესაც ბრძენმა ლექსი დაამთავრა, მეფე წამოდგა, ფეხზე გაჩერდა, მოეხვია და გვერდით მოისვა. აბანოდან გამოსულ მეფეს ტანზე დაუხედავს და კეთრის კვალიც კი ვერ უპოვია. მისი სხეული სუფთა იყო, როგორც თეთრი ვერცხლი. მეფეს ძლიერ გაუხარდა, ესიამოვნა და გამხიარულდა. როდესაც გათენდა, დივანში გაბრძანდა და სამეფო ტახტზე დაჯდა. ეახლნენ ეჯიბები და სახელმწიფოს თავკაცები. ეახლა რუიან ბრძენიც. მის დანახვაზე მეფე სწრაფად წამოდგა და გვერდით მოისვა. აი, სანოვაგით სავსე მაგიდებიც შემოიტანეს და გაიშალა სუფრა, ხელმწიფე ბრძენთან ერთად მიირთმევდა. მთელი დღე იმასთან ნადიმობდა და როდესაც დაღამდა, მეფემ ბრძენს ხალათისა და სხვა საჩუქრების გარდა ორი ათასი დინარი უბოძა და თავის ბედაურზე შესვა. ბრძენი შინ დაბრუნდა. მეფეს უკვირდა მისი ოსტატობა და ამბობდა:

— გარედან მიმკურნალა ისე, რომ მალამო არ წაუსვამს; ალაჰს ვფიცავ, ჭეშმარიტი სიბრძნე, აი, ეს არის. მოვალე ვარ წყალობა და პატივისცემა არ მოვაკლო, ჩემს გულზიარად და მეგობრად ვიგულვო მუდამ. ხელმწიფემ მთელი ღამე მხიარულად და ბედნიერად გაათია. უხაროდა გამოჯანმრთელება და სენისაგან თავის დახსნა. როდესაც გათენდა, ტახტზე დაჯდა. წარდგნენ მის წინაშე სახელმწიფოს თავკაცები. ამირები და დიდებულები მარჯვნივ და მარცხნივ მოუსხდნენ. ხელმწიფემ რუიან ბრძენი მოიკითხა. ბრძენი შევიდა ხელმწიფესთან და ემთხვია მიწას მის წინაშე. მეფე წამოდგა და გვერდით მოისვა. იმასთან ერთად შეექცა, დღეგრძელობა უსურვა და ხალათი უბოძა. დაასაჩუქრა და დაღამებამდის ესაუბრებოდა. მაშინ კი ხუთი ხალათი და ათასი

დინარი მიართვა. მეფის მადლიერი ბრძენი შინ დაბრუნდა. დილით ხელმწიფე დივანში გამოვიდა და შემოეხვივნენ ამირები, ვაზირები და ეჯიბები. მეფეს ერთი ვაზირი ჰყავდა თვალად ნასი, თარს ვარსკვლავზე გაჩენილი, მდაბალი, ძუნწი, შურიანი. მთლად ღვარძლისა და ჯავრისაგან ნაქსოვი. მართლად თქმულა: „ადამიანი შურიანიაო“, ანდა „ბოროტება სულის სიღრმეში მარხია, სიძლიერე ამჟღავნებს, უძლურება ფარავსო“. ვაზირი მიეახლა იუნან მეფეს, ემთხვია მიწას მის წინაშე და უთხრა:

— დროისა და წამის მეუფევ, შენა ხარ იგი, ვისი წყალობაც მთელ ხალხს ეფინება. მე შენთვის ერთი კეთილი რჩევა მაქვს და სიძვის შვილი ვიყო, თუ დაგიმალო. ნებას თუ დამრთავ, მოგახსენებ.

ხელმწიფე შეაკრთო ვაზირის ნათქვამმა და ჰკითხა: — რა რჩევა გაქვსო.

ვაზირმა თქვა:

— ჩვენს ძველებს უთქვამთ — „ბედი არ სწყალობს იმას, ვინც საქმის ბოლოზე არ ფიქრობსო“. ვხედავ, ხელმწიფე სწორ გზას არ ადგას — წყალობს მტერს, რომელსაც მისი სამეფოს დაღუპვა განუზრახავს. ხელმწიფე მას მოწყალედ ეპყრობა, დიდ პატივს სცემს, უაღრესად დაიახლოვა და მე მეშინია, მეფეს რაიმე არ შეემთხვეს. ხელმწიფე შეშფოთდა, ფერი ეცვალა და ვაზირს ჰკითხა:

— ვისზე ლაპარაკობ, რომელ მტერს ვწყალობ?

— ხელმწიფეო, გამოფხიზლდი, თუ გძინავს, — თქვა ვაზირმა, — რუიან ბრძენზე მოგახსენებ.

— ის ჩემი მეგობარი და ყველაზე ძვირფასი კაცია, — მიუგო მეფემ, — ისეთი რამით მომარჩინა, რაც მხოლოდ ხელში მეჭირა, ისეთი სენისაგან განკურნა, რასთანაც უძლურნი აღმოჩნდნენ მკურნალნი. მისი მსგავსი ამ დროში არავინ არის მთელს დუნი-

აზე, არც მაშრიყსა და არც მაღრიბში. იმაზე ასეთ სიტყვებს როგორ ამბობ? მე იმას დღეიდან ჯამაგირსა და წყალობას ვუნიშნავ. თვეში ათას დინარს მივცემ და ჩემი სამეფოც რომ გავუყო, ესეც ცოტა იქნება. ვხედავ, რომ შენ მხოლოდ შური გალაპარაკებს მე გამიგონია სინდბად მეფის ამბავი. ამბობენ და, ალაჰმა უკეთ უწყის, — დაიწყო იუნან მეფემ და... შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები. დამ უთხრა:

— რა ტკბილია შენი მოთხრობა, რა მშვენიერი, სასმენელად ამო და კარგიო, შაჰრაზადმა მიუგო:

— სად ეს და სად ის, რის ამბობასაც მომავალ ღამეს ვაპირებ. მეფემ თუ ცოცხალი დამტოვაო.

მეფემ გუნებაში გაივლო — არ მოვკლავ, ღმერთმანი, ვიდრე მოთხრობის დასასრულს არ მოვისმენ, ეს მართლაც საოცარი მოთხრობააო.

მერე ის ღამე დილამდის ერთმანეთის ხვევნაში გაატარეს. მეფე გავიდა თავის სამსჯავრო დარბაზში, შეიკრიბა დივანი და მეფე დღის ბოლომდე განსჯიდა, ნიშნავდა და შერისხავდა მოხელეთ. აკრძალვიდა და ბრძანებდა. ბოლოს დივანი დაიშალა და მეფე სასახლეში დაბრუნდა.

და როდესაც დადგა ღამე მეხუთე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ იუნან მეფემ თავის ვაზირს უთხრა:

შენ გშურს, ამ ბრძენისა, გინდა, რომ მოვკლა და მერე კი ვინანო, როგორც სინდბად მეფემ ინანა თავისი შევარდნის მოკვლა.

— ეგ როგორ იყოო, — ჰკითხა ვაზირმა, მეფემ თქვა:

სინდბად მეფის ამბავი

ამბობენ, რომ იყო ერთი მეფე სპარსეთისა. იმ მეფეს დროსტარება, სეირნობა, ნადირობა და მხეცთა ჭერა ჰყვარებია. მეფეს თავისი გამოზრდილი შევარდენი ჰყოლია და არც დღე, არც ღამე არ იშორებდა თურმე. როცა ეძინა, მაშინაც კი ხელზე ესვა. სანადიროდ შევარდენიც მიჰყავდა. მეფემ შევარდენს ოქროს თასი გაუკეთა, კისერზე ჩამოჰკიდა და წყალს იქიდან ასმევდა. ერთხელ ბაზიერთუხუცესი ეახლა და მოახსენა:

— დროების მეუფევ, ნადირობის დრო დადგაო.

მეფე წასასვლელად მოემზადა და შევარდენი ხელზე დაისვა. იარეს, იარეს და ერთ ხევს მიადგნენ. ნადირის დასაჭერად ხაფანგები გამართეს და, აი, უეცრად იმ ხაფანგში ქურციკი მოხვდა. მეფემ ბრძანა:

— მოვკლავ, ვისაც ქურციკი გაექცევა. ქურციკის დასაჭერად ალყა თანდათან დაავიწროვეს. უეცრად ქურციკი მეფესთან მივიდა, უკანა ფეხებზე წამოდგა და წინა — გულზე დაიკრიფა, თითქოს მეფეს თაყვანი უნდა სცესო. მეფემ ქურციკს თავი დაუქნია. ის კი მეფეს თავს გადაევლო და გაიქცა. მეფე მიუბრუნდა მხლებლებს და დაინახა, რომ მათ ერთმანეთს თვალი უყვეს. — რას ამბობენო, — ჰკითხა ვაზირს.

— ამბობენ. მეფემ თქვა, — მოვკლავ, ვისაც ქურციკი გაექცევაო. მაშინ ბრძანა მეფემ:

— ვფიცავ სიცოცხლეს, ვსდიო, ვიდრე არ დავიჭირო. — დააკვირდა მეფე ქურციკის კვალს და შეუჩერებლად მისდევდა მთიდან მთაზე. ქურციკმა გამოქვაბულში შესვლა დააპირა, მაშინ მეფემ შევარდენი მიუშვა. შევარდენი ქურციკს თვალებში სცემდა, ვიდრე არ დააბრმავა და თავბრუ არ დაახვია. მეფემ ქურციკს გურზი სტყორცნა და გააგორა. ჩამოხდა ცხენიდან, დაკლა, გაატყავა და უნაგირზე ჩამოკიდა. ცხელოდა. უდაბური ადგილი იყო და არსად წყალი არ მოიძევებოდა. მოსწყურდა მეფესა და მოს-

წყურდა ცხენს მეფე მოტრიალდა და ერთი ხე დაინახა. ხეზე ზეთის მსგავსი წყალი ჩამოდიოდა. მეფეს ხელზე ტყავის თათმანები ეცვა და ამიტომ შევარდენს ჩამოხსნა თასი, აავსო იმ წყლითა და წინ დაიდგა უეცრად შევარდენმა თასს ფრთა წაჰკრა და გადააბრუნა. მეფემ ხელმეორედ აიღო თასი, აავსო იმ წყლითა და შევარდენს დაუდგა. იფიქრა, ალბათ, სწყურიაო. შევარდენმა ისევ წაჰკრა ფრთა და გადააბრუნა. მეფე განრისხდა მესამედ აიღო თასი და ახლა ცხენს დაუდგა. შევარდენმა ისევ გადააბრუნა.

— ღმერთმა ხელი მოგიცაროს, შე ნავსო ფრინველო, — წამოიძახა მეფემ, — არც მე დამალევინე წყალი, არც თვითონ დალიე და არც ცხენისათვის გაიმეტეო.

მეფემ ხმალი მოიქნია და შევარდენს ფრთები დააყრევინა. შევარდენმა თავი ასწია და ანიშნა — შეხედე ხის კენწეროსო. მეფემ აიხედა და ხედავს — ხის წვეროზე გველი წევს, და ხეზე რომ წყალი ჩამოდის, გველის შხამი ყოფილა. ინანა მეფემ, შევარდენს რომ ფრთები მოჰკვეთა (მაგრამ რაღას იზამდა). ადგა. მოაჯდა ცხენს და ქურციკი თან წაიღო. იარა, იარა და თავის კარავს მიაღწია. ქურციკი მზარეულს გადაუგდო და უთხრა:

— აიღე და მოამზადეო.

მეფე ტახტზე დაჯდა, შევარდენი ხელზე ესვა. უეცრად შევარდენმა დაიკვნესა და მოკვდა. მეფემ დარდისა და მწუხარებისაგან შეჰყვირა, თავისი გადამრჩენელი შევარდენი რომ მოკლა. — ასეთია სინდბად მეფის ამბავი.

— მეფევ დიდებულო, — ჰკადრა ვაზირმა, რა მოისმინა მეფის ნათქვამი, — საჭირო იყო, რაც ჩავიდინე. მე ვხედავ, მაგ კაცისაგან უბედურება გელის. ამას მხოლოდ შენი სიბრალულით ვაკეთებ. შენ მიხვდები ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებას. თუ დამყაბულდები, გადარჩები თუ არადა, დაიღუპები, ისე, როგორც დაიღუპა ერთი ვაზირი, უფლისწულს რომ უმუხთლა.

## მუხთალი ვაზირის ამბავი

ერთ მეფეს ვაჟიშვილი ჰყოლია, რომელსაც ნადირობა და მხეცთა ჭერა ჰყვარებია. მეფემ ერთ-ერთ ვაზირს უბრძანა, უფლისწულს ყველგან ხლებოდა, სადაც არ უნდა წასულიყო. ერთხელ უფლისწული სანადიროდ და მხეცთა საჭერად წავიდა, მამამისის ვაზირიც გაჰყვა და ერთად გაემართნენ. ვაზირმა დიდი ნადირი დაინახა და უფლისწულს უთხრა: — აჰა, შენ ნადირი და მისდიეო.

უფლისწული გაეკიდა ნადირსა და თვალს მოეფარა. ნადირი სადღაც ტრამალზე გადაიკარგა. უფლისწული დაიბნა და აღარ იცოდა, საით წასულიყო. უეცრად გზის თავში მტირალი ქალიშვილი დაინახა.

— ვინა ხარო? — ჰკითხა უფლისწულმა. ინდოეთის ერთ-ერთი მეფის ასული, — მიუგო მან, — უდაბნოში ვიყავ.

ჩამთვლიმა, ცხენიდან ისე გადმოვვარდი, არაფერი გამიგია. ჩემიანებს ჩამოვრჩი და დავიბენიო.

უფლისწულს შეებრალა ქალი, აიყვანა და ცხენზე შემოისვა. იარა, სანამ რაღაც ნანგრევებს არ ჩაუარა. ქალმა უთხრა:

— ჩემო ბატონო, საქმე მაქვს და ჩამომსვიო.

უფლისწულმა ქალი იმ ნანგრევებთან ჩამოსვა. ქალს შეაგვიანდა. უფლისწულს მობეზრდა ლოდინი და ქალის კვალს გაჰყვა ისე, რომ მას არ გაუგია. და, აი, ის ქალიშვილი აღმოჩნდა ღული. იგი თავის შვილებს ეუბნებოდა:

შვილებო, დღეს მსუქანი ვაჟი მოგიყვანეთო. შვილებმა უთხრეს:

— დედა, მოიტა ერთი, მუცელი ამოვიყოროთო.

იმათი ლაპარაკის გაგონებაზე უფლისწული დარწმუნდა, რომ იღუპებოდა. აკანკალდა და უკან გაბრუნდა. ღული გამოვიდა და

დაინახა — უფლისწული რაღაც შეშინებულივით არის და აკანკალებს. ღულმა ჰკითხა:

რამ შეგაშინაო? უფლისწულმა მიუგო: — ერთი მტერი მყავს და იმის მეშინია. ღულმა უთხრა:

შენ ხომ ამბობ — უფლისწული ვარო. — დიახ, — მიუგო ვაჟმა.

— ჰოდა, რად არ მისცემ შენს მტერს ცოტაოდენ ფულს, რომ თავი დაგანებოს.

— იმას ფული არ ეყოფა, ჩემი სული უნდა. მე უსამართლოდ დაჩაგრული კაცი ვარო. ღულმა უთხრა:

თუკი მართლა უსამართლოდ იჩაგრები, როგორც ამბობ, ალაჰს შეწევნა სთხოვე მის წინააღმდეგ და დაგიხსნის მისგან და ყველა მტრისაგანო.

უფლისწულმა თვალები ცისაკენ აღაპყრო და თქვა:

— ჰოი, შენ, ვინც გაჭირვებულის ვედრებას ისმენ და უბედურებას განარიდებ, როცა ის გიხმობს, შემეწიე ჩემი მტრის წინააღმდეგ და მომაშორე. შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია, რასაც ინებებ.

ამ ლოცვის გაგონებაზე ღული მოცილდა მეფის ძეს. ის კი მამამისთან წავიდა და ვაზირის ამბავი უამბო...

— და შენც, ხელმწიფეო, ამ ბრძენს რომ ენდო, საზარელი სიკვდილით მოგკლავს და, თუმცაღა სიკეთე უყავი და დაიახლოვე, მას შენი დაღუპვა აქვს განზრახული. განა ვერ ხედავ, სენისაგან გარედან გიწამლა რაღაცით, რასაც ხელით შეეხე და რა იცი, ისეთი რამით არ დაგღუპოს. რასაც ისევ ხელში აიღებ?

— შენ მართალი ხარ, — თქვა იუნან მეფემ, — მართლაც აგრე უნდა იყოს, როგორც შენ ამბობ, ვაზირო, გულწრფელო მრჩეველო იქნებ ეგ ბრძენი მსტოვარია და აქ ჩემს დასაღუპავად მოსულა. თუკი მან ისეთი რამით განკურნა, რასაც ხელით შევეხე. ხომ შეიძლება, ისეთი რამით მომკლას, რასაც დავყნოსავ. მერე ვაზირს ჰკითხა:

— მითხარ. როგორ მოვიქცე?

ვაზირმა მიუგო:

— ბრძენთან კაცი გაგზავნე. უბრძანე, მოვიდეს. თუ გამოცხადდება, თავი მოჰკვეთე. გადაურჩები მის ბოროტ ზრახვებსა და მოისვენებ. უმუხთლე, ვიდრე თვითონ გიმუხთლებდეს.

მართალი ხარ, ვაზირო, — თქვა იუნან მეფემ და ბრძენთან კაცი გაგზავნა.

— ბრძენი მხიარული გამოცხადდა. რა იცოდა, რა განემზადებინა მისთვის მწყალობელს. ვიღაცის ნათქვამისა არ იყოს:

დამშვიდდი, ბედისა ვისაც გეშინია,
მიანდე საქმენი ამ ქვეყნის გამჩენს.
რადგან არ აგცდება ის, რაც გიწერია,
აგცდება, რასაც ის შენ არ გიქადის.

მერე ბრძენმა წარმოთქვა სიტყვა მგოსნისა:

განა თუნდ ერთ დღეს მადლს არ ვწირავ მე შენს ღირსებას:
ო, ვიღას ვუძღვნი, მარქვი მაშინ, ჩემს ლექსს და თხრობას?
გულუხვად მწყალობ შენ ყოველთვის, თხოვნის გარეშე,
შენ დაყოვნება არ გჩვევია და არც ბოდიში.
რა დამემართოს — ვერ შეგაქო, როგორც ღირსი ხარ,
ვერ განგადიდო ხან ფარულად, ხან კიდევ ცხადად?
მადლობას გიძღვნი სიკეთისთვის, რაც მიწყალობე.
ეს იოლია მაგისათვის, თუმც ზურგს ამძიმებს.

და თქვა აგრეთვე იმავე აზრით:

ზურგი აქციე ჭმუნვას და ვარამს
და ყოველივე განგებას ანდე.

მსწრაფლწარმავალი სიკეთით დატკბი,
რაც წარსულს უმალ გადაგავიწყებს.
ბევრი რაიმე აწ რისხვის მგვრელი,
ბოლოს სიამედ გარდაგექცევა.
ღმერთი იქმს იმას, რაც მას ნებავს,
შენ არრას გარგებს ურჩობა მისი.

და თქვა აგრეთვე იმავე აზრით:

მიანდე შენი საქმენი სრულად
ყოვლად უბრძენესს და ყოვლისმცოდნეს.
ამქვეყნიური ფიქრი ყოველი
წუთისოფელზე შენს გულს აშორე.
იცოდე, ქვეყნად რომ არაფერი
არ ხდება ისე, როგორც ინებებ,
არამედ ისე, როგორც სურს ალაჰს
მას, მსაჯულს ყველა ბრძენზე უბრძენესს.

და თქვა აგრეთვე იმავე აზრით:

მჭმუნვარე ნუ ხარ, დაივიწყე ყველა დარდები,
რადგან ვარამი დაანელებს თავად ბრძენის გულს.
უძლურსა მონას არას არგებს განსჯა და ბჭობა,
ანებე თავი და ეწევი მარადის ტკბობას.

როდესაც რუიან ბრძენი მეფის წინაშე წარდგა, მეფემ უთხრა:
— იცი, რისთვისაც გიხმე?
— მაღალი ალაჰის გარდა არავინ უწყისო ფარული, — მიუგო ბრძენმა.
მეფემ უთხრა:

— მოგიწვიე, რომ მოგკლა, სული გაგაფრთხობინო, რუიან ბრძენს გაუკვირდა და უთხრა:

— რისთვის უნდა მომკლა, მეფეო. განა რა ცოდვა ჩამიდენია?

— გავიგე, მსტოვარი ყოფილხარ, — თქვა მეფემ, — და ჩემს მოსაკლავად მოსულხარ. და, აი, მე უნდა დაგასწრო, სანამ შენ მომკლავდე. მეფემ მეხრმლეს უხმო და უთხრა:

— მოჰკვეთე თავი ამ ვერაგს, რომ მისი ბოროტი ზრახვებისგან მოვისვენოთ.

ბრძენმა უთხრა:

— დამტოვე ცოცხალი, ალაჰიმც დაგარჩენს. ნუ მომკლავ, ალაჰიმც მოგკლავსო.

ბევრჯერ გაიმეორა ბრძენმა ეს სიტყვები, ისე როგორც მე, იფრითო, მაგრამ თავი არ დამანებე, პირიქით, ჩემი მოკვლა გსურდა. იუნან მეფემ რუიან ბრძენს უთხრა:

— სანამ არ მოგკლავ, სულ შიშში ვიქნები შენ ისეთი რამით მომარჩინე, რასაც მხოლოდ ხელით შევეხე და ხომ შეიძლება მომკლა რაიმეთი, რასაც დავყნოსავ, ანდა სხვა სიკვდილი გამიმზადო.

— ნუთუ ეს ჯილდო მეკუთვნის შენგან, — თქვა ბრძენმა, — სიკეთეს ბოროტებით მიხდი?

მეფემ მიუგო:

— დაუყოვნებლივ უნდა მოგკლა.

როდესაც ბრძენი დარწმუნდა, მეფე უეჭველად მომკლავსო, ატირდა და ინანა ის სიკეთე, უღირსს რომ უყო. ისე, როგორც ნათქვამია:

მეიმუნას ჭკუის ნიშანიც არა აქვს,
მაგრამ მამამისი ჭკუით სავსეა.
დაცემის შიშით იგი ყოველთვის
სინათლით დადის ტალახშიც — მშრალშიც.

ამის შემდეგ წინ წარდგა ჯალათი, ბრძენს თვალები აუხვია და ხმალი იშიშვლა. თქვა:

— ნება მიბოძეო. ბრძენი კი ტიროდა და ხელმწიფეს ემუდარებოდა:

დამტოვე ცოცხალი, ალაჰიმც დაგარჩენს, ნუ მომკლავ, ალაჰიმც მოგკლავსო.

და წარმოთქვა სიტყვა მგოსნისა:

გულწრფელი ვიყავ, ვერ გავიხარე
მაშინ, როდესაც ცრუნი ხარობენ,
ჩემმა გულწრფელმა დარიგებებმა
მე დამცირების ჩამაგდო სადგომს.
თუკი ვიცოცხლე, ო, არასოდეს
მე გულწრფელ რჩევას არავის მივცემ.
და თუ მოვკვდები, თქვენ ჩემს შემდგომად
ყველა ენაზე გულწრფელნი ჰკიცხეთ.

ბრძენმა მეფეს უთხრა:

— შენ ნიანგივით მიხდი სამაგიეროს. — როგორია ნიანგის ამბავიო, — იკითხა მეფემ.

— როგორ მოგახსენო, ასეთ ყოფაში ვარ, — თქვა ბრძენმა. გაფიცებ ალაჰს, მეფეო, დამტოვე ცოცხალი, ალაჰიმც დაგარჩენსო.

და ბრძენი მწარედ ატირდა. მაშინ მეფის ერთ-ერთი კარისკაცი ადგა და თქვა:

— მეფეო, გვაჩუქე ამ კაცის სისხლი, მას ხომ არაფერი დაუშავებია, მან მხოლოდ მოგარჩინა ისეთი სენისაგან, რომელთანაც ვერა გააწყვეს რა მკურნალთა და ბრძენთა.

— თქვენ არ იცით, რატომ უნდა მოვკლა, — ბრძანა მეფემ. — ეგ

ბრძენი რომ ცოცხალი დავტოვო, უეჭველად დავიღუპები. ვინც მე განმკურნა იმით, რასაც მხოლოდ ხელით შევეხე, იმის ძალაც ხომ შესწევს, მომკლას რაიმეთი, რასაც დავყნოსავ. მეშინია — მომკლავს და მერე საჩუქარს მიიღებს ჩემი თავის საზღაურად. იქნებ ეგ კაცი მსტოვარია და აქ ჩემს მოსაკლავად მოსულა. უთუოდ სიკვდილით უნდა დავსაჯო და მერე შიში აღარ მექნებაო. ბრძენი კი ამბობდა:

— დამტოვე ცოცხალი, ალაჰიმც დაგარჩენს, ნუ მომკლავ, ალაჰიმც მოგკლავსო.

და, იფრით, როდესაც ბრძენი დარწმუნდა, სიკვდილი არ ამცდებაო, მეფეს უთხრა:

— ცოტა მადროვე, შინ წავალ, რომ სული ვიცხონო, ჩემს სახლეულსა და მეზობლებს ჩემი დამარხვა ვუანდერძო და სააქიმო წიგნები გავასაჩუქრო. მე ერთი უიშვიათესი წიგნი მაქვს. იმას შენ მოგართმევ და შენს წიგნთსაცავში შეინახე.

— რა წიგნიაო? — ჰკითხა მეფემ.

— იმ წიგნში აურაცხელი რამ არის, — თქვა ბრძენმა, — და მის საიდუმლოებათა შორის უმცირესი კი გახლავთ ის, რომ თავს როცა მომკვეთავ, წიგნს გახსნი, სამ ფურცელს გადაშლი და წაიკითხავ სამ სტრიქონს მარცხენა გვერდზე, თავი დაგელაპარაკება და ყველა შეკითხვაზე გიპასუხებს.

მეფე გაოცდა, სიამოვნებისაგან ათრთოლდა და თქვა:

— ბრძენო, ნუთუ მართლა ალაპარაკდება შენი მოკვეთილი თავი?

დიახ, მეფეო, — თქვა ბრძენმა, — და სწორედ ეს არის სასწაული.

მეფემ გაუშვა ბრძენი მცველების თანხლებით. იგი მივიდა შინ. იმ დღეს თავისი საქმეების თადარიგი დაიჭირა, მეორე დღეს კი დივანზე გამოცხადდა. შეიკრიბნენ ამირები, ვაზირები, ეჯიბები,

ნაიბები, სახელმწიფოს მესვეურნი და დივანი აყვავებულ ბაღნარს დაემსგავსა. აი, ბრძენიც შემოვიდა და მეფის წინაშე გაჩერდა. ბრძენს თან სქელი წიგნი და ფხვნილით სავსე ჭურჭელი ჰქონდა. ბრძენი დაჯდა და თქვა:

— სინი მომიტანეთ. მოუტანეს.

მან ფხვნილი სინზე გადმოყარა და გაშალა.

მეფეს უთხრა:

— აიღე ეს წიგნი, მაგრამ ხელი არ ახლო, ვიდრე თავს არ მომკვეთავ. სიკვდილით რომ დამსჯი, ჩემი თავი ამ სინზე დადე და უბრძანე, ამ ფხვნილით დამზილონ. ამას რომ იზამ, სისხლი შეწყდება და მერე კი წიგნი გახსენი.

მეფემ ბრძანა, თავი მოეკვეთათ ბრძენისათვის. წიგნი გამოართვა. ადგა ჯალათი და ბრძენს თავი მოჰკვეთა. თავი ზედ სინის შუა გულზე დაეცა. ფხვნილით დაზილა, სისხლი შეწყდა და რუიან ბრძენმა თვალი გაახილა.

— გადაშალე წიგნი, მეფეო, — თქვა მან. მეფემ წიგნი გაშალა და ნახა, ფურცლები ერთმანეთს მიჰკრობოდა. პირში თითი ჩაიდო, დაისველა და გადაფურცლა ერთი, ორი, სამი ფურცელი. ფურცლები დიდი სიძნელით იშლებოდა. მეფემ ექვსი ფურცელი გადაშალა და ნაწერი ვერ ნახა. მერე ბრძენს უთხრა:

— ბრძენო, აქ არაფერი წერიაო.

კიდევ გადაშალეო, — უთხრა ბრძენმა. მეფემ კიდევ გადაშალა. არ გაუვლია დიდხანს და მეფეს საწამლავი მოედო სულ რაღაც ერთ წამში, რადგან წიგნი მოწამლული ყოფილიყო. მეფე იქით გაიწია და დაიყვირა:

— საწამლავი მომედოო! მაშინ რუიან ბრძენმა წარმოთქვა:

ისინი ამ ქვეყანას უსამართლოდ მართავდნენ,
ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თითქო სულ არ ყოფილან,
სიმართლით რომ ემართათ, ბედიც არ უმტყუნებდათ,

მაგრამ სხვებს რომ ჩაგრავდნენ. ბედმაც მიტომ უმუხთლათ.
და ენა განგებისა თითქოს ასე უმღერის,
მაგიერი მოგეზღათ, წუთისოფელს ნუ სწყევლით.

რუიან ბრძენმა სიტყვა დაამთავრა და მეფეც იმწამსვე მკვდარი დაეცა.

— იცოდე, იფრითო, მეფეს რომ რუიან ბრძენი ცოცხალი დაეტოვებინა, ღმერთი იმასაც ცოცხალს დატოვებდა. მაგრამ მეფემ ბრძენს არ გაუგონა და მისი მოკვლა მოითხოვა. ამიტომ ღმერთმა ისიც მოკლა. შენც კიდევ, იფრითო, რომ შეგეწყალებინე, ღმერთიც შეგიწყალებდა...

და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები, დამ უთხრა:

— რა ტკბილიაო შენი მოთხრობა. შაჰრაზადმა თქვა:

— სად ეს და სად ის ამბავი, მომავალ ღამეს რომ მოვყვები, მეფემ თუ ცოცხალი დამტოვა.

ის ღამე დილამდის ბედნიერად და მხიარულად გაატარეს. მეფე დივანში გავიდა. მერე დივანი დაიშალა, მეფე თავის სასახლეში შემობრძანდა და თავის ოჯახს შეხვდა.

და როდესაც დადგა ღამე მეექვსე, შაჰრაზადა თქვა:

მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ მებადურმა იფრითს უთხრა:

— რომ დაგეტოვებინე, მეც დაგტოვებდი. მაგრამ შენ ჩემი დაღუპვა განიზრახე. ახლა მეც გაგიმეტებ და ამ თუნგში გამომწყვდეულს ზღვაში გადაგაგდებო.

— გაფიცებ ალაჰს, მებადურო, ნუ იზამ ამას, დამტოვე ცოცხალი, იყავ სულგრძელი და მაპატიე. თუ მე ბოროტება ჩავიდინე, შენ სიკეთე მიყავი. ანდაზა ამბობს: „კმა არს ბოროტისათვის სიბოროტეი მისი“. ნუ იზამ იმას, რაც უმამამ უყო ათიკას.

— რა უქნა უმამამ ათიკას? — ჰკითხა მებადურმა. — რა დროს

მოყოლაა, — მიუგო იფრითმა, — საპყრობილეში ვარ გამომწყვდეული. გამომიშვი და მოგიყვები. მებადურმა კი მიუგო:

— არა, ზღვაში უნდა გადაგაგდო, საიდანაც ვეღარავინ ამოგიყვანს. გეხვეწებოდი, გემუდარებოდი, შენ კი ჩემი მოკვლა მოისურვე. თუმც არაფრით არ დამიმსახურებია. ცუდი რა გიყავი?! სიკეთის მეტი რა ჩავიდინე?! საპყრობილედან გამოგიყვანე! ასე რომ მომექეცი, მაშინ კი მივხვდი, რა მდაბალი ყოფილხარ. ზღვაში რომ გადაგაგდებ, იცოდე, ყველას ვეტყვი შენს ამბავს, ვინც შენს ამოყვანას დააპირებს. გავაფრთხილებ და ისევ უკან გადაგაგდებს. ამ ზღვაში დარჩები დრო და ჟამის დასასრულამდე, სანამ ყოველგვარ ტანჯვას არ ნახავ. მაშინ იფრითმა თქვა:

— აი, ახლა შეგიძლია შენი ვაჟკაცობა გამოიჩინო. გამათავისუფლე და არასოდეს აღარ გავნებ, პირიქით, ისეთ რამეს გასწავლი, რომ სამუდამოდ გაგამდიდრებ.

მაშინ მებადურმა იფრითს პირობა ჩამოართვა, თუ გაათავისუფლებდა, არას ავნებდა. პირიქით — ბედსა სწევდა. როდესაც მებადური დარწმუნდა იფრითის ფიცითა და აღთქმით და ალაჰის უდიდესი სახელიც დააფიცა, თუნგი გახსნა. თუნგიდან კვამლი ამოიზიდა. მერე შეიკრა და გონჯ იფრითად იქცა.

იფრითმა თუნგს წიხლი ჰკრა და ზღვაში გადააგდო. ამის დანახვაზე მებადური დარწმუნდა, რომ იღუპებოდა. შიშისგან ჩაისველა და თქვა: — ეს სიკეთის ნიშანი არ უნდა იყოსო. მაგრამ გული გაიმაგრა და იფრითს უთხრა:

— ალაჰს უთქვამს, მაღალიმც არს იგი, — „შეასრულეთ პირობა, თორემ მოგეკითხებათ“. შენ ხომ შემპირდი და დაიფიცე, რომ არ მიმუხთლებ მაგრამ თუ მიღალატე, ალაჰი გადაგიხდის სამაგიეროს ალაჰი გულმოდგინე ქომაგია. შეიძლება სასჯელი დააგვიანოს, მაგრამ არ დაივიწყებს. გეუბნები ისე, როგორც რუიან ბრძენმა უთხრა იუნან მეფეს:

დამტოვე ცოცხალი, ალაჰიმც დაგარჩენს. იფრითმა გადაიხარხარა. წინ წავიდა და თქვა:

— მებადურო, მომყევიო.

მებადური იფრითს გაჰყვა. არ სჯეროდა გადარჩენა, სანამ ქალაქგარეთ არ გავიდნენ. ერთ მთაზე ავიდნენ და მერე ველზე დაეშვნენ. ამ მინდვრის შუაგულზე ტბა იყო. ტბაში კი სხვადასხვა ფერის თევზები: თეთრი, წითელი, ცისფერი და ყვითელი. მებადური გაოცდა. მოვიდა ბადე და სხვადასხვა ფერის ოთხი თევზი იპოვა. მებადურს გაუხარდა.

— ეს თევზები სულტანს წაუღე და მიართვი, — უთხრა იფრითმა. — ისე დაგასაჩუქრებს, რომ გაგამდიდრებს ახლა კი მაპატიე, ალაჰის გულისათვის. სხვა აღარაფერი ვიცი, რომ სამაგიერო მოგაგო. მე ხომ ზღვაში ათას რვაასი წელი გავატარე და ამ წუთამდე არ მინახავს დედამიწის ზურგი. აქ თევზები მხოლოდ ერთხელ დაიჭირე დღეში, ალაჰისთვისაც ჩამიბარებიხარო.

იფრითმა მიწას ფეხი დაჰკრა. მიწა გაიპო და იფრითი შთანთქა. განცვიფრებული მებადური ქალაქისაკენ გაემართა. მივიდა შინ, აიღო გობი, წყლით აავსო და თევზები შიგ ჩაყარა. თევზები აფართხალდნენ. მებადურმა გობი თავზე შემოიდგა და ხელმწიფის სასახლისაკენ გასწია. ავიდა მეფესთან და თევზები მიართვა. მეფეს ძალიან გაუკვირდა. თავის სიცოცხლეში არ ენახა ასეთი თევზები. მეფემ ბრძანა:

— მზარეულ მხევალს წაუღეთ ეს თევზებიო. ეს მხევალი სამი დღის წინ რუმის მეფეს მიერთმია მისთვის და ჯერ მზარეულობაში არ გამოეცადა. ვაზირმა მხევალს უბრძანა თევზების შეწვა და უთხრა:

— მეფემ შემოგითვალა, ცრემლს გაჭირვებისათვის ვინახავ და, აბა, გვიჩვენე დღეს შენი მზარეულობა და კარგი დიასახლისობა. სულტანს საჩუქრად მოართვეს ეს თევზებიო.

ვაზირმა ქალს დაუბარა და თვითონ კი სულტანთან გაბრუნდა.

სულტანმა უბრძანა, მებადურისათვის ოთხასი დინარი ებოძებინათ. ვაზირმა მისცა.

მებადურმა ფული ტანსაცმლის კალთაში შეინახა. გახარებულმა შინისაკენ გასწია თავის ცოლთან. იყიდა ყველაფერი, რაც ოჯახში სჭირდებოდა. ასეთი იყო მებადურის ამბავი. რაც შეეხება მხევალს, იმან აიღო თევზები, გაწმინდა და ტაფაზე დააწყო. ერთ მხარეს რომ შეიბრაწა, მეორეზე გადააბრუნა. უეცრად სამზარეულოს კედელი გაიხსნა და კედლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა — ტანადი, ლოყებგადატკეცილი და ნაკვთად სრულქმნილი, თვალებზე ქუჰლი წაესვა. პირმშვენიერსა და ტანწერწეტას ცისფერი აბრეშუმის ქუფია ეცვა. ყურებში რგოლები, ხელებზე სამაჯურები და თითებზე ძვირფასი თვლების ბეჭდები ჰქონდა. ხელში ბამბუკის ჯოხი ეკავა. ქალმა ჯოხი ტაფას ჩაჰკრა და თქვა:

— თევზებო, იცავთ თუ არა თქვენს პირობას?

ამის დანახვაზე მხევალს გული წაუვიდა. ქალმა კი გაიმეორა ეს სიტყვები, მეორედ, მესამედ. თევზებმა ტაფაზე თავი წამოყვეს და თქვეს — დიახ! დიახ! და მერე ყველამ ერთად ეს ბეითი თქვა:

თუ დაბრუნდები, ჩვენც დავბრუნდებით, და ჩვენც დავიცავთ, აღთქმას თუ იცავთ.

თუ მიგვატოვებ, ო, ჭეშმარიტად, ჩვენც უეჭველად იმითვე გიზღავთ.

ამ დროს ქალმა ტაფა გადააბრუნა და იქვე გავიდა, საიდანაც შემოვიდა. სამზარეულოს კედელი შეერთდა. მხევალი გონს მოვიდა. ხედავს, ოთხივე თევზი დამწვარი და დანახშირებულია. მაშინ მხევალმა თქვა:

ეჰ, ამაზეა ნათქვამი, „პირველსავე ბრძოლაში გაუტყდა შუბიო“.

იმ დროს, როცა ის თავისი თავის კიცხვაში იყო, ვაზირი წამოადგა და უთხრა:

სულტნის თევზები მომეციო. მხევალი ატირდა და უამბო ვაზირს, რაც მოხდა. ვაზირმა თქვა:

— ეს საოცარი ამბავიაო, — კაცი გაგზავნა მებადურთან და მოიყვანა. უბრძანა, ისეთივე ოთხი თევზი მოიტანე, როგორც პირველადო. მებადური გაემართა იმ ტბისკენ. ისროლა ბადე, მოსწია და აი, ოთხი თევზი ისევ მოჰყვა ბადეს. აიღო თევზები და ვაზირს მიართვა. ვაზირმა თევზები მხევალს მისცა და უთხრა:

— ადექი და ჩემ თვალწინ შეწვი, რომ ჩემი თვალით დავინახო ეს ამბავიო

მხევალმა თევზები გაწმინდა და ტაფით ცეცხლზე შედგა. ცოტა ენის შემდეგ, უეცრად კედელი გაიხსნა და ის ქალი გამოჩნდა იმავე ტანისამოსში. ხელში ჯოხი ეკავა, ჯოხი ტაფას დაჰკრა და თქვა:

— თევზებო, თევზებო, იცავთ თუ არა თქვენს ძველ პირობას? თევზებმა თავი წამოყვეს და ეს ბეითი წარმოთქვეს:

თუ დაბრუნდები, ჩვენც დავბრუნდებით, და ჩვენც დავიცავთ, აღთქმას თუ იცავთ,

თუ მიგვატოვებ, ო, ჭეშმარიტად, ჩვენც უეჭველად იმითვე გიზღავთ.

შაჰრაზდს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეშვიდე, შაჰრაზადმა თქვა:

მეფევ სვიანო, როდესაც თევზებმა დაილაპარაკეს, ქალმა ჯოხით ტაფა გადააბრუნა და იქვე გავიდა, საიდანაც შემოვიდა. კედელი შეერთდა. ვაზირი ადგა და თქვა:

— არ შეიძლება ხელმწიფისათვის ამ ამბის დამალვა.

წარუდგა ხელმწიფეს და ამცნო, რაც მოხდა.

— ჩემი თვალით უნდა ვნახოო, — თქვა ხელმწიფემ. მებადურთან კაცი გაგზავნა, მოიყვანა და უბრძანა, ისეთივე ოთხი თევზი მოეტანა. თან სამი დღის ვადა მისცა. მებადური გაემართა ტბისკენ და იმწამსვე მოიტანა თევზები. მეფემ ბრძანა, ოთხასი დინარი მიეცათ მისთვის. მერე კი ვაზირს მიუბრუნდა და უთხრა:

— აქ შეწვი თევზები, ჩემ წინაშე.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ვაზირმა. მოიტანა ტაფა, თევზები გაწმინდა და ტაფაზე დაყარა. თევზები რომ გადააბრუნა, ანაზდად, კედელი გაიპო და იქიდან შავი მონა გამოვიდა. იგი ხარსა თუ ადის ტომის კაცს ჰგავდა. ხელში მწვანე ხის ტოტი ეჭირა. გამართული ენით, მაგრამ საზარელი ხმით წარმოთქვა:

— თევზებო, თევზებო, იცავთ თუ არა თქვენს ძველ აღთქმას?

თევზებმა ტაფაზე თავი წამოყვეს და თქვეს:

თუ დაბრუნდები, ჩვენც დავბრუნდებით, და ჩვენც დავიცავთ, აღთქმას თუ იცავთ,

თუ მიგვატოვებ, ო, ჭეშმარიტად, ჩვენც უეჭველად იმითვე გიზღავთ.

მაშინ მონა ტაფას მიუბრუნდა და ჯოხით გადაატრიალა ისე, რომ თევზები შავ ნახშირად იქცნენ. მერე კი იქვე გავიდა, საიდანაც შემოვიდა. მონა რომ გაუჩინარდა, მეფემ თქვა:

ამ საქმის მიყრუება არ ივარგებს. აქ რაღაც საოცარი ამბავი უნდა იყოსო.

ბრძანა მებადურის მოყვანა. მებადური ეახლა და ხელმწიფემ ჰკითხა:

ეს თევზები საიდან მოგაქვს? მებადურმა მიუგო:

— ქალაქის სანახებში ერთი მთაა, იმის იქით კი ოთხ ბორცვს შუა ტბა არის და იქ ვიჭერ.

— რამდენი დღის სავალზე იქნება? — ჰკითხა ხელმწიფემ. — ნახევარი საათისა, ჩვენო უფალო, სულტანო, — მიუგო მებადურმა.

სულტანს გაუკვირდა. ბრძანა, იმწამსვე გამოეყვანათ ლაშქარი და მებადურს გაჰყვა. მიდიოდა მებადური და თან იფრითს სწყევლიდა.

იარეს და მთას მიადგნენ. დაეშვნენ ერთ ფართო ველზე, რომელიც თავის სიცოცხლეში არ ენახათ. სულტანი და მთელი ლაშქარიც განცვიფრდა ოთხ მთას შუა დატანებულ ამ ველის დანახვაზე. გაოცდნენ ფერადი თევზები რომ იხილეს: წითელი, თეთრი, ყვითელი და ცისფერი. მეფე გაკვირვებული შედგა და ლაშქარს უთხრა:

— უნახავს რომელიმე თქვენგანს ეს ტბა ამ ადგილას? არაო, — მიუგო ყველამ.

— ალაჰს ვფიცავ. — თქვა მეფემ, — ჩემს ქალაქში არ დავბრუნდები და ჩემს სამეფო ტახტზე არ დავჯდები, სანამ ამ ტბისა და თევზების ამბავს არ შევიტყობ.

მხლებლებს ამ მთებთან ჩამოქვეითება უბრძანა. ისინიც ჩამოხდნენ. მეფემ ვაზირს უხმო. ვაზირი კი გამოცდილი, გონიერი, ჭკვიანი და საქმეში ჩახედული კაცი იყო. როდესაც ვაზირი წარდგა მის წინაშე, მეფემ უთხრა:

— ერთი რამის გაკეთება მინდა და შენ უნდა გითხრა. აზრად მომივიდა, ამაღამ მარტო წავიდე და ამ ტბისა და თევზების ამბავი გამოვიკვლიო. შენ ჩემი კარვის კართან დაჯდები და ამირებს, ვაზირებსა და ეჯიბებს ეტყვი — სულტანი შეუძლოდ არის და ბრძანა, არავინ შემოეშვათო. ჩემი მიზანი კი არვის გაუმხილო.

ვაზირმა მეფეს სიტყვა ვეღარ შეუბრუნა. მეფემ გადაიცვა, ხმალი შემოირტყა და შეუმჩნევლად წავიდა. გათენებამდე იარა. შეუჩერებლად მიდიოდა, ვიდრე ძლიერ არ დასცხა. დაისვენა და ისევ გზას გაუდგა. დაღამებამდე იარა, იარა მთელი მეორე ღამეც გათენებამდე. ორი რაღაც შავი დაინახა. გაუხარდა და თქვა:

— ეგების ვინმე ვნახო, ვინც ამ ტბისა და მისი თევზების ამბავს მეტყვისო.

იმ შავ საგანს რომ მიუახლოვდა, ხედავს შავი ქვით ნაგები და რკინით შეჭედილი სასახლეა. ცალი კარი ღია იყო, მეორე კი დახურული. მეფეს გაუხარდა კარების დანახვა და ფრთხილად დააკაკუნა. მაგრამ პასუხი ვერ გაიგონა. დააკაკუნა მეორედ, მესამედ. პასუხი არ იყო. მეოთხედ დააბრახუნა და მაინც ვერავის ნანა. მაშინ თქვა: — ამ სასახლეში უეჭველად კაცი არ უნდა ჭაჭანებდესო. — გული გაიმაგრა და სასახლის კარიდან დიჰლიზში შევიდა.

— ჰეი, სასახლის ხალხო, — დაიძახა მეფემ. — მე ერთი ყარიბი კაცი ვარ, მოგზაური. ცოტაოდენი საჭმელი ხომ არ მოგეძევებათ!

გაიმეორა მეორედ. მესამედ და პასუხი არავინ გასცა. მაშინ ისევ გაიმაგრა გული, განიმტკიცა სული და დიჰლიზიდან შუა სასახლეში შევიდა. ვერავინ ნახა, თუმცა სასახლე მოფარდაგებული იყო. სასახლის შუაგულში შადრევანი ჩქეფდა. ბაჯაღლო ოქროს ოთხი ლომი პირიდან აფრქვევდა წყალს — ძვირფასი თვალმარგალიტის მსგავსს. ირგვლივ ჩიტები დაფრინავდნენ. სასახლეში ბადე იყო გაბმული, რომ ეს ჩიტები გარეთ არ გასულიყვნენ. მეფე გაოცდა. თან შეწუხდა, რომ იმ ტბისა და თევზების, მთისა და ამ სასახლის ამბის მცოდნე ვერავინ ნახა. კარებთან ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. უეცრად შემოესმა კვნესა მწუხარე გულისა და გაიგონა, რომ ვიღაც ამ ლექსს ღიღინებდა:

უსასოდ ქმნილი ვეღარ ვმალავ განსაცდელს ჩემსას,
თვალთაგან ძილი უძილობის ლანდმა განაკრთო.
ვუხმობ სიყვარულს, მომეძალა ფიქრთა ლაშქარი.
ო, სიყვარულო, არც ცხრები და აღარც მეშვები.
ჰა, გული ჩემი, ჭირს და ხიფათს შორის შთენილი.

ამ კვნესის გაგონებაზე სულტანი ადგა და იქით გაემართა, საიდანაც ეს ხმა მოისმოდა. ნახა დარბაზის კარზე ჩამოშვებული ფარდა. ასწია და ფარდის იქით ჭაბუკი დაინახა. იგი იჯდა ტახტზე, რომლის სიმაღლეც ერთი წყრთა იქნებოდა. ეს იყო ჭაბუკი ლამაზი, ტანადი, მჭევრმეტყველი, შუბლნათელი, ღაწვწითელი. ყვრიმალს უმშვენებდა ჯარი. ხალი ამბრის კვერის მსგავსი. მგოსნის ნათქვამის არ იყოს:

რა ტანადია; მისი თმისა და შუბლისაგან
კაცობრიობა უკუნსა და ნათელს მოუცავს.
და თვალნი შენნი ამა ქვეყნად ვერას ნახავენ
შესახედავად მასზე მეტად უფრო მშვენიერს,
როგორიც არის მისი მწვანე, ლამაზი ხალი,
მის შავ თვალთა ქვეშ მოქცეული ვარდისფერ ღაწვზე.

მეფეს გაუხარდა მისი დანახვა და სალამი უთხრა. ვაჟი კი იჯდა ოქრომკედით ნაქარგი ფარჩის ტანსაცმელში გამოწყობილი და სახეზე მწუხარების კვალი აჩნდა. მეფეს სალამზე უპასუხა და უთხრა:

— ბატონო ჩემო, მაპატიე, რომ ფეხზე არ ვდგები.

მეფემ თქვა:

— ჭაბუკო, მიამბე ამ ტბისა და მისი ფერადი თევზების, ამ სასახლისა და შენი აქ განმარტოების ამბავი და მითხარი მიზეზი შენი გოდებისა.

ამის გაგონებაზე ჭაბუკს ლოყაზე ცრემლები დაედინა და მწარედ ატირდა. მეფე გაოცდა და უთხრა:

— რა გატირებს. ჭაბუკო?

ეჰ, როგორ თუ რა მატირებს, როცა ასეთ დღეში ვარ, — მიუგო მან. ხელი მოჰკიდა ტანსაცმლის კალთას, ასწია და მეფე ხედავს: მისი სხეულის ქვედა ნახევარი ტერფამდე ქვაა, ხოლო ჭიპიდან

თმებამდე კი ადამიანი. ჭაბუკმა თქვა:

— მეფევ, იცოდე, რომ საოცარია ამ ტბისა და თევზების ამბავი. ის რომ თვალის უპეებზე ნემსით დაიწეროს, შეგონება იქნებოდა იმისათვის, ვინც შეიგონებს. მამაჩემი, — თქვა ჭაბუკმა, — ამ ქალაქის მეფე იყო და ერქვა მაჰმუდი — შავ კუნძულთა და იმ ოთხი მთის მპყრობელი. მამაჩემმა სამოცდაათი წელი იმეფა და გარდაიცვალა. იმის შემდეგ მე გავმეფდი. ბიძაჩემის ქალიშვილზე ვიქორწინე. ჩემს ცოლს ძალიან ვუყვარდი. როცა მოვშორდებოდი, აღარც ჭამდა და აღარც სვამდა, სანამ არ დამინახავდა. ხუთი წელი ცხოვრობდა ჩემთან. ერთ დღეს აბანოში შევედი. მზარეულს ვუბრძანე საჭმლის მომზადება. დავბრუნდი სასახლეში და ჩემს სარეცელზე დავწექი. ორ მხევალს ვუბრძანე, ენიავებინათ ჩემთვის. ერთი თავით დამიჯდა, მეორე — ფერხით. ჩემი ცოლი ჩემთან არ იყო. ვწუხდი და ვერ ვიძინებდი. და თუმცა თვალები დახუჭული მქონდა, სული ჩემი ფხიზლობდა. უეცრად მესმის, სასთუმალთან მჯდომი მხევალი ეუბნება მეორეს — ფერხთით მჯდომარეს:

ჰე, მასუდავ, ვაი ჩვენი ბატონის საბრალო სიყმაწვილეს! ვაი მას, ჩვენი ბილწი და ცოდვილი ქალბატონის ხელში.

მეორემ თქვა:

— ალაჰიმც დასწყევლის მრუშ დიაცებს. განა შეჰფერის ჩვენი ბატონისთანა კაცს. მისი ხასიათის პატრონს ეს მეძავი, რომელიც ყოველ ღამეს სხვის ლოგინში ათევს?!

სულელია ჩვენი ბატონი, — თქვა თავთან მჯდომარემ, — ცოლის ამბავს რომ არ კითხულობს.

— ვაი შენ, — მიუგო მეორემ, — განა კი იცის ჩვენმა ბატონმა მისი ამბავი, ან ქმრის ნებართვით სჩადის ამას ჩვენი ქალბატონი? ის რაღაცას უშვრება ჩვენი ბატონის სასმისს, რომლითაც იგი ყოველ ღამე ძილის წინ სვამს. ქალი სასმისში ბანგსა ყრის. მეფე

იძინებს და ვეღარაფერს გრძნობს, რა ხდება. არ იცის, სად დაეთრევა მისი ცოლი, ან რას სჩადის. სასმელს რომ დაალევინებს, ქალი ჩაიცვამს და მიდის და დილამდის დაკარგულია, დაბრუნებისას ცხვირთან რაღაცას უბოლებს და ისიც იღვიძებს.

მხევლების ლაპარაკის გაგონებაზე ნათელი ბნელად მექცა. ის იყო დაღამდა და ჩემი ცოლიც დაბრუნდა აბანოდან. გავშალეთ სუფრა. შევექეცით. ერთხანს ვიჯექით და, ჩვეულებისამებრ, ვმასლაათობდით. მერე კი ჩემმა ცოლმა ის სასმისი მოითხოვა, ძილის წინ რომ ვსვამდი ხოლმე. გადმომცა თასი. თავი მოვიკატუნე, ვითომ დავლიე და სასმელი კი უბეში ჩავისხი. იმწამსვე დავწექი. და, აი, უეცრად ჩემი ცოლი ამბობს:

— იძინე მთელი ღამე და ნურც ამდგარხარ. მძულხარ, ვფიცავ ალაჰს. მძულს შენი სახე, მომბეზრდა შენთან ყოფნა.

ადგა. თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყო, სურნელი იკმია, ხმალი შემოირტყა, სასახლის კარი გააღო და გავიდა. მეც ავდექი და უკან გავედევნე. გავიდა სასახლიდან, გადაიარა ქალაქის ბაზრები და ქალაქის კარიბჭეს მიაღწია. რაღაც წაილაპარაკა ჩემთვის გაუგებარი და კარს საკეტები დასცვივდა. კარიბჭე გაიღო. გავიდა და მეც შეუმჩნევლად თან გავყევი. მივდევდი, ვიდრე ჩემმა ცოლმა ნაგვის საყრელს არ მიაღწია. ღობეში შევიდა. ღობის იქით თიხით ნაშენი გუმბათიანი ქოხი იდგა. ქოხს კარი ჰქონდა. ჩემი ცოლი კარებში შევიდა, მე კი სახურავზე ავედი და ზევიდან ჩავიხედე. ვხედავ, ჩემი ცოლი ვიღაც შავ მონასთან შესულა. მონას ზედა ტუჩი ქვედაზე გადაფარებია და ორივეთი ქვიშას კრეფს ქვებიდან. მონა შეუძლოდ იყო და ცოტაოდენ ლერწმის ჩალაზე იწვა. ქალი ემთხვია მიწას მის წინაშე. მონამ თავი ასწია და უთხრა:

— ვაი შენ. სად იყავი აქამდის? აქ შავი მონები იყვნენ. სვეს და ყოველი მათგანი თავის საყვარლით წავიდა. მე კი არაფერი დამილევია შენი გულისთვის.

— ჩემო ბატონო და გულის საყვარელო, ხომ იცი, რომ ქმარი მყავს, ბიძაჩემის ვაჟი. მეჯავრება მისი სახე და მძაგს ჩემი თავი, იმასთან რომ ვარ. შენი საფრთხეში ჩაგდებისა რომ არ მეშინოდეს, ამ ქალაქს ნანგრევებად ვაქცევდი, სადაც მხოლოდ ჭოტები და ყვავები იჩხავლებდნენ და ქალაქის ქვებს კი კაფის მთის იქით გადავტყორცნიდი,

— სტყუი. შე მრუშო, — უთხრა მონამ. ვფიცავ შავკანიანთა ვაჟკაცობას, და ჩვენი სიმამაცე კი თეთრკანიანთა სიმამაცე არ გეგონოს, დღეის ამას იქით კიდევ ამდენ ხანს რომ მჯდარხარ შინ, თავს დაგანებებ და ჩემი სხეულით შენს სხეულს აღარ დავფარავ. შე ფლიდო, შენი სიამოვნებისთვის ჩემთან უნდა დაიგვიანო?! შე მყრალო, თეთრკანიანთა შორის ყველაზე უნამუსოვ. მეფე ამბობდა:

— ცოლის ლაპარაკი რომ გავიგონე და ჩემი თვალით დავინახე, რაც მათ შორის მოხდა, საწუთრო დამიბნელდა. აღარ ვიცოდი, სად ვიყავ. ბიძაჩემის ქალი იდგა მის წინაშე, ტიროდა და თავს იმცირებდა: ჩემო საყვარელო, — ამბობდა იგი, — ჩემი გულის ნაყოფო, ვინ გამაჩნია შენს მეტი. რაღა მეშველება, რომ გამაგდო, ორთავ თვალის სინათლევ.

ტიროდა და ემუდარებოდა, ვიდრე მონას გული არ მოულბა. ქალს გაუხარდა, ტანსაცმელი გაიძრო და მონას უთხრა:

— ჩემო ბატონო, არაფერი გაქვს, შენმა მხევალმა რომ ჭამოსო?

— გახსენი გეჯა, — უთხრა მონამ, — შიგ მოხარშული თაგვის ძვლებია და ჭამე. ქოთანში ცოტაოდენ ბუზას ნახავ და დალიე.

ქალი ადგა, ჭამა, სვა, ხელები დაიბანა, მონასთან მივიდა და ჩალაზე გვერდით მიუწვა. გაშიშვლდა და მის ტანსაცმელსა და ძონძებში ჩაწვა. ამის დანახვაზე ჭკუა დავკარგე, სახურავიდან ჩამოვედი, დავავლე ხელი ჩემი ცოლის ხმალს და გადავწყვიტე, ორივე მომეკლა. ჯერ მონას დავკარი ხმალი კისერზე და მეგონა,

სული გააცხო... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები, როდესაც გათენდა, მეფე სამსჯავრო დარბაზში შევიდა. შეიკრიბა დივანი დღის ბოლომდის. ხელმწიფე სასახლეში შებრუნდა და შაჰრაზადს უთხრა მისმა დამ დუნიაზადმა:

— დაასრულე შენი ამბავი.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — მიუგო შაჰრაზადმა. და როდესაც დადგა ღამე მერვე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ მონუსხულ ჭაბუკს მეფისათვის უთქვამს:

მონას ხმალი დავკარი თავის მოსაკვეთად, გავუჭერი ყელი, კანი და ხორცი, მეგონა მოვკალ. იგი ხმამაღლა აწრიალდა. ბიძაჩემის ქალი შეირხა. მე გამოვბრუნდი, ხმალი თავის ადგილას დავდე, ქალაქისაკენ გავწიე, სასახლეში შევედი. გათენებამდე ჩემს ლოგინში მეძინა. დღისით ვხედავ, ჩემს ცოლს თმები შეუჭრია და ძაძები ჩაუცვამს. ასე მეუბნება: არ გამლანძღო, ბიძაჩემის ვაჟო, გავიგე დედაჩემი გარდაცვლილა, მამაჩემი საღვთო ომში მოუკლავთ, ერთი ძმა დაკბენილი მომკვდარა, მეორე უფსკრულში გადაჩეხილა და მე გლოვა და მწუხარება მმართებსო. ეს რომ გავიგონე, გავჩუმდი და ვუთხარი:

— რაც გინდა ის ქენი, მე ხელს არ შეგიშლი-მეთქი, — მთელი წელი მოთქმა-გოდებასა და მწუხარებაში გაატარა. ერთი წლის შემდეგ მეუბნება:

— მინდა შენს სასახლეში გუმბათის მსგავსი სამარხი ავიშენო, იქ განვმარტოვდე ჩემი მწუხარებითა და მას სევდათა სავანე ვუწოდო.

— შენი ნებაა-მეთქი. აიშენა გუმბათიანი სევდათ სავანე — აკლდამისგვარი სამარხი. გადმოიყვანა მონა და შიგ ჩაიყვანა. იგი დაუძლურებულიყო. ჩემს ცოლს აღარას რგებდა, მხოლოდ სასმელს სვამდა. იმ დღის შემდეგ, რაც დავჭერი, ვეღარ ლაპარაკობდა, თუმცა ცოცხალი კი იყო, რადგან მისი აღსასრულის ჟამი

ჯერ არ დამდგარიყო. ქალი ყოველდღე შედიოდა იმ გუმბათში. მოთქვამდა და დასტიროდა მას. ასმევდა ღვინოს და წვენებს. ასე გრძელდებოდა ეს ამბავი ყოველ დილა-საღამოს მეორე წლამდის. მე ყველაფერს ვითმენდი, ვიდრე ერთ დღეს მოულოდნელად არ შევედი მასთან. ენახე, ჩემი ცოლი მოთქვამს და პირში ხელს იცემს. თან ამ ბეითებს ამბობს:

თქვენ რაც დამშორდით, მე ცოცხლებში აღარ ვწერივარ,
თქვენს გარდა სხვისი სიყვარული გულმა არ უწყის.
პატივი დამდეთ და წაიღეთ სხეული ჩემი,
სადაც დაეცით, იქ დამმარხეთ, თქვენ სადაც წევხართ.
და თუ ახსენებთ თქვენ ჩემს სახელს ჩემს სამარესთან,
პასუხს მოგაგებთ თქვენს ხმობაზე ჩემს ძვალთა კვნესა.

ლექსი რომ დაამთავრა, ხმალი ვიშიშვლე და ვუთხარი:

ასე მოღალატე ქალები ლაპარაკობენ, სიყვარული რომ არა სწამთ და მეგობრობას არ უფრთხილდებიან. ხმლის დასაკრავად ხელი ავწიე და ქალი წამოხტა. მაშინ მიხვდა — მონა მე დავჭერი. ფეხზე დადგა, რაღაც წაილაპარაკა ჩემთვის გაუგებარი და თქვა:

— ალაჰიმც გაქცევს ჩემი ჯადოქრობით ნახევარ ქვად და ნახევარ კაცად!

და გავხდი ისეთი, როგორსაც მხედავ. ვეღარც ვდგები, ვეღარც ვჯდები, არც მკვდრებში ვწერივარ და არც ცოცხლებში. მე რომ ასე მომაქცია, მერე ქალაქი მონუსხა. მონუსხა ყველაფერი, აქ რაც იყო — ბაზრები, ბაღები. ჩვენს ქალაქში ოთხი რჯულის ხალხი ცხოვრობდა: მუსლიმები, ქრისტიანები, ებრაელები და მოგვები. ისინი თევზებად გადააქცია. თეთრი თევზები მუსლიმები არიან, წითლები — ცეცხლთაყვანისმცემლები, ცისფერი — ქრისტიანები, ხოლო ყვითლები კი — ებრაელები. ოთხი კუნძული

ოთხ მთად გადააქცია და ტბას შემოარტყა. ახლა ყოველდღე მოდის და მაწამებს. ტყავის მათრახს მირტყამს ასჯერ, სანამ არ დამასისხლიანებს. მერე კი ამ სამოსის ქვეშ ზედა წელზე ხამი ტილოს სამოსს მაცმევს. — ჭაბუკი ატირდა და წარმოთქვა ლექსი:

ჰოი, ღმერთო და განგებაო, შენს მსჯავრს გავუძლებ,
თუ კი ეს ჩემი მოთმინება სიამეს მოგგვრის.
თავად რჩეული მოციქულის ოჯახს მივმართავ.
რადგან არ ძალმიძს, ამ ჭირის და დარდის გაძლება.

ამაზე მეფე მიუბრუნდა იმ ვაჟსა და უთხრა:

— ჭაბუკო, ჩემს დარდს შენ ახალი დარდი დაუმატე. სად არის ის ქალი?

ვაჟმა მიუგო:

— აკლდამაშია, სადაც ის მონა წევს, იმ გუმბათშია. ყოველდღე მიდის, დღეში ერთხელ. იმასთან მისვლამდე ჩემთან შემოდის. გამაშიშვლებს და ას მათრახს გადამიჭერს. ვტირი და ვყვირი და განძრევაც კი არ შემიძლია, რომ მოვიგერიო. მაწამებს და მერე მონასთან მიდის. დილაადრიან სასმელი და წვენი მიაქვს.

— ჭაბუკო, — თქვა მეფემ, — ალაჰს ვფიცავ, ისეთი სიკეთე უნდა გიყო, რომ სამუდამოდ მიხსენიებდნენ და ეს ამბავი ჟამთააღმწერლებმა ჩაწერონ ჩემ შემდეგ.

ხელმწიფე დაჯდა და დაღამებამდე ჭაბუკთან საუბრობდა. მერე კი ადგა და განთიადის ჟამს დაუცადა. გაიხადა თავისი ტანსაცმელი, ხმალი შემოირტყა და იმ ადგილას მივიდა, მონა რომ იწვა. ხედავს, სანთლები და კანდელები, გუნდრუკი და საკმეველი ანთია. მონასთან მივიდა, ხმალი დაჰკრა და სული გააფრთხობინა. ზურგზე წამოიკიდა, წაიღო და, იქვე სასახლეში რომ ჭა იყო, იქ ჩააგდო. ჩაიცვა მისი ტანსაცმელი, შევიდა გუმბათში. მთელი სიგრძით ამოწვდილი ხმალი კი თან ჰქონდა. დიდხანს არ გაუვლია

და ის გრძნეული მრუშიც მოვიდა. მოსვლისთანავე გააშიშვლა თავისი ბიძის ვაჟი. აიღო მათრახი და ურტყა. ჭაბუკმა უთხრა:

— ვაჰმე, კმარა რა დღეშიაც ვარ და შემიბრალეო.

— შენ კი შემიბრალე და შემარჩინე საყვარელი? — მიუგო ქალმა.

ხამის სამოსი ჩააცვა, იმის ზემოთ კი პერანგი და თვითონ მონასთან ჩავიდა. გუმბათში რომ შევიდა, მოთქმა-გოდება ატეხა.

ჩემო ბატონო, ხმა გამეცი, — ამბობდა იგი. — ჩემო ბატონო, მითხარი რამე. და მერე წარმოთქვა:

როდემდის იყოს ეგ სიცივე, განაპირება,
მეყოფა ისიც, სიყვარულმა რაც დამათენა.
კიდევ როდემდის გააგრძელებ სიშორეს განზრახ.
ჩემი მოშურნე მე ნიშნს მიგებს, ეს თუკი გწადდა.

მერე ატირდა და თქვა:

— ჩემო ბატონო, ხმა გამეცი, მითხარი რამე. მაშინ მეფემ ხმადაბლა, ენის ბორძიკით, ზანგურ კილოზე ლაპარაკი დაიწყო;

— ოჰ, ოჰ, არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა. ქალმა მისი ლაპარაკის გაგონებაზე სიხარულისგან შეჰკივლა და გულს შემოეყარა. გონს რომ მოვიდა, თქვა:

— ჩემო ბატონო, ნუთუ მართალია ეს ამბავი. მეფემ ხმა მოისუსტა და თქვა: — ჰოი, შე მრუშო, შენ ლაპარაკის რა ღირსი ხარ. რატომაო? — ჰკითხა ქალმა.

— იმიტომ, რომ მთელი დღე აწამებ შენს ქმარს. ის კი ყვირის, შველას ითხოვს და ძილს მიფრთხობს საღამოდან განთიადამდის. შეუჩერებლად ყვირის და გწყევლის. მისი ხმა მაწუხებს. და ეს რომ არა, აქამდისაც მოვრჩებოდი. აი, ეს მიშლიდა ხელს, რომ შენთვის პასუხი გამეცა.

— თავისუფლებას მივანიჭებ, ნებას თუ დამრთავ, — უთხრა ქალმა. თავისუფლება მიეცი და მოგვასვენეო, — მიუგო მეფემ.

— გისმენ და გემორჩილები! — თქვა ქალმა და გუმბათიდან გავიდა. სასახლეში წავიდა. აიღო თასი, აავსო წყლითა და რაღაც წაულაპარაკა. წყალი ჭურჭლიდან გადმოვიდა, ისე როგორც ადუღებისას იცის ხოლმე. მიასხურა ჭაბუკს და თქვა:

— ვფიცავ იმას, რაც წარმოვთქვი, იცვალე ეგ სახე და უწინდელი ხატი დაგიბრუნდესო!

ჭაბუკი შეირხა და ფეხზე წამოდგა. გაუხარდა განთავისუფლება

და თქვა:

— ვაღიარებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი, ალაჰიმც დალოცავს მას და გაუმარჯვებს! ქალმა დაუყვირა:

— გაეთრიე აქედან და აღარ დაბრუნდე, თორემ მოგკლავ. ჭაბუკი სასახლიდან გამოვიდა. ქალი დაბრუნდა და გუმბათში ჩავიდა.

— ჩემო ბატონო, გამოდი, რომ შეგხედო, — თქვა მან. მეფემ კი მისუსტებული ხმით უპასუხა: — ეს რა ჰქენი, ტოტისაგან მიხსენი და ფესვი კი დატოვე.

— ჩემო საყვარელო, რა არის ის ფესვი? — ჰკითხა ქალმა.

— ამ ქალაქის მცხოვრებლები, — მიუგო მეფემ, — და ის ოთხი კუნძული. შუაღამე რომ დადგება, თევზები თავს წამოყოფენ და მე და შენ გვწყევლიან. ეს უშლის ხელს ჩემს სრულ გამრთელებას. გაათავისუფლე ისინიც. მოდი, მომკიდე ხელი და ჯანმრთელობა დამიბრუნდება.

შენი ხმალი და ჩემი კისერი! სახელითა ალაჰისათა, — თქვა ქალმა სიხარულით მეფის ხმის გაგონებაზე, რომელიც მას მონა ეგონა.

ადგა და გახარებული ტბისკენ გაემართა. ტბიდან ცოტაოდენი

წყალი ამოიღო. და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეცხრე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ გრძნეულ ქალს თურმე ტბიდან წყალი ამოუღია და რაღაც გაუგებარი სიტყვები წაულაპარაკია. თევზები თურმე ამოძვრნენ, თავი ასწიეს და იმწამსვე ადამიანებად იქცნენ. ქალაქის მცხოვრებლებს ჯადო დაეხსნა, ქალაქი ხალხით გაივსო, გაიმართა ბაზრები, ყველამ თავის ხელობას მიჰყო ხელი და მთებიც კუნძულებად გადაიქცნენ ისე, როგორც უწინ იყო. გრძნეული ქალი კი მყისვე მეფესთან გაბრუნდა, რომელიც მას მონა ეგონა და უთხრა:

— ჩემო საყვარელო, მიბოძე შენი კეთილშობილი ხელი, უნდა გემთხვიო, მეფემ ხმადაბლა უთხრა:

— მომიახლოვდი. ქალი მივიდა. მეფემ ხელში მახვილი აიღო, ქალს მკერდში დააძგერა და ზურგში გაუყარა. მერე დაჰკრა და ორად გააპო. მეფე გარეთ გამოვიდა. ნახა, ის მონუსხული ჭაბუკი იდგა და ელოდა. მეფეს მშვიდობით გადარჩენა მიულოცა, ხელზე ემთხვია და მადლობა შესწირა.

— შენს ქალაქში დარჩები, თუ ჩემთან წამოხვალ? — უთხრა მეფემ.

დროის მეუფევ, — მიუგო ჭაბუკმა, იცი, რამდენი დღის გზაა ჩემსა და შენს ქალაქს შორის?

— ორდღენახევრისაო, — უთხრა მეფემ.

გამოფხიზლდი, მეფევ, თუ გძინავს, — თქვა ჭაბუკმა, — მე და შენს ქალაქს შორის ერთი წლის სავალია მოჩქარე მგზავრისათვის. ეს გზა ორდღენახევარში შენ იმიტომ გალიე, რომ ქალაქი მონუსხული იყო.

მერე უთხრა:

ერთ წამსაც ვერ მოგშორდებიო. მეფეს გაუხარდა:

— მადლობა ალაჰს, რომელმაც შენი თავი მომივლინა. მე შვილი არა მყოლია და ამიერიდან შენ იქნები ჩემი ვაჟიშვილიო.

გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდად გაიხარეს. მერე გზას გაუდგნენ და იარეს, ვიდრე სასახლეს არ მიაღწიეს. მეფემ სახელმწიფოს თავკაცებს მოახსენა, წმიდა ადგილების მოსალოცად მივდივარო. მოუმზადეს ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ და სულტანთან ერთად გაუდგა გზას. სულტანი თავისი ქალაქის ნატვრით იწვოდა, რომელიც უკვე ერთი წლის მიტოვებული ჰქონდა. ორმოცდაათი მამლუქის თანხლებით გაემგზავრნენ, თან საჩუქრები წაიღეს. შეუჩერებლად მიდიოდნენ დღისით და ღამით. სრულ ერთ წელიწადს გზაში იყვნენ, ვიდრე სულტნის ქალაქს არ მიაღწიეს. სულტანს ვაზირი და ლაშქარი გამოეგება. მათ უკვე დაეკარგათ სულტნის ნახვის იმედი. გამოეგება ლაშქარი და მიწას ემთხვია სულტნის წინაშე და ბედნიერი გადარჩენა მიულოცა. სულტანი სასახლეში შევიდა და ტახტზე დაბრძანდა. მიეახლა ვაზირი. სულტანმა ჭაბუკის თავგადასავალი უამბო. ვაზირმა მოისმინა ჭაბუკის ამბავი და მშვიდობით გადარჩენა მიულოცა. ყველაფერი თავისი გზით წავიდა. სულტანმა დიდძალი საჭურჭლე გასცა. ვაზირს უთხრა:

— ის მებადური მომგვარე, თევზები რომ მომიტანაო.

ვაზირმა კაცი გაგზავნა მებადურის მოსაყვანად, რომელიც იმ ქალაქის ხალხის გადარჩენის მიზეზად იქცა. მოიყვანეს და ხელმწიფემ ხალათი უბოძა. გამოჰკითხა მისი ცხოვრების ამბავი, — შვილები გყავს თუ არაო. მებადურმა უთხრა: — ერთი ვაჟი და ორი ქალი მყავსო. მაშინ ერთი ქალი მეფემ შეირთო ცოლად, მეორეზე იმ ჭაბუკმა იქორწინა. მებადურის ვაჟი მეფემ თავის სამსახურში დააყენა და მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა. ვაზირი იმ ჭაბუკის ქალაქში გაგზავნა — შავ კუნძულებზე და სასულტნო ჩააბარა. იმასთან ერთად გაგზავნა ის ორმოცდაათი მამლუქი, რომელიც

მეფეს იქიდან გამოჰყვა. ან გაატანა საბოძვარი სხვა ამირთათ-ვის. ვაზირი მეფეს ხელზე ემთხვია და გზას დაადგა. სულტანი და ჭაბუკი დარჩნენ. მებადური იმ დროის უმდიდრეს კაცად გადაიქ-ცა, მისი ქალიშვილები მეფეთა მეუღლეები შეიქნენ... ასე ცხოვ-რობდნენ ისინი, ვიდრემდის აღსასრული არ ეწიათ.

და ეს ამბავი მებარგულის ამბავზე საოცარი როდია.

# ამბავი მებარგულისა
# და სამი ქალისა

ერთი ბაღდადელი მებარგული იყო. უცოლო. ერთ დღეს თავის გოდორზე ჩამოყრდნობილი ბაზარში რომ იდგა, უეცრად მასთან ვიღაც ქალი გაჩერდა. ქალი ოქრომკედით ნაქარგ მოსულურ იზარში გახვეულიყო, მოქარგულ ფეხსამოსს ოქროს სირმა უმშვენებდა, პირბადე აიწია და პირბადის ქვეშ გამოკრთა შავი თვალები, წარბები და ქუთუთოები. ქალი ნაკვთად ნაზი და სილამაზით სრულქმნილი იყო. ტკბილი ხმით თქვა:

— აიღე შენი გოდორი და მომყე.

მებარგულმა ყურს არც კი დაუჯერა, დაავლო ხელი გოდორს და გაჰყვა. ქალი ერთი სახლის კართან შეჩერდა და დააკაკუნა. გამოვიდა ვინმე ქრისტიანი. ქალმა დინარი მისცა, ერთი წონა ზეთისხილი გამოართვა, გოდორში ჩადო და მებარგულს უთხრა:

— აიღე და მომყევიო. — ღმერთმანი, კურთხეული დღეა, —

თქვა მტვირთავმა, აიღო გოდორი და გაჰყვა. ქალი მეხილის დუქანთან შეჩერდა და იყიდა მისგან: სირიული ვაშლი, ოსმალური კომში, ომანის ატამი, ჰალაბის იასამანი, დამასკის ლოტოსი, ნილოსის კიტრები, ეგვიპტის ლიმონები, სულტანიის თურინჯი, სურნელოვანი ტვია, რეზედა, გვირილა, ტყის ყაყაჩო, ია, ასკილი. ყოველივე მებარგულს ჩაუდო გოდორში და — წაიღეო, უთხრა. მებარგულმა წაიღო და ქალს გაჰყვა. ქალი ყასაბთან გაჩერდა.

— ათი რატლი ხორცი მომიჭერიო, — უთხრა ყასაბს. ყასაბმა მოუჭრა. ქალმა ხორცი ბანანის ფოთლებში გაახვია, გოდორში ჩადო და უთხრა:

— წამოიღე. მებარგულო!

მებარგულმა აიღო და უკან გაჰყვა. ქალი ახლა ნუღლის გამყიდველთან შეჩერდა. სხვადასხვა ნუღლი გამოართვა და მებარგულს უბრძანა:

— წამოიღე და მომყევი. იმანაც აიღო გოდორი და გაჰყვა, ვიდრე ქალი ტკბილეულის გამყიდველთან არ შეჩერდა. იყიდა ხონჩა და აავსო ყველაფრით, რაც კი რამ ჰქონდა გამყიდველს: წნული ნამცხვარი, მუშკიანი ნამცხვარი, ხილის თათარა, ლიმონის კვერები, სავარცხელა, თითა, ყადის ლუკმა; მთელი ტკბილეული ხონჩაზე დააწყო და გოდორში ჩადო. მებარგულმა უთხრა:

— ასე რომ მცოდნოდა, ერთ ჯორს მოვიყვანდი და იმას ავკიდებდი ამ ტვირთსაო.

ქალს გაეღიმა და ახლა ნელსაცხებლის გამყიდველთან შეჩერდა. იყიდა მისგან სურნელოვანი წყალი ათნაირი: ვარდის, თურინჯის, არყის სის, ტირიფისა და სხვანი, აიღო ცოტაოდენი შაქარი, მუშკიანი ვარდის წყლის მასხურებელი, საკმევლის მარცვლები, საბრი, მუშკ-ამბრი, ალექსანდრიული სანთლები, ეს ყველაფერი გოდორში ჩადო და მებარგულს უთხრა:

— აიღე და მომყევიო, მებარგულმა აიღო გოდორი და გაჰყვა,

ვიდრე ქალი ერთ ლამაზ სახლს არ მიადგა, რომელსაც წინ ფართო ეზო ჰქონდა. სახლი მაღალი იყო და სვეტებზე იდგა. ორსაგდულიანი აბანოზის ხის კარი ბაჯაღლო ოქროს ფილებით იყო მოჭედილი. ქალი კარებთან გაჩერდა და წყნარად დააკაკუნა, კარები გაიღო. მებარგულმა შეხედა კარის გამღებს და თვალი ჰკიდა ტანწერწეტა, მკერდმაღალ, ლამაზსა, მშვენიერსა და მოხდენილ ქალს. შუბლი ახალ მთვარესავით უბრწყინავდა, თვალები ნიამორს მიუგავდა, წარბები — რამადანის თვის ნამგალა მთვარეს. ლოყები — ტყის ყაყაჩოს, ბაგე — სულაიმანის ბეჭედს, სახე — გაბრწყინებულ სავსე მთვარეს, ძუძუები — ორ ტოლ ბროწეულს. მუცელი ტანსაცმელში გახვეულიყო, როგორც საწერი გრაგნილი. ამ ქალის დანახვაზე მებარგულმა ჭკუა დაკარგა და კინაღამ გოდორი გადმოუვარდა თავიდან.

— ჩემს სიცოცხლეში არ გამთენებია დღე ამაზე ბედნიერი, — თქვა მან.

მეკარე ქალმა, შიგნით მყოფმა, მეხორაგე ქალსა და მებარგულს უთხრა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

იარეს და მიაღწიეს ერთ მოჩუქურთმებულ. მშვენიერსა და ფართო დარბაზს. დარბაზში შადრევნები ჩქეფდა. მინაშენნი, სკამები და გადასაფარებლები იყო. საჭურჭლეებზე ფარდები ჩამოეშვათ. დარბაზის შუაგულში ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ალებასტრის სარეცელი იდგა. ზედ წითელი ატლასის კრეტსაბმელი ეკიდა და შიგ კი ქალი იყო. ქალს ბაბილის ჯადოსნური თვალები და ალიფის მსგავსი წელი ჰქონდა. მისი პირისახე მანათობელ მზეს გააწბილებდა. თითქოს, იგი ერთი კაშკაშა ვარსკვლავთაგანი ან კეთილშობილი არაბი ქალბატონი ყოფილიყოს. ისე, როგორც მგოსანს უთქვამს:

ის, ვინც ნორჩ ყლორტებს შეადარებს შენს ტანადობას,

ამ შედარებას სიცრუედ და სიყალბედ აქცევს.
ტოტი ფოთლებით შემოსილი არის ლამაზი,
შენ კი, შიშველი, უფრო მეტად ხარ მშვენიერი.

მესამე ქალი ტახტიდან წამოდგა და დარბაზის შუაგულში გამოგოგმანდა თავის დებთან.

— რას უდგახართ, — თქვა მან, — ჩამოხსენით ტვირთი ამ საწყალ კაცს,

მეხორაგე წინ დაუდგა მებარგულს, მეკარე უკან, მესამეც მიეშველა, ჩამოართვეს გოდორი და გაცალეს. ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს, მებარგულს ორი დინარი უბოძეს და უთხრეს წადიო. მებარგული კი უცქეროდა ქალებს, ესოდენ ტურფათა და ლამაზთ. იმათზე მშვენიერი არავინ ენახა და მამაკაცები კი არა ჰყავდათ. უყურებდა სასმელებს, ხილსა, ნელსურნელებასა და სხვა რამეებს, საოცრად უკვირდა და გასვლას არ ჩქარობდა. ქალმა უთხრა:

— რა დაგემართა, რატომ არ მიდიხარ, ქირა ხომ არ გეცოტავება? მიუბრუნდა დასა და უთხრა:

— კიდევ მიეცი ერთი დინარი.

— ჩემი ქირა ამის ნახევარია, ღმერთმანი, — თქვა მებარგულმა, — მე ფული კი არ მეცოტავება, თქვენი ამბავი მაოცებს, როგორა ხართ მარტო, არც მამაკაცი გყავთ და არც არავინ გამრთობი. მინარეთს ხომ ოთხი სვეტი ამაგრებს, თქვენ კი არა გყავთ მეოთხე. ქალის ბედნიერებას მხოლოდ მამაკაცი სრულყოფს. მგოსნის ნათქვამისა არ იყოს:

შეხე ოთხ რასმე ჩემთან შეკრებილს,
ჩანგსა, უდსა და კანუნს, სალამურს.

— თქვენ სამნი ხართ და გჭირდებათ მეოთხე — ჭკვიანი და გამ-ჭრიახი, ენაფხიანი და მესაიდუმლე მამაკაცი. ქალებმა მიუგეს:

— ჩვენ ქალები ვართ და გვეშინია, საიდუმლო გავანდოთ იმას, ვინც მას ვერ შეინახავს. ჩვენ წაგვიკითხავს თქმულებებში ერთი ლექსი:

შენ საიდუმლო შეინახე, ნურვის გაანდობ,
იდუმალ ზრახვას ხვაშიადის განდობა ღუპავს.

მებარგულმა ქალების ნათქვამი მოისმინა და უთხრა:

— ვფიცავ თქვენს სიცოცხლეს, მე ჭკვიანი და სანდო კაცი ვარ, წამიკითხავს წიგნები და ვიცნობ მატიანეს. ვამჟღავნებ სიკეთეს და ვმალავ ბოროტს. და ვიქცევი, თანახმად მგოსნის ნათქვამისა:

მარტოოდენ სანდო, შეინახავს ამბავს იდუმალს,
და მხოლოდ რომ რჩეულთ შეუძლიათ მისი დაფარვა.
ო, საიდუმლო ინახება ჩემთან, ვით სახლში,
რომლის საკეტიც დაკარგულია, დახშულა კარი.

ქალებმა მოისმინეს მებარგულს ლექსი და ასე უთხრეს:

— შენ ხომ იცი, რამდენი ფული დავხარჯეთ. და შენ გაქვს კი რაიმე, რომ ხარჯი აგვინაზღაურო? ნებას არ მოგცემთ, ჩვენთან დარჩე, ვიდრე ფულს არ გადაიხდი, თუ გსურს დაჯდე ჩვენთან, ჩვენი მეინახე გახდე და უცქირო ჩვენს მშვენიერსა და ლამაზ სა-ხეებს.

— სიყვარული უფულოდ ერთი მარცვლის წონაც არ ღირს, — თქვა დიასახლისმა.

— თუ არაფერი გაბადია, როგორც მოსულხარ, ისე წაბრძანდი, — თქვა მეკარემ.

მეხორაგემ თქვა:

— ჩემო დებო, თავი დავანებოთ ამ კაცს, ალაჰს ვფიცავ, დღეს მას ჩვენთვის არაფერი დაუშავებია. მაგის ადგილას სხვა ვერ მოგვითმენდა. მაგის წილს მე გადავიხდი, რამდენიც არ უნდა იყოს. მებარგულს გაუხარდა და თქვა:

— შენ გარდა არავის ვთხოვდიო დირჰამებს.

— მხოლოდ ერთი პირობით მოგცემთ ჩვენთან დაჯდომის უფლებას, უთხრეს ქალებმა, — ესაა: იყო ზრდილი, თავდაჭერილი და არ იკითხო, რაც შენ არ გეკითხება, თორემ გაგაგდებთ და გცემთ.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, თანახმა ვარ, — მიუგო მებარგულმა, — აი, ენაც აღარა მაქვს?

ქალმა წელზე სარტყელი შემოიჭირა. ჩაამწკრივა სურები. ღვინო დააწდო, ჭურჭელი აუზის გვერდით დააწყო და მოიტანა, რაც საჭირო იყო. მერე კი ღვინო შემოიტანა. თავის დებს მიუჯდა. მებარგულმა მათ შორის მოიკალათა და თავი სიზმარში ეგონა. ქალმა ღვინის დოქი აიღო, აავსო პირველი კათხა და შესვა. მერე მეორე და მესამე გამოსცალა. კიდევ აავსო, ჯერ ერთ დას მისცა, მერე — მეორეს, ისევ აავსო და მებარგულს მიაწოდა. მებარგულმა გამოართვა თასი და ეს ლექსი წარმოთქვა:

დალიე ღვინო, შეგმატოს ჯანი,
რადგან იგია სენის მკურნალი.

და თქვა აგრეთვე ეს ბეითი:

ღვინოს სვამს მხოლოდ, ვისაც იგი სიხარულს აძლევს,
მის ნეტარებას ზარხოში ავსებს.

ამ ლექსის მერე ქალებს ხელები დაუკოცნა და იმათთან ერ-

თად დალია. დიასახლისთან შეჩერდა და უთხრა: — ჩემო ქალბატონო, მე ვარ შენი მონა. შენი მორჩილი და შენი მსახური. და წარმოთქვა:

შენს კარებთან დგას ერთი შენი მონათაგანი,
ვინც უწყის შენი გულუხვობა, მადლი, წყალობა.

ქალმა თქვა:
— დალიე, შეგარგოს, ჯანი შეგმატოს. — მებარგულმა აიღო თასი, ქალს ხელები დაუკოცნა და წაიღიღინა მგოსნის ნათქვამი:

ქალს მივაწოდე წყალნაზავი, მისი ღაწვივით წითელი ფერის,
ელვარე, როგორც ნაკვერცხლის ალი.
გამომართვა და სიცილით მითხრა:
ხალხს როგორ ასმევ ხალხისვე ღაწვებს?
ვუთხარი: — შესვი, ჩემი ცრემლია, სიწითლე მისი სისხლია ჩემი,
და ჩემმა ოხვრამ შეაზავა იგი ამ თასში.

ქალმა აიღო კათხა, შესვა და დასთან გადავიდა. მებარგული და ქალები შეუჩერებლად ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ყნოსავდნენ ყვავილებს. მებარგული ეხვეოდა და ჰკოცნიდა მათ. ერთი რაღაცას ეტყოდა, მეორე მოზიდავდა, მესამე სურნელოვან ყვავილებს მიართმევდა. ასე იყვნენ, ვიდრე არ შეზარხოშდნენ. და ღვინო რომ მოეკიდათ, ადგა მეკარე ქალი, ტანსაცმელი შემოიძარცვა და აუზში შიშველი გადაეშვა. ერთხანს ითამაშა წყალში. მერე კი პირში წყალი ჩაიგუბა და მებარგულს შეაშხეფა. კარგად დაიბანა, წყლიდან ამოვიდა და მებარგულს კალთაში ჩაუჯდა.

— ჩემო საყვარელო, უთხრა ქალმა, — რა ჰქვია ამას? — და თავისი სარცხვენელი აჩვენა.

— შენი საშო, — უთხრა მებარგულმა.

— უი, უი, როგორ არა გრცხვენია, — უთხრა ქალმა. მოჰკიდა ხელი კისერზე და ცემა დაუწყო.

— შენი ფარჯი.

არა, — მიუგო ქალმა.

— შენი ქუსი.

— არა.

— შენი კრაზანა... — ქალი კი ურტყამდა. ისე, რომ ლამის კეფა და კისერი გაუსკდა მებარგულს.

— მაშ რა ჰქვია? — თქვა მებარგულმა.

— მამაცის ღიღილო.

მადლობა ალაჰს, რომ გადავრჩი, მამაცის ღიღილოვ! — თქვა მებარგულმა. ისევ ჩამოატარეს თასი და ფიალა.

ახლა მეორე ქალი ადგა, ტანთ გაიხადა და აუზში გადაეშვა. ისიც ისევე მოიქცა, როგორც პირველი. ამოვიდა და მებარგულს კალთაში ჩაუჯდა. სარცხვენელი აჩვენა და ჰკითხა:

— ჩემო თვალის სინათლევ, რა ჰქვია ამას?

— შენი ფარჯი, — მიუგო მებარგულმა.

— რას ამბობ, არა გრცხვენია? — უთხრა ქალმა და ისეთი სილა გააწნა, რომ მთელი დარბაზი აზრიალდა.

— მამაცის ღიღილო. არა, თქვა ქალმა და ისევ ცემა და სილაქი კეფაში.

— მაშ რა ჰქვია?

— გაფცქვნილი გუნჯუთი, — მიუგო ქალმა. ადგა მესამე, გაიხადა ტანსაცმელი, ჩავიდა იმ აუზში და ისევე მოიქცა, როგორც სხვები იმაზე ადრე. მერე ჩაიცვა, მებარგულს კალთაში ჩაუჯდა და იმანაც იგივე ჰკითხა. მებარგულმაც ხან ასე უთხრა და ხან ისე. ქალი კი ურტყამდა, სანამ არ ჰკითხა მებარგულმა — რა ჰქვიაო.

— აბუ მანსურის ხანე, — მიუგო ქალმა.

ცოტა ხნის შემდეგ მებარგული წამოდგა. ტანსაცმელი გაიძრო

და წყალში ჩავიდა. იბანავა, როგორც იმათ იბანავეს, ამოვიდა და დიასახლისს ჩაუჯდა კალთაში, ხელები მეკარეს დაუწყო მუხლებზე, ფეხები მეხორაგეს. მერე კი აჩვენა თავისი სარცხვენელი და იკითხა: ქალბატონებო, რა ჰქვია ამას?

ქალებს გაეცინათ ისე, რომ სიცილისგან გადაბრუნდნენ.

— შენი ზები, — უთხრეს მათ.

— არა! — თქვა მებარგულმა და თითოეულ მათგანს უკბინა.

— შენი ეირი.

— არაო, და თითოეულს მოეხვია... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები...

და როდესაც დადგა ღამე მეათე, უთხრა მას თავისმა დამ დუნიაზადმა: დაამთავრე შენი მოთხრობა, — სიყვარულითა და პატივისცემით, — მიუგო შაჰრაზადმა და თქვა: — ხელმწიფევ სვიანო, გამიგონია, რომ ქალები მებარგულს ეუბნებოდნენ:

— შენი ეირი, შენი ზებიო. მებარგული ჰკოცნიდა, ჰკბენდა და ეხვეოდა მათ. ისინი კი იცინოდნენ და ბოლოს ჰკითხეს: — მაშ რა ჰქვიაო.

— მამაცი ჯორი, — მიუგო მან, — რომელიც ძოვს მამაცის ღიღილოს, მიირთმევს გაფცქვნილ გუნჯუთს და ღამეს ათევს აბუ მანსურის ხანეში.

ისევ მიუბრუნდნენ ლხინსა და ნადიმობდნენ, ვიდრე არ დაღამდა. მაშინ მებარგულს უთხრეს:

— ახლა კი წადი, შენი ბეჭების სიგანე დაგვანახეო.

ალაჰს ვფიცავ, აქედან წასვლას სულის ამოსვლა მირჩევნიაო, — თქვა მებარგულმა. — მოდი მოვიცადოთ, ვიდრემდის ღამეს დილა შეცვლიდეს, მერე კი ყველანი ჩვენ-ჩვენს გზას ვეწიოთო.

— გაფიცებთ ჩემს სიცოცხლეს, — თქვა მეხორაგემ, — ნება დართეთ, ჩვენთან დაიძინოს და ბევრს გვაცინებს, იგი ხომ ასეთი მხიარული და ოხუნჯია.

მაშინ ქალებმა თქვეს: — დაგტოვებთ, მხოლოდ ერთი პირობით: დაგვემორჩილო და ხმა არ ამოიღო, რაც არ უნდა ნახო და არც არაფრის მიზეზი იკითხო. — კარგიო, — თქვა მებარგულმა.

ადექი და ნახე, რა წერია კარებზე, — უთხრეს ქალებმა. მებარგული მივიდა და ხედავს, კარებზე ოქროცურვილი ასოებით გამოყვანილია: „არ იკითხო, რაც შენ არ გეკითხება, გაიგონებ, რაც არ გეჭაშნიკება!“.

— ალაჰი იყოს ჩემი მოწმე, — თქვა მებარგულმა, — თუ ვიკითხო, რაც მე არ მეკითხება.

მაშინ ადგა მეხორაგე, სუფრა გააწყო და შეექცნენ. აანთეს სანთლები და საბრი აკმიეს. ისევ საჭმელად და სასმელად დასხდნენ, და უეცრად კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. არ წამოშლილან. ადგა ერთი ქალთაგანი, კარებისკენ წავიდა. დაბრუნდა და თქვა: — გასრულდა ამ ღამ ჩვენი სიამე — კარზე წვერგაპარსული სამი უცხოელია, სამივე მარჯვენა თვალით ბრმა, ეს რა საოცარი დამთხვევაა! ისინი უცხო ტომისანი არიან და რუმის ქვეყნით მოსულან. სამივე სასაცილო შესახედავია. რა ვიცინებდით, რომ შემოვიდნენ.

ქალი ელაციცებოდა თავის მეგობრებს, ვიდრე არ უთხრეს:

— შემოვიდეს, ოღონდ გააფრთხილე: არ იკითხოთ, რაც თქვენ არ გეკითხებათ, თორემ გაიგონებთ. რაც არ გეჭაშნიკებათ-თქო.

ქალს გაუხარდა. გავიდა და შემოუძღვა წვერულვაშგაპარსულ სამ ცალთვალას. ისინი დერვიშები იყვნენ. სალამი თქვეს და უკან დაიხიეს. ქალები მიეგებნენ და სუფრასთან დასვეს. ამ ცალთვალდავსებულებმა შეხედეს მებარგულს და ნახეს, მთვრალია. კარგად რომ დააკვირდნენ, იფიქრეს, ისიც ჩვენი ჯურისააო, და თქვეს:

ისიც ჩვენსავით დერვიში უნდა იყოს და ჩვენ შემოგვიერთდებაო.

მებარგულმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს, ადგა და თვალები

داابრიალა:

— ისხედით და ბევრს ნუ ყბედობთ. — განა არ წაიკითხეთ, რა წერია კარებზე?

— ქალებს გაეცინათ — ეს დერვიშებიცა და მებარგულიც ბევრს გვაცინებენო, — უთხრეს ერთმანეთს.

დერვიშებს საჭმელი მიართვეს. დერვიშებმა ჭამეს. მერე კი სანადიმოდ დასხდნენ. მეკარე ქალი ასმევდა მათ და, ათასი რომ ჩამოატარეს, მებარგულმა დერვიშებს უთხრა:

— მეგობრებო, რაიმე ამბავი ან ნაკვესი ხომ არ იცით, რომ თავი შეგვაქცევინოთო.

დერვიშები შეხურდნენ და საკრავები მოითხოვეს. მეკარემ მოსულური დაირა, ერაყის ქუდი და სპარსული ჩანგი მოუტანა. ისინი წამოდგნენ; ერთმა დაირას მოჰკიდა ხელი, მეორემ – უდსა, მესამემ — ჩანგსა და დაკვრა დაიწყეს. ქალები მღეროდნენ და იმათი ხმა შორს გაისმოდა. ამ ამბავში რომ იყვნენ, უეცრად კარზე ვიღაცამ داააკაკუნა. მეკარე ქალი ადგა, ენახა ვინ იყო. კარებზე داابრახუნების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმ ღამეს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი ჩამობრძანებულიყო სასახლიდან, რათა ეხილა და ესმინა, ახალი რა იყო ამქვეყნად. თან ახლდა ჯაფარი, ვაზირი მისი, და მასრური, მეხრმლე მისი, შურისმგებელი. ხალიფას ჩვეულებად ჰქონდა ვაჭრად გადაცმულიყო. და, აი, იმ ღამეს გამოვიდა იგი, ქალაქში გაისეირნა და გზად ჩაუარა იმ სახლს. საკრავების ხმა შემოესმათ. და უთხრა ჯაფარს ხალიფამ:

მინდა შევიდე ამ სახლში და ვნახო ვისი ხმებია.

— მთვრალი ხალხია და შფოთი არ აგვიტეხონ, — მიუგი ჯაფარმა.

— უთუოდ უნდა შევიდე და იღონე რამეო, — უთხრა ხალიფამ.

— გისმენ და გემორჩილები, — თქვა ჯაფარმა, მივიდა და კარზე داააკაკუნა. გამოვიდა მეკარე ქალი და კარი გააღო.

— ქალბატონო, — უთხრა ჯაფარმა, — ჩვენ ტაბარიელი ვაჭრები

გახლავართ, ათი დღეა, რაც ბაღდადს გეახელით, თან საქონელი ჩამოვიტანეთ და ვაჭართა ფუნდუკში გავჩერდით. ამ ღამით ერთმა ვაჭარმა დაგვპატიჟა. ვესტუმრეთ, გაგვიმასპინძლდა, ვჭამეთ, ვინადიმეთ ერთხანს და მერე წასვლის ნება დაგვრთო. ღამით გამოველით. უცხოელები ვართ და გზა დაგვებნა, ფუნდუკს ვეღარ მივაგენით. იმედი გვაქვს, შეგვიწყალებთ, ამაღამ სახლში შეგვიყვანთ და ღამეს გაგვათევინებთ, და ალაჰი გიზღავთ სამაგიეროს.

მეკარე ქალმა შეხედა. ხედავს, ვაჭრებს გვანან, დარბაისლური იერი აქვთ. ქალი შებრუნდა მეგობრებთან და მოეთათბირა. იმათ უთხრეს შემოიყვანეო. ქალი გამოვიდა და კარი გაუღო. — შეიძლება შემოსვლა? — იკითხეს მათ.

შემობრძანდით, — მიუგო ქალმა. ხალიფა შევიდა ჯაფარისა და მასრურის თანხლებით. იმათ დანახვაზეც ქალები წამოდგნენ, მიეგებნენ და თქვეს:

— გამარჯობა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო სტუმრებო, ოღონდ ერთი პირობა უნდა ჩამოგართვათ: არ იკითხოთ, რაც თქვენ არ გეკითხებათ, თორემ გაიგონებთ, რაც არ გეჭაშნიკებათ.

— კარგიო, — თქვეს და დასხდნენ, სასმელად და სანადიმოდ. ხალიფამ შეხედა დერვიშებს. ხედავს, სამივეს დავსებული აქვთ მარჯვენა თვალი. გაოცდა. შეხედა ქალებს, ესოდენ ტურფათა და ლამაზთ. გაოგნდა და განცვიფრდა. განაგრძეს ლხინი და საუბარი. ხალიფას ღვინო მიართვეს. ხალიფამ თქვა:

— მე პილიგრიმი ვარ და არა ვსვამო.

მაშინ მეკარე ქალმა ხალიფას მოქარგული სუფრა მიართვა, ზედ ფაიფურის ფიალა დადო, ტირიფის წვენი დაუსხა, წვენში ყინული ჩაუდნო და შაქრით შეაზავა. ხალიფამ მადლობა მოახსენა და გუნებაში გაივლო — ამ სიკეთისათვის ხვალ სამაგიეროს მი-

ვაგებ. შეუდგნენ ნადიმობასა და როცა შეზარხოშდნენ, დიასახლისი წამოდგა, სტუმრებს მოემსახურა. მერე კი მეხორაგეს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

ადექი, ჩემო დაო, აღვასრულოთ ჩვენი ვალი.

— კარგიო, — მიუგო ქალმა.

ამ დროს წამოდგა მეკარე ქალი, ოთახი მიალაგ-მოალაგა, ნამუსრევი გადაყარა, საკმეველი გამოცვალა. დარბაზის შუაგული მოწმინდა. დერვიშები ერთ მხარეს გადასვა ლავგარდანზე. ხალიფა, ჯაფარი და მასური კი მეორე მხარეს, დებს ამოუდგა და მებარგულს შესძახა:

— რა მცირე ყოფილა შენი სიყვარული! უცხო ხომ არა ხარ, შენც ამ სახლის ბინადარი ხარ!

მებარგული ადგა, სარტყელი შემოიჭირა და თქვა: — რას მიბრძანებთო.

— შენს ადგილას იყავ, — მიუგეს მათ. ადგა მეხორაგე და მებარგულს უთხრა:

— მომეხმარეო.

და დაინახა მებარგულმა კისერზე ჯაჭვგამობმული ორი შავი ძაღლი. ქალმა მაჯები დაიკაპიწა. მათრახი აიღო და მებარგულს უთხრა:

— მომგვარე ერთ-ერთი ძაღლი. მებარგულმა ძაღლი ჯაჭვით დაითრია და ქალს მიუყვანა. ძაღლი წკმუტუნებდა და ქალისაკენ მიიწევდა. ქალი ჩამოვიდა და ძაღლს თავში ცემა დაუწყო. ძაღლი აყმუვლდა. ქალი კი ურტყამდა, ვიდრე ხელები არ დაეღალა. მაშინ კი ისროლა მათრახი, ძაღლი გულში ჩაიკრა, ცრემლები მოსწმინდა და თავზე აკოცა.

— წაიყვანე და მეორე მომგვარეო, — უთხრა მან მებარგულს. მებარგულმა მეორე ძაღლი მოჰგვარა. ქალი იმასაც ისევე მოექცა, როგორც პირველს. ამასობაში ხალიფას ცნობის წადილი აღეძრა. შეწუხდა, ჯაფარს თვალი უყო — აბა ჰკითხეო. ჯაფარმა

ანიშნა — გაჩუმდიო. დიასახლისი ამ დროს მეკარეს მიუბრუნდა და უთხრა: — ადექი, აღასრულე ვალი შენი.

— კარგიო, — მიუგო მან. დიასახლისი ოქრო-ვერცხლით მოოჭვილ ალებასტრის ტახტზე ავიდა. მეკარესა და მეხორაგეს უთხრა:

— მოიტანეთ, რაცა გაქვთ!

მეკარე ქალი ტახტზე ავიდა და დიასახლისს მიუჯდა. მეხორაგე ოთახში შევიდა, მწვანე ფოჩებიანი ატლასის შალითა გამოიტანა, გახსნა და უდი ამოიღო. სიმები ააწყო და ეს ბეითები დაამღერა:

ჩემს ქუთუთოებს დაუბრუნეთ ძილი გამქრალი,
გამაგებინეთ, სად წავიდა ჩემი გონება!
მას შემდეგ, რაც კი სიყვარულიან დავიდე ბინა,
ჩემს ქუთუთოებს სამუდამოდ შემოსწყრა ძილი.
მითხრეს. ჭეშმარიტ გზაზე გთვლიდით და რამ გაცთუნა.
მე ვთქვი, მიზეზი მის მზერაში უნდა ეძებოთ.
მე შემინდვია მისთვის ჩემი სისხლის დაქცევა
და მე ვიტვირთე მისი სისხლის მთელი სიმძიმე
ჩემს ფიქრის სარკეს მან მზის დარი სტყორცნა სურათი
და ნაპერწკალი ცეცხლის ალად გარდიქცა გულში.
მისთვის, ვინც ალაჰს ჩამოუსხამს სიცოცხლის წყლისგან,
ტუჩზე ულვაშად მიუცია ნარჩენი მისი.
და რას უხსენებ ნეტა მიჯნურს, როგორ გგონია.
ჩივილის, მოთქმის, სევდისა და წუხილის გარდა.
აჩრდილი შენი დაინახა ანკარა წყალში,
დალევა სურდა, და ვერ შესვა, როდესაც დაწვდა.

და წარმოთქვა აგრეთვე:

მე განა ღვინომ, მისი მზერის ეშხმა დამათრო,
წარმტაცა მისმა წელის რხევამ თვალთაგან ძილი.
მე განა ღვინომ დამაჭლექა, — იმისმა ყელმა,
მე გრილმა ღვინომ არ დამავრდო — ღირსებამ მისმა.
მისი საფეთქლის ხვეულებმა წამართვეს ძალი,
დაღუპა მისმა პერანგს ქვეშამ ჩემი გონება.

— ალაჰმა გაამოს, — თქვა ქალმა, რა მოისმინა ეს ბეითები, შემოიძარცვა ტანსაცმელი და გულწასული დაემხო მიწაზე. გაღეღილ სხეულზე ხალიფამ შოლტებისა და მათრახების ნაკვალევი შეამჩნია. — ძლიერ გაოცდა. ადგა მეკარე, ქალს სახეზე წყალი მიასხურა, ტანსაცმელი მოუტანა და ჩააცვა.

— ხედავ ამ ქალსა და მის ნაგვემ სხეულს? — უთხრა ხალიფავ ჯაფარს. — მე აღარ ძალმიძს გაჩუმება, ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ შევიტყობ სინამდვილეს ამ ქალსა და ძაღლზე.

— უფალო ჩვენო, — მიუგო ჯაფარმა, — მათ ხომ პირობა ჩამოგვართვეს, არ ვიკითხოთ, რაც ჩვენ არ გვეკითხება, თორემ გავიგონებთ, რაც არ გვეჯაშნიკება.

მერე მეხორაგე ადგა, უდი მკერდზე მიიხუტა, თითები ჩამოჰკრა და იმღერა:

რომ დავიჩივლოთ სიყვარულზე, ო. ნეტა რა ვთქვათ?
სხვა რაღა გზაა. თუ დაგვღუპა ჩვენ კაეშანმა?
იქნებ ჩვენს ნაცვლად მივუგზავნოთ მოციქულები,
მაგრამ მოციქულს მიჯნურთ მდურვის ახსნა არ ძალუძს.
თუ მოვითმინოთ. ყოველივე გადავიტანოთ?
მაგრამ გულისსწორს რომ დავკარგავთ. ცოტასღა ვცოცხლობთ.
და გვრჩება მხოლოდ მწუხარება. ჭმუნვა და ურვა,
მხოლოდ ცრემლები. ღაწვებზე რომ მოედინება

ჰოი, წარსულნო. თუმც განშორდით ჩემს თვალთა მზერას,
მაგრამ ჩემს გულში დაივანეთ სამარადისოდ.
მიჯნურთა აღთქმას, სიყვარულის წინაშე აღთქმულს
იცავთ თუ არა, არ შესცვალოს იგი ჟამთა სვლამ.
იქნებ სიშორემ თქვენ მიჯნური გადაგავიწყათ,
ღონემიხდილი, ჩამომდნარი, ქცეული ლანდად.
მაშინ, როდესაც ჩვენ განკითხვის დღე შეგვახვედრებს,
მე შევთხოვ უფალს, გაგვიგრძელოს განკითხვის ჟამი.

მეორე კასიდის მოსმენაზე ქალმა შესძახა — ალაჰიმც გაამებ-სო — და გულწასული დაემხო. ადგა მეხორაგე და წყალი ასხურა; ტანსაცმელი გამოუცვალა. ქალი წამოდგა და ტახტზე დაჯდა. დას უთხრა:

— მიმღერე, რომ აღვასრულო ჩემი ვალი, ამ სიმღერის მეტი აღარ დარჩა.

მეხორაგემ უდი ააწყო და ეს ბეითები იმღერა:

როდემდის უნდა გამირბოდე, იყო გულცივი,
ო, მე იმდენი ცრემლი ვღვარე, რომ ესეც კმარა.
ნეტა როდემდის გააგრძელებ ამ განშორებას?
ჩემი მეშურნე უკვე ხარობს, ეს გსურდა ალბათ.
მუხთალი ბედი სამართლით რომ განსჯიდეს მიჯნურს,
არ ეგებოდა სამართალი მკიცხველთა მიმართ.
ვიღას გავანდო სანდომელი, ო, ჩემო მკვლელო.
ვაჰ, მომჩივანის უსასობას აღთქმა რომ ტყდება.
შენი ტრფიალი გადამექცა მე მწუხარებად,
როს დავდე აღთქმა და სანაცვლო ვეღარ მივიღე.
ჰოი, მუსლიმნო, თქვენ აიღეთ მიჯნურის სისხლი,
ათასი ღამე უძილო რომ ერთ წამად ექცა.
მიჯნურთ კანონი თუ იძლევა იმის უფლებას,

რომ მე დავდრკე და სხვა ამაღლდეს სატრფოსთან შეყრით.
თქვენი ტრფიალი მე ვიტვირთე დიდი სიამით
და ამაოა, ვინც განკიცხავს ხვალ ჩემს სიყვარულს.

მესამე კასიდის გაგონებაზე ქალმა დაიყვირა, ტანსაცმელი შემოიხია და უგონოდ დაეცა... და ისევ გამოჩნდა მათრახების ნაკვალევი გაღეღილ სხეულზე.

დერვიშებმა თქვეს:

— ნეტა აქ არ შემოვსულიყავით და სანაგვეზე გაგვეთია ღამეო, ჩვენი ღამისთევა აქ ისეთმა რაიმემ აამღვრია, რაც ფოლადსაც გასტეხს. ხალიფა მიუბრუნდა მათ და უთხრა: რატომაო.

— ჩვენი გული ცნობის წადილმა შეიპყრო, — მიუგეს მათ.

— განა თქვენ ამ სახლის ბინადარნი არა ხართ? — ჰკითხა ხალიფამ.

— არა და არც არაოდეს არ გვინახავს ეს ადგილი.

ხალიფა გაოცდა. — იქნებ იმ კაცმა იცის ეს ამბავი, თქვენ რომ გახლავთ, — იკითხა მან. მებარგულს თვალი უქნა და ამბავი ჰკითხა.

— ჩვენ ერთნაირად არაფერი გაგვეგება, — მიუგო მებარგულმა, — ჩემს სიცოცხლეში ფეხი არ დამიდგამს ამ სახლში დღევანდელ დღემდე, თუმცა ბაღდადში კი გავიზარდე.

— შენც იმათგანი გვეგონე, — უთხრეს მათ, — ახლა კი ვხედავდი, შენც ჩვენს დღეში ყოფილხარ.

მაშინ ყველამ თქვა: — შვიდი მამაკაცი ვართ, ქალი კი სამია და მეოთხეც არა ჰყავთ. ვკითხოთ ამბავი და ნებით თუ არ გვითხრეს, ძალით ვათქმევინოთ. — ყველა დათანხმდა. მხოლოდ ჯაფარმა თქვა: — არ არის მართებული, თავი დაანებეთ. ჩვენ იმათი სტუმრები ვართ. პირობაც ჩამოგვართვეს. ცოტაღა დარჩა გათენებამდე და მერე კი ყოველი ჩვენგანი თავისი გზით წავა. — ხალიფას

კი თვალი ჩაუკრა. — ერთი საათიღა დაგვრჩენია, ხვალ დავიბა-როთ ისინი შენ წინაშე და მაშინ ვკითხოთ ამბავიო. ხალიფა უარ-ზე იყო: — ვეღარ ვითმენ მათი ამბის გაუგებლობასო.

ატეხეს ერთი მითქმა-მოთქმა, ვინ ჰკითხოსო.

— მებარგულმა, — თქვა ვიღაცამ.

— ჰეი, ხალხო და ჯამაათო, რას ლაპარაკობთ? — იკითხეს ამ დროს ქალებმა.

მებარგული ადგა და დიასახლისს მოახსენა:

— ჩემო ქალბატონო, ღვთის გულისთვის, გთხოვ და ღმერთს გაფიცებ, გვითხრა ამ ორი ძაღლის ამბავი. რატომ აწამებ. მერე კი სტირი და ჰკოცნი. გვითხარი კიდევ, რატომ უგემიათ მათრახე-ბით შენი და ჩვენი საკითხავი სულ ეს არის — გათავდა და მორჩა!

— მართალია, რასაც ამბობს თქვენზე ეს მებარგული? — იკით-ხა ქალმა.

— დიახ, — თქვა ყველამ, ჯაფარის გარდა.

— ალაჰს ვფიცავ, ძლიერ მაწყენინეთ, ჩემო სტუმრებო, — თქვა ქალმა,

— ჩვენ ხომ ადრევე დავთქვით: — ვინც იკითხავს, რაც მას არ ეკითხება, გაიგონებს, რაც არ ეჭაშნიკება. განა არ გეყოთ, რომ შინ შემოგიყვანეთ და ჩვენი პურმარილი გაგიზიარეთ? მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის. დამნაშავე ისაა, ვინც თქვენ აქ მოგიყვა-ნათ. ქალმა მაჯები დაიკაპიწა და სამჯერ დააკაკუნა იატაკზე. — იჩ-ქარეთო, — თქვა და მეესეულად საგანძურის კარი გაიღო და იქი-დან ხმალამოწვდილი შვიდი მონა გამოვარდა.

— გაკოჭეთ ეს ყბედები და ერთმანეთს გადააბით, — ბრძანა ქალმა.

მზეთუნახავო, ნება გვიბოძე, თავები დავაყრევინოთ, — მიუგეს მათ.

— ცოტა ხანს ადროვეთ, თავის მოკვეთამდე ამბავი უნდა ვკით-ხო. მებარგულმა თქვა:

— ალაჰს გაფიცებ, ჩემო ქალბატონო, მე არ მომკლა სხვისი გულისათვის. ყველა შეცდა და შესცოდა ჩემ გარდა. რა კარგი იყო ეს ღამე, დერვიშები რომ არ გადაგვყროდნენ. ისინი ხომ აყვავებულ ქალაქსაც ნანგრევებად აქცევენ, და წარმოთქვა:

ო, რა კარგია, რომ ძლიერი შეუნდობს ვისმე,
განსაკუთრებით ადამიანს უძლურს. უმწეოს.
და მე გაფიცებ წმიდა გრძნობას, ჩვენში რომ არის,
პირველის გამო შენ არ მოკლა მეორე კაცი.

მებარგულმა ლაპარაკი დაამთავრა. ქალს გაეცინა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთერთმეტე, შაჰრაზადმა თქვა: — მეფევ სვიანო, მსმენია, რომ თურმე ქალმა გაიცინა, განრისხების შემდგომ, მიუბრუნდა ჯამაათსა და უთხრა:

— მიამბეთ თქვენი ამბავი, ერთი საათის სიცოცხლეღა დაგრჩენიათ. თქვენ რომ დიდებულები და თქვენი ხალხის თავადები და მთავრები არ იყოთ, უსათუოდ დავაჩქარებდი თქვენს სასჯელს.

— ვაი შენ, ჯაფარო, — თქვა ხალიფამ, — უთხარი ვინცა ვართ, თორემ მოგვკლავს. ჯაფარმა თქვა: — ახია ჩვენზე, რატომ მეტს არ შეგვამთხვევსო.

— რა დროს ხუმრობაა ამ გასაჭირის ჟამს, ყველაფერს თავისი დრო აქვს, — უთხრა ხალიფამ. ამასობაში ქალი დერვიშებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

თქვენ ძმები ხომ არა ხართ?

არა, ღმერთმანი, ჩვენ მხოლოდ უცხო ქვეყნით მოსული დერვიშები გახლავართ, — მიუგეს მათ.

— შენ ცალთვალა დაიბადე? — ჰკითხა ქალმა ერთ-ერთს.

არა, ღმერთმანი, — უთხრა მან. — მე საოცარი რამ შემემთხვა,

თვალი როცა დავკარგე. ეს ამბავი რომ თვალის უპეებზე ნემსით დაიწეროს, შეგონება იქნებოდა იმისათვის, ვინც შეიგონებს.

ქალი შეეკითხა მეორესაც, მესამესაც და იმათაც ასევე უპასუხეს: — ყველანი სხვადასხვა ქვეყნიდან ვართ, საკვირველია მოთხრობა ჩვენი და იშვიათია ამბავი ჩვენიო. მაშინ ქალი მიუბრუნდა მათ და უთხრა:

— თითოეულმა თქვენგანმა მოგვითხროს თავისი თავგადასავალი და ჩვენთან მოსვლის მიზეზი. მერე კი თავზე ხელი გადაისვას და თავის გზას ეწიოს. ყველაზე უწინ მებარგული წარდგა და თქვა:

— ბატონებო, მე ერთი მებარგული კაცი ვარ. ამ მეხორაგე ქალმა ტვირთი წამომაღებინა და აქ მომიყვანა. აქ კი თქვენთან ერთად გადამხდა ის, რაც გადამხდა. ეს არის ჩემი მოთხრობა. გათავდა და მორჩა!

— მოისვი თავზე ხელი და წადი, — უთხრა ქალმა.

— ალაჰს ვფიცავ, ვერ წავალ, — თქვა მებარგულმა, — ვიდრე ჩემი ამხანაგების ამბავს არ მოვისმენ.

მაშინ წინ წარდგა პირველი დერვიში და მოახსენა:

— ჩემო ქალბატონო, იცოდე ჩემი წვერის გაპარსვისა და თვალს დავსების მიზეზი;

## პირველი დერვიშის ნაამბობი

მამაჩემი ხელმწიფე იყო. ძმა ჰყავდა, რომელიც მეორე ქალაქში მეფობდა. მოხდა ისე, რომ დედაჩემმა სწორედ იმ დღეს გამაჩინა, რა დღესაც ბიძაჩემის ვაჟი დაიბადა. გაიარეს წლებმა, გაიარეს დღეებმა. გავიზარდეთ. ზოგჯერ ვესტუმრებოდი ხოლმე ბიძაჩემსა და თვეობით ვრჩებოდი. მივედი ერთხელ და ბიძაჩემის ვაჟმა დიდი პატივი მცა: ცხვრები დამიკლა, ღვინო დააწდო ჩემ-

თვის. ვისხედით და ვსვამდით. ღვინო რომ მოგვეკიდა, ბიძაშვილმა მითხრა:

— შენთან ერთი დიდი სათხოვარი მაქვს. რაღაცის გაკეთებას ვაპირებ და ხელი არ შემიშალო.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — ვუთხარი მე.

ჩემმა ბიძაშვილმა დიადი ფიცი დამადებინა, იმწამსვე ადგა და ცოტა ხნით სადღაც გაქრა. მერე კი ვიღაც მორთულ-მოკაზმულ ქალთან ერთად დაბრუნდა. ქალს ნელსაცხებელი ეპკურებინა და ძვირფასი სამოსელი ეცვა. ბიძაშვილი მომიბრუნდა და მითხრა:

— წაიყვანე ეს ქალი და ამა და ამ სასაფლაოზე მიდი ჩემზე ადრეო. ამიწერა ის სასაფლაო, მივხვდი, რომელიც იყო.

— ქალი აკლდამაში შეიყვანე და იქ დამელოდე. მე ხელი ვერ შევუშალე, ვერც სიტყვა შევუბრუნე, რადგან ფიცით ვიყავი შეკრული. წავიყვანე ქალი და ვიარე, ვიდრე აკლდამაში არ შევედი. ის იყო დავჯექი, რომ ჩემი ბიძაშვილიც მოვიდა. თან მოიტანა ერთი ტაშტი წყალი, ერთი ტომარა კირი და წერაქვი. აიღო წერაქვი, მივიდა საფლავთან, რომელიც აკლდამის შუაგულში იყო. დაშალა და გამოანგრია ქვები საფლავის გვერდზე. შემდეგ კი წერაქვით მიწა გამოთხარა, ისე რომ პატარა კარების ტოლა სარქველი გამოჩნდა. სარქველის ქვეშ კი თაღისებრი კიბე იყო. ქალს მიუბრუნდა, ანიშნა და უთხრა:

— აჰა, მიიღე, რაც აირჩიე, ქალი კიბეზე ჩავიდა. ის კი მომიბრუნდა და მითხრა:

— ჩემო ბიძაშვილო, დაასრულე შენი სიკეთე. შიგ რომ ჩავალ, საფლავს თავი დაახურე და მიწა მიაყარე, ისე როგორც იყო. ეს იქნება შენი სიკეთის სრულქმნა. აიღე ტომარაში რომ კირია, წყალი ტაშტში არის და დუღაბი მოზილე. საფლავი დაადუღაბე ქვების ირგვლივ ისე, როგორც პირველად იყო, ეჭვი არავინ აიღოს, რომ საფლავი ახალი გახსნილია და ძველი ეგონოს. მე მთელი წელი ვმუშაობდი შიგ და ალაჰის მეტმა არავინ უწყის. აი, ეს არის

ჩემი სათხოვარი. მერე კი მითხრა:

— ალაჰსაც ნუ მონატრებიხარ, ბიძაჩემის ვაჟოო, და კიბეზე ჩავიდა.

თვალს რომ მოეფარა, ავდექი, საფლავს თავი დავახურე, და გავაკეთე ყველაფერი ისე, როგორც მიბრძანა. საფლავი ისეთივე გახდა, როგორიც პირველად იყო. დავბრუნდი ბიძაჩემის სასახლეში. ბიძაჩემი სანადიროდ და მხეცთა საჭერად წასულიყო. იმ ღამეს დავიძინე და როცა გათენდა, გამახსენდა წუხანდელი ღამე და ყოველივე, რაც ჩემსა და ჩემს ბიძაშვილს შორის მოხდა. ვინანე, რაც ჩავიდინე, მაგრამ სინანული რაღას მარგებდა. მერე სასაფლაოზე წავედი. ვეძებე ის საფლავი, მაგრამ ვეღარ ვიპოვე. სასახლეში დავბრუნდი. არც მიჭამია, არც მისვამს. ჩამაფიქრა ჩემმა ბიძაშვილმა. არ ვიცოდი, რაში იყო საქმე. ძლიერ დავღონდი. ის ღამე შეჭირვებულმა გავათენე. როცა გათენდა, მეორედ წავედი სასაფლაოზე. ვფიქრობდი, ჩემი ბიძაშვილის საქციელზე. ვნანობდი, რომ დავუჯერე. ყველა საფლავი დავათვალიერე და ის ვერ ვიცანი. ამაოდ ვეძებე შვიდი დღის განმავლობაში. გამოსავალი იმაშიღა ვპოვე, გავმგზავრებულიყავ და მამაჩემთან დავბრუნებულიყავი. ის იყო შევედი მამაჩემის ქალაქში, რომ ქალაქის კარიბჭესთან თავს დამესხნენ და შემბოჭეს. ძლიერ გამიკვირდა: მე იმ ქალაქის სულტნის ვაჟი ვიყავი, ისინი კი მამაჩემის მსახურები და ყმები. ძლიერ შევშინდი. — ნეტა მამაჩემს ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი, — გავიფიქრე. მიზეზი ვიკითხე და არ მიპასუხეს. ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთმა მითხრა. წინათ ის მამაჩემის მსახური იყო, — მამაშენს ბედმა უმუხთლა, ლაშქარმა უღალატა და იგი ვაზირმა მოკლაო. ჩვენ კი ჩასაფრებული ვიყავით, შენს დაბრუნებას ველოდითო.

ხელი მომკიდეს. მე გული წამივიდა მამაჩემის ამბის გაგონებაზე. წარვდექი ვაზირის წინაშე. ჩვენ შორის დიდი ხნის მტრობა

იყო. ამ მტრობის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მე გატაცებით მიყვარდა სროლა. ერთ დღეს, ჩემი სასახლის ბანზე რომ ვიდექი, უეცრად ვაზირის სასახლის სახურავზე ჩიტი დაჯდა, ვაზირიც იქვე იდგა. მინდოდა ჩიტისთვის მესროლა, მაგრამ ანაზდად ფინთიხი ჩიტს ასცდა და ვაზირს შიგ თვალში მოხვდა. დაბრმავდა ვაზირი განგებითა და ბედისწერით, ისე როგორც მგოსანს უთქვამს:

დე, ბედისწერამ აღასრულოს, რასაც ინებებს,
იყავ ნეტარი იმით, რასაც განგება სჩადის.
ნურც გახარებს და ნურც გაღონებს ქვეყნად რაიმე,
რამეთუ ქვეყნად ყოველივე წარმავალია.

ანდა, ისე როგორც მეორეს უთქვამს:

ამქვეყნად წავალთ ბედის მიერ მოხაზულ გზებით.
რაც უწერია, იმ გზას მისდევს კაცი ყოველი.
და ვისაც რომელ ქვეყანაში ელის სიკვდილი,
ვერ მოეწევა აღსასრული იმ ქვეყნის მიღმა.

— ვაზირი დავაბრმავე, — განაგრძო დერვიშმა, — მაგრამ ვერაფერი გამიბედა, რადგან მამაჩემი იმ ქალაქის მეფე იყო. ეს გახლდათ მიზეზი ჩვენი მტრობისა. როდესაც შებოჭილი წარვდექი ვაზირის წინაშე, მან ჩემი მოკვლა ბრძანა. მე ვუთხარი:

— ნუთუ უდანაშაულოდ უნდა მომკლა? — ამაზე დიდი დანაშაული რაღა იქნებაო, — მომიგო და დავსებული თვალი მაჩვენა.

— ეს შემთხვევით მომივიდა-მეთქი. — შენ თუ შემთხვევით მოგივიდა, მე განგებ ვიზამო, — მითხრა და ბრძანა ჩემი ახლოს მიყვანა. მიმგვარეს ახლოს. ვაზირმა მარჯვენა თვალში თითი მატაკა და თვალი დამივსო. იმ დღის აქეთ ცალთვალა ვარ. ისეთი რო-

გორსაც მხედავთ. მერე კი შემბოჭეს და სკივრში ჩამსვეს. ჯალათს უბრძანა: — ჩამიბარებია შენთვის. იშიშვლე მახვილი, წაიყვანე ქალაქგარეთ, თავი გააგდებინე და ნადირებს მიუგდე შესაჭმელადო.

ჯალათმა წამიყვანა და იარა. ვიდრე ქალაქგარეთ არ გავიდა. ამომიყვანა სკივრიდან ხელებშებოჭილი და ფენებში ბორკილებგაყრილი, თვალები უნდა აეხვია ჩემთვის და მოვეკალი. მე ავტირდი და ეს ბეითები წარმოვთქვი:

ჯავშნად შეგქმენით მტრის ისრისგან თავდასაცავად,
თქვენ კი, პირიქით, მტრის ისართა წვერად მექეცით.
ყოველგვარ ჭირში, რაც ესე ენა წილად ხვდებოდა,
თქვენ ჩემს მარცხენად იქცეოდიო. ასე ვფიქრობდი.
დე, ჩემს მკითხველებს შორს გაჰქონდეთ ამბავი ჩემი
და, დაე, მტერთა დამიშინონ ისრები მჭრელი.
და გულმა ჩემმა მტრის მზაკვრობას თუ ვერ გაუძლო,
გაჩუმდით მაინც. ნუ დამიცავთ. მაგრამ ნურც მიმტრობთ.

და წარმოვთქვი აგრეთვე ეს ბეითები:

ო, რაოდენი მეგობარი მიმაჩნდა ჯავშნად,
ისინი მართლაც ჯავშნად იქცნენ. ოღონდ მტრისათვის.
მე იმათ ვთვლიდი ისრად, მიზანს აუცდენელად,
არც აცდენილან, ოღონდ ჩემი გულის სამიზნეს.
სუფთა არისო ჩვენი გული, მათ ასე მითხრეს.
მართალი უთქვამთ, სუფთა — ჩემი სიყვარულისგან.
შენთვის ვცდილობთო თავდადებით, ასე ამბობდნენ,
მართალი იყვნენ, ჩემს დაღუპვას ცდილობდნენ თურმე.

როდესაც ჯალათმა ჩემი ლექსი მოისმინა, — წინათ იგი მამაჩემის ჯალათი იყო და ჩემგან პატივნაცემი, — ასე მითხრა:

— ჩემო ბატონო, მე ხომ მონა ვარ, სხვისი ბრძანების აღმსრულებელი. — მერე კი მირჩია: — თავს უშველე და ამ ქვეყანაში აღარ დაბრუნდე, თორემ მეც დამღუპავ და შენს თავსაცაო. მგოსნის ნათქვამისა არ იყოს:

უსამართლობის თუ გეშინის, შენს თავს უშველე,
დე, სახლმა თვითონ დაიტიროს ამშენებელი,
შენ, ერთი ქვეყნის მაგიერად მეორეს ჰპოვებ,
მაგრამ საკუთარ თავის ნაცვალს ვერვის იპოვი.
ვინც დამცირების სახლს სჯერდება, იმისი მიკვირს,
ოდეს ესოდენ ფართო არის ქვეყანა ღვთისა
და ვისაც რომელ ქვეყანაში ელის სიკვდილი,
თავის აღსასრული ვერსად ჰპოვებ იმ ქვეყნის მიღმა.

ამის გაგონებაზე ხელები დავუკოცნე ჯალათს. ჩემი ხსნისა არ მჯეროდა, ვიდრე არ გამოვიქეცი. თვალის დაკარგვა არარად მიჩნდა, რაკი გადავრჩი. მივდიოდი, ვიდრე ბიძაჩემის ქალაქს არ მივაღწიე და შევატყობინე. რაც გარდაგვხდა მე და მამაჩემს. და ვუამბე ისიც, თუ თვალი როგორ დავკარგე. ბიძაჩემი მწარედ ატირდა და თქვა:

— შენ ჩემს დარდს დარდი მოუმატე და ნაღველს კი ნაღველი. რამდენიმე დღის წინ შენი ბიძაშვილი დაიკარგა. არ ვიცი იმის სავალ-დასავალი, არც არავინ მეუბნება იმის ამბავს.

და ბიძაჩემი ატირდა ისე, რომ გული შეუღონდა. მერე, როცა მობრუნდა, მითხრა:

— ძალიან ვდარდობ შენს ბიძაშვილზე, შენი და მამაშენის ამბავმა კი მწუხარება მომიმატა. მაგრამ, შვილო, კიდევ კარგი, რომ თვალი დაგიკარგავს და არა თავი.

უკვე აღარ შეიძლებოდა გაჩუმება ჩემს ბიძაშვილზე — იმის ვაჟზე, და ვუამბე ყოველივე, რაც გარდამხდა. ბიძაჩემი ძლიერ გაახარა ჩემმა ნათქვამმა და შვილის ამბის გაგონებამ. მითხრა: — მაჩვენეო აკლდამა.

— ბიძაჩემო, მივუგე მე, — ალაჰს ვფიცავ. ვეღარ მივაგნებ იმ ადგილს. რამდენიმეჯერ ვცადე მოძებნა იმ ამბის შემდეგ და ვეღარ ვიპოვე.

მე და ბიძაჩემი სასაფლაოზე წავედით. გავიხედე მარჯვნივ. მარცხნივ და, აი, უეცრად ვიცანი ის აკლდამა. ძალიან გაგვიხარდა მე და ბიძაჩემს, აკლდამაში შევედით, საფლავს მიწა მოვაშორეთ, სახურავი ავწიეთ და ორმოცდაათიოდე საფეხური ჩავიარეთ. კიბის ბოლოს რომ მივაღწიეთ, უეცრად რაღაც კვამლი ამოვარდა და თვალებზე გადაგვეფარა. ბიძაჩემმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის მთქმელსაც არაფრის შიში არ ექნება. „არა არს ძალი და ღონე. თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და დიდებულისა“. მერე კი გავიარეთ და აღმოვჩნდით ერთ დარბაზში, რომელიც ფქვილით, ბურღულით, სანოვაგითა და სხვა რამეებით იყო, სავსე. დარბაზის შუაგულში ფარდა დავინახეთ, სარეცელზე ჩამოშვებული. შეხედა ბიძაჩემმა საწოლს და დაინახა თავისი ვაჟი იმ ქალთან ერთად, აქ რომ ჩამოყვა. ერთმანეთს ჩახუტებულნი, შავ ნახშირად გადაქცეულიყვნენ, თითქოს ვიღაცას ცეცხლის ორმოში ჩაეყარა ისინი. ამის დანახვაზე ბიძაჩემმა სახეში შეაფურთხა თავის ვაჟსა და თქვა:

— ამის ღირსი იყავ, შე უგვანო? ეს სააქაო სასჯელია და დარჩა კიდევ საიქიოს მსჯავრი, რომელიც უფრო ძლიერია და მარადისი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთორმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ დერვიში უყვებოდა იმ ქალსა და ჯამაათს, ხალიფა და ჯაფარი ყურს უგდებდნენ მის სიტყვებს.

ბიძაჩემმა ფეხსაცმელი ჩასცხო იმ სარეცელზე მწოლარე დანახშირებულ შვილს. მე გამიკვირდა. დაღონებული ვიყავ, რომ ჩემი ბიძაშვილი და ის ქალი შავ ნახშირად ქცეულიყვნენ და ვთქვი:

— დამშვიდდი, ბიძაჩემო, ღვთის გულისათვის, ჩემი სული და გული წაიღო შენი შვილის ამბავმა. როგორ გადაიქცნენ ნახშირად?! განა არ კმარა, რაც მოსვლიათ, რომ შენ კიდევ წიხლს ურტყამ?

მაშინ მითხრა: — ჩემო ძმისშვილო, ამას ბავშვობიდან უყვარდა თავისი და. მე ავუკრძალე იმასთან ყოფნა. გულში ვამბობდი, ჯერ ბავშვები არიან-მეთქი და რომ გაიზრდებიან, ავი რამ არ დატრიალდეს მათ შორის. მერე გავიგონე ეს ამბავი, მაგრამ არ დავიჯერე. მაინც ძალიან გავუჯავრდი ჩემს შვილსა და ვუთხარი: უფრთხილდი ამ საზარელ საქმეს, რომელიც არც არავის შენამდე ჩაუდენია და არც მერე მოხდება, თორემ საუკუნოდ თავი მოგვეჭრება მეფეთა შორის. ჩვენს ამბავს მოგზაურები მთელ ქვეყანას მოსდებენ. ვაი შენ, ეს ამბავი თუ ჩაგიდენია, ისე გავცოფდები, რომ მოგკლავ-მეთქი. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დავაშორე. მაგრამ ამ უნამუსოს ძალიან უყვარდა ვაჟი და ორივეს შეითანმა სძლია. როცა ვაჟმა ნახა, ქალს ჩამოვაშორე, ჩუმად ეს სამალავი გაიკეთა მიწის ქვეშ და საჭმელი გადმოვიდა, როგორც ხედავ. ისარგებლა, რომ სანადიროდ ვიყავი წასული. მაგრამ ალაჰმა, დიდება მას და მაღალ არს იგი, ორივე დასაჯა და დასწვა. საიქიოს სასჯელი კი უფრო ძნელია და ხანგრძლივი.

ატირდა ბიძაჩემი და ავტირდი მეც. ბიძაჩემმა მითხრა:

— ახლა შენა ხარ ჩემი ვაჟი, მისი მაგიერიო. მე ერთხანს ვფიქრობდი ამ წუთისოფელსა და მის ამბებზე. გამახსენდა ვაზირის მიერ მამაჩემის მოკვლა და მისი ადგილის დაკავება, ჩემი თვალის დაკარგვა, ბიძაჩემის ვაჟის უცნაური თავგადასავალი, სხვა

საოცარი ამბები და ვიტირე. ამოვედით. სარქველი უკანვე დავაბრუნეთ, მიწა მივაყარეთ, საფლავი ისევ ისე გავმართეთ, როგორც იყო, დავბრუნდით შინ და, ის იყო დავსხედით, რომ დაფისა და ნაღარის ხმა შემოგვესმა. შემოაჭენეს რაინდებმა და მთელი ქვეყანა აავსო ღრიანცელმა და ტაიჭების ფლოქვების მტვერმა. ჩვენ დავიბენით. არ ვიცოდით, რა მოხდა. მეფემ ამბავი იკითხა, უთხრეს:

— შენი ძმის ვაზირმა შენი ძმა მოკლა, შეკრიბა ლაშქარი და ჯარები მოიყვანა, რომ მოულოდნელად დასხმოდა თავს შენს ქალაქს. ქალაქელები ვერ გაუმკლავდნენ და იარაღი დაყარესო.

მე გუნებაში ვთქვი: მომკლავს, როგორც კი ხელში ჩავუვარდები-მეთქი. დარდი შემომაწვა. გამახსენდა დედაჩემისა და მამაჩემის უბედურება და აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. — რომ გამოვჩნდე, მიცნობენ ქალაქის მცხოვრებნი. მამაჩემის ლაშქარიც ჩემს მოკვლასა და დაღუპვას მოინდომებს. სხვა ვეღარა ვიღონე, წვერი მოვიპარსე, ტანსაცმელი გამოვიცვალე, ქალაქიდან გამოველ და აქეთკენ გამოვწიე. ეს არის და ეს. ეგების ვინმემ მიმიყვანოს მართლმორწმუნეთა მბრძანებელთან, სამყაროთა მეუფის მოადგილესთან და ვუამბო ჩემი თავგადასავალი. ამ ქალაქში ღამით მოვედი. დაბნეული ვიდექი, არ ვიცოდი, საით წავსულიყავ. უეცრად ეს დერვიში გაჩერდა. მივესალმე და ვუთხარი — უცხოელი ვარ-მეთქი. მეც უცხოელი ვარო, მომიგო. ამასობაში ეს მესამე ამხანაგიც შემოგვიერთდა. მოგვესალმა და გვითხრა: — უცხოელი ვარო. — ჩვენც უცხოელები ვართ-მეთქი, — მივუგეთ. წამოვედით და განგებამ თქვენთან მოგვიყვანა. ასეთია ჩემი გაპარსვისა და თვალის დავსების მიზეზი.

— თავზე ხელი გადაისვი და წადი, — უთხრა ქალმა.

— დერვიშმა მიუგო: — ვერ წავალ, სანამ სხვების ამბავსაც არ მოვისმენო. გაუკვირდათ მისი ნაამბობი. ხალიფამ ჯაფარს უთხრა:

— ამისთანა არაფერი მინახავს, ღმერთმანი, რაც ამ დერვიშს დამართნიაო,

შემდეგ წინ წარდგა მეორე დერვიში, ემთხვია მიწას და თქვა:

## მეორე დეპეშის ნაამბობი

ჩემო ქალბატონო, მე ცალთვალა არ დავბადებულვარ. მე ისეთი საოცარი ამბავი გადამხდა, ნემსით რომ დაიწეროს თვალის უპეებზე, შეგონება იქნებოდა იმისთვის, ვინც შეიგონებს. მე მეფე ვარ, შვილი მეფისა, ვარ განსწავლული ყურანის შვიდსავე წაკითხვაში, შემისწავლია წიგნები თვით მწიგნობრებთან, მეცნიერების შეიხებთან. შემითვისებია ვარსკვლავთმრიცხველობა და სიტყვა მგოსანთა. მიბეჯითნია სხვადასხვა მეცნიერებაში ისე, რომ ჩემი დროის ხალხში ყველას აღვემატე. ჩემს ნაწერს ამჯობინებდნენ სხვა კალიგრაფთა ხელს. ჩემი სახელი ყველა მხარესა და ქვეყანას მოეფინა. ჩემი ამბავი ხელმწიფეთა შორის გავრცელდა. ესმა ეს ინდოთ მეფეს. იმან მამაჩემს კაცი გამოუგზავნა და ჩემი თავი სტუმრად სთხოვა. თანაც ხელმწიფის საკადრისი საჩუქრები და ძღვენი მოართვა. მამაჩემმაც ექვსი ხომალდი სამგზავროდ აღმიჭურვა და ვიარეთ ზღვაზე სრულ ერთ თვეს, ვიდრე ხმელეთს არ მივაღწიეთ. გადმოვსხით ცხენები და თან ათი საპალნე ძღვენი წავიღეთ. ცოტა რომ გავიარეთ, უეცრად მტვრის ღრუბელი ამოვარდა, მაღლა-მაღლა წავიდა და მთელ ქვეყანას გადაეფარა. ერთხანს იდგა ეს კორიანტელი, მერე კი გაიფანტა და გაავებული ლომების მსგავსი სამოცი მხედარი გამოჩნდა. დავაკვირდით და ვხედავთ, მომთაბარე ყაჩაღები არიან. რა დაინახეს, რომ ცოტანი ვართ და თან ათი საპალნე მოგვაქვს — ინდოთ მეფის ძღვენი — შუბებმოღერებული გამოექანენ ჩვენკენ. თითებით ვანიშნეთ: ჩვენ ელჩები ვართ ინდოთა განდიდებულ ხელმწიფესთან, ხელი არ გვახლოთ-მეთქი. მაგრამ იმათ მოგვიგეს: —

ჩვენ არც იმის ქვეყანაში ვართ და არც მისი ქვეშევრდომებიო. რამდენიმე მონა მოკლეს, სხვები გაიქცნენ. მეც გავიქეცი იმის მერე, რაც მძიმედ დამჭრეს. მერე კი თავი დაგვანებეს და ჩვენს ფულსა და ძღვენს მიუბრუნდნენ.

აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავ. მაღალი ვიყავ და მდაბალი შევიქენ. ვიარე, ვიდრე ერთი მთის მწვერვალს არ მივაღწიე. გამოქვაბულში შევედი. გათენებამდე იქ ვიყავი. მერე კი გამოვედი, ვიარე და ერთ აყვავებულ ქალაქს მივადექი. იმ ქალაქისათვის ზურგი შეექცია ზამთრის სიცივეს და მოსულიყო გაზაფხული თავისი ვარდებით. გამიხარდა ამ ქალაქში მისვლა, რადგან, სიარულისგან ქანცგაწყვეტილი, ნაღვლიანი და გაყვითლებული ვიყავ. ისე შეიცვალა ჩემი ყოფა, რომ აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. გადავუხვიე ერთ თერძთან. იგი თავის სახელოსნოში იჯდა. სალამი ვუთხარი. სალამზე მიპასუხა, — კეთილი იყოს შენი მობრძანებაო; თავაზიანად მომექცა და უცხოობის მიზეზი გამომკითხა. მეც ვუამბე ჩემი თავგადასავალი დასაბამიდან დასასრულამდე. შეაწუხა ჩემმა ამბავმა და მითხრა:

ჭაბუკო, არ გაამხილო, რაც შეგმთხვევია, მეშინია, რაიმე არ აგიტეხოს ამ ქალაქის მეფემ. იგი მამაშენის დაუძინებელი მტერია და მამაშენს იმისი სისხლი მართებსო.

მომართვა საჭმელ-სასმელი, პური გავტეხეთ და მთელი საღამო ვსაუბრობდით. მერე ადგილი დამიცალა თავისი სახელოსნოს ერთ კუთხეში და მომიტანა საბან-გობანი და რაც კი რამ მჭირდებოდა. ასე გავატარე სამი დღე. მერე კი თერძმა მითხრა: რამე ხელობა არ იცი, რომ თავი ირჩინო?

მე მივუგე:

— მე ვარ ფაკიჰი, მეცნიერი, ვიცი წერა და ვიცი ანგარიში.

შენს ხელობას ჩვენში გასავალი არა აქვს, — მითხრა მან. — ამ ქალაქში არც მეცნიერება იცის ვინმემ, არც წერა და არც სხვა რამ, გარდა ფულისა.

ღმერთმანი, ამის მეტი არა ვიცი რა, — მივუგე მე.

მაშინ მითხრა თერძმა:

— წელზე ქამარი შემოიჭირე, აიღე ცული და თოკი და ქვევით შეშა დაჭერიო. თავი ირჩინე ასე, ვიდრე ღმერთი გიშველიდეს. შენი ვინაობა არავის გაუმხილო, თორემ მოგკლავენო.

მიყიდა ცული და თოკი, შეშისმჭრელებს გამაყოლა და ჩემი თავი იმათ ჩააბარა. მეც წავყევი, მოვჭერი შეშა, თოკით შეკრული თავზე დავიდე. წამოვიღე და ნახევარ დინარად გავყიდე. ზოგი შევჭამე და ზოგი შევინახე. ასე ვცხოვრობდი ერთ წელიწადს. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, შეშისმჭრელებს წავყევი ქვემოთ ველზე. ვნახე ერთი ტყე. ტყეში ბევრი შეშა იყო. შევედი ამ ტყეში, მივედი ერთ ხესთან, გარშემო მიწა შემოვუთხარე და ფესვებს მიწა მოვაცალე. უეცრად ცული სპილენძის რგოლს მოხვდა, და ვხედავ, რგოლი ხის სახურავზე ყოფილა დამაგრებული. ავწიე სახურავი და იმის ქვეშ კიბე გამოჩნდა. ჩავყევი კიბეს და კარი დავინახე. შევედი ამ კარში და დავინახე გულდაგულ ნაშენი სასახლე. და სასახლეში ვნახე ქალი, ძვირფასი მარგალიტის დარი. იმ ქალის შეხედვა ადამიანს დარდს, წუხილსა და ნაღველს გაუქარვებდა. მის დანახვაზე თაყვანი ვეცი შემოქმედს: ასეთი ტურფა და ლამაზი რომ შეუქმნია. ქალმა შემომხედა და მითხრა:

— შენ ჯინი ხარ თუ ადამიანი? — ადამიანი-მეთქი, — მივუგე მე.

— ვინ მოგიყვანა ამ ადგილას, სადაც ოცდახუთი წლის მანძილზე სულიერი არ მინახავს?

ქალის ხმა ტკბილად ჩამესმა:

— ჩემო ქალბატონო, მე თვით ალაჰმა მომიყვანა შენს სადგომში, ეგების სევდა და წუხილი განმიქარვდეს, — ვუპასუხე მე და ვუამბე ყოველივე, რაც გადამხდა — დასაბამიდან დასასრულამდე. ეძნელა ჩემი მდგომარეობა, ატირდა და მითხრა:

— მეც მოგიყვები ჩემს ამბავს. იცოდე, რომ მე ვარ ინდოთა უშორესი ქვეყნის, აბანოზის ხის კუნძულის მპყრობელის ასული.

მამაჩემმა ბიძაჩემის ვაჟს მიმათხოვა. ჩემი ქორწილის ღამეს იფრითმა მომიტაცა, სახელად ჯირჯის იბნ რაჯმუს იბლისის ძემ, გამომაფრინა და აქ ჩამომიყვანა. გადმოიტანა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო, სამკაული, ტანსაცმელი, ქსოვილი, დგამი და საჭმელ-სასმელი. იგი ყოველ ათ დღეში ერთხელ მოდის და აქ ათევს ერთ ღამეს. დამითქვა, როცა რაიმე დამჭირდება, დღე იქნება თუ ღამე, ხელი შევავლო თაღზე დაწერილ ამ ორ სტრიქონს და ხელის აღებასაც ვერ მოვასწრებ, რომ ჩემთან გაჩნდება. ოთხი დღის წინ იყო და მის მოსვლამდე ექვსი დღე დარჩა. ხომ არ გინდა, ხუთი დღე ჩემთან გაატარო და იმის მოსვლამდე ერთი დღით ადრე წახვიდე.

— კარგი-მეთქი, — ვუთხარი და უზომოდ გამიხარდა. ქალი ადგა, ხელი მომკიდა და თაღიან კარში შემიყვანა. ლამაზსა და კოხტა აბანოში შემიძღვა. ამის დანახვაზე ტანსაცმელი გავიძვრე, შევედი და მერხზე ჩამოვჯექი. ქალმაც გაიძრო ტანსაცმელი, შემოვიდა, დაჯდა და გვერდით მომისვა. მუშკიანი შაქარი მომიტანა და შემასვა. მომართვა საჭმელი. ვჭამეთ და ვისაუბრეთ. მერე მითხრა: — დაიძინე და მოისვენე — დაღლილი იქნებიო.

— დავწექი, ჩემო ქალბატონო, სულ გადამავიწყდა, რაც თავს გადამხდა და მადლობა შევწირე. როცა გავიღვიძე, ვნახე, ქალი ფეხებს მიზელდა. დავლოცე. დავსხედით და ერთხანს ვსაუბრობდით. მერე მითხრა:

— გულშეღონებული ვიყავ, ღმერთმანი, მარტო ვარ ამ ქვესკნელში და ოცდახუთი წელია ხმა არ გამიცია არავისთვის. დიდება ღმერთს, რომელმაც შენი თავი გამომიგზავნა. და წარმოთქვა:

თქვენი მოსვლა რომ გვცოდნოდა, გაგიფენდით
სისხლს გულისას, ან თვალების სიშავეს.
გაგიშლიდით ჩვენს ღაწვებს და შეგხვდებოდით,
ქუთუთოზე გატარებდით.

გავიგონე ეს ლექსი და მადლობა ვუთხარი. ჩემს გულში მისმა ტრფობამ დაისადგურა და სევდა-წუხილი მომშორდა. დავსხედით და დაღამებამდე მოვილხენდით. ღამე იმასთან გავათიე. ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავს იმის სადარი. მხიარულად გავიღვიძე.

— თუ გინდა ამოგიყვან ამ ქვეშეთიდან და იმ ჯინისაგან მოგასვენებ, — ვუთხარი მე.

ქალმა სიცილით მითხრა:

— ცოტაც იკმარე და გაჩუმდი. ყოველ ათ დღეში ერთი იფრითისა იქნება და ცხრა კი შენიო. — მე ეჭვი მომერია და ვუთხარი:

— ახლავე დავამსხვრევ იმ თაღს, ის წარწერა რომაა ამოჭრილი. იქნებ მოვიდეს ის იფრითი და მოვკლა. მე ხომ იფრითების დახოცვა აღმითქვამს.

ჩემი ნათქვამის გაგონებაზე ქალმა წარმოთქვა:

ო, განშორების მაძიებელო,
გადადე ფანდი, კმარა წადილი.
იყავ მორჩილი, რადგან ბედმა ღალატი იცის.
და სიყვარულის ბოლო მაინც განშორებაა.

მოვისმინე მისი ლექსი, მაგრამ ყური არ ვათხოვე იმის სიტყვებს. პირიქით, ერთი მაგარი წიხლი ჩავცხე იმ თაღსა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეცამეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ მეორე დერვიშს ქალისათვის უთქვამს:

— ჩემო ქალბატონო, იმ თაღს წიხლი ჩავცხე და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ თითქოს დაბნელდა, მიწა შეირყა და ქვეყანას რაღაც გადაეფარა. ქალმა წამოიძახა:

— იფრითი მოვიდა, განა არ გაფრთხილებდი?

ალაჰს ვფიცავ, უბედურება დამატეხე, მაგრამ თავს უშველე, და ადი, საიდანაც ჩამოხვედიო.

შეშინებულს ფეხსაცმელი და ცული დამრჩა. ორი საფეხური ამოვიარე და მოვბრუნდი, რომ ქალისათვის შემეხედა. დავინახე, მიწა გაიპო და იქიდან საზარელი იფრითი ამოვარდა. ქალს უთხრა:

— ეს რა ალიაქოთია, რად შემაშფოთე, რა უბედურება დაგემართა?

ქალმა მიუგო:

— არაფერიც არ მომივიდა, დარდი შემომაწვა, სასმელის დალევა მინდოდა, რომ გულისათვის შვება მიმეცა. ავდექი დასალევად და უეცრად თაღს დავეჯახე.

— სტყუი, შე უნამუსოვ, — უთხრა იფრითმა. მიიხედ-მოიხედა სასახლეში და ფეხსაცმელი და ცული დაინახა.

— ეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ნივთებია. ვინ იყო შენთან? — თქვა იფრითმა.

— ამ წუთამდე არ დამინახავს, — მიუგო ქალმა, — ალბათ შენ შემოგყვა.

— სისულელეს როშავ, შე ბილწო დიაცო, ეგენი ჩემთან არ გაგივა, — უთხრა ჯინმა.

გააშიშვლა ქალი, ოთხ ძელზე გააკრა. წამება დაუწყო, გამოტეხას ცდილობდა. ჩემთვის ადვილი არ იყო ქალის ტირილის გაგონება და კიბეზე ავედი შიშისაგან ათრთოლებული. მიწის ზედაპირს რომ მივაღწიე, სარქველი თავის ადგილას დავდე და მიწაში ჩავმალე. ვინანე, რაც ჩავიდინე, ძალიან ვინანე. გამახსენდა ქალი, მისი სილამაზე. გამახსენდა. როგორ აწამებდა ის წყეული. ოცდახუთი წელი კი გაუტარებია იფრითთან და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გულისათვის აწამა. გამახსენდა მამაჩემი, მისი სამე-

ფო, გამახსენდა, როგორ ვიქეცი შეშისჭრელად და ეს ბეითი წარ-
მოვთქვი:

უწოდე მაშინ, როს ვაებას მოგიტანს ბედი,
რომ ერთი დღე თუ ჭირისაა, სხვა არის ლხინის.

მერე ვიარე და ჩემს მეგობარ თერძთან მივედი. და ვნახე, იგი ჩემს მოლოდინში ცეცხლის ტაფაზე წრიალებდა.

— წუხელ მთელი ღამე შენთან იყო გული ჩემი, — მითხრა მან, — მეშინოდა გარეულმა ნადირმა, ანდა სხვა რამემ ხომ არ დაგა-შავა. დიდება ღმერთს, გადაურჩენიხარ.

მადლობა ვუთხარი, რომ შემიბრალა და ჩემს ოთახში შევედი. ჩემს თავგადასავალს ჩავუფიქრდი. ჩემს თავს ვლანძღავდი, იმ თაღს წიხლი რომ ჩავცხე. უეცრად ჩემი მეგობარი თერძი შემოვი-და და მეუბნება:

— ჩემთან სახელოსნოში ვიღაც სპარსელია და გკითხულობს. თან შენი ცული და ფეხსაცმელი აქვს. შეშისმჭრელებთან მიუტა-ნია და უთქვამს:

— გუშინ მუეზინის აზანის დროს გამოვედი განთიადის ლოცვის აღსასრულებლად, ამ ცულსა და ფეხსაცმელს წავაწყდი, არ ვიცი ვისია და მაჩვენეთ მისი პატრონიო.

— იმათაც შენზე მიუთითებიათ. ახლა იგი ჩემს სახელოსნოში ზის. გადი, მადლობა უთხარი და შენი ცული და ფეხსაცმელი გა-მოართვიო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ფერი მეცვალა და შევკრთი. უეცრად ჩემი ოთახის იატაკი გაიპო და ის სპარსელი ამოვიდა. იგი იფრი-თი აღმოჩნდა. საშინლად უწამებია ის ქალი, მაგრამ ვერაფერში გამოუტეხია. მაშინ უთქვამს ქალისთვის:

— მე არ ვიყო იბლისის ნაშიერი ჯირჯისი, თუ ამ ცულისა და ფეხსაცმლის პატრონი აქ არ გავაჩინეო.

ამ ეშმაკობით მისულა შეშისმჭრელებთან. მერე კი ჩემთან შემოვიდა, დაუყოვნებლივ მომიტაცა და გაფრინდა. ჯერ ზევით ამიყვანა, მერე ქვევით. მერე მიწაში ჩაძვრა და მე გრძნობა დავკარგე. მერე იმ სასახლეში შემიყვანა, სადაც ვიყავი. დავინახე, გაშიშვლებულ ქალს გვერდებზე სისხლი სდიოდა. თვალებიდან ცრემლი გადმომცვივდა.. იფრითმა ქალს ხელი წაავლო და უთხრა:

— ეს არის შენი საყვარელი? ქალმა შემომხედა და იფრითს უთხრა: — არ ვიცნობ და ამ წუთამდე არ მინახავს.

— ნუთუ ასეთმა ტანჯვამაც არ უნდა გამოგტეხოს?

ქალმა თქვა:

— ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს და ღმერთი მიკრძალავს ტყუილუბრალოდ ცილი დავწამო.

— თუ არ იცნობ, — უთხრა იფრითმა, — აიღე ეს ხმალი და თავი გააგდებინე!

ქალმა აიღო ხმალი, მოვიდა და თავით დამიდგა.

მე წარბით ვანიშნე და ლოყაზე ცრემლები დამედინა. მდგომარემ თვალეთ მანიშნა:

— შენა ხარ ის, ვისი მიზეზითაც ასეთ დღეში ჩავცვივდითო. — მე ვანიშნე: — ახლა პატიების ჟამია-მეთქი და ენა ჩემი მდგომარეობისა ამბობდა:

ჩემი თვალები ჩემი ენის სათქმელს გითარგმნით,
რათა უწყოდეთ, ცხადი გახდეს, რას მალავს მკერდი.
ოდეს ცრემლთ ფრქვევით ერთურთს ვხვდებით, ვმუნჯდები მაშინ
და სიყვარულზე მეტყველებენ თვალები ჩემი,
თავის ხვაშიადს ისიც მხოლოდ მზერით მიცხადებს,
მე კი თითებით ვანიშნებ და ესმის ყოველი.
წარბები ჩვენი ასრულებენ, რასაც ვინებებთ,

დავდუმდებით და ჩვენ მაგიერ ვნება საუბრობს.

ქალი მიხვდა ჩემს ნიშანს და ხმალი ხელიდან გააგდო, ჩემო ქალბატონო, მაშინ იფრითმა მე მომცა ხმალი და მითხრა:

— მოკვეთე თავი და გაგათავისუფლებ, არ გაგაუბედურებ!

— კარგი-მეთქი, — ხმალი ავიღე, სწრაფად მივედი და ხელი ავწიე. ქალმა წარბით მანიშნა:

— მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებიაო.

თვალებიდან ცრემლები გადმომცვივდა, ხმალი გადავაგდე და ვთქვი:

— იფრითო ძლევამოსილო, გმირო დიდებამოსილო, თუკი რწმენამცირე და ჭკუამოკლე ქალმა თავის თავს ნება არ მისცა მოვეკალი, მე რაღა უფლება მაქვს სიცოცხლეს გამოვასალმო. მე ხომ იგი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ამას არასოდეს არ ვიქმ, დაღუპვის თასიც რომ შევსვა სიკვდილისა.

— თქვენ ერთმანეთი გიყვართ, — თქვა იფრითმა. — დაავლო ხელი ხმალს, ქალს ხელზე დაჰკრა და მოსჭრა, მეორედ დაარტყა და მეორე ხელი მოსჭრა. მერე მარცხენა ფეხი, მერე კიდევ მარჯვენა. ისე, რომ ოთხი დარტყმით ოთხი რამ მოჰკვეთა. მე ამას ჩემი თვალით ვუყურებდი და დავრწმუნდი, სიკვდილი არ ამცდებოდა. ქალმა თვალი მიყო. იფრითმა დაინახა და უთხრა:

— ახლა თვალით მრუშობ? დაარტყა და თავი მოსჭრა. მერე კი მომიბრუნდა და მითხრა:

— ჰე, ადამიანო, ჩვენს ადათ-წესზე ასე წერია: ცოლმა თუ იმრუშა, მის მოკვლის ნება გვაქვს. ეს ქალი მისი ქორწილის ღამეს მოვიტაცე, როდესაც იგი თორმეტი წლისა იყო. ჩემს მეტს არავის იცნობდა. ათ დღეში ერთხელ მოვდიოდი სპარსელად გადაცმული.

როცა დავრწმუნდი, რომ მიღალატა, მოვკალ. შენ კი, არ ვიცი

მომატყუე თუ არა ამ ქალის გამო, მაგრამ უვნებელი ვერ გადამირჩები, და მთხოვე რა გინდა.

გამიხარდა, ჩემო ქალბატონო, უზომოდ გამიხარდა. პატიება მინდოდა. ვუთხარი: — რა გთხოვო-მეთქი. მიპასუხა:

— მთხოვე, რად გადაგაქციო, ძაღლად, ღორად თუ მაიმუნად?

მე ვუთხარი პატიების სურვილით შეპყრობილმა:

— შემინდე და, ღმერთმანი, ალაჰი შეგინდობს მუსლიმის პატიებისათვის, რომელსაც შენთვის არაფერი დაუშავებია.

ბევრი ვემუდარე მის წინაშე მდგომარე. ვუთხარი:

— შენ შეგფერის, რომ მაპატიო და შემინდო, ისე როგორც მეშურნეს შეუნდო შურისაღმძვრელმა.

— ეგ როგორ იყო, — თქვა იფრითმა.

ამბავი მეშურნისა და შურისაღმძვრელისა

ამბობენ, იფრითო, რომ ერთ ქალაქში იყო თურმე ორი კაცი. ისინი ერთმანეთზე მიჯრილ ორ სახლში ცხოვრობდნენ და ერთი კედელი ჰყოფდათ. ერთს მეორესი შურდა, თვალსა სცემდა და სულ იმას ცდილობდა, რომ მეზობლისათვის რამე ზიანი მიეყენებინა. იმდენად შურდა, რომ ჭამასაც თავი დაანება და აღარც ძილი ეამებოდა. შურისაღმძვრელს კი მხოლოდ ხეირი ემატებოდა. და ყოველთვის. როცა მეზობელს მისი შეშურდებოდა ხოლმე. იმისი ყოფა უმჯობესდებოდა. შურისაღმძვრელმა გაიგო, რომ მეზობელს მისი შურდა და იმის ზიანს ცდილობდა. გადავიდა იქიდან. მოშორდა იმ არემარეს და თქვა:

— ალაჰს ვფიცავ, ამ წუთისოფელსაც დავტოვებ მისი გულისთვისო. იგი მეორე ქალაქში დაესახლა და მიწა იყიდა. იმ მიწაზე ერთი ძველი ჭა იყო, იქვე აიშენა სამლოცველო და შეიძინა, რაც კი რამ სჭირდებოდა. და დაიწყო ალაჰის თაყვანისცემა, მაღალ

არს იგი, და ხალასი გულით ემონებოდა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მასთან უპოვარნი და ღატაკნი. მისი ამბავი იმ ქალაქს მოედო. ამ ამბავმა მისი შურიანი მეზობლის ყურამდეც მიაღწია და გაიგო, რა სიკეთეც მოეპოვებინა. მივიდა მასთან იმ ქალაქის დიდებულებთან ერთად და სამლოცველოში შევიდა. ის კი თავაზიანად მიეგება შურიან მეზობელს და დიდი პატივი სცა. შურიანმა უთხრა:

— შენთან ერთი სიტყვა მაქვს. იმის გულისთვის ჩამოვედი. მინდა გაგახარო, ადე და სამლოცველოდან გარეთ გამომყევიო.

ისიც ადგა, ხელი მოჰკიდა შურიანს და სამლოცველოს ბოლოსკენ წავიდნენ. შურიანმა უთხრა:

— შენ გლახაკებს უთხარი. თავის სენაკებში შევიდნენ, საიდუმლოდ უნდა გითხრა ისე, რომ არავინ გაიგონოსო.

შურისაღმძვრელმა თავის გლახაკებს უთხრა: — თქვენს სენაკებში შედითო.

და მოიქცნენ ისე, როგორც უბრძანა. შურიანი ცოტა ხანს მიჰყვებოდა, ვიდრე იმ ძველ ჭას არ მიაღწია. მაშინ ხელი ჰკრა შურისაღმძვრელსა და ჭაში გადაუძახა ისე, რომ არავის გაუგია. გამოვიდა, თავისი გზით წავიდა, ის კი მოკლული ეგონა. იმ ჭაში თურმე ჯინები ცხოვრობდნენ. იმათ იგი ხელში აიყვანეს და ლოდზე დასვეს. ერთმა ჯინმა უთხრა მეორეს:

— იცნობთ ამ კაცს?

— არაო, — თქვეს. ვიღაცამ თქვა:

— ეს შურისაღმძვრელი კაცია, რომელიც თავის მეშურნეს გამოქცევია და ჩვენს ქალაქში დასახლებულა. აუშენებია სამლოცველო — ირთობს თავისი ზიქრითა და კითხვით. მერე შურიანი ეწვია მას და ეშმაკობით თქვენთან ჩამოაგდო. ამ საღამოს მისი ამბავი ამ ქალაქის სულტანს მიუვიდა. განიზრახა ეწვიოს ხვალ თავისი ასულის გამო.

— რა დაემართა იმის ასულს? — იკითხა ვიღაცამ.

— გაგიჟდა და ამ კაცმა რომ წამალი იცოდეს, უთუოდ მოარჩენდა მეფის ასულს. ამის წამალი კი უადვილესი რამაა. — უპასუხა მან.

ვიღაცამ თქვა: — და რა არის მისი წამალი? — ამ ღვთისმსახურს ერთი შავი კატა ჰყავს. იმ კატას კუდზე დირჰამის ტოლი თეთრი ლაქა აქვს. იქიდან რომ შვიდი თეთრი ბეწვი ამოაძროს და მეფის ასულს აუბოლოს. გადაურჩება მარიდს. აღარასოდეს დაუბრუნდება მას მარიდი, იმწამსვე მორჩება.

— ჰე, იფრითო. ყოველივე ეს ხდებოდა და შურისაღმძვრელს ესმოდა. როდესაც გათენდა. ინათა დილის სხივითა და განათდა, გლახაკები შეიხს ეახლნენ და ხედავენ, იგი ჭიდან ამოდის. უზომოდ განდიდდა იგი მათ თვალში. შურისაღმძვრელი კატასთან მივიდა და, კუდზე რომ თეთრი ლაქა ჰქონდა, იქიდან შვიდი ბეწვი ამოაძრო. ის იყო გათენდა, რომ მეფეც მობრძანდა თავის ლაშქრითურთ. სახელმწიფოს დიდებულთა თანხლებით შევიდა იგი და დანარჩენ ლაშქარს კი გაჩერება უბრძანა. როდესაც მეფე შურისაღმძვრელთან შევიდა, იმან თქვა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება.

მეფემ დაიახლოვა იგი და შეიხმა უთხრა:

— გითხრა, მეფეო, რისთვის მობრძანებულხარ ჩემთან?

— დიახ, — მიუგო მეფემ.

— შენ ჩემთან მოხვედი ჩემს მოსანახულებლად, გულში კი ფიქრობ, შენი ქალიშვილის შესახებ მკითხო.

— დიახ, სათნო შეიხო, — უთხრა მეფემ. მაშინ შურისაღმძვრელმა თქვა:

— ვინმე გაგზავნე, მეფეო, იმის მოსაყვანად და იმედი მაქვს, მაშინვე მორჩება, თუ ინებებს ალაჰი, მაღალიმც არს იგი.

მეფემ თავისი ქეშიკები გაგზავნა. მოიყვანეს მისი ასული შებოჭილი და ბორკილებგაყრილი. შურისაღმძვრელმა დასვა იგი და გადასაფარებელი გადააფარა. ბეწვები ამოიღო და შეუბოლა.

დაიყვირა იმ მარიდმა, თავში რომ ჰყავდა ქალსა, და წავიდა. ქალს ჭკუა დაუბრუნდა. სახე დაიფარა და თქვა:

— ეს რა ამბავია, ვინ მომიყვანა ამ ადგილას?

უზომოდ გაიხარა სულტანმა. ხელები დაუკოცნა თავის ასულსა და ხელები დაუკოცნა იმ შეიხსაც, შურისაღმძვრელსა. მერე მიუბრუნდა თავისი სახელმწიფოს მესვეურებს და თქვა:

— რას იტყვით, რისი ღირსია იგი, ვინც ჩემი ასული განკურნა?

— შენს ასულზე დაქორწინებისაო, — უთხრეს.

— მართალი ხართო, — თქვა მეფემ. მერე კი ის შეიხი თავის ასულზე დააქორწინა. და შურისაღმძვრელი ხელმწიფის სიძე გახდა. ცოტა ხნის შემდეგ ვაზირი მიკვდა. მეფემ თქვა:

— ვინ დავნიშნოთ ვაზირადო? უთხრეს: — შენი სიძეო.

და შურისაღმძვრელი ვაზირად დანიშნეს. ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა სულტანი. თქვეს:

— ვინ იყოს მეფეო — და ვაზირიო.

და ვაზირი სულტნად დასვეს. გახდა იგი მეფე და განმგებელი.

ერთ დღეს იგი ცხენზე შეჯდა და წავიდა. გზაზე შურიანმა ჩაიარა. აი, მობრძანდება შურისაღმძვრელი, თავის სახელმწიფოს მესვეურთა, ამირთა, ვაზირთა და დიდებულთა შორის. დაინახა შურიანი. ერთ-ერთ ვაზირს მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს კაცი მომგვარეთ, ოღონდ ნუ შეაშინებთო. ვაზირი წავიდა და მოიყვანა შურიანი, მეზობელი მისი.

მეფემ თქვა:

— მიეცით მას ათასი მისხალი ჩემი საჭურჭლიდან, მოუტანეთ ასი საპალნე საქონელი და მცველი გაატანეთ, რომ თავის ქვეყანაში მიიყვანოსო.

გამოემშვიდობა და გაშორდა. არ დაუსჯია იმისათვის, რაც მას შურიანმა უყო.

შეხე, იფრითო, როგორ აპატია შურისაღმძვრელმა შურიანს.

როგორ შურდა იმისი თავდაპირველად. მერე ზიანი მიაყენა, შურისაღმძვრელი მოშორდა. შურიანი მივიდა მასთან, რომ ჭაში ჩაეგდო, მისი მოკვლა უნდოდა. შურისაღმძვრელმა სამაგიერო კი არ მიუზღო ვნებისათვის, არამედ აპატია და შეუნდო.

და მერე კი მწარედ ავტირდი იფრითის წინაშე. იფრითმა მითხრა:

— ბევრს ნუ ლაყბობ. სიკვდილის ნუ გეშინია, შენდობის იმედი გექნება, მონუსხვით კი უსათუოდ უნდა მოგნუსხო.

მერე გააპო მიწა, ცაში ამიტაცა და ცის ქვეშეთი წყლით სავსე ჯამად მეჩვენებოდა. ერთ მთაზე დამსვა; აიღო ცოტაოდენი მიწა. ზედ რაღაც წაიდუდუნა, წაილაპარაკა, მომაყარა და მითხრა:

— იცვალე ეგ სახე და იქეც მაიმუნად! — იმ დროიდან ასი წლის მაიმუნად გადავიქეცი. დავიტირე ჩემი თავი, როცა ინახე, რა მურდალი სახე მივიღე. მაგრამ მოვისმინე წუთისოფლის უკუღმართობა, რადგან ვიცოდი — იგი არავის არ სწყალობს. მთის მწვერვალიდან ძირს ჩამოვედი და ერთი თვე ვიმოგზაურე. ზღვის ნაპირს მივადექი. უეცრად შუა ზღვაში ვხედავ გემს, პირის ქარი უბერავს და გემი ხმელეთისაკენ მოქრის. ერთი კლდის უკან დავიმალე ზღვის ნაპირას. დავიცადე, ვიდრე გემი მომიახლოვდებოდა და შიგ ჩავხტი.

— მოაშორეთ გემიდან ეს შავ დღეზე დაბადებული, — თქვა ერთმა მგზავრმა. სხვამ დაუმატა:

— მოკალითო. მეორემ:

— ამ ხმლით მოვკლავო.

მე ხმლის წვერს ხელი წავავლე და ავტირდი, ცრემლები წამომცვივდა. გემის უფროსს შევებრალე და თქვა:

— ვაჭრებო, ამ მაიმუნმა შველა მთხოვა, მე შევიფარე, ამიერიდან იგი ჩემს მფარველობაში იქნება, ხელი არავინ ახლოს და არავინ შეაწუხოსო. გემის უფროსი კარგად მეპყრობოდა. მე ყვე-

ლაფერი მესმოდა, რაც არ უნდა ეთქვა, ყველა მის სურვილს ვასრულებდი და გემზე ვემსახურებოდი. ორმოცდაათი დღე პირის ქარი ჰქროდა. ერთ დიდ ქალაქს მივადექით. ქალაქში უამრავი ხალხი ირეოდა. იმდენი, რომ მაღალი ალაჰის მეტი ვერავინ დათვლიდა. მისვლისთანავე დავაყენეთ ჩვენი გემი. ჩვენთან მოვიდნენ იმ ქალაქის მეფის მამლუქები, ჩამოვიდნენ გემში, ვაჭრებს მშვიდობით გადარჩენა მიულოცეს და თქვეს:

— ჩვენი მეფე მშვიდობით გადარჩენას გილოცავთ, ამ ეტრატს გიგზავნით და ასე გითვლით:

— ყოველმა თქვენგანმა თითო სტრიქონი ჩაწეროსო.

ავდექი და ის ეტრატი ხელიდან გამოვგლიჯე, მაიმუნის გარეგნობის მქონემ. შეეშინდათ, დავხევდი და წყალში გადავაგდებდი. ყვირილით მიგერიებდნენ და ჩემი მოკვლა უნდოდათ. მე ვანიშნე, დავწერ-მეთქი. გემის უფროსმა თქვა:

— დაანებეთ, დაწეროს. თუ დაჯღაბნის, გავაგდებ, კარგად თუ დაწერა, ვიშვილებ. რადგან ამაზე გონიერი მაიმუნი მე არ მინახავსო.

ავიღე კალამი, ჩავაწე მელანში და რიკაის ხელით დავწერე სტიქონი. ეს ლექსი გამოვიყვანე:

აუწერია დრო-ჟამს მადლი კეთილშობილთა,
ღირსება შენი ვერ აუწყავს ჯერაც ვერავის.
ნუმც დააობლებს კაცთა მოდგმას შენგან ალაჰი,
რამეთუ შენ ხარ ქვეყნად მაღლის, მამა კეთილი.

და რეიჰანის ხელით ჩავწერე ეს ლექსი:

მადლი მოიცავს ყველა იკლიმს მისი კალმისა,
და ძმას ხელრთვას მთელ ამ ქვეყნად აქვს გასავალი.
და ხუთი თითი მისი არის ხუთი მდინარე,

ხუთსავე ხმელეთს სწვდება მისი თითების მადლი.

სულსის ხელით ეს ორი ბეითი დავწერე:

ყველა დამწერს ხომ ამა ქვეყნად გაქრობა ელის,
მარადისია მარტოოდენ ნაწერი მათი.
შენც არ დაწერო არაფერი, გარდა იმისა,
რისი დანახვაც განკითხვის ჟამს მოგაგებს ლხენას.

იმის ქვევით კი მაშაკის ხელით ეს ბეითები გამოვიყვანე:

ოდეს დიდების და წყალობის სამელნეს გახსნი,
ხელგაშლილობა და სიქველე ჩაასხი მელნად.
და რამდენადაც შეგიძლია, წერე სიკეთე,
და მაშინ შენი კალმის მადლი შენ აღგამაღლებს.

მერე ეტრატი მამლუქებს გადავეცი და იმათ კი მეფეს წაუღეს. მეფეს დაუხედავს გრაგნილისათვის და არავის ნაწერი არ მოსწონებია, ჩემი ხელის გარდა. ბრძანა:

— წადით ამ ხელის პატრონთან, ჩააცვით ეს ტანსაცმელი, შესვით ჯორზე, დაფდაფების ცემით მოაცილეთ და ჩემ წინაშე შემოიყვანეთო.

მეფის ნათქვამის გაგონებაზე ყველას გაეღიმა. მეფე განრისხდა და თქვა:

— მე საქმეს გიბრძანებთ, თქვენ კი ჩემზე იცინითო?! მათ მიუგეს:

— მეფეო, ჩვენ შენზე არ ვიცინით, ჩვენ იმაზე გვეცინება, რომ ის დამწერი ადამიანი არ არის. იგი მაიმუნია, ხომალდის უფროსს რომ ჰყავს.

მეფე განაცვიფრა იმათმა ნათქვამმა, სიხარულისგან ათრთოლდა და თქვა:

— მსურს ვიყიდო ის მაიმუნი.

ხალხი გაგზავნა ხომალდზე, თან ტანსაცმელი და ჯორი გაატანა და უთხრა:

— უთუოდ ჩააცვით ეს ტანსაცმელი, შესვით ჯორზე და მომიყვანეთ.

ისინიც გაემართნენ ხომალდისაკენ, ჩემი თავი გამოართვეს გემის უფროსს და ტანსაცმელი ჩამაცვეს. ხალხი განცვიფრდა და ცქერა დამიწყო. მეფესთან რომ ამიყვანეს, შევხედე და სამჯერ ვეამბორე მიწას მის წინაშე. მეფემ დაჯდომა მიბრძანა. მე დავიჩოქე. იქ დამსწრენი გააოცა ჩემმა ზრდილობამ. მეფეს კიდევ უფრო მეტად გაუკვირდა. შემდეგ მან ხალხი დაითხოვა. იქ დარჩა მხოლოდ მეფე, საჭურისი, ერთი პატარა მონა და მე. მეფემ ბრძანა საჭმლის მოტანა. მოგვართვეს ტაბლა, რომელზედაც ყველაფერი იყო, გული რასაც ინდომებდა და თვალს რაც აამებდა. მეფემ მანიშნა, ჭამეო. ავდექი, შვიდჯერ ვემთხვიე მიწას მის წინაშე. დავჯექი და შევექეცი იმასთან ერთად. სუფრა წაიღეს. წავედი, ხელი დავიბანე. მერე კი ავიღე საწერკალამი, ქაღალდი და ეს ბეითები დავწერე:

ცხვრის ხონჩები წამალია სნეულებათა,
ჰალვის სინნი საზღვარია ჩემი ოცნების.
ო, ამ ჩემი გულის წადილს, სუფრის გაშლისას,
ქუნაფა რომ აზვინდება ერბო-თაფლითა.

და დავწერე აგრეთვე:

ო, ქუნაფავ, მენატრები ძლიერ,
უშენობა მე არ შემიძლია.

ყოველდღე და ყოველღამე ჩემი კერძი ხარ
და იდინე მისთვის მარად, ვინც წვეთობით გსვამს.

მერე კი ავდექი და მოშორებით დავჯექი. მეფემ შეხედა ჩემს ნაწერს, გაოცდა და თქვა:

— ნუთუ შეიძლება მაიმუნი ასეთი მჭევრმეტყველი და კალიგრაფი იყოს?! ეს საოცრებათა საოცრებაა!

მეფეს ჭადრაკი მოართვეს. მითხრა:

— ხომ არ ითამაშებ?

მე თავი დავუქნიე — ჰო-მეთქი. მივედი, დავაწყვე ჭადრაკი. ორჯერ ვეთამაშე და ორჯერვე მოვუგე. გაკვირვებისაგან დაიბნა მეფე და თქვა:

— ეს რომ ადამიანი იყოს, ყველას აჯობებდა თავისი დროის ხალხში. — მერე ხადუმს უთხრა:

— შენს ქალბატონთან წადი და უთხარი: მეფეს ელაპარაკეთქო, მოვიდეს და ნახოს ეს საოცარი მაიმუნი. — საჭურისი წავიდა და მოიყვანა თავისი ქალბატონი, მეფის ასული. მეფის ასულმა ჩემს დანახვაზე სახე დაიფარა და თქვა:

— მამა, ნუთუ შენს გულს ეამება, რომ მიბარებ და უცხო მამაკაცებს აცქერინებ ჩემს სახეს! — მეფემ მიუგო:

— ჩემთან არავინ არ არის ამ პატარა მონის, შენი აღმზრდელი საჭურისისა, ამ მაიმუნისა და მამაშენის გარდა. ვისგან იფარავ სახეს?

— ეს მაიმუნი, — თქვა ქალმა, — მეფისწულია. მამამისის სახელია იმარი, აბანოზის კუნძულთა მპყრობელი. იგი მონუსხულია. ჯირჯისმა მონუსხა, იბლისის ნაშიერმა. ის, ვინც შენ მაიმუნი გგონია, სინამდვილეში სწავლული და ჭკვიანი კაცია.

მეფეს გაუკვირდა თავისი ქალისა, შემომხედა და მითხრა:

— მართალია, რასაც ამბობს შენზე? მე თავი დავუქნიე, — ჰო-მეთქი, — და ავტირდი.

— საიდან იცოდი, — ჰკითხა მეფემ თავის ასულს, — რომ მონუსხულია?

ქალმა მიუგო:

— მამავ, ბალღობისას მე ერთი გრძნეული და ჯადოქარი დედაბერი მყავდა, იმან მასწავლა ჯადოსნობა. მეც კარგად შევითვისე და დავხელოვნდი. ვიცი ას სამოცდაათი ჯადოს კარი. და უმცირესით ამ კართა შორის მე შემიძლია, შენი ქალაქის ლოდები კაფის მთის იქით გადავტყორცნო, ქალაქი ზღვის უფსკრულად ვაქციო და მისი მცხოვრებნი კი თევზებად იმ ზღვაში.

— გაფიცებ ალაჰის სახელს, — უთხრა მამამისმა, — ახსენი ამ ჭაბუკს ჯადო, ვაზირად უნდა გავიხადო. შენ ასეთი ღირსება გქონია, მე კი არა ვიცოდი რა. გაათავისუფლე, ვაზირად დავაყენებ, რადგან ზრდილი და გონიერი ჭაბუკია.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — უთხრა ქალმა. ხელში დანა აიღო, წრე შემოხაზა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთოთხმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ დერვიშს ქალისათვის უთქვამს:

— ჩემო ქალბატონო, მეფის ასულმა დანა აიღო, დანაზე ებრაული სახელები იყო წარწერილი. იმ დანით წრე შემოხაზა სასახლის შუაგულში. წრეში სახელები და თილისმები ჩაწერა.

შეულოცა, რაღაც გაუგებარი სიტყვები წაიკითხა და ცოტა ხნის შემდეგ სასახლე ისე ჩამობნელდა, ვიფიქრე, მთელი ქვეყანა ზედ დაგვემხოო. უეცრად იფრითი გამოგვეცხადა. უსაზარლესი სახით თავის სახეთა შორის: ფიწლის მსგავსი ხელებით, ანძისმაგვარი ფეხებით. მაშხალასავით თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. შეგვეშინდა ივრითისა. მეფის ასულმა უთხრა:

— კეთილიმც ნუ იქნება შენი მოსვლა. იფრითმა ლომის სახე მიიღო და თქვა:

— აღთქმას როგორ უღალატე, შე მუხანათო. ჩვენ ხომ ფიცი დაგვიდევს, ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ.

— ვინ მოგცა აღთქმა, შე წყეულო, — მიუგო ქალმა. მაშინ იფრითმა უთხრა: — მაშ მიიღე, რაც მოგივიდა.

მერე ლომად იქცა, პირი დააღო და ქალიშვილს მიუხტა. ქალმა მოასწრო თმის ერთი ბეწვის ამოძრობა, ზედ რაღაც წაიბუტბუტა, თმა ალესილ ლახვრად იქცა და ქალმა ლომი ორად გააპო. ლომის თავი მორიელად გადაიქცა, ქალი კი ვეება გველად, სწვდა იმ წყეულს, მორიელის სახე რომ ჰქონდა, და მათ შორის ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. მორიელი არწივად გადაიქცა, გველი — ორბად. არწივს უკან მოექცა და ერთხანს ასე იყო. მერე კი არწივი შავ კატად გადაიქცა და ქალი — მგლად. ცოტა ხანს ჩხუბობდნენ და მედგრად იბრძოდნენ სასახლეში. კატამ დაინახა, რომ მარცხდება, დიდ წითელ ბროწეულად გადაიქცა და ღია აუზში ჩავარდა. მგელი გაეშურა იმისკენ, მაგრამ ბროწეული ჰაერში ავარდა, დაენარცხა სასახლის იატაკის ფილებს, გასკდა მისი მარცვლები თითო-თითოდ მიმოიფანტა და მთელი სასახლის იატაკი აავსო. მაშინ ის მგელი მამლად იქცა, მარცვლების აკენკვა უნდოდა, ისე რომ ერთიც არ დარჩენილიყო. მაგრამ განგების ძალით ერთი მარცვალი შადრევნის ნაპირას შეგორდა. მამალმა ყივილი და ფრთების ქნევა ატეხა, ნისკარტით რაღაცას გვანიშნებდა, მაგრამ ვერ მივხვდეთ, რას ამბობდა. მერე კი ისე დაგვიყივლა, გვეგონა, სასახლე თავზე გადმოგვემხოო. მამალმა მთელი სასახლის იატაკი შემოიარა, სანამ ის მარცვალი ნახა, შადრევნის პირას რომ შეგორებულიყო. ის იყო უნდა დაძგერებოდა იმ მარცვალს და აეკენკა, რომ მარცვალი აუზის შუაგულში ჩავარდა, თევზად გადაიქცა და წყალში ჩაყვინთა. მამალი დიდ ვეშაპად იქცა და უკან მიჰყვა. ერთხანს გაუჩინარდა, მერე საშინელი ყვირილი შემოგვესმა. ჩვენ აგვაკანკალა. მერე ამოვიდა იფრითი, იგი ცეცხლის ალს ჰგავდა. პირიდან ცეცხლს აფრქვევდა,

ნესტოებიდან და თვალებიდან კი ცეცხლსა და კვამლს. ქალი ცეცხლის უფსკრულად იქცა. დაწვისა და დაღუპვის შიშით იმ აუზში ჩაძირვა გვინდოდა, მაგრამ გონს მოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ იფრითმა დაიყვირა ცეცხლიდან და იმ ლივანში აღმოჩნდა, სადაც ჩვენ ვიყავით. პირში ცეცხლი შემოგვიბერა, მაგრამ დაეწია ქალიშვილი და იმანაც ცეცხლი შეუბერა სახეში. ჩვენ ორივე ნაპერწკლები მოგვხვდა. ქალის ნაპერწკლებმა არ დაგვიშავა რა. იფრითის ნაპერწკლებიდან ერთი მე მომხვდა და თვალი დამივსო მაიმუნის გარეგნობის მქონეს. ერთი — მეფეს და სახის ქვედა ნაწილი დაუწვა ნიკაპითა და წვერით, თანაც ქვედა კბილები დასცვივდა. ერთი ნაპერწკალი კი საჭურისს შიგ მკერდში მოხვდა, დაიწვა და იმწამსვე მოკვდა. დავრწმუნდით, რომ ვიღუპებოდით და სიცოცხლის იმედი გადაგვიწყდა. ასეთ დღეში რომ ვართ, უეცრად მესმის ვიღაც ამბობს:

— დიდ არს ალაჰი, დიდ არს ალაჰი, მან დაამარცხა, სძლია და უმწეოდ დატოვა, ვინც არ იწამა სული მუჰამადისა, კაცთა მოდგმის მეუფისა!

უეცრად აღმოჩნდა, რომ ამ სიტყვების მთქმელია მეფის ასული, რომელსაც უკვე დაუწვავს იფრითი. გავიხედეთ და ნაცრის გროვა დავინახეთ. მეფის ასული მოვიდა და თქვა:

— ერთი თასი წყალი მომიტანეთო.

წყალი მოუტანეს. მეფის ასულმა წყალზე რაღაც გაუგებარი სიტყვები წაილაპარაკა. მომასხურა ის, წყალი და მითხრა:

— განთავისუფლდი, ჭეშმარიტისა და ალაჰის უდიდესი სახლის ძალით, პირვანდელი სახე მიიღე.

და გავხდი ისევ ადამიანი, ისეთი, როგორიც უწინ ვიყავი. ოღონდ თვალი დავკარგე. უეცრად ქალმა წამოიძახა:

— ცეცხლი, ცეცხლი, ო, მამაჩემო, მე ვეღარ ვიცოცხლებ, სასიკვდილოდ ვარ განწირული. ის რომ ადამიანი ყოფილიყო, პირველსავე შეტაკებაში მოვკლავდი. მე არ დავღლილვარ, სანამ

ბროწეული არ გაიფანტა და მისი მარცვლები არ ავკრიფე. და სწორედ ის მარცვალი დამავიწყდა, რომელშიც ჯინის სული იყო. ის რომ ამეკენკა, დაუყოვნებლივ მოკვდებოდა იფრითი. მაგრამ განგებისა და ბედისწერის ნებით ვერ დავინახე. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ უეცრად მოვიდა. მე მასთან ფიცხელი ბრძოლა გადამხდა ქვესკნელში, ჰაერსა და წყალში. როგორც კი ის ჯადოქრობის ერთ კარს გამიხსნიდა, მე მაშინვე ვუხსნიდი მეორეს — უფრო ძლიერს, სანამ ბოლოს ცეცხლის კარი არ გამიღო. და ცოტაა ისეთი, ვისთვისაც ცეცხლის კარი გაეღოთ და გადარჩენილიყოს. განგება შემეწია, რომ ჩემზე ადრე ის დავწვი. მანამდე კი ისლამის მიღება მოვთხოვე. ახლა ვკვდები და ალაჰი იყოს თქვენთვის ჩემ მაგიერი.

ქალი ყვიროდა და ცეცხლისაგან შველას ითხოვდა. უეცრად მის მკერდზე შავი ნაპერწკლები გამოჩნდა და პირისახისაკენ გაემართა. სახეს რომ მიაღწიეს, ქალი ატირდა და თქვა:

— ვაღიარებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამადია მოციქული მისი.

შევხედეთ ქალსა და ივრითის გროვის გვერდით მეორე გროვა დავინახეთ. დავღონდით. ვინატრე, მე ვყოფილიყავ იმის ადგილას. ნეტა არ დამენახა, როგორ იქცა ნაცრის გროვად ეს მშვენიერი სახე, რომელმაც ასეთი სიკეთე მიყო. მაგრამ ალაჰის განაჩენი შეუვალია.

და როდესაც მეფემ ნაცრად ქცეული თავისი ასული დაინახა, დარჩენილი წვერიც დაიგლიჯა, პირში ხელი წაიშინა და ტანსაცმელი შემოიხია. მეც ასევე მოვიქეცი. დავიტირეთ ის ქალი. მოვიდნენ ეჯიბები და სახელმწიფოს დიდებულები. დაინახეს გონებადაკარგული მეფე და მის წინაშე ნაცრის ორი გროვა. გაოცდნენ და ერთხანს იმის გარშემო იტრიალეს. ვიდრე მეფე გონს არ მოვიდა და არ მოჰყვა, რაც გადახდა მეფის ასულს იმ იფრითთან.

დიდი იყო მათი მწუხარება. ქალებმა და მხევლებმა კივილი ატეხეს. შვიდ დღეს გლოვობდნენ ხელმწიფის ასულს. ბრძანა მეფემ — მისი ასულის ფერფლზე დიდი გუმბათი აეგოთ და შიგ სანთლები და კანდელები აენთოთ. იფრითის ფერფლი ჰაერში გაჰფანტეს, წყეულიმც იყოს ალაჰისაგან! სულტანი ავად გახდა და კინაღამ მოკვდა. ერთ თვეს ლოგინად იყო ჩავარდნილი. როდესაც გამოჯანმრთელდა. დამიბარა და მითხრა:

— ჭაბუკო, ბედნიერად ვცხოვრობდით შენს მოსვლამდე, დაცულნი ბედისწერის უკუღმართობისაგან. ახლა კი დარდები მოგვიზღვავდა. ნეტა სულ არ გვენახე, არ გვენახა შენი მურდალი გარეგნობა, რომლის გამოც ამდენი რამ დაგვატყდა თავსა. ჯერ ერთი, დამეღუპა ასული, რომელიც ას კაცად მიღირდა. მეორეც — დამემართა ის, რაც დამემართა — დავკარგე კბილები და დავკარგე მსახური. მაგრამ შენ რა ჩარა გაქვს. ეს ყოველივე ღვთის განგებაა ჩვენსა და შენს თავს. დიდება ალაჰს, ჩემმა ქალმა შენ გიხსნა და საკუთარი თავი კი დაღუპა. წადი, შვილო, ჩვენი ქვეყნიდან. მეყო, რაც შემემთხვა შენი მიზეზით. ასეთი წერა გვქონია ჩვენცა და შენცა. წადი მშვიდობითო.

— გავეცალე ხელმწიფეს, ჩემო ქალბატონო. არ მჯეროდა, რომ გადავრჩი. აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავ. გამახსენდა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა — როგორ გადავურჩი ყაჩაღებს, რომლებმაც გზაზე დამტოვეს. როგორ ვიარე ერთ თვესა და იმ ქალაქში შეველ უცხოელი; როგორ შევხვდი თერძსა და იმ ქალს, მიწის ქვეშ რომ იყო, როგორ გადავურჩი იფრითს იმის მერე, რაც სიკვდილი მქონდა გადაწყვეტილი. ყველაფერი მოვიგონე თავიდან ბოლომდე, ალაჰს მადლობა შევწირე და ვთქვი:

— დავკარგე თვალი და არა თავი-მეთქი.

სანამ ქალაქიდან წამოვიდოდი, აბანოში შევედი, წვერი მოვიპარსე და გეახელით, ჩემო ქალბატონო. ახლა ყოველდღე ვტირი

და იმ ტანჯვა-ვაებაზე ვფიქრობ, რომლის მიზეზითაც თვალი დავ-კარგე. ყოველთვის ვტირი, როცა გავიხსენებ, რაც გადამხდა და ამ ბეითებს ვმღერი:

ვფიცავ მოწყალეს, რომ უეჭველად
მეც დამაბნია ჩემმა ამბავმა.
არ ვუწყი თვითონ, ანაზდეულად
დარდები როგორ შემომეჯარა.
მაგრამ მოვითმენ, რათა იცოდეს
ხალხმა, რომ ვუძლებ მე ისეთ რასმე,
რისი მოთმენა და გადატანა,
თვით მწარე საბრზე უმწარესია.
ო, რა კარგია უსათნოესი
მორჩილება და ღვთისნიერება.
რამეთუ თავის ქმნილებას ღმერთი,
რასაც გადაწყვეტს ის აღსრულდება.
და საიდუმლოდ ჩემი სულისა
იდუმალ ფიქრთა თარჯიმანია,
იდუმალება საიდუმლოთა —
გულში მალული შენზე ფიქრია.
მთებს დაანგრევდა, რაც მე დამატყდა,
მათაც რომ იგივ გადახდომოდათ,
ცეცხლს ჩააქრობდა და ალბათ ქარიც
ვეღარასოდეს დაუბერავდა.
და ვინც იტყვის, რომ ბედისწერაში
იპოვებაო დროდადრო სიტკბო,
მას დაუდგება აუცილებლად
დღე, უმწარესი თვით მწარე საბრზე.

ვიმოგზაურე სხვადასხვა მხარეში. ვიყავი სხვადასხვა ქალაქში, მერე კი გამოვემართე ბაღდადისაკენ — მშვიდობის ქალაქისაკენ. ეგების მივაღწიო მართლმორწმუნეთა მბრძანებელს და ვუამბო, რაც გადამხდა. ამ საღამოს მოვაღწიე ბაღდადს. ვხედავ, ეს ჩემი ამხანაგი გაოგნებული დგას. სალამი ვუთხარი და დაველაპარაკე. ამ დროს მოვიდა ეს ჩვენი მესამე ძმაც, მოგვესალმა და გვითხრა: — უცხოელი ვარო.

— ჩვენც უცხოელები გახლავართ, ამ კურთხეულ ღამეს ჩამოვედით-თქო, ვუთხარით ჩვენც. წამოვედთ სამთავე. არც ერთმა არ იჯდა მეორის ამბავი. განგებამ ამ კართან მოგვიყვანა და თქვენთან შემოვედით. ეს არის ჩემი წვერის გაპარსვისა და თვალის დავსების მიზეზი.

— საოცარია შენი ამბავი, — უთხრა ქალმა, — ახლა კი თავზე ხელი გადაისვი და შენს გზას ეწიე.

— ვერ წავალ, სანამ ჩემი ამხანაგების ამბავს არ მოვისმენო, — მიუგო დერვიშმა.

მაშინ წინ წადგა მესამე დერვიში და თქვა:

## მესამე დერვიშის ნაამბობი

— დიდებულო ქალბატონო, ჩემი მოთხრობა ამათ ნაამბობს არა ჰგავს. ჩემი ამბავი უფრო საოცარია. ამათ განგება და ბედისწერა დაატყდათ თავს. ჩემი წვერის გაპარსვისა და თვალის დავსების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მე თვითონ დავატეხე ჩემს თავს განგება და გულს კი ნაღველი. მე მეფე ვიყავ, შვილი მეფისა. მამაჩემი გარდაიცვალა და იმის შემდგომ მე დავეუფლე სამეფოს. ვიყავ სამართლიანი განმგებელი და ქვეშევრდომთა მოწყალე. ზღვაზე მოგზაურობა მიყვარდა. ჩემი ქალაქი ზღვისპირას იდგა. ზღვა ვრცელი იყო. ჩვენს ირგვლივ ზღვის შუაგულში უამრავი დიდრონი კუნძული იყო. ამ ზღვაში ორმოცდაათი სავაჭრო

გემი დამიდიოდა. ორმოცდაათი მცირე — სასეირნო ხომალდი, ას ორმოცდაათი კი ომისა და ჯიჰადისათვის აღჭურვილი. კუნძულების დათვალიერება განვიზრახე. გავემგზავრე ათი გემითა და თან ერთი თვის სანოვაგე წავიღე. ოცი დღე რომ ვიმოგზაურეთ, ერთ ღამეს პირის ქარი ამოვარდა. ზღვა აბობოქრდა, ტალღები ერთმანეთს ასკდებოდა, გადარჩენის იმედი დავკარგეთ. საზარელი სიბნელე ჩამოწვა და მე ვთქვი:

— ხიფათში ჩავარდნილი საქებარი არ არის, კიდეც რომ გადარჩეს.

მოვუხმეთ მაღალ ალაჰსა და შეწევნა ვთხოვეთ. საპირისპირო ქარები ჰქროდა და ტალღები ერთმანეთს ეხლებოდა, ვიდრე არ გათენდა. მერე კი ქარი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა და მზემ გამოანათა. ერთ კუნძულს მივადექით. ავედით კუნძულზე, საჭმელი მოვამზადეთ და ვჭამეთ. იქ ორ დღეს დავრჩით. მერე კიდევ ოცი დღე ვიარეთ. რაღაც ზღვა გვეუცნაურა ჩვენცა და გემის უფროსსაც. იმან ზღვა ვეღარ იცნო. მზირს ვუთხარით:

— გაიხედე, ზღვა დაათვალიერე. მზირი ანძაზე ავიდა. მერე კი ჩამოვიდა და ხომალდის უფროსს მოახსენა:

— მარჯვნივ, ზღვის ზედაპირზე თევზი დავინახე. ზღვის შუაგულში კი რაღაც შავი ლაქა შორიდან იგი ხან შავი ჩანს და ხან კი თეთრი.

მზირის სიტყვების გაგონებაზე ხომალდის უფროსმა ჩალმა ძირს დაანარცხა. წვერი დაიგლიჯა და ხალხს უთხრა:

— გამცნობთ. რომ ყველანი პირწმინდად დავიღუპებით. არც ერთი არ გადავრჩებით.

ხომალდის უფროსმა ტირილი დაიწყო და ჩვენც დავტიროდით ჩვენს თავს.

— თქვი, ისეთი რა დაინახა მზირმა, — ვუთხარი ხომალდის უფროსს.

— იცოდე, ჩემო ბატონო, — მითხრა მან, — გზა დაგვებნა. ეს მაშინ მოხდა, ზენა და ქვენა ქარი როცა ამოვარდა და მეორე დილამდე არ ჩადგა. და ორი დღე რომ ვიდექით. ზღვაში გზა დაგვეკარგა და იმ ღამიდან მოყოლებული თერთმეტი დღე მცდარი გეზით გვივლია. და არ არსებობს ქარი, რომელიც დაგვაბრუნებს იქიდან, საითკენაც გავემართებით ხვალ. ხვალ ჩვენ მივაღწევთ შავ ქვას, რომელსაც ანდამატის მთა ეწოდება. დინება იქითკენ მიაქროლებს ჩვენს გემს იძულებით და იქ კი იგი ნაწილ-ნაწილ დაიშლება, რადგან გემის ყოველი ლურსმანი იმ მთისკენ გაექანება და მიეკრობა. მაღალმა ალაჰმა იმ ანდამატის მთაში საიდუმლო ჩადო: — მთელი რკინა იმისკენ მიისწრაფვის. ამ მთაზე იმდენი რკინაა, რომ არავინ უწყის, გარდა ალაჰისა, მაღალიმც არს იგი. უძველესი დროიდან უამრავი გემი იმსხვრეოდა ამ მთის გამო. ზღვის მახლობლად ერთი ყვითელი სპილენძია გუმბათია. ის გუმბათი ათ სვეტზე დგას. გუმბათზე მხედარია სპილენძის ცხენზე მჯდარი. ამ მხედარს ხელში სპილენძის შუბი უჭირავს. გულზე ტყვიის დაფა ჰკიდია, რომელზედაც ჯადოსნური სახელები და თილისმებია ამოკვეთილი. მეფეო, ვიდრე ის მხედარი იქ არის და იმ ცხენზე ზის, დაიმსხვრევა ყოველი გემი, რომელიც კი მის ძირას გაივლის. დაიღუპება ყველა მგზავრი და მთელი რკინა იმ მთას მიეკრობა. არ არის ხსნა, ვიდრე ის მხედარი იმ ცხენიდან არ გადმოვარდნილაო.

— მერე, ჩემო ქალბატონო, გემის უფროსი მწარედ ატირდა. და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავიღუპებოდით. ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. გათენებისას მივუახლოვდით იმ მთას. წყალმა იქითკენ გაგვიტაცა და როდესაც გემმა მთის ძირას გაიარა, ყველა ლურსმანი მოძვრა და ლურსმანიცა და ყველაფერი რკინისა, რაც იყო გემზე, იქითკენ გაექანა. დღის ბოლომდე ვტრიალებდით იმ მთის ირგვლივ გემი დაიშალა. ზოგი ჩვენგანი დაიხრჩო,

ზოგიც გადარჩა. უმეტესობა დაიხრჩო. გადარჩენილებმა ერთმანეთისა არა იცოდნენ რა, ისე მიმოგვფანტა ტალღებმა და ქარმა. მე კი, ჩემო ქალბატონო, ალაჰმა გადამარჩინა იმ ტანჯვა-წვალებისა და ვაებისათვის, რაც მელოდა თურმე. ფიცარზე ავცოცდი. ტალღებმა და ქარმა იგი მთაზე ისროლა. მთის მწვერვალისაკენ მიმავალ გზას წავაწყდი. გზა კლდეში გამოჭრილ კიბეს წააგავდა. ვახსენე მაღალი ალაჰის სახელი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთხუთმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ მესამე დერვიშმა უოხრა ქალს, რომელიც ხელებშეკრულ ხალხსა და ხმალმოღერებულ მონათა შორის იყო:

— ვახსენე ალაჰის სახელი, მოვუხმე ალაჰსა და შევევედრე. იმ მთაზე ასვლა ვცადე. ჩავებღაუჭე ნაჭდევს, მთაზე რომ იყო. ალაჰმაც ქარი ჩააყენა იმ წამს და ასვლაში დამეხმარა. მშვიდობით ავედი მთაზე. უზომოდ გამიხარდა გადარჩენა. სხვა გზა არ მქონდა, გუმბათში უნდა შევსულიყავი. შევედი და ორი მუხლმოყრა შევასრულე ალაჰის სამადლიეროდ — მშვიდობით რომ გადამარჩინა. დავიძინე იმ გუმბათის ქვეშ. ჩამესმა ვიღაც ამბობს:

— ო, იბნ ხასიბ, როდესაც გაიღვიძებ, მიწა გათხარე შენს ფერხთით. იპოვი სპილენძის მშვილდსა და ტყვიის სამ ისარს. იმათზე ჯადოსნური სიტყვებია ამოჭრილი. აიღე მშვილდ-ისარი და იმ მხედარს ესროლე, გუმბათზე რომ დგას. იხსენი კაცთა მოდგმა ამ დიდი უბედურებისაგან. მხედარს რომ ესვრი, მშვილდი ხელიდან გაგივარდება. აიღე მშვილდი და თავის ადგილას დამარხე. ამას რომ გააკეთებ, ზღვა აზვირთდება, აიწევს და მთას გაუსწორდება, ზედ ნავი ამოვა. იმ ნავში სპილენძის კაცი იქნება, შენ რომ ჩამოაგდებ, ის კი არა სხვა. შენთან მოვა ხელში ნიჩბით, ჩაუჯექი იმასა და ალაჰის სახელი არ ახსენო, მაღალიმც არ, იგი. ის კაცი ათ დღეს გატარებს და მშვიდობის ზღვაში მიგიყვანს. იქ კი ჰპოვებ

იმას, ვინც შენს ქვეყანას მიგაღწევინებს. ეს ყველაფერი აგისრულდება, თუ არ ახსენებ ალაჰის სახელს.

გამეღვიძა. ძალამოკრებილი ავდექი. წყლისაკენ გავემართე, ისე როგორც მითხრა ხმამ იდუმალმა. ვესროლე მხედარსა და ჩამოვაგდე. მხედარი ზღვაში ჩავარდა. მშვილდი ხელიდან გამივარდა. ავიღე და დავმარხე. ზღვა აღელდა, აიწია და იმ მთას გაუსწორდა — მე სადაც ვიყავი. დიდხანს არ გაუვლია, ზღვის შუაგულში ჩვენკენ მომავალი ნავი შევნიშნე. და ალაჰს მადლობა შევწირე — მაღალიმც არს იგი. ნავი მოვიდა შიგ სპილენძის კაცი დავინახე. კაცს გულზე ტყვიის დაფა ეკიდა, ზედ ჯადო და თილისმა სიტყვები ეწერა. ნავში მდუმარედ, ხმისამოუღებლად ჩავჯექი. იმ კაცმა მატარა ერთ დღეს. მეორე დღეს, მესამე დღეს, სულ ათ დღეს, ვიდრე მშვიდობის კუნძულები არ დავინახე. ძლიერ გამიხარდა. დიდი სივარულისაგან ალაჰი გამახსენდა და წარმოვთქვი: „სახელითა ალაჰისათა“, „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა“ და „დიდ არს ალაჰი“. ეს რომ წამომცდა, ნავიდან წყალში გადამისროლა და გაბრუნდა. ცურვა ვიცოდი და იმ დღეს დაღამებამდე მივცურავდი, სანამ ხელ-ფეხი არ დამეღალა და მხრები არ დამექანცა. მრავალი ხიფათი გამოვიარე. წარმოვთქვი სიტყვები სჯულის აღიარებისა და სიკვდილში დავრწმუნდი. ზღვა ბობოქრობდა დიდი ქარებისაგან. მოვარდა ერთი ვეება, ციხესავით ტალღა და ისე გამტყორცნა, რომ ხმელეთზე აღმოვჩნდი — ასეთი ყოფილა ნება ალაჰისა. ტანსაცმელი გავწურე, ძირს გავაფინე და დავიძინე. გათენდა, ტანსაცმელი ჩავიცვი და ავდექი, რომ მენახა. რა გზას დავდგომოდი. ერთი ამწვანებული ჭალა დავინახე. მივედი და ირგვლივ შემოვუარე. ვხედავ — ის ადგილი, სადაც მე ვიყავი, ერთი პატარა კუნძულია. გარშემო ზღვა აკრავს. გულში გავიფიქრე: — როგორც კი თავს დავაღწევ ერთ უბედურებას, შევეყრები მეორეს — უფრო უარესს. იმ დროს, როდესაც ჩემს ამბავზე ჩაფიქრებული სიკვდილს ვნატრობდი, უეცრად ხალხით სავსე

ხომალდი დავინახე. ავდექი და ხეზე ავედი. აი, ხომალდი მოადგა ხმელეთს და იქიდან ათი მონა გადმოვიდა. თან ნიჩბები ჰქონდათ. იარეს, სანამ კუნძულის შუაგულს მიაღწიეს. გათხარეს მიწა, მიწაში სარქველი მოძებნეს, ასწიეს და კარი გახსნეს. დაბრუნდნენ გემზე და გადმოზიდეს: პური. ფქვილი, ქონი, თაფლი, ცხვარი და ყველაფერი, რაც კი საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად. მონები მიდი-მოდიოდნენ ხომალდსა და სარქველს შორის. ცლიდნენ გემსა და ჩადიოდნენ ქვემოთ, ვიდრე ყველაფერი არ გადმოზიდეს, რაც იყო გემზე. მერე ისევ გადმოვიდნენ მონები, თან საუკეთესო სამოსი მოჰქონდათ. მათ შორის შეიხი მოდიოდა — მიხრწნილი მოხუცი. დიდხანს ეცხოვრა მას ამსოფლად. დროს დაეუძლურებინა და ღონე გამოეცლია მისთვის. ბერიკაცს ჭაბუკის ხელი ეჭირა. ჭაბუკი თითქოს მშვენიერების ყალიბში ჩამოესხათ და სილამაზის სრულქმნილი სამოსით შეემოსათ. ისე, რომ საარაკო გამხდარიყო მისი სიტურფე. იგი ნორჩ ყლორტსა ჰგავდა, ყოველ გულს ჰხიბლავდა მისი სილამაზე და ყოველ გონებას წარიტაცებდა მისი სიტურფე. ისინი შეუჩერებლად მიდიოდნენ, ჩემო ქალბატონო, ვიდრე იმ სარქველთან არ მივიდნენ, ჩავიდნენ შიგ და თვალს მომეფარნენ. როდესაც წავიდნენ, ავდექი და ხიდან ჩამოვედი. იმ ადგილისაკენ გავემართე. მიწა გავთხარე და გადავზიდე. ვთხრიდი, ვიდრე მთელი მიწა არ გადავაცალე. გამოჩნდა სარქველი, ზომით დოლაბის ნახევარი. ავწიე და იმის ქვეშ თაღიანი კიბე დავინახე. გამიკვირდა. ჩავყევი კიბეს და ვიარე, ვიდრე კიბის ბოლოს არ მივაღწიე. დავინახე ლამაზი სადგომი ნაირ-ნაირი ხალიჩებითა და აბრეშუმით მოფენილი. ამაღლებულ მერხზე ჭაბუკი იჯდა ბალიშზე დაყრდნობილი. ხელში, მარაო ეკავა. წინ სურნელოვანი ყვავილები და რეჰანი ეწყო. ჭაბუკი მარტო იყო. ჩემს დანახვაზე გაფითრდა, მე მივესალმე და ვუთხარი:

— დაიმშვიდე სული, დაიწყნარე გული, ნურაფრის გეშინია, მეც

შენსავით ძეხორციელი ვარ — შვილი მეფისა. აქ განგებას გადმოვუგდივარ, შენი მარტოობა რომ გავიზიარო. როგორია შენი ამბავი და თავგადასავალი, მარტოდმარტო რომ დასახლებულხარ ამ ქვესკნელში.

ჭაბუკს გაუხარდა და ფერი დაუბრუნდა, როცა ნახა — მეც მისი ჯიშისა ვარ. ახლოს მიმიყვანა და მითხრა:

— ჩემო ძმაო, საოცარია ჩემი ამბავი. მამაჩემი ძვირფასი თვლების ვაჭარია. ფლობს საქონელს, მონებს. მამლუქი ვაჭრები უშორეს ქვეყნებში დაუდიან ხომალდებით. აქვთ აღებ-მიცემობა და დიდძალი ფული. მამაჩემს შვილი არ ჰყოლია. ერთხელ სიზმარში უნახავს, რომ ვაჟი შეეძინებოდა, მაგრამ დღემოკლე. მამაჩემმა ყვირილითა და ტირილით გაიღვიძა. მეორე ღამეს დედაჩემი ფეხმძიმედ შეიქნა ჩემზე. ფეხმძიმობის ყავლი რომ გაუთავდა და დღეები დაუსრულდა, მე მშობა. გაიხარა მამაჩემმა. ინადიმა და გახარებულმა დააპურა უპოვარნი და გლახაკნი — სიცოცხლის ბოლოს ვაჟი რომ შეეძინა. შეკრიბა ვარსკვლავთმრიცხველნი, მეკალენდრენი, იმ დროის ბრძენნი, ჟამთააღმწერლები და მესტროლაბენი. გამოიწვლილეს ჟამი ჩემი დაბადებისა და მამაჩემს უთხრეს: — შენი ვაჟი თხუთმეტ წელს იცოცხლებს. ერთე საფრთხე მოელის და იმას თუ გადაურჩა, მაშინ დღეგრძელი იქნება, მისი სიკვდილის მიზეზი ის გახლავთ, რომ დაღუპვის ზღვაში ანდამატის მთა არის. იმ მთაზე სპილენძის ცხენი და მხედარია. მხედარს გულზე ტყვიის დაფა ჰკიდია. ის მხედარი რომ იქიდან გადმოვარდება, შენი ვაჟი ორმოც დღეში მოკვდება. მისი მკვლელი იქნება ის, ვინც იმ მხედარს ჩამოაგდებს და მას აჯიბ იბნ ხასიბი ჰქვიაო.

მამაჩემი ძლიერ დაღონდა. შეუდგა ჩემს აღზრდას, თხუთმეტი წლისა შევიქენი და ათი დღის შემდეგ მამაჩემს ამბავი მოუვიდა, რომ ის მხედარი ზღვაში ჩავარდნილა. და იმის გამომგდებს აჯიბი ჰქვია, ნასიბ მეფისწული. მამაჩემს შეეშინდა, რომ მომკლავდა ის

აჯიბ იბნ ხასიბი და ამ ადგილას გადმომიყვანა. ასეთია ჩემი ამბავი და ჩემი მარტოობის მიზეზი.

მე გავოცდი მისი ამბის გაგონებაზე. გუნებაში ვთქვი: — ეს ყველაფერი ხომ მე ჩავიდინე, მაგრამ, ალაჰს ვფიცავ, მე მას არასოდეს არ მოვკლავ.

— ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე, — გაშოროს დაღუპვა და მოგცილდეს ზიანი, და, თუ ალაჰი ინებებს, დარდი და ნაღველი არ გენახოს. მე შენთან დავრჩები და გემსახურები. ამ დღეებს შენთან გავატარებ, მერე კი ჩემს გზას გავუდგები. ჩამაბარე შენს ერთ-ერთ მონა, რომ სამშობლოში წამიყვანოს.

ვიჯექი და დაღამებამდის ვესაუბრებოდი. მერე ავდექი, ავანთე დიდი სინათლე და კანდელები; დავსხედით და ვჭამეთ ცოტაოდენი. მერე ტკბილეული მოვიტანე და პირი ჩავიტკბარუნეთ. ვისხედით და ვმასლაათობდით, სანამ ღამის დიდი წილი არ გავიდა. ჭაბუკმა დაიძინა. დავახურე. მეც ავდექი და დავიძინე. როცა გათენდა, ავდექი, წყალი გავაცხელე და ფრთხილად გავაღვიძე. ჭაბუკი გამოფხიზლდა. ცხელი წყალი მივუტანე, პირი დაიბანა და თქვა:

— ჭაბუკო, ღმერთმანი, თუ გადავურჩი იმ დღესა და იმ კაცს, აჯიბ იბნ ნასიბი რომ ჰქვია, მამაჩემს ვეტყვი დაგასაჩუქროს, თუ მოვკვდები და — მშვიდობა შენდა.

— ღმერთიმც ნუ გაათენებს შენი უბედურების დღეს. ალაჰმა შენზე უწინ მე არ გამითენოს.

მივუტანე საჭმელი და შევექეცით. საკმეველი დავუნთე; ესიამოვნა, მანკალა დავუდგი და ვეთამაშე. ვჭამდით ტკბილეულსა და დაღამებამდე ვთამაშობდით. როცა დაღამდა, საჭმელი მოვიტანე, დავუჯექი და ველაპარაკებოდი, ვიდრე ღამე თითქმის არ მიიწურა. ასე ვემსახურებოდი, ჩემო ქალბატონო, მრავალი დღე და მრავალი ღამე. ჩემს გულში მისმა სიყვარულმა დაისადგურა.

ჩემი ნაღველი დავივიწყე. გელში ვამბობდი: ტყუილი თქვეს ვარსკვლავთმრიცხველებმა, ვერ მოვკლავ ამ ჭაბუკს, ღმერთმანი. ვესაუბრებოდი, ვემსახურებოდი, ვნადიმობდი და ასე გავიდა ოცდაცხრამეტი დღე. მეორმოცე ღამეს გაიხარა ჭაბუკმა და თქვა:

— დიდება ალაჰს, ჩემო ძმაო, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა. ეს შენი კურთხევითა და შენი მოსვლის წყალობითაა. მე შევთხოვ ალაჰს, შენს ქვეყანას მიგაღწევინოს. ძმაო, ერთი წყალი გამიცხელე, მინდა ვიბანაო.

— სიყვარულითა და პატივისცემით. — მივუგე მე. გავუცხელე წყალი და შევუტანე; კარგად დავბანე ტანი. დავზილე, მოვემსახურე, ტანსაცმელი გამოვუცვალე და მაღალი ლოგინი დავუგე. მოვიდა ჭაბუკი ლოგინზე გაიჭიმა და ნაბანევმა მოისვენა. მერე მითხრა:

— ძმაო. გაჭერი საზამთრო და შიგ შაქარყინული ჩაადნე. საკუჭნაოში შეევედი და ხონჩაზე ერთი კარგი საზამთრო ვნახე. — ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე, — დანა ხომ არა გაქვს?

— აი, იგი, — მომიგო მან, — ჩემ ზემოთ, იმ მაღალ თაროზე.

სწრაფად წამოვდექი, ხელში დანა ავიღე და ტარით დავიჭირე. უკან დაბრუნებისას ფეხი დამიცდა და დანით ხელში ბიჭს დავეცი. დანამ იჩქარა შეესრულებინა ის, რაც ეწერა მარადისობაში, ჩაესო გულში და ჭაბუკმა მყისვე სული განუტევა.

როცა დასრულდა ჭაბუკის ცხოვრების საზღვარი და მივხვდი, რომ იგი მე მოვკალი, საშინლად დავიყვირე, პირში ხელი წავიშინე, ტანსაცმელი შემოვიხიე. ვთქვი:

— ჭეშმარიტად, ალაჰს ვეკუთვნით და მასთანვე დავბრუნდებით. ო, მუსლიმნო, ამ ჭაბუკს ერთი ღამეღა აკლდა, რომ ორმოცი დღე შესრულებოდა და იმ საფრთხეს გადარჩენოდა, რაც მას ვარსკვლავთმრიცხველებმა და ბრძენებმა უწინასწარმეტყველეს, ჩემმა ხელმა დაასრულა ამ ლამაზი ვაჟის სიცოცხლის ვადა. ნეტა იმაზე ადრე მოვმკვდარიყავი და ეს საზამთრო არ გამეჭრა.

ეს სხვა არა არის რა, თუ არ უბედურება და მწუხარება. მაგრამ, დე, ალაჰმა აღასრულოს საქმე წინასწარ განზრახული...

— როცა დავრწმუნდი, რომ ვაჟი მოვკალი, ავდექი, კიბეს გარეთ ამოვყევი და მიწა ისევ თავის ადგილას დავაყარე. ზღვას გავხედე. დავინახე გემი. ზღვას მოაპობს და ხმელეთისკენ მოემართება. შევშინდი და გავიფიქრე:

— ახლა მოვლენ, ნახავენ — ვაჟი მოკლულია. მიხვდებიან, რომ მე მოვკალი და უეჭველად სიცოცხლეს გამოასალმებენ. ერთი მაღალ ხისკენ გავემართე, ავედი და ფოთლებში ჩავიმალე. ის იყო ავედი, რომ გადმოსხდნენ მონები და ის მოხუცი შეიხი, ვაჟის მამა. მივიდნენ იმ ადგილას, გადაყარეს მიწა. მოძებნეს სახურავი და წავიდნენ. ნახეს ვაჟი წევს ნაბანევს სახე უბრწყინავს, სუფთად აცვია და გულში დანა აქვს გაყრილი. დაიყვირეს, ატირდნენ. პირში ხელი წაიშინეს და ერთი ვაი და ვიში ატეხეს. მოხუცი დიდხანს გულწასული იყო და მონებმა იფიქრეს, შვილის სიკვდილი ვერ აიტანაო. ვაჟი თავის ტანსაცმელში გაახვიეს, აბრეშუმის საბურველი გადააფარეს და გემისაკენ გაემართნენ. შეიხიც უკან ამოჰყვათ. შეხედა მწოლარე შვილსა, ძირს დაეცა, თავზე მიწა დაიყარა, პირში ხელი შემოირტყა და წვერი დაიგლიჯა. ჩაფიქრდა შვილის მოკვლაზე, ტირილს უმატა და გული შეუღონდა. მონამ აბრეშუმის ნაჭერი ამოიტანა. შეიხი სკამზე დააწვინეს და თავით დაუსხდნენ. ყველაფერს ზემოდან ვბედავდი და თმაზე ადრე გული გამიჭაღარავდა იმ დარდისა და მწუხარებისაგან, რაც წილად მხვდა. და წარმოვთქვი:

ო, რაოდენი სიკეთე აქვს ფარული ალაჰს?
ბრძენსაც არ ძალუძს ჩაწვდეს იმის იდუმალებას.
მრავალი საქმე რომ გაწუხებს განთიადისას,
საღამოის ჟამს შვებასა და ლხენას მოგაგებს.
რამდენ განსაცდელს მოჰყოლია კვალდაკვალ ლხინი

და განუვლტია გასაჭირი მწუხარ გულთაგან.

— ჩემო ქალბატონო, შეიხი გრძნობადაკარგული იყო, ვიდრე მზის ჩასვლის ჟამი არ დადგა. მერე გონს მოვიდა. შეხედა თავის ვაჟს და დაინახა, რომ სწორედ ის დამართნია, რისი შიშიც ჰქონდა. თავპირში ხელი წაიშინა და ეს ბეითები წარმოთქვა:

გული დაფლეთილია საყვარლის განშორებით,
თვალთა უპეებიდან ცრემლი მოედინება.
სანუკვარი შორს არის, ვაჰმე, ჩემს მწუხარებას!
ახლა რაღა გაუწყო, რა ვთქვა, როგორ მოვიქცე,
ნეტა, მისი არასდროს ვყოფილიყავ მნახველი.
რა ვიღონო, უფალნო, გზები და დამივიწროვდა.
როგორ ვპოვო ნუგეში, როცა ტანჯვა-ვაების
გულში ცეცხლი მინთია, ცეცხლის ალი დამწველი.
ო, რა კარგად ვიყავით, ერთ ჭერ ქვეშ რომ ვცხოვრობდით,
მარად ნეტარებაში, მარად განუყრელები.
ვიდრემდის არ გესროლეს განშორების ისარი.
განშორების ისარი ვის გადაუტანია?
ჩემთვის ყველაზე ძვირფასს უცბად ავი ეწია,
თავის დროში უბადლოს, სილამაზით უნაკლოს.
მას ვუმღერდი და მასწრებს ენა ჩემი ყოფისა:
„ო, ნეტა აღსასრული, შვილო, შენ არ გწვეოდა.
ახლა რა გზას დავადგე, შეგეყარო სასწრაფოდ,
სულსაც განაცვალებდი, შვილო, რომ მიიღებდნენ.
ვაი ჩემს მწუხარებას, ტანჯვას წუთისოფლისგან!
უშენობას ვერ ვიტან, რაღამ უნდა გამართოს?
შენს ნატვრაში მამაშენს სული ამოუვიდა.
ღონე გამოეცალა, სიკვდილი რომ დაგატყდა.
დღეს ჩვენ მეშურნეებმა ავი თვალი დაგვადგეს,

მაგიერი მიეზღოთ, რა ბოროტი საქმე ქმნეს!“

მერე ერთი ისეთი ამოიოხრა იმ ბერიკაცმა, რომ სულიც თან ამოაყოლა.

— ვაი, ჩვენო ბატონო, — აყვირდნენ მონები. თავზე მტვერი დაიყარეს, ბევრი იტირეს და მოხუცი შვილის გვერდით დაასვენეს გემზე. აუშვეს აფრები და თვალს მოეფარნენ. ხიდან ჩამოვედი, სახურავის ქვეშ ჩავედი ჩაფიქრებული იმ ჭაბუკზე. ზოგი მისი ნივთი დავინახე და წარმოვთქვი:

ვიხილე მისი ნატერფალი და დავდნი ნატვრით.
ცრემლების ღვარი დავაფრქვიე მე იმის სადგომს.
და შევთხოვ მას, ვინც განისაჯა იმასთან გაყრა,
ოდესმე მაინც მიწყალობოს მე მისი ნახვაც.

— შემდეგ, ჩემო ქალბატონო, ამოვედი იმ სარქველიდან და მთელი დღე კუნძულზე დავბორიალებდი. ღამით დარბაზში ჩავედი. ასე გავატარე ერთი თვე. დასავლეთის ნაპირს გავცქეროდი ხოლმე. დღითი დღე შრებოდა ზღვა იმ ნაპირთან. ვიდრე წყალი არ შეთხელდა და მოქცევა არ შეწყდა. თვე რომ შესრულდა, იმ ნაპირზე წყალი გაშრა; გამიხარდა და გადარჩენის იმედი მომეცა. ავდექი და ფონს გავედი დარჩენილ წყალში. ხმელეთზე ავედი; იმოდენა ქვიშის ბორცვებს წავაწყდი, რომ აქლემი მუხლამდე ჩაეფლობოდა. გული გავიმაგრე და ქვიშა გადავჭერი. უეცრად შორს ცეცხლი შევამჩნიე. ცეცხლი მძლავრად გიზგიზებდა, გავემართე იქითკენ, ეგების საშველი დამადგესმეთქი და წარმოვთქვი:

ეგების ბედმა მოაბრუნოს თავის აღვირი —
სიკეთეს მწიოს, ბედისწერა იცვლება მარად.

ნატვრა ამიხდეს და იმედებს გაუძღეს შემწედ,
ყოველი საქმე ხომ ახლის დასაბამია.

ცეცხლისაკენ გავემართე. მივუახლოვდი და სასახლე დავინახე. კარი ყვითელი სპილენძისა ჰქონია და მზე რომ მიანათებდა. შორიდან ცეცხლივით ელვარებდა. ის იყო დავჯექი კარის პირდაპირ, რომ ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ათი ჭაბუკი მომიახლოვდა. თან მოხუცი შეიხი ახლდათ. ათივე ჭაბუკი ცალთვალა იყო — მარჯვენა თვალით ბრმა. გამაოცა იმათმა გარეგნობა და ასეთმა დამთხვევამ. დამინახეს და მომესალმნენ, ამბავი, ხაბარი მკითხეს. მეც მოვყევი, რაც გადამხდა და რა ჭირიც ვნახე. გაუკვირდათ ჩემი ნაამბობი. წამიყვანეს და სასახლეში ამიყვანეს. სასახლის შუაგულში ათი ტახტი დავინახე, თითოეულზე ცისფერი საბან-გობანი ეგო. მათ შორის ერთი მომცრო ტახტი იდგა, იმაზედაც ყველაფერი ცისფერი იყო. ოთახში შევედით, ყველა ჭაბუკი თავის ტახტზე ავიდა, შეიხი კი — შუაში მდგარ მომცრო ტახტზე. მითხრა:

— ჭაბუკო, დარჩი ამ სასახლეში, ოღონდ არც ჩვენი ამბავი იკითხო და არც ჩვენი თვალის დავსების მიზეზი.

ადგა შეიხი და თითოეულ ჭაბუკს მიართვა ერთი სინი საჭმელი და ერთი დოქი სასმელი, მეც ასევე მომიტანა. მერე კი დასხდნენ და დამიწყეს ამბებისა და თავგადასავლის გამოკითხვა. მეც ვუამბობდი, სანამ ღამის უმეტესი ნაწილი არ გავიდა. მაშინ ჭაბუკებმა თქვეს:

— მე ხო, ხომ არ მოგვიტან ვალად რაც გვაძევს, უკვე დროა.

— სიყვარულითა და პატივისცემით! — მიუგო შეიხმა, ადგა და საკუჭნაოში გავიდა. ერთხანს არ ჩანდა. მერე კი დაბრუნდა. თავზე შემოდგმული ჰქონდა ცისფერგადაფარებული ათი სინი. თითოს თითო დაუდგა. აანთო სანთლები და ყოველ სინზე თითო

სანთელი ჩაარჭო ასწია გადასაფარებელი და იმის ქვეშ სინზე ნაცარი, დაფშვნილი ნახშირი და ჭვარტლი აღმოჩნდა. ჭაბუკებმა ხელი დაიკაპიწეს, ატირდნენ და აქვითინდნენ. სახე გაიწურეს. პირში ხელი წაიშინეს. გულში მჯიღებს ირტყამდნენ და იძახდნენ:

— ვცხოვრობდით არხეინად, მეტიჩრობამ ჭირის დღე გვაწვნევინა!

გათენებამდე ასე იყვნენ. მერე ადგა შეიხი და წყალი გაუცხელა. ჭაბუკებმა პირი დაიბანეს და ტანსაცმელი გამოიცვალეს. ამის დანახვაზე. ჩემო ბატონებო, ჭკუა დავკარგე, ტვინი ამერია და ცნობის წადილმა შემიპყრო. ჩემი ამბავი გადამავიწყდა, გაჩუმება ვეღარ შევძელი და ვკითხე:

— ეს რამ ჩაგადენინათ იმის მერე, რაც ასე ვიმხიარულეთ და დავიქანცეთ. სრულ ჭკუაზე ხართ? მაღალი ალაჰის მადლმა, ამას ხომ გიჟის მეტი არავინ ჩაიდენს. გაფიცებთ ყველაფერზე ძვირფასს, მითხარით თქვენი ამბავი და თვალების დათხრის მიზეზი; ან მითხარით, რატომ იმურავთ პირისახეს ნაცრითა და ჭვარტლით?

მომიტრიალდნენ და მითხრეს:

— ჭაბუკო, სიყმაწვილემ არ შეგაცდინოს. თავი დაანებე მაგ შეკითხვებს.

ისინი ადგნენ. მეც იმათთან ერთად ავდექი. შეიხმა საჭმელი მოიტანა. ვჭამეთ, ჭურჭელი აალაგეს, დავსხედით და დაღამებამდის ვსაუბრობდით. მერე მოხუცი ადგა, სანთლები და კანდელები აანთო და საჭმელ-სასმელი შემოგვიტანა. დავსხედით. შუაღამემდე ვნადიმობდით და ვსაუბრობდით. შუაღამისას კი ჭაბუკებმა შეიხს უთხრეს:

— მოგვიტანე, ვალად რაც გვაძევს, ძილის დროც მოვიდა.

ადგა შეიხი და შავი ქვიშის სინები მოიტანა. ჭაბუკები ისევე მოიქცნენ, როგორც წინა ღამეს. ასე გავატარე იმათთან ერთი თვე. ყოველ ღამეს ნაცრით ითხუპნებოდნენ, მერე იბანდნენ და

ტანსაცმელს იცვლიდნენ. მიკვირდა ეს ამბავი. ცთუნება მემატა, ისე რომ ჭამა-სმასაც თავი დავანებე ვუთხარი:

— ჭაბუკებს, მიგატოვებთ, საფიქრალს თუ არ მოვაშორებთ და არ მეტყვით, რისთვის ისვამთ პირზე ნაცარს.

— უმჯობესია, დავმალოთ საიდუმლო, — მიპასუხეს იმათ.

მიკვირდა იმათი და ჭამა-სმა აღარ მინდოდა.

— უთუოდ უნდა გამიმხილოთ ამის მიზეზი, — ვუთხარი კიდევ.

— ჭირს შეეყრები და ჩვენ დაგვემსგავსები, — მომიგეს მათ.

— არა, ეს გარდუვალია, — ვუთხარი მე, — თუ არადა გამიშვით, მიგატოვებთ და ჩემს ოჯახთან წავალ, რომ მოვისვენო ამის ცქერისაგან. ანდაზა ამბობს: თვალი თუ არ ხედავსო, გული სულ არ ღელავსო.

მაშინ წავიდნენ, ცხვარი დაკლეს, გაატყავეს და მითხრეს:

— აიღე ეს დანა და ცხვრის ტყავში შეძვერი. ტყავს გარშემო შემოგაკერებთ. შენთან ერთი ფრინველი მოფრინდება, სახელად რუხი, მაღლა აგიყვანს და ერთ მთაზე დაგაგდებს. გაჭერი ტყავი და გამოდი. ფრინველი შეშინდება და მიგატოვებს. ნახევარ დღეს ივლი, უცნაურ სასახლეს მიადგები. სასახლეში შედი და საწადელს ეწევი. იმ სასახლეში შესვლა არის ჩვენი თვალის მოთხრისა და პირის გამურვის მიზეზი. აღარ მოგიყვებით ჩვენს ამბავს, თორემ სიტყვა გაგვიგრძელდება. ყოველ ჩვენგანს საოცარი ამბავი შეემთხვა მარჯვენა თვალის დაკარგვისას.

მე გამიხარდა. გამიკეთეს, რაც მითხრეს. წამიღო იმ ფრინველმა და მთაზე დამდო. გამოვძვერი ტყავიდან და ვიარე, ვიდრე იმ სასახლეში არ შევედი. სასახლეში მთვარის მსგავსი ორმოცი მხევალი ვნახე. ჩემს დანახვაზე ერთხმად მითხრეს:

— გამარჯობა, კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩვენო ბატონო.

დამსვეს ტახტზე და საჭმელი მომართვეს. ვჭამე იმათთან ერთად. მერე სასმელი მომიტანეს. ადგა ხუთი იმათგანი, ჭილოფი გამიშალეს და გარშემო ყვავილები, ხილი და ტკბილი დააწყვეს.

ღვინოც მოიტანეს და სასმელად დავსხედით. მხევლებმა უდი აიღეს და ზედ დაამღერეს. თასები და ფიალები ტრიალებდა ჩვენს შორის და ისეთი ნეტარება დამეუფლა, სულ დამავიწყდა ამ წუთისოფლის ყველა დარდი.

ახალი წლის დამდეგს მითხრეს:

— ნეტა არ გაგვეცანი, მაგრამ თუ დაგვიჯერებ, უკეთესი იქნება შენთვის. ატირდნენ მხევლები. მე გამიკვირდა და ვთქვი:

— რა ამბავია-მეთქი. მათ მითხრეს:

— ჩვენ ხელმწიფეთა ასულები ვართ. ერთ წელიწადს აქ ვცხოვრობთ, მერე ორმოცი დღით მივდივართ. ისევ ვბრუნდებით და ერთ წელიწადს ჭამა-სმას, სიამოვნებასა და მხიარულებაში ვატარებთ დროს. მერე ისევ მივდივართ. ასეთია ჩვენი ადათი. გვეშინია, ჩვენი აქ არყოფნისას არ დაარღვიოო, რასაც გიბრძანებთ. აი, ჩაგვიბარებია შენთვის სასახლის გასაღებები. ამ სასახლეში ორმოცი საგანძურია. ოცდაცხრამეტს გახსნი, მაგრამ უფრთხილდი მეორმოცე კარის გაღებას, თორემ ერთმანეთს დავშორდებითო.

მე მივუგე — არ გავაღებ-მეთქი.

გამომშვიდობების ადათი შევასრულეთ, გავიდნენ და გაფრინდნენ. სასახლეში მარტო დავრჩი. საღამო რომ მოახლოვდა, გავაღე პირველი საგანძური, შევედი და ვხედავ სამოთხისმაგვარ სახლს. შიგ ბაღნარია ამწვანებული ხეებით, მწიფე ნაყოფით, მგალობელი ჩიტებითა და წყალუხვი ნაკადულებით სავსე. სულს შვება დაეუფლა და ხეებს შორის გავისეირნე. ყვავილთა სურნელს ვყნოსავდი და ვუსმენდი ფრინველთა გალობას, რომლებიც ადიდებდნენ ერთადერთსა და ყოვლისშემძლეს. ვხედავდი წითელ-ყვითელ ვაშლებს, დავინახე კომში, რომლის სურნელთან თვით მუშკ-ამბრის სურნელიც არარაა. ისეთი, როგორც მგოსანს უთქვამს:

კომში მოიცავს ამა სოფლის ყველა სიამეს.
და ცნობილია, იგი სხვა ხილს აღემატება.
გემოთი ღვინო, სუნით მუშკი და ფერით ოქრო.
მრგვალია კომში, როგორც მთვარე სისავსის ღამეს.

დავინახე ქლიავი, სილამაზით თვალს რომ ხიბლავს, იაგუნდის მსგავსი. მერე კი გამოვედი და კარი დავკეტე, ისე როგორც იყო. მეორე დღეს მეორე საგანძურის კარი გავხსენი. დავინახე ვრცელი მოედანი. შიგ დიდრონი პალმები იყო, მდინარე მოედინებოდა და მდინარის ნაპირი ვარდისა და იასამნის ბუჩქებს, მაიორანს, ასკილს, ნარგიზსა და მიხაკებს მოეფინა. სიო უბერავდა ამ ყვავილებსა და ტკბილ სურნელს აფრქვევდა მარჯვნივ და მარცხნივ. სრული ნეტარება ვიგრძენი. გამოვედი იმ სამყოფიდან. საგანძურის კარიც ჩავკეტე, ისე როგორც იყო. გავაღე მესამე საგანძურის კარი. დავინახე ფერადი მარმარილოთი, ფასდაუდებელი ქვებითა და ძვირფასი თვლებით მოგებული დიდი დარბაზი. საბრისა და სანდალოზის ხის გალიებში ბულბულები, მტრედები, შაშვები, გვრიტები და მოჭიკჭიკე ნუბიურები გალობდნენ. გულს მომეფონა და წუხილი გამიქრა. დილამდე მეძინა ამ ადგილას. მერე მეოთხე საგანძურის კარი გავხსენი. დიდი სახლი დავინახე. იმ სახლში ორმოცი ღია საგანძური იყო. შიგ შევედი და ვნახე თვალ-მარგალიტი, იაგუნდი, ქრიზოლიტი, ზურმუხტი, ენით აუწერელი თვალნი პატიოსანნი. განცვიფრებისაგან ჭკუა დამებნა და ვთქვი:

— მე მგონია, ასეთი რამეები არც ერთი ხელმწიფის საჭურჭლეშიც კი არ მოიპოვება.

გულმა გაიხარა და დარდმა გაიარა.

— ახლა კი ჩემი საუკუნის მეუფე ვარ და, ღვთის მადლით, ეს ქონება ჩემია-მეთქი.

ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი, ვიდრე არ გავიდა

ოცდაცხრამეტი დღე. ყველა საგანძური გავხსენი ამ ხნის განმავლობაში, გარდა ამისა, რომელიც ამიკრძალეს. ჩემს გულს არ ასვენებდა, ჩემო ქალბატონო, ის საგანძური — მეორმოცე. ჩემდა საუბედუროდ, შეითანი შემიჩნდა, გამეღო იგი და მეც ვერ მოვითმინე. დათქმულ დრომდე კი ერთი დღეღა იყო დარჩენილი. ავდექი და მივედი ხსენებულ საგანძურთან, გავაღე კარი და ვნახე, სადგომში ისეთი წმიდა სურნელი იდგა, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია. იმ სურნელმა დამათრო და გულწასული დავეცი. ერთხანს ასე ვეგდე. მერე გული გავიმაგრე და შიგ შევედი. ვხედავ, იატაკი ზაფრანითაა მოფენილი, ოქროს კანდელები ანთია, საკმეველნი მუშკ-ამბრის სურნელს ჰფენენ და სინათლეს აფრქვევენ. ორი დიდი საცეცხლური დავინახე. ორივე თაფლიანი ამბრითა და საბრით სავსე. სადგომი მათი სურნელით გაჟღენთილიყო და დავინახე, ჩემო ქალბატონო, შავი მერანი, შავი, როგორც უკუნი ღამე. ცხენს წინ თეთრი ბროლის გეჯა ედგა და შიგ გაფცქვნილი გუნჯუთი ეყარა. მეორე ისეთივე გეჯა სავსე იყო მუშკიანი ვარდის წყლით. ცხენი ლაგამ-უნაგირით შეკაზმული იდგა. უნაგირი ბაჯაღლო ოქროსი ჰქონდა. გავოცდი იმის დანახვაზე და გულში გავივლე: — აქ უთუოდ რაღაც დიდებული ამბავია-მეთქი. შეითანმა გზა ამაბნია, მერანი გამოვიყვანე და შევაჯექი. მაგრამ ადგილიდან ფენა არ მოიცვალა. წიხლი ვკარი და არც კი გაინძრა. მაშინ ავიღე მათრახი და გადავუჭირე. დარტყმა რომ იგრძნო, ცხენმა ისეთი დაიჭიხვინა, თითქოსდა მეხმა დაიქუხაო. გაშალა ფრთები და გამაფრინა. ერთხანს თვალს მოეფარა ზეცაში, მერე ჩამოვიდა, სახურავზე ჩამომსვა, სახეში ძუა ჩამარტყა, მარჯვენა თვალი მომთხარა, ლოყაზე ჩამომადინა და მიმატოვა. სახურავიდან რომ ჩამოვედი, ის ათი ცალთვალა ჭაბუკი ვნახე.

— არც გამარჯვება შენ და არც კეთილი მობრძანება. მითხრეს მათ.

— აი, მეც თქვენისთანა გავხდი, — მივუგე მე, — მომეცით ნაცრის სინი, სახე მეც გავიშავო. მიმიღეთ. მეც თქვენთან ვიქნებიმეთქი.

— ალაჰს ვფიცავ. შენ ჩვენთან ვერ დარჩები, — მომიგეს მათ, — და აქედან გაგვეცალეო.

როცა გამომაგდეს და გაჭირვებაში ჩავვარდი, ჩავფიქრდი. ყველაფერზე, რაც თავს გადამხდა. გულდამწუხრებული და თვალცრემლიანი გამოველ მათგან და ვთქვი:

— ვცხოვრობდი არხეინად და მეტიჩრობამ ჭირის დღე მაწვნევინა!

მოვიპარსე წვერ-ულვაში და შემოვიარე ალაჰის ქვეყნები. ღმერთმა მშვიდობით მატარა, ვიდრე ბაღდადს არ მოვაღწიე ამ საღამოს. ვნახე, ეს ორი დერვიში დაბნეული დგას. მივესალმე და ვუთხარი: — უცხოელი ვარ-მეთქი.

— ჩვენც უცხოელები ვართო, — მიპასუხეს იმათ. დაემთხვა ისიც, რომ სამივენი მარჯვენა თვალით ბრმანი აღმოვჩნდით. ასეთია, ჩემო ქალბატონო, ჩემი წვერის მოპარსვისა და თვალის დავსების მიზეზი.

— თავზე ხელი გადაისვი და წადი, — უთხრა ქალმა. დერვიშმა მიუგო:

— ვერ წავალ, ღმერთმანი, ვიდრე სხვების ამბავსაც არ მოვისმენ.

ქალი ხალიფას, ჯაფარსა და მასრურს მიუბრუნდა და უთხრა: — მომიყევით თქვენი ამბავიო.

მაშინ ადგა ჯაფარი და უამბო ის, რაც მეკარე ქალს უთხრა აქ შემოსვლისას. ქალმა მოისმინა მისი სიტყვა და თქვა:

— ერთმანეთისათვის მიბოძებია თქვენი თავიო. გამოვიდნენ ქუჩაში და ხალიფამ დერვიშებს უთხრა:

— ხალხო და ჯამაათო, სად მიდიხართ? — თვითონაც არ ვიციო, საით წავიდეთ, — მიუგეს მათ.

— მოდით, ჩვენთან გაათიეთო, თქვა ხალიფამ და ჯაფარს უბრძანა: წაიყვანე და ხვალ მომგვარე, ვნახო, რა იქნება.

ჯაფარი დაემორჩილა ხალიფას ბრძანებას. ხალიფა კი სასახლეში ავიდა. იმ ღამეს იმის თვალს ძილი არ მიჰკარებია. როდესაც გათენდა, ხალიფა თავის სამეფო ტახტზე დაბრძანდა. ეახლნენ სახელმწიფოს მესვეურნი. და როდესაც წავიდნენ, ხალიფა ჯაფარს მიუბრუნდა და უთხრა:

— მომგვარე ის სამი ქალი, ორი ძაღლი და დერვიშები.

ჯაფარი ადგა და ისინი ხალიფას მიჰგვარა. ქალები ფარდის იქით შეიყვანა და უთხრა:

— ჩვენ ყოველივე გაპატიეთ იმ სიკეთის გამო, რაც გვიყავით, თუმცა კი არ გვიცნობდით. და, აი, მე გამცნობთ, რომ თქვენ მეხუთე აბასიანის, ჰარუნ არ-რაშიდის წინაშე იმყოფებით. და ილაპარაკეთ მხოლოდ სიმართლე.

ჯაფარის სიტყვების გაგონებაზე, რომელიც ხალიფას სახელით ლაპარაკობდა, წინ წარდგა უფროსი ქალი და თქვა:

პირველი ქალის ნაამბობი

— მბრძანებელო მართლმორწმუნეთა, მე ისეთი ამბავი გადამხდა, ნემსით რომ დაიწეროს თვალის უპეებზე, შეგონება იქნებოდა იმისათვის, ვინც შეიგონებს... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთექვსმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ უფროსი ქალი მართლმორწმუნეთა მბრძანებლის წინაშე წარდგა და თქვა:

— ჩემი ამბავი საოცარია, — ეს შავი ძაღლები ჩემი დები არიან. მამით ერთნი და დედით თავთავნი. მამაჩვენი რომ მოკვდა, ხუთი ათასი დინარი დატოვა. დებში ყველაზე უმცროსი ვიყავი. ჩემმა

დებმა მზითევი გაიმზადეს და დათხოვდნენ. ერთხანს ასე ცხოვრობდნენ. მერე ორთავე დის ქმარმა საქონელი მოიმზადა და ცოლს ათასი დინარი გამოართვა. ყველანი ერთად გაემგზავრნენ და დამტოვეს. ოთხ წელიწადს არ ჩანდნენ. იმათმა ქმრებმა ქონება დაღუპეს, გაკოტრდნენ და ჩემი დები უცხო ქვეყანაში მიატოვეს. გამათხოვრებული მომადგნენ დები. მე დავიბენი და ვერ ვიცანი. მერე, როდესაც მივხვდი, ვინც იყვნენ, ვუთხარი:

— ეს რა ამბავია-მეთქი.

— ეჰ, ლაპარაკი რაღას გვარგებს, ჩვენო დაო, — მიპასუხეს იმათ. — ის დასწერა კალამმა, რაც განსაჯა ალაჰმა.

აბანოში გავგზავნე, ორივეს ტანსაცმელი ჩავაცვი და ვუთხარი:

— ჩემო დებო, თქვენ უფროსები ხართ, მე კი უმცროსი. თქვენ ჩემთვის დედ-მამის მაგიერი ხართ. მემკვიდრეობა, რაც თქვენთან ერთად მივიღე, ალაჰმა აკურთხა. მე იგი გავზარდე და ახლა დიდებული მდგომარეობა მაქვს. მე და თქვენ თანაბარნი ვიყოთ-მეთქი. უაღრესი პატივი ვეცი. ჩემთან იყვნენ სრულ ერთ წელიწადს და ჩემი ფული ვუწილადე. მერე კი თქვეს: — გათხოვება გვინდა, ვერ დავთმობთ გათხოვებასაო.

— ჩემო დებო, — ვუთხარი მე, — გათხოვებაში რა ხეირი ნახეთ. ამ დროში იშვიათია კარგი ქმარი. ხომ იწვნიეთ, რაც არის გათხოვება. არ დაიშალეს და დათხოვდნენ ჩემი თანხმობის გარეშე. ჩემი ფულით გავამზითვე ისინი და მფარველობას არ ვაკლებდი. გაყვნენ თავიანთ ქმრებს. ერთხანს ცხოვრობდნენ, მერე კი ქმრებმა გამოსტყუეს, რაც კი რამ ებადათ, გაემგზავრნენ, მიატოვეს და თავის გზას ეწიენ. მოვიდნენ ჩემთან შიშველ-ტიტველი ჩემი დები, მოიბოდიშეს, მითხრეს.

— დაო, ჩვენზე უმცროსი ხარ, მაგრამ ჩვენზე მეტი ჭკუა გაქვს. აღარასოდეს არ ვახსენებთ გათხოვებასო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მივუგე მე, — ვინა მყავს

თქვენზე უკეთესი.

მივიღე ჩემი დები და დიდი პატივი ვეცი. ასე ვიყავით სრულ ერთ წელიწადს. მერე მოვინდომე გემი გამემზადებინა ჩემთვის ბასრას გასამგზავრებლად. გავამზადე დიდი ხომალდი. გადავიტანე გემზე საქონელი, ნივთები, რაც კი რამ საჭირო იყო, და ჩემს დებს ვუთხარი:

— შინ დარჩებით, სანამ მე ვიმოგზაურებ და დავბრუნდები, თუ წამომყვებით?

იმათ მიპასუხეს:

— წამოგყვებით, შენს განშორებას ვერ ავიტანთო.

წავიყვანე ჩემი დები და წავედი. ჩემი ფული ორ ნაწილად გავყავი. ერთი ნაწილი წავიღე, მეორე დავმალე იმ ვარაუდით, რომ ეგების გემს რაიმე შეემთხვეს, ჩვენ კი გადავრჩეთ; დავბრუნდებით და ვნახავთ ცოტაოდენ რასმე, რომ ხელი გავიმართოთ-მეთქი. შეუჩერებლად მივდიოდით მრავალი დღე და მრავალი ღამე. ჩვენი გემი გზას ასცდა. ხომალდს უფროსმა გეზი დაკარგა. გემი სხვა ზღვაში აღმოჩნდა. იქ არა, სადაც მივდიოდით. ერთხანს არ ვიცოდი ეს ამბავი. ქარი ხელს გვიწყობდა ათი დღის განმავლობაში. შორს რაღაც ქალაქი გამოჩნდა. გემის უფროსს ვკითხე:

— რა ჰქვია ამ ქალაქს, რომელსაც ვუახლოვდებით?

გემის უფროსმა მომიგო:

— არ ვიცი, ღმერთმანი, არც ეს ქალაქი მინახავს ოდესმე და არც ამ ზღვაში მივლია ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ რაკი მშვიდობით გადავრჩით, ახლა რაღა დაგრჩენიათ იმის მეტი, რომ შეხვიდეთ ამ ქალაქში, გამოიტანოთ თქვენი საქონელი და თუ გაიყიდება, გაყიდოთ.

გემის უფროსი ცოტა ხნით სადღაც წავიდა. მერე მობრუნდა და გვეუბნება:

— ადექით, წადით ქალაქში, გაოცდებით, რა უქნია ალაჰს თავის შექმნილთათვის, და ითხოვეთ გადარჩენა მისი რისხვისაგან.

წავედით ქალაქში და ვნახეთ — ყველა იქ მყოფი შავ ქვად გადაქცეულიყო. გაგვიკვირდა ეს ამბავი. ბაზრებში გავიარეთ. ვხედავთ. საქონელი, ოქრო, ვერცხლი ისე დარჩენილა, როგორც ყოფილა. გაგვიხარდა და ვთქვით:

— აქ რაღაც საოცარი ამბავი უნდა იყოს-თქო. — ქალაქის ქუჩებში გავიფანტეთ. ყველას გადაავიწყდა ერთმანეთი იმ ფულისა და ფართლის გამო, რაც იქ იყო. მე კი ციხე-კოშკში ავედი. ვხედავ, ციხე გამაგრებულია. შევედი მეფის სასახლეში. ვნახე, რომ მთელი ჭურჭელი იქ ოქრო-ვერცხლისაა. დავინახე მეფე. იგი თავის ეჯიბთა, ნაცვალთა და ვაზირთა შორის იჯდა და ისეთი ტანსაცმელი ეცვა, რომ კაცს ჭკუა დაებნეოდა. მივუახლოვდი და ვხედავ: ხელმწიფე მარგალიტითა და პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ტახტზე ზის და ყოველი მარგალიტი ვარსკვლავივით ანათებს. ტანთ ოქრომკედით ნაქარგი სამოსი აცვია. მის ირგვლივ ნაირ-ნაირ აბრეშუმში გამოწყობილი ორმოცდაათი ხმალამოწვდილი მამლუქი დგას. დავინახე და გაოცებისაგან დავიბენი. წავედი და ჰარემის დარბაზში შევედი. ჰარემის კედლებს აბრეშუმის ფარდები ამშვენებდა. დავინახე დედოფალი, დედოფალს ტანთ ნორჩი მარგალიტით ნაქარგი ტანსაცმელი ემოსა, თავზე ნაირ-ნაირი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი ეხურა და ყელზე მძივები და ფარღულები ჰქონდა. ტანსაცმელი და სამკაულები გადარჩენილიყო თვითონ კი შავ ქვად გადაქცეულიყო. ღია კარი დავინახე. შევედი, ვხედავ შვიდსაფეხურიან კიბეს. ავედი კიბეზე და ვნახე მარმარილოთი მოგებული და ოქსინოს ნოხებით მოფენილი სამყოფელი. შიგ მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ალებასტრის სარეცელი იდგა. რადაც ელვარე სინათლე შევნიშნე. იქითკენ წავედი და პატარა ტახტზე სირაქლემას კვერცხის ტოლი პატიოსანი თვალი დავინახე, სანთელივით ანათებდა და ელავდა მისი სხივი. სარეცელზე ნაირ-ნაირი აბრეშუმი ეფინა. ისეთი, რომ მნახველს დააბნევდა. გავოცდი

ამის დანახვაზე. მერე ანთებული სანთლები შევნიშნე. — ეს სანთლები უთუოდ ვიღაცამ აანთო-მეთქი, — გავივლე გულში. ახლა სხვაგან შევედი. ვათვალიერებდი სხვადასხვა სამყოფელს. თავი აღარ მახსოვდა გაოცებისაგან, დამაბნია ამ ამბავმა. ფიქრებში გართულს შემომაღამდა. გარეთ გამოსვლა მოვინდომე, მაგრამ კარი ვეღარ ვიცანი და გზა ამებნა. გავბრუნდი იქითკენ, სანთლები რომ ენთო. სარეცელზე ჩამოვჯექი. ცოტა ხანს ყურანს ვკითხულობდი. მერე საბანი წავიხურე, დაძინება მინდოდა. მაგრამ ვერ შევძელი, ისეთი მღელვარება დამეუფლა. შუაღამე რომ დადგა, მესმის ლამაზი და წყნარი ხმით ვიღაც ყურანს კითხულობს. მივბრუნდი იმ ოთახისაკენ და ღია კარი დავინახე. შევედი კარში. სამლოცველო ყოფილა, შიგ ანთებული სანთლები ჰკიდია, ძირს სალოცავი ნოხი აგია ღა ზედ ლამაზი ჭაბუკი ზის. გამიკვირდა, როგორ გადარჩა იგი, ერთადერთი მთელი ქალაქის მცხოვრებთა შორის. შევედი, მივესალმე. ჭაბუკმა ამომხედა და სალამზე მიპასუხა. ვუთხარი:

— გაფიცებ იმას, რასაც კითხულობ ახლა შენ ღვთის წიგნიდან, მიპასუხე შეკითხვაზე.

ჭაბუკმა გაიღიმა და თქვა:

— მითხარი შენი აქ შემოსვლის მიზეზი და გიპასუხებ შენს თხოვნაზე.

მე მოვუყევი ჩემი ამბავი. ის გაოცდა. მერე მე იმ ქალაქის ამბავი ვკითხე.

— ცოტა მადროვეო, — მომიგო ჭაბუკმა, დახურა ეტრატი და ატლასის ჩილითაში ჩაღო. გვერდით მომისვა. შევხედე ჭაბუკს, მაგრამ რას შევხედე! ჭაბუკი ბადრ მთვარეს ჰგავდა, ლამაზი, მოქნილი, ბრწყინვალე შესახედავი, ტანწერწეტა, ლოყებგადატკეცილი და ღაწვებხასხასა. თითქოს ეს ბეითები იმაზე ეთქვათ:

ვარსკვლავთმრიცხველმა, ღამით ერთხელ ცას რომ უჭვრეტ-
და, წელმშვენიერი ნახა ვაჟი წამოსასხამში.
ზუალმა იმ ვაჟს კულულების სიშავე მისცა
და დაამშვენა იგი მუშკმა ხალით ყვრიმალზე.
იმას მარიხმა მიანიჭა სიწითლე ღაწვის,
ისარს სტყორცნიან ქუთუთოდან მშვილდის ვარსკვლავნი.
ის ოტარიდმა გამჭრიახი ჭკუით შეამკო,
და მცირე რვილმა განარიდა ბოროტი თვალი.
ვარსკვლავთმრიცხველი განაცვიფრა, ოდეს იხილა,
რომ ეამბორა მის წინაშე მთოვარე მიწას.

შევხედე ვაჟს ისეთი შეხედვით, რომ ათასი ოხვრა აღმომხდა
და გულში ყველა ნაკვერცხალი ამეგზნო.

— ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე, — მიპასუხე, რასაც გკითხავ.

— გისმენ და გემორჩილები, — მომიგო ჭაბუკმა. — იცოდე, რომ
ეს ქალაქი თავისი მცხოვრებლებითა და ყველაფრით, რაც აქ
არის. მამაჩემს ეკუთვნოდა. მამაჩემი ის მეფეა, შენ რომ ნახე თა-
ვის ტახტზე შავ ქვად ქცეული. ის დედოფალი კი დედაა ჩემი. ისი-
ნი მოგვები იყვნენ და ცეცხლს ემონებოდნენ, ძლევამოსილი მე-
უფის მაგიერ. ისინი იფიცავდნენ ცეცხლსა და სინათლეს,
ჩრდილსა და სიცხესა და ცის თაღს, რომელიც ბრუნავს. მამაჩემს
შვილი არ ჰყოლია და სიცოცხლის ბოლოს მე შევეძინე. მზრდი-
და, ვიდრე არ წამოვიჩიტე. ჩემ საბედნიეროდ, ჩვენთან ერთი დე-
დაბერი ცხოვრობდა, ძლიერ მოხუცი, იგი მუსლიმი იყო, ფარუ-
ლად ალაჰი და მისი მოციქული სწამდა, გარეგნულად კი ჩემი
ხალხის სჯულს აღიარებდა. მამაჩემი ენდობოდა მას — სანდო და
სათნო ადამიანად მიაჩნდა. მისი რიდი ჰქონდა და დიდ პატივს
სცემდა, რადგან ისიც თავისი სჯულისა ეგონა. როცა გავიზარდე,
მამაჩემმა იმ დედაბერს ჩამაბარა, უთხრა:

— წაიყვანე. აღზარდე, ჩვენი სჯულის წესები ასწავლე, კარგად

გაწვრთენი და მოუარეო.

დედაბერმა წამიყვანა და შემასწავლა ისლამის სჯული, განწმენდა, განბანის წესები, ლოცვა; ყურანიც დამაზეპირებინა. ეს ყველაფერი რომ მოათავა, მითხრა:

— შვილო, დაუმალე მამაშენს შენი ამბავი, თორემ მოგკლავს.

მეც დავუმალე და ცოტა ხანს ასე ვცხოვრობდით. მერე კი აღესრულა ის დედაბერი და ქალაქის მცხოვრებთ უმატეს ურწმუნოებას, ღვთის ურჩობასა და მცდარი გზით სიარულს. ასე ცხოვრობდნენ, რომ უეცრად გაიგონეს, ვიღაცამ ხმამაღლა დაიყვირა, თითქოს მეხმა დაიქუხაო. ეს ძახილი ყველამ გაიგონა — შორეულმაც და ახლო მყოფმაც. ის ხმა ამბობდა: — ჰოი, ამ ქალაქის მცხოვრებნო, თავი ანებეთ ცეცხლის თაყვანისცემას და ძლევამოსილ მეუფეს ეცით თაყვანი.

ქალაქის მცხოვრებნი შიშმა შეიპყრო. მამაჩემთან მივიდნენ. ის ხომ ქალაქის მეფე იყო, და ჰკითხეს:

— რა იყო ის საზარელი ხმა, ჩვენ რომ შემოგვესმა და შეგვაძრწუნა?

— ნუ შეგაშინებთ და ნუ შეგაკრთობთ ეს ხმა. თქვენი სჯულისათვის ზურგს ნუ შეგაქცევინებთ, — მიუგო მათ მამაჩემმა..

იმათაც ჭკუაში დაუჯდათ მამაჩემის ნათქვამი. არ შეუწყვეტიათ გულმოდგინედ ცეცხლის თაყვანისცემა და ჯიუტად ურჩობდნენ მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე არ დადგა ის დრო, როდესაც პირველად შემოესმათ ხმა. და განმეორდა ის ხმა. სამჯერ გაიგონეს სამ წელიწადში, თითოჯერ ყოველ წელიწადს. მაგრამ თავი არ დაანებეს თავის საქციელს, ვიდრე განთიადისას ციდან მრისხანება და რისხვა არ დაატყდათ, ისინი შავ ქვად გადაიქცნენ თავისი ცხოველებითა და საქონლით. ქალაქის მცხოვრებთაგან არავინ გადარჩენილა ჩემ გარდა. იმ დღიდან, რაც ეს ამბავი დატრიალდა, ასე ვარ — მარხვა-ლოცვასა და ყურანის კითხვაში, მომბეზრდა მარტოობა და არავინ მყავს გულზიარი.

და ვუთხარი მაშინ:

— ჭაბუკო, ხომ არ გინდა ჩამომყვე ბაღდადის ქალაქს, ნახო მეცნიერნი და სამართლისმცოდნენი, რომ უკეთ შეითვისო მეცნიერება და ფიკჰი. მე კი შენი მხევალი ვიქნები, თუმცა ჩემს ხალხში ქალბატონი ვარ, ვაჟკაცთა, ხადუმთა და ღულამთა განმგებელი და მაქვს გემი საქონლით დატვირთული. განგებამ ამ ქალაქში გადმოგვისროლა, რომ ეს გამხდარიყო ამ ამბის გაგების მიზეზი და წილად გვხვდომოდა ერთმანეთთან შეყრა. — იქამდე ვემუდარებოდი წამოსულიყო, სანამ არ დამეთანხმა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეჩვიდმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ ქალი ჭაბუკს ლამაზად უხატავდა მასთან ერთად გამგზავრებას, ვიდრე იმან არა თქვა — კარგიო. იმ ღამეს ქალს ჭაბუკის ფერხთით ეძინა. სიხარულისგან არც კი სჯეროდა ეს ამბავი. მერე ქალმა თქვა:

როდესაც გათენდა, ავდექი და საგანძურებში შევედით. წამოვიღეთ, რაც კი რამ იყო წონით მცირე, ფასით — ძვირი. ციხე-სიმაგრიდან ქალაქში ჩამოვედით და შევხვდით მონებსა და ხომალდის უფროსს. ისინი თურმე გვეძებდნენ და ჩემი დანახვა გაუხარდათ. მკითხეს ჩემი გაუჩინარების მიზეზი. მე ვუამბე, რაც ვნახე, ჭაბუკის ნაამბობი, იმ ქალაქის მცხოვრებთა გაქვავების მიზეზი და მათი თავგადასავალი. ისინი გააკვირვა ამ ამბავმა. ჩემს დებს შეშურდათ ჩემი, ის ჭაბუკი რომ დაინახეს. ბრაზით აღივსნენ და მზაკვრობა განიზრახეს. მერე გემში ჩავსხედით. ძალიან მიხაროდა. ყველაზე მეტად კი ის, რომ ჭაბუკი თან მახლდა. ველოდით ქარს, ვიდრე ზურგის ქარი არ ამოვარდა. მაშინ კი გავშალეთ აფრები და გავემგზავრეთ. ჩემი დები ჩვენთან იყვნენ. რაღაც ლაპარაკი აუტყდათ. მერე მითხრეს:

— ჩვენო დაო, რა უნდა უყო ამ ლამაზ ჭაბუკს? — ქმრად უნდა შევირთო, — მივუგე მე. მერე კი ჭაბუკს მივუბრუნდი, მივედი და

ვუთხარი: — ჩემო ბატონო, რაღაც უნდა გითხრა და სიტყვა არ შემიბრუნო. — გისმენ და გემორჩილები, — მომიგო მან. მერე დებს მივუბრუნდი:

— მე ეს ჭაბუკიც მეყოფა და მთელი ეს სარჩო-საბადებელი კი თქვენი იყოს-მეთქი,

— რა მშვენიერია, რაც შენ ჰქენიო, — მითხრეს დებმა, გულში კი ბოროტი ჩაიმარხეს. შეუჩერებლად მივდიოდით და ქარიც ხელს გვიწყობდა, სანამ სახიფათო ზღვიდან არ გამოვედით და სამშვიდობო ზღვაში არ შევედით. ვიარეთ რამდენიმე დღე და ბასრის ქალაქს მივუახლოვდით. გამოჩნდა ბასრის შენობები, მოსაღამოვდა, როცა დავიძინეთ ადგნენ ჩემი დები, მე და ის ვაჟი ლოგინიდან ამოგვიყვანეს და ზღვაში გადაგვიძახეს. ჭაბუკმა კარგი ცურვა არ იცოდა და დაიხრჩო — ალაჰს მისთვის მოწამეობა დაუწერია, ჩემთვის კი გადარჩენა. წყალში რომ ჩავვარდი, ალაჰმა ხის ნაჭერი მიწყალობა და ზედ ავედი. ტალღები მისროდნენ, სანამ ერთი კუნძულის ნაპირას არ გამრიყეს. დაღამებამდე დავდიოდი კუნძულზე. როდესაც გათენდა, გზა დავინახე, რომელსაც ადამიანის ნაკვალევი აჩნდა. გზა კუნძულს ხმელეთთან აერთებდა. მზე ამოვიდა. ტანსაცმელი გავიშრე და გზას დავადექი. ვიარე. ვიდრე ხმელეთს არ მივუახლოვდი, სადაც ქალაქი იყო გაშენებული. უეცრად ვხედავ, ჩემკენ გველი მოსრიალებს. უკან გველეშაპი მოსდევს მოსაკლავად. ავიღე ქვა, გველეშაპს თავში დავახალე და იმწამსვე მოკვდა. გველმა კი ფრთები გაშალა და გაფრინდა. მე გავოცდი, დაღლილი ვიყავი და ცოტა ხანს იქვე დავიძინე, როდესაც გამეღვიძა, ვხედავ, ფერხთით მხევალი მიზის და ფეხებს მიზელს. მე წამოვჯექი. შემრცხვა მისი და ვუთხარი:

— ვინა ხარ-მეთქი.

— რა ჩქარა დაგვიწყებივარ, — მიპასუხა მან, — შენ ხომ მე სიკეთე მიყავი, მტერი მომიკალი. მე ის გველი ვარ, შენ რომ გველეშაპისაგან დამიხსენი. მე ვარ ძუ ჯინი, ის ხვადი ჯინი იყო. ის მე

მმტრობდა და შენ კი გადამარჩინე. მაშინვე, როგორც დამიხსენი, გავფრინდი ჰაერში, მივედი იმ გემთან, საიდანაც შენმა დებმა გადმოგაგდეს, ყველაფერი,

რაც გემზე იყო, შენს სახლში გადავიტანე და გემი ჩავძირე. შენი დები მოვნუსხე და შავ ძაღლებად გადავაქციე. ყველაფერი ვიცი, რაც დებთან გადაგხდა. ის ვაჟი კი დაიხრჩო.

წაგვიყვანა მერე მე და ის ძაღლები და ჩემი სახლის ბანზე დაგვსვა. ვნახე ყველაფერი, რაც გემზე იყო, სახლის შუაგულში აწყვია და არაფერი აკლია. გველმა თქვა:

„ვფიცავ სულაიმანის ბეჭედზე ამოჭრილს, თუ თითოეულ ამ ძაღლს სამას მათრახს არ გადაუჭერ ყოველდღე, მოვალ და შენც იმათსავით მოგნუსხავ!

და ახლა ვცემ ამ ძალებს, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, და თან მებრალებიან.

ხალიფა გაოცდა, ახლა მეორე ქალს ჰკითხა:

— შენ რაღას იტყვი, რატომ გაქვს სხეულზე ცემის კვალი?

მეორე ქალის ნაამბობი

ქალმა თქვა: — მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, მამა მყავდა, მოკვდა და დიდძალი ქონება დამიტოვა. ერთხანს ასე ვცხოვრობდი, მერე გავთხოვდი თავისი დროის უბედნიერეს კაცზე. სრულ ერთ წელიწადს ვცხოვრობდი იმასთან, მერე კი მოკვდა. ოთხმოცი ათასი დინარი მივიღე მემკვიდრეობად — შარიათით კუთვნილი ჩემი წილი. ათი კაბა შევიკერე, თითოეული ათას დინარად ღირებული. ვზივარ ერთ დღესა და უეცრად ჩემთან ვიღაც დედაბერი შემოვიდა, წარბებგაქუცულს, თვალები ეცრემლებოდა; დედაბერი — კბილებჩამტვრეული, წვინტლიანი და კისერცანცარა. მგოსნის ნათქვამის არ იყოს:

იბლისმა თარსი დედაბერი ნახა და მისგან
ისწავლა ჩუმად მზაკვრობა და მანკიერება.
მას ცბიერებით ძალუძს მფრთხალი ათასი ჯორი
ობობას ქსელზე წვრილი ძაფით უკან მოდენოს.

ან როგორც მეორეს უთქვამს:

ო, ის დედაბერი ბუნებით თვალთმაქცი
მისთვის ხომ არამიც არარა არის.
აშინებს პატარას, ქალიშვილს აცთუნებს,
რყვნის იგი დიაცს და მიუძღვის ბებერს.

შემოვიდა დედაბერი, მომესალმა და თქვა:

— ერთი ობოლი ქალი მყავს, ამაღამ მისი ქორწილია და მობრძანდი, ალაჰიმც მოგიზღავს სამაგიეროს. გული აქვს გატეხილი — მაღალი ალაჰის მეტი არავინ ჰყავს ამქვეყნად.

დედაბერი ატირდა და ფეხები დამიკოცნა. მე იმისმა სიბრალულმა

და საცოდაობამ შემიპყრო და ვთქვი:

— გისმენ და გემორჩილები.

— მოემზადე, საღამოს მოვალ და წაგიყვანო, — მითხრა დედაბერმა, ხელზე მაკოცა და წავიდა. მე გამოვეწყვე, მოვემზადე და ის დედაბერიც მოვიდა. მითხრა:

— ქალაქის ქალბატონები უკვე მობრძანდნენ, მე ვთქვი, რომ შენც მოხვალ, გაუხარდათ და გელოდებიან.

ავდექი. მოვემზადე და თან ჩემი მხევალი გავიყოლიე. ვიარეთ, ვიდრე ერთ პატარა ქუჩას არ მივადექით. ნაზი და წმინდა სიო უბერავდა. დავინახეთ მაღალი, თაღიანი კარიბჭე — თავზე მარმარილოს გუმბათით. შიგ სასახლე იდგა მიწიდან ამოზიდუ-

ლი და ცამდე აწვდილი. კარებთან მივედით, დედაბერმა დააკაკუნა. კარი გაგვიღეს და შევედით. ვნახეთ დიჰლიზი ხალიჩებით მოფენილი, ანთებული კანდელებით და კაშკაშა სანთლებით აელვარებული, ძვირფასი თვლებითა და ფერადი ქვებით მოკაზმული. ვიარეთ დიჰლიზში და მივაღწიეთ უბადლო დარბაზს, ოქსინოს ნოხებით მოეფინათ იგი, ანთებული კანდელებითა და კაშკაშა სანთლებით გაეჩაღებინათ. დარბაზის შუაგულში თვალმარგალიტით მოოჭვილი ალებასტრის ტახტი იდგა. ზედ ატლასის კრეტსაბმელი ეკიდა. და უეცრად იქიდან მთვარის მსგავსი ასული გამოვიდა. მითხრა:

— გამარჯობა, კეთილი იყოს შენი მობრძანება, გამახარე და მასიამოვნეო. და წარმოთქვა:

სახლი რომ მიხვდეს, ვინ ესტუმრა, ინეტარებდა.
გაიხარებდა და ნატერფალს ამბორს უყოფდა.
იტყოდა თითქოს ენა მისი: კეთილი იყოს
კეთილშობილის და გულუხვის შემობრძანება.

ქალიშვილი დაჯდა და მითხრა:

— ჩემო დაო, მე ძმა მყავს, ის ჩემზე ლამაზი ჭაბუკია. ერთხელ ქორწილში გნახა და დიდი სიყვარულით შეუყვარდი. იმან ამ დედაბერს ფული მისცა, ეს ხერხი იხმარა შენთან შესახვედრად. ჩემს ძმას შენთან დაქორწინება უნდა ალაჰისა და მისი მოციქულის დადგენილი წესით. და ნებადართული საძრახისი არაფერია.

ქალიშვილის სიტყვები რომ გავიგონე და ვნახე, ამ სახლში ვარ გამომწყვდეული, ვთქვი:

— გისმენ და გემორჩილები!

ქალიშვილს გაუხარდა. ტაში შემოჰკრა და კარი გაიღო. კარებში მთვარესავით ჭაბუკი შემოვიდა, ისეთი, როგორც მგოსანს

უთქვამს:

უხვად აქვს მშვენება, ალლაჰიმც აკურთხებს,
დიდება იმას, ვინც შექმნა და აშოლტა.
თავისკერძ მიიგო მშვენება ყოველი
და მისმა სიტურფემ ხალხს გონი განუვლტო.
და მშვენიერებამ ღაწვზე დააწერა
არა არს ლამაზი თვინიერ იმისა

შევხედე ჭაბუკსა და გულმა იმისკენ გამიწია. შემოვიდა და დაჯდა. აი, შემოვიდა ყადიც ოთხი მოწმით. დაწერეს ჩემი და იმ ვაჟის ქორწინების წიგნი და წავიდნენ. ჭაბუკი მომიბრუნდა და მითხრა:

კურთხეულიმც იყოს ჩვენი ღამე. მერე თქვა:

— ჩემო ქალბატონო, ერთი პირობა უნდა ჩამოგართვა.

რა პირობა, ჩემო ბატონო? ჭაბუკი ადგა, ყურანის ნუსხა მომიტანა და მითხრა:

— შემომფიცე, რომ არავის მანაცვალებ და არავინ მოგეწონება ჩემ გარდა.

— მე შევფიცე. ჭაბუკს დიდად გაუხარდა და მომეხვია. მთელი ჩემი გული შეიპყრო იმისმა სიყვარულმა. შემოგვიტანეს გაშლილი სუფრა. ვჭამეთ, ვსვით, ვიდრე არ დავნაყრდით. დაღამდა. ვაჟმა წამიყვანა და ლოგინში ჩემთან დაიძინა. ჩახუტებულებმა გავათენეთ და ასე გავატარეთ მთელი თვე ბედნიერებასა და სიხარულში. ერთი თვის მერე ვთხოვე, ბაზარში გავეშვი, ქსოვილის ყიდვა მინდოდა. წასვლის ნება დამრთო. ჩავიცვი ჩემი ტანსაცმელი, თან დედაბერი ვიახლე და ბაზარში წავედი. დავჯექი ერთი ჭაბუკი ვაჭრის ხულაში. ჭაბუკი იმ დედაბრის ნაცნობი იყო. დედაბერმა მითხრა:

— ამ ყმაწვილს მამა გარდაეცვალა და დიდძალი ფული დაუტოვაო. — მერე ჭაბუკს უთხრა:

— მოუტანე ამ ქალს ყველაფერზე ძვირფასი რაც გქონდეს. — გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ჭაბუკმა. დედაბერმა დაიწყო ამ ჭაბუკის ქება-დიდება.

— რა საჭიროა ამ ჭაბუკის ქება, — ვთქვი მე, — წავიღოთ, რაც გვჭირდება და წავიდეთ.

ვაჭარმა მოგვიტანა, რაც ვთხოვეთ და ფული მივეცით. უარი თქვა ფულის აღებაზე — ეს თქვენი ფეშქაში იყოსო ჩემგან.

— ფულს თუ არ აიღებს, დაუბრუნე თავისი ქსოვილი, — ვუთხარი დედაბერს.

ალაჰს ვფიცავ, შენგან არაფერს ავიღებ, ყველაფერი შენი იყოს, ერთს თუ მაკოცნინებ. ეს მირჩევნია ყველაფერს, რაც მაქვს ამ ხულაშიო.

— კოცნაში რა ხეირი ყრიაო, — უთხრა დედაბერმა. მერე კი მე მომიბრუნდა: — ხომ გაიგონე, რა თქვა ჭაბუკმა. არაფერი გიშავს, იმან

შენგან ერთი კოცნა წაიღოს, შენ კი წამოიღო იმისგან, რასაც ეძებდი.

— შენ ხომ იცი, დაფიცებული ვარ, — მივუგე მე.

— გაკოცოს ერთი, — მითხრა დედაბერმა, — შენ ხმა არ ამოიღო, არც არაფერში იქნები დამნაშავე და ფულსაც უკანვე წამოიღებ.

მაქეზებდა ამ საქმეზე, სანამ თავი ტომარაში არ ჩამაყოფინა და არ დავთანხმდი. თვალები დავიფარე და ჩემი იზარით ხალხს დავემალე. ჭაბუკმა იზარის ქვეშ ლოყაზე მაკოცა და ერთი ისეთი მიკბინა, რომ ლოყაზე ხორცი ამომაგლიჯა. მე გული შემიწუხდა. დედაბერმა ამიყვანა და, გონს რომ მოვედი, ვხედავ, ხულა დაკეტილია. დედაბერი წუხს ჩემ გამო და ამბობს: — ალაჰმა უარესი აგვაცილაო.

მერე მეუბნება:

— მოდი, ავდგეთ და სახლში წავიდეთ. თავი მოიავადმყოფე. წამალს მოგიტან, რომლითაც ამ ნაკბენს მოირჩენ და სწრაფად გამოჯანმრთელდები. ცოტა ხნის მერე წამოვდექი დაფიქრებული და შეშინებული. ვიარე, სანამ სახლს არ მოვაღწიე. უეცრად შემოდის ჩემი ქმარი და მეუბნება:

— რა დაგემართა, ჩემო ქალბატონო, ამ გასეირნებისას? — შეუძლოდ ვარ-მეთქი. შემომხედა და მეუბნება: — ეს რა ჭრილობაა, ლოყაზე რომ გაქვს, თანაც ზედ რბილზე.

— ნებართვა რომ გთხოვე და ქსოვილის საყიდლად წავედი, — მივუგე მე, — შეშით დატვირთული აქლემი დამეჯახა, ჩადრი გამიხია და ლოყა გამიჭრა, როგორც ხედავ. რა ვიწრო გზებია ამ ქალაქში!

— გამგებელთან წავალ და ვიჩივლებ, რომ ამ ქალაქის ყველა მეშეშე ჩამოახრჩოს! — თქვა ჩემმა ქმარმა.

— ღვთის გულისათვის, ვიღაცის ცოდვა არ დაიდო, — მივუგე მე. —

სახედარზე ვიჯექი, გამექცა, ძირს ჩამოვვარდი, რაღაც ტოტი დამეტაკა, ლოყა გამიკაწრა და გამიჭრა.

— ხვალ ჯაფარ ბარმაქიანთან წავალ და ვეტყვი ამ ამბავს, რომ ყველა მევირე მოკლას, — თქვა ჩემმა ქმარმა.

— მთელი ხალხი ხომ არ უნდა გაწყვიტო ჩემი გულისათვის, — ვთქვი მე. — ის, რაც მოხდა, ღვთის განგებითა და განჩინებითაა.

— ეს აუცილებელიაო, — თქვა, ჩამაცივდა და ფეხზე წამოხტა. მე გავბრაზდი და გავლანძღე. მაშინ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. ეჭვი აიღო, შენს ფიცს უღალატეო და დაიყვირა. გაიღო კარი და შვიდი შავი მონა შემოვარდა. გადმომათრიეს ლოგინიდან და შუა სახლში დამაგდეს. ჩემმა ქმარმა ერთ-ერთ მონას უბრძანა, ჩემი მხრები დაეჭირა და თავთან დამჯდარიყო, მეორე — მუხლებზე დამჯდომოდა და ჩემთვის ფეხები დაეკავებინა, მესამე

კი თავზე დამადგა ხელში ხმლითა და უთხრა ჩემს ქმარს:

— ბატონო, ხომ არ დავარტყა ხმალი და გავაპო ორად, თითოეული ჩვენგანი თითო ნაჭერს წაიღებს და მდინარე დიჯლაში გადააგდებს თევზების შესაჭმელად. ასეთი სასჯელი ეკუთვნის, ვინც ფიცსა და სიყვარულს უღალატებს. ჩემს ქმარს ჯავრი მოემატა და თქვა:

სატრფოს გრძნობაში თუ გამიჩნდა მე მოზიარე,
ჩემს თავს სიყვარულს. ავუკრძალავ, დამღუპოს გრძნობამ!
ვთქვი: სულო, სჯობს რომ დაიღუპო შენ ღირსეულად,
გაზიარებულ სიყვარულში რაღა მადლია?!

— დაარტყი ხმალი, საად, — უთხრა ჩემმა ქმარმა მონას. მონამ ხმალი იშიშვლა და თქვა:

— გაიხსენე სჯულის აღიარების სიტყვები, თქვი, რა გინდა და ანდერძი დატოვე, შენი სიცოცხლის აღსასრული დადგა!

— კეთილო მონავ, — მივუგე მე, — ცოტა მოიცადე, სჯულის აღიარების სიტყვები წარმოვთქვა და ანდერძი დავტოვო.

თავი ავწიე და დავინახე, რა დღეშიც ვიყავი — როგორ დავმცირდი დიდების შემდეგ. ცრემლი წამსკდა. ავტირდი და ეს ბეითები წარმოვთქვი:

გულს სიყვარული დამიტოვეთ და თქვენ კი ზიხართ,
ძილი წარმტაცეთ წყლულ თვალთაგან და თქვენ კი გძინავთ.
თქვენ ჩემს გულსა და ჩემს თვალებში დაისავანეთ,
აწ ვეღარც გული დაგივიწყებთ, ვერც ცრემლი დაგთმობთ,
არ შეიწყნარეთ ჩემი ოხვრა და სიყვარული,
ნუთუ ენდობით ბედისწერის ცვალებადობას?!
გაფიცებ ალაჰს, დააწერეთ ჩემს საფლავის ქვას:
„ამ ლოდის ქვეშე სიყვარულის ტყვე განისვენებს“.

ეგებ მწუხარემ, ვინც უწყის ტანჯვა სიყვარულისა,
გზად ჩაუაროს მიჯნურის საფლავს და შეიწყალოს.

ლექსი დავამთავრე და ავტირდი. როდესაც ჩემმა ქმარმა ჩემი ლექსი მოისმინა და ნახა, რომ ვტირი, მის რისხვას რისხვა მოემატა და ეს ორი ბეითი წარმოთქვა:

განა მომბეზრდა გულისსწორი და მივატოვე,
იმისმა ბრალმა მაიძულა ხელის აღება,
სურდა, მყოლოდა მოზიარე მის სიყვარულში,
ჩემი რწმენა კი საზიაროს ვერ იზიარებს.

დაამთავრა ლექსი და ავტირდი, მიველაციცე, გუნებაში ვამბობდი: — მოვეფერები და მოვთაფლავ, იქნებ მაპატიოს, არ მომკლას, თუნდაც რომ ყველაფერი წამართვას, რაცა მაქვს. შევჩივლე, რასაც ვგრძნობდი და ეს ბეითები წარმოვთქვი:

სამართლიანი რომ იყო, ხომ აღარც მომკლავდი,
მაგრამ გაყრაში სამართალი როდის ყოფილა?!
ესოდენ მძიმე სიყვარული მაკისრე, ოდეს
დაუძლურებულს აღარ ძალმიძს პერანგის ზიდვაც.
დაღუპვა ჩემი არ მაოცებს, მაოცებს მხოლოდ,
როგორღა იცნონ თქვენს შემდგომად სხეული ჩემი.

ლექსი დავამთავრე და ავტირდი. იმან შემომხედა, დამიყვირა, გამლანძღა და ეს ბეითები წარმოთქვა:

გადაგვივიწყეთ, სხვასთან ჰპოვეთ აწ მეგობრობა,
ცხადად დაგვტოვეთ — ჩვენ ეს ფიქრად არც კი მოგვსვლია.
მაგრამ ჩვენც ისე დაგცილდებით, ვით თქვენ დაგვცილდით.

და უთქვენობას ისე შევძლებთ, ვით თქვენ შეძელით.
სხვას შევიყვარებთ, ისე როგორც თქვენ შეიყვარეთ,
და ბრალი ჩვენი განშორების თქვენ გაწევთ მხოლოდ.

ლექსი დაამთავრა და მონას დაუყვირა: — გააპე ორად, ჩვენ ეგ აღარ გვჭირდება!

მონა მომიახლოვდა. დავრწმუნდი, რომ სიკვდილი არ ამცდებოდა. სიცოცხლის იმედი გარდავიწყვიტე და ჩემი საქმე მაღალ ალაჰს მივანდე უეცრად დედაბერი შემოვიდა, ჭაბუკს ფეხებში ჩაუვარდა, ფენები დაეკოცნა და უთხრა:

— შვილო, შენს გაზრდას, აპატიე ამ ქალს. ამას ისეთი არაფერი დაუშავებია, რომ ასე დაისაჯოს. ყმაწვილი კაცი ხარ და მეშინია არ დაგწყევლოს.

დედაბერი ატირდა და არ მოეშვა, ვიდრე ჩემმა ქმარმა არა თქვა:

— მიპატიებია, მაგრამ ისეთი კვალი უნდა დავუტოვო, მთელი სიცოცხლე ემჩნეოდესო.

მონებს უბრძანა, ტანსაცმელი გაეძროთ ჩემთვის, კომშის წკეპლა მოიტანა და მირტყა სხეულზე, მირტყა ზურგსა და გვერდებზე, სანამ გული არ შემიღონდა საშინელი ცემისაგან და სიცოცხლის იმედი არ გადამიწყდა. მონებს უბრძანა, — დაღამებისას აიყვანეთ, თან დედაბერი იახლეთ და თავის სახლში დააგდეთ, სადაც უწინ ცხოვრობდაო. შეასრულეს თავისი ბატონის ბრძანება და ჩემს სახლში დამაგდეს. თავს მოვლა დავუწყე. სხეულის წამლობას მივყავ ხელი. მოვრჩი, მაგრამ ნეკნები დამრჩა ისე, როგორც ხედავთ, თითქოს მათრახებით ნაგვემი იყოს. ოთხ თვეს ვაქიმობდი, ვიდრე მოვრჩებოდი. მერე კი იმ სახლთან მივედი, სადაც ეს ამბავი დამემართა. ვნახე, სახლი დანგრეულია და ის ქუჩაც გავერანებულა თავიდან ბოლომდე. სახლის ადგილას ნაგვის გროვები ყრია. ვერც კი გავიგე ამის მიზეზი. მივედი ამ

ჩემს დასთან (ჩვენ კი მამით ერთნი ვართ) და ვნახე ეს ორი შავი ძაღლი. სალამი ვუთხარი და მოვუყევი მთელი ჩემი ამბავი და თავგადასავალი.

— ვინ გადარჩენია წუთისოფლის უკუღმართობას, — მითხრა ჩემმა დამ, — დიდება ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩენილხარ.

მიამბო თავისი ამბავი, რაც დებთან გარდახდა. ვიყავი იმასთან და არც ერთს აღარ გვიხსენებია გათხოვება. მერე ეს მეხორაგე ქალიც შემოგვიერთდა, ყოველდღე გადის და ყიდულობს, რაც გვჭირდება. ასე ვცხოვრობდით წუხანდლამდე. გუშინ, ჩვეულებისამებრ, გავიდა ჩვენი და, ეყიდა, რაც გვჭირდებოდა და გადაგვხდა, რაც გადაგვხდა, მებარგულის, დერვიშებისა და ვაჭრებად გადაცმული თქვენი მოსვლის გამო.

დღე წამოვედით და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ შენ წინაშე აღმოვჩნდით. ეს არის ჩვენი ამბავი. ხალიფა გააოცა ამ ამბავმა, ჩაწერა, თავის საცავში მოათავსა...

და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეთვრამეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გავიგე, რომ ხალიფამ ბრძანა ნაამბობის წიგნებში ჩაწერა და სამეფო წიგნთსაცავში შენახვა. მერე კი პირველ ქალს უთხრა:

ხომ არ იცი იმ ძუ იფრითის ამბავი, შენი დები რომ მოაჯადოვა?

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, — თქვა ქალმა, — მე იმან თავისი თმა მომცა და მითხრა:

— ჩემი მოსვლა როცა გინდოდეს, ცოტაოდენი თმა დაწვი და, კაფის მთის იქითაც რომ ვიყო, სწრაფად გამოვცხადდებიო.

— მომიტანე თმები, — თქვა ხალიფამ. ქალმა მოუტანა. ხალიფამ აიღო და ცოტა დაწვა. სუნი მოედო იქაურობას, სასახლე შეინძრა და გაისმა გრიალი. უეცრად ის ჯინი გამოცხადდა. იგი მუსლიმი ჯინი იყო. გამოცხადდა და თქვა:

— მშვიდობა თქვენდა, ალაჰის მოადგილევ!

— თქვენდა მშვიდობა, — მიუგო ხალიფამ, — ალაჰის წყალობა და კურთხევა.

— იცოდე, ხალიფავ, — თქვა ჯინმა, — ამ ქალს ჩემთან სიკეთე დაუთესია და მე კი სამაგიერო ვერ მივაგე. იმან მე სიკვდილს გადამარჩინა, ჩემი მტერი მოკლა. გავიგე, რაც დებმა დამართეს. გადავწყვიტე, შური მეძია იმათზე და ძაღლებად გადავაქციე. მაგრამ მეშინია, ხომ არ ეძნელება ეს ამბავი. თუ გსურს, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, გავათავისუფლებ იმათ შენი და ამ ქალის ხათრით, მეც ხომ მუსლიმი ვარ.

გაათავისუფლე, თქვა ხალიფამ, — მერე კი ნაგვემი ქალის საქმე დავიწყოთ, და მისი ამბავი გამოვარკვიოთ. თუ დავინახე, რომ მართალია, შურს ვიძიებ იმაზე, ვინც ეგ დაჩაგრა.

მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, — უთხრა იფრითმა, — მე მიგასწავლი, ვინ უყო ქალს ეს ამბავი, ვინ დაჩაგრა და ფული ვინ წაართვა. ის შენი უახლოესი კაცია.

მერე იფრითმა აიღო წყლის თასი, შეულოცა, ძაღლებს პირზე მიასხურა და თქვა:

— დაუბრუნდით თქვენს პირვანდელ ადამიანურ სახეს. და ისინი ქალებად იქცნენ — დიდება მათ გამჩენს! მერე თქვა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ის კაცი, ვინც ამ ქალსა სცემა, შენი ვაჟი, ამინია. მას ესმოდა ამ ქალის სილამაზე და სიტურფე, — და იფრითი მოჰყვა ყოველივეს, რაც ქალს გარდახდა.

ხალიფა გაოცდა.

— დიდება ალაჰს, — თქვა მან, — რომ ამ ძაღლების გადარჩენა ჩემ ხელთ ყოფილა.

მერე ხალიფამ ბრძანა, მოეგვარათ მისთვის მისი ვაჟი, ამინი. გამოჰკითხა იმ ქალის ამბავი და ამინმაც სიმართლე უამბო. მაშინ ხალიფამ დაიბარა ყადიები, მოწმეები, სამი დერვიში. დაიბარა პირველი ქალი და ძაღლებად ქცეული მისი დები. სამი ქალი

იმ სამ დერვიშს მიათხოვა, რომელთაც უთხრეს, მეფეები ვიყავი-თო. ისინი ეჯიბებად დაიყენა, მისცა ყოველივე, რაც საჭირო იყო, და ბაღდადის სასახლეში დააბინავა. ნაგვემი ქალი თავის ვაჟს, ამინს, დაუბრუნა. მისცა დიდძალი ფული. ბრძანა, აეგოთ უწინ-დელზე უკეთესი სასახლე. მეხორაგე ქალი კი ხალიფამ თვითონ შეირთო და იმ ღამეს იმასთან დაიძინა. როდესაც გათენდა, ხა-ლიფამ ცალკე სადგომი მისცა, მხევლები და ფარეშები მიუჩინა, დაუნიშნა დადგენილი სარჩო და სასახლე აუგო.

# ამბავი მოკლული ქალისა

ერთ ღამეს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდმა ჯაფარს უთხრა:

— ამაღამ ქალაქში ჩავიდეთ და მოხელეთა ასავალ-დასავალი გამოვიძიოთ. თუკი ვინმეზე საჩივარს გავიგონებ, თანამდებობიდან გადავაყენებ.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ჯაფარმა. ხალიფა, ჯაფარი და მასრური ჩამოვიდნენ სასახლიდან, ქალაქისკენ გაემართნენ, გადაიარეს ბაზრები, ჩაიარეს ქუჩები და ერთი ბერიკაცი დაინახეს. ბერიკაცს თავზე ბადე და კალათა შემოედგა, ხელში ჯოხი ეჭირა, ტაატით მიდიოდა და ამ ბეითებს ღიღინებდა:

მეუბნებიან, შენი ცოდნით კაცობრიობას,
ვითარცა ღამე მთვარიანი, ნათელს ჰფენ ისე.
მე ვუპასუხებ, დამეხსენიო, რადგანაც ცოდნას
ფასი მაშინ აქვს. ოდეს ძალაც ხელგეწიფების.
და მე ოდესმე ჩემი ცოდნით, ყველა რვეულით,

თანაც ამ ჩემი სამელნით რომ დამაგირაონ,
დამაგირაონ თუნდ ერთი დღის სანოვაგეზე,
თავის გირაოს მიიღებენ ალბათ იმქვეყნად.
რაც შეეხება ღარიბსა და ცხოვრებას მისას,
ღარიბ-ღატაკის დუხჭირ ყოფას, ო, რა მძიმეა!
ზაფხულში შია უპოვარს და ვერ ნახავს საჭმელს,
და ზამთარშიაც მარტოოდენ მაყალი ათბობს.
გზად რომ გაივლის, მას კვალდაკვალ მისდევენ ძაღლნი
საცოდავსა და დამცირებულს. რა საბრალოა!
და რომც შესჩივლოს ვინმეს იმან თავისი ბედი,
თავი იმართლოს, მას ხომ მაინც არვინ შეუნდობს.
თუმც მისი ბედი ასეთია, სამაგიეროდ,
მას სამარეში უკეთესი მოელის ხვედრი.

ხალიფამ მოისმინა მისი სიმღერა და ჯაფარს უთხრა:

— შეხედე ამ უპოვარსა და ჩაუკვირდი მის ლექსს. ეს ლექსი ადასტურებს, რომ გაჭირვებული კაცია.

ხალიფა ბერიკაცთან მივიდა და უთხრა:

— ბერიკაცო, რისი მოხელე ხარ?

— მებადური გახლავარ, ჩემო ბატონო, და ოჯახის პატრონი, — მიუგო მან. — შუადღისას გამოვსულვარ შინიდან და ალაჰმა აქამდე არაფერი მიბოძა, რომ ოჯახი დავაპურო. თავი შემძულდა, სიკვდილი მომნატრებია.

— ხომ არ გინდა, ჩვენთან ერთად მიუბრუნდე მდინარეს, დიჯლას პირას დადგე, შენი ბადე ჩემს ბედზე ისროლო? რაც არ უნდა ამოყვეს, ას დინარად ვიყიდი.

ბერიკაცს გაუხარდა ამ სიტყვების გაგონება და უთხრა:

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, თქვენთან ერთად დავბრუნდები.

მართლაც, მებადური მიუბრუნდა მდინარეს, ისროლა ბადე,

ცოტა მოიცადა. მერე კი მოზიდა თოკები და ბადე დაითრია. ბადეს დაკეტილი მძიმე სკივრი ამოჰყვა. ხალიფამ შეხედა, მოსინჯა და ემძიმა. მებადურს ასი დინარი მისცა და ისიც გაეცალა. მასრურმა და ჯაფარმა იმ სკივრი წამოიღეს და ხალიფასთან ერთად სასახლეში აიტანეს. აანთეს სანთლები, სკივრი ხალიფას წინ იდგა. ჯაფარი და მასრური მივიდნენ და სკივრი გატეხეს. შიგ წითელი ძაფით ნაკერი პალმის ფოთლების კალათა ნახეს. გაჭრეს ნაკერი და იმის ქვეშ ხალიჩის ნაჭერი იპოვეს. ასწიეს ხალიჩა და იზარი ნახეს. ისიც აიღეს და დაინახეს მოკლული. და აკუწული ქალი — ვერცხლის ზოდის დარი. ამის დანახვაზე ხალიფას ცრემლები დაედინა ღაწვებზე, ჯაფარს მიუბრუნდა და უთხრა:

— შე ძაღლთაპირო ვაზირთა შორის, ხალხს კლავენ ამ ჩემს დროში, მდინარეში ყრიან, მიდიან და ჩემს სინდისზე ტოვებენ? ალაჰს ვფიცავ, მე ამ ქალის სისხლი უნდა ავიღო და მოვკლა მისი მკვლელი!

მერე ეუბნება:

— ვფიცავ აბასიან ხალიფებთან ჩემს ნათესაობას, ამ ქალის მკვლელი თუ არ მოგიყვანია, რომ შური ვიძიო, ძელზე გაგსვამთ შენ და ორმოც შენს ბიძაშვილს ჩემი სასახლის კარიბჭეზე. — ხალიფა რისხვას აფრქვევდა. ჯაფარმა თქვა:

— სამი დღე დამაცადეო. — სამი დღის ვადა მომიციაო, — უთხრა ხალიფამ.

ჯაფარმა დატოვა ხალიფა და ქალაქში გაიარა დამწუხრებულმა. საგონებელში ჩავარდა:

— მე რა ვიცი, ვინ მოკლა ეს ქალი, რომ მისი მკვლელი ხალიფას მივგვარო. სხვა რომ მივუყვანო, ჩემს სინდისზე იქნება. აღარ ვიცი, რა ვიღონო.

სამი დღე შინ იჯდა ჯაფარი. მეოთხე დღეს ხალიფამ კაცი გაუგზავნა და დაიბარა. ჯაფარი წარდგა ხალიფას წინაშე.

— სად არის ქალის მკვლელი? — ჰკითხა ხალიფამ.

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, — მიუგო ჯაფარმა, — განა მე ვუწყი ფარული, რომ ვიცოდე, ვინ მოკლა ის ქალი?!

ხალიფა განრისხდა და ბრძანა ჯაფარის ჯვარცმა მისი სასახლის კარზე. ბრძანა: მაცნეები გაგზავნეთო ბაღდადის ქუჩებში, დაიძახონ: — ვისაც სურს ნახოს ხალიფას ვაზირის ჯაფარ ბარმაქიანისა და მისი ბიძაშვილების ჯვარცმა, ხალიფას სასახლის კარიბჭეზე გამოვიდეს და სეირს უყუროსო!“

ყველა უბნიდან გამოცვივდა ხალხი ჯაფარისა და მისი ბიძაშვილების ჯვარცმის საცქერლად. მიზეზი კი არავინ იცოდა. ხალიფამ ძელის აღმართვა ბრძანა. აღმართეს, ყველა მის ქვეშ დააყენეს და ხალიფას განკარგულებას ელოდნენ. ხალხი ჯაფარსა და მის ბიძაშვილებს დასტიროდა. ამ დროს უეცრად ერთი ლამაზი, სუფთად ჩარგული ყმაწვილი ხალხს სწრაფად გამოეყო, ვაზირის წინ გაჩერდა და იქვა:

— შენ გადარჩები აქ დგომისაგან, ამირთა ბატონო, გლახაკთა პატრონო. მე მოვკალ ის ქალი, სკივრში რომ ნახეთ. მე მომკალით, შური ჩემზე იძიეთ!

ჯაფარმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, გაუხარდა საკუთარი თავის გადარჩენა, მაგრამ ჭაბუკი შეებრალა. აქ საუბარში რომ არიან, უეცრად ვიღაც ბერიკაცი დაინახეს. ხალხს მოარღვევდა და სწრაფად მოდიოდა. ჯაფართან და ჭაბუკთან გამოაღწია, მიესალმა და თქვა:

— ვაზირო, არ დაიჯერო ამ ვაჟის ნათქვამი. ის ქალი მე მოვკალ,

მე დამსაჯეთ.

— ეს ბებერი გამოყრუებულია, თვითონაც არ იცის, რას ჩერჩეტობს. ქალი მე მოვკალი და მე დამსაჯეთ! — თქვა ვაჟმა.

— შვილო, — თქვა მაშინ ბერიკაცმა, — შენ ყმაწვილი ხარ და სიცოცხლე გწყურია. მე დავბერებულვარ და ეს ცხოვრება მომიჭამია. მე განაცვალებთ თავს შენ, ვაზირსა და მის ნათესავებს. ეს

ქალი ჩემ გარდა არავის მოუკლავს, და, ვაზირო, გაფიცებ ალაჰს, იჩქარე ჩემი დასჯა.

ვაზირი გაოცდა ამ ამბის დანახვაზე. ის ჭაბუკი და ბერიკაცი ხალიფას მიჰგვარა და უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ქალის მკვლელი გამოცხადდა.

— აბა, სად არისო, — თქვა ხალიფამ.

— ეს ვაჟი ამბობს, ქალი მე მოვკალიო, ეს ბერიკაცი ამბობს — ტყუილია, მაგან კი არა, მე მოვკალიო, — უთხრა ჯაფარმა.

ხალიფამ შეხედა იმათ და თქვა: — თქვენ ორში რომელმა მოკალით? ჭაბუკმა თქვა: — მე მოვკალიო. ბერიკაცმაც თქვა — მეო.

მაშინ ხალიფამ ჯაფარს უთხრა:

— წაიყვანე და ორივე ძელზე გააკარი.

— თუ ერთი მკვლელი, — თქვა ჯაფარმა, — მაშინ მეორის მოკვლა უსამართლობა იქნება.

ჭაბუკმა თქვა:

— ვფიცავ იმას, ვინც ზეცა აღამაღლა და დედამიწა დააფუძნა, ის ქალი სწორედ ჩემი მოკლულია. ასე და ასეა მოკლულიო, — და აღწერა, რაც ხალიფამ ნახა იმ კალათში.

მაშინ კი დარწმუნდა ხალიფა, რომ ვაჟი სიმართლეს ამბობდა. გაოცდა და უთხრა:

— რატომ მოგიკლავს ეს ქალი უსამართლოდ. ანდა, მერე რატომ გამოტყდი, ისე რომ არ უცემიხართ და მოითხოვე, დამსაჯეთ მისი გულისათვის?

— მართლმორწმუნეთა ბრძანებელო, — თქვა ჭაბუკმა, — იცოდე, რომ ეს ქალი ჩემი ცოლია. იგი ჩემი ბიძის ასულია. ეს ბერიკაცი მამაა მისი და ჩემი კი ბიძა. მე იგი ქალწული შევირთე. ღმერთმა სამი შვილი მომცა მისგან. სამივე ვაჟი, ვუყვარდი, მივლიდა, ცუდი არაფერი მახსოვს ცოლისაგან. ამ თვის დამდეგს ძლიერ

ავად გახდა. აქიმები დამყავდა, ვიდრე გამოჯანმრთელება არ დაეტყო. მაშინ კი მისი აბანოში წაყვანა განვიზრახე. ცოლმა მითხრა:

— აბანოში წასვლამდე ერთი რაღაც მინდა, ძალიან მენატრება.

— რა-მეთქი, — ვუთხარი მე.

— ვაშლი მენატრება, მინდა ვუსუნო და ერთი ჩავკბიჩო.

იმწამსვე ქალაქში გავედი. ვეძებე ვაშლი, თუნდაც რომ ერთ ვაშლში ერთი დინარი მიმეცა, მაგრამ ვერ ვიშოვე. ის ღამე ფიქრებში გავატარე; როდესაც გათენდა, შინიდან გამოვედი. ყველა ბაღი მოვიარე სათითაოდ, მაგრამ ვერსად ვიშოვე. შემთხვევით ერთ მოხუც მებაღეს შევხვდი და ვაშლის ამბავი გამოვკითხე. მებაღემ მითხრა:

— შვილო, ვაშლს იშვიათად თუ სადმე წააწყდები, ვერსად ვერ ნასავ, გარდა მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ბაღისა, ბასრაში რომ არის. ისიც მებაღეს აქვს და ხალიფასათვის ინახავსო.

დავბრუნდი ცოლთან. იმისმა სიყვარულმა გზას დამაყენა და თხუთმეტი დღე და ღამე აქეთ-იქით ვიმოგზაურე. ჩამოვუტანე სამი ვაშლი, სამ დინარად ნაყიდი ბასრელი მებაღისაგან. შინ მოვედი, ცოლს ვაშლები მივეცი, მაგრამ იმას აღარ გახარებია, ციებცხელება გაუძლიერდა და ათ დღეს ლოგინზე იყო მიკრული. მერე კი მომჯობინდა. გამოვედი და ჩემს დუქანში წავედი. დავჯექი სააღებმიცემოდ. ვზივარ შუადღისას და უეცრად შავმა მონამ ჩამიარა, ხელში ვაშლს ათამაშებს.

— ეს ვაშლი სად გინახავს-მეთქი. იქნებ მეც ვიშოვო ასეთი.

გაიცინა და მითხრა:

— სადა და ჩემს საყვარელთანო. წასული ვიყავი, დავბრუნდი და ვხედავ, ჩემი საყვარელი ავად არის. გვერდზე სამი ვაშლი უდევს ასე მითხრა — ჩემი ყეყეჩი ქმარი ამ ვაშლების გულისათვის ბასრაში იყო და სამ დინარად იყიდაო. იმას გამოვართვი ეს ერთი

ვაშლი.

მონის ნათქვამი რომ გავიგონე, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, საწუთრო დამიბნელდა, დუქანი დავკეტე და შინისაკენ გავწიე სიბრაზისაგან ჭკუადაკარგულმა. მივედი და მესამე ვაშლი ვეღარ ვნახე.

ცოლს ვეკითხები:

— მესამე ვაშლი სად არის-მეთქი.

— არ ვიცი და არც გამიგია, რა იქნაო, — მიპასუხებს ცოლი.

დავრწმუნდი, რომ იმ მონას სიმართლე უთქვამს. დავავლე ხელი დანას, ჩემს ცოლს გულზე დავაჯექი და ყელი გამოვღადრე. თავი წავაცალე და მერე ხელ-ფეხი მოვაჭერი. სასწრაფოდ კალათაში ჩავდე, იზარში გავახვიე, ხალიჩის ნაჭერი გადავაფარე და სკივრში ჩავდე. სკივრი დავკეტე, ჯორით წავიღე და ჩემი ხელი, გადავაგდე დიჯლაში. გაფიცებ ალაჰს, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, იჩქარე ჩემი მოკვლა და მისი სისხლის აღება. რადგან მეშინია, არ მომეკითხოს განკითხვის დღეს. დიჯლაში ისე გადავაგდე, არავის გაუგია, დავბრუნდი და ვხედავ, ჩემი უფროსი შვილი ტირის, არ კი იცის, რა ვუყავი დედამისს.

— რა გატირებს, — ვკითხე.

შვილმა მიპასუხა:

დედაჩემის ვაშლებიდან ერთი ავიღე და ქუჩაში წავიღე. უეცრად ერთი ვეება შავი მონა წამომადგა და მითხრა: — საიდან გაქვს ეს ვაშლიო. მამაჩემმა ბასრიდან ჩამოუტანა-მეთქი, დედაჩემს. შეუძლოდაა და სამ ვაშლში მამაჩემმა სამი დინარი მისცა. მონამ წამართვა ვაშლი, მცემა და წავიდა. მეშინია, ახლა დედამ არ გამლახოს იმ ვაშლის გულისათვის,

შვილის სიტყვების გაგონებაზე მივხვდი, რომ მონამ მომაღორა და ცილი დასწამა ჩემი ბიძის ქალს. დავრწმუნდი — უსამართლოდ მომიკლავს ცოლი. მწარედ ავქვითინდი და ამ დროს უეცრად ეს ბერიკაცი მოვიდა — ჩემი ბიძა და მისი მამა. მოვუყევი,

რაც დამემართა. ისიც გვერდით მომიჯდა და ატირდა. შუაღამემდე დავტიროდით. ხუთ დღეს ვგლოვობდით და დღესაც ცრემლი არ შეგვშრობია. გაფიცებ, შენს მამა-პაპათა ღირსებას, ჩქარა მომკალი და სამაგიერო მომაგე.

ხალიფა გააოცა ვაჟის ნათქვამმა.

— ვფიცავ ალაჰს, — თქვა მან, — მე მხოლოდ ის ბედასლი მონა უნდა მოვკლა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეცხრამეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, ხალიფამ დაიფიცა არავის მოვკლავ იმ მონის გარდა, რადგან ეს ჭაბუკი პატიების ღირსიაო, ხალიფა ჯაფარს მიუბრუნდა.

— მომგვარე ის ბედასლი მონა, ამ ამბის მიზეზად რომ იქცა, და თუ არ მოგიყვანია, შენ მოგკლავ მის მაგიერ.

ჯაფარი ტირილით წამოვიდა.

— საიდან მოვუყვანო ის მონა. ყოველთვის ხომ არ მოიტანს კოკა წყალსო. ამჯერად მე ვეღარას გავხდებიო, — ამბობდა ჯაფარი, — მაგრამ ვინც პირველად გადამარჩინა, მეორედაც ის გადამარჩენს. ალაჰს ვფიცავ, ამ დღეს შინიდან არ გამოვალ და ყოვლად ჭეშმარიტი კი იქმს, მას რაც სურსო.

სამი დღე შინ იჯდა. მეოთხე დღეს მოიყვანა ყადი, დატოვა ანდერძი და ტირილით გამოეთხოვა შვილებს. ამ დროს ხალიფას მსრბოლიც მოვიდა და თქვა:

ხალიფა ბობოქრობს, დაიფიცა, დღეს შენ სიკვდილი არ აგცდება, ის მონა თუ არ მოგიყვანიაო.

ატირდა ჯაფარი. ატირდნენ შვილები. ყველას რომ გამოეთხოვა, — უმცროს ასულთან მივიდა. გამორჩეულად უყვარდა იგი შვილებში. გულში ჩაიკრა, ატირდა, განშორება უმძიმდა. ჯიბეში რაღაც ამობურცული დაენახა. უთხრა: — ეს რა გაქვს ჯიბეშიო.

— ვაშლია, მამიკო, რეიჰანმა მომცა, ჩვენმა მონამ, აგერ უკვე

ოთხი დღე იქნება. არ მაძლევდა, სანამ ორი დინარი არ გამომართვა.

ჯაფარმა რომ მონისა და ვაშლის ხსენება გაიგონა, გაუხარდა და თქვა:

— ხსნა ახლოს უნდა იყოსო. — ბრძანა იმ მონის მოყვანა. მონა მოჰგვარეს და ჯაფარმა ჰკითხა: — საიდანა გაქვს ეს ვაშლიო.

— ხუთი დღის წინ მივსეირნობდი. ქალაქის ერთ შუკაში შევუხვიე. ვხედავ, ბალღები თამაშობენ. ერთს ვაშლი ჰქონდა. წავართვი და გავლახე. ბავშვი ატირდა — ეს ვაშლი დედაჩემისა არის. ავადაა, მამაჩემს ვაშლი სთხოვა. მამა წავიდა და ბასრიდან ჩამოუტანა სამი ვაშლი სამ დინარად. მე კი სათამაშოდ წამოვიღეო — ტირილით ამბობდა. მე ყური არ ვათხოვე. წამოვიღე და აქ მოვიტანე და ჩემმა პატარა ქალბატონმა ორ დინარად გამომართვა.

გაოცდა ჯაფარი ამ ამბის გაგონებაზე. მისი მონა ყოფილა ამ შფოთვისა და იმ ქალის მოკვლის მიზეზი. ბრძანა, მონა შეეპყროთ. გაუხარდა გადარჩენა და წარმოთქვა ეს ბეითები:

მსახურის გამო თუ გეწია უბედურება,
გასწირე მონა, დაიხსენი სული მსახურით.
მსახურის შოვნა შეიძლება კიდევ მრავალჯერ,
მაგრამ საკუთარ სულს მეორედ ვეღარ იშოვი.

მოჰკიდა ხელი მონასა და ხალიფას მიჰგვარა. ხალიფამ ბრძანა, ეს ამბავი ჩაეწერათ და ხალხში გავრცელებინათ.

ჯაფარმა თქვა:

— ნუ გიკვირს ეს ამბავი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ამაზე უფრო საკვირველია ნურ ად-დინ ვაზირისა და მისი ძმის შამს ად-დინის ამბავი.

ხალიფამ უთხრა:

— აბა, თქვი, რომელი ამბავია ამაზე მეტად საოცარიო.

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, მოგიყვები, მხოლოდ ერთი პირობით, — მიუგო ჯაფარმა, — ჩემი მონა სიკვდილისაგან დაიხსნა.

— მიბოძებია შენთვის მისი სისხლიო, — თქვა ხალიფამ.

# ამბავი ნურ ად-დინ ვაზირისა და მისი ძმის შამს ად-დინისა

და თქვა ჯაფარმა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, იცოდე, რომ მისრეთში იყო ერთი სულტანი — მოსამართლე და მოწყალე. სულტანს ჭკვიანი და გამოცდილი ვაზირი ჰყავდა — მმართველობის საქმეთა მცოდნე და განგებიანი. ვაზირი მოხუცი იყო, ორი ვაჟი ჰყავდა — ორივ მთვარის მსგავსი. უფროსს შამს ად-დინი ერქვა, უმცროსს კი — ნურ ად-დინი, უმცროსი მაინც სილამაზითა და მშვენიერებით გამორჩეული იყო. იმ დროში იმაზე ლამაზი არავინ მოიძებნებოდა. ამბავი მისი სიტურფისა სხვადასხვა მხარეს მოეფინა. ხალხი თავის ქვეყანას ტოვებდა და იმ ქვეყანაში მოდიოდა მისი მშვენების საჭვრეტად. მოხდა ისე. რომ სული განუტევა იმათმა მამამ. დაღონდა სულტანი. ყურადღება მიაპყრო ვაზირის შვილებს. დაიახლოვა, საპატიო სამოსი უბოძა და უთხრა:

— მამათქვენის თანამდებობა მიბოძებია თქვენთვის. ორივე-სათვის!

გაიხარეს ჭაბუკებმა და ემთხვივნენ მიწას მის წინაშე. სრულ ერთ თვეს გლოვობდნენ მამას. მერე კი ვაზირის თანამდებობა დაიჭირეს და თითოეული მათგანი ორ-ორი კვირა ვაზირობდა. სულტანი რომ სადმე წავიდოდა, ერთ-ერთს იახლებდა ხოლმე. ერთ ღამეს სულტანა გადაწყვიტა, დილაადრიან გამგზავრებუ-ლიყო. ჯერი უფროსისა იყო. ძმები საუბრობდნენ იმ ღამეს და, აი, უფროსი ეუბნება უმცროს ძმას:

— მოდი. ერთსა და იმავე ღამეს ვიქორწინოთ. — შენი ნებაა, — მიუგო ძმამ, — მე ყაბულსა ვარ. ამაზე მორიგდნენ. მერე კიდევ ეუბნება უფროსი უმცროსს:

თუ დავქორწინდით, ღვთის განგებით, ცოლთან ერთსა და იმა-ვე ღამეს შევედით და ჩვენმა მეუღლეებმა ერთსა და იმავე დღეს შობეს შვილები, ერთმანეთზე დავაქორწინოთ — თუკი, ღვთის ნე-ბით, შენ ვაჟი გეყოლა და მე კი ქალი. ისინი ხომ ბიძაშვილები იქ-ნებიან.

— რას გამოართმევ ჩემს ვაჟს ურვადად? — ჰკითხა ნურ ად-დინმა თავის ძმას.

— ჩემი ქალის ურვადად შენი ვაჟისაგან სამი ათას დინარს. სამ ბაღსა და სამ მამულს ავიღებ, — მიუგო მან, — სხვანაირად რომ იქორწინონ. წესი და რიგი არ იქნება.

— ეს რა ურვადი დაუწესე ჩემს ვაჟს, — უთხრა ნურ ად-დინმა ძმას ამ სიტყვების გაგონებაზე, — ჩვენ ხომ ძმები ვართ, ვაზირები და ერთი და იგივე ადგილი გვიკავია. ურვადი რას მიქვია. შენი ქალი ჩემი ვაჟს ისედაც უნდა გაატანო. შენ ხომ იცი — მამრი მდედრზე ღირსეულია. ჩემი შვილი კი ვაჟია. ჩვენს სახეს ის შე-ინახავს, ქალი ხო არა გგონია?

— ქალს არა უშავსო, — თქვა ძმამ.

— რა და, ამირთა შორის ქალით ვერ მოვიხსენიებით, მაგრამ

შენ გინდა ერთი კაცივით მომექცე, რომელმაც თქვა: — ვინმეს მოშორება თუ გინდა, საქონელი გააძვირეო. ამბობენ, ერთი კაცი მისულა ერთ-ერთ მეგობართან და რაღაც უთხოვია. იმან კი ფასს აუწია.

— ცდები, შენს ვაჟს რომ ჩემს ქალზე მაღლა აყენებ, — უთხრა შამს ად-დინმა, — და უზრდელი და ჭკუათხელი ყოფილხარ, ჩვენი ზიარი ვაზირობა რომ ახსენეო. ვაზირობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაგიზიარე, რომ შემებრალე. თანაც თანამდგომლად და მეოხად მინდოდი. ახლა, რაც გინდა, ის ილაპარაკე. ასეთი სიტ-ყვა რაკი თქვი, შენს ვაჟს მაინც არ გავატან ქალს, მისი წონა ოქ-როც რომ მომიზღა.

ნურ ად-დინს ბრაზი მოერია ძმის სიტყვების გაგონებაზე და თქვა:

— მეც არ შევრთავ ვაჟს შენს ქალსაო. შამს ად-დინმა უთხრა:

— არ დავთანხმდები, შენი ვაჟი იყოს მისი ქმარი. გასწავლიდი ჭკუას, ახლა რომ წასასვლელი არ ვიყო. მაგრამ მოგზაურობიდან დავბრუნდები და მოხდეს, რასაც ალაჰი ინებებს.

ნურ ად-დინი რისხვით აენთო და ჭკუა დაკარგა, ძმისგან რომ ასეთი სიტყვები მოისმინა, მაგრამ არა შეიმჩნია რა. ის ღამე ცალ-ცალკე გაათიეს. დილით სულტანი გასამგზავრებლად გამობ-რძანდა. გაიარა გიზა და პირამიდებისაკენ გაემართა. ვაზირი შამს ად-დინი თან ეახლა. ნურ ად-დინმა კი ის ღამე ძლიერ გაჯავ-რებულმა გაატარა. როდესაც გათენდა, ადგა, დილის ლოცვა შე-ასრულა, თავისი საგანძურისაკენ გაემართა. ხურჯინი აიღო და ოქროთი გაავსო. გაახსენდა ძმის სიტყვები. როგორ ამცირებდა და როგორ იბღინძებოდა და წარმოთქვა ეს ბეითები:

გზად გავედ, ჰპოვებ იმის ნაცვალს, ვისაც დაშორდი.
დაოსდი, რადგან ტანჯვაშია სიცოცხლის ეშხი.
როს ზრდილს და ჭკვიანს სამშობლოში არ აფასებენ,

გადაიხვეწე, მიატოვე სამკვიდრო შენი.
ასე ვიცი, რომ მდგარი წყალი ადრე შმორდება
მყრალია იგი, მდინარი კი — წმინდა და ამო.
ბადრი მთვარე რომ მიმწუხრისას არ ჩაესვენოს,
არ ეძიებდა მას ნიადაგ მჭვრეტელის თვალი.
თუ არ დატოვებს ლომი ტყის ტევრს, ვერას დაიჭერს,
ისარი მიზანს ვერ მიხვდება, მშვილდში თუ დარჩა.
მტვერივით ყრია ოქრო თავის საბადოთ შორის,
საბრი კი თავის ქვეყანაში შეშაა მხოლოდ.
თუ გაიტანეს, დაფასდება იგი ყოველგან,
იქვე თუ დარჩა, მას არავინ მიიჩნევს რამედ.

ლექსი რომ დაამთავრა, ერთ-ერთ მსახურს უბრძანა, შეეკაზმა მისთვის ჭრელი ჯორი, მაღალი და სწრაფმავალი. მონამ შეკაზმა ჯორი და ოქროთი მოჭედილი უნაგირი შეადგა. ინდური უზანგები გაუკეთა, ისპაანური ხავერდის ასალი გადააფინა და ჯორი გამოსაჩინებლად გამზადებულ პატარძალს დაემსგავსა. მონას უბრძანა, აბრეშუმის ფარდაგი და სალოცავი ხალიჩა გადაეფარებინა და სალოცავი ხალიჩის ქვეშ ხურჯინი ამოედო. მერე ღულამებსა და მონებს უთხრა:

— ქალაქგარეთ მინდა გავისეირნო, კალიუბიის მხარეს მივდივარ. სამ ღამეს არ ვიქნები. ნურც ერთი ნუ გამომყვებით, მოწყენილი ვარო.

სწრაფად შეჯდა ჯორზე, კაიროდან გავიდა და უდაბნოსაკენ გასწია. შუადღეც არ იქნებოდა მოტანებული, რომ ბილბეისის ქალაქში შევიდა. ჯორიდან ჩამოხდა, დაისვენა, ჯორიც დაასვენა, ცოტა ჭამა, ბილბეისიდან წაიღო, რაც სჭირდებოდა თავისთვისა და ჯორისთვის და უდაბნოსაკენ გაემართა. ორი დღის შემდეგ, შუადღის ჟამს, შევიდა იერუსალიმ-ქალაქში. ჯორიდან ჩამოხდა,

დაისვენა, ჯორიც დაასვენა. საჭმელი ამოიღო და ცოტაოდენი ჭამა. ხურჯინი თავქვეშ ამოიდო. გაშალა ხალიჩა და იქვე დაიძინა. ბრაზი კი არ ცხრებოდა. ღამე იქვე გაათია. გათენებისას შეჯდა ჯორზე და გარეკა, ვიდრე ჰალაბს არ მიაღწია. ერთ-ერთ ფუნდუკში ჩამოხდა. სამ დღეს იქ გაჩერდა. ისვენებდა, ჯორსაც ასვენებდა და სუფთა ჰაერს სუნთქავდა. მერე კი გადაწყვიტა, წასულიყო. შეჯდა ჯორზე და გარეკა, არ კი იცოდა, საით მიდიოდა. იარა, სანამ ბასრის ქალაქს არ მიაღწია. დაღამებულიყო. და არ იცოდა, სად მივიდა, ვიდრე ერთ ფუნდუკში არ ჩამოხდა. ჯორს ხურჯინი ჩამოხსნა და სალოცავი ხალიჩა გაშალა. ჯორი თავისი მოსართავებით მეკარეს ჩააბარა და უბრძანა, გაეტარებინა. მეკარემ ჯორი წაიყვანა და გაატარა. ამ დროს ბასრის ვაზირი თავისი სასახლის სარკმელთან იჯდა. შეხედა ჯორს, მის ძვირფას მოსართავებს და გაიფიქრა: ეს ჯორი ვინმე ვაზირისა ან მეფისა იქნებაო. დაფიქრდა ამაზე და გაოცდა. ერთ-ერთ ღულამს უბრძანა:

— ის მეკარე მომგვარეო.

ღულაში წავიდა მეკარესთან და მოიყვანა. მეკარე ვაზირს ეახლა და ემთხვია მიწას მის წინაშე. ვაზირი კი ღრმა მოხუცი იყო. მეკარეს უთხრა:

— ვინ არის და როგორია ამ ჯორის პატრონი?

— ამ ჯორის პატრონი ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ყმაწვილია, ვაჭრის შვილი, დარბაისელი და ზვიადი, — მიუგო მეკარემ.

მოისმინა ვაზირმა მეკარის სიტყვები, შეჯდა ცხენზე და ფუნდუკში წავიდა და ნურ ად-დინთან შევიდა. ნურ ად-დინმა, იმისაკენ მიმავალი ვაზირი რომ დაინახა, ადგა, მიეგება და კეთილი მობრძანება უსურვა. ვაზირი ჩამოხდა თავისი ბედაურიდან, მიესალმა ნურ ად-დინსა, მოეხვია და გვერდით მოისვა. უთხრა:

— შვილო, საიდან მოსულხარ და აქ რას აკეთებ?

— კაიროდან გეახელით, ჩემო ბატონო, — მიუგო ნურ ად-დინმა. — მამაჩემი იქაური ვაზირი გახლდათ და ახლა საიქიოს გზას

დაადგა ღვთის წყალობის მოსაპოვებლად. — მოუყვა თავის თავგადასავალს თავიდან ბოლომდე. — გულში გადავწყვიტე, — ამბობდა ჭაბუკი, — აღარ დავბრუნდე, ვიდრე ყველა ქალაქსა და ქვეყანას არ ვნახავ.

ვაზირმა მისი ნაამბობი მოისმინა და თქვა:

— შვილო, ნუ აჰყვები გულისთქმას, თორემ თავს წააგებ. ეს ქვეყანა დაქცეულია და მეშინია, ბედისწერამ რაიმე არ შეგამთხვიოს.

მერე ბრძანა, ხურჯინი, ფარდაგი და ხალიჩა ჯორზე დაედოთ და ნურ ად-დინი შინ წაიყვანა. მშვენიერ სადგომში დააბინავა. პატივი სცა და მოწყალედ მოექცა. დიდი სიყვარულით შეუყვარდა ვაზირს ჭაბუკი. უთხრა:

— შვილო, მე დავბერდი და ვაჟი არა მყავს. ღმერთმა ერთი ასული მომცა შენსავით ლამაზი. ბევრი სასიძო გავისტუმრე უარით. შენი სიყვარული კი გულში ჩამივარდა. ხომ არ გინდა, ჩემი ქალიშვილი წაიყვანო, ვითარცა მხევალი, მოგივლის და შენ კი მისი ქმარი იქნები. თუ დათანხმდები, ბასრის სულტანთან წავალ. ვეტყვი, ვითომ ჩემი ძმისწული ხარ. მიგიყვან იმასთან, რომ ჩემი ადგილი გიბოძოს და ვაზირად გაგამწესოს. მე კი შინ ვიქნები, რადგან უკვე დავჩაჩანაკდი.

ნურ ად-დინმა თავი ჩაქინდრა ბასრის ვაზირის სიტყვებზე. მერე კი უთხრა:

— გისმენ და გემორჩილები! ვაზირს გაუხარდა. მონებს უბრძანა საჭმლის მომზადება და უდიდეს ამირთა მისაღები დიდი დარბაზის მორთვა. შეკრიბა თავისა მეგობრები, დაპატიჟა სახელმწიფოს დიდებულები და ბასრის ვაჭრები. ისინი რომ მობრძანდნენ, ვაზირმა თქვა:

— მე ერთი ძმა მყავდა ეგვიპტის ქვეყნების ვაზირი, ალაჰმა იმას ორი ვაჟი მისცა, მე კი, როგორც იცით, — ერთი ქალი. ძმამ

მიანდერძა, ჩემი ქალიშვილი ერთ-ერთ მის ვაჟზე დამექორწინებინა. დავეთანხმე და, ჩემი ქალი გასათხოვარი რომ შეიქნა, ვაჟი გამომიგზავნა. ის გახლავთ, აი, ეს ჭაბუკი, აქ რომ ხედავთ, ჩამოვიდა და გადავწყვიტე, ჩემი ქალიშვილისა და მისი ქორწინების წიგნი დავწერო და ჩემს სახლში შევიდეს თავის ცოლთან.

იმათაც უთხრეს:

— რა კარგად გიფიქრიაო.

ვაზირმა მოიყვანა მოწმეები და ყადიები, დაწერეს ქორწინების წიგნი. გუნდრუკი აკმიეს, შაქრის შარბათი დალიეს, ვარდის წყალი ასხურეს და წავიდნენ. ვაზირმა ღულამებს უბრძანა, ნურ ად-დინი აბანოში წაეყვანათ. და მისცა სამოსი თავისი საგანგებო ტანსაცმელთაგან. გაუგზავნა პირსახოცები, ტაშტები, მუჯამარები და რაც კი რამ საჭირო იყო. ნურ ად-დინი აბანოდან რომ გამოვიდა და ტანსაცმელი ჩაიცვა, სავსე მთვარეს დაემსგავსა. შეჯდა თავის ჯორზე, შევიდა ვაზირთან და ემთხვია მიწას მის წინაშე. ვაზირი მიესალმა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეოცე. შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ვაზირი ადგა. ჭაბუკს მიესალმა და უთხრა: — ადექი, ამაღამ შენს ცოლთან შედი, ხვალ კი სულტანთან წაგიყვან და იმედი მაქვს, ალაჰი სიკეთეს მოგცემსო.

ნურ ად-დინი ადგა და შევიდა თავის ცოლთან — ვაზირის ქალთან. ასეთი იყო ნურ ად-დინის ამბავი. რაც შეეხება შამს ად-დინს, ის კი, სულტანს ახლდა მისი მოგზაურობის დროს. როდესაც დაბრუნდა, ძმა ვეღარ ნახა. მსახურებს ამბავი ჰკითხა და უპასუხეს:

— სულტანს რომ ეახელი, იმ დღეს შეჯდა საზეიმოდ მოკაზმულ თავის ჯორზე და თქვა: — კალიუბიის მხარეს მივდივარ და ერთიორი დღე არ ვიქნები, მოწყენილი ვარ და არც ერთი არ გამომყვეთო. წასვლიდან დღემდე იმისი აღარაფერი გაგვიგონია.

შეაწუხა შამს ად-დინი ძმის წასვლამ. ძლიერ დააღონა მისმა

დაკარგვამ. გულში თქვა: — ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ გავაჯავრე იმ ღამეს, სულტანს რომ წავყევი. ალბათ, ეწყინა და წავიდა. უთუოდ მდევარი უნდა დავადევნო.

სულტანთან ავიდა და ამცნო ეს ამბავი. სულტანმა დაწერა ბარათები და ყველა მხარეში დაუგზავნა თავის ნაიბებს. ნურ ად-დინი კი ამ დროს შორეულ ქვეყანაში წასულიყო, ვიდრე მისი ძმა სულტანთან მოგზაურობდა. მსრბოლებმა წერილები წაიღეს. მერე კი დაბრუნდნენ, ისე რომ მისი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგეს. შამს ად-დინმა ძმის პოვნის იმედი დაკარგა და თქვა:

— ძმას გული ვატკინე შვილების ქორწინებაზე ლაპარაკით. ო, ნეტა ეს ამბავი არ მომხდარიყო. ყველაფერი ჩემი უჭკუობისა და უგუნურების ბრალიაო.

გამოხდა ხანი და შამს ად-დინმა კაიროს ერთი ვაჭრის ქალიშვილი შეირთო. დაწერა ქორწინების წიგნი და ცოლთან შევიდა. მოხდა ისე, რომ შამს ად-დინი სწორედ იმ ღამეს შევიდა ცოლთან, როდესაც ნურ ად-დინ ბასრელი — ვაზირის ქალთან. და ეს მოხდა ალაჰის ნებით, მაღალიმც არს იგი. რამეთუ განასრულებს თავის მსჯავრს თავის შექმნილთა მიმართ. დაემთხვა ისიც, რომ ორივეს მეუღლე ფეხმძიმედ შეიქნა, და კაიროს ვაზირის შამს ად-დინის ცოლმა შობა ქალი, ისეთი მშვენიერი ეგვიპტეში რომ არავის უხილავს. ნურ ად-დინის ცოლმა კი იგი, რომელზე ლამაზიც იმ დროში არავის უნახავს, სწორედ ისეთი, როგორც მგოსანს უთქვამს:

რა ტანადია, სავსე თასის, სურის მაგიერ
მეინახისთვის მისი ნერწყვიც საკმარისია.
ათრობს, ვით ღვინო, ღვინის გემო, ღვინის ფერია
მისი თვალები, ღაწვნი მისი და ნერწყვი მისი.

და მეორეს უთქვამს:

თვით სილამაზე რომ მოვიდეს და შეედაროს,
გაწბილებული სილამაზე თავს ჩაქინდრავდა.
და თუ ჰკითხავდნენ, თუ გიხილავს მისი სადარი,
მიუგებს, არა, მისი მსგავსი? არსად არ არის.

ვაჟს ჰასანი დაარქვეს. მისი დაბადების მეშვიდე დღეს ინადიმეს და მეფისწულთა საკადრისი სუფრა გაშალეს. მერე კი ბაზრის ვაზირმა ნურ ად-დინი იახლა და სულტანთან მიიყვანა. ნურ ად-დინი სულტანს წარუდგა. ემთხვია მიწას მის წინაშე. და იყო ნურ ად-დინი მჭევრმეტყველი, გულმაგარი, ლამაზი და მოწყალე. და წარმოთქვა სიტყვა მგოსნისა:

ეს არის იგი, ვინც გარს ერტყმის კაცობრიობას
თავის სამართლით, ყოველ მხარეს უსწორებს ერთურთს.
მადლი შესწირე მას ასეთი სიკეთისათვის,
თუმც ეს სიკეთე კი არ არის — ყელსაბამია.
რიდით ემთხვიე მას თითებზე, რადგან ისინი
თითნი კი არა, თვით წყალობის გასაღებნია.

სულტანმა ორივე პატივით მიიღო. ნურ ად-დინს მადლობა უთხრა მის სიტყვებზე და ვაზირს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ჭაბუკი?

ვაზირი თავიდან ბოლომდე მოჰყვა ნურ ად-დინის ამბავს და თქვა — ჩემი ძმისშვილიაო.

— როგორი შენი ძმისშვილია, — უთხრა სულტანმა, — მაგის ამბავი არაფერი გვსმენიაო.

— უფალო ჩემო, — თქვა ვაზირმა, — ერთი ძმა მყავდა. ეგვიპტის ქვეყნების ვაზირი გახლდათ. მოკვდა და ორი ვაჟი დარჩა. უფ-

როსმა მამის ადგილი დაიკავა და ახლა ვაზირია. ეს, უმცროსი ვაჟი, კი ჩემთან მოვიდა, დაფიცებული მქონდა, ჩემი ქალი არავისთვის გამეტანებინა ძმისწულის გარდა. და როდესაც მოვიდა, ჩემს ქალზე დავაქორწინე. ეგ ჭაბუკია, მე კი დავბერდი, ყურთ დამაკლდა, საქმის განრიგება აღარ ძალმიძს. მე მსურს-ჩვენმა უფალმა სულტანმა ჩემს თანამდებობაზე ის განაწესოს, რადგანაც იგი შვილია ჩემი ძმისა და ქმარი — ჩემი ქალიშვილისა, გონიერი და განგებიანი კაცია და ღირსია ვაზირობისა.

სულტანმა შეხედა ჭაბუკსა და მოეწონა. ვაზირის სიტყვა ჭკუაში დაუჯდა, ნურ ად-დინის ვაზირად განწესება რომ ურჩია. სულტანმა ნურ ად-დინს ვაზირობა უწყალობა. ძვირფასი საპატიო სამოსი და არავისი საგანგებო ჯორი უბოძა. ჯამაგირი და სარჩო დაუნიშნა წესისამებრ. ნურ ად-დინი მიწას ემთხვია სულტნის წინაშე. ვაზირი და მისი სიძე შინ წამოვიდნენ უზომოდ გახარებული. — ბედნიერ ფეხზე მოვიდაო ჩვილი, — ამბობდნენ. მეორე დღეს ნურ ად-დინი მეფესთან გაემართა, ემთხვია მიწას და ეს ბეითები წარმოთქვა:

შენ გაგიახლდეს მუდამ იღბალი,
ყოველ ცისმარე — მოშურნის ჯიბრზე.
სულ თეთრი იყოს დღეები შენი
და გაუშავდეს დღე დუშმანს შენსას.

„სულტანმა ნურ ად-დინს უბრძანა ვაზირად დამჯდარიყო. ნურ ად-დინიც დაჯდა და საქმეს შეუდგა. გადახედა ვაზირთა წესისამებრ ხალხის საქმეებს და საჩივარს. სულტანი უცქერდა და აოცებდა ნურ ად-დინის საქმიანობა, საზრიანობა, თადარიგი და გამჭრიახობა. შეუყვარდა და დაიახლოვა იგი. დივანი რომ დამთავრდა, ნურ ად-დინი შინ დაბრუნდა და სიმამრს უამბო, რაც მოხდა. და იმასაც გაუხარდა. ვაზირი უვლიდა ახალშობილს,

ჩვილ ჰასანს, ვიდრე დღეებმა არ განვლეს. ნურ ად-დინი კი ვაზირობდა და სულტანს არ შორდებოდა არც დღე, არც ღამე. სულტანმა მას ჯამაგირი და წყალობა მოუმატა. ისე რომ, ნურ ად-დინი შეძლებული კაცი გახდა. საქონლითა და სხვა რამით დატვირთული მისი გემები აღმა-დაღმა მიმოდიოდნენ. ამუშავებდა მრავალ მამულს, ბაღსა და სარწყავ დოლაბს. ოთხი წლისა რომ შეიქმნა ჰასანი, სული განუტევა მოხუცმა ვაზირმა — მამამ ნურ ად-დინის ცოლისა. ნურ ად-დინმა დიდებული დაკრძალვა მოუწყო და მიწას მიაბარა, მერე კი ხელი მოჰკიდა თავისი ვაჟის აღზრდას. ყმაწვილი რომ წამოიზარდა, მოუყვანა ფაკიჰი, რომელიც შინ შეასწავლიდა კითხვას. ნურ ად-დინმა უბრძანა, ჩემი ვაჟი ამეცადინე და კარგად აღზარდეო. მოძღვარმა ჰასანს კითხვა ასწავლა და შეასმინა არსნი მეცნიერებისა. რამდენიმე წლის განმავლობაში ყურანი აზეპირებინა. ჰასანი თანდათან გალამაზდა, დამშვენდა და ტანი აიყარა. ისე, როგორც უთქვამს მგოსანს:

იგი მთვარეა, სილამაზით სრულქმნილი, მშვენი
და იმის ღაწვთა ყაყაჩოდან მზე იხედება,
მთელ სილამაზეს დაეუფლა, ასე გგონია,
რომ მისგან მოდის ამ სამყაროს მშვენიერება,

მოძღვარმა იგი მამამისის სასახლეში აღზარდა და ამ ხნის განმავლობაში მას სავაზირო სასახლე არ დაუტოვებია. სანამ ერთ დღეს მამამისმა. ვაზირმა ნურ ად-დინმა, არ ჩააცვა უძვირფასესი ტანსაცმელი, შესვა საუკეთესო ჯორზე, წაიყვანა და სულტანს აახლა. ხელმწიფემ შეხედა ჰასან ბადრ ად-დინს-ნურ ად-დინ ვაზირის ვაჟს — და თვალი მოსჭრა მისმა სილამაზემ. რაც შეეხება სახელმწიფოს ხალხს, ისინი კი გააოგნა მისმა მშვენებამ, სიტურფემ, საროს ტანმა და მოხდენილობამ, როდესაც მამასთან

ერთად ხელმწიფესთან პირველად მიმავალმა ჰასანმა მათ ჩაუარა და ისინი დარწმუნდნენ, რა მართალი იყო მგოსნის ნათქვამი:

ვარსკვლავთმრიცხველმა, ღამით ერთხელ ცას რომ უჭვრეტდა, წელმშვენიერი იხილა ვაჟი წამოსასხამში.
და დაინახა დააფრქვია ჭაბუკს მრჩობლედმა
მშვენების მადლი მის სხეულზე რომ ელვარებდა.
ზუალმა იმ ვაჟს კულულების სიშავე მისცა
და დაამშვენა ხალით მუშკმა იგი ყვრიმალზე.
იმას მარიხმა მიანიჭა ღაწვთა სიწითლე.
ისარს სტყორცნიან ქუთუთოდან მშვილდის ვარსკვლავნი.
ის ოტარიდმა გამჭრიახი ჭკუით შეამკო და
მცირე რვილმა განარიდა ბოროტი თვალი.
ვარსკვლავთმრიცხველი განაცვიფრა ოდეს იხილა,
რომ ეამბორა მის წინაშე მთოვარე მიწას.

შეხედა მას სულტანმა, შეუყვარდა, მადლი მიაგო და მამამისს — უთხრა:

— უთუოდ ყოველდღე მოიყვანე თან შენი ვაჟიო.

— გისმენ და გემორჩილები! — მიუგო ვაზირმა და შვილი შინ წაიყვანა.

ყოველდღე დაჰყავდა ჰასანი სულტანთან, ვიდრე იგი თხუთმეტი წლისა არ გახდა. მაშინ კი ვაზირი შეუძლოდ შეიქნა. შვილი დაიბარა და უთხრა:

— იცოდე, შვილო, სააქაო წარმავალი სადგომია, საიქიო კი — საუკუნო სასუფეველი. მინდა რამდენიმე დარიგება მოგცე. შეიგნე. რასაც გეტყვი, და გულისხმა ჰყავ.

და ნურ ად-დინმა ჰასანს დარიგება დაუწყო: ხალხის სიყვარუ-

ლი გქონდეს, საქმეში თადარიგიანი იყავიო. გაახსენდა ძმა, თავისი სამშობლო და თავისი ქვეყანა. ატირდა ძვირფას ადამიანებთან განშორების გამო და ცრემლთა ფრქვევით უთხრა ჰასანს:

— ყური დაუგდე ჩემს ნათქვამს, შვილო, იცოდე, რომ მე ძმა მყავს, სახელად შამს ად-დინი. ბიძაშენი კაიროს ვაზირია. მე იგი მივატოვე და წამოვედი მისი თანხმობის გარეშე. მინდა, ქაღალდის გრაგნილი აიღო და დაწერო, რასაც გიკარნახებ.

ჰასანმა ქაღალდი აიღო და დაიწყო წერა მამის ნათქვამისა. მამამ ყოველივე უკარნახა — მთელი თავისი თავგადასავალი — დასაბამიდან დასასრულამდე, ჩააწერინა თავისი ქორწინებისა და ვაზირის ქალთან შესვლის თარიღი. ბასრას ჩამოსვლისა და ვაზირთან შეყრის თარიღი. მკაცრი დარიგება დაუმატა და უთხრა:

— შეინახე ეს გრაგნილი. ამ ქაღალდზე შენი ძირი, გვარიშვილობა და წარმოშობა წერია. რაიმე თუ შეგემთხვეს, კაიროში წადი, ბიძაშენი მოძებნე, სალამი უთხარი და გადაეცი — შენს ნატვრაში ამომხდა სული უცხოეთში-თქო.

ჰასან ბადრ ად-დინმა ქაღალდი დაახვია, გასანთლულ ნაჭერში შეახვია და ტანსაცმლის სარჩულსა და საპირეს შუა შეინახა. ჰასანი ატირდა, რომ ასე ყმაწვილი მამას უნდა განშორებოდა.

— ხუთ რასმე გიანდერძებ, — უთხრა ნურ ად-დინმა. — ამათში პირველია: თუ არავის დაუმეგობრდები, ბოროტებას გადაურჩები. ჭეშმარიტად, მშვიდობა განმარტოებაშია. ნურავის დაუახლოვდები და საქმეს ნურავისთან დაიჭერ, რადგან მსმენია, მგოსანს რომ უთქვამს:

ჩვენს დროში ვერავის ენდობა კაცი,
ბედმა თუ გიმუხთლა, ყველა გიორგულებს.
იცხოვრე მარტო და ნურვის მიენდობი,
მე ასე გირჩიე და ახლა კმარა!

— მეორეა: შვილო, ნურავის დაჩაგრავ, თორემ ბედი დაგჩაგრავს. ბედისწერა ერთ დღეს რომ გარგებს, მეორე დღეს გავნებს. ეს წუთისოფელი ვალია, რომელიც უკანვე უნდა ჩაასესხო. გამიგონია, მგოსანს უთქვამს:

დააყოვნე და ნუ აჩქარდები იმ საქმისათვის, გულს რომ ჩაიდებ,
და კაცთა მიმართ იყავ მოწყალე, მაშინ თვითონაც ჰპოვებ მწყალობელს.
არ არის ხელი, რომელზე მაღლაც არა სუფევდეს ხელი ალაჰის
და არც მტარვალი, რომელიც ვინმე მეორე მტარვალს არ დაეთრგუნოს.

— შეგონება მესამე: იყავ მდუმარე და საკუთარმა ნაკლმა სხვათა ნაკლი დაგავიწყოს. ნათქვამია: ვინც გაჩუმდება, გადარჩება. მგოსნის სიტყვებისა არ იყოს:

კაცს გაჩუმება ამშვენებს და დუმილი იცავს,
თუ იტყვი რასმე, მოერიდე ფუჭად ლაყბობას,
გაჩუმებისთვის შეიძლება ინანო ერთხელ,
მაგრამ ნათქვამმა შეიძლება ბევრჯერ განანოს.

— მეოთხე: შვილო, გაფრთხილებ, ერიდე ღვინის სმას. ღვინოა დასაბამი ყოველი ცთუნებისა. ღვინოა კაცის ჭკუის წამღები. ერიდე, ერიდე ღვინოს, რადგან გამიგონია, მგოსანს უთქვამს:

თავი დავანებე ღვინოს და მსმელებს
და ვესაუბრები ღვინის მკიცხველებს.

ღვინო ადამიანს სწორ გზას აუბნევს
და ბოროტებას კარებს გაუღებს.

— მეხუთე: შვილო, გაუფრთხილდი ფულს და ფული გაგიფრთხილდება. შეინახე ფული და ფული შეგინახავს. უზომოდ ნუ დახარჯავ, თორემ ადამიანთა შორის ყველაზე მდაბალი დაგჭირდება. გაუფრთხილდი დირჰამებს, რადგან მალამოა დირჰამები. და გამიგონია, ვიღაცას უთქვამს:

არავინ არ მეგობრობს, როცა ფული ცოტა მაქვს,
ყველა მეგობარია, როცა ბევრი ფული მაქვს.
რამდენ ძმაკაცს ვუნდივარ, ფულებს უხვად რომ ვხარჯავ,
და რამდენი გამირბის, ფულებს როცა დავკარგავ.

ნურ ად-დინი არიგებდა თავის შვილს, ჰასან ბადრ ად-დინს, სანამ სული არ აღმოხდა. სახლში მწუხარებამ დაისადგურა. შეწუხდა სულტანი და ყველა ამირი. ვაზირი დაასაფლავეს, ორ თვეს გლოვობდნენ განუწყვეტლივ. მისი შვილი აღარც ცხენზე ჯდებოდა, აღარც დივანში ადიოდა, აღარც სულტანს ეახლებოდა. მისი ადგილი ერთ-ერთმა ეჯიბმა დაიკავა და სულტანმა იგი ახალ ვაზირად დანიშნა მის მაგიერ. უბრძანა, დაებეჭდა ნურ ად-დინის სადგომები, ქონება, შენობები და მამულები. ჩამოვიდა სასახლიდან ახალი ვაზირი და ეჯიბები იახლა. გაემართნენ, რათა ნურ ად-დინ ვაზირის სასახლე დაებეჭდათ, ხელთ ეგდოთ მისი შვილი და სულტნისათვის მიეგვარათ. ხოლო სულტანი თავისი შეხედულებისამებრ გაუსწორდებოდა მას. ლაშქარში ერთი მამლუქი ერია — გარდაცვლილი ვაზირის, ნურ ად-დინის, მამლუქთაგანი. იმან ვერ გაიმეტა თავისი ბატონის შვილი. მივიდა ჰასან ბადრ ად-დინთან. იხილა იგი თავჩაქინდრული და გულდამწუხრებული მამის დაკარგვის გამო. შეატყობინა, რაც მოხდა. ჰასანმა თქვა:

— ხომ არ შეიძლება ცოტა დაყოვნება, რათა სახლში შევიდე და წამოვიღო ცოტაოდენი რამ საამქვეყნიო, უცხოობაში გამოსადეგიო.

მამლუქმა უთხრა: — თავს უშველეო.

მისი სიტყვების გაგონებაზე ჰასანმა თავზე წამოსასხამი გადაიფარა და იარა, სანამ ქალაქგარეთ არ გავიდა. ესმოდა — ხალხი ამბობდა: — სულტანმა ახალი ვაზირი გაგზავნა გარდაცვლილი ვაზირის სახლში. ქონება და სახლები უნდა დაუბეჭდოს, მისი შვილი ჰასან ბადრ ად-დინი შეიპყროს და სულტანს მიჰგვაროს მოსაკლავადო. ხალხს ებრალებოდა იგი მისი სილამაზისა და მშვენიერების გამო. ხალხის ლაპარაკი მოისმინა ჰასანმა და გზააბნეული გამოვიდა ქალაქიდან. არ იცოდა, საით წასულიყო. იარა და განგებამ მამამისის საფლავზე მიიყვანა. შევიდა სასაფლაოზე; საფლავთა შორის მიდიოდა, ვიდრე მამამისის სამარეზე არ ჩამოჯდა. თავიდან წამოსასხამი მოიშორა. საფლავზე ზის და ამ დროს უეცრად ჰასანთან ერთი ბასრელი ებრაელი მივიდა და უთხრა:

— რა არის ჩემს თავს, ჩემო ბატონო, ნირშეცვლილს რომ გხედავო.

— დავიძინე, — მიუგო ჭაბუკმა, — და სიზმრად ვნახე, ვითომც მამაჩემი მისაყვედურებდა — ჩემს საფლავზე არ დადიხარო. შემკრთალი ავდექი. ვშიშობდი — ეს დღე ისე მიიწურება, რომ იმასთან მისვლას ვერ მოვასწრებ-მეთქი. ეს ამბავი მეძნელა. ებრაელმა თქვა: — ჩემო ბატონო, მამაშენს საქონლით დატვირთული ხომალდები ჰყავდა გაგზავნილი. ზოგი დაბრუნდა. მინდა ყოველი ხომალდის ტვირთი, რომელიც კი ნაპირს მოადგება, ათას დინარად შევისყიდო შენგან.

ებრაელმა ოქროებით სავსე ქისა ამოიღო, ათასი დინარი გადათვალა და მისცა ჰასანს — ვაზირის შვილს. მერე უთხრა:

— ქაღალდი დამიწერე და ბეჭედი დაასვიო.

ვაზირის შვილმა, ჰასანმა, აიღო ქაღალდი და დაწერა: „ამის დამწერმა ჰასან ბადრ ად-დინმა, ნურ ად-დინ ვაზირის შვილმა, ამა და ამ ებრაელს ათას დინარად მიჰყიდა ტვირთი ყოველი გემისა, რომელიც კი დაბრუნდება მოგზაურობაში მყოფი მამამისის ხომალდებიდან, და საფასური წინასწარ აიღო“. ებრაელმა გამოართვა ქაღალდი და წავიდა. ჰასანი ატირდა: გაახსენდა უწინდელი ბედნიერი ცხოვრება. შემოაღამდა და ჩაეძინა. მამამისის საფლავზე ეძინა, ვიდრე მთვარე არ ამოვიდა. მერე საფლავიდან თავი ჩამოუვარდა. ზურგზე იწვა და მთვარის შუქზე სახე უბრწყინავდა. იმ სასაფლაოზე მორწმუნე ჯინები ცხოვრობდნენ. გამოვიდა ერთი ძუ ჯინი და მძინარე ჰასანის სახე დაინახა. გააკვირვა ჰასანის სიტურფემ და სილამაზემ და თქვა:

— დიდება ალაჰს, ეს ბიჭი სხვას არავისა ჰგავს, თუ არა სამოთხის ჭაბუკებს.

ჰაერში აფრინდა, რომ კამარა შეეკრა ჩვეულებისამებრ. დაინახა, ხვადი იფრითი მოფრინავდა. მიესალმა. იმანაც უპასუხა სალამზე.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა ძუ ჯინმა. — კაიროდან, — მიუგო მან.

— ხომ არ გინდა, წამომყვე და შეხედო სასაფლაოზე მძინარე ჭაბუკის სიტურფეს, — უთხრა ძუ ჯინმა.

— კარგი, — მიუგო იფრითმა და იარეს, ვიდრე სასაფლაოზე არ გაჩნდნენ.

— თუ გინახავს შენს სიცოცხლეში ამის მსგავსი ვინმე? — ჰკითხა ძუ ჯინმა.

იფრითმა შეხედა ჭაბუკს და თქვა:

— დიდება მას, ვისაც არა ჰყავს ბადალი, მაგრამ, ჩემო დაო, თუ გინდა, რაღაცას გიამბობ.

— მიამბე, — უთხრა ძუ ჯინმა.

— მე მინახავს ამ ჭაბუკის ბადალი ეგვიპტის მხარეში, იგი ვაზირის ასულია. ვაზირის ასულის სილამაზე ხელმწიფეს სმენია და მამამისისათვის, ვაზირ შამს ად-დინისათვის, ქალიშვილი ცოლად უთხოვია. ვაზირს კი უთქვამს:

— ჩვენო უფალო, სულტანო, ჩემი ბოდიში შეიწყნარე და ჩემი ცრემლი შეიწყალე. შენ იცი, ჩემმა ძმამ, ნურ ად-დინმა, დაგვტოვა და წავიდა. აღარ ვიცით, სად არის. ის იყო ჩემი მოზიარე ვაზირობაში. მისი წასვლის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ერთხელ, როცა ვისხედით და ქორწინებაზე ვსაუბრობდით, ჩემზე გაჯავრდა და გაბრაზებული წავიდა.

და ვაზირი სულტანს ყოველივეს მოუყვა, რაც მათ შორის მოხდა. მერე კი უთხრა:

— ასეთია მისი რისხვის მიზეზი. მე დავიფიცე ქალიშვილის გაჩენის დღეს, რაც დაახლოებით თვრამეტი წლის წინათ იყო, ჩემს ასულს არავის მივათხოვებ-მეთქი ჩემი ძმის ვაჟის გარდა. ცოტა ხნის წინათ გავიგე — ჩემს ძმას, ბასრის, ვაზირის ქალი შეურთავს და იმისგან ვაჟი შესძენია. მე იმის გარდა ქალს ვერავის გავატან — ჩემი ძმის ხათრით. მე ჩანიშნული მაქვს ჩემი ქორწინების, ცოლის ფეხმძიმობისა და ქალიშვილის დაბადების თარიღი. ჩემი ქალი ბიძამისის ვაჟის სახელზეა და ქალიშვილი სხვაც ბევრიაო.

სულტანი განრისხდა ვაზირის სიტყვების გაგონებაზე.

— როგორ?! ჩემისთანა კაცი შენისთანას ქალსა სთხოვს და შენ კი უარს ეუბნები და რაღაც ბრიყვული მიზეზით თავს იმართლებ?

ჩემს თავს ვფიცავ, ჯიბრზე თუ შენი ქალი ჩემს მონათა შორის ყველაზე უბადრუკს არ მივათხოვოო.

მეფეს ერთი კუზიანი მეჯინიბე ჰყოლია. ამ მეჯინიბეს მკერდზეც და ზურგზეც კუზი ჰქონია. სულტანმა ბრძანა, მოეყვანათ იგი და ძალით დაწერა მეჯინიბისა და ვაზირის ასულის ქორწინების წიგნი. ბრძანა, იმავე ღამეს შესულიყო მეჯინიბე ვაზირის ქალთან

და ქორწილი გადაეხადათ... და მე ის მეჯინიბე სულტნის მამლუქებით გარშემორტყმული დავტოვე. ხელში ანთებული სანთლები უკავიათ, დასცინიან და ამასხრებენ მას აბანოს კარზე. ვაზირის ქალს რაც შეეხება ის მტირალი ზის პირისფარეშებში. ძეხორციელთა შორის იგი ყველაზე მეტად ჰგავს ამ ჭაბუკს. მამამისს არ უშვებენ ქალიშვილთან. ჩემო დაო, იმ კუზიანზე გონჯი არავინ მინახავს. ის ქალიშვილი კი ამ ვაჟზე ლამაზია... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეერთე, მან თქვა:

— მეფევ სვიანო, ჯინმა უამბო ძუ ჯინს კაიროს — ვაზირისა და მისი ქალის ამბავი: ხელმწიფეს უკვე დაუწერია კუზიანისა და იმ ქალის ქორწინების წიგნიო, ქალი დაღონებული ზის და იმას არავინ შეედრება სილამაზით ამ ჭაბუკის გარდაო. ძუმ უთხრა:

— სტყუი, ეს ჭაბუკი ყველაზე ლამაზია თავისი დროის ხალხში. იფრითი შეედავა:

— ალაჰს ვფიცავ, ჩემო დაო, თუ ქალი უფრო მშვენიერი არ იყოს. მაგრამ იმ ქალს არავინ შეჰფერის ამ ვაჟის მეტი, რადგან ერთმანეთს ისე ჰგვანან, თითქოს და-ძმა ანდა ბიძაშვილები იყვნენ. და, ვაი, საბრალოს იმ კუზიანის ხელში!

ძუ ჯინმა უთხრა:

— ძმაო, მოდი ავწიოთ ეს ჭაბუკი, და იმ ქალთან წავიყვანოთ, შენ რომელზედაც ლაპარაკობ. აბა, ვნახოთ — რომელი უფრო ლამაზია.

— გისმენ და გემორჩილები! — თქვა იფრითმა. — სწორად ამბობ. ამაზე კარგს ვერაფერს მოიფიქრებდი. მე წავიყვან. — მართლაც, იფრითმა აიყვანა ჭაბუკი და გაფრინდა. ძუ იფრითიც გვერდზე მიჰყვებოდა, ვიდრე კაიროს ქალაქს არ ჩაიყვანეს და მასტაბაზე დადეს. მერე გამოაფხიზლეს. ჭაბუკმა გაიღვიძა. ხედავს, ბასრაში აღარ არის, მამამისის საფლავზე. მიიხედა მარ-

ჯვნივ, მარცხნივ და ნახა, სადღაც სხვა ქალაქშია. დაყვირება უნდოდა, მაგრამ იფრითმა მუჯლუგუნი წაჰკრა, სანთელი აუნთო და უთხრა:

— იცოდე, აქ მე მოგიყვანე და ახლა მინდა რაღაც გაგიკეთო, ალაჰის გულისათვის. აიღე ეს სანთელი, აბანოში წადი, ხალხს შეერიე და იარე, სანამ საპატარძლო დარბაზს არ მიაღწევ. სხვებს გაუსწარი, დარბაზში შედი და ნურავის გეშინია. დარბაზში რომ შეხვალ, კუზიანი სასიძოს გვერდით გაჩერდი. ყოველთვის, როგორც კი შენთან პირისფარეში და მომღერალი ქალები მოვლენ, ჯიბეში ხელი ჩაიყავი, ჯიბეს კი ოქროებით გატენილს ნახავ, ბღუჯა ამოიღე და გადაუყარე. შენ ნუ სწუხარ, როცა არ უნდა ჩაიყო ჯიბეში ხელი, ყოველთვის ოქროებით სავსე იქნება. ყველას პეშვით აძლიე, ვინც არ უნდა მოვიდეს, და ნურაფრის გეშინია. დაენდე შენს გამჩენს და ეს იქნება არა შენი ძალითა და ღონით, არამედ ღონითა და ძალითა ალაჰისათა.

როდესაც ჰასან ბადრ ად-დინმა იფრითისგან ეს სიტყვები გაიგონა, წამოიძახა:

— ეს რა ამბავია, ეს რა სიკეთე მეწიაო!

მერე კი წავიდა, აანთო სანთელი და აბანოსაკენ გაემართა. დაინახა ცხენზე მჯდარი კუზიანი. ჰასანი ლამაზად იყო მორთული — თავზე ტარბუში და ჩალმა ეხურა და ოქრომკედით ნაქარგი ფარჯია ეცვა. მიჰყვებოდა მაყრიონს და, როგორც კი მომღერალი ქალები შეჩერდებოდნენ ხალხთან, რომელიც მათ ფულით ასაჩუქრებდა, ჰასანი ჯიბეში ხელს ჩაიყოფდა და ნახავდა ოქროებით სავსე იყო. პეშვით იღებდა და დაირაზე უყრიდა მომღერლებსა და პირისფარეშებს. დაირა დინარებით ივსებოდა. მომღერლები გაოცებისაგან ჭკუას კარგავდნენ, ხალხსაც უკვირდა მისი სილამაზე და მშვენიერება. ასე იყვნენ, ვიდრე ვაზირის სახლს არ მიაღწიეს. იქ კი კარის მცველები ხალხს ერეკებოდნენ და შიგ არ უშვებდნენ. მომღერლებმა და პირისფარეშებმა თქვეს:

— არ შემოვალთ, ღმერთმანი, ეს ვაჟი თუ ჩვენთან ერთად არ შემოუშვით, სიკეთით აგვავსო ამ ვაჟმა. პატარძლის გამოჩინება არ შეიძლება, ისიც თუ არ იქნებაო.

მაშინ ჰასანი სალხინო დარბაზში შეიყვანეს და დასვეს კუზიანი სასიძოს ჯიბრზე. ამირთა, ვაზირთა და ეჯიბთა მეუღლეები ორ რიგად ჩამწკრივდნენ. ყოველ მათგანს ანთებული დიდი და ბრწყინვალე სანთელი ეკავა და ჩადრჩამოშვებული იყო. ისინი საქორწინო სარეცლის მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ, იმ სამყოფის ლივანამდე, საიდანაც პატარძალი უნდა გამოეყვანათ. ქალებმა შეხედეს ჰასან ბადრ ად-დინს, მის სილამაზესა და მშვენიერებას, მის პირისახეს, ახალ მთვარესავით ელვარეს, შეხედეს და ყველას მოეწონა. მომღერლებმა იმ ქალებს უთხრეს:

— იცოდეთ, ეს მზეჭაბუკი მხოლოდ ბაჯაღლო ოქროს გვაძლევს საჩუქრად. სამსახური არ მოაკლოთ, შეუსრულეთ, რაც არ უნდა თქვასო.

ქალები, სანთლებით ხელში, ჰასანს გარს შემოეხვივნენ და უჭვრეტდნენ მის სიტურფეს. ქალებს ჭკუა დაუბნია მისმა სილამაზემ და ყოველ მათგანს მოუნდა ჰასანის მკლავებში გაეტარებინა ერთი წელი, ერთი თვე ან თუნდაც ერთი საათი. და გაოგნებულებმა ჩადრები აიხადეს.

— ნეტავი იმას, ვისაც ეკუთვნის ეს ჭაბუკი, ანდა ვისაც ის ფლობსო, — ამბობდნენ ისინი. მერე დაწყევლეს კუზიანი მეჯინიბე და იმისი თავიც. ვისი მიზეზითაც იგი ამ მშვენიერ ქალიშვილს ირთავდა. და ყოველთვის, როგორც კი ჰასან ბადრ ად-დინს დალოცავდნენ, წყევლიდნენ იმ კუზიანს. მერე კი მომღერლებმა დაირებს შემოჰკრეს. გამოვიდნენ პირისფარეშები. მათ შორის ვაზირის ქალიშვილი მოდიოდა. პირისფარეშებს ნელსაცხებლები ეპკურებინათ და სურნელი ეკმიათ მისთვის, თმა და ყელ-კისერი სამკაულებით შეემკოთ, ხოსროიანთა საკადრისი სამოსელით შეემოსათ. სხვა სამოსთა შორის იყო ერთი — ბაჯაღლო ოქროთი

ნაქარგი, მხეცებითა და ფრინველებით ნახატი. ის ზემოდან მოესხა. კისერზე ათასებად ღირებული ყელსაბამი ეკიდა. თითოეული მისი თვალი პატიოსანი ისეთი იყო, რომ თუბასა და კეისარსაც კი არ ექნებოდა. და პატარძალი თოთხმეტი ღამის ბადრ მთვარეს ჰგავდა. შემოვიდა ჰურიის დარი, დიდება მას, ვინც იგი ასეთი ბრწყინვალე შექმნა! ქალები შემოეხვივნენ ვარსკვლავებივით და მათ შორის იგი იყო, ვითარცა ღრუბელთაგან თავდახსნილი მთვარე. ჰასან ბადრ ად-დინი იჯდა. ხალხი უცქერდა მას. ამ დროს გამოგოგმანდა საპატარძლო ტანის რხევით, კუზიანი მეჯინიბე საკოცნელად ადგა. ქალმა კი ზურგი შეაქცია, წავიდა და ჰასანთან გაჩერდა — ბიძამისის ვაჟთან. ხალხმა სიცილი დაიწყო, როცა დაინახა, პატარძალი ჰასან ბადრ ად-დინთან წავიდაო. ჰასანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ოქრო მოხვეტა და მომღერლებს დაუყარა დაირაზე.

— გისურვებდით, შენი ყოფილიყოს ეს პატარძალი, — თქვეს გახარებულმა მომღერლებმა.

ჰასანს გაეღიმა. კუზიანი ამ დროს განმარტოებით იყო. მაიმუნს ჰგავდა იგი. როგორც კი სანთელს აუნთებდნენ, იმწამსვე უქრებოდა. დაბნეული და სიბნელეში და გულში ილანძღებოდა. ირგვლივ ხალხი იდგა და იმ ანთებული სანთლების ბრწყინვალეება საოცრებათა საოცრება იყო. მათი სხივები ჭკვიან ხალხსაც კი გააოგნებდა. საპატარძლომ ხელები ცაში აღაპყრო და თქვა:

— ო, ალაჰ, ეს ჭაბუკი მომეცი მეუღლედ და მომაშორე კუზიანი მეჯინიბე!

პირისფარეშებმა საპატარძლოს გამოჩინება დაიწყეს. გახადეს და უკანასკნელ, მეშვიდე ხელ სამოსში დატოვეს ჰასან ბადრ ად-დინის წინაშე. კუზიანი მეჯინიბე კი მარტო იჯდა. გამოჩინება რომ დაასრულეს, ხალხს წასვლის ნება დართეს. ქალებიც, ბავშვებიც — ყველა წავიდა ქორწილიდან. დარჩნენ მხოლოდ ჰასან

ბადრ ად-დინი და კუზიანი მეჯინიბე. პირისფარეშებმა დედოფალი გამოიყვანეს. სამკაულები და ტანსაცმელი უნდა გაეძროთ და ნეფისათვის მოემზადებინათ, ამ დროს კუზიანი მეჯინიბე ჰასან ბადრ ად-დინთან მივიდა და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ამაღამ ხომ გაგვახარე და წყალობით აგვავსე. ახლა რატომ არ ადგები და არ წაეთრევი, სანამ არ გაუგდიხართ?!

— სახელითა ალაჰისათა, — თქვა ჰასანმა, წამოდგა და კარში გავიდა.

იფრითი შეხვდა და უთხრა:

— ჰასან, გაჩერდი. კუზიანი რომ საპირფარეშოში გავა, ოთახში შედი და დაჯექი. საპატარძლო რომ შემოვა, ასე უთხარი — მე ვარ შენი ქმარი. მეფემ ეს ეშმაკობა იმიტომ იხმარა, რომ ვინმეს არ გაეთვალე. ის კი, შენ ვინცა ნახე, ერთი ჩვენი მეჯინიბეა-თქო. მიდი, სახეზე ახადე პატარძალს და ნურავის გეშინია. — ამ დროს, სანამ ბადრ ად-დინი იფრითს ელაპარაკებოდა, მეჯინიბე საპირფარეშოში შევიდა და დაჯდა. წყლის გეჯიდან იფრითი ამოძვრა. ვირთხის სახე მიეღო. ზიკ! — დაიძახა მან.

— აქ რამ მოგიყვანა, — თქვა კუზიანმა.

ვირთხა კი გაიზარდა, კატის ტოლა გახდა. მერე კიდევ გაიზარდა, ძაღლად გადაიქცა და — ჰამ! ჰამ!—ო — დაიძახა. ამის დანახვაზე მეჯინიბე შეშინდა და თქვა:

— აქედან გაეთრიე, შე უბედურო!

ძაღლი კი გაიზარდა, გაიბერა, ჩოჩრად იქცა და — ჰააკ! ჰააკ! — სახეში შეყროყინა მეჯინიბეს. მეჯინიბე შეცბა და დაიყვირა:

— მოდით, ჰეი, ვინცა ხართ სახლში!

მაგრამ უეცრად ჩოჩორი გაიზარდა და კამეჩის ტოლად იქცა. მთელი სამყოფი გაავსო და ადამიანის ხმით დაილაპარაკა:

— ვაი შენ, კუზიანო, მეჯინიბეთა შორის ყველაზე მყრალო! — მეჯინიბეს მუცელი ასტკივდა. ტანსაცმლით ჩაჯდა ფიცრებზე და

კბილს კბილზე აცემინებდა.

— ეს ქვეყანა ხომ არ გევიწროება, — უთხრა იფრითმა, — ჩემს სატრფოს რომ ირთავ?

მეჯინიბე ჩუმად იყო. — მიპასუხე, თორემ მიწაში ჩაგაძვრენ, — დაიღრიალა იფრითმა.

— ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმანი, — თქვა მეჯინიბემ, — მაიძულეს. რა ვიცოდი, თუ კამეჩის სატრფო ყოფილა. ვინანიებ ჯერ ალაჰისა და მერე კი შენ წინაშე.

იფრითმა უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, მზის ამოსვლამდე თუ გამოსულხარ აქედან, ანდა ხმა ამოგიღია, ნამდვილად მოგკლავ. მზის ამოსვლის მერე კი გაეთრიე აქედან და შენს გზას ეწიე. ამ სახლში დაბრუნებული აღარ გნახო!

სტაცა ხელი, ხვრელში ჩააყუდა თავდაყირა და უთხრა:

— აქ იყავი და მე გიდარაჯებ გათენებამდისო.

ასეთი იყო კუზიანის ამბავი. რაც შეეხება ჰასან ბადრ ად-დინ ბასრელს, იმან კი დატოვა მოჩხუბარი იფრითი და მეჯინიბე, სახლში შევიდა და ოთახში დაჯდა. აი, პატარძალიც შემოვიდა დედაბერთან ერთად. დედაბერი ოთახის კართან გაჩერდა და თქვა:

— ო, აბუ შიჰაბ, ადექი და წაიყვანე შენი სასძლო, ალაჰისათვის ჩამიბარებიხარ.

დედაბერი წავიდა. პატარძალი ოთახის შუაგულში შემოვიდა. მას სით ალ-ჰუსნი ერქვა. ქალიშვილს გული გატეხილი ჰქონდა. ფიქრობდა — არ დავნებდები, სულიც რომ ამომხდესო. ოთახის შუაგულში რომ მივიდა, ბადრ ად-დინი დაინახა და თქვა:

— ჩემო საყვარელო, შენ კიდევ აქ ზიხარ? გულში ვამბობდი, იქნებ ორთავეს ზიარად გეკუთვნით — შენ და კუზიან მეჯინიბესმეთქი.

— ვინ მისცა მეჯინიბეს შენი თავი, ის რა ჩემი მოზიარეა, — თქვა ვაჟმა.

ქალმა უთხრა: — მაშ, ვინ არის ჩემი ქმარი — შენ თუ იგი?

— ჩემო ქალბატონო, — თქვა ბადრ ად-დინმა, — ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა იყო კუზიანის გასამასხრებლად. პირისფარეშებმა, მომღერლებმა და ნათესავებმა შენი უბადლო სილამაზე რომ იხილეს, შეეშინდათ, არ გავეთვალეთ. ის კუზიანი მამაშენმა ათ დინარად დაიქირავა, რომ ავი თვალი აერიდებინა და ახლა კი წავიდა.

სით ალ-ჰუსნს გაუხარდა, ბადრ ად-დინის სიტყვები რომ გაიგონა, გაიღიმა, ნაზად გაიცინა და თქვა:

— ღმერთმანი, ცეცხლი ჩამიქრე, ალაჰს გაფიცებ, წამიყვანე და გულში ჩამიხუტეო.

სით ალ-ჰუსნს სამოსი არ ეცვა. იგი კისრამდე გაშიშვლდა. ბადრ ად-დინს მისი სალუქი სხეულის დანახვაზე ვნება აღეძრა. ადგა და ტანსაცმელი გაიძრო. მოიხსნა ებრაელის მიცემული ქისა, ათასი დინარით, შარვალში გახვია და ლეიბის ბოლოს ამოდო. მოიხადა ჩალმა, ტახტზე დადო და ზედა პერანგის ამარა დარჩა. პერანგი ოქროთი იყო ნაქარგი. ამ დროს წამოდგა სით ალ-ჰუსნი და ვაჟი მიიზიდა, ბადრ ად-დინმაც გულში ჩაიკრა და მოეხვია. და ჰპოვა, იყო იგი მარგალიტი უხვრეტელი და კვიცი უხედნელი. წარიღო მისი სიქალწულე და დატკბა მისი სინორჩით. და სით ალ-ჰუსნი ფეხმძიმედ შეიქნა. მერე ბადრ ალ-დინმა სით ალ-ჰუსნს მკლავი თავქვეშ ამოუდო, ისიც ასე მოიქცა. ერთმანეთს ჩაეხუტნენ და ასე დაიძინეს. იმათ ხვევნაზეა ნათქვამი ეს ბეითები:

ეწვიე სატრფოს, ყურს ნუ უგდებ მოშურნის სიტყვებს,
რადგან მოშურნე მიჯნურობის არ არის შემწე.
ყოვლად მოწყალეს სანახავი არ შეუქმნია,
იმაზე კარგი, ვით მიჯნურნი ერთ სარეცელზე.
ჩახუტებულებს ნეტარების მოსავთ სამოსი,

ბალიშად უდევთ ერთმანეთის მაჯა და მკლავი.
ოდესაც გულნი სიყვარულის დადებენ კავშირს,
იცოდე, ხალხი ცივ რკინას ჭედს მაშინ ამაოდ.
და თუ შენს დროში ვინმე ერთი გეტრფის გულწრფელად,
ის იყოს შენი ნანდაური, იყავ მის გვერდით.

ასეთი იყო ჰასან ბადრ ად-დინისა და მისი ბიძაშვილის, სით ალ-ჰუსნის, ამბავი. რაც შეეხება იფრითს, იმან ძუ იფრითს უთხრა:

— ადე, ჭაბუკს შეუდექი, წავიყვანოთ, სადაც იყო, თორემ ინათებს, განთიადის ჟამი უკვე ახლოსაა.

მოვიდა ძუ იფრითი, მძინარე ჰასანი აიყვანა და გააფრინა, ისე როგორც იყო: ტანსაცმელგახდილი — პერანგის ამარა. ძუ იფრითი შეუჩერებლად მიაფრენდა ჰასანს, და ხვადი გვერდით მიჰყვებოდა. მაგრამ ალაჰმა ანგელოზებს უბრძანა, ხვადი იფრითისათვის კუდიანი ვარსკვლავი ეტყორცნათ, იგი დაიწვა, ძუ იფრითი კი გადარჩა. იმან

ბადრ ად-დინი ჩამოსვა სწორედ იქ, სადაც კუდიანმა ვარსკვლავმა იფრითი დაწვა. შეშინებულმა იმის იქით ვეღარ წაიყვანა. განგების ნებით ეს ადგილი სირიის დამასკში იყო. იფრითმა იგი დამასკის ერთ-ერთ კარიბჭესთან დადო და გაფრინდა. როდესაც გათენდა, ქალაქის კარიბჭეები გაიღო და ხალხი გარეთ გამოეფინა, დაინახეს ლამაზი ჭაბუკი პერანგისა და ტარბუშის ამარა, უჩალმო და უსამოსო. უძილო ღამის მერე ღრმად ჩასძინებოდა. ხალხმა თქვა იმის დანახვაზე:

— რა ბედნიერია, ვისთანაც ეს ჭაბუკი ყოფილა წუხელ. ნეტა ცოტა ხანს არ ჩაიცვამდესო.

— საწყალობელი არიან (დიდებული) ხალხის შვილები! ეს ჭაბუკი, ალბათ, სამიკიტნოდან გამოსულა ერთ საქმეზე, ზარხოში

მორევია, გზა დაბნევია და ქალაქის კარიბჭესთან მისულა. დაკეტილი რომ უნახავს, იქვე ჩასძინებია.

ხალხი ბჭობდა ჰასანზე და ამ დროს უეცრად ნიავმა დაუბერა ბადრ ად-დინსა და პერანგის კალთა გადააძრო მუცელზე. გამოჩნდა მუცელი, ჭიპი, ფეხები და ბროლისდარი თეძოები. ხალხი განცვიფრდა. ბადრ ად-დინმა გაიღვიძა. ხედავს, ქალაქის კარიბჭესთან არის. კართან კი ხალხი შექუჩებულა. გაოცდა და თქვა:

— სადა ვარ, კეთილო ხალხო? რად შემომხვევიხართ, განა ისეთი რა მოხდა ჩვენ შორის?!

მათ მიუგეს:

— განთიადის აზანისას გნახეთ, ამ კართან იწექი და გეძინა. შენზე სხვა არა ვიცით რა, წუხელ სად გაათიე ღამე?

— ხალხო და ჯამაათო, ვფიცავ ალაჰს, წუხელ კაიროში მეძინა, — თქვა ბადრ ად-დინმა.

ერთმა უთხრა: — შენ ჰაშიში ხომ არ გიჭამია? ვიღაცამ თქვა:

— გიჟი ხომ არა ხარ, ღამე კაიროში გაათიე და დილით დამასკის ქალაქში გძინავსო?

ერთმა თქვა:

— საოცარი ამბავიაო.

მეორემ:

— ეს ჭაბუკი გადარეულიაო,

და ხალხმა ტაშის დაკვრა დაუწყო. ხალხს ერთმანეთში მითქმა-მოთქმა ჰქონდა, მერე კი თქვეს:

— ვაი, მის სიჭაბუკეს, ეს ბიჭი უეჭველად შერყეულიაო, — და უთხრეს:

— გონს მოდიო. ჰასან ბადრ ად-დინმა თქვა: — გუშინ კაიროში ნეფე ვიყავ.

— იქნებ გეზმანა და სიზმარში ნახე, რასაც ამბობ, — უთხრა ხალხმა.

ჰასანი შეცბა:

— ღმერთმანი, ეს სიზმარი არ ყოფილა, სად არის კუზიანი მეჯინიბე. ჩვენთან რომ იჯდა, ოქროებით სავსე ჩემი ქისა. სად არის ჩემი სამოსი და ტანსაცმელი?

ადგა ჰასან ბადრ ად-დინი და ქალაქში შევიდა. გაიარა ქუჩები და ბაზრები. ხალხი გარს შემოხვეოდა და უკან მისდევდა. ჰასანი ერთი მზარეულის დუქანში შევიდა. ეს მზარეული ერთი მფლანგველი კაცი იყო. მაგრამ ალაჰმა ცოდვები შეუნდო და მერე დუქანი გახსნა. მთელ დამასკელებს ეშინოდათ ამ მზარეულისა, ისეთი ღონიერი იყო. როდესაც დაინახეს, ჭაბუკი მზარეულის დუქანში შევიდაო, შიშით ყველა გაეფანტა. მზარეულმა შეხედა ჰასან ბადრ ად-დინს, დაინახა, როგორი ტურფა და ლამაზი იყო. გულში სიყვარული ჩაუვარდა და უთხრა:

— საიდანა ხარ, ჭაბუკო, მითხარი შენი ამბავი, სულზე ძვირფასი გახდი ჩემთვის.

ჰასანიც თავიდან ბოლომდე მოჰყვა, რაც გარდახდა. მზარეულმა უთხრა:

— ჩემო ბატონო ბადრ ად-დინ, იცოდე, რომ ეს მართლაც საკვირველი საქმეა და საოცარი ამბავი. მაგრამ, შვილო, დამალე, რაც შეგმთხვევია, სანამ ალაჰი შვებას მოგცემდეს, დარჩი აქ, ჩემთან. მე მეტი არა მყავს და შენ გიშვილებ.

— იყოს ნება შენი, — მიუგო ბადრ ად-დინმა.

მაშინ მზარეული ბაზარში წავიდა, ბადრ ად-დინს ძვირფასი სამოსი უყიდა და ჩააცვა. წაიყვანა ყადისთან და განაცხადა, რომ იგი ჩემი შვილიაო, ამიერიდან ქალაქ დამასკში ბადრ ად-დინს მზარეულის შვილად იცნობდნენ. იჯდა მზარეულის გვერდით, იღებდა ფულს და ასე ცხოვრობდა მასთან ერთად. ასეთი იყო ჰასან ბადრ ად-დინი ამბავი.

ახლა, რაც შეეხება სით ალ-ჰუსნსა, მისი ბიძის ასულს, როდესაც გათენდა, გაიღვიძა და თავის გვერდით ჰასან ბადრ ად-დინი ვეღარ ნახა, იფიქრა, რაღაც საქმეზე გავიდაო. დაჯდა და ელოდა

ერთხანს. უეცრად მამამისი შემოვიდა დაღონებული იმის გამო, რაც სულტნისაგან შეემთხვა. როგორ აიძულა ქალიშვილი ერთ-ერთი მისი მონისათვის, კუზიანი მეჯინიბისათვის, გაეტანებინა. გულში გაივლო: — მოვკლავ ჩემს ქალიშვილს, იმ მყრალს თუ დანებდაო. იარა, ვიდრე საქორწინო სამყოფელს არ მიაღწია, და კართან გაჩერდა.

— სით ალ-ჰუსნ! — დაიძახა მან.

— დიახ, ჩემო ბატონო, — მიუგო ქალმა. ოთახიდან გამოვიდა, სიხარულით მოირწეოდა. ემთხვია მიწას მამის წინაშე. იმ ქურციკის ხვევნისაგან მის სახეს სინათლე და სილამაზე შემატებოდა.

— ჰოი, შე უგვანო, ნუთუ იმ მეჯინიბემ გაგახარა? — უთხრა მამამ, ქალი რომ ასეთ ყოფაში ნანა.

გაიღიმა სით ალ-ჰუსნმა მამის სიტყვებზე:

— ალაჰს გაფიცებ, კმარა, რაც შენი გულისთვის გადამხდა, რაც ჩემზე ხალხმა იცინა და გამკიცხა იმ კუზიანი მეჯინიბის გამო, ჩემი ერთი თითის ფრჩხილადაც რომ არ ღირს. ჩემი ქმარი კი... ალაჰს ვფიცავ, ჩემს სიცოცხლეში არ გამიტარებია წუხანდელ ღამეზე მშვენიერი ღამე. და სასაცილოდ ნუ მიგდებ, იმ კუზიანს ნუ მიხსენებ.

რისხვით აივსო მამამისი ქალიშვილის სიტყვების გაგონებაზე, თვალები ჩაულურჯდა, უთხრა:

— ვაი შენ, ეს როგორ თქვი, კუზიანმა მეჯინიბემ ღამე გაათია ჩემთანაო. — ქალმა მიუგო:

— ღვთის გულისათვის, იმას ნუ მიხსენებ, ალაჰიმც დასწყევლის იმასაც და მამამისსაც. გეყოფა ხუმრობა. მეჯინიბე მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული ყოფილა ათ დინარად. იმან აიღო თავისი ფეხის ქირა და წავიდა. მე კი მოველ, ოთახში შემოვედი და დავინახე, ჩემი მეუღლე ზის, მას შემდეგ, რაც მომღერლებმა ჩემი გამოჩინება მოაწყვეს და იმან კი საბოძვარი გასცა, სულ ბაჯაღლო ოქრო, და იქ მყოფი ღარიბ-ღატაკნი გაამდიდრა. ეს ღამე

ჩემი მხიარული, შავთვალა და წარბებგადაბმული მეუღლის მკლავებში გავათიე.

ნათელი ბნელად იქცა მამამისის სახეზე, მისი ნათქვამი რომ გაიგონა. უთხრა:

— შე ურცხვო, რას ამბობ, ჭკუა სად დაგიკარგავს?

— მამიკო, გული ნუ მომიკალ, ყურს რად არ მიგდებ? — მიუგო ქალმა. — ის ჩემი ქმარი, რომელმაც სახე გამიხსნა, საპირფარეშოშია. მე უკვე ფეხმძიმედ ვარ იმისაგან.

მამამისი გაკვირვებული ადგა და გავიდა. დაინახა კუზიანი მეჯინიბე ხვრელში თავდაღმა ჩაყუდებული. ვაზირი დაიბნა:

— განა ეს კუზიანი არ არის? — თქვა მან. დაელაპარაკა, მაგრამ კუზიანმა ხმა არ გასცა, იფრითი ეგონა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეორე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ვაზირი კუზიან და მეჯინიბეს დაელაპარაკა, იმან კი ხმა არ გასცა, რადგანაც ვაზირი იფრითი ეგონა. იფიქრა, იფრითს ველაპარაკებიო. მაშინ ვაზირმა დაუღრიალა:

— ხმა გამეცი, თორემ თავს მოგჭრი ამ ხმლით.

— ალაჰს ვფიცავ, იფრითების შეიხო, თავი არ ამომიყვია იმის მერე, რაც აქ ჩამაყუდე. შემიბრალე, გაფიცებ ალაჰსო, — უთხრა კუზიანმა. — მე იფრითი კი არა, საპატარძლოს მამა ვარ, — თქვა ვაზირმა, კუზიანის ნათქვამი რომ გაიგონა.

მეჯინიბემ უთხრა:

— ჩემი სიცოცხლე შენს ხელთ არ არის და სულსაც ვერ ამომართმევ, წადი შენი გზით, სანამ ის არ მოსულა, ვინც ეს საქმე მიყო. თქვენ მე კამეჩებისა და იფრითების საყვარელზე დამაქორწინეთ. ალაჰმა დასწყევლოს, ვინც ის შემრთო და ვინც ამის საბაბი გახდა!

კუზიანი უყვებოდა ვაზირს, საპატარძლოს მამას, და თან ამბობდა; — ალაჰმა დასწყევლოს, ვინც ამის მიზეზი გახდაო.

— ადექი და გაეთრიე აქედან, — უთხრა ვაზირმა.

— შლეგი ხომ არა ვარ, იფრითის უნებართვოდ წამოგყვე. ასე მითხრა, მზე რომ ამოვა, გამოდი და შენი გზით წადიო. ამოვიდა მზე, თუ არა? მე აქედან ვერ გამოვალ, მზე თუ არ ამოსულა.

— ვინ მოგიყვანა შენ აქ? — ჰკითხა ვაზირმა.

მეჯინიბემ მიუგო:

— საჭიროებისათვის შემოვედი გუშინ, უეცრად წყლიდან თაგვი ამოძვრა. თანდათან გადიდდა, სანამ კამეჩის ტოლი არ გახდა და მითხრა სიტყვა, რომელიც ყურში ჩამწვდა. დამანებე თავი და წადი. ალაჰმა დასწყევლოს პატარძალიცა და იმისი თავიც, ვინც ის შემრთო.

ვაზირი მეჯინიბესთან მივიდა და ხვრელიდან ამოათრია. მეჯინიბე სირბილით გავარდა, არც კი სჯეროდა, რომ მზე ამოსულიყო. სულტანთან მივიდა და უამბო, რაც შეემთხვა იფრითთან. რაც შეეხება ვაზირს — საპატარძლოს მამას — ის კი სახლში შევიდა, დაბნეული თავისი ქალის თავგადასავლით. შვილს უთხრა:

— ჩემო ასულო, ამიხსენი შენი ამბავი. ქალმა მიუგო:

— წუხელ ჩემთან ის ლამაზი ჭაბუკი იყო, ვის წინაშეც გამომაჩინეს. იმან წარიღო ჩემი სიქალწულე. მე ფეხმძიმედ ვარ იმისგან. თუ არა გჯერა, აი, აქ სკამზე არის მისი დახვეული ჩალმა, ტანსაცმელი კი — ლოგინის ქვეშ. შიგ რაღაც უნდა იყოს შეხვეული, მაგრამ არ ვიცი, რა არის.

ვაზირმა რომ ეს სიტყვები გაიგონა, საქორწინო სამყოფში შევიდა. ნახა თავისი ძმისწულის, ჰასან ბადრ ად-დინის, ჩალმა. იმწამსვე ხელი დაავლო, შეატრიალ-შემოატრიალა და თქვა:

— ვაზირთა ჩალმაა, მოსულში დამზადებულიო. — მერე ტარბუშში ჩაკერებული ავგაროზი დაინახა, აიღო და გაარღვია. ტანსაცმელიც აიღო და იპოვა ქისა, რომელშიც ათასი დინარი იყო.

გახსნა. შიგ ფურცელი იდო. წაიკითხა. ბასრელი ებრაელის ხელ-წერილი აღმოჩნდა. ნახა სახელი ჰასან ბადრ ად-დინისა, ნურ ად-დინ ბასრელის ძისა. და ათასი დინარიც იპოვა. ის ფურცელი რომ წაიკითხა, შამს ად-დინმა დაიყვირა და უგონოდ დაემხო გონს რომ მოვიდა და ჩაწვდა ამ ამბის აზრს, გაოცდა.

— ჩემო ასულო, იცი, ვინ წარიღო შენი სიქალწულე? — უთხრა შვილს.

— არა, — მიუგო ქალმა.

— ჩემმა ძმისწულმა. იგი შენი ბიძის, ვაჟია. ეს ათასი დინარი კი შენი ურვადია. დიდება ალაჰს. ნეტა ვიცოდე, ეს ამბავი როგორ მოხდა.

გახსნა ჩაკერებული ავგაროზი. შიგ თავისი ძმის, ჰასან ბადრ ად-დინის მამის, ნურ ად-დინ ბასრელის, ხელით დაწერილი ფურ-ცელი იპოვა. და ძმის ნაწერი რომ დაინახა, ეს ბეითები წარმოთ-ქვა:

ვიხილე მისი ნატერფალი და ნატვრით დავდნი.
ცრემლების ღვარი დავაფრქვიე მე იმის სადგომს.
და შევთხოვ მას, ვინც განმისაჯა იმასთან გაყრა,
რომ მიწყალობოს მე ოდესმე მისივე ნახვაც.

ლექსი დაამთავრა და ავგაროზი წაიკითხა. ნახა შიგ თარიღი ძმის დაქორწინებისა ბასრელი ვაზირის ქალზე, თარიღი ცოლ-თან შესვლისა და მისი ასაკისა აღსასრულის ჟამს, თარიღი მისი ვაჟის, ჰასან ბადრ ად-დინის დაბადებისა, გაოცდა და სიხარული-საგან ათრთოლდა. ძმის თავგადასავალი თავისას შეადარა. ნა-ხა, ყველაფერი ერთმანეთს დაეტოლა. მისი ქორწინება ძმის ქორწინების თარიღს ემთხვეოდა. ერთნაირი იყო ცოლთან შეს-ვლის თარიღიც. ერთმანეთს ემთხვეოდა ძმისწულის, ჰასან ბადრ

ად-დინისა, და მისი ასულის, სით ალ-ჰუსნის დაბადების თარიღებიც. აიღო ორივე ფურცელი, სულტანს მიუტანა და თავიდან ბოლომდე უამბო ყოველივე. მეფე გაოცდა, ბრძანა, ეს ამბავი მაშინვე ჩაეწერათ. მერე ვაზირი დიდხანს ელოდა თავის ძმისწულს, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგო.

— ღმერთმანი, ისეთ საქმეს ვიქმ, ჩემამდის რომ არავის ჩაედინოსო, — თქვა მან... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამესამე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, ჩემამდის მოაღწია ამბავმა, — რომ ვაზირს უთქვამს:

— ისეთ საქმეს ვიქმ, ჯერ რომ არავის ჩაუდენიაო. — აიღო საწერ-კალამი და ჩანიშნა ოთახის ავეჯი: საკუჭნაო ამა და ამ ადგილას არის, ესა და ეს ფარდა ამა და ამ ადგილასაო. ყველაფერი როგორც იყო სახლში. ნაწერი დაკეცა და ბრძანა მთელი ავეჯის შენახვა. თვითონ კი ჩალმა და ტარბუში, ფარჯია და ქისა აიღო და შეინახა. რაც შეეხება ვაზირის ასულს, ფეხმძიმობის თვეები რომ შეასრულა, მთვარესავით ვაჟი შობა. იგი სილამაზით, სრულქმნილებით, ბრწყინვალებითა და სიტურფით მამამისს ჰგავდა. ბავშვს ჭიპი მოსჭრეს, თვალზე ქუჰლი წაუსვეს და ძიძებს ჩააბარეს. სახელად აჯიბი უწოდეს. მისი ერთი დღე ერთ თვეს უდრიდა, ერთი თვე კი ერთ წელიწადს. შვიდი წლისა რომ გახდა, პაპამ მოძღვარს მიაბარა, უბრძანა, კარგად აღზარდეო. ვაჟმა ოთხი წელი რომ დაჰყო სასწავლებელში, ბავშვებთან ჩხუბი დაიწყო, ლანძღავდა იმათ:

— ვინ არის თქვენში ჩემი ტოლი. მე კაიროს ვაზირის შვილი ვარო.

ბიჭები ადგნენ, უფროს შეგირდს შემოეხვივნენ და შესჩივლეს აჯიბისაგან რაც დღე ადგათ. იმან თქვა:

— მე გასწავლით, რა უნდა უთხრათ ხვალ აჯიბს, როცა მოვა და

ინანებს სასწავლებელში სიარულს. შემოუსხედით ხვალ, როცა მოვა, და ერთმანეთს უთხარით: ამ თამაშს ვერ ითამაშებს ჩვენთან, ვინც თავისი დედისა და მამის სახელს ვერ იტყვის. ვინც დედისა და მამის სახელი არ იცის, ის ცოდვის შვილია და ჩვენთან ვერ ითამაშებს-თქო.

გათენდა და ბავშვები სასწავლებელში მოვიდნენ. გამოცხადდა აჯიბიც. ბიჭები შემოეხვივნენ და თქვეს:

— რაღაც უნდა ვითამაშოთ, ოღონდ ვინც თავისი დედ-მამის სახელს ვერ იტყვის, არ ვათამაშებთ. — ამაზე მორიგდნენ. ერთ-ერთმა თქვა:

— ჩემი სახელია მაჯიდი. დედაჩემისა ალავია, მამისა კი იზ ად-დინიო.

ასევე თქვა მეორემ და უკანასკნელმაც. ჯერი აჯიბზე მიდგა და თქვა:

— მე აჯიბი მქვია, დედაჩემს სით ალ-ჰუსნი, მამაჩემს კი — შამს ად-დინი, კაიროს ვაზირი.

— ვაზირი მამაშენი არ არის, — უთხრეს ბავშვებმა. — ვაზირი მართლა მამაჩემიაო, — მიუგო აჯიბმა. ამაზე ბიჭებმა სიცილი დაააყარეს, ტაში შემოჰკრეს და უთხრეს:

— შენ არ იცნობ მამაშენს, მოგვშორდი. ჩვენთან ითამაშებს მხოლოდ ის, ვინც მამამისის სახელი იცის.

და ბიჭები იმწამსვე სიცილ-ხარხარით შემოეცალნენ. ბავშვი დაღონდა და ტირილით გაიგუდა. უფროსმა შეგირდმა უთხრა:

— ნუთუ გჯერა, რომ შენი პაპა, დედაშენის სით ალ-ჰუსნი მამა, შენი მამა არის?! მამაშენს არც შენ იცნობ და არც ჩვენ. სულტანმა დედაშენი კუზიან მეჯინიბეს მიათხოვა. იმ ღამეს კი იმასთან ჯინები იყვნენ და ღამე გაათიეს. და მამაშენს თუ არ იცნობ, ისინი სიძვის შვილად ჩაგთვლიან. განა ვერა ხედავ, ვაჭრის შვილმა იცის, ვინ არის მისი მამა. კაიროს ვაზირი მხოლოდ და მხოლოდ პაპაა შენი. მამაშენს კი არც ჩვენ ვიცნობთ და არც შენ და გონს მოდიო.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ბიჭი წამოხტა და დედასთან, სით ალ ჰუსნთან, შევიდა. ტირილით შესჩივლა დედამისს. ცრემლები ახრჩობდა და ლაპარაკს უშლიდა. დედამისს გულზე ცეცხლი შე-მოენთო, მისი ლაპარაკი და ტირილი რომ გაიგონა.

— შვილო, რა გატირებს, მითხარი, რა დაგემართაო.

ბიჭი მოუყვა დედას, რაც ბიჭებისა და უფროსი შეგირდისაგან გაიგონა და ჰკითხა:

— დედა: ვინ არის ჩემი მამა? — კაიროს ვაზირია მამაშენი,— მი-უგო დედამ.

— ის ჩემი მამა არ არის, ნუ მატყუებ. ვაზირი მამაჩემი კი არა, მამაშენია. და ჩემი მამა კი ვინ არისო. სიმართლე თუ არ გით-ქვამს, ამ ხანჯლით მოვიკლავ თავსაო.

მამამისის ხსენებაზე სით ალ-ჰუსნი ატირდა. ბიძამისის ვაჟი მოაგონდა. გაახსენდა ჰასან ბადრ ად-დინ ბასრელის სილამაზე და რაც მასთან გარდახდა. და ეს ბეითები წარმოთქვა:

გულს სიყვარული ამიგზნეს და გადაიკარგნენ,
ო, რა შორსაა ახლა მათი ადგილსამყოფი.
მიმატოვეს და გონებამაც მსწრაფლ მიმატოვა,
გამშორდა ძილი, აღარა მაქვს მე მოთმინება.
გადაიკარგნენ და დავკარგე მე სიხარული
და მოსვენებაც აღარ არის, გამიქრა შვება.
თვალთაგან ცრემლი მაფრქვევინეს განშორებისას,
შეუჩერები ჩემი ცრემლი ზღვებს ეჯიბრება.
როს მისი ხილვა მომენატრება,
გამიძნელდება მწუხარება და მოლოდინი,
გულის სიღრმეში მის ხატს მაჩვენებს
უსაზღვრო ნატვრა, მოგონება და სიყვარული.
სამოსად მექცა მე მისი ხსოვნა
და ტრფობის გარდა აღარა მაქვს მე სხვა პერანგი.

როდემდის იყოს, საყვარელნო, ეს სიჯიუტე,
როდემდის იყოს ეს სიშორე, ეს განრიდება.

ქალმა ტირილი და მოთქმა დაიწყო და შვილიც აჰყვა. უეცრად ვაზირი შემოვიდა, იმათი ტირილის დანახვაზე გული დაეწვა.

— რა გატირებთო? — იკითხა.

სით ალ-ჰუსნმა უამბო, რაც გადახდა იმის ვაჟს ბავშვებთან სასწავლებელში და მაშინ ვაზირიც ატირდა. გაახსენდა ძმა, მისი თავგადასავალი და თავისი ქალიშვილის ამბავი. ამ საქმის იდუმალ არსს ვერ ჩასწვდომოდა. ვაზირი იმწამსვე ადგა, დივანში ავიდა, სულტანს ეახლა და ეს ამბავი უთხრა. სთხოვა, აღმოსავლეთში მოგზაურობის ნება დამრთე, რომ ბასრის ქალაქს მივიდე და ძმის ამბავი გამოვიკითხოო. სთხოვა სულტანს, ყველა ქვეყანაში ფირმანი დამიწერე, რომ, თუკი სადმე ძმისწულს მივაგნებ, თან წამოვიყვანოო. ატირდა სულტნის წინაშე. სულტანს შეებრალა. დაუწერა ფირმანი ყველა იკლიმსა და ქვეყანაში. გაუხარდა ვაზირს. დალოცა სულტანი და გამოეთხოვა. იმწამსვე ჩამოვიდა და მგზავრობის თადარიგი დაიჭირა. წაიღო, რაც სჭირდებოდა. წაიყვანა თავისი ქალი, მისი ვაჟი აჯიბი. იმოგზაურეს ერთ დღეს, მეორე დღეს, მესამე დღეს, ვიდრე დამასკის ქალაქს არ მიაღწიეს. ნახა, იქ სწორედ ისეთი ხეები და მდინარეები იყო, როგორც მგოსანს უთქვამს:

დღე-ღამის შემდეგ მე დამასკში რომ გავატარე,
დრომ დაიფიცა, თქვენ იმის მსგავსს აღარას ნახავთ.
გვეძინა, იყო უდარდელი ღამის წყვდიადი,
და იყო მასზე განთიადის ტოტი ჭაღარა.
და იყო ნამი იმ ტოტებზე, ვით მარგალიტი,
და იფრქვეოდა მარგალიტი სიოს ქროლვაზე.
ვითარცა ფურცელს, კითხულობდნენ ჩიტნი ნაკადულს,

ქარი აწერდა და ღრუბლები სვამდნენ წერტილებს.

ვაზირი ალ-ჰასბას მოედანზე ჩამოჯდა და კარვები გაშალა. ღულამებს უთხრა:

— აქ ორიოდე დღეს შევისვენებთო.

მონები ქალაქში შევიდნენ თავ-თავის საქმეზე. ერთი ყიდულობდა, მეორე ყიდდა, მესამე აბანოში შევიდა, მეოთხე — ომაიანთა მეჩეთში, რომლის ბადალიც მთელ დუნიაზე არ მოიპოვება. ქალაქის დასათვალიერებლად წავიდა აჯიბიც. თან ხადუმი ახლდა: ხადუმი

უკან მისდევდა და ხელში ისეთი კეტი ეჭირა, აქლემისათვის რომ დაგერტყათ, წაიქცეოდა და ვეღარც ადგებოდა. დამასკელებმა შეხედეს აჯიბს. მის წელსა და კენარ ტანს, მის შუქსა და სრულ ქმნილებას. იშვიათ სილამაზეს, ნატიფ ნაკვთებს, ჩრდილოეთის ნიავზე უნაზესს, მწყურვალისათვის ცივ წყალზე უტკბესს. სნეულისათვის ჯანზე უამესს, შეხედეს და აედევნენ. ხალხი სირბილით მისდევდა და გზაზე სხდებოდა, რომ თვალი მოეკრათ მისთვის, როცა ჩაივლიდა. განგების ბრძანებით ხადუმი ჰასან ბადრ ად-დინის დუქანთან შეჩერდა, იქ, სადაც ჰასანი მზარეულმა დაიტოვა, მოწმეთა და ყადიების წინაშე შვილად რომ აღიარა. გააოცა ბადრ ად-დინი აჯიბის უსაზღვრო სილამაზემ. გულმა იმისკენ გაუწია და შეუყვარდა. ჰასანს ბროწეულის მარცვლები მოემზადებინა. ჰასანში აზვავდა ღვთით ჩანერგილი სიყვარული, აღელვებით დაუძახა:

— ჩემო ბატონო. ჩემი გულისა და სულის უფალო, ჩემო სანუკვარო, ხომ არ შემოხვალ, რომ ნუგეში მცე და ჩემი საჭმელი გასინჯო?

უნებურად თვალები ცრემლით აევსო: გაახსენდა, რა იყო უწინ და ახლა რად იქცა.

მამამისის სიტყვები რომ გაიგონა აჯიბმა, გულმა იმისკენ გაუწია.

ხადუმს მიუბრუნდა:

— ეს მზარეული ისე შემებრალა, თითქოს შვილი დაეკარგოს შევიდეთ და ნუგეში ვცეთ. გემო გავუსინჯოთ მის მასპინძლობას. ეგების ღმერთმა ამისათვის მამას შეგვყაროსო.

ხადურმა თქვა, თავისი ბატონის, აჯიბის, ნათქვამი რომ მოისმინა:

— ჩემო ბატონო, ალაჰს ვფიცავ. არ შეგფერის. როგორ შეიძლება ვაზირის ვაჟმა მზარეულის დუქანში ჭამოს. მაგრამ შედი და ხალხისაგან ამ კეტით დაგიცავ, რომ არ დაგინახონ. თუ არადა, დუქანში შესვლა არ იქნება.

ჰასან ბადრ ად-დინმა ხადუმის ნათქვამი გაიგონა, გაოცდა და ღაწვებზე ცრემლთა დენით უთხრა:

— შეიყვარა იგი ჩემმა გულმა.

— თავი დაგვანებე, არ შემოვალთ! — უთხრა ხადურმა.

მაშინ აჯიბის მამა ხადუმს მიუბრუნდა და უთხრა:

— უფროსო, რატომ არ გინდა, გულს ნუგეში მცე და შემოხვიდე. ეჰე, შენ, იმ შავი წაბლის მსგავსო, გული რომ თეთრი აქვს. შენ, ვისზედაც ერთ-ერთმა აღმწერმა თქვა ესა და ეს ხოტბა.

ხადუმს გაეცინა:

— რას ამბობ, ღვთის გულისათვის, თქვი და მოკლედ მოსჭერ. ჰასანმა იმწამსვე ეს ბეითები წარმოთქვა:

თუ არა მისი აღზრდილობა და ერთგულება,
მეფეთა სახლში გამგებელი ვერ იქნებოდა.
არ შეუშვებდნენ მას ჰარემშიც, რა მსახურია!
ისე სათნოა, მსახურებენ ცის ანგელოსნი.

მსახური გააკვირვა ამ სიტყვებმა; აჯიბს ხელი მოჰკიდა და მზარეულის დუქანში შევიდა. ჰასან ბადრ ად-დინმა ნუშითა და შაქრით შეკაზმული ბროწეულის მარცვლების თეფში დაუდგა და ერთად შეექცნენ.

— როგორ გამაბედნიერეთ, მიირთვით, შეგარგოთ, — ამბობდა ჰასან ბადრ ად-დინი. აჯიბმა კი თავის მშობელს უთხრა:

— იჯექი ჩვენთან და მიირთვი, ეგების ალაჰმა შეგვახვედროს, ვისაც ვეძებთ.

— ნუთუ ასე ნორჩს უკვე გამოგიცდია საყვარელ ადამიანებთან განშორება? — უთხრა ჰასან ბადრ ად-დინმა.

— დიახ, ძია კაცო,— მიუგო აჯიბმა.

— გული დამიწვა საყვარელ ადამიანებთან განშორებამ. ის საყვარელი, რომელიც დაგვშორდა, ჩემი მამაა. მე და პაპაჩემი წამოვედით. ქვეყანაზე დავეძებთ და, ვაი, როდის შევხვდებით.

ბიჭს გული ამოუჯდა. იმის ტირილზე მამამისიც ატირდა. გაახსენდა ძვირფასებთან განშორება. რა შორს იყო მისი დედ-მამა. შეებრალა იგი მსახურს. ერთად შეექცეოდნენ, სანამ არ დანაყრდნენ.

მერე კი ადგნენ და ჰასან ბადრ ად-დინის დუქნიდან გავიდნენ, ჰასანმა იგრძნო, რომ მისი სული სხეულს ეყრებოდა. იმათ გაჰყვა. უიმათოდ ერთ წამსაც ვეღარ ძლებდა. დუქანი დაკეტა. გაეკიდა ისე, რომ იმათ არ გაუგიათ. სწრაფად მიდიოდა და დაეწია, სანამ ქალაქი დიდი კარიბჭიდან გავიდოდნენ. საჭურისი მოუბრუნდა:

— რა დაგემართა, მზარეულო.

— ჩემგან რომ წამოხვედით, — თქვა ბადრ ად-დინმა, — თითქოს სულ-ხორცის გაყრის ჟამი დამიდგა. ქალაქში საქმე მაქვს, კარიბჭის იქით, გადავწყვიტე, გაგაცილებთ, ჩემს საქმეს გავაკეთებ, მერე კი დავბრუნდები-მეთქი.

საჭურისი გაბრაზდა და აჯიბს უთხრა:

— ის წყეული პურისჭამა პატივისცემად ჩაგვეთვალა. და, აი, ახლა ეს მზარეული ადგილიდან ადგილზე დაგვდევს.

აჯიბი მოტრიალდა. მზარეული რომ დაინახა, განრისხდა და სახეზე წამოენთო. საჭურისს უთხრა:

— იაროს მუსლიმთა გზაზე. კარვებთან რომ გავალთ, თუ ვნახეთ, რომ გამოგვყვა და მოგვდევს, მაშინ კი გავაგდოთ.

აჯიბი თავჩაღუნული მიდიოდა. უკან საჭურისი მისდევდა. ჰასან ბადრ ად-დინმა ალ-ჰასბას მოედნამდე სდია. კარვებს რომ მიუახლოვდნენ, მოტრიალდნენ და უკან ჰასანი დაინახეს. აჯიბი გაჯავრდა. შეეშინდა, რომ საჭურისი პაპამისს უამბობდა. რისხვით აღავსო იმისმა შიშმა, რომ იტყოდნენ: — აჯიბი მზარეულის დუქანში შევიდა და მზარეული აედევნაო. მობრუნდა და თვალი თვალში გაუყარა მამამისს, რომელიც თითქოს უსულო გვამად ქცეულიყო. აჯიბმა მისი თვალი მუხანათის თვალად მიიჩნია. ანდა ეგების სიძვის შვილიც იყო. ბრაზი მოემატა. ქვას ხელი დაავლო და მამამისს მიაწია. ქვა შუბლზე მოხვდა, შუბლი გაუხეთქა და ჰასან ბადრ ად-დინი გონმიხდილი დაეცა. სახეზე სისხლი ჩამოსდინდა. აჯიბი მსახურთან ერთად კარვებისაკენ გაემართა. ჰასან ბადრ ად-დინმა კი, გონს როცა მოვიდა, სისხლი მოიწმინდა, ჩალმას ნაჭერი ჩამოახია და თავი შეიკრა. თავის თავს ლანძღავდა: — ცუდად მოვექეცი იმ ბიჭს, დუქანი რომ დავკეტე და ვდიე, ვიდრე ვიღაც ვიგინდარა არ ვეგონეო. დუქანში დაბრუნდა და საჭმლის გაყიდვას შეუდგა. მოენატრა ბასრაში დარჩენილი დედა. ატირდა და ეს ბეითები წარმოთქვა:

სამართალს ნუ სთხოვ ბედისწერას — გაანაწყენებ,
ნუ ელი მისგან, მეგობარო, მიუდგომლობას.
რაც იოლია, მას ეწიე, მოეშვი დარდებს,
ბედი უთუოდ აიმღვრევა, გინდ იყოს წმინდაც.

ჰასან ბადრ ად-დინმა განაგრძო საჭმლით ვაჭრობა. ვაზირი კი, ბიძამისი, დამასკში სამ დღეს გაჩერდა, მერე ჰიმსისაკენ გაემართა. შევიდა ჰიმსში და განაგრძო გზა. გზაში, სადაც არ უნდა გაჩერებულიყო, ყველგან იძიებდა ძმის ამბავს, ვიდრე მოგზაურობით მარდინს, მოსულსა დიარ ბაქრს არ მიაღწია. იარა, ვიდრე ბასრას არ მივიდა. შევიდა ქალაქში, სახლი დაიჭირა, ეახლა სულტანსა და შეხვდა. სულტანმა პატივი სცა, საპატიო სადგომი მიუჩინა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ვაზირმა უამბო თავისი ამბავი და უთხრა. ვაზირ ალი ნურ ად-დინის ძმა ვარო.

— ალაჰმა აცხონოს, — თქვა სულტანმა, — იგი ჩემი ვაზირი იყო, მეგობარო, ძლიერ მიყვარდა. აგერ ბარე თხუთმეტი წელი იქნება, რაც მოკვდა. ვაჟი დარჩა, მაგრამ დაგვეკარგა და იმისი არა ვიცით რაო. დედამისი კი ჩვენთან არის, რადგან იგი ჩემი დიდვაზირის ქალიაო.

როდესაც შამს ად-დინ ვაზირმა გაიგონა, რომ მისი ძმისწულის დედა კარგად იყო, გაიხარა და თქვა:

— ხელმწიფეო, მსურს შევხვდე იმას.

ხელმწიფემ მაშინვე ნება დართო, შეხვედროდა ძმის სახლში. შამს ად-დინი მეფის სასახლიდან ჩამოვიდა და ძმის სახლში შევიდა. თვალი მოავლო მის კუთხეებს. ემთხვია დირეს. გაახსენდა — თავისი ძმა ნურ ად-დინ ალი, როგორ მოკვდა იგი უცხოობაში მისი მონატრული და ტირილით წარმოთქვა:

ჩავუვლი სადგომს, ლეილას სადგომს,
და ყოველ კედელს სასოებით ვეამბორები.
გულს არ აღელვებს სიყვარული ამ სამყოფელის,
არამედ მისი, ვისაც ერთ დროს აქ უცხოვრია.

კარიდან ვრცელ ეზოში შევიდა. დაინახა სხვადასხვანაირი,

ფერად-ფერადი მარმარილოს კენჭებით მოპირკეთებული გრანიტის თაღიანი კარი. სახლისაკენ წავიდა. შეხედა და კუთხეებს თვალი შეავლო. კედლებზე ოქროს ასოებით ეწერა მისი ძმის, ნურ ად-დინის, სახელი. მოვიდა, სახელს ეამბორა და ატირდა. გული დასწვა ძმის განშორებამ. და ეს ბეითები წარმოთქვა:

მე ამბავს თქვენსას ამომავალ მზეს ვეკითხები
და ელვას ცაზე, როცა იგი იელვებს უცებ.
სევდის ხელებში ვათევ ღამეებს,
შემხვევენ, მხსნიან, მაგრამ ტკივილს არარად ვაგდებ.
ო, საყვარელნო, განშორება გაგვიხანგრძლივდა
და მე თქვენს შემდგომ დამეფლითა გული სრულიად.
რომ უწყალობოთ თქვენი ხილვა ოდესმე თვალებს,
ეს აჯობებდა ყოველივეს, რაც ჩვენში მოხდა.
ო, არ გეგონოთ, რომ ოდესმე სხვაზე ვიფიქრო
და სიყვარული გაეკაროს ამ ჩემს გულს სხვისი.

მერე კი იარა. სანამ ძმის ცოლის, ჰასან ბადრ ად-დინის დედის დარბაზს არ მიაღწია. ვაჟის დაკარგვის შემდეგ იგი დღესა და ღამეს მოთქმა-გოდებაში ატარებდა. დრო რომ გასულა, დარბაზის შუაგულში ვაჟისთვის მარმარილოს აკლდამა აუშენებია, დღენიადაგ დასტიროდა მას და მხოლოდ იმ აკლდამასთან ათევდა ღამეს. დედის სამყოფელს რომ მიუახლოვდა, ვაზირს მისი ხმა შემოესმა. კარის უკან გაჩერდა. გაიგონა, ამ ბეითებს ამბობდა:

ალაჰს გაფიცებ, სამარევ, მითხარ,
ნუთუ გამქრალა მისი მშვენება
და გამოცვლილა ნუთუ სრულიად
მისი ბრწყინვალე სახიერება.
ჰოი, სამარევ, ბაღნარი არ ხარ,

არცა ხარ, ვიცი, შენ თაღი ცისა,
როგორღა შეხვდნენ შენთან ერთმანეთს
ეს ბადრი მთვარე და ტოტი ხისა.

ასეთ ყოფაში რომ იყო, აი, უეცრად ვაზირი შამს ად-დინი შევიდა, მიესალმა და უთხრა: — შენი მეუღლის ძმა ვარო. უამბო, რაც მოხდა და ყოველივე აუხსნა. უთხრა, რომ იმისმა ვაჟმა, ბადრ ად-დინმა, მთელი ღამე გაათია ვაზირის ქალთან და გარიჟრაჟზე გადაიკარგა. უთხრა, ჩემი ქალი ფეხმძიმედ შეიქნა შენი ვაჟისაგან, ვაჟი შობა და ახლა ის ბიჭი ჩემთან არისო. ის შენი შვილიშვილია, ვაჟი შენი ძისა, ჩემი ქალისაგანო.

ქალმა რომ შვილის ამბავი მოისმინა, გაიგო, რომ ცოცხალია და მუხლიც დაინახა, მივიდა, ფეხებში ჩაუვარდა და ტერფები დაუკოცნა. ეს ბეითები წარმოთქვა:

ო, რა კარგია მათი მოსვლის მახარობელი,
მოუტანია უამესი მოსასმინარი
ის რომ გაცვეთილს მიიღებდეს, ძღვნად მივართმევდი
გულს, განშორების წუთით დამსხვრეულს.

ვაზირმა აჯიბთან კაცი გაგზავნა და დაიბარა. აჯიბი მოვიდა. ბებია ფეხზე ადგა და ტირილით გულში ჩაიკრა. შამს ად-დინმა უთხრა:

— არ არის ახლა ჟამი გოდებისა. ეგვიპტის ქვეყანაში სამოგზაუროდ მომზადების ჟამიაო, ეგების ალაჰმა შეგვყაროს შენს ვაჟს, ჩემს ძმისწულსო.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ქალმა. ადგა და იმწამსვე მკრიბა მთელი თავისი ბარგი, საგანძური, მხევლები და გასამგზავრებლად მოემზადა. ვაზირი შამს ად-დინი ბასრის სულტან-

თან ავიდა და გამოეთხოვა. სულტანმა საჩუქრები და ძღვენი გაატანა ეგვიპტის სულტანთან. შამს ად-დინი და რძალი მისი მყისვე გაემგზავრნენ. შეუჩერებლად მიდიოდნენ, ვიდრე დამასკს არ მიაღწიეს. კანუნში ჩამოხდნენ და კარვები გაშალეს. ვაზირმა მხლებლებს უთხრა:

— დამასკში ერთ კვირას გავჩერდებით, სულტანისათვის საჩუქრები

და ძღვენი უნდა ვიყიდოო.

აჯიბმა კიდევ საჭურისს უთხრა:

— გასეირნება მინდა, ავდგეთ და დამასკის ბაზარში ჩავიდეთ. ახალი ამბები გავიგოთ, ვნახოთ, რა დაემართა იმ მზარეულს. მისი მასპინძლობა რომ ვიგემეთ და მერე თავი გავუტეხეთ. იმან სიკეთე გვიყო, ჩვენ კი ვაწყენინეთ.

— გისმენ და გემორჩილები! — მიუგო საჭურისმა. აჯიბმა კარავი დატოვა საჭურისთან ერთად. აჯიბს სისხლი ეზიდებოდა მამისაკენ. დამასკის ქალაქში შევიდნენ. იარეს და მზარეულის დუქანს მიადგნენ. ნახეს, მზარეული დუქანში იდგა. მწუხრის ჟამი იყო. მოხდა ისე, რომ ჰასანს ისევ ბროწეულის მარცვლები მოემზადებინა. მიუახლოვდნენ და აჯიბს გული შეეკუმშა, როცა შეხედა ჰასანსა, და შუბლზე ნაიარევი შენიშნა.

— მშვიდობა შენდა, იცოდე, რომ სული ჩემი შენთანაა, — უთხრა აჯიბმა.

ჰასან ბადრ ად-დინმა შეხედა. სიყვარულმა იფეთქა და გული აუჩქროლდა. მიწამდე თავი ჩაჰკიდა, ენა ვეღარ მოაბრუნა. მერე თავის ვაჟს ახედა მდაბლად და მორჩილად და ეს ბეითები წარმოთქვა:

საყვარელს ვნატრობდი და როცა ვიხილე,
ვერ დავიმორჩილე ვერც ენა, ვერც მზერა.
რიდითა და კრძალვით მე თავი ჩავღუნე

და ვეღარ დავფარე მე ჩემი ყოფა.
ეტრატს ვამზადებდი მე საყვედურების
და ასოც ვერ ვპოვე, როდესაც მოგნახეთ.

მერე უთხრა:

— გულს ნუგეში მეცით, ჩემი საჭმელი მიირთვითო. ეჰეი, ყრმავ, ალაჰს ვფიცავ, როგორც კი შეგხედე, შემიყვარდი, გამოგედევნე მხოლოდ იმიტომ, რომ ჭკუა დავკარგე.

— ალაჰს ვფიცავ, შენ მართლა გიყვარვარ. ჩვენ ერთი ლუკმა გავტეხეთ, ესეც ვალად დაგვადე და ჩვენი შერცხვენა მოინდომე. შენ მასპინძლობას მხოლოდ ერთი პირობით ვიყაბულებთ. დაიფიცე, რომ უკან არ გამოგვყვები და არ გვდევ, თორემ ამის მეტად შენთან ფეხს აღარ დავდგამთ. ჩვენ კი ერთ კვირას ვაპირებთ ამ ქალაქში დარჩენას, სანამ პაპაჩემი მეფისათვის ძღვენს არ იყიდის.

— ეგრე იყოს, — მიუგო ბადრ ად-დინმა.

მაშინ აჯიბი მსახურითურთ დუქანში შევიდა და ჰასან ბადრ ად-დენმა მათ ბროწეულის მარცვლებით სავსე თასი მიართვა.

— შენ ჩვენთან ერთად შეექეციო, — უთხრა აჯიბმა, — ეგების ალაჰმა შვება მოგვანიჭოს.

ჰასან ბადრ ად-დინს გაუხარდა და იმათ შეუერთდა. თვალს არ აშორებდა აჯიბის სახეს, რომელსაც გული და მთელი მისი სხეული დაეტყვევებინა.

— ხომ ვამბობდი, აბეზარი აშიკი ხარ-მეთქი. გეყოფა, რას დამაშტერდი სახეზე. — თქვა აჯიბმა. ამის გაგონებაზე ჰასან ბადრ ად-დინმა ეს ბეითები წარმოთქვა:

შენია გულთა საიდუმლო გაუნდობელი,
მისი ამბავი ფარულია, არ გავრცელდება.
ო, სილამაზით ნათელ მთვარის შემარცხვენელო,

სახით ბრწყინვალე განთიადის გამწბილებელო.
შენ სინათლეში მე ქარაგმას და აღთქმას ვხედავ.
რომელიც მუდამ იზრდება და სულ მუდამ მრავლობს.
მე ვდნები სიცხით, რომ სამოთხე სახეა შენი,
ვკვდები წყურვილით, როს ქავსარი ნერწყვია შენი.

ჰასან ბაღ ად-დინი ხან აჯიბს აჭმევდა, ხან საჭურისს, ხელები დააბანინა, წელზე აბრეშუმის ხელსახოცი მოიხსნა და ხელები შეუმშრალა, ვარდის წყალი ასხურა თავისი კუმკუმიდან. დუქნიდან გავიდა. დაბრუნდა და თან მუშკიან ვარდისწყალთან შეზავებული ორი კულა შარბათი მოიტანა. მიართვა და უთხრა:

— სრულჰყავით თქვენი სიკეთე.

აჯიბმა აიღო, დალია და მსახურს მიაწოდა. სვამდნენ, ვიდრე სტომაქი არ აევსო და უჩვეულოდ არ დანაყრდნენ.

მერე კი გაეცალნენ და სწრაფად მიდიოდნენ. სანამ კარებთან არ აღმოჩნდნენ. აჯიბი ბებიასთან შევიდა მამამისის, ჰასან ბადრ ად-დინის დედასთან. ბებიამ აკოცა და შვილი გაახსენდა, ჰასან ბადრ ად-დინი. ამოიოხრა და ეს ბეითები წარმოთქვა ტირილით:

თქვენთან შეყრის რომ არ მქონდეს იმედი,
მე სიცოცხლეს აღარ მოვინდომებდი.
გულში მხოლოდ თქვენი სიყვარული მაქვს.
უწყის ყველა გულსნადები ალაჰმა.

— შვილო, სად იყავიო, — უთხრა აჯიბს.

— დამასკს გახლდით, — მიუგო ბიჭმა. ბებია ადგა და საჭმელი დაუდგა — ბროწეულის მარცვლები. ბროწეულს კი სიტკბო აკლდა. ხადუმს უთხრა:

— შენს ბატონს მიუჯექიო.

ხადუმმა გუნებაში გაივლო — ალაჰს ვფიცავ, ახლა ჩვენ საჭმელი არ გვინდაო. მაგრამ დაჯდა. აჯიბმა, რომელსაც სტომაქი ავსებოდა ჭამა-სმისაგან, ლუკმა აიღო და ბროწეულის მარცვლებში ჩააწო. გამაძღარი იყო და მოეჩვენა, რომ ბროწეულს სიტკბო აკლდა. გაგულისებულმა თქვა:

— ეს რა მურდალი საჭმელიაო.

— ჩემს ნახელავ შეჭამადს ლანძღავ, შვილო? — უთხრა ბებიამ. — მე თვითონ გავაკეთე, ჩემსავით ამას ვერავინ აკეთებს, მამაშენის, ჰასან ბადრ ად-დინის, გარდა.

— ალაჰს ვფიცავ, ჩემო ქალბატონო, ეს შეჭამადი უნაკლო არ არის. ქალაქში ჩვენ ერთი მზარეული ვნახეთ. მისი გაკეთებული ბროწეულის მარცვლის სურნელი ადამიანს შვებას მისცემს და ფაღარათიანსაც კი მადაზე მოიყვანს. შენი შეჭამადი იმასთან ახლოსაც კი ვერ მივა, — მიუგო ბიჭმა.

მისი ნათქვამი რომ გაიგონა, ბებია ძლიერ გაუჯავრდა, ხადუმს შეხედა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეოთხე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ თურმე აჯიბის ბებია ძალიან გაჯავრდა, ხადუმს შეხედა და უთხრა:

— ვაი შენ, ჩემს ბიჭს რყვნი და დუქან-დუქან დაათრევ?

საჭურისს შეეშინდა და იუარა:

— დუქანში არ შევსულვართ, მხოლოდ გვერდზე ჩავუარეთო.

— ალაჰს ვფიცავ, შევედით და ვჭამეთ კიდეც, — თქვა აჯიბმა. — და ის საჭმელი შენს შეჭამადზე უკეთესი იყო. — მაშინ ადგა ბებია, ყოველივე უამბო მაზლსა და ხადუმზე წააქეზა. ხადუმი ვაზირის წინაშე წარდგა. ვაზირმა უთხრა:

— რატომ შეგიყვანია ბიჭი დუქანში? ხადუმი შეშინდა: — არ შევსულვართო.

— არა, შევედით და ბროწეულის მარცვლებითაც კარგად გამოვძეხით, — თქვა ბიჭმა, — მზარეულმა ყინულითა და შაქრით შეზავებული შარბათიც დაგვალევინაო.

ვაზირს ბრაზი მოემატა. მსახურს ისევ ჰკითხა. მსახურმაც კვლავ იუარა.

— შენ თუ სიმართლეს ამბობ, — თქვა მაშინ ვაზირმა, — დაჯექი და ჩემ თვალწინ ჭამე.

მსახურს საჭმელი მიუტანეს. უნდოდა ეჭამა და ვერ შეძლო. ლუკმა ხელიდან გაუვარდა.

— გუშინდელს აქეთ გამაძღარი ვარ, ბატონო, — უთხრა ვაზირს.

ვაზირი მიხვდა, მსახურს მზარეულთან ეჭამა. მხევლებს უბრძანა, წამოაქციეთო. მხევლებმა საჭურისი წააქციეს და ვაზირმა ცემა დაუწყო. საჭურისი კი ღრიალებდა — გუშინდელი გამაძღარი ვარო. ვაზირი შეჩერდა:

— სიმართლე მითხარიო.

მაშინ კი იკადრა საჭურისმა:

— იცოდე, დუქანში რომ შევედი, მედუქნე ბროწეულის მარცვლებს ამზადებდა. ცოტა ჩვენც გვაჭამა და, ალაჰს ვფიცავ, ჩემს სიცოცხლეში იმისთანა არაფერი მიჭამია, ამაზე მურდალი კი არაფერი მინახავს, წინ რომ გვიდგას.

ჰასან ბადრ ად-დინის დედა განრისხდა და თქვა:

— წაბრძანდი იმ მზარეულთან და ერთი თეფში ბროწეული მოიტანე, იმას რომ ჰქონდა შენს ბატონს აჩვენე. თქვას, რომელი უფრო კარგი და გემრიელია.

— კი, ბატონო, და თქვა მსახურმა, ქალი იმწამსვე ადგა, მისა თეფში და ნახევარი დინარი. მსახურმა იარა და დუქანში მივიდა. მედუქნეს უთხრა:

— ჩემი ბატონის სახლში შენს საჭმელზე დავნაძლევდით. იქაც იყო ბროწეულის შეჭამადი, ოჯახში გაკეთებული. აბა, მოიტა ამ

ნახევარი დინარისა და კარგად შეკაზმე, თორემ შენი საჭმლის გულისთვის უკვე ვიგემე ცემა-ტყეპა.

ჰასან ბადრ ად-დინს გაეცინა:

— ალაჰს ვფიცავ, დედაჩემისა და ჩემ გარდა ამ საჭმლის შემზადება არავინ იცის. ის კი ახლა შორეულ ქვეყანაშიაო.

ჩაუდო საჭმელი ჯამში და მუშკიანი ვარდის წყალი მოასხა. მსახურმა გამოართვა, სწრაფად წაიღო და მიიტანა. ჰასანის დედამ აიღო და გემო გაუსინჯა. ნახა, გემრიელია და კარგი შეკაზმულია. მიხვდა, ვისი გაკეთებულიც იყო. დაიყვირა და გულწასული დაემხო. ვაზირი დააბნია ამ ამბავმა. ვარდის წყალი ასხურა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი გონს მოვიდა.

— თუ ჩემი შვილი კიდევ არის სადმე ამქვეყნად, ეს საჭმელი მისი გაკეთებულია, — თქვა მან, ჩემი შვილის, ჰასან ბადრ ად-დინის, უეჭველად და აუცილებლად. ეს მისი მომზადებულია, სხვამ არავინ იცის ამის შემზადება, ჩემს მეტმა. მე ვასწავლეო.

ვაზირმა გაიხარა ამის გაგონებაზე. წამოიძახა:

— ო, როგორ მინდა ჩემი ძმისწულის ნახვა. ნეტა თუ შეგვახვედრებს ბედი. სხვას არას ვთხოვ რა მაღალ ალაჰს, ოღონდ შემახვედროს.

ვაზირი იმსაათსა და იმწამსვე ადგა. მხლებლებს უხმო:

— თქვენგან ოცი კაცი წავიდეს, მზარეულის დუქანი დაანგრიეს, მზარეული თავისივე ჩალმით შებოჭოს და ძალით მომგვაროს. ისე კი, რომ ზიანი არ მიაყენოს.

— კარგიო, უთხრეს.

ვაზირი კი იმწამსვე ცხენს მოახტა და ბედნიერების სასუფეველში წაბრძანდა. შეხვდა დამასკის ნაიბსა და სულტნის ფირმანი წაუკითხა. ნაიბი ეამბორა ფირმანს და თავზე დაიდო.

— ვინ არის შენი მოვალე? — ჰკითხა მან.

— ერთი მზარეული, — მიუგო ვაზირმა.

ნაიბმა იმწამსვე უბრძანა ეჯიბებს მზარეულთან წასულიყვნენ.

წავიდნენ და დუქანი დაქცეული დახვდათ. შიგ ყველაფერი მილეწილი-მოლეწილი იყო. სანამ ვაზირი ბედნიერების სასუფეველში იმყოფებოდა. იმის ხალხს უკვე შეესრულებინა ბრძანება და მის დაბრუნებას ელოდებოდნენ. ჰასან ბადრ ად-დინი კი გულში ამბობდა:

— ნეტა ისეთი რა ნახეს ბროწეულის მარცვლებში, ეს ამბავი რომ დამატყდაო.

ვაზირი დაბრუნდა დამასკის ნაიბისაგან, რომელმაც მას მოვალის შეპყრობის და წაყვანის უფლება მისცა, კარავში შევიდა და მზარეული მოიკითხა. მოჰგვარეს მას ჰასანი თავისივე ჩალმით შებოჭილი. ჰასან ბადრ ად-დინმა ბიძას რომ შეხედა, ატირდა და თქვა:

— რა დაგიშავეთ. ჩემო ბატონო. — შენი გაკეთებულია ეს ბროწეულის მარცვლები?

— დიახ, — მიუგო მან, — და შიგ ისეთი რა ნახეთ, რომ თავი მომკვეთოთ?

— შენთვის ესეც ცოტააო, — უთხრა ვაზირმა. — არ მეტყვით, რა დავაშავე?

— დიახ, ახლავე, — მიუგო ვაზირმა. მერე კი მოუხმო ღულამებს და უთხრა: — აქლემები მომგვარეთო.

ჰასანი თან წაიყვანეს. ჩასვეს ერთ სკივრში, ჩაკეტეს და წავიდნენ. დაღამებამდე იარეს. სკივრი დადგეს და ჭამეს. ჰასანიც ამოიყვანეს, აჭამეს და ისევ სკივრში დაამწყვდიეს. ასე იქცეოდნენ, სანამ ერთ ადგილას არ მივიდნენ. ჰასანი სკივრიდან ამოიყვანეს და ჰკითხეს:

— ბროწეულის მარცვლები შენ მოამზადე?

— დიახ, ბატონო, — მიუგო მან.

— დაადეთ ბორკილები,— ბრძანა ვაზირმა. დაადეს ბორკილები და ისევ სკივრში ჩასვეს. იარეს, სანამ კაიროს არ მიაღწიეს და რეიდანიაში ჩამოხდნენ. ვაზირმა ბრძანა, ჰასან ბადრ ად-დინი

სკივრიდან ამოიყვანეთ და დურგალი მომგვარეთო. დურგალს უთხრა:

— ამას ხის თოჯინა გაუკეთეთო.

— რად გინდათო? — იკითხა ჰასანმა. — ზედ დაგაკრავ და მიგალურსმავ, — მიუგო ვაზირმა, — მთელ ქალაქს შემოგატარებ.

— რისთვის მიშვრებით ამ საქმეს?

— იმისათვის, რომ ბროწეული კარგად ვერ შეგიკაზმავს — პილპილი აკლდა.

— ნუთუ ყოველივე ეს იმიტომ დამაწიეთ, რომ ბროწეულს პილპილი აკლდა. განა არ გეყოთ, რომ დამიჭირეთ და დღეში მხოლოდ ერთხელ მაჭმევდით?

— პილპილის დაკლებისათვის შენთვის სხვა სასჯელი არ არის სიკვდილის გარდა, — მიუგო ვაზირმა.

გაოცდა ჰასან ბადრ ად-დინი. სული შეებრალა. თავის ბედს დაუფიქრდა.

— რაზე ჩაფიქრებულხარ?— ჰკითხა ვაზირმა.

— რაზე და იმ რეგვენებზე, ჭკუით შენ რომ გგვანან,— უთხრა ჰასანმა. — ტვინი რომ გქონოდა, პილპილის დაკლებისათვის ასეთ საქმეს არ დამაწევდი.

— ჭკუა უნდა გასწავლო, კვლავ აღარ ჩაიდინო ამის მსგავსი.

— ყველაზე უმცირესმაც კი, რაც შენ მიყავი, უკვე მასწავლა ჭკუა,— უთხრა ჰასან ბადრ ად-დინმა.

— ჯვარცმა არ აგცდებაო, — თქვა ვაზირმა. დურგლები ძელს აკეთებდნენ. ჰასან ბადრ ად-დინი უცქერდა. დაღამებამდე ასე იყვნენ. მაშინ კი აიყვანა ბიძამ და სკივრში ჩასვა. უთხრა: — ხვალ იქნება შენი ჯვარცმაო. ვაზირმა დაიცადა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ჰასანს ეძინა. მერე კი ადგა, ცხენზე შეჯდა, აიღო სკივრი, წინ წაიმძღვარა, შევიდა ქალაქში, იარა და შინ მივიდა. თავის ქალს, სით ალ-ჰუსნს, უთხრა:

— დიდება ალაჰს, შენი ბიძის ვაჟს რომ შეგვახვედრა. ოთახი

ისე დაალაგე, შენი ქორწილის ღამეს რომ იყო.

ქალმა მხევლებს უბრძანა. ისინიც ადგნენ და სანთლები აანთეს. ვაზირმა ის ქაღალდი ამოიღო, ოთახის მოწყობილობა რომ ჰქონდა ჩანიშნული. წაიკითხა და ბრძანა, ყველაფერი თავის ადგილას დაეწყოთ, რომ მნახველს ეჭვი არ შესვლოდა — ეს სწორედ ქორწილის ღამე იყო. ბრძანა, ჰასან ბადრ ად-დინის ჩალმა იქვე დაედოთ, სადაც თვითონ დადო თავისი ხელით. ასევე შარვალი და ქისა — ლეიბის ქვეშ რომ იყო. თავის ქალს უბრძანა, ისევე ჩაიცვი, როგორც იმ ღამეს, და საქორწინო სამყოფელში შედიო, უთხრა:

— შენთან როდესაც შემოვა, ასე უთხარი: ო, როგორ დაიგვიანე საპირფარეშოდან-თქო, ღამე შენთან გაათიოს და დილამდის ემუსაიფე.

ჩანიშნა ეს თარიღი ვაზირმა და ბადრ ად-დინი სკივრიდან ამოიყვანა, ფეხებზე ბორკილები მოხსნა და ტანსაცმელი გახადა. ჰასან ბადრ ად-დინი პერანგის ამარა დარჩა — უშარვლოდ. ეძინა და ვერაფერს გრძნობდა. როცა გაიღვიძა, ნახა, განათებულ დიჰლიზში არის. გუნებაში გაივლო: — სიზმარში ვარ თუ ცხადშიო. ადგა, ცოტა გაიარა მეორე კარისაკენ და ხედავს, იმ სახლში ყოფილა, სადაც პატარძლის გამოჩინება იყო. დაინახა საქორწინო სამყოფი, სარეცელი, თავისი ჩალმა და ნივთები. დაიბნა ამის დანახვაზე. და ერთ ნაბიჯს რომ წინ გადადგამდა, მერე ისევ უკან იხევდა. — ძილია თუ ღვიძილიო, — ფიქრობდა გუნებაში. შუბლს ისრესდა და გაკვირვებით ამბობდა:

— ეს იმ პატარძლის სახლია, ჩემთან რომ გამოაჩინეს. მაგრამ მე ხომ სკივრში ვიყავიო.

თავისთავს რომ ესაუბრებოდა, უეცრად სით ალ-ჰუსნმა კრეტსაბმელი ასწია და ეუბნება:

— არ შემოხვალ, ჩემო ბატონო? როგორ შეგაგვიანდა საპირფარეშოში.

როდესაც ჰასან ბადრ ად-დინმა მისი ნათქვამი გაიგონა და მისი სახე დაინახა, გაიცინა:

— უთუოდ ბურანში ვარო.

შევიდა, ამოიოხრა და ჩაუფიქრდა თავის თავგადასავალს. დაბნია თავისმა ამბავმა და დახლართული ეჩვენა თავისი საქმე. ჩალმა, შარვალი და ქისა რომ დაინახა, სადაც ათასი დინარი ჰქონდა, თქვა:

— ალაჰმა უკეთ უწყის. ეს ნამდვილად ზმანებააო. დაიბნა მეტისმეტი გაოცებისაგან. ამ დროს სით ალ-ჰუსნი ეუბნება:

— რა არის ჩემს თავს, გაკვირვებულსა და დაბნეულს რომ გხედავ? ღამის დამდეგს ასე არ იყავი.

ჰასანმა გაიცინა:

— რამდენი წელია შენთან არ ვყოფილვარო.

— ალაჰმა დაგიფაროს, ალაჰის სახელი გვფარვიდეს, ეს რა მოგსვლია თავში. შენ საპირფარეშოში იყავი და ახლა დაბრუნდიო.

ბადრ ად-დინს გაეცინა ამის გაგონებაზე.

— მართალი ხარ, მაგრამ შენ რომ დაგტოვე, ძილი მომერია საპირფარეშოში. მეზმანა, თითქოს მზარეული ვიყავ დამასკში, ათი წელი გავატარე იქ. თითქოს ერთი პატარა ბიჭი მოვიდა, დიდებულთა შვილი. თან ხადუმი ახლდა. და ესა და ეს გადამხდა იმის გამო.

ბადრ ად-დინმა შუბლზე ხელი მოისვა. ნაიარევი რომ ნახა, თქვა:

— ალაჰს ვფიცავ, ქალბატონო, ეს მართალი უნდა იყოს. იმიტომ რომ იმ ბიჭმა შუბლში ქვა მომაწია და გამიხეთქა, და, მგონი, ცხადში იყო ეს ამბავი. — მერე ამბობს: — იქნებ ეს სიზმარი მაშინ ვნახე, ჩახუტებულებს რომ გვეძინა. მეზმანა, თითქოს დამასკში წავედი უჩალმოდ და უშარვლოდ და მერე მზარეული გავხდი.

ერთხანს დაბნეული იდგა. მერე ისევ ალაპარაკდა:

— ალაჰს ვფიცავ, ვნახე, თითქოს ბროწეულის მარცვლები მოვამზადე და პილპილი აკლდა. მაგრამ, თურმე, საპირფარეშოში მძინებია და ყველაფერი სიზმარში მინახავს. სით ალ-ჰუსნმა უთხრა:

— ალაჰს გაფიცებ, მითხარი, კიდევ სხვა რა ნახე ამის მეტი. ჰასან ბადრ ად-დინი მოყვა ყველაფერს, რაც ნახა.

— რომ არ გამღვიძებოდა, ღმერთმანი, ჯვარს მაცმევდნენ. — რისთვის? — ჰკითხა სით ალ-ჰუსნმა.

— იმისთვის, რომ ბროწეულს პილპილი აკლდა. კიდევ მეზმანა, თითქოს ჩემი დუქანი დააქციეს, ჭურჭელი დაამსხვრიეს, მე სკივრში ჩამსვეს, დურგლები მოიყვანეს. ჩემთვის ხის ძელი უნდა გაეკეთებინათ და ჯვარს ვეცვით, და, დიდება ალაჰს, ყოველივე ეს სიზმარში რომ მომევლინა და არა ცხადში.

სით ალ-ჰუსნმა გაიცინა და გულში ჩაიკრა ვაჟი. ჰასანიც ჩაეხუტა. მერე გაახსენდა:

— ალაჰს ვფიცავ, ეს თითქოს ცხადში იყო. არ ვიცი, რა ამბავია, ჭეშმარიტება არ ვუწყი.

დაბნეულმა დაიძინა. ხან გაიძახოდა, სიზმარში ვნახეო და ხან კი ცხადშიო. და ასე იყო დილამდის. დილას კი იმასთან მისი ბიძა, ვაზირი შამს ად-დინი. შევიდა და სალამი მოახსენა. ჰასან ბადრ ად-დინმა შეხედა და უთხრა:

— ალაჰს გაფიცებ, თქვი, შენ არა ხარ ის კაცი, ვინც ჩემი გათოკვა, მილურსმვა და დუქნის დაქცევა ბრძანა, ბროწეულს პილპილი როგორ აკლიაო?

— შვილო. — მიუგო ვაზირმა, — იცოდე, რომ ჭეშმარიტება გამომჟღავნდა და ნათელი გახდა ფარული. შენ ჩემი ძმისწული ყოფილხარ. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დავრწმუნებულიყავი — იმ ღამეს სწორედ შენ შეხვედი ჩემს ქალიშვილთან. ეს მაშინ ვირწმუნე, როცა სახლი, შენი ჩალმა, შარვალი, ოქრო, შენი და მამაშენის დაწერილი ის ორი ქაღალდი იცანი. მე მანამდე არ მენახე

და არ გიცნობდი. დედაშენს რაც შეეხება. ის კი ბასრიდან ჩამოვიყვანე.

და ვაზირი ტირილით მივარდა ბადრ ად-დინს. ძლიერ გაოცდა ბადრ ად-დინი, მისი სიტყვები რომ გაიგონა, ბიძას გადაეხვია და უსაზღვრო სიხარულისაგან ისიც ატირდა.

— შვილო, ყოველივე ამის მიზეზია ის, რაც მე და მამაშენს შორის მოხდა.

და ვაზირმა უამბო ყოველივე. უამბო ბასრაში გამგზავრების მიზეზიც. მერე კი ვაზირმა აჯიბი მოიყვანა. მამამისმა შეხედა და თქვა:

— ეს ის ბიჭია, ქვა რომ მესროლაო. — ეს შენი ვაჟიაო, — უთხრა ვაზირმა. ჰასანი მიეჭრა და ეს ბეითები წარმოთქვა:

დიდხანს ვტიროდი განშორებაზე,
მიწყივ ვაფრქვევდი თვალთაგან ცრემლებს.
და დავიფიცე, თუ საწუთრო შეგვყრის ერთმანეთს,
განშორებაზე არაოდეს სიტყვაც არ დავძრა.
მოულოდნელად თავს დამატყდა მე სიხარული
და ამატირა ესდენ დიდმა ბედნიერებამ.

ლექსი რომ დაამთავრა, ბადრ ად-დინს დედა მივარდა და ეს ბეითები წარმოთქვა:

ბედმა აღმითქვა და დაიფიცა,
რომ არ შეწყვიტოს ჩემი წამება
ჰოი, სვე-ბედო, დაგვიწყებია
შენი ფიცი და გიღალატნია.
ბედნიერება კარზე მომადგა
და საყვარელი მწედ მომევლინა,
მაშ, სიხარულის აღუდექ მაცნეს,

სახელოები დაიკაპიწე.

დედამ უამბო ყოველივე, რაც გადახდა და გადაიტანა მისი წასვლის შემდეგ. ალაჰს მადლობა შესწირა, ერთმანეთს რომ შეახვედრა. ვაზირი სულტანთან ავიდა და უამბო თავისი თავგადასავალი. სულტანი გაოცდა. ბრძანა, ეს ამბავი მატიანეებში ჩაეწერათ, რომ შენახულიყო იგი ჟამთა სვლაში.

ვაზირი ტკბილად ცხოვრობდა თავის ძმისწულსა და ქალთან, მის ვაჟსა და ძმის ცოლთან, ვიდრე არ ეწიათ სიამოვნებათა მსახვრელი და თავყრილობათა დამშლელი.

ასეთია, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, შამს ად-დინისა და მისი ძმის ნურ ად-დინის თავგადასავალი.

— ვფიცავ ალაჰს, საოცარი ამბავია, — თქვა ჰარუნ არ-რაშიდმა. — იმ ჭაბუკს ერთ-ერთი თავისი ხარჭი უბოძა და სარჩო-საცხოვრებელი დაუნიშნა. იგი მისი თანამეინახე გახდა.

შაჰრაზადმა თქვა:

— ამაზე უფრო საოცარია თერძის, კუზიანის, ებრაელის, მოურავისა და ქრისტიანის ამბავი.

— როგორია მათი ამბავიო? — იკითხა ხელმწიფემ.

# ამბავი თერძისა, კუზიანისა, ებრაელისა, მოურავისა და ერისტიანისა

და თქვა შაჰრაზადმა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ დიდი ხნის წინათ. გარდასულ დროსა და ჟამს ჩინეთის ქალაქში ერთი შეძლებული თერძი ყოფილა. იმ თერძს გართობა და დროსტარება ჰყვარებია. ზოგჯერ იგი ცოლთან ერთად გაისეირნებდა ხოლმე საოცარი ამბების სასეიროდ. ერთხელ ადრიანად გამოსულან სახლიდან და დღე მიწურული იქნებოდა, შინ რომ ბრუნდებოდნენ. გზად ერთი კუზიანი შემოეყარათ. მისი ხილვა განრისხებულსაც კი გააცინებდა და ფიქრსა და წუხილს გაუქარვებდა. თერძი თავისი ცოლით იმის საცქერლად მივიდა. მერე შინ მიიპატიჟეს, რომ იმ ღამეს ერთად ენადიმნათ. კუზიანი დათანხმდა და შინისაკენ ერთად გაემარ-

თნენ. უკვე დაღამებული იყო, როცა თერძი ბაზარში წავიდა. იყიდა შემწვარი თევზი, პური, ლიმონი და ტკბილეული პირის ჩასატკბარუნებლად. დაბრუნდა და კუზიანს თევზი მიართვა. თერძის ცოლმა თევზის ერთი მოზრდილი ნაჭერი აიღო, კუზიანს პირში ჩაუტენა, პირზე ხელი დააჭირა და უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, ერთბაშად უნდა გადაყლაპო, ერთი სულის მოთქმით, დაღეჭვას არ გაცლიო.

კუზიანმა გადაყლაპა. თევზის ნაჭერში დიდი ფხა ყოფილიყო, კუზიანს ყელში გაეჩხირა და მოკვდა, რადგან მისი აღსასრულის ჟამი უკვე დამდგარიყო... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეხუთე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, თერძის ცოლმა კუზიანს პირში თევზის ნაჭერი ჩასჩარა და იგი იმწამსვე მოკვდა, რადგან მისი სიცოცხლის ვადა უკვე აღსრულებულიყო.

— არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა. მაღლისა და დიდებულისა. — თქვა თერძმა.

ეს საწყალი თურმე ასე უნდა მომკვდარიყო ჩვენი ხელით. — რაღას უზიხარ? — თქვა ცოლმა. — განა არ გსმენია სიტყვა მგოსნის:

რად მოვიტყუო შეუძლებელ საქმეზე თავი,
რასაც დარდი და მწუხარება მოჰყვება კვალად.
დაუნელებელ ცეცხლზე ჯდომა როგორ იქნება.
ამ ამბავს მხოლოდ დაღუპვა და ზარალი ახლავს.

— მაშ რა ვქნათო? — თქვა ქმარმა.

ცოლმა მიუგო:

— ადექი, კუზიანი ხელში აიყვანე და აბრეშუმის ხელსახოცი გადააფარე. მე წინ წავალ ამაღამვე და შენ უკან მომყე. თქვი, ეს

ჩემი შვილია, ეს კი ცოლია. გვინდა ბავშვი ექიმს მივუყვანოთ, რომ უწამლოს-თქო.

ამის გაგონებაზე თერძი ადგა და კუზიანი ხელში აიტაცა.

— ჩემო შვილო, — ამბობდა თერძის ცოლი, — ალაჰი გფარვიდეს, რა გტკივა, სად შეგეყარა ეს შავი ყვავილი?!

იმათ დანახვაზე ყველა ამბობდა:

— ბავშვი მიჰყავთ ყვავილით სნეულიო.

შეუჩერებლად მიდიოდნენ. თან ექიმს კითხულობდნენ. სანამ ერთი ებრაელი ექიმის სახლი არ მიასწავლეს. კარზე დააკაკუნეს. ზანგი მხევალი ჩამოვიდა, კარი გააღო და ხედავს: ვიღაც კაცი მოსულა, ხელში ბავშვი უჭირავს და თან ცოლი ახლავს. — მხევალმა იკითხა:

— რა ამბავიაო?

— ბავშვი მოვიყვანეთ, გვინდა ექიმმა ნახოს. აიღე ეს მეოთხედი დინარი და შენს ბატონს მიეცი. ჩამოვიდეს და ჩემი შვილი გასინჯოს. ავად არისო.

მხევალი მაღლა ავიდა. თერძის ცოლი კარის დირეზე გადავიდა და ქმარს უთხრა:

— ეს კუზიანი აქ დავტოვოთ, ჩვენ კი თავს ვუშველოთო.

თერძმა კუზიანი ფეხზე დააყენა, კედელს მიაყუდა და გამოვიდა ცოლთან ერთად. მხევალი კი ებრაელთან შევიდა და ეუბნება:

— ქვევით ავადმყოფია, ქალი და კაცი ახლავს. დინარის მეოთხედი მომცეს, რომ გამოუწერო, რაც სჭირდება.

ებრაელმა დინარის მეოთხედი რომ დაინახა, გაუხარდა, სწრაფად ადგა და სიბნელეში ძირს ჩავიდა. ის იყო ჩავიდა და ფეხი წამოჰკრა მკვდარ კუზიანს.

— ჰოი, უზაირ, ჰოი, უფალო და ათო მცნებავ, ჰოი, ჰარუნ და

იეშუ იბნ ნუნ, — წამოიძახა მან, — მგონი, ავადმყოფს დავეჯახე. დაეცა და მოკვდა. როგორღა გავიტანო სახლიდან მკვდარი?

აიღო კუზიანი, ეზოდან ცოლს აუტანა და ეს ამბავი უთხრა.

ცოლმა თქვა:

— რაღას უზიხარ? შენ თუ გათენებამდის აქ იჯექი, თავს დავიღუპავთ. მოდი ბანზე ავიტანოთ და ჩვენი მეზობელი მუსლიმის სახლში გადავაგდოთ. ის ხომ სულტნის სამზარეულოს მოურავია. იმის სახლში ხშირად კატები მიდიან და საჭმელსა და თაგვებს ჭამენ. ერთ ღამეს რომ იქ დარჩეს, ბანებიდან ძაღლები ჩამოვლენ და სულ მთლად შეჭამენ.

ებრაელმა ცოლთან ერთად კუზიანი ბანზე აიტანა. ხელ-ფეხით ძირს ჩაუშვეს და კედელს მჭიდროდ მიაკრეს. ჩამოვიდნენ და წავიდნენ. ის იყო დადეს კუზიანი და მოურავიც მოვიდა. სახლში ავიდა. თან ანთებული სანთელი ჰქონდა. ხედავს, კუთხეში, სამზარეულოს გვერდით, ადამიანი დგას.

— ალაჰს ვფიცავ, ჩემს მარაგს თურმე ადამიანი იპარავს, იმას მიაქვს ქონი და ხორცი, რასაც მოიხელთებს. კატებს და ძაღლებს კიდევაც რომ დავუმალო და მთელი უბნის კატა და ძაღლი გავწყვიტო, არას მარგებს. ის თურმე ბანებზე ჩამოდის.

ხელი დაავლო დიდ ჩაქუჩს, მივიდა და მკერდში ჩასცხო. კუზიანი დაეცა. ხედავს, იგი მკვდარია. შეწუხდა მოურავი.

— არ არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, ძლიერისა და დიდებულისა, — თქვა მან. შეეშინდა, რამე არ ამიტყდესო.

— ალაჰმა დასწყევლოს ქონიც, ხორციცა და ეს ღამეც. ჩემი ხედეთ როგორ უნდა მომკვდარიყო ეს კაციო.

დახედა მკვდარსა და ხედავს, კუზიანი ყოფილა. თქვა:

— არ გეყოფოდა, რომ კუზიანი ყოფილხარ და კიდევ ქურდობაც დაგიწყია და ქონსა და ხორცს იპარავ? ჰოი, მფარველო, დამიფარე მე შენი კეთილი საფარველით!

კუზიანი მხრებზე შეიდო, თავისი სახლიდან ჩამოიტანა. შეუჩერებლად იარა, ვიდრე ღამის დასასრულს ბაზრის თავს არ მიაღწია. ჩიხის დასაწყისში დუქნის გვერდით მიაყუდა. დატოვა და წავიდა. უეცრად გამოჩნდა ერთი ქრისტიანი, სულტნის დალალი.

მთვრალი იყო და აბანოში მიდიოდა. სიმთვრალისაგან ეგონა, მესია მოახლოებულაო. მიბარბაცებდა ქრისტიანი. მერე კუზიანთან გაჩერდა და წყლის დაღვრა დაიწყო. თვალი მოჰკრა, ვიღაც დგას. ქრისტიანისათვის იმ ღამის დასაწყისში ჩალმა მოუტაცნიათ და, კუზიანი რომ დაინახა, დარწმუნდა, ჩემი ჩალმის მოტაცებას აპირებსო. მუშტი შეკუმშა და კუზიანს კისერში ჩასცხო. კუზიანი დაეცა. ქრისტიანმა ბაზრის დარაჯს დაუძახა. თვითონ კი მეტისმეტი სიმთვრალისგან კუზიანს ეცა და დაუწყო ცემა და დახრჩობა. დარაჯი მოვიდა. ხედავს, ქრისტიანი მუსლიმს მუხლებით შედგომია და ურტყამს. დარაჯმა უთხრა:

— ადექი, თავი დაანებე. ქრისტიანი ადგა. დარაჯი მივიდა. ხედავს, კაცი მკვდარია.

— ქრისტიანმა როგორ უნდა მოკლას მუსლიმიო?!

ქრისტიანს ხელი ჩაავლო, გაკოჭა და ვალისთან წაათრია. ქრისტიანი გულში ამბობდა:

— ო, წმიდა ქალწულო, როგორ მოვკალი? მაინც რა ჩქარა მოკვდა — ერთი მუშტის დარტყმით.

ზარხოში გაქრა და ფიქრი მოეძალა. კუზიანმა და ქრისტიანმა ღამე ვალისთან გაათიეს. ვალიმ ჯალათს უბრძანა, ხალხისათვის ქრისტიანის დასჯა ემცნო. სახრჩობელა აღმართეს და ქრისტიანი სახრჩობელას ქვეშ დააყენეს. მივიდა ჯალათი, ქრისტიანს კისერზე თოკი ჩამოაცვა და, ის იყო, უნდა ჩამოეხრჩო, რომ უეცრად მოურავმა ხალხი გამოარღვია და ხედავს, სახრჩობელას ქვეშ ქრისტიანი დგას. ხალხი შემოიცილა და ჯალათს უთხრა:

— ნუ იზამ ამას. კუზიანი მე მოვკალი.

— რად მოკალი? — ჰკითხა ვალიმ.

— ღამით შინ მივედი, — თქვა მოურავმა, — ვხედავ, ჩამოსულა ბანიდან და ჩემს ხორაგს იპარავს. გულში ჩაქუჩი ჩავცხე და მოკვდა. მერე წავიღე, ბაზარში მივიტანე და ამა და ამ ადგილას დავაყენე, ამა და ამ ჩიხში. და განა არ მეყოფა, — ამბობდა მოურავი,

— რომ მუსლიმი მოვკალი და ახლა ჩემი მიზეზით ქრისტიანიც მოკვდეს? არავინ არ ჩამოახრჩოთ ჩემ გარდა.

ვალიმ, მოურავის ნათქვამი რომ გაიგონა, დალალი ქრისტიანი გაათავისუფლა და ჯალათს უთხრა:

— ეს ჩამოახრჩვე, თანახმად მისი აღიარებისაო.

ჯალათმა ქრისტიანს კისერზე თოკი ააცალა, მოურავს ჩამოაცვა და სახრჩობელას ქვეშ გააჩერა. ის იყო უნდა ჩამოეხრჩო, რომ უეცრად ებრაელმა ექიმმა ხალხი გამოარღვია და ჯალათს დაუყვირა:

— ნუ იზამ ამას, კუზიანი ჩემ გარდა არავის მოუკლავს! და, აი, რატომ: ის ჩემთან მოვიდა სააქიმოდ. ჩავედი იმასთან, ფეხი წამოვკარი და მოკვდა, და მოურავი კი არა, სიკვდილით მე უნდა დამსაჯოთ. — მაშინ ვალიმ ბრძანა, ებრაელი ექიმი დაესაჯათ სიკვდილით. ჯალათმა აიღო თოკი და ებრაელ ექიმს ჩამოაცვა. ამ დროს უეცრად თერძი მოვიდა. ხალხი გააპო და ჯალათს ეუბნება:

— ამ საქმეს ნუ იქმ. ჩემ გარდა არავის მოუკლავს კუზიანი. და აი, რატომ: დღისით ვსეირნობდი. საღამო ჟამს გზად ამ კუზიანს შევხვდი. მთვრალი იყო. ხელში დაირა ეჭირა და მხიარულად ამღერებდა ზედ. გავჩერდი და ვუცქერდი. შინ მივიპატიჟე. თევზი ვიყიდე და საჭმელად დავსხედით. ჩემმა ცოლმა თევზის ნაჭერი და პურის ლუკმა აიღო და პირში ჩაუტენა კუზიანს. თევზი ყელში გაეჩხირა და იმწამსვე მოკვდა. მე და ჩემმა ცოლმა ავიყვანეთ და ებრაელის სახლში წავიღეთ. ჩამოვიდა მხევალი და კარი გაგვიღო.

— შენს ბატონს მოახსენე, კარზე ქალი და კაცია, თან ავადმყოფი ჰყავთ, მოდი, გასინჯე და წამალი გამოუწერე-მეთქი, ვუთხარი ქალს.

დინარის მეოთხედი მივეცი. ის თავის ბატონის დასაძახებლად ავიდა, მე კუზიანი კიბესთან მივაყუდე და წამოვედი ჩემი ცოლით. მერე კი ებრაელი ჩამოსულა, დაჯახებია კუზიანსა და უფიქრია,

რომ მე თვითონ მოვკალიო.

— მართალია თუ არა? — ჰკითხა თერძმა ებრაელს. — დიახ, — მიუგო მან. და თერძი ვალის მიუბრუნდა: — ებრაელი გაათავისუფლე და მე ჩამომახრჩვე. ვალიმ რომ მისი ნათქვამი გაიგონა, გაოცდა კუზიანის ამბავზე: — ეს საქმე წიგნებში უნდა ჩაიწეროსო. და ჯალათს უთხრა:

— ებრაელი გაათავისუფლე და თერძი ჩამოახრჩვე, მისივე აღიარების თანახმად. ჯალათმა თქვა:

— სულ ასე ხომ არ იქნება — ერთი მიგვყავს სახრჩობელასთან, მეორეს უკან ვწევთ და არც ერთს არ ვახრჩობთო.

და თოკი ახლა თერძს ჩამოაცვა კისერზე. ასეთი იყო მათი ამბავი. რაც შეეხება კუზიანს, ის კი, როგორც თქვეს, სულტნის მასხარა ყოფილა. სულტანი თურმე უიმისოდ ვერ ძლებდა. კუზიანი როცა დამთვრალა და გადაკარგულა იმ ღამესა და მეორე დღეს შუადღემდე სულტანს ვიღაცისათვის უკითხავს მისი ამბავი. სულტანს მოახსენეს:

— ჩვენო უფალი, კუზიანი მკვდარი მიუტანიათ ვალისთან. ვალის მკვლელის ჩამოხრჩობა უბრძანებია. ჩამოსახრჩობად რომ ჩასულა, ამ დროს გამოცხადებულა მეორე და მესამე მკვლელი. ყოველი მათგანი გაიძახის ჩემ გარდა კუზიანი სხვას არავის მოუკლავსო და თითოეულმა მათგანმა მოახსენა ვალის კუზიანის მოკვლის მიზეზი.

ეს რა ისმინა ხელმწიფემ. ეჯიბი იხმო და უბრძანა:

— ვალისთან ჩადი და ყველა აქ მომგვარეო.

ეჯიბი ჩავიდა და ხედავს, სადაცაა ჯალათმა თერძი უნდა ჩამოახრჩოს. ჯალათს დაუძახა:

— ამას ნუ შვრებიო!

ეჯიბმა ვალის ამცნო — ამ ამბავს სულტნის ყურამდე მიუღწევიაო. ვალი იახლა, თან წაიღო კუზიანი და ყველა სულტანთან წა-

იყვანა: თერძი, ებრაელი, ქრისტიანი და მოურავი. ვალი სულ-ტანთან წარდგა და ეამბორა მიწას მის წინაშე, უამბო ყოველივე, რაც იმათ გადახდა და გამეორება რა საჭიროა. ხელმწიფეს ეს ამ-ბავი რომ ესმა, გაოცდა. სიხარულმა შეიპყრო და ბრძანა, ოქროს მელნით ჩაეწერათ ყოველივე. იქ დამსწრეთ უთხრა:

— თუ გსმენიათ რაიმე, მსგავსი ამ კუზიანის ამბისაო? — ამ დროს წინ წარდგა ქრისტიანი და ხელმწიფეს მოახსენა:

— დროის მეუფევ. ნებას თუ მიბოძებ, ერთ ამბავს მოგახსენებ, რომელიც მე გადამხდომია. და იგი უფრო საოცარი, საკვირველი და ამაღელვებელია, ვიდრე ამბავი ამ კუზიანისა.

— მოჰყევიო.— ბრძანა ხელმწიფემ. ქრისტიანმა თქვა:

## დალალი ქრისტიანის ნაამბობი

— დროის მეუფევ. იცოდე, ამ მხარეში როცა მოვედი, საქონე-ლი მოვიტანე. განგებამ თქვენთან მომიყვანა, თუმცა ჩემი სამ-შობლო კაიროა. მე იქაური კოპტებიდან გახლავარ და იქ გავი-ზარდე. მამაჩემი დალალი იყო. მამაკაცობის ასაკს რომ მივაღ-წიე, მამა გარდამეცვალა. მე დალალობა დავიწყე მამის მაგიერ. ერთ დღეს ვზივარ და ვხედავ ვირზე მჯდარ ჭაბუკს, რომელზე ლა-მაზსაც თვალი ვერაფერს ნახავს. ტანზე ძვირფასი სამოსი მო-სავს. დამინახა და მომესალმა. მე პატივისცემით წამოვდექი. ჭა-ბუკმა ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო. შიგ ცოტაოდენი სეზამი იყო სანიმუშოდ.

— რა ღირს ერთი არდაბი ამისო, — მკითხა მან, — ასი დირჰამი, — მივუგე მე.

— აიყვანე მზომავები და მწონავები და ხანე ალ-ჯავალისაკენ გაემართე, ბაბ ან-ხასრთან და იქ მიპოვიო.

დამტოვა და წავიდა. მომცა ხელსახოცში გამოკრული სეზამი.

შემოვიარე მუშტრები და ერთი არდაბის ფასმა ას ოც დირჰამს მიაღწია. ორმოცი მზომავი წავიყვანე და წავედი. ვნახე, ჭაბუკი მელოდებოდა. ჩემს დანახვაზე ადგა და საწყობი გააღო. ავწონეთ სეზამი და ვნახეთ — ორმოცდაათი არდაბი ყოფილა. ჭაბუკმა მითხრა:

— დალალობისა ათი დირჰამი გეკუთვნის ყოველ არდაბზეო. აიღე სეზამის ფასი და შენთან შეინახე. მისი ფასი მთლიანად ხუთი ათასი დირჰამი იქნება. აქედან შენ ხუთასი დირჰამი გერგება, მე კი ოთხი ათას ხუთასი დამრჩება. ჩემი საქონლის გაყიდვას რომ მოვრჩები, საწყობში რაცა მაქვს, მაშინ მოვალ და წავიღებო.

— როგორც გენებოს-მეთქი.

ხელზე ვეამბორე და წამოვედი. იმ დღეს ათასი დინარი მერგო. ჭაბუკი ერთ თვეს აღარ გამოჩენილა. მერე მოვიდა და მეუბნება:

— სად არის ფულიო. — აქა მაქვს-მეთქი. — შეინახე, სანამ მოვიდოდე და წავიღებდეო, — მითხრა მან.

ვიჯექი და ველოდი. ერთ თვეს არ გამოჩენილა. მერე მოვიდა. ავდექი და გამარჯობა ვუთხარი.

— ჩვენთან პურის გატეხვას ხომ არ ისურვებდი?

უარი მითხრა.

— ფული შემინახე, სანამ მოვიდოდე და წავიღებდეო, — და გაბრუნდა.

ფული მოვამზადე, ვიჯექი და ველოდი, ერთ თვეს აღარ გამოჩენილა. გულში ვამბობდი — ეს ჭაბუკი სრულქმნილი კეთილშობილებაა-მეთქი. ერთი თვის მერე მოვიდა. ტანთ ძვირფასი სამოსი ეცვა და ჰგავდა მთვარეს სისავსის ღამეს. თითქოს აბანოდან გამოსულიყო, სახე მთვარეს უგავდა, ძოწეულის ღაწვები და ბრწყინვალე შუბლი ჰქონდა. ხალი ამშვენებდა, ამბრის კვერის მსგავსი. ამისთანაზე უთქვამს მგოსანს:

ზოდიაქოში მთვარე და მზე ერთად შეყრილან,
უსაზღვროდ მშვენნი, ბედნიერნი აღმოვლენილან.
მათი მშვენება მისთა მჭვრეტთა სიყვარულს ჰმატებს.
ო, რა კარგია, სიხარულის როს უხმობთ მაცნე.
სიტურფითა და სინატიფით სრულნი არიან,
სული იმათკენ მიისწრაფვის, მიილტვის გული
ღმერთიმც აკურთხებს მის ქმნილებებს,
საოცარია, უფალი ზენა მას მიაგებს, რასაც ინებებს.

— შევხედე, ხელებზე ვეამბორე, დავლოცე და ვუთხარი:

— ჩემო ბატონო, შენს ფულს ხომ არ წაიღებ?

— დამაცადე, დავამთავრებ ჩემს საქმეს და მაშინ გამოგარ-თმევო, — მომიგო და გაბრუნდა. გულში ვთქვი:

— ალაჰს ვფიცავ, კარგად გავუმასპინძლდები, როდესაც მოვა. რადგან მე მისი ფულით ვისარგებლე და ბევრიც მოვიგე.

იმ წლის მიწურულში მოვიდა. პირვანდელზე ძვირფასი ტან-საცმელი ემოსა. დავაფიცე, ჩამომხდარიყო და სტუმრად მწვე-ოდა. მაშინ მითხრა:

— მხოლოდ ერთი პირობით, რასაც დახარჯავ, ჩემი ფულიდან იყოსო.

— კარგი-მეთქი, — და დავსვი. ჩავედი, საჭმელ-სასმელი და სხვა რამ მოვამზადე, რაც კი საჭირო იყო. მივართვი და ვუთხარი „სახელითა ალაჰისათა“.

მაგიდასთან მოვიდა. აიღო და მარცხენა ხელით ჭამა ჩემთან ერთად. გამიკვირდა. ჭამა როცა დავასრულეთ, ხელი დაიბანა. ხელის შესაწმენდი მივეცი და სამასლაათოდ დავსხედით. მე ვთქვი:

— ჩემო ბატონო, მოდი ერთი, ფიქრი მომაშორე და მითხარი, მარცხენა ხელით რატომ ჭამე. მარჯვენა ხომ არ გტკივა? ჩემი

ნათქვამი რომ ესმა, ჭაბუკმა ეს ბეითები წარმოთქვა:

ო, მეგობარო, იმ სახმილზე ნუ მეკითხები,
გულს რომ მიდაგავს, გამჟღავნდება ჩემი ტკივილი.
მე სალმა განა ჩემი ნებით გავცვალე სხვაზე
— აუცილებელს საკუთარი აქვს კანონები

ხელი გამოიღო სახელოდან და ვხედავ, მოჭრილი ყოფილა. ხელის მტევანი არ ჰქონია. გამიკვირდა.

— ნუ გიკვირს, — მეუბნება ჭაბუკი, — და გულში არ გაივლო,

შენთან მარცხენა ხელით იმიტომ ვჭამე, რომ ყოყოჩობით მომივიდა. ჩემი მარჯვენა ხელის მოკვეთას საოცარი მიზეზი აქვს.

— რა არის-მეთქი ეს მიზეზი.

— იცოდე, რომ ბაღდადიდან ვარ, — მომიგო ჭაბუკმა, — მამაჩემი ბაღდადის ერთ-ერთი დიდებული იყო. მამაკაცთა ასაკს რომ მივაღწიე, მოგზაურთა. ყარიბთა და ვაჭართა მონაყოლი მესმა ეგვიპტის მხარეზე; ეს მონაყოლი მე გულში ჩამრჩა. მამა რომ გარდამეცვალა. ავიღე დიდძალი ფული. მოვამზადე სავაჭრო საქონელი ბაღდადისა და მოსულის ქსოვილებისა და სხვა ამგვარი ძვირფასეულობისაგან. ალაჰს ჩემთვის მშვიდობა დაუწერია, სანამდის ამ თქვენს ქალაქს არ მოვედი. ამ დროს ჭაბუკი ატირდა და ეს ბეითები წარმოთქვა:

გადაურჩება უსინათლო ხანდახან ორმოს,
თვალხილული და გამჭრიახი რომ ჩავარდნილა.
გადაურჩება უგუნური ხანდახან სიტყვას,
კაცი სწავლული, გონიერი რომ დაუღუპავს,
მორწმუნე მხოლოდ გაჭირვებით შოულობს სარჩოს,
ხოლო ურწმუნო და გახარწნილი თავს კარგად ირჩენს,
რაღა ჩარა აქვს ადამიანს, რაღა გააწყოს?

მაშინ, როდესაც ბედისწერამ ასე განაგო.

ლექსი დაამთავრა და განაგრძო:

— კაიროში შევედი და ქსოვილები მასრურის ხანებში დავაწყვე. გავხსენი ჩემი ტვირთი და იქ შევიტანე. მსახურს ფული მივეცი, რომ ცოტაოდენი საჭმელი მოეტანა. ერთხანს წავთვლიმე. როდესაც ავდექი, ბაინ ალ-კასრაინზე გავიარე. დავბრუნდი და ღამე გავათიე. გათენდა, ქსოვილის ერთი შეკვრა გავხსენი და გავიფიქრე — მოდი ავდგები, რომელიმე ბაზარში წავალ და ვნახავ, როგორი მაზანდა არის-მეთქი. ავი ქსოვილების ნაწილი, ერთერთ ჩემს მონას ავკიდე, ვიარე და ჯირჯისის ბაზარზე მივედი. შემომეგებნენ დალალები, რომელთაც ჩემი ჩამოსვლა გაეგოთ. ქსოვილები გამომართვეს და დაიწყეს მუშტრისათვის შეძლევა. მაგრამ საქონელი თავის ფასადაც ვერ გასაღდა. მაშინ დალალთუხუცესმა მითხრა:

— რაღაცას გასწავლი და მოგება დაგრჩებაო. ისე უნდა მოიქცე, როგორც ვაჭრები შვრებიან. შენი საქონელი ნისიად გაყიდო, მწერლის, მოწმისა და ზარაფის თანდასწრებით და ყოველ ხუთშაბათსა და ორშაბათს აიღო, რაც გერგება, დირჰამზე ორ დირჰამს მოიგებ და მეტსაც. შენ კი კაირო და მისი ნილოსი დაათვალიერეო.

სწორი აზრია-მეთქი, წავიყვანე დალალები და ხანეში წავედი. ქსოვილები ბაზარში წამოიღეს. ვაჭრებს მივყიდე და ხელწერილი დავუწერე ზარაფთან, ზარაფისაგანაც ხელწერილი ავიღე და ხანეში დავბრუნდი. რამდენსამე დღეს გავჩერდი. ყოველდღე ერთი კათხა სასმელით გავიხსნილებდი, ბატკნის ხორცსა და ტკბილეულს მოვატანინებდი ხოლმე. მოვიდა ის თვეც, როდესაც გადასახადის აკრეფა უნდა დამეწყო. ყოველ ხუთშაბათსა და ორშაბათს ვაჭართა დუქნებთან ვიჯექი, ზარაფსა და მწერალს ვაჭრებისაგან ჩემთან ფული მოჰქონდათ. ასე ვცხოვრობდი. ერთ დღეს აბანოში

წავედი, გამოვედი და ხანესაკენ გავემართე. ერთი კათხა სასმელი დავლიე და დავიძინე. გამომეღვიძა. ქათამი ვჭამე, ნელსაცხებელი ვიპკურე და ერთი ვაჭრის დუქნისაკენ გავემართე. იმ ვაჭარს ბადრ ად-დინ ალ-ბუსთანი ერქვა. დამინახა და კეთილი მობრძანება მისურვა. ერთხანს მელაპარაკებოდა თავის დუქანში. უეცრად ვიღაც ქალი მოვიღა და ჩემ გვერდით ჩამოჯდა. თავსაფარი გვერდზე ეხურა. ტკბილ სურნელს აფრქვევდა. იმისმა სიტურფემ და სილამაზემ ჭკუა დამაკარგვინა. იზარი აიწია და შავი თვალები დავინახე. ქალი მიესალმა ბადრ ად-დინს. ბადრ ად-დინმაც სალამზე უპასუხა. ადგა და საუბარი დაუწყო. მოვისმინე ქალის სიტყვები და გულში მისი სიყვარული ჩამივარდა. ქალმა ბადრ ად-დინს უთხრა:

— ხალასი ოქროს ქსოვილი ხომ არ გექნება?

ბადრ ად-დინმა ნაჭერი ამოუღო. ქალმა უთხრა:

— შეიძლება წავიღო და ამის ფასი მერე გამოგიგზავნო?

— არ შეიძლება, ჩემო ქალბატონო, — მიუგო ბადრ ად-დინმა, — ამ ქსოვილის პატრონი აგერ ეს კაცია და ნაწილი იმას ერგებაო.

— ვაი, შენ! — თქვა ქალმა. — ალაჰს ვფიცავ, მე ხომ ჩვეულებადა მაქვს, თითოეულ ნაჭერში ძვირი მოგცე, ფასი მერე გამოგიგზავნო და იმაზე მეტი მოგაგებინო. რასაც თხოულობ.

ვაჭარმა მიუგო:

— ჰო. მაგრამ, მე იძულებული ვარ, დღესვე გადავიხადო ამ ქსოვილის ფასი.

მაშინ ქალმა ნაჭერი აიღო, ვაჭარს სახეში ესროლა და უთხრა:

— თქვენი ჯურის ხალხმა არავის ყადრი არ იცისო.

ადგა და გაბრუნდა. და თითქოს ჩემი სულიც თან გაიყოლა. ავდექი და ფეხზე გავჩერდი. ვუთხარი:

— ჩემო ქალბატონო, ერთი შეხედვა მიწყალობე და შემობრუნდი შენი კეთილშობილი ფეხით.

ქალი ღიმილით მობრუნდა.

— შენი გულისათვის მოვბრუნდიო, — მითხრა და ჩემ პირდა-პირ დაჯდა დუქანში.

— რას აფასებ ამ ნაჭერს? — ვკითხე ბადრ ად-დინს. — ათას დირჰამს.

— ასი დირჰამიც შენი სარგებელი იყოს-მეთქი. ქაღალდი მო-იტა, ხელწერილს დაგიწერ.

ნაჭერი გამოვართვი და ჩემი ხელით დავუწერე ქაღალდი. ქალს ქსოვილი მივეცი და ვუთხარი:

— თუ გსურს. მაგის საფასური ბაზარში მომიტანე და თუ გინდა, ფეშქაში იყოს ჩემგან.

ქალმა მითხრა:

— ალაჰმა სიკეთით გადაგიხადოს, შენ ჩემი ფული მოგცეს და მე

შენი თავი ქმრადო... — და ალაჰმა ისმინა მისი ვედრება.

— ჩემო ქალბატონო, — ვუთხარი მას, — შენი იყოს ეგ ნაჭერი და

მეორე მაგისთანაც, ოღონდ შენი სახე დამანახე.

ქალმა პირბადე აიწია. შევხედე და ათასი ოხვრა აღმომხდა, გულს მისმა ტრფობამ დაისავანა და ჩემს გონებას ვეღარ დავე-უფლე. ქალმა პირბადე ჩამოუშვა.

— ნუ მომაწყენო, — თქვა და წავიდა. მე კი ჭკუადაკარგული ვი-ჯექი ბაზარში ნაშუადღევამდე. სიყვარულმა შემიპყრო. ძლიერ შემიყვარდა ის ქალი და, ადგომას რომ ვაპირებდი, ვაჭარს მისი ამბავი ვკითხე. იმან მითხრა:

— მდიდარი ქალია, ამირის ქალიშვილი, მამამისი მოკვდა და დიდძალი ქონება დაუტოვაო.

ვაჭარს გამოვემშვიდობე და წამოვედი. ხანეში მივედი. ვახშა-მი მომიტანეს. ის ქალი გამახსენდა და ვეღარაფერი ვჭამე. დავ-წექი. მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. დილამდე ვიფხიზლე. მერე

კი ავდექი, ტანსაცმელი გამოვიცვალე. ერთი კათხა შევსვი, წავი-საუზმე და იმ ვაჭრის დუქანში წავედი. მივესალმე და დავჯექი. მო-ვიდა ქალიშვილი. უწინდელზე ძვირფასი სამოსი ეცვა. თან მხე-ვალი ახლდა. დაჯდა და მე მომესალმა, ბადრ ად-დინს კი არა, მითხრა გამართული ენით, რომელზე უტკბესი და უამესიც მე არა-ფერი მსმენია:

— კაცი გამატანე ნაჭრის, საფასურის, ათას ორასი დირჰამის, წამოსაღებად.

— რა საჭიროა ეს აქ ქარება, ვთქვი მე.

— ღმერთმა შენი თავი ნუ მოგვიშალოს. — წამოიძახა ქალმა და საფასური მომცა. ვიჯექი და ვემუსაიფებოდი. ვანიშნე და მიხვდა, რომ მასთან შეყრა მსურდა სწრაფად წამოხტა და განმერიდა, მიყვარდა და ბაზრიდან კვალდაკვალ გავყევი. უეცრად ერთი მხევალი მოვიდა და შეუბნება:

— ჩემო ბატონო, იქნებ ჩემს ქალბატონს დაელაპარაკო.

გამიკვირდა:

— მე არავინ მიცნობს-მეთქი.

— რა ჩქარა დაგვიწყნია ჩემი ქალბატონი, დღეს ამა და ამ ვაჭ-რის დუქანში რომ ელაპარაკეო.

გავყევი იმ მხევალს ზარაფებისაკენ. იმ ქალმა დამინახა, გვერდით ამომიყენა და მითხრა:

— ჩემო საყვარელო, გულში ჩამივარდი. შენმა სიყვარულმა ჩემს სულში დაისავანა. და იმ წუთიდან, რაც დაგინახე, აღარც ძი-ლი მინდა. არც ჭამა და არც სმა. — მე მივუგე:

— მე ორჯერ უარეს დღეში ვარ, ჩემს ყოფას ჩივილი აღარ სჭირდება-მეთქი.

— ჩემო საყვარელო, — მეუბნება ქალი, მე მოვიდე. თუ შენ მოხ-ვალ ჩემთან?

— მე ერთი ყარიბი კაცი ვარ, ჩემი თავშესაფარი მხოლოდ ხა-

ნეა. თუ ისეთ სიკეთეს იზამ, რომ შენთან იყოს ჩვენი პაემანი, სიამოვნება სრული იქნება.

— კარგიო, — თქვა, მაგრამ ამაღამ პარასკევის ღამეა და არაფერი იქნება ხვალამდე. ლოცვის შემდეგ. ილოცე, მერე შეაჯექ შენს ვირს და ალ-ჰაბანია იკითხე. იქ როცა მიხვალ, ბარაქათ ანნაკიბის სახლი მოიკითხე, აბუ შამის სახელით რომ იცნობენ. მე იქ ვცხოვრობ და ნუ დაიგვიანებ. გელოდები.

უსაზღვროდ გამიხარდა. ერთმანეთს დავშორდით. მე ხანეში წამოვედი, სადაც ვცხოვრობდი. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. არც კი მჯეროდა. რომ ინათა, ავდექი, ტანსაცმელი გამოვიცვალე, ნელსაცხებელი ვიპკურე, მანდილით ორმოცდაათი დინარი წავიღე და მასრურის ხანედან ზუვაილიას კარიბჭისაკენ გავწიე. შევაჯექ ვირსა და მის პატრონს ვუთხარი:

— ალ-ჰაბანიამდე მიმიყვანე-მეთქი.

თვალის დახამხამებაში მიმიყვანა. და ის იყო გაჩერდა იმ ქუჩაზე. ალ-მუნკირის ქუჩა რომ ჰქვია, ვეუბნები:

— მიდი ამ ქუჩაზე და იკითხე, ნაკიბის სახლი სად არის. ცოტა ხანს არ ჩანდა. მერე მოვიდა და მეუბნება, — ჩამოდიო. — წინ გამიძეხ იმ სახლამდე-მეთქი. იარა. ვიდრე იმ სახლთან არ მიმიყვანა. ვირის პატრონს ვუთხარი: — ხვალ მოდი აქ და წამომიყვანე.

— სახელითა ალაჰისათა, — თქვა მევირემ. ოქროს დინარის მეოთხედი მივეცი. აიღო და წავიდა.

კარზე დავაკაკუნე. გამომეგება ორი ახალგაზრდა ასული, ქალწულები. მკერდმაღალნი. მთვარის დარნი. მითხრეს:

— შემობრძანდი, ჩვენს ქალბატონს შენს მოლოდინში ღამე ძილი არ მიჰკარებია. ისე უყვარხარო.

შევედი დარბაზში, რომელიც შვიდი კარით იყო ჩაკეტილი. ირგვლივ სარკმელნი ნაირ-ნაირი ხილით, წყალმრავალი ნაკადულებითა და მგალობელი ჩიტებით სავსე ბაღნარს გადაჰყურებ-

დნენ. დარბაზი სულტანური კირით იყო შეფეთქილი ისე, რომ კაცი საკუთარ სახეს დაინახავდა. ჭერს ოქროს ვარაყი ამკობდა. ირგვლივ მშვენიერ ამბებს მოგვითხრობდნენ ჩუქურთმებად გამოყვანილი ლაჟვარდის წარწერები და მნახველებს შუქს ფენდნენ. იატაკი ფერადი მარმარილოსი იყო. შუაში შადრევანი სჩქეფდა. შადრევნის კუთხეებში ოქროს ფრინველები და გველები მარგალიტისა და პატიოსან თვალთა მსგავს წყალს აფრქვევდნენ. დარბაზი ფარჩის ხალიჩებითა და მერხებით იყო მოფენილი. შევედი და დავჯექი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეექვსე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ჭაბუკს ქრისტიანისთვის უთქვამს:

— ის იყო შევედი და დავჯექი, რომ ქალიშვილიც შემოვიდა. შეღებილი და მოხატული. თავზე მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი ეხურა. დამინახა, სახეში შემომცინა, მომეხვია და მკერდზე მიმიკრა. ბაგე ბაგეს შეაწება.

— მართლა მოხვედი თუ სიზმარია? — თქვა მან. მე მივუგე: — მე მონა ვარ შენი.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, — მითხრა ქალმა, — ალაჰს ვფიცავ, იმ დღიდან, რაც გნახე, აღარც ძილია ჩემთვის საამური და არც საჭმელი საამო.

— მეც ასე ვარ-მეთქი, — ვუპასუხე და სასაუბროდ დავსხედით. მოკრძალებისაგან თავჩაქინდრული ვიჯექი. ცოტა ხანიც არ გასულა, რომ ძვირფასი სუფრა მომართვა შებრაწულებით, დაკეპილებით, შეკაზმული ქათმით. ერთად ვჭამდით, ვიდრე არ დავნაყრდით. მერე კი ტაშტი და სურა მომიტანეს. ხელი დავიბანე. მუშკიანი ვარდისწყალი ვიპკურეთ. და საუბრად დავსხედით. და ქალმა ეს ბეითები წარმოთქვა:

თქვენი მოსვლა რომ გვცოდნოდა, გაგიფენდით
სისხლს გულისას, ან თვალების სიშავეს.
გაგიშლიდით ჩვენს ღაწვებს და შეგხვდებოდით,
ქუთუთოზე გატარებდით.

ის მე შემომჩიოდა, რაც გადაიტანა და მე კი იმას, რაც გადამხდა. იმისმა სიყვარულმა ჩემს გულში დაისავანა და ამასთან არარად მეჩვენა მთელი ქონება. მერე კი თამაში და ლაღობა, ხვევნა და კოცნა დავიწყეთ, სანამ არ დაღამდა. მაშინ კი მხევლებმა საჭმელი და ღვინო მოგვართვეს — სავსე სუფრა. შუაღამემდე ვსვამდით. მერე დავწექით და დავიძინეთ. დილამდე იმასთან მეძინა და თავის დღეში არ მინახავს ღამე იმის მსგავსი. როდესაც გათენდა, ავდექი და ლოგინის ქვეშ მანდილში გამოკრული დინარები შევაგდე. დავემშვიდობე და გამოვედი. ქალი ატირდა:

— ჩემო ბატონო, როდისღა ვიხილავ მე ამ ლამაზ სახესო.

— ხვალ ვახშმობის ჟამს შენთან ვიქნები-მეთქი, — მივუგე. გამოვედი და ვნახე მევირე, რომელმაც გუშინ მომიყვანა, კართან მელოდებოდა. შევჯექი და ვიარეთ, ვიდრე მასრურის ხანეში არ დავბრუნდი. ჩამოვედი, მევირეს ნახევარი დინარი მივეცი და ვუთხარი: საღამო ჟამს მოდი-მეთქი. — კი, ბატონოო, — მითხრა, ვისაუზმე და ქსოვილის ფასის ასაკრეფად გამოვედი. დავბრუნდი. შემწვარი ბატკანი მოვამზადე, ტკბილეული ავიღე და მებარგულს დავუძახე. ის სახლი ავუწერე და ქირა მივეცი. მზის ჩასვლამდე ჩემს საქმეებს მივუბრუნდი. მერე კი მევირეც მოვიდა. ორმოცდაათი დინარი ავიღე. მანდილში გავახვიე და წავედი. ვხედავ, მარმარილო მოუწმენდიათ, სპილენძი გაუპრიალებიათ, კანდელები აუვსიათ, სანთლები აუნთიათ, საჭმელი დაუწყვიათ და ღვინო გაუწურავთ. ქალმა რომ დამინახა, კისერზე ხელები შემომაჭდო და მითხრა:

— მომენატრეო. — მერე კი მაგიდები შემოიტანეს და ვჭამდით,

ვიდრე არ დავნაყრდით. მხევლებმა მაგიდები გაიტანეს და ღვინო მოგვართვეს. შუაღამემდე ვსვამდით, ტკბილეულს ვჭამდით და მოვილხენდით. როდესაც ავდექი, ჩვეულებისამებრ, ორმოცდაათი დინარი მივეცი და გამოვედი. ვნახე მევირე, შევჯექი და ხანესაკენ გავემართე. ცოტა წავიძინე. მერე ავდექი და ვახშამი მოვამზადე: პილპილიანი ფლავი ნიგვზითა და ნუშით, შემწვარი კოლოკასია და სხვა ამნაირები. ავიღე ხილი, ნუღლი, ყვავილები და გავუგზავნე. წავედი შინ. მანდილით ორმოცდაათი დინარი ავიღე, გამოვედი და მევირესთან ერთად, ჩვეულებისამებრ, სასახლისაკენ გავემართე. შევედი, ვჭამეთ. ვსვით და დილამდის გვეძინა. როდესაც ავდექი, მანდილი დავუგდე და ხანესაკენ გამოვწიე, როგორც ჩვეულებად მქონდა. ერთხანს ასე ვცხოვრობდი. ერთ დღეს, ღამე რომ გავათიე და გავიღვიძე, ვხედავ, აღარც დირჰამი მაბადია და არც დინარი. — ეს შეითანის საქმეა-მეთქი და ეს ბეითები წარმოვთქვი:

სიღარიბე კაცს სხივებს წარუვლენს,
როგორც დაისი სიყვითლეს მზესა.
როცა გაქრება, ქვეყანაზე არავის ახსოვს,
თუ დაბრუნდება, არაფერში არა აქვს წილი.
ბაზრებში დადის მალვით და კრთომით.
და უდაბნოშიც ცრემლად იღვრება.
და ვფიცავ ალაჰს, ღარიბი კაცი
თვის ტომშიაც კი უცხოდ ითვლება.

გავიარე, ვიდრე ბაინ ალ-კასრაინს არ მივაღწიე და ზუვაილიას კარიბჭემდე მივედი. ვხედავ, ხალხი მოჯარულა. ხალხის სიმრავლეს კარიბჭე გაუჭედა. ერთი ჯარისკაცი დავინახე და უნებურად მივეტმასნე. ხელი მის ჯიბეში მომიხვდა. ვიგრძენი, ჯიბეში,

სადაც ხელი მქონდა, ქისა იყო, ხელზე მომედო ის ქისა. ქისა ჯიბიდან ამოვაცალე. ჯარისკაცმა იგრძნო, რომ ჯიბე შეუმსუბუქდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ვეღარაფერი ნახა. მომიბრუნდა, კეტი მომიღერა და თავში ჩამცხო. ძირს დავეცი, ხალხი შემომეხვია, ჯარისკაცს ცხენის სადავეები დაუჭირეს და უთხრეს:

— ნუთუ ასე იმიტომ ჩასცხე ამ ჭაბუკს, ჭედვა რომ არისო. — ეგ ქურდი და ავაზაკიაო, — დაიყვირა ჯარისკაცმა. გონს მოვედი. მესმის ხალხს ამბობს:

— ეს ლამაზი ჭაბუკია, ამას არაფერი წაუღიაო.

ზოგს სჯეროდა და ზოგს არა. მითქმა-მოთქმამ იმატა. ხალხმა გამათრია და ჩემი გამოხსნა უნდოდა იმ ჯარისკაცისაგან. ამ დროს, ღვთის განგებით, ვალი მობრძანდა რამდენიმე თავისი მოხელითურთ. შემოვიდნენ კარიბჭეში და დაინახეს, მე და იმ ჯარისკაცს ხალხი შემოგვხვევია.

— რა ამბავიაო,— იკითხა ვალიმ.

— ვფიცავ ალაჰს, ამირო, უთხრა ჯარისკაცმა, — ეს კაცი ავაზაკია. ჯიბეში ცისფერი ქისა მქონდა. შიგ ოცი დინარი. ჭყლეტაში რომ მოვყევი, მაშინ ამომართვა.

— გახლდა ვინმე? — ჰკითხა ვალიმ ჯარისკაცს. — არაო,— მიუგო მან. მაშინ ვალიმ მეწინავეს დაუძახა: — დაიჭირე და გაჩხრიკე ეგ ვაჟიო. დამიჭირეს, დავკარგე ალაჰის მფარველობა. — ყველაფერი გახადეთ, რაც აცვიაო, — ბრძანა ვალიმ.

გამხადეს და ტანსაცმელში ქისა მიპოვეს. ქისა ნახეს, ვალიმ აიღო და შიგ ოცი დინარი იპოვა, როგორც ჯარისკაცმა თქვა. ვალი განრისხდა, თავის მხლებლებს დაუძახა:

— აქ მომგვარეთ ეგ კაციო. მიმიყვანეს მის წინაშე. ვალი მეუბნება:

— ჭაბუკო, სიმართლე თქვი, შენ მოიპარე ეს ფული?

თავი ჩავღუნე. გულში გავივლე, — როგორ ვთქვა, არ მომიპა-

რავსო, როცა ჯიბიდან ამომიღეს. „მოვიპარე-თქო“ და — ხათაბალაში გავებმები. თავი ავწიე:

— დიახ, მე ავიღე, — ვუთხარი ვალის.

გაოცდა ვალი, ჩემი ნათქვამი რომ გაიგონა. მოწმეებს უხმო. ისინიც გამოცხადდნენ და დაამოწმეს ყოველივე ჩემი ნათქვამი ზუვაილიას კარიბჭეზე ვალიმ ჯალათს უბრძანა, ჩემთვის ხელი მოეჭრა. ჯალათმა მარჯვენა ხელი მომკვეთა. ჯარისკაცს შევებრალე, მიშუამდგომლა, სიკვდილით არ დავესაჯეთ. ვალიმ თავი დამანება და წავიდა. ხალხი შემომეხვია. ერთი თასი ღვინო დამალევინეს. ჯარისკაცმა ქისა მომცა და მითხრა:

— ლამაზი ჭაბუკი ხარ. ქურდობა არ გეკადრებაო. ქისა გამოვართვი და ეს ბეითები წარმოვთქვი:

ქურდი არ ვარ, ვფიცავ ალაჰს, ო, სანდო ძმაო,
მპარავთაგანიც არ ვყოფილვარ, კაცო რჩეულო.
ანაზდეულად თავს დამატყდა ავი სვე-ბედი
და მტანჯავს ახლა სიღარიბე, დარდი და ღელვა
განა შენ მტყორცნე, ალაჰმა მკრა ისარი თვისი
და გამიფრინდა მე თავიდან მეფის გვირგვინი.

ჯარისკაცმა ქისა მომცა, დამტოვა და წავიდა. ხელი ძონძით შევიხვიე და მეც წავედი. ხელი უბეში შევიყავი. იცვალა ჩემი ყოფა, ყვითელი ფერი დამედო იმისაგან, რაც თავს გადამხდა. სასახლისაკენ გავემართე და ღონემიხდილი დავეგდე ლოგინზე. ქალმა დაინახა, რომ ნირშეცვლილი ვარ. მკითხა:

— რა გტკივა. რა არის ჩემს თავს, შენ რომ გამოცვლილს გხედავო. — თავი მტკივა. შეუძლოდ ვარ-მეთქი, — ვუთხარი ქალს. ქალი გაჯავრდა. აღელდა:

— გულს ნუ მიწვავ, ჩემო ბატონო, დაჯექი, თავი აიღე და მომიყევი. რა შემთხვევია დღესო. შენს სახეზე რაღაცას ვკითხულობო.

— თავი დამანებე-მეთქი. ქალი ატირდა:

— მგონი. აღარ გინდივარ, როგორღაც გამოცვლილი მეჩვენებიო.

ტირილით მელაპარაკებოდა. მე ხმას არ ვცემდი, ვიდრე არ დაღამდა. საჭმელი მომიტანა. ვერ ვჭამე იმის შიშით, არ დაენახა, მარცხენათი რომ ვჭამდი.

— ასლა არ მინდა-თქო, — ვუთხარი.

— მიამბე. რა დაგემართა დღეს, რატომ გხედავ დარდიანსა და გულგატეხილსო? — მკითხა ქალმა.

მაშინ ვუთხარი: — ნელ-ნელა მოგიყვები.

სასმელი მომიტანა და მეუბნება:

— აი. შენ ღვინო, დარდს გაგიქარვებს, უთუოდ დალიე და შენი ამბავი მითხარი.

— თუ აუცილებელია,— ვეუბნები მე, — მაშინ შენი ხელით დამალევინე.

ქალმა აავსო და დალია. ისევ აავსო და მე მომაწოდა. მარცხენა ხელით გამოვართვი. ლოყაზე ცრემლი ჩამომიგორდა და ეს ბეითები წარმოვთქვი:

თუკი უფალი განიზრახავს და განსჯის ასე:
რამე დამართოს კაცს გამჭრიახს, ჭკვიანს, სმენიანს,
იგი მას ყურებს დაუხშობს და გულს დაუბრმავებს,
და თმის ღერივით ამოაცლის ტვინს ერთიანად.
მერე მსჯავრს როცა აღასრულებს, ტვინს დაუბრუნებს,
რომ უკეთესად შეიგონოს, თავს რა დაატყდა.

ლექსი დავამთავრე და ატირებულმა მარცხენა ხელით თასი გამოვართვი. ქალმა, მტირალი რომ დამინახა, ხმამაღლა შეჰყვირა:

— რა არის მიზეზი შენი ტირილისა, გული ნუ დამიწვი, რა დაგემართა, თასი მარცხენათი რატომ აიღე?

— ხელზე ძირმაგარა მაქვს-მეთქი, — ვუთხარი.

— ამოიღე ხელი და გამოგირწყავო.

— რა დროს გამორწყვაა, გული ნუ გამიწყალე, — ვთქვი მე და ხელი არ ამოვიღე.

თასი გამოვცალე. ქალი მასმევდა, სანამ ღვინო არ მომეკიდა. დამიძინა, სადაც ვიჯექი და ქალმა ნახა, ხელის მტევანი აღარა მაქვს. გამჩხრიკა და ის ქისა იპოვა, ოქროები რომ იყო. ისეთი სევდა დაეუფლა. მანამდის რომ არ უგრძვნია. დილამდის იტანჯებოდა ჩემი გულისათვის. გამომეღვიძა და ვხედავ, ქალს ჩემთვის ოთხი ქათმის წვენი მოუმზადებია და მოუტანია. ერთი თასი ღვინო დამალევინა. ვჭამე, დღე და გამოსვლას რომ ვაპირებდი, მითხრა:

— სად მიდიხარ?

— ამა და ამ ადგილას-მეთქი, იქნებ ცოტა გული გადავაყოლო.

მითხრა:

— ნუ მიდიხარ, დაჯექიო. ნუთუ შენი სიყვარული იქამდე მივიდა, რომ მთელი შენი ქონება დამახარჯე და ხელიც დაკარგე. მე შენ გიმოწმებ, და ალაჰი იყოს ჩემი მოწმე, რომ არ მოგშორდები. დაინახავ სიმართლეს ჩემი სიტყვისას. ეგების ალაჰმა შეისმინოს ჩემი ლოცვა და შენზე დავქორწინდე.

კაცი გაგზავნა მოწმეების მოსაყვანად. ისინიც გამოცხადდნენ და ქალი ეუბნება:

— დაწერეთ ჩემი ქორწინების წიგნი ამ ჭაბუკთან. დამიდასტურეთ, რომ მე მაგისგან ურვადი მივიღე.

დაწერეს წიგნი ქორწინებისა იმ ქალთან და ქალი ამბობს:

— დამიდასტურეთ, რომ მთელი ჩემი ფული, რაც ამ სკივრშია და ყველაფერი, რასაც ვფლობ: მონები, მხევლები — ამ ჭაბუკს ეკუთვნის.

დაადასტურეს. მე საუფლო მივიღე; მოწმეებმა ქირა აიღეს და წავიდნენ. ქალმა ხელი მომკიდა და საგანძურთან გამაჩერა. დიდი ზარდახშა გახსნა და მეუბნება:

— ნახე. ზარდახშაში რა არის. ვხედავ, ზარდახშა მანდილებით არის ავსებული.

— ეს შენი ფულია, — მითხრა ქალმა, — შენ რომ გამოგართვი. მანდილს რომ მაძლევდი ორმოცდაათი დინარით, ვახვევდი და ამ ზარდახშაში ვაგდებდი. აიღე შენი ფული, იგი ალაჰმა დაგიბრუნა და დღეს ძალოვანი ხარ. საწუთრომ ჩემი მიზეზით დაგაბეჩავა, მარჯვენა რომ დაკარგე. სამაგიერო როგორ მოგიზღა? სულიც რომ განაცვალო. ესეც კი მცირე იქნება და მაინც ჩემი მჯობნი იქნები, აიღე შენი ფულიო.

მეც ავიღე. ის, რაც იმის ზარდახშაში იყო, იმან ჩემსაში გადაიტანა და ჩემს მიცემულს ზედ თავისი ფულიც დაუმატა. ჩემმა გულმა გაიხარა და დარდმა გაიარა. ავდექი, ვაკოცე და ერთად დავითვერით. ქალმა მითხრა:

— შენ ჩემს სიყვარულს შესწირე მთელი ქონება და მარჯვენა ხელი. როგორ გადაგიხადო. სულიც რომ შევწირო შენს სიყვარულს, ისიც ცოტა იქნება. მე არ ძალმიძს, ღირსეულად მოვიხადო შენი ვალი.

დამიწერა საუფლო ქაღალდი ყველაფერზე. რაც კი გააჩნდა: ტანსაცმელზე, სამკაულსა და ქონებაზე. ის ღამე შეჭირვებულმა გაათია, როცა ვუამბე, რაც გადამხდა. იმ ღამეს იმასთან დავრჩი. ასე გავატარე თვეზე ნაკლები. ქალს უძლურება მოერია, სენმა იმძლავრა. ორმოცდაათი დღეღა იცოცხლა. და მერე კი საიქიოს ბინადრად იქცა. წესი ავუგე და მიწას მივაბარე. ყურანის კითხვა მოვაწყვე. დიდძალი მოწყალება გავეცი მის სახელზე. სასაფლაოდან დავბრუნდი და ვხედავ, ქალს უამრავი ფული, ქონება და მამულები ჰქონია. მათ შორის იყო სეზამის საწყობებიც, ერთი შენ რომ მოგყიდე. ამ ხნის განმავლობაში იმიტომ არ მოვდიოდი,

დანარჩენ საქონელს ვყიდდი. და ჯერ კიდევ არ ამიღია სრულად მისი ფასი. ახლა კი რაღაცას გეტყვი და უარი არ მითხრა — მე ხომ შენი პური გამიტეხია. მიჩუქნია შენთვის იმ სეზამის ფასი. აი, მიზეზი ჩემი მარცხენა ხელით ჭამისაო.

მე მივუგე:

— წყალობა მოიღე, სიკეთე მიყავ.

მერე მეუბნება:

— ჩემს ქვეყანაში უნდა წამომყვე უთუოდ. მე კაიროსა და ალექსანდრიის საქონელი უნდა შევისყიდო და ხომ არ შემიამხანაგდები?

— კარგი-მეთქი.

თვის დამდეგისათვის შევიპირე. გავყიდე, რაც მებადა და საქონელი ვიყიდე. იმ ჭაბუკთან ერთად ჩამოვედი ამ მხარეში, თქვენს ქვეყანაში. ჭაბუკმა გაყიდა თავისი საქონელი, იმის სანაცვლოდ თქვენი ქვეყნის საქონელი შეიძინა და მისრეთს წავიდა. მე კი წილად მხვდა, ამაღამ აქ ვმჯდარიყავ და უცხოობაში გარდამხდომოდა ის, რაც გარდამხდა... დროის მეუფევ, ეს ამბავი კუზიანის ამბავზე უფრო საკვირველია.

ხელმწიფემ თქვა:

— აუცილებლად ჩამოგახრჩობთ ყველასო...

და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეშვიდე. შაჰრაზადმა თქვა:

— ხელმწიფევ სვიანო, — აუცილებელიაო თქვენი ჩამოხრჩობა, ბრძანა ჩინეთის მეფემ, — მაშინ წინ წარდგა მოურავი და მეფეს შეჰკადრა:

— ნებას თუ დამრთავ, ერთ ამბავს მოგიყვები, ამ კუზიანთან შეხვედრამდე რომ გადამხდა.

ჩემი ნაამბობი თუ იმის ამბავზე უფრო საოცარი იქნება, სიცოცხლე გვაჩუქეო.

— აბა, მოჰყევი, რაც იცი, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოურავის ნაამბობი

— იცოდე, რომ წინა ღამით ერთ ჯამაათში ვიყავი. ყურანის კითხვა მოაწყვეს. შეკრიბეს ფაკიჰები და როდესაც ყურანის მკითხველებმა კითხვა დაასრულეს, სუფრა გაშალეს. სხვა რამესთან ერთად ზირბაჯა მოიტანეს. ზირბაჯა რომ მოგვართვეს, ერთმა ჩვენგანმა უკან გადადგა და ჭამაზე უარი თქვა; დავაფიცეთ, მაგრამ იმანაც დაიფიცა — არა ვჭამო. ჩვენ დავიჟინეთ და მაშინ თქვა:

— რას ჩამაცივდით, მეყო, რაც მაგის ჭამით დამემართაო. — და ეს ბეითი წარმოთქვა:

შენ მეგობარი თუ უარჰყავი,
ვერ დაგაბრუნებს ვერც ერთი ხერხი.

ჭამა დავამთავრეთ და ვკითხეთ: — თქვი, რად არა ჭამე ზირბაჯა?

— ზირბაჯას ვერა ვჭამ, — მოგვიგო მან, — სანამ ხელს არ დავიბან ორმოცჯერ ნაცარწმულით, ორმოცჯერ სოდითა და ორმოცჯერ საპნით. სულ ასოცჯერ. — მაშინ მასპინძელმა მონებს უბრძანა, მოუტანეთ წყალი და ყველაფერი, რაც მოითხოვაო. ჭაბუკმა ხელები ისე დაიბანა, როგორც თქვა, ზიზღით მივიდა მაგიდასთან, დაჯდა, ხელი აიღო და ზირბაჯაში ჩაყო. რაღაც შეშინებულს ჰგავდა და ძალისძალით ჭამდა. ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა. ჭაბუკს ხელი უთრთოდა. ცერი ასწია და ვხედავთ, მოჭრილი ჰქონია. ჭაბუკი ოთხი თითით ჭამდა.

— ალაჰს გაფიცებთ, გვითხარი, ამ შენს ცერს რა დამართნია, ალაჰს ასეთი მოუცია, თუ უბედურება რამ ეწია.

— ეჰ, ჩემო მეგობრებო, — გვეუბნება ჭაბუკი, — განა მარტო ეს ერთი ცერი? ასევე მაქვს მეორეზეც და ორთავე ფეხზეო. მაგრამ სჯობს, თქვენ თვითონ ნახოთო, — და მეორე ხელის ცერი გვიჩვენა. ისიც მარჯვენასავით იყო, ასე ჰქონდა ორთავე ფეხზეც.

ძლიერ გავოცდით ამის დანახვაზე. ვუთხარით:

— სული მიგვდის, სანამ შენს ამბავსა და ხაბარს გავიგებდეთ, რად მოუკვეთიათ ცერები ხელ-ფეხზე ან ასოცჯერ რატომ დაიბანე ხელი?

ჭაბუკმა თქვა:

— იცოდეთ, მამაჩემი დიდვაჭარი იყო, ბაღდადის ვაჭართუხუცესი — ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის დროს. მაგრამ ღვინის სმა და უდის სმენა უყვარდა. და როდესაც მოკვდა, ჩემთვის არაფერი დაუტოვებია. წესი ავუგე, ყურანის კითხვა მოვუწყვე. ვგლოვობდი მრავალი დღე და მრავალი ღამე, მერე მისი დუქანი გავაღე. საქონელი ცოტა დაეტოვებინა და ვალი კი ბევრი. მევალეები დავიყოლიე და დავაშოშმინე. კვირიდან კვირამდე ვყიდულობდი, ვყიდდი და გავცემდი და ასე ვუხდიდი მევალეებს. ასე ვცხოვრობდი, სანამ მთელი ვალი არ გადავიხადე და ჩემი თავნი თანხაც არ გავზარდე. ერთ დღეს ვზივარ და ვხედავ ქალიშვილს, რომელზე მშვენიერი ჩემს თვალს არაფერი უნახავს — სამკაულით მორთული, ძვირფას სამოსში გამოწყობილი ჯორზე იჯდა და წინ მონა მიუძღოდა, უკანაც მონა მისდევდა. ჯორი ბაზრის თავში გააჩერა. ბაზარში შევიდა, მსახურიც შეჰყვა და ეუბნება:

— ჩემო ქალბატონო, გამოდი, მაგრამ არავის გამოეცნაურო, თორემ თავზე ცეცხლს დაგვატეხ.

ქალმა შეხედა ვაჭართა დუქნებს და ნახა, ჩემი დუქნის გარდა, არც ერთი არ იყო ღია. ჩემთან გამოაღწია, ჩემს დუქანთან დაჯდა და მომესალმა. მე არ მსმენია იმ საუბარზე უფრო მშვენიერი რამ და არც არაფერი იმის სიტყვებზე უამესი. ქალმა სახე აიხადა, შევხედე და ათასი ოხვრა აღმომხდა და ჩემი გული იმის ტყვედ იქცა.

ისევ და ისევ ვაცქერდებოდი მე იმის სახესა და ეს ბეითები წარმოვთქვი:

ლამაზმანს ვუთხარ, მტრედისფერი ჩადრი რომ მოსავს:
„ამ წამებისგან მეჩვენება სიკვდილი შვებად.
ერთი შეხვედრა მიწყალობე, სიცოცხლე მომცეს,
მოწყალებისთვის ხელი შენკენ გამომიწვდია“.

ჩემი ლექსი რომ მოისმინა, ამ ბეითებით მიპასუხა:

სიყვარულისთვის გულს გავწირავ, თუ დაგივიწყებთ,
თქვენ გარდა სხვისი სიყვარული გულმა არ უწყის.
ჩემი თვალები თუ კი ოდესმე სხვის სილამაზეს შეაცქერდება,
არ გაახაროს თქვენთან შეყრამ სიშორის შემდეგ.
არ დავივიწყო, მე ვდებ აღთქმას თქვენი ტრფიალი
და თქვენი ტყვეა ჩემი გული დამწუხრებული.
შემასვა ტრფობამ სიყვარულის წმინდა ფიალა,
დაგალევინოთ სიყვარულმა ნეტა თქვენც იგი.
უკანასკნელი ნაპერწკალი ჩემი სიცოცხლის
თან წარიტანეთ და დამმარხეთ, სადაც იქნებით.
და თუ ახსენებთ თქვენ ჩემს სახელს ჩემს სამარესთან,
პასუხს მოგაგებთ თქვენს ხმობაზე ჩემს ძვალთა კვნესა.
ო, თუ მკითხავენ, ღვთის წინაშე რას ისურვებდი.
ვეტყვი სიამეს ალაჰისას და მერე თქვენსას.

ლექსი დაასრულა და მითხრა:

— ჭაბუკო, ლამაზი ქსოვილის ნაჭერი ხომ არ გექნებაო.

— ჩემო ქალბატონო, — მივუგე მე, — ღარიბია შენი მონა, მაგრამ მოითმინე, სანამ ვაჭრები დუქნებს გააღებდნენ. და მოგართმევ, რაც გსურს. — ვესაუბრებოდი ქალს სიყვარულის ზღვაში

ჩაძირული, იმის ტრფიალში გზააბნეული. მერე ვაჭრებმა დუქნები გახსნეს. ავდექი და მივართვი, რაც ისურვა. ყოველივე ეს ხუთი ათასი დირჰამისა იყო, მან ყველაფერი მსახურს გადასცა. მსახურმა გამოართვა და ბაზრიდან გავიდნენ. მოართვეს ჯორი. ქალი ჯორზე ამხედრდა. არ უთქვამს ჩემთვის, საიდან იყო. მეც მომეხათრა, მეკითხა, და ჩემს თავზე ვიდე ვაჭრების ვალი. ხუთი ათასი დირჰამის გადახდა მე ვიკისრე. შინ მისი სიყვარულისაგან მთვრალი მივედი. ვახშამი მომიტანეს. ერთი ლუკმა გადავყლაპე და მისი სილამაზე და მშვენიერება რომ გამახსენდა, ყელში აღარაფერი გადამივიდა. დაძინება მოვინდომე, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. ერთი კვირა ასე ვიყავი. ვაჭრებმა თავისი ფული მომთხოვეს. კიდევ ერთი კვირით გადავადებინე. ერთი კვირის შემდეგ კი ის ქალიც გამოჩნდა. ჯორზე იჯდა, თან მსახური და ორი მონა ახლდა. მომესალმა და მითხრა:

— დაგიგვიანეთ, ბატონო, ქსოვილის ფასი. ზარაფი მოიყვანე და

ფული აიღე.

საჭურისმა ფული გადაიხადა. ფული ავიღე. მერე ქალს ვემუსაიფებოდი, სანამ ბაზარი არ გაივსო და ვაჭრებმა დუქნები არ გააღეს. მაშინ კი მეუბნება:

— აიღე ჩემთვის ესა და ესაო.

გამოვართვი ვაჭრებს, რაც უნდოდა, აიღო და წავიდა ისე, რომ ფასზე არაფერი უთქვამს. როდესაც წავიდა, ვინანე. რადგან ათასი დინარისა გამოვართვი ვაჭრებს, რაც მოითხოვა. თვალს რომ მოეფარა, გულში ვთქვი:

— რა არის ეს სიყვარული. ხუთი ათასი დირჰამი მომცა და ათასი დინარის საქონელი კი წაიღო.

შემეშინდა არ გავკოტრებულიყავ და სხვისი ქონება არ დამეღუპა.

— ვაჭრები მხოლოდ მე მიცნობენ, — ვამბობდი. მე, — ამ ქალმა

კი უთუოდ თვალი ამიხვია თავისი სილამაზითა და მშვენიერებით. ნახა, რომ ახალგაზრდა ვარ და სასაცილოდ ამიგდო. მეც არა ვკითხე, სად ცხოვრობს.

ასეთ გულისტრიალში ვიყავი, ის კი თვეზე მეტს არ გამოჩენილა. ვაჭრებმა ფული მომთხოვეს ისეთი დაჟინებით, რომ ჩემი მამულების გაყიდვა დავაპირე და უფსკრულის პირას აღმოვჩნდი. ერთხელ, ჩაფიქრებული რომ ვზივარ, ბაზრის კარიბჭესთან ჩამომხდარა და ჩემთან შემოსულა ისე, რომ არც გამიგია. იმის დანახვაზე დარდი გამიქრა, დამავიწყდა, რა დღეც მადგა. მოვიდა, თავისი საამო საუბარი გამიბა და მითხრა:

— მოიტა სასწორი და აწონე, რაც გეკუთვნისო.

იმაზე მეტი მომცა, რაც ვაჭრებისაგან მქონდა აღებული. მერე კი ჩემთან მასლაათით ერთობოდა. მე კინაღამ მოვკვდი ნეტარებისა და სიხარულისაგან.

— ცოლიანი თუ ხარო, — მკითხა ქალმა. მე მივუგე: — არა, არც ერთ ქალს არ ვიცნობ-მეთქი, — და ავტირდი. — რა დაგემართა, რად სტირი? — მკითხა ქალმა. — ერთ რამეზე, რაც თავში მომივიდა-მეთქი.

ავიღე რამდენიმე დინარი, საჭურისს მივეცი და ვთხოვე, ჩემთვის ეშუამავლა. ხადუმმა გაიცინა:

— იმას უფრო მეტად უყვარხარ, ქსოვილი სრულიად არ სჭირდება, შენი სიყვარულით იქცევა ასე. უთხარი, რაც გსურს და უარს არ გეტყვისო.

ქალმა დაინახა, დინარები რომ მივეცი მსახურს. დავბრუნდი, დავჯექი და ვუთხარი:

— შემიწყალე შენი მონა, დამრთე ნება, რაღაც გითხრა. და გულისნადები გავუმხილე. ესიამოვნა. დამთანხმდა და მითხრა:

— ეს მსახური მოგიტანს ჩემს წერილს და ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგოსო.

ადგა და წავიდა. ვაჭრებს თავისი ფული ჩავაბარე. იმათ მოგება ნახეს და მე სინანული, რომ იმის ამბავს ვეღარ გავიგებდი. მთელი ღამე არ მძინებია. რამდენიმე დღის შემდეგ ქალის მსახური მოვიდა. პატივი ვეცი. მისი ქალბატონი მოვიკითხე და მითხრა, ავად არისო. ვთხოვე, მისი ამბავი ეთქვა. და მონამ მითხრა:

— იმ ქალიშვილის ქალბატონია საიდა ზუბაიდა, ჰარუნ არ-რაშიდის მეუღლე, იგი ერთ-ერთი იმის მხევალთაგანია. მას სურდა თავისუფლად შესვლისა და გამოსვლის უფლება ჰქონოდა თავის ქალბატონთან და იმანაც ნება დართო. შედის და გამოდის, როცა კი მოეპრიანება. მერე მისი მეურვეც გახდა. ქალბატონს შენი ამბავი მოახსენა, მაგრამ იმან უთხრა:

— ამას არ ვიზამ, სანამ ჭაბუკს არ ვნახავ. და შენისთანა თუ არის, მაშინ კი მიგათხოვებო.

ახლა გვინდა სასახლეში შეგიყვანოთ. სასახლეში თუ შეხვედი ისე, რომ არავინ გაიგო. შეძლებ იმის ცოლად შერთვას, მაგრამ შენი ამბავი თუ გამჟღავნდა, მაშინ კი თავს გაგაგდებინებენ და რას იტყვიო.

— წამოგყვები და გადავიტან, რასაც ამბობ-მეთქი. მსახურმა მითხრა:

— როდესაც დაღამდება, წადი იმ მეჩეთში, საიდა ზუბაიდამ რომ ააგო დიჯლას პირას. იქ ილოცე და ღამე გაათიეო.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — მივუგე მე. და როდესაც დაღამდა, იმ მეჩეთისკენ გავწიე. ვილოცე და ღამე იქ გავათიე. გათენებისას ვხედავ, ნავით ორი მსახური მოვიდა. თან ცარიელი სკივრები მოიტანეს. მეჩეთში შემოიტანეს და წავიდნენ. ერთი დარჩა. დავაკვირდი და ვხედავ, ჩვენი შუამავალია. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მხევალი ჩემი მეგობარი. ავდექი და მოვეხვიე. მხევალი მეამბორა და ატირდა. ერთხანს ვილაპარაკეთ. მერე კი აიღო და ერთ სკივრში ჩამაწვინა და ჩამკეტა. ყველა სკივრი ნივ-

თებით აავსო; სკივრები ნავში ააწყვეს და საიდა ზუბაიდას სასახლისაკენ გაემართნენ. ჩავფიქრდი და გუნებაში გავივლე — დავიღუპე-მეთქი. ტირილი დავიწყე სკივრში და ალაჰს შევთხოვდი გადარჩენას. შეუჩერებლად მიდიოდნენ, სანამ სკივრები ხალიფას კარზე არ მიიტანეს. სკივრი, სადაც მე ვიყავი, სხვა სკივრებთან ერთად წაიღეს. ჩაუარეს ჰარემის ხადუმებს, ფარდის მცველებს, სანამ ერთ მოხუც საჭურისთან არ მივიდნენ. იმან გაიღვიძა და დაიყვირა:

— რა არის ამ სკივრებშიო. — საიდა ზუბაიდას საქონლით სავსეაო, — მიუგეს მას. — თითო-თითოდ გახსენით, ვნახო, შიგ რა არისო. — რად უნდა გახსნაო, — უთხრეს.

— ბევრს ნუ ყბედობ, — დაიღრიალა საჭურისმა, — უსათუოდ გავხსნი ამ სკივრებსო. — და პირველივე სკივრი, რომლის გახსნაც დაიწყო, ჩემი სკივრი იყო. ჭკუა დავკარგე, ავკანკალდი და შიშისგან ჩავისველე. მაშინ მსახურმა უთხრა საჭურისს:

— უფროსო. მეც დამღუპე და შენი თავიც, ათი ათასი დინარის საქონელი გააფუჭე. ამ სკივრში ფერადი ტანსაცმელი და ოთხი მანი ვარდის წყალი იყო. წყალი გაიხსნა, ტანსაცმელს გადაესხა და ახლა ფერადები გახუნდებაო.

საჭურისმა თქვა:

— აიღე შენი სკივრები და თავიდან მოწყდი, ალაჰიმც დაგწყევლისო.

მსახურებმა სწრაფად აიღეს ჩემი სკივრი, სხვებიც უკან მიაყოლეს. მიდიოდნენ და ამ დროს უეცრად ყურში ჩამესმა:

— ვაი, ვაი, ხალიფა, ხალიფა! — ამის გაგონებაზე ზეზეულად მოვკვდი. წარმოვთქვი სიტყვა, რომლის მთქმელიც არ გაწბილდება: „არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და დიდებულისა“. ეს უბედურება მე თვითონ დავიტეხე. მესმოდა, ხალიფამ ჩემს მეგობარ მხევალს უთხრა: — რა არის ამ შენ სკივ-

რებში? — საიდა ზუბაიდას ტანსაცმელია ჩემს სკივრებშიო, — გამიხსენი, — უთხრა ხალიფამ.

ამის გაგონებაზე კი ნამდვილად მოვკვდი. ეს ჩემი უკანასკნელი დღეა სააქაოს, და თუ გადავრჩი, ულაპარაკოდ შევირთავ იმ ქალს, ჩემი საქმე თუ გამჟღავნდა, მაშინ კი თავს გამაგდებინებენ-მეთქი...

და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამერვე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, ჭაბუკს უთქვამს:

მსახურმა ხალიფას უთხრა:

— ამ სკივრებში საიდა ზუბაიდას ტანსაცმელია მობარებული. მას სურს, რომ არავინ არ ნახოსო.

ხალიფამ ბრძანა:

— უთუოდ უნდა გახსნა და ვნახო, შიგ რა არისო. მსახურებს უხმო და უთხრა: — სკივრები მომიტანეთო.

დავრწმუნდი ჩემს დაღუპვაში და გული წამივიდა. მსახურებს სათითაოდ მიჰქონდათ სკივრები. ხალიფა ხედავდა მათში ნელსაცხებლებს. ქსოვილებსა და ძვირფას ტანსაცმელს. ხსნიდნენ სკივრებს, ის კი ათვალიერებდა ქსოვილებსა და სხვა რამეებს. სანამ ჩემი სკივრის ჯერიც არ დადგა გასახსნელად გამოსწიეს, მაგრამ ის მსახური სწრაფად მივიდა ხალიფასთან და ეუბნება:

— ამ სკივრს მხოლოდ საიდა ზუბაიდას წინაშე გავხსნით — შიგ მისი საიდუმლოაო.

ამის გაგონებაზე ხალიფამ სკივრების შეტანა ბრძანა. სკივრით წამიღეს და დარბაზის შუაგულში დამდეს, ნერწყვგამშრალი, სხვა სკივრთა შორის. მსახურმა ამომიყვანა და მითხრა:

— ნუღარ გეშინია, დამშვიდდი და გაიხარე. იჯექი, ვიდრე საიდა ზუბაიდა არ მოვა. იქნებ ბედი გეწიოს.

ერთხანს ვიჯექი. უეცრად გამოჩნდა ათი მხევალი — მთვარის

მსგავსი ქალწულნი, ერთმანეთის პირისპირ ხუთ-ხუთად დაეწ-ყვნენ. გამოჩნდა კიდევ სხვა ოცი მხევალი, მკერდმაღალი ქალ-წულები. მათ შორის საიდა ზუბაიდა მოდიოდა. ძლივს მოაბიჯებ-და იგი, იმდენი სამკაული და სამოსი ეცვა, როდესაც მოვიდა, მხევლები გარს შემოეხვივნენ. მივედი და ვეამბორე მიწას მის წი-ნაშე. მანიშნა დაჯდომა. დავჯექი მის წინ. საიდა დუბაიდამ დამიწ-ყო გამოკითხვა ჩემი ცხოვრებისა და გვარიშვილობის შესახებ. ყველაფერზე ვუპასუხე, რაც მკითხა. გაუხარდა:

— ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენთვის ამ მხევლის გაზრდასო. მერე მეუბნება:

— იცოდე, ეს მხევალი ღვიძლ შვილად მიგვაჩნია. ალაჰის მი-ერ

შესანახად მობარებული ყოფილიყოს იგი შენთვის.

ვეამბორე მიწას მის წინაშე და საიდა ზუბაიდამ თანხმობა გა-ნაცხადა ჩემს ქორწინებაზე. მიბრძანა, ათი დღე დავრჩენილიყავ იმათთან. ეს დრო იმათთან გავატარე, მაგრამ მხევალს ვერ ვხე-დავდი. ვიღაც ქალი მემსახურებოდა და ჩემთვის სადილი და ვახ-შამი მოჰქონდა. ეს დრო რომ გავიდა, საიდა ზუბაიდამ თავის ქმარს, მართლმორწმუნეთა მბრძანებელს, მხევლის გათხოვე-ბის ნებართვა სთხოვა. იმანაც ნება დართო და ბრძანა, მხევალს ათი ათასი დინარი მიეცითო. საიდა ზუბაიდამ ყადი და მოწმეები დაიბარა. დაწერეს ჩემი ქორწინების წიგნი იმ ქალთან. ამის შემ-დეგ ტკბილეული და ძვირფასი საჭმელები მოამზადეს და ყველა სამყოფში ჩამოარიგეს. ეს იყო მეორე ათ დღეს. ოცი დღის შემ-დეგ მხევალი აბანოში შეიყვანეს, რადგანაც უკვე უნდა შევსული-ყავი მასთან. გაშალეს სუფრა და სხვა საჭმელებს შორის იყო... ზირბაჯა. შაქრით დატენილი და მუშკიანი ვარდის წყლით ნასხუ-რები. სუფრაზე შებრაწული წიწილები და ისეთი რამეები იყო — კაცს ტვინი დაებნეოდა. მე მყისვე ზირბაჯას მივუჯექი და კარგად

დავნაყრდი. ხელები გავიწმინდე, დაბანა კი დამავიწყდა. დაღამებამდე ვიჯექი. სანთლები აანთეს. მოვიდნენ მომღერლები დაირებით, პატარძლის გამოჩინება დაიწყეს. მომღერლებს ოქროთი ასაჩუქრებდნენ, ვიდრე მთელი სასახლე არ შემოიარეს. ამის მერე მომიყვანეს პატარძალი და დარჩენილი ტანსაცმელიც გააძვრეს. ლოგინში მარტო რომ დავრჩით, მოვეხვიე. არც კი მჯეროდა იმასთან შეერთება, რომ უეცრად პატარძალმა ჩემს ხელზე ზირბაჯის სუნი იგრძნო. სუნი იგრძნო და ხმამაღლა დაიყვირა. ყოველი მხრიდან შემოცვივდნენ მხევლები. ამაკანკალა, არ ვიცოდი, რა მოხდა.

— რა დაგემართა, ჩვენო დაო? — ჰკითხეს მხევლებმა. — გაიყვანეთ ეს შლეგი, მე კი ჭკვიანი მეგონა. — რაში მეტყობა სიგიჟე? — ვთქვი მე.

— შლეგო, ზირბაჯა ჭამე და ხელი არ დაიბანე? ალაჰს ვფიცავ, მე ვერ ავიტან შენს უჭკუობასა და უზრდელობას. აიღო, გვერდზე მათრახი რომ ედო, და დამიწყო ცემა ზურგსა და საჯდომზე. გონება დავკარგე ბევრი რტყმევისაგან. მერე კი მხევლებს უთხრა:

— ქალაქის გამგებელთან წაიყვანეთ, მოსჭრას ის ხელი, რომლითაც ზირბაჯა ჭამა და არ დაიბანა.

— არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და დიდებულისა, — ვთქვი მე, — ნუთუ ხელი იმიტომ უნდა მომკვეთონ, რომ ზირბაჯა ვჭამე და არ დავიბანე?

მხევლები შევიდნენ და სთხოვეს: — ჩვენო დაო, აპატიე ამჯერად.

— ალაჰს ვფიცავ, რაიმე უნდა მოვჭრა ხელსა და ფეხზეო, — თქვა ქალმა და წავიდა. ათი დღე არ მინახავს. მერე კი მოვიდა და მეუბნება:

— შე პირშავო, შენ რა ჩემი შესაფერი ხარ. ზირბაჯა ჭამე და ხელი არ დაიბანე? — მხევლებს უხმო. შემბოჭეს. ქალმა ბასრი სა-

მართებელი აიღო და, როგორც ხედავთ, ხალხო და ჯამაათო, ხელებსა და ფეხებზე ცერები დამაჭრა. გული შემიღონდა. ფხვნილი დამაყარეს და სისხლი შემიწყდა. გუნებაში ვთქვი: — ჩემს სიცოცხლეში აღარა ვჭამ ზირბაჯას, სანამ ხელს არ დავიბან ორმოცჯერ ნაცარწმულით, ორმოცჯერ სოდითა და ორმოცჯერ საპნით. და ქალმაც პირობა დამადებინა, რომ ზირბაჯას არ ვჭამდი, ვიდრე ხელს ისე არ დავიბანდი, როგორც მოგახსენეთ. ეს ზირბაჯა რომ მომიტანეთ, ფერი მეცვალა. გულში გავიფიქრე — ჩემი ხელ-ფეხის დაჭრის მიზეზი ხომ ეს არის. რომ აღარ მომეშვით, ვთქვი, დაფიცებული უნდა შევასრულო-მეთქი.

— მერე რაღა დაგემართა? — ვკითხეთ ჩვენ.

— მერე, ქალს რომ შევფიცე, გული მოულბა და მასთან დავიძინე. ასე ვცხოვრობდი ერთხანს. ხანი რომ გამოხდა, მეუბნება:

— ხალიფას სახლეულმა არ იცის, რაც მოხდა ჩვენ შორის. სასახლეში ჯერ უცხო არავინ შემოსულა შენ გარდა. შენც საიდა ზუბაიდას წყალობით შემოხვედიო.

მომცა ორმოცდაათი ათასი დინარი და მითხრა:

— აიღე ეს დინარები და ჩვენთვის დიდი სახლი იყიდეო. წამოვედი, ლამაზი დიდი სასახლე ვიყიდე და იქ გადავიტანე ყველაფერი, რაც ჰქონდა და რაც მოეგროვებინა: ფული, ქსოვილები, საჩუქრები. ასეთია ჩემი ცერების დაჭრის მიზეზი.

ვჭამეთ და წამოვედით. ამის შემდეგ მომიხდა კუზიანთან ის ამბავი. ეს არის მთელი ჩემი მოთხრობა. გათავდა და მორჩა!

— ეს ამბავი კუზიანის ამბავზე საამო არ არის, — ბრძანა ხელმწიფემ, — პირიქით, კუზიანის ამბავი უკეთესია და მე უეჭველად ყველას ჩამოგახრჩობთ.

მაშინ წინ წარდგა ებრაელი, ემთხვია მიწას და თქვა:

— ჰე, დროის მეუფევ, მე მოგიყვები ამბავს, კუზიანის ამბავზე საოცარს.

— აბა, თქვი, რაც იციო, — ბრძანა ჩინეთის ხელმწიფემ.

ებრაელის ნაამბობი

ყველაზე საოცარი, ჭაბუკობის ჟამს რომ გადამხდა, არის, აი, რა: სირიის დამასკში ვიყავი და ხელობას ვსწავლობდი. თან ვმუშაობდი. ერთხელ, ჩემს საქმეში რომ ვარ გართული, უეცრად დამასკის მბრძანებლის სასახლის მონა მეწვია. გამოვედი და მბრძანებლის სასახლეში წავყევი. შევედი და დარბაზის შუაში ვხედავ ოქროს ფილებით მოჭედილ ალებასტრის სარეცელს. ზედ ავადმყოფი წევს — ჭაბუკი, რომელზე ლამაზს იმ დროში ვერავის ნახავდით. სასთუმალთან დავუჯექი. დავლოცე, ჯანმრთელობა ვუსურვე, ჭაბუკმა თვალებით ნიშანი მომცა. მე ვუთხარი:

— ხელი მიბოძე, ჩემო ბატონო.

ჭაბუკმა მარცხენა ხელი გამომიწოდა. გუნებაში გამიკვირდა: ჰოი, ღმერთო, შენს საკვირველებას! ლამაზი ჭაბუკია, დიდებული ოჯახისშვილი და უზრდელი კი ყოფილა. საოცარია! მაჯა გავუსინჯე, ქაღალდი დავწერე. ათი დღე ვნახულობდი, სანამ არ მორჩა. მერე აბანოში შევიდა, დაიბანა და გამოვიდა.

მბრძანებელმა ლამაზი ხალათი მიბოძა და სულით ავადმყოფთა სამკურნალოს ზედამხედველად დამნიშნა დამასკში. ჭაბუკთან ერთად შევედი აბანოში და ბრძანება გავეცი, ყველა გაეყვანათ იქიდან. მსახურმა ტანსაცმელი შემოიტანა და გამოცვლილი გაიტანა. ჭაბუკი გაშიშვლდა და ვხედავ, მარჯვენა ხელზე თითი აქვს მოჭრილი. გამიკვირდა და შევწუხდი. ტანზე შევხედე და ნაიარევი შევნიშნე მათრახის ცემისაგან. გავოცდი. ჭაბუკს დავაცქერდი. ის მეუბნება:

— ამ დროის ექიმთა შორის უდიდესო, ნუ გიკვირს. აბანოდან რომ გავალთ, ჩემს ამბავს მოგიყვები.

აბანოდან რომ გამოვედით, სახლში მივედით და დავისვენეთ. ჭაბუკმა მითხრა:

— ხომ არ გინდა, აივანზე გავერთოთო. — კარგი-მეთქი.

მონებს უბრძანა, საგებები ზევით აეტანათ, ბატკანი შეეწვათ და ხილი მოეტანათ. მონებმა ბრძანება შეასრულეს — ხილიც მოიტანეს

და შევექეცით ჭაბუკი მარცხენა ხელით ჭამდა.

— მიამბე შენი ამბავი, — ვუთხარი ჭაბუკს.

— ამ დროის ექიმთა შორის უდიდესო, — მეუბნება ჭაბუკი, — ყური დაუგდე ჩემს თავგადასავალს. მე ქალაქ მოსულიდან ვარ. მამაჩემის მამა რომ გარდაცვლილა, ათი ვაჟი დარჩენია, მათ შორის მამაჩემი. ის ყველაზე უფროსი იყო. ყველა გაიზარდა და დაქორწინდა. მამაჩემს მე შევეძინე. დანარჩენი ცხრა ძმა უშვილო იყო. ვიზრდებოდი, ვიყავი ჩემს ბიძებში და ისინიც თავს დამხაროდნენ დიდი სიხარულით. ერთ დღეს, როდესაც გავიზარდე და მამაკაცობის ასაკს მივაღწიე, მამაჩემთან ერთად მოსულის მეჩეთში ვარ. პარასკევი იყო. ვილოცეთ პარასკევის ლოცვა. მთელი ხალხი წავიდა. მამაჩემი და ბიძები კი ისხდნენ და მასლაათობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სასწაულებსა და სხვადასხვა ქალაქის საოცრებაზე, ვიდრე კაირო არ ახსენეს.

ერთმა ბიძამ თქვა:

— მოგზაურები ამბობენ, დედამიწის ზურგზე არა არის რა კაიროსა და იმის ნილოსზე უფრო ლამაზი. კაიროსა და იმის ნილოსზე კარგად უთქვამს ერთ მგოსანს ეს ბეითები:

ალაჰს გაფიცებ, ჩემ მაგიერ გადასცე ნილოსს,
წყალი ევფრატის ვერ აოკებს ჩემს წყურვილს მწვავეს.
გულო, რამდენი დაგითმია, თვით ბუსაინა
და, ვგონებ, მაინც მოთმინება უმჯობესია.

მერე მოჰყვნენ კაიროსა და ნილოსის აღწერას. ლაპარაკს რომ მორჩნენ და კაიროს ასეთი აღწერა გავიგონე, ჩემი გული

იმაზე ფიქრმა შეიპყრო. ადგნენ და ყოველი მათგანი შინისაკენ გაემართა. იმ ღამეს ძილი არ მომკარებია, ისე დამატყვევა კაიროს ამბავმა. აღარც ვჭამდი, აღარც ვსვამდი. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ბიძები კაიროს გასამგზავრებლად მოემზადნენ. მამაჩემს შევტიროდი, მეც გამიშვი-მეთქი, სანამ საქონელი არ მომიმზადა და მეც იმათ არ წავყევი. მამაჩემმა ძმებს დააბარა:

— კაიროში არ წაიყვანოთ, დამასკში დატოვეთ, იქ გაყიდოს თავისი საქონელიო.

გავემგზავრეთ, მამაჩემს გამოვეთხოვე, მოსულიდან გამოვედით და შეუჩერებლად მივდიოდით, სანამ ჰალაბს არ მივაღწიეთ. რამდენიმე დღეს გავჩერდით და მერე ისევ ვიარეთ, ვიდრე დამასკამდე. ვხედავ, ეს არის ქალაქი ხეებით. მდინარეებით, ნაყოფითა და ჩიტებით სავსე, ვითარცა სამოთხე. ყოველგვარი ხილი იყო დამასკში. ერთ ფუნდუკში გავჩერდით. ჩემი ბიძები იქ იდგნენ, სანამ არ გაყიდეს, რაც ჰქონდათ, და საქონელი არ შეისყიდეს. ჩემი საქონელიც გაყიდეს და დირჰამმა ხუთი დირჰამი მოიგო. გამიხარდა მოგება. მერე დამტოვეს ბიძებმა და კაიროს გაემართნენ. მე დავრჩი და დავსახლდი ერთ მშვენიერ სახლში, რომლის სილამაზეს ენა ვერ აწერს. სახლის ქირა თვეში ორი დინარი იყო. დროს ვატარებდი ჭამა-სმაში, ვიდრე არ შემომეხარჯა, რაც თან ფული მქონდა. ერთ დღეს სახლის კართან ვზივარ და უეცრად ვხედავ, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი მოდის. იმ სამოსზე დიდებული ჩემს თვალს არაფერი უნახავს. სახლში შევიპატიჟე. იმასაც თავპატიჟი აღარ გაუდევს და კარებში შემოვიდა. შემოვიდა და მისი გულის მონადირებას შევეცადე, გამიხარდა მისი შემოსვლა და კარი გამოვიხურე. სახეზე აიხადა, იზარი მოიძრო და ვნახე, რომ იშვიათი სილამაზისა იყო. იმისმა ტრფობამ ჩემს გულში დაისადგურა. ავდექი და მოვიტანე მაგიდა, ძვირფასი საჭმლით, ხილითა და ყველაფრით სავსე, რაც საჭირო იყო. შევექეცით, ვილაღობეთ და მერე ვსვამდით, სანამ ღვინო არ

მოგვეკიდა. დავიძინე იმ ქალთან და უტკბესი ღამე გავატარე დილამდე. ათი დინარი მივეცი. ქალმა დაიფიცა — დინარებს არ ავიღებო და მითხრა:

— ჩემო საყვარელო, მელოდე, სამი დღის შემდეგ, მწუხრის ჟამს,

შენთან ვიქნები. ამ დინარებით კი ასეთივე სუფრა გაშალეო.

მომცა ათი დინარი, გამომემშვიდობა და წავიდა. და ჩემი გულიც თან წაიღო. სამი დღე გავიდა. ქალი მოვიდა პირვანდელზე უფრო ძვირფას ნაქარგსა, სამკაულსა და სამოსში გამოწყობილი. მე კი მის მოსვლამდე ყველაფერი მოვამზადე შესაფერისად. მერე ვჭამეთ, ვსვით და, ჩვეულებისამებრ, დილამდის გვეძინა. ათი დინარი მომცა და შემპირდა, სამი დღის მერე მოვალო. მოვამზადე ყველაფერი, შესაფერი. სამი დღის მერე მოვიდა კიდევ უფრო ძვირფას ქსოვილში გამოწყობილი, ვიდრე პირველად და მეორედ. მკითხა:

— ლამაზი ვარ? — ჰო, ალაჰს ვფიცავ-მეთქი. მაშინ მითხრა:

— ნებას ნომ არ მომცემ, ჩემზე ლამაზი და უმცროსი ქალი მოვიყვანო — ვილაღობოთ და ვიცინოთ მასთან ერთად. მთხოვა წამოვიყვანო, ღამე ჩვენთან გაათიოს და ვიმხიარულოთ.

ოცი დინარი მომცა და მეუბნება:

— სუფრას მოუმატე რამე იმ ქალიშვილისათვის, მე რომ უნდა მომყვეს.

გამომემშვიდობა და წავიდა. მეოთხე დღეს ყველაფერი მოვამზადე, რაც საჭირო იყო. მზის ჩასვლის შემდეგ მოვიდა. თან იზარში გახვეული ქალი მოიყვანა. შემოვიდნენ და დასხდნენ. გამიხარდა. სანთლები ავანთე. გახარებული და მხიარული შევეგებე. ადგნენ და სამოსი გაიძვრეს. იმ ქალიშვილმა სახე აიხადა. ვნახე — სავსე მთვარეს ჰგავდა. იმაზე ტურფა არავინ მენახა. ავდექი და საჭმელ-სასმელი მივართვი. ვჭამდით და ვსვამდით. მე

ახალმოსულ ქალიშვილს მივუბრუნდი, ფიალას ვუვსებდი და ერთად ვსვამდით: პირველმა ქალმა იეჭვიანა იდუმალ. მერე კი მითხრა:

— ლამაზია ეს ქალიშვილი, ალაჰს ვფიცავ. განა ჩემზე მშვენიერი არ არის?

— ჰო, ვფიცავ ალაჰს! — მივუგე მე. — მინდა ამაღამ იმასთან დაიძინო, — მეუბნება ქალი. — შენი ხმალი და ჩემი კისერი! — მივუგე მე.

ადგა და ლოგინი გაგვიშალა. დილამდის იმ ქალიშვილთან მეძინა. როდესაც გათენდა, ვნახე, ხელი სისხლში მქონდა ამოსვრილი. თვალი გავანელე, ვხედავ, გათენებულა. ქალს გაღვიძება დავუწყე და უეცრად თავი ტანს მოსცილდა და გადმოგორდა. მივხვდი, რომ ეს იმ ქალმა ჩაიდინა ეჭვიანობის გამო. ავდექი, ტანსაცმელი გავიძვრე. ორმო ამოვთხარე და ქალი შიგ ჩავდე. მიწა მივაყარე და მარმარილოს ფილა თავის ადგილას დავაბრუნე, როგორც იყო. ჩავიცვი, ავიღე ფული, რაც დამრჩენოდა, და სახლის პატრონთან მივედი. ერთი წლის ქირა გადავუხადე და ვუთხარი, კაიროში მივდივარ-მეთქი ჩემს ბიძებთან, კაიროს გავემგზავრე და ბიძებს შევხვდი. იმათ ძალიან გაუხარდათ ჩემი დანახვა. საქონლის გაყიდვა დაემთავრებინათ.

— რატომ ჩამოხვედიო? — მკითხეს ბიძებმა. — მომენატრეთ, თანაც მეშინოდა, ფული არ შემომკლებოდა. ერთი წელი გავატარე მათთან. ვათვალიერებდი ეგვიპტესა და ნილოსს. დანარჩენი ჩემი ფულიც ხელთ ჩავიგდე და დავიწყე ხარჯვა და ჭამა-სმა. ჩემი ბიძების გამგზავრების დრო როცა დადგა, გამოვიქეცი. იფიქრეს, ალბათ გაგვისწრო და დამასკში დაბრუნდაო. მე კი წამოვედი და კაიროში დავრჩი სამი წელი. დავიწყე ფლანგვა, სანამ იმ ფულიდან აღარაფერი შემრჩა. იმ სახლის პატრონს ყოველ წელიწადს ვუგზავნიდი ქირას დამასკში. სამი წლის შემდეგ კი მომეწყინა. ერთი წლის სახლის ქირის მეტი არაფერი შემრჩა. გზას დავადექი

და დამასკს ჩავედი. იქვე გავჩერდი. სახლის პატრონს გაუხარდა ჩემი დანახვა. შინ შევედი. იმ ყელგამოჭრილი ქალის სისხლი ავწმინდე, ბალიში ავწიე და ბალიშის ქვეშ ყელსაბამი ვნახე, რომელიც ამ ქალს ყელზე ეკიდა. ავიღე, დავათვალიერე და ერთხანს ვტიროდი. ორ დღეს გავჩერდი და მესამე დღეს აბანოში შევედი. ტანსაცმელი გამოვიცვალე. თან რამდენიმე დირჰამი მქონდა. ერთ დღეს ბაზარში წავედი. შეითანმა მაცთუნა, რომ აღსრულებულიყო ნება განგებისა. პატიოსან თვალთა ყელსაბამი ავიღე და ბაზარში წავიღე. დალალს მივეცი. წამოდგა და გვერდით მომისვა. მოიცადა, სანამ ბაზარი არ გაივსო. დალალს ჩემგან მალულად იმ ყელსაბამის შეძლევა დაუწყია. ყელსაბამი კი ძვირფასი ყოფილა და მისი ფასი ორ ათას დინარზე ასულა. დალალი მოვიდა და მეუბნება:

— ეს ყელსაბამი სპილენძისაა, ფრანგების წესზე გაკეთებული. იმის ფასი ათას დირჰამზე ავიდაო. — მე ვუთხარი:

— ჰო, ის ჩვენ ერთი ქალის გასამასხრებლად გავაკეთეთ. ჩემმა ცოლმა ეს ყელსაბამი მემკვიდრეობით მიიღო და გვინდა გავყიდოთ. წადი და აიღე მისი ფასი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეცხრე. შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ჭაბუკმა დალალს უთხრა:

— აიღე ათასი დირჰამი. — და დალალი მიხვდა, აქ რაღაც ბნელი საქმე უნდა ყოფილიყო. დალალმა ყელსაბამი ბაზრის უხუცესს მიუტანა და მისცა. იმან კი ვალის წაუღო. უთხრა:

— ეს ყელსაბამი მე მომპარეს, ახლა კი ქურდი ვნახეთ ვაჭართა შვილების ტანსაცმელში გადაცმულიო.

და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ უეცრად ქეშიკები შემომეხვივნენ, შემიპყრეს და ვალის მიმგვარეს. ვალიმ იმ ყელსაბამის ამბავი მკითხა. იმასაც იგივე ვუთხარი, რაც დალალს. გაეცინა:

— ეს მართალი არ არისო.

და გამოფხიზლებაც ვერ მოვასწარი. რომ მისმა მხლებლებმა ტანსაცმელი გამაძვრეს და მთელ ტანზე მათრახები გადამიჭირეს. ცემა მწველი იყო და ვთქვი:

— ყელსაბამი მოვიპარე.

გულში გავიფიქრე: სჯობს, ვთქვა მოვიპარე, ვიდრე მისი პატრონი ჩემთან მოკლეს-თქო.

მოვიპარე-მეთქი — და ხელი მომჭრეს და ზეთით მომწვეს. გული შემიწუხდა. ღვინო დამალევინეს. გონს მოვედი. ავიღე ხელი და შინ წამოვედი. სახლის პატრონმა მითხრა:

— რაკი ასეთი საქმე დაგმართნია, ქურდობაში ბრალი დაუდევთ,

დატოვე ეს სახლი და სხვაგან წადიო.

— ორ-სამ დღეს მაცალე, ბატონო, სანამ სხვა ადგილს გამოვნახავდე, — ვუთხარი მე და — კარგიო, — წავიდა და დამტოვა. ვიჯექი და ვტიროდი. როგორ დავბრუნდე ჩემს ოჯახში ხელმოჭრილი. ხელი ვინც მომჭრა, მან ხომ არ იცის, რომ უდანაშაულო ვარ, მაგრამ ეგების ალაჰმა იღონოს-მეთქი რაიმე. — მწარედ ავქვითინდი, სახლის პატრონი რომ წავიდა. შეწუხებული ვიჯექი ორ დღეს. მესამე დღეს არც კი გამიგია, ისე წამომადგა თავს სახლის პატრონი. თან რამდენიმე ქეშიკი და ბაზრის უხუცესი ახლდა. ამბობდნენ — ამან მოიპარა ყელსაბამიო. გამოვედი, ვუთხარი:

— რას ამბობთ-მეთქი.

— ის ყელსაბამი, შენ რომ გქონდა, დამასკის მბრძანებელს, მის ვაზირსა და მსაჯულს აჩვენეს. იმათ უთქვამთ, ყელსაბამი სამიოდე წლის წინათ გაქრა მბრძანებლის სახლიდან, იმასთან ერთად დაიკარგა მბრძანებლის ასულიცო

ამის გაგონებაზე ხელ-ფეხი ამიკანკალდა. გულში გავივლე — უეჭველად მომკლავენ. უთუოდ უნდა ვუამბო მბრძანებელს ჩემი ამბავი. თუ უნდა მომკლას და თუ უნდა შემინდოს. მივედით

მბრძანებელთან. ბრძანა, მის წინაშე გავეჩერებინეთ. როდესაც შემხედა, თქვა:

— ამან მოიპარა და წაიღო გასაყიდად ყელსაბამი? უსამართლოდ მოგიჭრიათ ხელიო.

ბრძანა ბაზრის უხუცესის შეპყრობა და უთხრა:

— მიეცი საურავი ხელის მოჭრისათვის, თორემ ჩამოგახრჩობ და მთელ ქონებას წაგართმევო.

მსახურებს უხმო. მოჰკიდეს ხელი და წაათრიეს. მისი ბრძანებით ჯაჭვი და ბორკილები მომხსნეს. მარტო დავრჩით. მბრძანებელმა შემომხედა და თქვა:

— შვილო. მითხარი სიმართლე, როგორ ჩაგივარდა ხელში ეს ყელსაბამი?

— სიმართლეს გეტყვი, ჩემო უფალო, — მივუგე მე. და ვუამბე ყველაფერი, რაც გადამხდა იმ პირველ ქალთან. როგორ მოიყვანა მეორე ქალი და მერე ყელი გამოჭრა ეჭვიანობის გამო. ყველაფერი ვუამბე უკლებლივ.

ჩემს ნაამბობზე თავი გააქნია, სახეზე ხელსახოცი მიიფარა და ერთხანს ტიროდა მერე კი მომიბრუნდა და მითხრა:

— შვილო. იცოდე, ის უფროსი ქალი ჩემი ასული იყო. კარჩაკეტილს ვზრდიდი და როდესაც გაიზარდა, კაიროში გავგზავნე ბიძამისის ვაჟთან. ის კი გარდაიცვალა და ქალიშვილი უკან დამიბრუნდა. კაიროს ხალხისაგან მას სიძვა უსწავლია. ოთხჯერ ყოფილა შენთან. მერე კი უმცროსი დაც მოუყვანია. ისინი ღვიძლი დები იყვნენ და ერთმანეთი უყვარდათ. უფროსს რომ გადახდა, რაც გადახდა, საიდუმლო უმცროსს გაუმჟღავნა. მთხოვა, უფროსთან ერთად გამიშვიო. მერე უფროსი მარტო დაბრუნდა. უმცროსი ქალიშვილი მოვიკითხე და ვხედავ უფროსი ტირის და მეუბნება — მისი ამბავი არ ვიციო. მერე კი საიდუმლოდ ყველაფერი დედამისისათვის გაუმჟღავნებია, დის ყელის გამოჭრის ამბავიც უთქვამს. დედამისმა მე გამანდო. ქალი შეუჩერებლად ტიროდა და

ამბობდა: — ალაჰს ვფიცავ, უნდა ვიტირო, სანამ არ მოვკვდებიო. შენი ნაამბობი, შვილო, სიმართლეა. ვიცოდი ეს ამბავი, სანამ შენ მომიყვებოდი. შეხე, შვილო, რა დატრიალდა?! ერთს რასმე გეტყვი და უარი არ მითხრა. მსურს, ჩემს უმცროს ქალიშვილზე დაგაქორწინო. ის იმათი ღვიძლი და არ არის. ის ქალწულია. ურვადს არ გამოგართმევ და სარჩოს დაგინიშნავთ. და ჩემთვის შვილის მაგიერი იქნებიო.

— როგორც გენებოს, ჩემო ბატონო, — მივუგე მე, — ამას როგორ მივაღწევდი?!

მაშინ მბრძანებელმა იმწამსვე მაცნე აფრინა, მომიტანეს მამაჩემის დატოვებული ფული და, აი, დღეს მე განცხრომაში ვცხოვრობ.

გამიკვირდა მისი ამბავი და სამ დღეს დავრჩი იმასთან. დიდძალი ფული მომცა. გამოვემგზავრე და ამ თქვენს ქვეყანაში ჩამოვედი. კარგად ვცხოვრობდი. მერე კი კუზიანთან გადამხდა, რაც გადამხდა.

— ეს ამბავი კუზიანის ამბავზე საოცარი არ არის, — ბრძანა ჩინეთის ხელმწიფემ, — და უსათუოდ ჩამოგახრჩობთ ყველას. განსაკუთრებით კი თერძს, ყველა შეცდომის სათავეს. — მერე თქვა:

— თერძო, თუ მომიყვები რაიმეს, კუზიანის ამბავზე საოცარს, დანაშაულს გაპატიებ.

## თერძის ნაამბობი

ამ დროს წინ წარდგა თერძი და თქვა:

— დროის მეუფევ, იცოდე, რაც მე გადამხდა, ყველას თავგადასავალზე უფრო საოცარია. იმ დღის დასაწყისში, სანამ კუზიანს შევხვდებოდი, ერთ მეგობართან ვიყავი სანადიმოდ. სხვადასხვა ხელოსნები შეიყარნენ: თერძები, ბაზაზები. დურგლები და სხვები. მზე ამოვიდა, საჭმელი მოგვართვეს, რომ შევქცეოდით და

უეცრად მასპინძელი შემოვიდა. თან ერთი ლამაზი უცხო ჭაბუკი შემოჰყვა, ბაღდადელი, საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი და ულამაზესი, მაგრამ კოჭლი. შემოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა, წამოვუდექით და ის იყო უნდა დამჯდარიყო, რომ ჩვენ შორის იმ ჭაბუკმა ერთი დალაქი შენიშნა. აღარ დაჯდა და წასვლა მოინდომა. ჩვენ და მასპინძელი არაფრის გულისთვის არ ვუშვებდით. მასპინძელმა დააფიცა და უთხრა:

— ასე რატომ ირჯები? შემოხვედი და ახლა კი მიდიხარ! ჭაბუკმა თქვა:

— ჩემო ბატონო, ნურაფერზე ხელს ნუ მიშლი. მე ამ დალაქის გამო მივდივარ, აქ რომ ზის.

მასპინძელი დიდად გაოცდა ამის გაგონებაზე.

— ეს ჭაბუკი ბაღდადელია და ამ დალაქმა როგორ შეაწუხა?! მივუბრუნდით და ვუთხარით: — რა მიზეზითა გძულს ეს დალაქი?

— ხალხო და ჯამაათო, იცოდეთ, რომ ამ დალაქთან საოცარი ამბავი გადამხდა ბაღდადში, ჩემს ქალაქში. ეგ არის მიზეზი ჩემი დაკოჭლებისა და ფეხის მოტეხისა. დაფიცებული მაქვს, მასთან ერთად არ დავჯდე, არც იმ ქალაქში გავჩერდე, ეგ სადაც იქნება. მე ბაღდადი დავტოვე, იქიდან წამოვედი და აქ დავსახლდი და ამაღამდელ ღამესაც მოგზაურობაში გავატარებო.

— ალაჰს გაფიცებთ, — ვუთხარით ჩვენ, — გვიამბე, რა გადაგხდა ამ დალაქთან.

ჩვენი თხოვნის გაგონებაზე დალაქი გაყვითლდა. ჭაბუკმა დაიწყო:

— კეთილი, ჯამაათო, მამაჩემი ბაღდადის ერთ-ერთი დიდვაჭარი იყო. ღმერთს მისთვის ჩემს მეტი შვილი არ მიუცია. როდესაც გავიზარდე და მამაკაცობის ასაკს მივაღწიე, მამა გარდამეცვალა, ღვთის წყალობის მოსაპოვებლად. ალაჰმა აცხონოს იგი. დამიტოვა გონება, მსახურები, სახლეულნი. კარგად ვიცვამდი და კარგად ვჭამდი, ალაჰს, დიდება მას და მაღალიმც არს იგი, ჩემს

გულში დიაცთა სიძულვილი შთაენერგა, ვიდრე ერთ დღეს ბაღდადის ერთ ქუჩაზე არ გავიარე. უეცრად ქალები შემომეყარნენ, გავიქეცი და ერთ ჩიხში შევედი. ჩიხის ბოლოს მასტაბას მივეყუდე. დიდხანს არ ვმჯდარვარ, რომ ჩემ პირდაპირ სარკმელი გაიღო და ქალიშვილმა გადმოიხედა. ის ჰგავდა მთვარეს სისავსის ღამეს. სიცოცხლეში არ მინახავს იმის სადარი. ქალიშვილს ყვავილები ჰქონია ფანჯრის ქვეშ და იმას რწყავდა. მიბრუნდა მარჯვნივ, მარცხნივ. დაკეტა სარკმელი და გაუჩინარდა. წავიდა და გულში ცეცხლი დამიტოვა და გონება წარმტაცა. დიაცთა სიძულვილი სიყვარულად გადამექცა. მზის ჩასვლამდე ვიჯექ იმ ადგილას და დიდი სიყვარულისაგან ამ ქვეყანას აღარ ვიყავ. უეცრად ვხედავ, ქალაქის ყადი მოდის ცხენით. წინ მონები მოუძღვიან, უკან მსახურები მოსდევენ. ჩამოვიდა, იმ სახლში შევიდა, ქალმა რომ გადმოიხედა. მივხვდი, რომ ყადი იმ ქალიშვილის მამა უნდა ყოფილიყო. დარდიანი დავბრუნდი შინ, ნაღვლიანი დავეგდე ლოგინზე. შემოვიდნენ მხევლები და გარს შემომისხდნენ. არ იცოდნენ, რა დამემართა. მე არ გავუმჟღავნე ჩემი ამბავი და არც იმათ შეკითხვებს გავეცი პასუხი. სენი გამიძლიერდა. ხალხი ჩემ სანახავად დადიოდა. ერთი დედაბერი შემოვიდა და იმას ჩემი მდგომარეობა არ გამოეპარა. სასთუმალთან დამიჯდა, დამიყვავა და მითხრა:

— შვილო, მითხარი შენი ამბავი.

მეც ვუამბე. დედაბერი მეუბნება:

— შვილო, ის ქალიშვილი ბაღდადის ყადის ასულია. ჩაკეტილი ცხოვრობს. ის ადგილი, სადაც შენ დაინახე, მისი სამყოფია. ქვედა სართულზე კი მამამისსა აქვს დიდი დარბაზი. ის ქალიშვილი მარტოა. მე ხშირად დავდივარ იმათთან. და იმ ქალიშვილს მხოლოდ ჩემი წყალობით თუ შეხვდები. და ახლა გამაგრდიო.

იმის, ნათქვამის გაგონებაზე გავმაგრდი და თავი გავიმხნევე.

გაიხარა იმ დღეს ჩემმა ოჯახმა. დილით კი ავდექი მომჯობინებული და სრული განკურნების იმედი მომეცა. წავიდა დედაბერი, მაგრამ ნირშეცვლილი დაბრუნდა. მითხრა:

— შვილო, არ მკითხო, რა გადამხდა იმ ქალთან. ეს ამბავი რომ ვუთხარი, ასე მიპასუხა, ამ ლაპარაკს თუ არ მოეშვები, შე ბედკრულო დედაბერო, მოგაგებ რისი ღირსიც ხარო. მაგრამ აუცილებლად მივალ მეორედ.

ამის გაგონება და სენის გაძლიერება ერთი იყო. რამდენიმე დღის მერე მოვიდა დედაბერი და მეუბნება:

— შვილო, სამახარობლო მეკუთვნის შენგან. ეს რომ გავიგონე, ჩემი სული სხეულს მოუბრუნდა.

— ყოველი სიკეთე გეკუთვნის-მეთქი ჩემგან.

დედაბერი მეუბნება:

— გუშინ იმ ქალიშვილთან წავედი. გულგატეხილი და თვალცრემლიანი რომ მნახა, მკითხა — დეიდაჩემო, რა არის ჩემს თავს, შეწუხებულს რომ გხედავო. ამის თქმაზე ავტირდი:

— ჩემო შვილო და ქალბატონო, გუშინ ერთი ჭაბუკისაგან მოვედი. იგი სიკვდილის პირასაა მისული შენი გულისათვის.

ქალს გული მოულბა:

— საიდან არის ის ჭაბუკი, ვისზედაც ლაპარაკობო.

— ჩემი ვაჟია, ჩემი გულის ნაყოფი. რამდენიმე დღის წინ სარკმელში დაუნახიხარ, ყვავილებს რომ რწყავდი. შენი სახე დაუნახავს და თავდავიწყებით შეყვარებიხარ. როცა ვუამბე, რა დღე დამაყენე პირველად, სენი გაუძლიერდა, ბალიშებს ვეღარ ტოვებს და უეჭველად მოკვდება. ქალი გაფითრდა.

— ნუთუ ყოველივე ჩემი მიზეზითააო.

— ჰო, ვფიცავ ალაჰს, — მივუგე მე, — და რას მიბრძანებ.

— წადი იმასთან, — მითხრა ქალმა, — გადაეცი სალამი და უთხარი, მე ორჯერ უარეს დღეში ვარ. პარასკევის ლოცვის წინ მო-

ვიდეს სახლთან. ვეტყვი, კარები გაუღონ. ჩემთან ავიყვან და ცოტა ხანს ერთად ვიქნებით. მერე კი წავიდეს, სანამ მამაჩემი ლოცვიდან დაბრუნდებაო.

დედაბრის ნათქვამი რომ გავიგონე, ყოველგვარი სატკივარი გამიქრა და გულმა შვება იგრძნო. წასვლისას ვაჩუქე, რაც კი რამ ტანისამოსი მქონდა და მითხრა:

— გული გაიკეთეო. — ტკივილის ნატამალიც აღარ დამრჩა, — მივუგე მე.

გაიხარეს ჩემმა ოჯახმა და მეგობრებმა ჩემი მორჩენით. ასე ვიყავი პარასკევ დილამდე. და, აი, შემოვიდა დედაბერი და მეკითხება:

— როგორა ხარ? — კარგად და ჯანმრთელად. — ვეუბნები მე. ჩავიცვი. ნელსაცხებლები ვიპკურე და ვიცდიდი, როდის გაემართებოდა ხალხი ლოცვაზე, რომ ქალთან წავსულიყავი. დედაბერი მეუბნება:

— დრო ბევრი გაქვს. აბანოში რომ წახვიდოდე და თმას გადაიღებდე, გარგებს, ნაავადმყოფარი ხარ და მეტადრე იმიტომო.

— სწორი აზრია, — ვთქვი მე, — მაგრამ ჯერ თმას მოვიპარსავ და მერე აბანოში წავალ.

დალაქთან, ბიჭი გავგზავნე — მოვიდეს და თავი გადამპარსოს-მეთქი.

ბიჭს დავაბარე:

— წადი ბაზარში და ვინმე გონიერი დალაქი მომიყვანე, აბეზარი არ იყოს და ლაყბობით თავი არ გამიხეთქოს.

წავიდა ბიჭი და, აი, ეს ბერიკაცი მომიყვანა. შემოვიდა, გამარჯობა მითხრა:

სალამზე ვუპასუხე და მეუბნება: — რაღაც გამხდარი მეჩვენებიო. — ავად ვიყავი-მეთქი.

— ალაჰმა გაშოროს სევდა და ნაღველი, უბედურება და დარდებიო.

— ღმერთმა გისმინოს.

— გაიხარე, ჩემო ბატონო, ჯანი დაგიბრუნდა, — მეუბნება დალაქი, — თმის გაკრეჭა გინდა თუ სისხლის გამოშვება? მუჰამადს უთქვამს, იბნ აბასის გადმოცემით: „სამოცდაათ სენს აშორებს ალაჰი იმას, ვინც პარასკევს თმას გადაიღებს“. ჰყვებიან აგრეთვე, თითქოს მას უთქვამს: „ვინც პარასკევს სისხლს გამოაშვებინებს, დაბრმავებისა და მრავალი სნების შიში აღარ ექნება“.

— დაანებე თავი ამეებს და ახლავე თავი გადამპარსე, — ვეუბნები, — კაცი დასუსტებული ვარ.

ჩაიყო ხელი და ამოიღო მანდილი. გაშალა და შიგ შვიდფილიანი ასტროლაბი აღმოჩნდა. აიღო ასტროლაბი, შუა ეზოში გავიდა, მზის სხივებისკენ თავი ასწია, დიდხანს მიყურა და მითხრა:

— იცოდე, რომ დღევანდელი დღიდან გასულია შვიდი გრადუსი და ექვსი მინუტი. და დღეს კი არის პარასკევი, საფარის ათი, შვიდას სამოცდასამი წლისა მოციქულის გადასახლებიდან, საუკეთესო კურთხევა და გამარჯვება მას. გამოთვლის მეცნიერების თანახმად, ამ დღის ვარსკვლავია მარიხი, ამ დღეს ემთხვევა ოტარიდის პირისპირ დგომა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძალიან კარგია ამ დღეს თმის გაპარსვა. მე კი მანიშნებს, რომ შენ გინდა დღეს ერთ ადამიანს შეხვდე. ეს შეხვედრა ბედნიერი იქნება. მაგრამ მერე ლაპარაკი ჩამოვარდება და მოხდება რაღაც, რასაც არ გეტყვი.

— ალაჰს ვფიცავ, თავი გამაბეზრე, სული ამომხადე და ცუდი რამ მიწინასწარმეტყველე. მე კი შენთვის არაფერი მითხოვია, თავის გაპარსვის მეტი. ადექი და გადამპარსე, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

— შენ რომ საქმის არსი იცოდე, კიდევ უფრო მეტ განმარტებას მომთხოვდი, მე შენთვის მირჩევია, დღეს ისე მოიქცე, როგორც მე გიბრძანებ, ვარსკვლავთმრიცხველობისდა თანახმად. შენ

გმართებს, ალაჰს მადლი შესწირო და მე არ მეურჩო, რამეთუ შენი კეთილისმრჩეველი ვარ. მებრალები და მსურს, მთელი წელიწადი გემსახურო და ღირსეულად დამაფასო. მე ამისათვის საფასური არ მინდა. — უეჭველად მომკლავ დღეს... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები. და როდესაც დადგა ღამე ოცდამეათე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, გამიგონია, რომ ჭაბუკმა დალაქს უთხრა:

—შენ მე უეჭველად მომკლავ დღესო.

დალაქმა კი მიუგო:

— იცოდე, ჩემო ბატონო, მე ვარ ის, ვისაც — ხალხი სიტყვაძვირობისათვის მდუმარეს ეძახის, განსხვავებით ჩემი ძმებისაგან. რამეთუ ჩემს უფროს ძმას ჰქვია: ალ-ბაკბუკი, მეორეს — ალ-ჰადარი, მესამეს — ბაკბაკი, მეოთხეს — ქუზ ალ-ასუანი, მეხუთეს — ალ-ფაშარი. მეექვსეს — შაკაშიკი და მეშვიდეს — ას-სამითი და ეს კი მე გახლავართ.

როდესაც ვნახე, დალაქმა ლაპარაკს უმატა და ვიგრძენი, რომ ნაღველაზე ვსკდებოდი, ბიჭს ვუთხარი:

— მიეცი დინარის მეოთხედი და, ალაჰის გულისათვის, თავიდან მომწყდეს, აღარ მინდა თავის გაპარსვა.

დალაქმა გაიგონა, ბიჭს რაც ვუთხარი, და მეუბნება:

— ჩემო ბატონო, რასა ბრძანებ?! ფულს როგორ გამოგართმევ, სანამ არ მოგემსახურები. და უთუოდ კი უნდა მოგემსახურო. მე ვალდებულიც ვარ მოგემსახურო და შევასრულო შენი სურვილი, სულაც არ მაწუხებს, თუ ამისათვის ფულს არ გამოგართმევ. შენ თუ არ იცი ჩემი ყადრი, სამაგიეროდ, მე ვიცი შენი ყადრი. მამაშენს, მაღალმა ალაჰმა აცხონოს იგი, სიკეთე მიუძღვის ჩემ წინაშე — იმიტომ, რომ კეთილშობილი კაცი იყო, ალაჰს ვფიცავ, ერთხელ მამაშენმა ამ დღესავით კურთხეულ დღეს დამიბარა. შევედი და მამაშენთან მისი მეგობრები იყვნენ. მითხრა:

— სისხლი გამომიშვიო. ავიღე ასტროლაბი. სიმაღლე განვსაზღვრე და ვნახე, იმ საათის ჰოროსკოპი ავისმომასწავებელი იყო და სისხლის გამოღება ძნელი იქნებოდა. ვაცნობე მამაშენს ეს ამბავი. ისიც დამემორჩილა და მოითმინა, სანამ უხიფათო საათი არ დადგა. და მაშინ გამოვუღე სისხლი. განა გამიძალიანდა, პირიქით, მადლობა მითხრა. მადლობა მითხრა იმ ჯამაათმაც. და მამაშენმა ასი დინარი მომცა სისხლის გამოღებისათვის.

— ალაჰმა არ აცხონოს მამაჩემი, შენისთანა ნაცნობი თუ ჰყოლია. დალაქს გაეცინა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული ალაჰისა, დიდება მას, ვინც სხვას ცვლის და თვითონ არ იცვლება. ჭკვიანი კაცი მეგონე და ავადმყოფობას ტვინი დაუბნევია შენთვის. ალაჰს უთქვამს თავის დიად წიგნში: „შემკავებელნი რისხვისა და შემწყნარებელნი ხალხისა“. და შენ ყოველ შემთხვევაში შეწყალებული ხარ. მე არ ვიცი, რა გაჩქარებს. ხომ იცი, მამაშენი ისე არაფერს გააკეთებდა, რომ ჩემთვის რჩევა არ ეკითხა. ნათქვამია: მრჩეველი ნდობის ღირსიაო. ვერავის ვერ ნახავ, რომ ჩემზე უკეთესად იცოდეს საქმენი ამა სოფლისანი. მე ფეხზე ვდგავარ, გემსახურები და არ მომბეზრებიხარ და შენ როგორღა მოგბეზრდი? მაგრამ გითმენ იმ მადლის გულისათვის, მამაშენმა რომ მიყო.

— ალაჰს ვფიცავ, — ვეუბნები, — შენ სიტყვა გააგრძელე და ყბედობას უმატე. მე კი მინდა, თავი გადამპარსო და მომშორდე.

გავბრაზდი და ადგომა მინდოდა, თუმცა თავი უკვე დაესველებინა ჩემთვის.

— ვიცი, უკვე თავი მოგაბეზრე, მაგრამ გაპატიებ, რადგანაც ახლა შენ ჭკუა შესუსტებული გაქვს და თანაც ჯერ ბავშვი ხარ ცოტა ხნის წინათ არ იყო, მხარზე რომ შეგისვამდი და სასწავლებელში დამყავდი?

— ალაჰს გაფიცებ, ძმაო, — წამოვიძახე მე, — მომშორდი, რომ

ჩემს საქმეს ვეწიო და შენ კი შენი გზით წადი.

ტანსაცმელი შემოვიხიე. ეს რომ დაინახა, აიღო სამართებელი და ლესვა დაუწყო ლესავდა, სანამ სული არ ამოხდა, მერე მოვიდა, თავის ერთი ნაწილი გამპარსა, ხელი ასწია და თქვა:

— ჩემო ბატონო, აჩქარება შეითნისაა. — და ეს ბეითები წარმოთქვა:

დააყოვნე და ნუ აჩქარდები
იმ საქმისათვის, გულს რომ ჩაიდებ.
და კაცთა მიმართ იყავ მოწყალე,
მაშინ თვითონაც ჰპოვებ მწყალობელს.
არ არის ხელი, რომელზე მაღლაც
არა სუფევდეს ხელი ალაჰის.
და არც მტარვალი, რომელიც ვინმე
მეორე მტარვალს არ დაეთრგუნოს.

მერე მეუბნება:

— ჩემო ბატონო, არა მგონია, რომ ჩემი ყადრი არ იცოდე: ჩემი ხელი მეფეთა, ამირთა, ვაზირთა, ბრძენთა და ღირსეულთა თავს ეხება. და ჩემნაირზე უთქვამს მგოსანს:

ყველა ხელობა ერთად მძივია,
და ეს დალაქი იმ ყელსაბამის მარგალიტია.
მის ხელთ ქვეშაა მეფეთ თავები
და ამით ყველა ბრძენზე დიდია.

— დაანებე თავი იმას, რაც შენი საქმე არ არის, — წამოვიძახე მე, — გული ნუ შემიწუხე და ტვინი ნუ დამიბნიე.

— მგონი, შენ სადღაც მიგეჩქარება, — მეუბნება დალაქი.

— დიახ! დიახ! დიახ!

— შეჩერდი, რადგან აჩქარება შეითნისაა და იმას სინანული და იმედის გაცრუება მოსდევს. ერთს უთქვამს, კურთხევა იმას და გამარჯვება, „საქმეთა შორის საუკეთესოა ის, რომელსაც სიდინჯე და დაყოვნება ახლავსო“. ალაჰს ვფიცავ, მე როგორღაც მაეჭვებს შენი საქმე. მითხარი, რა გაჩქარებს? იქნებ სიკეთეა, მეშინია კი, პირიქით არ იყოს.

სამი საათიღა დამრჩა... მერე გაბრაზდა დალაქი, სამართებელი ისროლა, აიღო ასტროლაბი და მზეზე გაჩერდა. დიდხანს იდგა. დაბრუნდა და თქვა:

— ლოცვის ჟამამდე სამი საათი დარჩა. არც მეტი, არც ნაკლები.

— გაფიცებ ალაჰს, — ვუთხარი მე, — გაჩუმდი, ნაღველაზე ნუ გამხეთქე.

აიღო სამართებელი და ლესა, როგორც პირველად. გამპარსა თავის ნაწილი და მეუბნება:

— მაფიქრებს შენი სიჩქარე. შენთვის უკეთესია, გამიმჟღავნო ამ აჩქარების მიზეზი. ხომ იცი, მამაშენი არაფერს აკეთებდა ჩემი რჩევის გარეშე.

ვნახე, რომ ამ დალაქისაგან ხსნა აღარ არის და გულში გავიფიქრე, ლოცვის დრო მოვიდა. ახლა თუ არ წავედი, სანამ ხალხი ლოცვიდან გამოსულა, მერე აღარ მეცოდინება, როგორღა შევიდე ქალიშვილთან. ერთი წუთითაც რომ დავიგვიანო. დალაქს ვეუბნები:

— მოკლედ ილაპარაკე, მოეშვი ამ ყბედობას და გამოძიებას. ერთი ჩემი მეგობრის წვეულებაზე მივდივარ. წვეულების ხსენება რომ გაიგონა, წამოიძახა:

— ეს რა ბედნიერი დღეა! გუშინ მეგობრები დავპატიჟე, საჭმლის მომზადება კი დამავიწყდა და მხოლოდ ამ წუთში გამახსენდა. ვაი, სირცხვილო, იმათ წინაშე!

— ამ საქმეზე ნუღარ სწუხარ, რაკი გაიგე, რომ წვეულებაში

მივდივარ, შენი იყოს, რაც სახლში საჭმელ-სასმელი მაქვს, ჩემს საქმეს თუ მორჩები და თავის გაპარსვას დააჩქარებ, — ვეუბნები დალაქს.

— ალაჰმა სიკეთით გადაგიხადოს, ამიწერე, რომ ვიცოდე, თუ რა გაქვს ჩემი სტუმრებისათვის.

— ხუთი თავი საჭმელი მაქვს, ათი შებრაწული ვარია და შემწვარი ბატკანი.

— აბა, ერთი, მომიტანე, ვნახო. ყველაფერი მოვუტანე. დაათვალიერა და მეუბნება: — დარჩა სასმელი. — ესეც მაქვს. — აბა, მოიტანე! მოვიტანე და მეუბნება:

— რა კარგი ხარ, რა სულგრძელი! მაგრამ დარჩა კიდევ საკმეველი და სურნელება.

მოვუტანე ყუთი. შიგ ორმოცდაათი დინარის ნადი იყო — საბრი და მუშკ-ამბრი. დრო კი იწურებოდა, როგორც ჩემი გული. დალაქს ვეუბნები:

— აიღე ესენი და მთელი თავი გადამპარსე, გაფიცებ მუჰამადის სიცოცხლეს, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს.

— ვერ გამოგართმევ, ღმერთმანი, სანამ ყველაფერს არ გავსინჯავ.

ბიჭს ვუბრძანე და ყუთი გაუხსნა. დალაქმა ასტროლაბი გადაადგდო, ძირს დაჯდა და ატრიალა საკმეველი და გუნდრუკი. იქამდე, რომ კინაღამ სული ამომხდა. მერე მოვიდა, სამართებელი აიღო, ცოტა მომპარსა და ამბობს:

— ალაჰს ვფიცავ, არ ვიცი, ჩემო შვილო, ვის ვუმადლოდე, შენ თუ მამაშენს. მთელი ჩემი დღევანდელი წვეულება შენი მადლისა და წყალობის ნაწილია, არც ერთი ჩემი სტუმარი ამის ღირსი არ არის. ჩემთან იქნებიან: ზაითუნ-მექისე, სალი მეთევზე, ავქალ მეცერცვე, არქაშა ბაყალი, ჰუმაიდ მენაგვე და აქარიშ მერძევე. ყველამ თავისებური ცეკვა და ბეითები იცის. ყველაზე კარგი კი ისა აქვთ, რომ ბევრი ლაქლაქი და ყბედობა არ უყვართ, ისევე

როგორც მე — შენს მონასა და მორჩილს. მექისე ასე მღერის: „თუ მე არ მივალ იმასთან, ის მოდის ჩემთან სახლში“, მენაგვე კი ერთი ოხუნჯი და მასხარა კაცია. ხშირად ცეკვავს და ასე ამბობს: „ახალ ამბებს ჩემი ცოლი სკივრში არ ინახავსო“. ყველამ თავისებური ხუმრობა იცის, მაგრამ შენი თვალით რომ ნახავდე, სულ სხვაა. ჩვენთან წამოსვლას რომ ამჯობინებდე, შენთვისაც უფრო სასიამოვნო იქნება და ჩვენთვისაც. არ წახვიდე შენს მეგობრებთან, წასვლას ვაპირებ, რომ მითხარი, ნაავადმყოფარი ხარ და იქნებ ისეთ ხალხში მიდიხარ, ბევრი ლაქლაქი რომ უყვართ და ილაპარაკონ იმაზე, რაც იმათი საქმე არ არის. იქნებ იმათში ყბედიც ერიოს, შენ კი სნეულებამაც დაგასუსტა.

— ინშალაჰ, სხვა დროს იყოს, — ვეუბნები.

— არა, უკეთესია, ჯერ ჩემს მეგობრებს ეწვიო, იმათი გული მოინადირო და პურ-მარილი მიიღო. როგორც მგოსანს უთქვამს:

სიამოვნებას ნუ გადასდებ, თუ შეგიძლია,
რადგან დროება წარმავალია.

სიბრაზისაგან გავიცინე ამ ცხელ გულზე:

— მე წავალ მაღალი ალაჰის შეწევნით, შენ კი მეგობრებთან წაბრძანდი, ისინი ხომ შენს მისვლას ელოდებიან.

— მინდა გაგაცნო ისინი. ისეთი ხალხის შვილები არიან, რომ ყბედი არ ურევიათ. ერთხელ რომ გაჩვენა, მთელ შენს მეგობრებს მიატოვებდი.

— ღმერთმა სიხარული შეგმატოს შენი მეგობრებით, უსათუოდ დავპატიჟებ რომელსამე დღეს. — მაშინ მითხრა:

— ასე თუ გინდა, შენი მეგობრების წვეულება თუ გირჩევნია დღეს, მაშინ დამიცადე, წავიღო შენი ნაბოძვარი, რომ ჩემს მეგობრებს დავუტოვო, ჭამონ, სვან და არ მელოდონ. მე კი შენს მეგობრებთან წამოგყვები. მალე დავტოვებ ჩემს მეგობრებს, ჩვენ

ერთმანეთის არ გვერიდება ამისთანა რამეზე, დავბრუნდები და წამოგყვები, სადაც არ უნდა წახვიდე.

— არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და დიდებულისა, წამოვიძახე მე. — შენ წადი შენს მეგობრებთან, მე კი გამიშვი ჩემს ამხანაგებთან. რომ დღეს იმათთან ვიყო, მელოდებიან.

— არა, მარტო ვერ გაგიშვებ, — მეუბნება დალაქი. — იქ ჩემს მეტი ვერავინ შევა, სადაც მივდივარ.

— მგონი, შენ პაემანზე მიბრძანდები დღეს, თორემ მეც წამიყვანდი, — მეუბნება დალაქი, — მე კი ამის უფლება ყველაზე მეტად მაქვს, ყველაფერში ხელს შეგიწყობდი, რასაც კი ინებებდი. მეშინია, ვინმე უცხო ქალთან არ წახვიდე, თავი არ დაიღუპო. ამ ბაღდად-ქალაქში ამნაირ საქმეს ვერავინ გაბედავს, ისიც ასეთ დღეს. ბაღდადის ვალი დიდი ულმობელი კაცია

— ვაი შენ, შე ბოროტო ბებერო. ამას რაებს მეუბნები!

დალაქი დიდხანს დუმდა. მოვიდა ლოცვის დრო. ხუტბის ჟამი დადგა და დალაქიც მორჩა ჩემი თავის გადაღებას.

— წადი, წაუღე შენს მეგობრებს ეს სასმელ-საჭმელი. დაგიცდი და ერთად წავიდეთ, — ვუთხარი მაშინ.

მოტყუებას ვცდილობდი, იქნებ წავიდეს-მეთქი. მაგრამ დალაქი მეუბნება:

— შენ ჩემი მოტყუება გინდა, მარტო წახვალ და ისეთ ხიფათს გადაეყრები, თავს ვეღარ დაიხსნი. ალაჰს გაფიცებ, არ წახვიდე, სანამ დავბრუნდები. წამოგყვები და ვნახავ, როგორ გათავდება შენი საქმე.

— კარგი, ოღონდ არ დაიგვიანო-მეთქი.

აიღო ჩემი მიცემული სასმელ-საჭმელი და ათასი სხვა რამ, გავიდა და მებარგულს ჩააბარა სახლში წასაღებად. თვითონ ერთ ჩიხში დამალულა. იმწამსვე ავდექი. მინარეთებში კი უკვე ეთქვათ პარასკევის სალამი. ჩავიცვი და მარტო გამოვედი. გავწიე

იმ ქუჩისაკენ და ამ სახლთან გავჩერდი, სადაც ქალიშვილი ვნახე. დალაქი კი თურმე ფეხდაფეხ მომდევდა. მე რა ვიცოდი! კარი ღია დამხვდა და შევედი.

უეცრად სახლის პატრონი დაბრუნდა შინ ლოცვიდან. დარბაზში შევიდა და კარები ჩაკეტა. ფანჯრიდან გადმოვიხედე და ვხედავ, ეს დალაქი, ალაჰიმც დასწყევლის მას, კართან ზის.

— საიდან გაიგო იმ შეითანმა, სადა ვარ, — ვთქვი მე. და რადგანაც ალაჰს ჩემთვის თავისი საფარველის მოშორება სდომნია, ამ დროს სახლის პატრონმა ერთ-ერთი თავისი მხევალი დასაჯა და სცემა. მხევალმა ყვირილი ატეხა. მხევალს მონა მიეშველა. სახლის პატრონმა მასაც სცემა. ახლა მონა აღრიალდა და დალაქი დარწმუნდა — მე მცემდნენ. დაიყვირა, ტანსაცმელი შემოიხია და თავზე მტვერი დაიყარა. ყვიროდა, შველას ითხოვდა, ირგვლივ მყოფ ხალხს ეუბნებოდა:

— მოკლეს ჩემი ბატონი ყადის სახლშიო.

ყვირილით გაემართა ჩემი სახლისაკენ, ხალხი უკან მისდევდა, შინაურებისა და ჩემი ღულამებისათვის უცნობებია და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ ყვირილით დაბრუნდნენ. — ვაი, ჩვენო ბატონოო. ტანსაცმელშემოხეული და ხალხით გარშემორტყმული დალაქი წინ მოუძღოდა. ყველა შეუჩერებლად ყვიროდა და იმათ თავში კი დალაქი ღრიალებდა — ვაი, მოკლულსაო! მოუახლოვდნენ იმ სახლს, სადაც ვიყავი. ყადიმ ეს ამბავი გაიგონა და საქმე ემძიმა. ადგა და კარი გააღო. უზარმაზარი ბრბო დაინახა. დაიბნა და თქვა:

— ხალხო, რა ამბავია? ღულამებმა უთხრეს: — ჩვენი ბატონი მოგიკლავსო.

— ხალხო. განა ისეთი რა ჩაიდინა თქვენმა ბატონმა, რომ მომეკლა, — თქვა ყადიმ.. და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთერთმეტე, შაჰრაზადმა

თქვა:

— მეფეევ სვიანო, მსმენია, რომ ყადის ღულამებისათვის უთქვამს:

— განა ისეთი რა ჩაიდინა თქვენმა ბატონმა, რომ მომეკლაო. ან თქვენთან რა უნდა ამ დალაქსო?

— მათრახებით არა სცემე ამ წუთში? მე გავიგონე მისი ყვირილი. — თქვა დალაქმა.

— რა დააშავა, რომ მომეკლა, ვინ შემოიყვანა ჩემს სახლში. საიდან მოვიდა. რა უნდა?!

— ნავსი ბებერი ნუ ხარ, — ეუბნება დალაქი, — ვიცი ეს ამბავი და გეტყვი, რატომაც შემოვიდა შენს სახლში. მთელ სიმართლეს გეტყვი. შენს ქალიშვილს ჩვენი ბატონი უყვარს. და იმასაც უყვარს შენი ქალი. გაიგე. რომ შენს სახლში შემოსულა და მონებს უბრძანე, გაელახათ. ჩვენი ბატონი თუ არ გამოგიყვანია, რომ თავისმა ოჯახმა წაიყვანოს, ალაჰს ვფიცავ, ხალიფას მეტი ვერავინ გაგვსჯის. არ მაიძულო, შემოვიდე და თვითონ გამოვიყვანო. ჩქარა გამოუშვი.

ყადის ენა დაება. ხალხისა შერცხვა. დალაქს უთხრა:

— შენ თუ მართალს ამბობ. შემოდი და თვითონ გამოიყვანე.

ადგა დალაქი და სახლში შემოვიდა. გაქცევა დავაპირე. მერე სხვა სამალავი ვეღარა ვნახე რა და ერთ დიდ სკივრში ჩავძვერი, რომელიც იმ სართულზე დავინახე, სადაც ვიყავი. თავი დავახურე და სუნთქვა შევიკარი. დალაქი შემოვარდა დარბაზში. არსაით არ გაუხედავს, პირდაპირ იქით გამოეშურა, დამალული სადაც ვიყავი. გაიხედა მარჯვნივ, მარცხნივ. იმ სკივრის მეტი ვერაფერი ნახა, თავზე შეიდგა და წაიღო. მაშინ კი დავკარგე ჭკუა. დალაქი სწრაფად მიდიოდა და როდესაც მივხვდი, თავს არ დამანებებდა, საჩქაროდ გავაღე სკივრი, ამოვედი, ძირს გადმოვხტი და ფეხიც მოვიტეხე. კარებთან მივედი, უამრავი ხალხი დავინახე. ჩემს სი-

ცოცხლეში არ მინახავს იმოდენა ბრბო, იმ დღეს რომ იყო, ავდექი და ოქროების ფანტვა დავიწყე, რომ ხალხი ამით გამერთო, მართლაც ხალხი იმას წაესია. მე კი სირბილით გავწიე ბაღდადის ქუჩებში. ეს დალაქი უკან მომდევდა. სადაც არ უნდა შევსულიყავი, მომყვებოდა და მიჩიჩინებდა:

— ჩემი გაუბედურება უნდოდათ ჩემი ბატონის დაღუპვით, მაგრამ დიდება ალაჰს, რომელმაც მეც გამიმარჯვა და ჩემი ბატონიც იხსნა მათ ხელთაგან. ისევ აჩქარდი, წინდაუხედავი რომ ხარ და ასეთი ამბავი დაიტეხე. ალაჰს რომ ჩემი თავი არ მოეცა, ამ უბედურებას ვერ გადარჩებოდი. იქნებ ისეთ დღეშიაც ჩაეგდეთ, ვერასოდეს თავი ვერ დაგეღწია. ალაჰს შესთხოვე — ვიცოცხლო შენს გადასარჩენად. ალაჰ! ვფიცავ, კინაღამ დამღუპე შენი წინდაუხედაობით, მარტო წასვლას რომ აპირებდი. მაგრამ გვიპატიებია შენი სისულელე, ჭკუანაკლული და სულსწრაფი რომ ხარ.

— არ გეყო, რაც მოხდა შენ გამო და კიდევ უკან დამდევ-მეთქი, ბაზრებში?

სიკვდილს ვნატრობდი, რომ დალაქისაგან თავი დამეხსნა და ვერ ვპოულობდი. გაშმაგებული გავიქეცი. ბაზრის შუაგულში ერთ დუქანში შევვარდი და დუქნის პატრონს შველა ვთხოვე. და იმანაც არ შემოუშვა ჩემთან დალაქი. საწყობში ვიჯექი და გულში ვამბობდი: — ამ დალაქს ვეღარ მოვიშორებ, ჩემთან იქნება დღე და ღამე. მე კი აღარ შემიძლია, მის სახეს ვუცქირო.

იმწამსვე დავიბარე მოწმეები, ანდერძი დავუწერე ჩემს ოჯახს. ქონება გავანაწილე. მეთვალყურეო კაცი დავუნიშნე და სახლისა და მამულების გაყიდვა ვუბრძანე. იმას ჩავაბარე დიდი და მცირე. მე კი იმ დროიდან სამოგზაუროდ წამოვედი, რომ ამ მაჭანკალასთვის როგორმე თავი დამეღწია. თქვენს ქვეყანაში მოვედი და დავსახლდი. დამპატიჟეთ, გეწვიეთ და ვხედავ, ეს საზიზღარი მაჭანკალა თქვენთან არის და შუა ადგილას ზის. როგორ უნდა მოვისვენო და ვისიამოვნო თქვენთან ყოფნით, როცა ასეთი საქმე

დამმართა და მაგის მიზეზით მომტყდა ფეხი.

და ჭაბუკმა დაჯდომაზე უარი თქვა. იმ ჭაბუკისა და დალაქის ამბავი რომ მოვისმინეთ, დალაქს ვკითხეთ:

— მართალია, რაც თქვა ამ ჭაბუკმა შენზე?

— ალაჰს ვფიცავ, — მოგვიგო დალაქმა, — ეს ჩემი ცოდნით, ჭკუითა და ვაჟკაცობით ჩავიდინე. ეს რომ არ მექნა, უსათუოდ დაიღუპებოდა. მისი გადარჩენის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ. და ალაჰს უმადლოდეს, რომ ჩემი წყალობით ფეხი დაიშავა და არა თავი. ბევრი ლაპარაკი რომ მყვარებოდა, ასეთ სიკეთეს როგორღა ვუზამდი. მე თქვენ გიამბობთ ერთ ამბავს, რაც თავს გადამხდომია და დაიჯერებთ, რომ ცოტა ლაპარაკი ვიცი და ყბედი არა ვარ, განა ჩემს ძმებს ვგავარ.

ამბავი დალაქისა, ნათქვამი საკუთარ თავზე.

მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ალ-მუსთანსირ ბილაჰის ხალიფობის დროს ბაღდადში ვცხოვრობდი. ხალიფას უყვარდა უპოვარნი და გლახაკნი და სწავლულებსა და ღვთისმოსავებთან ატარებდა დროს. მოხდა ისე, რომ ერთ დღეს ხალიფა ათ კაცზე განრისხდა. ბაღდადის მმართველს უბრძანა, ნავით მოეგვარა ისინი. დავინახე და ვიფიქრე, უეჭველად საქეიფოდ შეყრილან, ამ ნავში გაატარებენ მთელ დღეს ჭამასა და სმაში. იმათი ნადიმი უჩემოდ როგორ იქნება-მეთქი. ავდექი, მეც ჩავედი და იმათში გავერიე. მეორე ნაპირზე რომ გადასხდნენ, ვალის ქეშიკები მოვიდნენ, ბორკილები მოიტანეს, კისერზე დაადეს და იმათთან ერთად მეც შემბორკეს. ესეც ხალხო და ჯამაათო, ჩემი ვაჟკაცობისა და სიტყვაძვირობის ბრალია — ხმის ამოღება არ მოვინდომე. წაგვიყვანეს ბორკილებგაყრილნი და ყველანი მართლმორწმუნეთა მბრძანებელს, მუსთანსირ ბილაჰს, მიგვგვარეს. ხალიფამ ბრძა-

ნა, ათივეს თავი გააგდებინეთო. ჯალათმა ათივეს მოჰკვეთა თავი და დავრჩი მე. ხალიფა მობრუნდა და დამინახა. ჯალათს უთხრა:

— ათივეს რად არ გააგდებინე თავი?

— ათივეს გავაგდებინეო, — მიუგო ჯალათმა.

ხალიფამ თქვა:

— მე მგონია, მხოლოდ ცხრას მოჰკვეთე თავი და ჩემ წინაშე რომ დგას, ეს მეათეაო.

— შენს წყალობას ვფიცავ, ათიაო, — უთხრა ჯალათმა.

ხალიფამ ბრძანა დაეთვალათ. დათვალეს და მართლაც ათია. ხალიფა მეკითხება:

— რამ გაგაჩუმა ასეთ დროს, ანდა ამ ავაზაკებთან როგორ გაჩნდიო?

— იცოდე, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, რომ მდუმარე შეიხი მქვია, — მივუგე მე. — დიდი სიბრძნის პატრონი ვარ. ჩემი გონების სიდინჯეს, გუმანსა და სიტყვაძვირობას რაც შეეხება. იმას კი საზღვარი არა აქვს. ხელობით დალაქი გახლავარ. გუშინ დილით დავინანე ეს ათი კაცი ნავისაკენ მიდიოდა შევერიე და იმათთან ერთად ჩავჯექი ნავში, მეგონა, საქეიფოდ შეყრილიყვნენ დიდი დრო არ გასულა და აღმოჩნდა, თურმე ავაზაკები არიან. მივიდნენ ქეშიკები, კისერზე ჯაჭვი გამოაბეს და იმათთან ერთად მეც შემბორკეს მე კი გაჩუმდი და ხმა არ ამომიღია მეტისმეტი ვაჟკაცობის გამო. განა ასეთ დროს გაჩუმება დიდი ვაჟკაცობა არ არის? წამოგვიყვანეს და აქ მოგვიყვანეს. ბრძანე თავის მოკვეთა ათი კაცისათვის დავრჩი მე ჯალათის წინაშე, მაგრამ ჩემი ვინაობა მაინც არ გაგიმჟღავნეთ და განა ეს უდიდესი ვაჟკაცობა არ არის? მეც ხომ კინაღამ იმათი სიკვდილი გავიზიარე. მაგრამ რას იზამ! მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიკეთეს ვთესავ ასე და ამგვარად.

ხალიფამ ჩემი ნათქვამი მოისმინა, გაიგო, როგორი ვაჟკაცი,

სიტყვაძვირი ვარ და სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს, როგორც გაიტანეს ეს ჭაბუკი, ხიფათს რომ გადავარჩინე, და მითხრა:

— შენი ექვსი ძმაც შენსავით ბრძენი, სწავლული და სიტყვაძვირია?

— არ იცოცხლონ და არ გადარჩნენ, ჩემნაირები თუ იყვნენ როგორც მამდაბლებ. მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, როგორ გეკადრება ჩემი იმათთან შედარება. — მივუგე მე. — ლაპარაკი რომ ბევრი იციან და ვაჟკაცობა მცირე — ყველა ხეიბარია: ერთი კოჭლია, ერთი ბრუტიანი, ერთი კუტი, ერთი ბრმა, ერთი ცხვირ და ყურებდაჭრილი, ეს ერთი ტუჩებგაპობილი და ერთიც ცალთვალა მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. არ იფიქრო, თითქოს ბევრი ლაპარაკი მიყვარდეს. მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ამათზე დიდი ვაჟკაცი ვარ. ყოველივე მათგანი რაღაც ამის გამო დასახიჩრდა და თუ გსურს, მოგიყვები.

ამბავი დალაქის პირველი ძმისა

მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, იცოდე, პირველი ძმა, კოჭლი რომ არის, ხელობით თერძი იყო ბაღდადში. სახელოსნოში მუშაობდა. რომელიც ერთი მდიდარი კაცისაგან იქირავა. ის კაცი სახელოსნოს გემოთ ცხოვრობდა, იმ სახლის ქვედა სართულში კი წისქვილი იყო, ერთხელ ჩემი ძმა სახელოსნოში ზის და კერავს. უეცრად თავი ასწია და იმ სახლის სარკმელში დაინახა ქალი — ამომავალი მთვარის დარი. იგი ხალხს ათვალიერებდა. დაინახა ჩემმა ძმამ და გულს, მისი სიყვარული ჩაუვარდა. მთელი დღე იმას უყურებდა საკერავისათვის ხელი არ უხლია საღამომდე. დილით სახელოსნო გააღო და საკერავად დაჯდა. გაუყრიდა ნემსს და შეხედავდა სარკმელს. დიდხანს იჯდა ასე და დირჰამის საღირალიც კი არაფერი შეუკერავს. მესამე დღესაც

დაჯდა თავის ადგილას. თან იქით იცქირებოდა. დაინახა ქალმა, მიხვდა, რომ ჩემი ძმა სიყვარულის ტყვედ ქცეულიყო და სახეში შესცინა. მერე გაქრა და მხევალი გამოუგზავნა. თან გამოატანა ბოხჩა. შიგ ერთი თოფი სახიანი წითელი ქსოვილი იყო. მოვიდა მხევალი და ეუბნება:

— ჩემი ქალბატონი სალამს გითვლის და გთხოვს: — მადლიანი ხელით ამ თოფიდან პერანგი გამოუჭრა და კარგადაც შეუკერო.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო მან. ტანსაცმელი გამოუჭრა და იმავე დღეს შეუკერა. მეორე დღეს, დილაადრიან, მხევალი მოვიდა და ეუბნება:

— ჩემი ქალბატონი სალამს გითვლის და კითხულობს, როგორ გუნებაზე ბრძანდები.

მერე კი წინ ყვითელი ატლასის თოფი დაუდო.

— ჩემმა ქალბატონმა შემოგითვალა, აქედან შეიდიში გამომიჭერი და დღესვე შემიკერეო.

— გისმენ და გემორჩილები, მრავალი მოკითხვა შენს ქალბატონს, — მიუგო მან.

შეუდგა გამოჭრას. მუყაითად კერავდა. ცოტა ხნის შემდეგ სარკმელში ის ქალი გამოჩნდა. სალამი ანიშნა და სახეში შესცინა. მერე კი გაქრა. მოვიდა მხევალი. ჩემმა ძმამ საკერავი ჩააბარა. მხევალმა აიღო და წავიდა. დაღამდა. ჩემი ძმა საწოლზე დაეგდო და გათენებამდე წრიალებდა ლოგინში. როდესაც გათენდა, ადგა და თავის ადგილას დაჯდა. მოვიდა მხევალი და ჩემს ძმას ეუბნება:

— ჩემი ბატონი გეძახისო.

შეშინდა ჩემი ძმა ამის გაგონებაზე.

მხევალმა რომ მისი შიში დაინახა, უთხრა:

— ნუ გეშინია, ამაში სიკეთის მეტი არაფერია. ჩემი ქალბატონი ამას იმიტომ აკეთებს, რომ ერთმანეთი გაიცნოთ.

კაცს ძლიერ გაუხარდა და წაჰყვა. შევიდა მის ბატონთან, ქალ-ბატონის ქმართან. ემთხვია მიწას და იმანაც უპასუხა სალაზე. უამრავი რამ მისცა და უთხრა:

— აქედან პერანგები გამომიჭერი და შემიკერეო.

ჩემი ძმა შეუჩერებლად ჭრიდა. საღამომდე ოცი პერანგი გა-მოჭრა და საჭმლის გემოც არ უნახავს.

— რამდენი გეკუთვნის? — ჰკითხა კაცმა. — ოცი დირჰამი, — მი-უგო ჩემმა ძმამ. ქმარმა მხევალს დაუძახა და უთხრა:

— ოცი დირჰამი მოიტანეს.

ჩემს ძმას ხმა არ ამოუღია მაშინ ქალმა თვალით ანიშნა — ნუ-რაფერს გამოართმევო.

— ღმერთმანი, ვერაფერს გამოგართმევო, — თქვა ჩემმა ძმამ, აიღო საკერავი და წავიდა, თუმცა ერთი ფელსიც კი არ გააჩნდა. სამი დღის განმავლობაში თითქმის არაფერი უჭამია და უსვამს იმ საკერავის გადამკიდეს. დაამთავრა საკერავი და მიუტანა. ქალს ქმრისათვის გაუმხელია მისი ამბავი. ჩემმა ძმამ კი არ იცო-და რა. ერთმანეთში მოულაპარაკნიათ, მუქთად ემუშავებინათ ჩემი ძმა და გაემასხრებინათ. მთელ საქმეს რომ მორჩა. მაშინ კი ეშმაკობით მხევალზე დააქორწინეს. ცოლთან რომ უნდა შესუ-ლიყო, იმ ღამეს უთხრეს:

— ამაღამ წისქვილში იყავ ხვალამდე და ხეირი იქნებაო.

ჩემი ძმა დარწმუნებული იყო იმათ კეთილ ზრახვაში და წის-ქვილში გაათია ღამე მარტოდმარტომ. იმ ქალის ქმარი მეწისქვი-ლესთან მისულა და წაუქეზებია, ჩემი ძმისთვის წისქვილის ქვა ეტრიალებინა. შუაღამისას ჩემს ძმასთან მეწისქვილე შესულა და ლაპარაკი დაუწყია:

— ეს ზარი უქნარაა. ხორბალი ბევრია. საფქვავის პატრონები დაფქვილს თხოულობენ. შევაბამ ამ კაცს დოლაბში, რომ ხორ-ბლის დაფქვას მორჩესო. — შეაბა და გათენებამდის წისქვილის ქვა ატრიალებინა. სახლის პატრონი მოვიდა და ხედავს — ჩემი

ძმა დოლაბშია შებმული და მეწისქვილე მათრახს ურტყამს. დატოვა და წავიდა. დილაადრიან მხევალი მოვიდა, ვისთანაც ქორწინების წიგნი ჰქონდა დაწერილი, დოლაბიდან გამოხსნა და უთხრა:

— ძალიან მძიმეა ჩემთვის და ჩემი ქალბატონისათვის, რაც დაგმართნია შენი დარდი გულზე გვაწევსო.

ჩემი ძმა კი ისე იყო ნაცემი, რომ პასუხისათვის ენა ვეღარ მოატრიალა. დაბრუნდა შინ და, აი, შეიხიც მიადგა, ქორწინების წიგნი ვინც დაუწერა. მიესალმა და ეუბნება:

— ალაჰმა გაცოცხლოს. შენი ქორწინება აკურთხოს. სიამოვნებასა, სიტკბოებასა და ხვევნაში ყოფილხარ საღამოდან დილამდეო.

— ალაჰიმც ნუ გაუმარჯვებს მატყუარას, შე ათგზის მაჭანკალო, იქ მხოლოდ იმისათვის მივსულვარ. რომ გათენებამდის მეფქვა ხარის მაგიერ!

— მითხარ, შენი ამბავი, — თქვა შეიხმა. ჩემმა ძმამაც უამბო, რაც შეემთხვა. მაშინ შეიხმა უპასუხა:

— შენი და მისი ვარსკვლავი ერთმანეთს არ შეესაბამება, მაგრამ. თუ გინდა, გამოვცვლი ქორწინების წიგნს უკეთესზე. შენი ვარსკვლავი რომ იმისას დაემთხვეს.

— ნახე, აბა, იქნებ კიდევ დაგრჩენია რაიმე ხრიკი? — უთხრა ჩემმა ძმამ. დატოვა და თავის სახელოსნოში შევიდა. ელოდებოდა, იქნებ ვისმე საქმე რამე მოეტანა და მისი საფასურით თავი ერჩინა.

უეცრად მოვიდა ის მხევალი. თავის ქალბატონთან შეთანხმებულა ამ ეშმაკობაზე. ჩემს ძმას ეუბნება:

— ჩემს ქალბატონს ძალიან ენატრები, ბანზე ავიდა, რომ სარკმლიდან შენი სახე დაინახოს.

და ჩემმა ძმამ გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ ის ქალი სარკმელში გამოჩნდა. ტირილით უთხრა:

— რად გაწყდა ჩვენი ურთიერთობა?

ჩემმა ძმამ ხმა არ გასცა. ქალმა უთხრა:

— წისქვილში რაც მოხდა, ჩემი ნებით როდი იყო.

ქალის სიტურფესა და სილამაზეს რომ შეხედა, ჩემს ძმას ყველაფერი დაავიწყდა. აპატია და მისი ნახვით გაიხარა. მიესალმა და საუბარი გაუბა. ერთხანს საკერავად დაჯდა. მერე კი მხევალი მოვიდა და უთხრა ჩემს ძმას:

— ჩემი ქალბატონი მოგიკითხავს და გითვლის — ჩემს ქმარს გადაუწყვეტია ამაღამ ერთ-ერთ თავის მეგობართან დარჩესო. ის როცა წავა, შენ მოდი და ჩემს ქალბატონთან გაათიე ტკბილი ღამე დილამდისო.

ქმარს კი ქალისათვის უთქვამს:

— რა ვიღონო, როცა შენთან მოვა, რომ დავიჭირო და ვალისთან წავათრიოო.

ქალს უთქვამს:

— დამაცადე. ფანდი მოვიგონო და თავი მოვჭრა. ამ ქალაქში თითით საჩვენებელი გახდესო.

ჩემმა ძმამ კი არა იცოდა რა დიაცთა ვერაგობისა, საღამო ჟამს მხევალი მოვიდა და თავის ქალბატონთან წაიყვანა.

— ძალიან მომენატრე, — უთხრა ქალმა.

— ალაჰს გაფიცებ, — მიუგო ჩემმა ძმამ. — ჯერ ჩქარა მაკოცე, ყველაფერზე ადრე.

სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ქალის ქმარი დაბრუნდა მეზობლიდან. სტაცა ხელი ჩემს ძმას და უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ. მხოლოდ ქეშიკთუხუცესთან მოგშორდები.

ჩემმა ძმამ ხვეწნა დაუწყო, მაგრამ იმან ყურიც არ ათხოვა და ვალისთან წაათრია. ვალიმ მას მათრახებით სცემა, აქლემზე შესვა და ქალაქის ქუჩები შემოატარა.

— ასე მოუვა იმას, ვინც სხვის ჰარემში შედისო, — უყვიროდა

ხალხი. ჩემი ძმა აქლემიდან გადმოვარდა, ფეხი მოიტეხა და დაკოჭლდა. ვალიმ ქალაქიდან გააძევა. გავიდა ჩემი ძმა ქალაქიდან და არ იცოდა. საით წასულიყო: გავბრაზდი, დავეწიე და უკან მოვაბრუნე. აქამდის მე ვარჩენ. ხალიფამ გადაიხარხარა ჩემს სიტყვებზე. მითხრა:

— რა კარგად ლაპარაკობო. მე მივუგე:

— ამ ქება-დიდებას ვერ მივიღებ, სანამ არ მოისმენ, რა დაემართა დანარჩენ ჩემს ძმებს. მაგრამ არ გეგონოს. თითქოს ბევრი ლაქლაქი მიყვარდეს.

მაშინ ხალიფამ თქვა:

— მიამბე ყველა ძმის თავგადასავალი, დამიტკბე სმენა მოხდენილი ამბებით, იყავ ენაწყლიანი და მოიგონე ლამაზი ნაკვესები.

ამბავი დალაქის მეორე ძმისა

და ვთქვი:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, იცოდე, რომ ჩემს მეორე ძმას ბაკბაკს ეძახიან. ერთ დღეს, თავის საქმეზე რომ მიდის, უეცრად გზად ერთი დედაბერი შემოეყარა და უთხრა:

— ჰეი. კაცო. გაჩერდი ცოტა ხანს. რაღაცას გირჩევ ჭკუაში თუ დაგიჯდეს. შემისრულე.

ჩემი ძმა გაჩერდა.

რაღაცას გასწავლი და წაგიყვან იმ პირობით. ბევრს თუ არ ილაპარაკებ, — ეუბნება დედაბერი.

— აბა. ერთი თქვიო, — უთხრა ჩემმა ძმამ.

— რას იტყოდი, — თქვა დედაბერმა, — ერთ ლამაზ სახლზე, რომელსაც წყალი ჩამოუდის. ხილზე. ღვინოსა, ლამაზ სახეზე, რომელსაც უყურებ, გადატკეცილ ლოყაზე, რომელსაც აკოცებ. მოხდენილ წელზე, რომელსაც მოეხვევი, და ეს გაგრძელდება საღამოდან დილამდე პირს თუ შეინახავ. ხეირსაც ნახავ.

დედაბრის ნათქვამი რომ გაიგონა, ჩემმა ძმამ უთხრა: — მთელ ხალხში რაღა მე გამომარჩიე, ჩემი რა მოგეწონა?

— აკი გითხარი, — თქვა დედაბერმა, — ბევრს ნუ ილაპარაკებ, გაჩუმდი და წამომყევი.

დედაბერი გატრიალდა. ჩემი ძმაც, რომელსაც მონაყოლმა ცნობის წადილი აღუძრა, უკან გაედევნა. იარეს, ვიდრე ერთ დიდ სახლში არ შევიდნენ. დედაბერმა ზევით აიყვანა. და ჩემმა ძმამ ნახა, დიდებული სასახლე იყო. დაინახა ოთხი ქალიშვილი. იმათზე უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავდა. ისე მღეროდნენ, რომ უსულგულო ქვაც კი მოიხიბლებოდა. ერთ-ერთმა კათხა გამოსცალა. ჩემმა ძმამ უთხრა:

— ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა!

ჩემი ძმა ადგა, რომ მომსახურებოდა, მაგრამ ქალთა ნება არ დართო და იმასაც ერთი კათხა დაალევინა. ჩემმა ძმამ დალია და ქალმა კისერში ჩასცხო. ამაზე ჩემი ძმა გაბრაზდა და ქაქანით გამოვარდა. დედაბერი გამოჰყვა. თვალით ანიშნა, დაბრუნდიო. ჩემი ძმა დაბრუნდა. ხმის ამოუღებლად დაჯდა. ქალმა ისევ ჩაარტყა კეფაში და ისე, რომ ჩემმა ძმამ გრძნობა დაკარგა. ისევ წამოხტა ჩემი ძმა. დედაბერი დაეწია და უთხრა:

— ცოტაც მოითმინე და სურვილს შეისრულებ. — როდემდისღა ვითმინო, — უპასუხა ჩემმა ძმამ.

— როცა დათვრება, მაშინ მიაღწევ საწადელს, — უთხრა დედაბერმა.

ჩემი ძმა დაბრუნდა თავის ადგილას და დაჯდა. ის ქალიშვილები ადგნენ. დედაბერმა ქალიშვილებს უბრძანა, ტანსაცმელი გაეძროთ ჩემი ძმისათვის და პირს ვარდის წყალი ესხურებინათ. ასეც მოიქცნენ. ერთმა ქალიშვილმა, ყველაზე მეტად რომ გამოირჩეოდა სილამაზით, ჩემს ძმას უთხრა:

— ალაჰიმც განგადიდებს, ჩემს სახლში შემოსულხარ და ჩემს პირობას თუ დაიცავ, სურვილს შეისრულებ.

შენი მონა ვარ და შენ ხელთა ვარ, — მიუგო ჩემმა ძმამ. ქალმა უთხრა:

— იცოდე, რომ ალაჰმა მე მხიარულება შემაყვარა და ვინც დამემორჩილება, მიიღებს, რასაც ისურვებს.

ქალმა მხევლებს სიმღერა უბრძანა. ისინიც ამღერდნენ და მეჯლისი გამხიარულდა. მერე იმ ქალიშვილმა მხევალს უთხრა:

— წაიყვანე შენი ბატონი. გაუკეთე, რაც საჭიროა, და იმწამსვე მოიყვანე

მხევალმა წაიყვანა და ჩემმა ძმამ არ იცოდა, რა უნდა ექნა. დედაბერი დაეწია:

— მოითმინე, ცოტაღა დარჩაო.

ჩემი ძმა მხევალსა და დედაბერს მიუბრუნდა, რომელიც ეუბნებოდა — მოითმინე და მიაღწევ სასურველსო, მხოლოდ ერთიღა დარჩა — შენი წვერის გაპარსვაო.

ჩემმა ძმამ უთხრა:

— ეს როგორ ვქნა, ხალხში თავი მომეჭრებაო.

დედაბერმა უთხრა:

— იმ ქალს ასე იმიტომ უნდა, რომ ჭაბუკივით პირტიტველა იყო და შენმა სახემ არ დაჩხვლიტოსო. ძალიან შეუყვარდი. მოითმინე და მიაღწევ სასურველსო.

— ჩემმა ძმამაც მოითმინა. მხევალს დაემორჩილა და წვერი მოიპარსა. მხევალმა იგი ქალთან შეიყვანა. წვერ-ულვაშ და წარბებგაპარსული, სახეგაწითლებული. ქალს შეეშინდა. მერე სიცილისაგან გადაბრუნდა და უთხრა.

— ჩემო ბატონო, დამატყვევე შენი კარგი ხასიათითაო.

მერე თავისი თავი დააფიცა, — ადექი და იცეკვეო. ჩემი ძმაც ადგა და ცეკვა დაიწყო. იმ სახლში ბალიში აღარ დარჩენილა, რომ ქალს, მისთვის არ ჩაერტყას. მხევლებიც ნარინჯს, ლიმონსა და თურინჯს ესროდნენ, სანამ ცემისგან გულწასული ძირს არ დაეცა. ისინი კი შეუჩერებლად ურტყამდნენ კეფაში და ესროდნენ

სახეში. სანამ დედაბერმა არ უთხრა:

— ახლა კი შეისრულებ ხვაშიადს. იცოდე, შენი ცემა დამთავრებულია. მხოლოდ ერთიღა დარჩა. ამ ქალს ჩვეულებად აქვს, არავის დანებდეს, სანამ ტანსაცმელს არ გაიხდის და შიშველი არ დარჩება. შენც უნდა გაიხადო ტანსაცმელი და გამოეკიდო, შეუჩერებლად უნდა სდიო ერთი ადგილიდან მეორეზე, სანამ ვნება არ მოგერევა და მაშინ კი დაგნებდება. ადექი და გაიხადე.

ჩემი ძმა ადგა. გრძნობადაკარგული რომ იყო... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები. და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთორმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

მეფევ სვიანო, მსმენია, რომ დედაბერმა დალაქის ძმას უთხრა: — გაიხადეო. ისიც ადგა, გრძნობადაკარგული რომ იყო, ადგა, ტანსაცმელი გაიხადა და გაშიშვლდა. მხევალმა უთხრა:

— ადექი ახლა და გამომეკიდე. მე წინ გავიქცევი და შენ, თუ რამე გინდა, უკან მომყევი.

ქალი ოთახიდან ოთახში შერბოდა, ერთი სამყოფიდან მეორეში გადიოდა და ჩემი ძმაც უკან მისდევდა. ვნება მოერია და გიჟივით იქცა. ქალი შეუჩერებლად გარბოდა, ჩემი ძმა მისდევდა. ამ დროს რაღაც ჩქამი გაიგონა და უეცრად ჩემი ძმა შუა ქუჩაში აღმოჩნდა. ეს ქუჩა კი შიგ დაბაღხანაში იყო. და დაბაღები ამ დროს მუშტარს უხმობდნენ. ასეთ ყოფაში რომ დაინანეს — შიშველი, აგზნებული, წვერ-ულვაშ და წარბებგაპარსული, ხალხმა სიცილი დააყარა. ვიღაცამ ტყავების ცემა დაუწყო შიშველს, ვიდრე გული არ წაუვიდა. შესვეს ვირზე და ვალისთან მიიყვანეს.

— ეს რა არის? — თქვა ვალიმ.

ვალის უთხრეს:

— ვაზირის სახლიდან დაგვეცა თავზე ასეთი სანახავიო.

ვალიმ ასი მათრახი დაარტყა და ქალაქიდან გააძევა. მე უკან გავყევი. დავაბრუნე, ჩუმად ქალაქში შემოვიყვანე და სარჩო მივეცი. და თუ არა ჩემი ვაჟკაცობა, ასეთ კაცს როგორ ავიტანდი?!

ამბავი დალაქის მესამე ძმისა

— რაც შეეხება ჩემს მესამე ძმას, იმას კი კუფა ჰქვია. განგებამ იგი ერთხელ ერთ დიდ სახლთან მიიყვანა. კარზე დააკაკუნა, იქნებ სახლის პატრონი გამომელაპარაკოს და რაიმე ვთხოვოო.

— ვინ არის კარზე? — იკითხა სახლის პატრონმა. მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ჩემმა ძმამ გაიგონა. სახლის პატრონმა ხმამაღლა იკითხა:

— ვინ არის?

ჩემმა ძმამ ხმა არ გასცა. ესმოდა ფეხის ხმა, ვიდრე სახლის პატრონი კართან არ მოვიდა, გააღო და უთხრა:

— რა გინდა? — რაიმე, დიდი ალაჰის გულისთვის, — მიუგო ძმამ. — უსინათლო ხომ არა ხარ? — ჰკითხა სახლის პატრონმა. — დიახ. — უთხრა ჩემმა ძმამ.

— მომე ხელი, — ეუბნება სახლის პატრონი. ჩემმა ძმამ ხელი მისცა. იმ კაცმა შინ შეიყვანა და შეუჩერებლად მიჰყავდა ზევით, კიბიდან კიბეზე. ვიდრე სულ მაღლა. ბანზე. არ აიყვანა. ჩემს ძმას ეგონა, ის კაცი აჭმევდა, ანდა მისცემდა რამეს. ყველაზე მაღალ ადგილს რომ მიაღწია. იმ კაცმა ჩემს ძმას უთხრა:

— რა გინდა, უსინათლოვ?

— მომეცი რამე, ალაჰის გულისათვის. მაღალიც არის იგი, — უთხრა ჩემმა ძმამ.

— ალაჰმა გაგიკითხოს. — მიუგო სახლის პატრონმა. — ამის თქმა განა დაბლა არ შეგეძლო? — ჰკითხა ჩემმა ძმამ.

— ჰო. შე მდაბალზე უმდაბლესო, — უთხრა სახლის პატრონმა, — შენ კი მაშინ რად არა მთხოვე მოწყალება, პირველად რომ გაიგონე ჩემი ხმა, კარზე როცა დააკაკუნე?

— ახლა რას მიპირებ?

— მე არაფერი არა მაქვს შენი მოსაცემი.

— მაშ, კიბეზე მაინც ჩამიყვანე.

— გზა შენ წინაა, მიუგო სახლის პატრონმა.

ჩემი ძმა კიბისაკენ შებრუნდა. ძირს მოდიოდა და, კარამდე ოციოდე საფეხური რომ დარჩა, ფეხი დაუცდა, ჩამოგორდა და თავი გაიტეხა. გამოვიდა ეს სახლიდან. არ იცოდა, საით წასულიყო. ამ დროს თავისი უსინათლო ამხანაგები წამოეწივნენ და ჰკითხეს:

— დღეს რა იშოვეო. ჩემი ძმა მოჰყვა. რაც დაემართა. მერე უთხრა:

— მეგობრებო. მინდა ცოტაოდენი ფული ავიღო და დავხარჯო იმ ფულიდან, ჩვენ რომ გვაქვს.

იმ სახლის პატრონი თურმე უკან მიჰყვებოდა, უნდოდა მისი ამბავი გამოერკვია. იმათ ლაპარაკს ყური მოჰკრა. ჩემმა ძმამ არ იცოდა, სახლის პატრონი რომ უკან მისდევდა. შევიდა სახლში და ის კაციც უკან შეჰყვა. ისე რომ არაფერი გაუგია. ჩემი ძმა დაჯდა. ამხანაგებს ელოდა. ისინიც შემოვიდნენ და ჩემმა ძმამ თქვა:

— კარი დაკეტეთ და სახლი გაჩხრიკეთო.

ჩემი ძმის ნათქვამი რომ გაიგონა. ის კაცი ადგა და ჭერზე ჩამობმულ თოკს ჩამოეკიდა. მთელი სახლი მოიარეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. მაშინ დაბრუნდნენ და ჩემს ძმას მოუსხდნენ. ამოიღეს თავიანთი ფული და დათვალეს. ათი ათასი დირჰამი აღმოჩნდა. ყოველმა მათგანმა აიღო, რაც ამაზე მეტი იყო, ვისაც რამდენი სჭირდებოდა და ათი ათასი დირჰამი ისევ მიწაში ჩაფლეს. მერე ცოტაოდენი სანოვაგე დაიწყეს და საჭმელად დასხდნენ. ჩემს ძმას გვერდით უცნობის ხმა შემოესმა.

— ჩვენთან ვინმე უცხო ხომ არ არის. — უთხრა თავის მეგობრებს. ხელი გაიშვირა და იმ კაცის სახლის პატრონის ხელს ჩაავლო. თავის ამხანაგებს დაუყვირა:

— ეს უცხო კაციაო.

ისინი ეკვეთნენ იმ კაცს. ცემა დაუწყეს და, ცემით რომ გული

იჯერეს. ყვირილი ატეხეს:

— ჰოი, მუსლიმებო, ქურდი შემოვიდა ჩვენი ფულის მოსაპარად!

ხალხი შეგროვდა და იმ უცხო კაცმა, სახლის პატრონმა, ქურდი რომ უწოდეს, თვალები დახუჭა, ვითომ ისიც იმათსავით უსინათლო იყო. ასე რომ ამაში არავინ დაეჭვებულა. იმანაც ყვირილი დაიწყო:

— მუსლიმებო, ალაჰისა და სულტნის მფარველობას მოვითხოვ, ალაჰისა და ამირის მფარველობას მოვითხოვ, ალაჰისა და ვალის მფარველობას მოვითხოვ! ამირისათვის ერთი გულწრფელი რჩევა მაქვსო.

და გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ვალის რაზმი შემოეხვია. შეიპყრეს ისინი. იმათთან ერთად ჩემი ძმაც და ვალის მიჰგვარეს.

— რა ამბავია, რა მოხდა. — თქვა ვალიმ.

იმ კაცმა უთხრა:

— ყური მიაპყარ ჩემს ნათქვამს, შენ ჩვენზე სიმართლეს ვერ გაიგებ, თუ არ დაგვსაჯე. და თუ გინდა, ჩემგან დაიწყე, ჩემს ამხანაგებზე ადრე მე დამსაჯე.

— წააქციეთ და მათრახები გადაუჭირეთ. — ბრძანა ვალიმ.

წამოაქციეს და ურტყეს. ტკივილებს რომ ვეღარ გაუძლო, ცალი თვალი გაახილა. კიდევ რომ უმატეს ცემას. მეორე თვალიც გაახილა.

— ეს რა საქციელია, შე ურცხვო. — თქვა ვალიმ.

— ხელს თუ არ მახლებ, ყველაფერს გეტყვი, — უთხრა კაცმა. ვალიმ ხელშეუხებლობის პირობა მისცა. მაშინ იმ კაცმა თქვა:

— ჩვენ ოთხნი უსინათლობას ვიგონებთ, მივდივართ ხალხთან, შევდივართ სახლში, ვუჭვრეტთ ქალებს, ეშმაკობით ვრყვნით და ფულსაც ვწაპნით. ასე შევაგროვეთ დიდძალი ქონე-

ბა — ათი ათასი დირჰამი. მერე ჩემს ამხანაგებს ვუთხარი — მომეცით ჩემი წილი ორი ათას ხუთასი დირჰამი-მეთქი, ისინი კი ადგნენ და მცემეს. ფულიც წამართვეს. და მე შემწეობასა გთხოვთ ალაჰსა და შენ. ჩემი წილი შენ უფრო გეკუთვნის, ვიდრე ჩემს ამხანაგებს. თუ გსურს, ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდე, უბრძანე, თითოეული მათგანი სცემონ უფრო მაგრად, ვიდრე მე, და თვალებს გაახელენ.

ვალიმ ბრძანა იმათი დასჯა და პირველად ჩემი ძმით დაიწყო. იმდენი ურტყეს, სანამ სიკვდილის პირს არ მიიყვანეს. მეორე ვადით უთხრა:

— თქვე ურცხვებო. ღვთის წყალობასა გმობთ და უსინათლობა იგონებთ?!

— ალაჰ! ალაჰ! ალაჰ! — წამოიძახა ჩემმა ძმამ. — ჩვენ შორის თვალხილული არ არის.

მაშინ მეორედ წააქციეს საცემად. ურტყეს, სანამ გული არ შეუღონდა.

— დაუძახეთ, რომ გონს მოვიდეს და მერე მესამედ სცემეთო. — ბრძანა ვალიმ. და ბრძანა, მისი მეგობრებისთვისაც. სამას-სამასი ჯოხი დაერტყათ.

თვალხილული კი ეუბნებოდა იმ უსინათლოებს:

— თვალი გაახილეთ, თორემ კიდევ გცემენო.

მერე ვალის ეუბნება:

— ვინმე გამატანე ფულის მოსატანად. ეგენი თვალებს არ გაახელეთ იმის შიშით, რომ ხალხში თავი არ მოგვეჭრასო.

ვალიმ კაცი გააყოლა ფულის მოსატანად. აიღო ფული და იმ კაცს ორი ათას ხუთასი დირჰამი მისცა მისი წილი — იმათ ჯიბრზე. ჩემი ძმა და მისი ამხანაგები ქალაქიდან გააძევა. მეც გავედი ქალაქიდან მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. დავეწიე ჩემს ძმას და ამბავი ვკითხე. მომიყვა იმას, რაც გიამბეთ. მალულად ქალაქ-

ში შემოვიყვანე და საჭმელ-სასმელი გავუჩინე სიცოცხლის ბოლომდე.

ხალიფამ გადაიხარხარა ჩემს ნაამბობზე და თქვა:

— მიეცით საჩუქარი და გაუშვითო.

— ალაჰს ვფიცავ, არაფერს ავიღებ, — ვთქვი მე, — სანამ არ ვუამბობ მართლმორწმუნეთა მბრძანებელს, რა დაემართა დანარჩენ ჩემს ძმებს და არ დავარწმუნებ, რომ ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

მაშინ ბრძანა ხალიფამ:

— ჰა. გვირახუნე ყურებში შენი მოჩმახული ზღაპრები, შენი შეცდომებისა და შეცოდების ამბები.

ამბავი დალაქის მეოთხე ძმისა

მე ვთქვი:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, რაც შეეხება ჩემს მეოთხე ძმას, ცალთვალა რომ არის, ის კი ყასაბი გახლდათ ბაღდადში. ყიდდა ხორცსა და ზრდიდა ბატკნებს. იმასთან დიდებული და მდიდარი ხალხი დადიოდა და ხორცსა ყიდულობდა. დიდძალი ფული მოიგო.

შეიძინა პირუტყვი, მამულები და დიდხანს ასე ცხოვრობდა. ერთ დღეს, თავის დუქანში რომ არის, იმასთან ერთი გრძელწვერა ბერიკაცი გაჩერდა. ფული მისცა და უთხრა:

— ამის ხორცი მომეციო.

ჩემმა ძმამ ფული გამოართვა და ხორცი მისცა. ის ბერიკაცი წავიდა ჩემმა ძმამ ბერიკაცის მიცემული ვერცხლი დაათვალიერა და ხედავს, ფული თეთრია. სულ თეთრად ელვარებს ის ფული ცალკე შეინახა. ხუთი თვე დადიოდა ის ბერიკაცი და ჩემი ძმა იმის მიცემულ ფულს სკივრში ცალკე ინახავდა მერე კი გადაწყვიტა, ამოეღო და რაღაც ეყიდა. სკივრი გახსნა და ხედავს, სკივრში

მხოლოდ დაკუწული თეთრი ქაღალდია. პირში ხელი შემოირტყა და აყვირდა. ხალხი შეგროვდა და ჩემმა ძმამ თავისი ამბავი თქვა ხალხი გაოცდა. ჩემი ძმა დუქანში დაბრუნდა, ჩვეულებისამებრ. ცხვარი დაკლა. დუქანში ცხვარი ჩამოჰკიდა. გარეთ კი ხორცის ნაჭერი. გულში ამბობდა: — ნეტა ერთი ის ბერიკაცი მოვიდოდეს, რომ დავიჭიროო. ცოტა ხანსაც არ გაუვლია და ის ბერიკაცი მოვიდა და ვერცხლი მოიტანა. ჩემი ძმა ჩაებღაუჭა და ყვირილი ატეხა.

— ჰეი, მუსლიმებო, ჩემთან მოდით, გაიგონეთ, რა მიყო ამ უნამუსომ! — ბერიკაცმა მისი სიტყვები რომ გაიგონა, უთხრა:

— რა გირჩევნია, შენ შემარცხვინო სააშკარაოდ, თუ მე მოგჭრა თავი ხალხში.

— მე როგორ მომჭრი თავსო, — ჰკითხა ჩემმა ძმამ. — როგორ და, ადამიანის ხორცს რომ ცხვრის ხორცად ასაღებო. — სტყუი, შე წყეულო! — უთხრა ჩემმა ძმამ.

— წყეული ის არის, ვისაც დუქანში კაცი ჰყავს ჩამოკიდებული. — თქვა ბერიკაცმა.

— თუ ისე არის. როგორც შენ ამბობ, ალალი იყოს შენზე ჩემი ქონება და ჩემი სისხლი, — უთხრა ჩემმა ძმამ.

მაშინ ბერიკაცმა დაიძახა:

— ჰეი. ხალხო და ჯამაათო, ეს ყასაბი ადამიანებსა კლავს და იმათ ხორცს ცხვრის ხორცად ასაღებს. თუ არ გჯერათ, რომ მართალს ვამბობ, შედით მის დუქანში.

ხალხი შევარდა ჩემი ძმის დუქანში და ნახეს, ის ცხვარი ადამიანად გადაქცეულა. ამის დანახვაზე მივარდნენ ჩემს ძმას და ყვირილი დაუწყეს:

— შე ურჯულოვ, შე ავაზაკოო.

ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი ურტყამდნენ. იმ ბერიკაცმა თვალში ჩაარტყა და თვალი წამოაგდებინა. ხალხმა დაკლული ქეშიკთუხუცესთან წაიღო. ბერიკაცმა უთხრა:

— ამირო, ეს კაცი ხალხსა კლავს და იმათ ხორცს ცხვრის ხორცად ასაღებს. შენთვის მოგვიგვრია. ადექი და აღასრულე ალაჰის მართლმსაჯულება, ძლიერ არს იგი და დიდებული.

ჩემი ძმა თავს იმართლებდა, მაგრამ მე ქეშიკთუხუცესმა ყურიც არ ათხოვა და ბრძანა, ხუთასი ჯოხი დაერტყათ მოელი ქონება წაართვეს და ბევრი ფული რომ არ ჰქონოდა, უეჭველად მოკლავდნენ. ჩემი ძმა ქალაქიდან გააძევეს. წამოვიდა თავგზააბნეული. არ იცოდა, საით წასულიყო. ერთ დიდ ქალაქში შევიდა, განიზრახა, იქ ხარაზობა დაეწყო სახელოსნო გახსნა, დაჯდა და მუშაობდა, რომ თავი ერჩინა. ერთხელ რაღაც საქმეზე გამოვიდა. გაიგონა ცხენების ჭიხვინი. გაუკვირდა. უთხრეს, ხელმწიფე გამოვიდა სანადიროდ და მხეცთა საჭერადო. ჩემი ძმაც გამოსულა მეფის მსვლელობის საცქერლად. თანაც უკვირდა სიმდაბლე თავისი აზრისა — ყასაბის ხელობა ხარაზობაზე რომ გასცვალა. მეფე მოტრიალდა და უეცრად. ჩემი ძმის თვალი დაინახა. თავი დახარა და თქვა:

— ალაჰმა მაშოროს ბოროტება ამ დღისა.

ცხენი მოატრიალა და უკან გაბრუნდა. გაბრუნდა მთელი ლაშქარიც. მეფემ თავის ღულამებს უბრძანა, დასწეოდნენ ჩემს ძმასა და ეცემნათ. დაეწივნენ და ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიაგდეს. ჩემმა ძმამ არ იცოდა, რისთვის გალახეს. გონმიხდილი დაბრუნდა შინ. მერე ერთ კაცთან წავიდა. ის კაცი ხელმწიფის ამალაში იყო. მოუყვა, რაც დაემართა, კაცი სიცილისგან გადაბრუნდა და უთხრა:

— ჩემო ძმაო. იცოდე, რომ ხელმწიფე ცალთვალა კაცის დანახვას ვერ იტანს. მით უმეტეს, თუ იგი მარჯვენა თვალით ბრმაა. ისე არ გაუშვებს. რომ არ მოკლას.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჩემმა ძმამ გადაწყვიტა იმ ქალაქიდან გაქცეულიყო. გასცილდა იქაურობას და მეორე ქალაქში გა-

დავიდა, სადაც მეფე არ იყო დიდხანს ცხოვრობდა იქ. მერე ერთხელ, თავის საქმეზე ჩაფიქრებული, სასეირნოდ გამოვიდა. უკან ცხენების ჭიხვინი შემოესმა.

— ალაჰის მსჯავრი მეწიაო, — წამოიძახა და გაიქცა თავშესაფრის მოსაძებნად. ვერაფერი ნახა. მერე ერთი აყუდებული კარი შეამჩნია, ხელი ჰკრა და კარი ჩამოვარდა. შევიდა და გრძელი დიჰლიზი დაინახა. გაიარა და გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ორი კაცი ეცა.

უთხრეს:

— დიდება ალაჰს, რომ შენი თავი ხელში ჩაგვიგდო. შე ღვთის მტერო, სამი ღამეა არ გვასვენებ. დაძინებას არ გვაცლი. ლოგინში ვერ გავჩერებულვართ. სიკვდილის გემო გვიჩვენეო.

— ხალხო, რა ამბავია? — თქვა ჩემმა ძმამ.

— რა და, გვითვალთვალებ და გინდა სახელი გაგვიტეხო ჩვენ და ამ სახლის პატრონს, — მიუგეს იმათ. — განა არ გეყო. რომ გაგვაღატაკე?! ამოიღე დანა. რომლითაც ყოველ ღამე გვემუქრები.

გაჩხრიკეს და წელზე დანა უნახეს, რომლითაც ფეხსაცმელებს ჭრიდა.

— ხალხო, — წამოიძახა ჩემმა ძმამ, — გეშინოდეთ ალაჰისა. ასე რომ მექცევით. იცოდეთ, მე საოცარი ამბავი გადამხდა.

— როგორია შენი ამბავიო, — ჰკითხეს მათ.

მოჰყვა თავის ამბავს, იქნებ გამიშვანო, მაგრამ ყურიც არ ათხოვეს. არც მოუსმინეს. სცემეს და ტანსაცმელი შემოახიეს. სხეული რომ გაუშიშვლდა, გვერდებზე მათრახების კვალი შენიშნეს და უთხრეს:

— შე წყეულო! ეს ნაცემი მოწმობს შენს ავაზაკობასო. და ვალის მიჰგვარეს. ვალიმ თქვა:

— ჰო, შე ურცხვო, ალბათ, რაღაც დიდი ცოდვის გამო უცემიხართ მათრახებითო. — და იმანაც ასი შოლტი დაარტყა ჩემს ძმას. მერე აქლემით წაიყვანეს და იძახოდნენ:

— ასე დაემართება იმას, ვინც ხალხს სახლში, უვარდებაო.

მისი ამბავი როცა გავიგონე, მივედი და იმასთან ერთად შემოვუარე ქალაქს. ისინი შეუჩერებლად გაიძახოდნენ ამ სიტყვებს ჩემს ძმაზე და ბოლოს მიატოვეს. მაშინ მივედი, ავიყვანე. ჩუმად ქალაქში შემოვიყვანე და საჭმელ-სასმელი მივუჩინე.

ამბავი დალაქის მეხუთე ძმისა

რაც შეეხება ჩემს მეხუთე ძმას, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ის კი ყურებდაჭრილია. უპოვარი იყო. ღამით თხოულობდა და დღისით კი ხარჯავდა, რასაც ღამით მათხოვრობით მოიპოვებდა. მამაჩვენი ღრმა მოხუცი იყო, დაჩაჩანაკებული. შვიდასი დირჰამი დაგვიტოვა. თითოეულ ჩვენგანს ასი დირჰამი ერგო. ამ ჩემმა მეხუთე ძმამ თავისი წილი აიღო, მაგრამ დაიბნა და არ იცოდა, რა საქმეს დასდგომოდა. ასე რომ იყო, უეცრად თავში მოუვიდა იმ ფულით ყოველნაირი შუშის ჭურჭელი შეესყიდა, მერე ევაჭრა და მოგება ენახა. იყიდა ასი დირჰამის შუშის ჭურჭელი და ხონჩაზე დააწყო. ამ ჭურჭლის გასაყიდად ერთ ადგილას, ჩაჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო. იჯდა, თან გულში ფიქრობდა:

— ამ შუშაში თავნი თანხა ასი დირჰამია. მე კი მას ორასად გავყიდი. მერე ორას დირჰამის შუშას ვიყიდი და ოთხას დირჰამად გავასაღებ ასე ვიყიდი და გავყიდი, ვიდრე დიდძალი ფული არ დამრჩება. იმ ფულის ყოველგვარ საქონელსა და ნელსაცხებლებს ვიყიდი, რომ დიდი მოგება ვნახო. ამის შემდეგ ერთ მშვენიერ სახლს ვიყიდი. ვიყიდი მონებს. ცხენებს, ოქროს უნაგირებს. საჭმელსა და სასმელს. იმ ქალაქში მომღერალს არ დავტოვებ, რომ სახლში არ მივიყვანო და მისი სიმღერით არ დავტკბე.

ასე ფიქრობდა და გულში ანგარიშობდა. ჭურჭელი კი ხონჩით წინ ედვა. მერე თქვა:

— გავგზავნი მთელ მაჭანკლებს მეფეთა და ვაზირთა ქალების

დასანიშნავად. ვაზირის ქალს დავნიშნავ. გამიგონია, იგი სრულ-ქმნილი სილამაზითა და იშვიათი სიტურფით გამოირჩევა. ურვა-დად ათას დინარს მივცემ. თუ დათანხმდა მამამისი, სურვილი ამიხდება, თუ არად ძალით შევირთავ. იმის ცხვირის ჯიბრზე. სახ-ლში თუ მოვა, ათ პატარა საჭურისს ვიყიდი. მერე ჩემთვის მეფე-თა და სულტანთა საკადრის ტანსაცმელს ვიყიდი. ოქროს უნა-გირს ჩამოვასხმევინებ, ძვირფასი თვალებით მოჭედილს. ცხენზე შევჯდები. თან მამლუქებს ვიახლებ. წამოვლენ ჩემს ირგვლივ — წინ და უკან. ვაზირი რომ დამინახავს, ადგება ჩემი პატივისცე-მით, თავის ადგილს დამითმობს, თვითონ კი ჩემს დაბლა დაჯდე-ბა. რადგან იგი ჩემი სიმამრი უნდა გახდეს. თან ორ სკივრს ვიხ-ლებ ორი ქისით, თითოეულში ათასი დინარით. ათას დინარს ქა-ლის ურვადად მივცემ. მეორე ათასს კი სასიმამროს ვაჩუქებ, რომ აშკარა გახდეს ჩემი ვაჟკაცობა და კეთილშობილება. და რომ ჩემს თვალში არარაა ამქვეყნიური სიკეთე. შინ დავბრუნდები და, ცოლოურიდან ვინმე რომ მეწვევა, ძვირფას ხალათს ვუბოძებ. თუ ვაზირ საჩუქარს გამომიგზავნის, უკანვე დავუბრუნებ, ძვირ-ფასიც რომ იყოს, არ მივიღებ — იცოდეს, როგორი თავმოყვარე ვარ და როგორ მაღლა ვაყენებ ჩემს თავს. მერე ვიტყვი, რომ ჩემს მომზადებასა და განდიდებას შეუდგნენ. ამას რომ გააკეთებენ, ქორწილს ვბრძანებ. სახლს მოვაწესრიგებ და, პატარძლის გამო-ჩინების დრო რომ დადგება, საუკეთესო ტანსაცმლით მორთუ-ლი, დიბის ტახტზე დავჯდები არც მარჯვნივ გავიხედავ და არც მარცხნივ, — ჩემი დიდი ჭკუისა და სიდინჯის გამო. მოვა ჩემთან ჩემი ცოლი, სავსე მთვარის მსგავსი, სამკაულებსა და სამოსებში გამოწყობილი. მე კი არ შევხედავ. ისეთი ამაყი და ამპარტავანი ვარ, ვიდრე ყველა არ მეტყვის:

— ჩემო ბატონო, შენი ცოლი, შენი მხევალი, შენ წინაშე დგა და ერთი შეხედვა აღირსე. დგომით დაიღალაო.

მრავალჯერ აკოცებენ მიწას ჩემ წინაშე. მაშინ ავწევ თავს,

ერთს შევხედავ და ისევ ჩავღუნავ. მერე წაიყვანენ. მე ავდგები და ტანსაცმელს გამოვიცვლი. იმაზე უკეთესს ჩავიცვამ, რაც მეცვა მეორედ რომ მოიყვანენ საპატარძლოს, არ შევხედავ, სანამ ბევრჯერ არ მთხოვენ. შევხედავ და ისევ ჩავღუნავ თავს. ასე ვიქნები, ვიდრე საპატარძლოს გამოჩინების წესი არ დამთავრდება... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეცამეტე. შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ დალაქის მეხუთე ძმას უთქვამს:

— მერე თავს ჩავღუნავ და ასე მოვიქეცი, სანამ პატარძლის გამოჩინება არ დამთავრდება. მაშინ რომელიმე საჭურისს ვუბრძანებ, პირისფარეშებს ქისა გადაუგდოს ხუთასი დინარით. ქისას რომ აიღებენ, ვუბრძანებ, ცოლთან შემიყვანონ.

მე არც შევხედავ და არც ხმას გავცემ ათვალწუნებით — რომ თქვან: — როგორი ამპარტავანი არისო. დედამისი მოვა, მაკოცებს თავზე, ხელზე და მეტყვის:

— ჩემო ბატონო, ჩემი ასული ლამაზი ქალიშვილია. იმას ჯერ კაცი არ უნახავს და პირქუშად რომ მოექცე, გული დაეკოდება. დაიხარე და დაელაპარაკე.

მერე ადგება და ღვინით სავსე თასს მოიტანს. მისი ქალიშვილი თასს აიღებს, რომ მომართვას. და ჩემთან როცა მოვა, მივატოვებ ჩემ წინაშე ფეხზე მდგომარეს. მე კი ოქრომკედით ნაქარგ ბალიშზე წამოვწვები. არც კი შევხედავ, ისეთი გულზვიადი და დიდებული ვარ. ისე, რომ გულში დიადი სულტანი ვეგონო. მეტყვის:

ჩემი, ბატონო, ალაჰის გულისათვის, უარს ნუ ეტყვი შენს მხევალს ამ თასზე. — მე კი ხმას არ გავცემ. ის შემეხვეწება და მეტყვის:

— უთუოდ უნდა დალიო.

და თასს პირთან მომიტანს. მე სახეში ხელს ავუქნევ და წიხლს ჩავცხებ. აი, ასე, — და ჩემმა ძმამ — ფეხი გააქნია. ფეხი მაღლა

შემოდგმულ ჭურჭლის ხონჩას მოხვდა... ჩამოვარდა და ყველაფერი დაიმსხვრა.

— გულზვიადი რომ ვარ, ეს ყველაფერი იმის ბრალიაო, — თქვა ჩემმა ძმამ.

ჩემი საქმე რომ ყოფილიყო, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, უეჭველად ათას მათრახს გადავუჭერდი და ქვეყანაზე შევარცხვენდი.

მერე კი პირში ხელი წაიშინა, ტანსაცმელი შემოიხია. ტირილი და გვემა დაიწყო. პარასკევის ლოცვაზე მიმავალი ხალხი უყურებდა ჩემს ძმას. ზოგი მიშტერებოდა, ზოგი არც კი ფიქრობდა. თუ რატომ იყო ასეთ დღეში. წაუვიდა ხელიდან თავნი თანხაცა და მოგებაც. ასე რომ, ზის და ტირის, უეცრად ხედავს, პარასკევის ლოცვაზე ერთი იშვიათი სილამაზის ქალი მიდის. მუშკ-ამბრის სურნელს აფრქვევს, ოქრომკედით ნაკერი ფარჩის უნაგირით შეკაზმულ ჯორზე ზის და თან რამდენიმე მსახური ახლავს. როცა შეხედა დამსხვრეულ ჭურჭელს, ჩემი ძმის ყოფასა და იმის ტირილს, სიბრალულმა შეიპყრო და გული დაეწვა. მისი ამბავი იკითხა და უთხრეს:

— ხონჩაზე ჭურჭელი ჰქონდა. თავს იმით ირჩენდა, დაემტვრა და დაემართა ის, რასაც ხედავო.

ქალმა ერთ-ერთ მსახურის უხმო და უთხრა: — მიეცი ამ საწყალს, თან რაცა გაქვსო.

მსახურმა ჩემს ძმას ქისა მისცა. ჩემმა ძმამ გახსნა და შიგ ხუთასი დინარი იპოვა. დიდი სიხარულისგან კინაღამ მოკვდა. მიუბრუნდა იმ ქალსა და დალოცა. შინ გამდიდრებული დაბრუნდა. დაჯდა და ფიქრი დაიწყო. უეცრად კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ხედავს, ერთი უცნობი დედაბერია. დედაბერმა უთხრა:

— შვილო, ლოცვის დამთავრების ჟამი ახლოვდება. მე კი განბანა არ შემისრულებია. გთხოვ, შემომიშვა, რომ განბანა შევასრულო.

— გისმენ და გემორჩილებიო, — მიუგო ჩემმა ძმამ. შევიდა შინ და დედაბერსაც შესვლის ნება დართო. ჩემი ძმა სიხარულისგან დაფრინავდა იმ დინარების გამო. დედაბერმა განბანა დაამთავრა. მივიდა, სადაც ჩემი ძმა იჯდა და ორი მუხლმოყრა შეასრულა. მერე ჩემი ძმა კარგად დალოცა. ჩემმა ძმამ მადლობა უთხრა დალოცვისათვის და ორი დინარი მისცა. ამის დანახვაზე დედაბერმა თქვა:

— დიდება ალაჰს. მიკვირს იმისა, ვისაც შენ უყვარხარ, თუმცა გლახაკს კი გავხარ გამომართვი შენი ფული და, თუ არ გჭირდება, იმას დაუბრუნე. ვინც მოგცა, ჭურჭელი როცა დაგემსხვრა.

— დედაო. როგორ მოვახერხო დაბრუნება? — ჰკითხა ჩემმა ძმამ.

— შვილო, შენ იმ ქალს მოსწონხარ. — უთხრა დედაბერმა. — მაგრამ ერთი მდიდარი კაცის ცოლია. წამოიღე მთელი შენი ფული და არ დაივიწყო არავითარი ალერსი და ტკბილი სიტყვა. მაშინ მისი სილამაზითა და ფულით ისე ისარგებლებ, როგორც გსურს.

აიღო ჩემმა ძმამ მთელი ოქრო ადგა და დედაბერს გაჰყვა. არც კი სჯეროდა ეს ამბავი. მიდიოდა დედაბერი და მიჰყვებოდა ჩემი ძმა. ვიდრე ერთ დიდ კარიბჭეს არ მიადგნენ. დედაბერმა დააკაკუნა, გამოვიდა რუმელი მხევალი, კარი გააღო, დედაბერი შევიდა და ჩემს ძმასაც უბრძანა, შემოდიო. ჩემი ძმა დიდ სახლში აღმოჩნდა. დაინახა უზარმაზარი მეჯლისის დარბაზი. ხალიჩებით მოფენილი და ფარდებჩამოშვებული. ჩემი ძმა დაჯდა. ოქროები წინ დაიწყო. ჩალმა მუხლებზე დაიდო და გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ძვირფასად ჩაცმული ერთი მხევალი მოვიდა. იმაზე უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავდა. ჩემი ძმა ფენზე წამოდგა ჩემი ძმა რომ დაინახა, ქალმა პირში შესცინა, კარებთან მივიდა და ჩაკეტა. მერე მიუახლოვდა, მოჰკიდა ხელი და წაიყვანა. წავიდნენ და ერთ განმარტოებულ ოთახში შევიდნენ. ეს ოთახი ნაირ-

ნაირი ფარჩით იყო მოგებული. ჩემი ძმა დაჯდა. ქალი გვერდზე მოუჯდა. ერთხანს ეთამაშებოდა მერე ადგა და უთხრა:

— ჩემ მოსვლამდე ადგილიდან არ დაიძრაო.

ქალმა ჩემი ძმა დატოვა. უეცრად ვეება შავი მონა შემოვიდა ხელში შიშველი ხმალი ეკავა, რომელიც თვალისმომჭრელად ელვარებდა

— ვაი შენ, — უთხრა ჩემს ძმას, — აქ ვინ მოგიყვანა. შე სალახანავ, სიძვის შვილო. გარყვნილებაში გაზრდილო!

ჩემმა ძმამ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. იმწამსვე ენა დაება. მონამ აიყვანა. ტანსაცმელი გააძრო და შეუჩერებლად ურტყა ხმალი სიბრტყით, ოთხმოცზე მეტჯერ დაარტყა, სანამ ამდენი ცემისაგან ჩემი ძმა არ წაიქცა მონა მიბრუნდა, დარწმუნებული, რომ მკვდარიაო. და ისე დაიღრიალა — მიწა იძრა და იმ სახლმა ქუხილით უპასუხა.

— სად არის მალიჰა?

მოვიდა ერთი მხევალი, ხელში მარილის სინი ეჭირა, ზედ თეთრი მარილი ეყარა. აიღო ეს მარილი და ჩემს ძმას ჭრილობებში ჩაუტენა.

კანზე რომ ჰქონდა, მაგრამ ჩემი ძმა არ ინძრეოდა იმის მიმართ, ვაითუ

მონამ გაიგოს, ცოცხალი რომ ვარ და მომკლასო. მხევალი წავიდა. მონამ ისევ დაიღრიალა პირვანდელივით. ჩემს ძმასთან ახლა დედაბერი მოვიდა. ფეხში ხელი ჩაავლო და ერთ გრძელ და ბნელ სარდაფში წაათრია — და შიგ ჩააგდო მოკლულთა გროვაზე. სრული ორი დღე გაატარა იქ ჩემმა ძმამ. და ალაჰმა, დიდება მას და მაღალიმც არს იგი, მარილი აქცია მისი გადარჩენის მიზეზად. მარილმა ძარღვებიდან სისხლის დენა შეუწყვიტა და როდესაც ჩემმა ძმამ განძრევა შეძლო, ადგა, კედელში დატანებული დარაბა გააღო და მოკლულთა სამყოფელიდან გამოვიდა. ალაჰ-

მა, ძლიერიც არს და დიდებულიმც, დაიფარა იგი. სიბნელეში იარა და იმ დიჰლიზში დაიმალა გათენებამდის. გათენებისას დედაბერი ახალი საკბილოს საძებრად გავიდა. ჩემი ძმაც კვალდაკვალ აედევნა, ისე რომ დედაბერს არაფერი გაუგია. ჩემი ძმა შინ მივიდა. აქიმობდა თავის თავს, სანამ არ მორჩა. თანაც თვალყურს ადევნებდა იმ დედაბერს. ხედავდა, ყოველთვის როგორ იჭერდა ხალხს ერთიმეორის მიყოლებით და იმ სახლში მიჰყავდა. მაგრამ ჩემი ძმა ხმას არ იღებდა. როდესაც მორჩა და ჯანზე მოვიდა, აიღო ნაჭერი, ქისა გააკეთა. შუშებით აავსო და წელზე გამოიბა. რომ ვერავის ეცნო, უცხოეთის ტანსაცმელი გადაიცვა. ხმალი აიღო და ტანსაცმელში დამალა. დედაბერი რომ დაინახა, უცხოურ კილოზე მოუქცია:

— სასწორი ხომ არა გაქვს. ცხრაასი დინარის ასაწონადო. დედაბერმა უთხრა:

— ჩემი უმცროსი შვილი ზარაფია და ყოველგვარი სასწორი აქვს. წამომყევი, აწყოს შენი ოქრო, სანამ სადმე არ წასულა.

— წინ გამიძეხიო, — უთხრა ჩემმა ძმამ.

დედაბერი წავიდა. ჩემი ძმა უკან მიჰყვებოდა, სანამ იმ კართან არ მივიდა. დააკაკუნა, გამოვიდა მხევალი და გაუცინა.

— მსუქანი ხორცი მოგიტანეო, — უთხრა დედაბერმა. მხევალმა ჩემს ძმას ხელი ხელში ჩაჰკიდა და იქ შეიყვანა, წინათ რომ იყო. ცოტა ხანს იჯდა მასთან. მერე ადგა და ჩემს ძმას უთხრა:

— ჩემ მოსვლამდე ადგილიდან არ დაიძრა. — დიდხანს არ გაუვლია, რომ ის თავი მონა მოვიდა, ხელთ შიშველი ხმალი ეპყრა.

— ადექი, შე უბედურო, — დაიღრიალა მან. ჩემი ძმა ადგა. მონა წინ წავიდა და ის კი უკან მიჰყვებოდა. ჩემმა ძმამ მოჰკიდა ხელი ტანსაცმელში დამალულ ხმალს. დაჰკრა მონასა და თავი გააგდებინა. ფეხში ჩაავლო ხელი და სარდაფში წაათრია.

— სად არის მალიჰა? — დაიყვირა მან მოვიდა ის მხევალი ხელ-

ში მარილიანი სინით. ჩემს ძმას რომ ხელში ხმალი დაუნახა. სირბილით გაბრუნდა, მაგრამ ჩემი ძმა გაეკიდა. დაჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. მერე დაიყვირა:

— სად არის ბებერი?

ისიც მოვიდა.

— ვერ მიცანი. შე ნავსო ბებერო? — უთხრა ჩემმა ძმამ.

— ვერა, ჩემო ბატონო, — მიუგო დედაბერმა.

— მე იმ დინარების პატრონი ვარ. ჩემთან რომ მოხვედი, განბანა ჰყავ და ილოცე. მერე კი ეშმაკობით აქ ჩამაგდე.

— გეშინოდეს ალაჰისა, ასე რომ მეპყრობი, — უთხრა დედაბერმა. მაგრამ ჩემი ძმა მიუბრუნდა. ხმალი მოუქნია და შუაზე გააპო. მერე იმ მხევლის მოსაძებნად გამოვიდა. მაგრამ როდესაც დაინახა ჭკუა დაკარგა. დიაცმა ამანი სთხოვა და ჩემმა ძმამაც მისცა. მერე ჰკითხა:

— რამ ჩაგაგდო ამ შავი მონის ხელში? ქალმა უთხრა:

— მე ერთი ვაჭრის მხევალი ვიყავი. ეს დედაბერი ჩემთან დადიოდა ხოლმე. ერთ დღეს მოვიდა და მეუბნება:

— ჩვენთან ქორწილია. რომელზე უკეთესიც არავის უნახავსო.

მინდა, შენც ნახოო.

— გისმენ და გემორჩილები, — ვუთხარი მე. ავდექი, საუკეთესო ტანსაცმელი ჩავიცვი. წავიღე ქისა ასი დინარითა და წავყევი. შემომიყვანა ამ სახლში. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი. რომ დამიჭირა ამ შავმა მონამ და ეს სამი წელიწადია, იმასთანა ვარ იმ კუდიანი დედაბრის ხრიკებით.

ჩემმა ძმამ უთხრა:

— სახლში თუ აქვს რამეო? — ბევრი რამა აქვს, — მიუგო ქალმა, — წაღება თუ შეგიძლია.

ჩემი ძმა ადგა და წაჰყვა იმ ქალს, და როდესაც იმან ქისებით სავსე სკივრები გაუხსნა, ჩემი ძმა განცვიფრდა. მხევალმა უთხრა:

— ახლა კი წადი. მე აქ დამტოვე და ვინმე მოიყვანე, რომ ფული გადაიტანო.

ჩემი ძმა წამოვიდა. ათი კაცი იქირავა და დაბრუნდა. კარი ღია დახვდა, ვეღარც ის მხევალი ნახა. ვეღარც ქისები მხოლოდ ქსოვილები და ცოტაოდენი ფულიღა იპოვა. მიხედა. რომ ქალმა უმუხთლა. აიღო დარჩენილი ფული. საგანძურები გახსნა და წამოიღო მთელი ქსოვილები, რაც შიგ იყო. იმ სახლში აღარაფერი დაუტოვებია — ღამე სიხარულით გაათენა. დილით კი თავისი სახლის კართან ოცი ჯარისკაცი ნახა. გამოვიდა ჩემი ძმა. დაიჭირეს და უთხრეს:

— ვალი გიბარებსო.

წაიყვანეს ჩემი ძმა და ვალისთან წავიდნენ. ჩემი ძმა რომ დაინახა, ვალიმ ჰკითხა:

— ეს ქსოვილები საიდანა გაქვს?

— ამანი მომეციო, — უთხრა ჩემმა ძმამ. ვალიმ ამანის მანდილი მისცა. მაშინ ჩემმა ძმამ ყველაფერი უამბო დასაბამიდან დასასრულამდე, რაც გადახდა იმ დედაბერთან, მერე იმ მხევლის გაქცევის ამბავიც დაუმატა და ვალის მოახსენა:

— აიღე რამდენიც გინდა იქიდან, რაც წამოვიღე და მეც სარჩო დამიტოვეო.

ვალიმ მთელი ფული და ქსოვილი მოინდომა, მაგრამ შეეშინდა, სულტანმა არ გამიგოსო. ნაწილი აიღო და ნაწილი ჩემს ძმას დაუტოვა. უთხრა:

— ამ ქალაქიდან გადაიკარგე, თორემ ჩამოგახრჩობო.

— გისმენ და გემორჩილები, — უთხრა ჩემმა ძმამ და ერთი ქალაქისაკენ გაემართა, თავს დაესხნენ ქურდები, გახადეს, სცემეს და ყურები დააჭრეს. მე მივედი, ტანსაცმელი მივუტანე, სიხარულით ქალაქში მოვიყვანე და საჭმელ-სასმელი მივუჩინე.

ამბავი დალაქის მეექვსე ძმისა

— რაც შეეხება ჩემს მეექვსე ძმას, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ტუჩებდაჭრილი რომ არის, ის კი ძალიან ღარიბი იყო. არაფერი არ გააჩნდა ამ წარმავალი წუთისოფლის სიკეთეთაგან. ერთ დღეს გამოვიდა: იქნებ რაიმე ვიშოვო და შიმშილით არ მოვკვდეო. ქუჩაში რომ მიდის, უეცრად ლამაზი სახლი დაინახა. სახლს წინ ამაღლებული ფართო დიჰლიზი ჰქონდა. კარებთან მსახურები იდგნენ ბრძანებდნენ და აკრძალვიდნენ. ერთ-ერთს ჰკითხა და იმანაც უპასუხა:

— ეს სახლი ერთი უფლისწულისა არისო.

ჩემი ძმა მეკარეებთან მივიდა და მოწყალება სთხოვა. იმათ უთხრეს:

შედი სახლში და სახლის პატრონთან ჰპოვებ, რასაც ისურვებო.

ჩემი ძმა დიჰლიზში შევიდა. ერთხანს იარა და მეტად ლამაზსა და კოხტა სადგომს მიადგა. შუაში ბაღნარი იყო, რომელზე ლამაზიც არავის უნახავს. იატაკი — მარმარილოთი მოგებული, ფარდები — ჩამოშვებული. ჩემმა ძმამ აღარ იცოდა. საით წასულიყო. იმ სახლის შუაგულისაკენ გაემართა. დაინახა ლამაზი წვერით შემკული მშვენიერი მამაკაცი. ჩემი ძმის დანახვაზე მამაკაცი წამოდგა, კეთილი მობრძანება უსურვა და ამბავი ჰკითხა. ჩემმა ძმამ უთხრა, გაჭირვებული ვარო. ჩემი ძმის სიტყვების გაგონებაზე ის კაცი საშინლად დაღონდა. ტანსაცმელზე ხელი წაივლო და შემოიხია.

— იმ ქვეყანაში. სადაც მე ვცხოვრობ. შენ როგორ უნდა შიმშილობდე. ამას ვერ ავიტანო.

ყოველგვარ სიკეთეს შეჰპირდა და უთხრა: — ჩემი პურმარილი უნდა მიიღოო.

— ჩემო ბატონო. — თქვა ჩემმა ძმამ. — მოთმინება აღარ მყოფნის, ძალიან მშია.

ჰეი. ბიჭო! — დაიძახა კაცმა. — მოიტა ტაშტი და სურა. ჩემო სტუმარო. მოდი, ხელი დაიბანე.

მასპინძელმა ხელები აამოძრავა, ვითომ იბანდა. მერე მსახურებს გასძახა:

— მაგიდა მოიტათ.

მსახურებმა აქეთ-იქით სირბილი დაიწყეს. ვითომ სუფრას შლიდნენ, ჩემმა ძმამ აიღო და იმასთან ერთად დაჯდა იმ ვითომდა სუფრაზე. სახლის პატრონმა ტუჩები ააცმაცუნა — ვითომ ჭამდა. თანაც ჩემს ძმას ეუბნებოდა:

— ჭამე, ნუ გრცხვენია. მშიერი ხარ და შიმშილისგან ვიცი, რა დღეშიც იქნებიო.

ჩემმა ძმამაც ტუჩები ააცმაცუნა, ვითომ ჭამდა.

— ნახე, რა პურია, ნახე, რა თეთრია. — ამბობდა სახლის პატრონი. ჩემმა ძმამ არაფერი არ შეიმჩნია. გულში გაიფიქრა: — ამ კაცს უეჭველად ხალხის გამასხრება უყვარს და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ამ პურზე თეთრი და გემრიელი არაფერი მინახავსო.

— ეს პური ერთ-ერთმა ჩემმა მხევალმა გამოაცხო. ის მხევალი ხუთას დინარად მყავს ნაყიდი. — თქვა სახლის პატრონმა და გასძახა:

— ბიჭო, სიქბაჯი მოგვიტანე, მეფეთა სუფრის მშვენება. მერე ჩემს ძმას მიუბრუნდა:

— მიირთვი, ჩემო სტუმარო, შენ ძალიან გშია და ჭამა გჭირდება. ჩემი ძმა ყბებს ატრიალებდა და ღეჭავდა, ვითომ ჭამდა. ის კერძს კერძზე მოითხოვდა და თუმცა არა მოჰქონდათ რა, ჩემს ძმას ეუბნებოდა. მიირთვიო. მერე დაიძახა:

— ბიჭო, ფუსტუღით დატენილი წიწილები მოგვიტანე!

ჩემს ძმას უთხრა:

— ჭამე. ამისთანა შენ არაფერი გიჭამია.

— ამ კერძის გემოს მართლაც ვერაფერი შეედრება, — მიუგო

ჩემმა ძმამ. მასპინძელმა ხელები აამოძრავა, ვითომ თავისი ხელით უდებდა პირში ლუკმებს ჩემს ძმას. ასე აღწერდა და ჩამოთვლიდა სხვადასხვა კერძებს და ისედაც მშიერი ჩემი ძმა კიდევ უფრო დაიმშა და ქერის ლავაშს ნატრობდა. მასპინძელი კი ეუბნებოდა: — თუ გინახავს ამ სანელებლებზე უკეთესი, ამ საჭმელებს რომ აქვს?

— არა. ჩემო ბატონო,

— მაშ, ჭამე. ნუ გრცხვენია.

— უკვე დავნაყრდი. — თქვა ჩემმა ძმამ. მაშინ კაცმა თავის მსახურებს დაუძახა.

— ტკბილეული მოიტანეთ!

მსახურებმა ჰაერში ხელები ააფათურეს, ვითომ ტკბილები მოჰქონდათ. მასპინძელი ეუბნებოდა:

— ჭამე ეს ტკბილი — კარგია. მიირთვი ეს ნამცხვრები. ჩემს თას გაფიცებ. ის ნამცხვარი აიღე, სანამ ტკბილი წვენი ჩამოუვიდოდეს.

— შენი თავი ნუ მომეშალოს, ჩემო ბატონო, — უთხრა ჩემმა ძმამ და დაუწყო გამოკითხვა. ნამცხვრებში რამდენი მუშკი არისო. მასპინძელმა უთხრა:

— ჩემს სახლში ასეთი ადათია, ნამცხვრებს ყოველთვის ერთი მისხალი მუშკი და ნახევარი მისხალი ამბრი უნდა უყონ.

ჩემი ძმა თავს აქნევდა, პირსა და ყბებს ატრიალებდა, ვითომ ნუგბარი საჭმელებით პირს იტკბარუნებდა, მერე მასპინძელმა მსახურს დაუძახა:

— ნუღლი მოიტანეთ. მსახურებმა ჰაერში ხელები ააფათურეს, ვითომ მოიტანეს.

— მიირთვი ეს ნუში, ეს ნიგოზი, ეს ქიშმიში და სხვა რამეები, — ეუბნებოდა მასპინძელი დაიწყო სხვადასხვა ჩირის ჩამოთვლა. თან ამბობდა — ჭამე, ნუ გრცხვენიაო. ჩემმა ძმამ მიუგო:

— ჩემო ბატონო. დავნაყრდი, არაფრის ჭამა აღარ შემიძლია.

მაშინ მასპინძელმა თქვა:

— თუ გინდა, რომ ჭამო და იშვიათი კერძებით თავი შეიქციო, ღვთის გულისათვის. ღვთის გულისათვის, მშიერი არ დარჩე.

ჩემი ძმა ჩაფიქრდა ამ კაცზე. როგორ ამასხრებდა. გუნებაში გაივლო: — ისეთ საქმეს დავმართებ. ღმერთს შენდობას სთხოვდეს ამ საქციელისთვისო.

— სასმელი მოგვართვით, — დაუძახა მასპინძელმა მსახურებს. მსახურებმა ჰაერში ხელები აამოძრავეს, თითქოს სასმელი მოიტანეს. მასპინძელმა ხელი გაიშვირა, ჩემს ძმას თასი მიაწოდა და უთხრა:

— დალიე, ეს თასი, ნამდვილად მოგეწონება.

ჩემო ბატონო, — მიუგო ჩემმა ძმამ, — ეს შენი წყალობააო. და ვითომ გადაჰკრა ღვინო.

— მოგეწონა?

— ო, ჩემო ბატონო, ამაზე სასიამოვნო არაფერი მინახავს.

— დალიე, შეგარგოსო, — უთხრა მასპინძელმა და ხელი გაიშვირა, ვითომ კიდევ დალია. მერე მეორედ მიაწოდა ჩემს ძმას. იმანაც დალია. ჩემმა ძმამ თავი მოიმთვრალა. უეცრად ხელი ასწია, ისე რომ იღლიის სითეთრე გამოუჩნდა და მასპინძელს ისეთი სილა სთხლიშა კისერში, რომ ოთახი აზრიალდა. მერე კიდევ მეორეც ჩასცხო.

— ის რა არის. შე არამზადავ, — შესძახა კაცმა.

— ო, ჩემო ბატონო, — მიუგო ჩემმა ძმამ, — მე შენი მონა ვარ, რომელსაც წყალობა უყავ, სახლში შეიყვანე, საჭმელი აჭამე, ძველი ღვინო დაალევინე, ის კი დათვრა და შფოთი აგიტეხა. მაგრამ შენ ისე მაღლა დგახარ, რომ სისულელისათვის იმას არ დასჯი.

ჩემი ძმის სიტყვების გაგონებაზე მასპინძელმა ხმამაღლა გადაიხარხარა და უთხრა:

— დიდი ხანია ხალხს ვასულელებ და ყველა ოხუნჯსა და ხუმარას ვამასხრებ, მაგრამ შენ გარდა არავინ შემხვედრია. რომ ჩემი მასხრობა აეტანოს და ყველაფერში ასე ამყოლოდეს ახლა კი მიპატიებია შენთვის! მართლაც, ჩემი მეინახე გახდი და ნუ მომშორდებიო.

მერე ბრძანა, ის კერძები შემოეტანა, რომელიც პირველად ახსენა და ჩემს ძმასთან ერთად ჭამა. დანაყრდნენ და მერე სასმელ ოთახში გადავიდნენ. იქ მთვარესავით მხევლები დახვდათ. რომლებიც ყველა სიმღერას მღეროდნენ და ყველა საკრავზე უკრავდნენ. ის კაცი ძმასავით დაუმეგობრდა ჩემს ძმას. ძლიერ შეუყვარდა და ძვირფასი ხალათი აჩუქა. როდესაც გათენდა, გუშინდელივით შეუდგნენ ჭამასმას. და ასე ცხოვრობდნენ ოც წელიწადს. მერე ის კაცი მოკვდა. სულტანმა მისი ქონება ხელში ჩაიგდო და მიითვისა. ჩემი ძმა იმ ქალაქიდან გამოიქცა. შუა გზაში რომ იყო, თავს დაესხნენ მომთაბარენი და ტყვედ შეიპყრეს. ის კაცი, ვინც ჩემი ძმა შეიპყრო, აწამებდა და ეუბნებოდა:

— თავი გამოისყიდე, თორემ მოგკლავო. ჩემი ძმა ტირილით ეუბნებოდა:

— არაფერი მაქვს, არაბთა შეიხო, და არც ვიცი, ფული როგორ ვიშოვო. შენი ტყვე ვარ. შენს ხელთა ვარ და რაც გინდა, ის მიყავიო,

ბედუინმა იმოდენა დანა ამოიღო, აქლემისათვის კისერზე რომ დაგერტყათ, ძარღვიდან ძარღვამდე გადაუჭრიდა. დანა მარჯვენა ხელში მოიმარჯვა, ჩემს ძმასთან მივიდა, ტუჩები დააჭრა და ფული მკაცრად მოსთხოვა იმ ბედუინს ლამაზი ცოლი ჰყოლია. ბედუინი რომ სადმე წავიდოდა მისი ცოლი ჩემს ძმასთან მიდიოდა და ეაშიკებოდა. მაგრამ ჩემს ძმას მაღალი ალაჰის რიდი ჰქონდა, ერთ დღეს, ქალი რომ აცთუნებდა, ადგა და ჩემმა ძმამ კალთაში ჩაისვა. ამ დროს ქმარმა შემოუსწრო. ჩემი ძმა რომ დაინახა დაიღრიალა:

— შე უნამუსოვ. ახლა ჩემი ცოლის შეცდენა გინდა?

ამოიღო დანა და ჩემს ძმას ასო მოსჭრა. შესვა აქლემზე და მთაზე დატოვა. ჩემს ძმას მოგზაურები წააწყდნენ და იცნეს. აჭამეს, ასვეს და მისი ამბავი შემატყობინეს. მივედი. წამოვიყვანე ამ ქალაქში და სამყოფი მივეცი.

და აი, მოვედი შენთან, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. შემეშინდა შინ დაბრუნება. ვიდრე ამ ამბებს არ მოგიყვებოდი. რადგანაც ეს შეცდომა იქნებოდა. ახლა ჩემს კისერზეა ექვსი ძმის რჩენა, იმათ მე ვინახავ.

როდესაც მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ჩემი მოთხრობა და ჩემი ძმების ამბავი მოისმინა. გაიცინა და თქვა:

— მართალი ხარ, უენოვ, შენ მართლაც სიტყვაძვირი ყოფილხარ და სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა არ გყვარებია. მაგრამ, ახლა კი გაეთრიე ამ ქალაქიდან და სხვაგან იცხოვრეო.

გამაგდო ბაღდადიდან. დავდიოდი ქვეყნიდან ქვეყანაში. რამდენიმე იკლიმი შემოვიარე. მერე გავიგე, თურმე ის ხალიფა მომკვდარა და სხვა დამჯდარა ტახტზე. დავბრუნდი ქალაქში. ვნახე ის ხალიფა, მართლაც, მომკვდარიყო ამ ჭაბუკს გადავეყარე და ბევრი სიკეთეც ვუყავი. მე რომ არა, უეჭველად მოკლავდნენ. მაგან კი ისეთი რამეები დამწამა. რაც ჩემში არ არის. ხალხო და ჯამაათო, ყველაფერი ტყუილია. ჩემზე რასაც ამბობს: სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა უყვარსო, ყბედიაო, რეგვენი და უზრდელიაო.

და თერძმა ჩინეთის მეფეს მოახსენა:

— დალაქის ნაამბობი რომ მოვისმინეთ, დავრწმუნდით, რომ იგი მართლაც მეტიჩარა და ყბედი ყოფილა და იმ ჭაბუკს უსამართლოდ მოქცევია. ავდექით, შევიპყარით ეს დალაქი, საპყრობილეში ჩავსვით და მოსვენებით დავჯექით. ვჭამეთ. ვსვით და კარგად მოვილხინეთ. ნაშუადღევამდე ვისხედით და მერე წამოვედი. შინ მოვედი და ჩემს ცოლთან ერთად ვისამხრე. ცოლმა თქვა:

— შენ მთელი დღე დროს ატარებ, მე კი მოწყენილი შინ ვზივარ.

ახლა თუ არა წამომყვები და არ გამასეირნებ, იცოდე გაგეყრებიო.

მეც ავდექი და წავიყვანე. საღამომდის ვისეირნეთ. შინ რომ ვბრუნდებოდი, გზად ეს კუზიანი შემოგვეყარა. უგონოდ მთვრალი ამ ბეითებს, მღეროდა:

თასი თხელია და შიგ ღვინო გამჭვირვალეა,
თასი და ღვინო ერთურთს ჰგვანან და ვერ გაარჩევ:
მხოლოდ ღვინოა, თითქოს თასი აღარსად არის,
თითქოს, თასია. მაგრამ ღვინო უხილავია.

დავპატიჟე კუზიანი. ისიც დამთანხმდა. შემწვარი თევზის საყიდლად წავედი. ვიყიდე და დავბრუნდი. საჭმელად დავსხედით. ჩემმა ცოლმა თევზის ნაჭერი და პურის ლუკმა აიღო, კუზიანს პირში ჩაუდო და ხელი დააჭირა. კუზიანი მოკვდა მე წავიღე და მოვახერხე იმ ექიმის სახლში დამეგდო. ექიმმა მოახერხა მოურავის სახლში გადაეგდო კუზიანი. მოურავმა კი დალალს დაუგდო გზაზე. ასეთი ამბავი შემემთხვა გუშინ და განა ეს კუზიანის ამბავზე საოცარი არ არის?

როდესაც ჩინეთის მეფემ ეს მოთხრობა მოისმინა, ერთ-ერთ ეჯიბს უბრძანა. თერძი წაიყვანე და ის დალაქი მომგვარეო.

— უთუოდ უნდა მომგვაროთ ის დალაქი. მოვისმინო მისი ლაპარაკი იმან გადაგარჩინათ თქვენ ყველა. ეს კუზიანიც დავმარხოთ და მიწას მივაბაროთ. ის ხომ მკვდარია გუშინდელს აქეთ. მერე აკლდამა ავუშენოთ. რადგან მისი მიზეზით მოვისმინე ეს საოცარი ამბებიო.

დიდი ხანი არ გასულა და ეჯიბები მოვიდნენ თერძთან ერთად. ისინი საპყრობილეში მისულან და დალაქი გამოუყვანიათ. წამოიყვანეს დალაქი და იმ ხელმწიფეს მიჰგვარეს. დაინახა ხელმწი-

ფემ დალაქი, დააკვირდა და ხედავს, იგი ერთი მიხრწნილი ბერიკაცია, ოთხმოცდაათს გადაბიჯებული. შავგვრემანი, თეთრწვერა და წარბებგათეთრებული, ყურებმოჭმული, გრძელცხვირა და მედიდური. მეფეს გაეცინა იმის იმის შეხედვაზე და უთხრა:

— ჰეი. უენოვ. მიამბე რომელიმე შენი მოთხრობა.

— დროის მეუფევ, — თქვა დალაქმა. — რატომ არის თქვენ შორის ეს ქრისტიანი, ებრაელი, მუსლიმი და მკვდარი კუზიანი, ან რა არის მიზეზი ამ თავყრილობისა?

— რად მეკითხებით ამათ შესახებ. — თქვა ხელმწიფემ.

— იმად, რომ იცოდეს ხელმწიფემ მე სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა არ მიყვარს და არც მაინტერესებს, რაც ჩემი საქმე არ არის, ტყუილუბრალოდ მწამებენ. თითქოს ბევრი ლაპარაკი მიყვარდეს. მე მართლაც, ისეთი ვარ, როგორი ზედსახელიც მაქვს — უენოს რომ მეძახიან. მგოსნის ნათქვამისა არ იყოს:

თვალი შენი იშვიათად იხილავს
კაცს რომელიც ზედსახელს ამართლებდეს.

მაშინ მეფემ ბრძანა:

— აუხსენით ამ დალაქს კუზიანის ამბავი და მისი თავგადასავალი საღამო ჟამს რომ გადახდა. უამბეთ ებრაელის, მოურავისა და თერძის მონაყოლი.

დალაქს ყველაფერი უამბეს და გამეორება რა საჭიროა. დალაქმა ცხვირი შეათამაშა და თქვა:

— ალაჰს ვფიცავ. საოცარი რამ არის. აბა, ერთი გახსენით ეს კუზიანი.

კუზიანი გახსნეს. დალაქი თავით დაუჯდა. კუზიანის თავი აღო და კალთაში ჩაიდო. სახეში ჩახედა, ხმამაღლა გადაიხარხარა და სიცილისაგან გადაბრუნდა

— ყველა სიკვდილს რაღაც მიზეზი აქვს, ამ კუზიანის სიკვდილი

კი საოცრებათა საოცრებაა. იგი სიგელ-გუჯრებში უნდა ჩაიწეროს, რათა წარსული მომავალ თაობათა შეგონებად იქცეს, — თქვა მან.

მეფე გააოცა დალაქის სიტყვებმა. — ჰეი, უენოვ, აგვიხსენი ამ შენი სიტყვების მიზეზი, — თქვა მან.

— შენს წყალობას ვფიცავ, მეფეო, — მიუგო დალაქმა, — ამ კუზიანს სული უდგას.

სარტყელიდან ქუჰლის ყუთი ამოიღო, რომელშიც მას ქონი ედო. კუზიანს ყელი გაუქონა, ზედ წაუსვა მთელი ქონი. ვიდრე იმას ოფლმა არ დაასხა. მერე რკინის მაშა ამოიღო. კუზიანს ყელში ჩაუყო და თევზის ნაჭერსა და იმ ფხას ჩაავლო. როდესაც ამოიღო. ხალხმა თავისი თვალით დაინახა, რაც იყო.

კუზიანი ფეხზე წამოხტა. ცხვირი დააცემინა და გამოფხიზლდა. სახეზე ხელი მოისვა და თქვა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს.

იქ მყოფნი გაოცდნენ იმისაგან. რაც დაინახეს ჩინეთის მეფეს ისე გაეცინა, რომ სიცილისგან გული წაუვიდა. ასე მოუვიდათ სხვებსაც. ხელმწიფემ ბრძანა:

— საოცარი ამბავია, ღმერთმანი, ამაზე საკვირველი მე არა მინახავს რა. მუსლიმებო და ჯარისკაცებო, თუ გინახავთ ოდესმე თქვენ ცხოვრებაში, ვინმე მომკვდარიყოს და მერე გაცოცხლებულიყოს. ალაჰს რომ მისთვის ეს დალაქი არ მოევლინა, დღეს კუზიანი საიქიოს მცხოვრები იქნებოდა. დალაქის, წყალობით გადარჩა კუზიანი.

ეს საოცრებათა საოცრებაა. ღმერთმანი — თქვეს მათ.

მერე ჩინეთის მეფემ ბრძანა, რომ ეს ამბავი ჩაეწერათ. ჩაწერეს და მეფის წიგნთსაცავში შეინახეს მეფემ ებრაელი, ქრისტიანი და მოურავი ძვირფასი და ლამაზი ხალათებით დაასაჩუქრა. თერძი თავის თერძად დაიყენა, ჯამაგირი დაუნიშნა წესისამებრ

და კუზიანთან შეარიგა. კუზიანსაც ძვირფასი და ლამაზი ხალათი უბოძა და ჯამაგირი დაუნიშნა. თავის მეინახედ აქცია. დალაქსაც კეთილად მოექცა, ძვირფასი ხალათი უბოძა, ჯამაგირი დაუნიშნა და წყალობა დაუდგინა. სამეფო დალაქად და თავის მეინახედ აქ-ცია. და ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად, ვიდრე არ ეწიათ სიამოვნებათა მსახვრელი და თავყრილობათა დამშლელი.

მაგრამ ამ ამბავზე საოცარია ამბავი ორი ვაზირისა, სადაც ანის ალ-ჯალისიც მოიხსენიება.

— როგორია ორი ვაზირის ამბავი? — ბრძანა ხელმწიფემ.

# ამბავი ორი ვაზირისა და ანის ალ-ჯალისისა

და თქვა შაჰრაზადმა:

— მეფევ სვიანო. გამიგონია, რომ ბასრაში თურმე ერთი ხელმწიფე იყო. ხელმწიფეს უყვარდა უპოვარი და გლახაკნი, ქვეშევრდომებს ლმობიერად ეპყრობოდა და თავისი ფულით ასაჩუქრებდა, ვისაც მუჰამადი სწამდა, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს. სწორედ ისეთი იყო, როგორც ერთ-ერთ მგოსანს უთქვამს მის შესახებ:

შუბნი აქცია თავის კალმებად
და ქაღალდებად მან გული მტერთა
და სისხლი მათი მიიჩნია საკუთარ მელნად
ასე მგონია, წინაპრებმა სწორედ ამიტომ
დაარქვეს იმათ მეტსახელად სიტყვა „ხატია“.

იმ ხელმწიფეს მუჰამედ იბნ სულაიმან აზ-ზაინი ერქვა. ორი ვაზირი ჰყავდა. ერთს მუინ იბნ სავი ერქვა, მეორეს ალ-ფადლ იბნ ხაკანი, ალ-ფადლ იბნ ხაკანი თვისი დროის ყველაზე კეთილშობილი და უმწიკვლო ადამიანი იყო. ყველას უყვარდა. გონიერნი რჩევას ჰკითხავდნენ და მთელი ხალხი დღეგრძელობას უსურვებდა. რადგან იგი სიკეთეს თესდა და ბოროტებასა და უბედურებას ჰკვეთდა. ვაზირი მუინ იბნ სავი ხალხს სძულდა, რადგან იმას სიკეთე არ უყვარდა და ბოროტსა თესდა. ისე, როგორც ერთ მგოსანს უთქვამს მის შესახებ:

მისი ბუნება წვეთ-წვეთ შეგროვდა
და შეკავშირდა უკეთურ ძირზე.
ღმერთს ვერ გაკიცხავ იმის გულისთვის,
მთელი სამყარო ერთში რომ მოგვცა.

ორივე ვაზირს თავისი წილი მიუძღვის მგოსნის ნათქვამში:

მიმართე მხოლოდ კეთილშობილებს
— კეთილშობილთა ძეთა, რადგანაც
კეთილშობილნი და ძენი მათნი
თავადაც შობენ კეთილშობილებს
და გაერიდე უკეთურებს და
„იმათ ნაშიერთ, რამეთუ ქვეყნად
უკეთურები, და ძენი მათნი
უკეთურებსვე შობენ თავადაც

განგების ნებით ხალხს იმდენად სძულდა მუინ იბნ სავი, რარიგადაც ალ-ფადლ იბნ ხაკანი უყვარდა. ერთ დღეს როდესაც სა-

ხელმწიფოს დიდებულებით გარშემორტყმული მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინი თავის სამეფო ტახტზე იჯდა, ვაზირი ალ-ფადლ იბნ ხაკანი მოიხმო და უთხრა:

— მსურს ისეთი მხევალი შევიძინო, რომელზე მშვენიერიც ამ დროში არავინ იქნება. სილამაზით სრულქმნილი, ტანადობით ჩინებული და თვისებებით ქებული. სახელმწიფოს დიდებულებმა ხელმწიფეს მოახსენეს:

— ასეთ მხევალს ათი ათას დინარზე ნაკლებ ვერ იშოვი. სულტანმა თავის ხაზინადარს უხმო და უთხრა:

— ალ-ფადლ იბნ ხაკანს ათი ათასი დინარი მიუტანე შინ.

ხაზინადარმა შეასრულა სულტნის განკარგულება და ვაზირი ბაზარში გაემართა, რადგან სულტანმა უბრძანა. ყოველ დღე წასულიყო ბაზარში, დალალისათვის გადაეცა მისი ნათქვამი და ათას დინარზე მეტად ღირებული არც ერთი მხევალი არ გაეყიდათ, ვიდრე ვაზირს არ აჩვენებდნენ. მართლაც, დალალებს არც ერთი მხევალი არ გაუყიდიათ ისე, რომ მისთვის არ ეჩვენებინათ. დიდხანს ასრულებდა ვაზირი სულტნის ბრძანებას, მაგრამ არც ერთი მხევალი არ მოსწონებია. ერთ დღეს, როდესაც, ცხენზე ამხედრებული, ვაზირი მეფის სასახლეში წაბრძანებას აპირებდა, შინ ერთი დალალი ეწვია. დალალმა ვაზირს უზანგში ხელი ჩაავლო და ეს ბეითები უთხრა:

შენ, ვინც სამეფოს შეუდექი განადგურებულს,
ძლევით მოსილი ხარ ვაზირი მარადჟამიერ.
შენ გააცოცხლე სულგრძელობა გამქრალი ხალხში
და შენ ყოველთვის დაგიფასოს ღვაწლი ალაჰმა.

მერე მოახსენა:

ჩემო ბატონო, მხევალი, რომლის მოძებნის მაღალი განკარგულებაც არსებობს, უკვე გახლავთ.

— მომგვარეთ იგი. — თქვა ვაზირმა.

დალალი წავიდა ცოტა ხნით. მერე მოვიდა და მოიყვანა მხევალი — წელმშვენიერი და მკერდმაღალი, შავთვალება და ლოყებგადატკეცილი, წელწვრილი და თეძომსხვილი. მხევალს ულამაზესი ტანსაცმელი ემოსა. მისი ნერწყვი შარბათზე უტკბესი იყო. კენარი ტანი ტირიფის რტოებს შეარცხვენდა. საუბარი — იმ ნიავზე უნაზესი, ყვავილების წალკოტს რომ უბერავს. ისეთი, როგორც ერთ-ერთ მის აღმწერს უთქვამს:

იმისი კანი ნაზი, სათუთი აბრეშუმის და ფარჩის მსგავსია
და საუბარი თავაზიანი არც მრავალსიტყვა, არც სიტყვაძუნწი.
„იყავნ!“ თქვა ღმერთმა მის თვალებზე და იქმნენ კიდეც.
გონებას ისე დაათრობენ ვითარცა ღვინო.
დე, მისმა ტრფობამ ყოველ ღამით მიმატოს ვნება,
მიჯნურთ ნუგეშო, განკითხვის დღეს გიხილავ მხოლოდ.
მისი ზილფები უკუნია და იმის შუბლზე
როს გამოჩნდება, განთიადი ელავს და ბრწყინავს.

ვაზირმა რომ ის მხევალი დაინახა, ძლიერ მოეწონა, დალალს მიუბრუნდა და უთხრა:

— რა ღირს ეს მხევალი?

— იმისი ფასი ათი ათას დინარზე ავიდა, — მიუგო დალალმა. — ამ მხევლის პატრონი ამბობს, რომ ათი ათასი დინარი იმ წიწილების ფასსაც კი ვერ დაფარავს, რაც მაგას უჭამია, და ვერც იმ ხალათების ღირებულებას, რაც მაგას თავისი მოძღვრებისათვის უბოძებია, რამეთუ შეუსწავლია მას კალიგრაფია და გრამატიკა, ენა და განმარტება ყურანისა, სამართლის, სჯულისა, აქიმობისა და ჟამთააღრიცხვის საფუძველნი. და იცის საკრავებზე დაკვრა.

— მომგვარეთ მისი ბატონი, — ბრძანა ვაზირმა.

და დალალმა იმ საათსა და იმწამსვე მოიყვანა იგი. მხევლის

პატრონი ვინმე უცხოელი აღმოჩნდა; დიდხანს უცხოვრია მას ამა სოფლად და დრო-ჟამს ეგე ძვალად და ტყავად უქცევია. მგოსნის ნათქვამისა არ იყოს:

მე დრო და ჟამმა შემარყია და მერე როგორ,
უძლეველია დრო და ჟამი ძლევამოსილი,
დავდიოდი და არაოდეს არ ვიღლებოდი,
დღეს დაღლილი ვარ, თუმც არ დავდივარ.

ვაზირმა ჰკითხა:

— ყაბულსა ხარ სულტან მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინისაგან ათი ათასი დინარი აიღო?

— რაკი ეს მხევალი სულტნისათვის ყოფილა, ხამს ფეშქაშად მივართვა იგი — უფასოდ. — მიუგო პატრონმა.

ვაზირმა ფულის მოტანა ბრძანა. მოიტანეს და მიუწყეს უცხოელს დინარები. მონათვაჭარი ვაზირთან მივიდა და უთხრა:

— რაღაცას ვიტყვი ჩვენი ბატონის, ვაზირის, ნებართვით.

— ჩემი აზრით, ეს მხევალი სულტანს დღეს არ უნდა უჩვენოთ. იგი ნამგზავრია, ჰაერი გამოიცვალა, დაქანცა მოგზაურობამ. ათი დღე თქვენს სასახლეში დაჰყოს, რომ დაისვენოს და უფრო მეტად დამშვენდეს. მერე აბანოში შეიყვანეთ, ლამაზად ჩააცვით, სულტანს ისე მიჰგვარეთ და მაშინ სრულ ბედნიერებას ეწევიო.

ვაზირმა აწონ-დაწონა მონათვაჭრის ნათქვამი და ჭკუაში დაუჯდა. მხევალი თავის სასახლეში წაიყვანა. ცალკე ოთახი მიუჩინა და ყოველდღე უგზავნიდა საჭმელსა და სასმელს, რაც კი რამ საჭირო იყო.

ვაზირ ალ-ფადლ იბნ ხაკანს ვაჟიშვილი ჰყავდა. ბადრ მთვარეს ჰგავდა იგი, ცაზე რომ ამობრწყინდება. მთვარის მსგავსსა და ლოყაწითელს ღაწვის თავს ხალი უმშვენებდა ამბრის კვერის მსგავსი. ხალზე ღინღლი ჰქონდა, როგორც უთქვამს მგოსანს ეს

ბეითები იმის დარზე:

ღაწვთა ვარდები და მის ზემოთ ეკალნი შუბთა,
ვინ არის იგი, მას მოწყვეტა ვინც გაუბედოს?!
არ გაუწოდო მას ხელები, ო, რა ხანია
ომი მძვინვარებს ულმობელი, თვალი რომ მისწვდა.
რა უწყალოა გული მისი და წელი ლბილი,
ნუთუ ეს სილბო მის გულშიც არ დაისადგურებს?!
წელივით ჩვილი რომ ჰქონდეს გული,
არ დაჩაგრავდა არაოდეს ის თავის მიჯნურს.
მძრახველო ჩემო, შენ, ვინც მკილავ სიყვარულისთვის,
იყავ მოწყალე, ვინ განკურნავს ჩემს დამდნარ სხეულს.
მიუძღვის ცოდვა გულსა ჩემსა და თვალთა ჩემთა,
მე მხოლოდ იმათ დამატეხეს თავს ეს ვაება.

ვაჟმა იმ მხევლის ამბავი არ იცოდა. მამამისმა კი მხევალს დაუბარა:

— შვილო, მე შენ ხელმწიფე მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის ჰარემისათვის გიყიდე. მაგრამ მე ერთი ვაჟიშვილი მყავს და ვისთანაც კი განმარტოვდა ამ უბნის ქალიშვილებიდან, ყველასთან საქმე დაიჭირა. ერიდე მას. უფრთხილდი, შენი სახე არ დაინახოს, ანდა შენი ლაპარაკი არ გაეგონოს.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო მხევალმა. ვაზირმა მხევალი დატოვა და წავიდა. მხევალი აბანოში შევიდა, რომელიც იქვე სახლში იყო. ერთ-ერთმა მხევალმა დაბანა იგი, ძვირფასი ტანსაცმელი ჩააცვა და კიდევ მეტად დამშვენებული და გალამაზებული ანის ალ-ჯალისი ვაზირის მეუღლესთან შევიდა და ხელზე ემთხვია.

— გაამოს. ანის ალ-ჯალის, როგორ ისიამოვნე აბანოში? — ჰკითხა ვაზირის მეუღლემ.

არაფერი დამკლებია თქვენი იქ ყოფნის გარდა, — მიუგო ანის ალ-ჯალისმა.

ამაზე დიასახლისმა თავის მხევლებს უბრძანა:

— ავდგეთ და ჩვენც შევიდეთ აბანოში. ამას მივბაძოთ. სხეულები ადგნენ თავის ქალბატონთან ერთად და აბანოში შევიდნენ. ანის ალ-ჯალისის ოთახის კარის დაცვა ვაზირის მეუღლემ ორ პატარა მხევალს მიანდო და უთხრა:

— არავის არ დართოთ იმ ოთახში შესვლის ნება.

— გისმენთ და გემორჩილებით! — მიუგეს მათ.

ამ დროს, როდესაც ანის ალ-ჯალისი თავის ოთახში იჯდა, უეცრად ვაზირის ვაჟი. ალი ნურ ად-დინი, დაბრუნდა შინ. დედამისი და სახლეული მოიკითხა.

— აბანოში შევიდნენო, — მიუგეს მხევლებმა. ანის ალ-ჯალისმა ვაზირის ვაჟის, ალი ნურ ად-დინის, ლაპარაკი გაიგონა თავის ოთახში. გულში გაიფიქრა: — ნეტა ის ჭაბუკი როგორია, ვაზირი რომ ამბობს, უბანში ქალიშვილი არ დაუტოვებია, იმასთან საქმე არ დაეჭიროსო. ძალიან მინდა შევხედო, ალაჰს ვფიცავ. ნააბანოვარი ფენზე წამოდგა, კარისაკენ გაემართა და ალი ნურ ად-დინს შეხედა. იგი სავსე მთვარის სადარი ვაჟი აღმოჩნდა. შეხედა და ათასი ოხვრა აღმოხდა მის შეხედვაზე. ვაჟმაც თვალი მოჰკრა და ათასი ოხვრა აღმოხდა. ორივე მიჯნურობის ბადეში გაება. ვაჟი მხევლებთან მივიდა და დაუყვირა. ისინი გაიქცნენ. მოშორებით დადგნენ და უცქერდნენ, ვაჟი რას იზამსო. ვაჟი ოთახის კართან მივიდა. გააღო, მხევალთან შევიდა და უთხრა:

— შენა ხარ ის მხევალი, მამამ რომ მიყიდა?

— დიახ, — მიუგო მხევალმა.

ვაჟი მივიდა. იგი შეზარხოშებული იყო. ქალს მოეხვია. ქალმაც შემოხვია ხელები კისერზე. კოცნით. ოხვრით და კეკლუცობით შეხვდა. ვაჟმა დაკოცნა და ქალმაც ამითვე უპასუხა. და ვაჟმა

წაართვა სიქალწულე. როდესაც მხევლებმა დაინახეს, რომ იმათი პატარა ბატონი მხევალ ანის ალ-ჯალისთან შევიდა, ყვირილი ატეხეს. მაგრამ იმან უკვე დაასრულა თავისი საქმე და სირბილით გამოვარდა ოთახიდან თავის გადასარჩენად. გარბოდა. რადგან ეშინოდა იმისა, რაც მის საქციელს მოჰყვებოდა. დიასახლისი მხევლების ყვირილზე აბანოდან გამოვარდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— ეს რა ყვირილია ამ სახლში. — წამოიძახა მან, — ვაი თქვენ. — თქვა მან. კარებთან დატოვებულ მხევლებს რომ მიუახლოვდა, — რა მოხდა? — ჩვენი ბატონი, ალი ნურ ად-დინი, მოვიდა და გვცემა, — მიუგეს იმათ, — ჩვენ გავიქეცით, ის კი ანის ალ-ჯალისთან შევიდა და მოეხვია. ამის მერე აღარ ვიცით რა ქნა. ჩვენ რომ დაგიძახეთ, ის გაიქცა. — მაშინ დიასახლისი ანის ალ-ჯალისთან შევიდა და ჰკითხა:

— რა მოხდა?

— ჩემო ქალბატონო. — უთხრა მან, — ვიჯექი, რომ უეცრად ჩემთან ერთი ლამაზი ჭაბუკი შემოვიდა და მითხრა:

— შენა ხარ ის მხევალი, მამამ რომ მიყიდო?

— დიახ. — ვუთხარი მე. ჩემო ქალბატონო. და ალაჰს ვფიცავ, მჯეროდა, რომ მისი ნათქვამი სიმართლე იყო. მოვიდა და მომეხვია.

— ამის გარდა კიდევ რამე ხომ არ გიყო? — ჰკითხა ვაზირის მეუღლემ.

— დიახ, სამჯერ მაკოცა, — მიუგო მან.

— და ნამუსახდილი არ დაგტოვა, არა? — თქვა ვაზირის მეუღლემ და სილა გააწნა ანის ალ-ჯალისსა და იმ მხევლებს. შეეშინდა, მამამ ყელი არ გამოჭრას ალი ნურ ად-დინსო. ამ დროს უეცრად ვაზირი შემოვიდა და იკითხა:

— რა ამბავია?

ცოლმა უთხრა:

— დაიფიცე, რომ გაიგონებ, რასაც გეტყვი.

— კარგიო, — მიუგო ვაზირმა. მაშინ ცოლმა უამბო, რაც ჩაიდინა მისმა ვაჟიშვილმა. შეწუხდა ვაზირი. ტანსაცმელი შემოიხია. პირში ხელი წაიშინა და წვერი დაიგლიჯა.

— თავს ნუ იკლავ. — უნდა ცოლმა. — და მე მოგცემ მაგის ფასს — ათი ათას დინარს.

ვაზირმა თავი ასწია და უთხრა:

— ვაი შენ. მე მაგის ფასი კი არ მაწუხებს, მეშინია, თავიც არ დავკარგო და ფულიც.

— რატომ, ჩემო ბატონო?

— განა არ იცი. — მიუგო ვაზირმა, — ჩვენ ხომ მტერი გვითვალთვალებს, მუინ იბნ სავი რომ ჰქვია. ამ ამბავს შეიტყობს, სულტანს ეახლება და ენას მიუტანს... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთოთხმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ვაზირს თავისი ცოლისთვის უთქვამს:

— განა არ იცი, რომ მტერი გვითვალთვალებს, სახელად მუინ იბნ სავი. ამ ამბავს გაიგონებს, სულტანს ეახლება და ეტყვის:

— შენმა ვაზირმა, ვისაც, შენი თქმით, უყვარხარ. ათი ათასი დინარი გამოგართვა და იყიდა მხევალი, რომლის ბადალიც არავის უნახავს. მოეწონა

და თავის ვაჟს უთხრა: — წაიყვანე, ეს მხევალი შენთვის უფრო უპრიანიაო. იმანაც აიღო და სიქალწულე წაართვა. ის მხევალი ახლა იმასთან არის.

— სტყუი, — იტყვის ხელმწიფე. — მაშინ ვაზირი მიუგებს:

— ხელმწიფეო, თუ შენი თანხმობაც იქნება, თავს დავესხმი მოულოდნელად და იმ მხევალს მოგგვრი.

ხელმწიფე ნება დართავს. ვაზირი მოულოდნელად მოვა, წაიყვანს მხევალსა და მიჰგვრის სულტანს. იგი მხევალს გამოჰკითხავს. ისიც ვერ დამალავს. მაშინ ვაზირი ეტყვის სულტანს:

— ჩემო ბატონო, იცი, მე შენი კეთილმოსურნე ვარ. მაგრამ ბედი არა მწყალობს შენთან.

სულტანი მაწამებს მთელი ხალხის თვალწინ და კიდევაც დავიღუპები.

— ეს ამბავი არავინ იცის, — თქვა ვაზირის მეუღლემ, — ფარულად მოხდა და ამ საქმეში ალაჰს მიენდე.

მაშინ დაწყნარდა ვაზირი და დამშვიდდა. ასეთი იყო ვაზირის ამბავი. რაც შეეხება ალი ნურ ად-დინს, ის კი, თავისი საქციელით შეშინებული, მხოლოდ ღამის დასასრულს მიდიოდა დედასთან დასაძინებლად. გათენებამდე დგებოდა, ისე რომ ვერავინ ხედავდა. ერთი თვე ასე გაატარა, მამამისის სახე არ უნახავს.

მაშინ დედამისმა მამამისს უთხრა:

— გინდა, რომ მხევალთან ერთად ვაჟიც დაკარგო? ასე თუ გაგრძელდა მისი ამბავი, აქედან გაიქცევა.

— რა უნდა ქნას კაცმა? — თქვა ვაზირმა..

— ამაღამ ნუ დაიძინებ, — უთხრა ცოლმა, — და ალი ნურ ად-დინი როცა მოვა, დაიჭირე და მორიგდით. მიეცი მხევალი. იმათ ერთმანეთი უყვართ. მხევლის ფასს კი მე მოგცემ.

ვაზირმა მთელი ღამე ფხიზლად გაატარა. ვაჟი რომ მოვიდა, სტაცა ხელი და ყელის გამოჭრა დაუპირა. მაგრამ ცოლმა შემოუსწრო და უთხრა:

— რა უნდა უყო? — ყელი უნდა გამოვჭრა. — უთხრა ვაზირმა.

— ნუთუ შენთვის არარა ვარ? — უთხრა ვაჟმა. ვაზირს თვალები ცრემლით აევსო და უპასუხა:

— ნუთუ შენთვის არარაა ჩემი ფულისა და სულის დაღუპვა? — მისმინე, მამა, რა უთქვამს მგოსანს, — თქვა ვაჟმა.

ვიყო ცოდვილი, გონიერი ადამიანი
სრულ პატიებას მიანიჭებს ყოველთვის ცოდვილს.
ო, ნეტა რისი იმედი აქვთ შენს მტრებს — იქ დაბლა,
მაშინ, როდესაც ხარისხით ხარ ყველაზე მაღლა.

ვაზირს შეებრალა თავისი ვაჟი და წამოდგა მისი მკერდიდან. ვაჟიც ადგა და მამას ხელზე ეამბორა. მამამ უთხრა:

— შვილო, უსათუოდ გაჩუქებდი ანის ალ-ჯალისს. დარწმუნებული რომ ვიყო, უსამართლოდ არ მოექცევი. — მამა, უსამართლოდ როგორ მოვექცევი?! — მიუგო შვილმა.

— მაშინ ასე დაგარიგებ. სხვა არ შეირთო ოდესმე. მეორე ცოლი არ —იოლიო და არც გაჰყიდო იგი, — უთხრა მამამ.

— მამავ, შემომიფიცავს, არც სხვა შევირთო და არც გავყიდო. — მიუგო ვაჟმა. ფიცი დასდო და მხევალთან შევიდა. ერთი წელი ცხოვრობდა მასთან და მაღალმა ალაჰმა ხელმწიფეს იმ მხევლის ამბავი გადაავიწყა. რაც შეეხება მუნ იბნ სავის. მან კი გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. რადგან ვაზირს დიდი პატივი ჰქონდა სულტანთან. ერთმა წელმა რომ განვლო. ვაზირი. ფადლ იბნ ხაკანი, აბანოდან გაოფლიანებული გამოვიდა. ცივმა ჰაერმა დაჰკრა და ლოგინად ჩავარდა. უძილობა დასჩემდა და უძლურება მოერია. იხმო მაშინ მისი შვილი. ალი ნურ ად-დინი და, როდესაც მოვიდა, უთხრა:

— შვილო. ყველას თავისი ხვედრი მოელის. ყველას თავისი ვადა აქვს სიცოცხლეს. ყოველი კაცი უთუოდ შესვამს სიკვდილის ფიალას.

და ეს ბეითები წარმოთქვა:

დღეს თუ დატოვებს კაცს სიკვდილი, ხვალ არ დაინდობს,
ჩვენგან ყოველი მიადგება დაღუპვის მორევს.
სიკვდილი მდაბალს დიდებულთან გაათანაბრებს

და კაცთა შორის ღირსებასაც არვის შეარჩენს.
არ დარჩენილა არც მეუფე და არც სამეფო.
თვით მოციქულმაც ვერ იცოცხლა სამარადისოდ.

— შვილო, — თქვა მან, — მე მხოლოდ იმას გიანდერძებ. რომ გეშინოდეს ალაჰისა და განჭვრიტო — რა მოჰყვება შენს საქციელს. ჩამიბარებია შენთვის ანის ალ-ჯალისი.

— ჩემ უთხრა:

— ჩემო მამა, ვინღა არის შენი მსგავსი. შენ ცნობილი ხარ ქველმოქმედებით. კათედრებზე შენ გლოცავენ ხატიბები.

— შვილო, ვსასოებ, მიმიღოს მაღალმა ალაჰმა, — თქვა ვაზირმა. მერე ორივე აღსარება წარმოთქვა, ერთი ღრმად ამოიოხრა და ნეტართა შორის ჩაირაცხა. კივილა აავსო სასახლე. სულტნის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა. ქალაქელებმაც შეიტყვეს ალ-ფადლ იბნ ხაკანის მიცვალება. სასწავლებელში ბავშვები დასტიროდნენ. ადგა მაშინ მისი ვაჟი, ალი ნურ ად-დინი, და მამის დაკრძალვის: თადარიგი დაიჭირა. დაკრძალვაზე ამირები, ვაზირები, სახელმწიფოს თავკაცები და ქალაქელები მოვიდნენ. მათ შორის იყო ვაზირი მუინ იბნ სავიც. როდესაც სახლიდან გამოჰქონდათ მიცვალებული. ვიღაცამ ეს ბეითები წარმოთქვა:

ვუთხარი, ვისაც მიცვალებულის ანდეს განბანა,
დავემორჩილე. მე ვარ მისი კეთილმოსურნე.
გვერდზე გადადე შენი წყალი და ის განბანე
ცრემლებში. თვალნი რომ აფრქვევენ მის სადიდებლად.
მოსპე ყოველი, რაც თანა გაქვს მის შესამურად,
შემურე იგი მის საქმეთა კეთილი ქებით.
ანგელოზთ უთხარ, კეთილშობილთ, პატივით ზიდონ,
განა ვერ ხედავ ანგელოზებს იმის წინაშე?
შენ კაცთა კისრებს თუ დაჰქანცავ მისი ტარებით.

კარგად ატარებს მას თავისი ძველი საქმენი.

ალი ნურ ად-დინი დიდხანს იყო ღრმად დამწუხრებული თავისი მამის გამო. ერთ დღეს, მამამისის სახლში რომ იჯდა, უეცრად კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ალი ნურ ად-დინი ადგა და კარი გააღო. კარზე მამამისის ერთი თანამეინახე და მეგობარი აღმოჩნდა. ალი ნურ ად-დინს ხელზე აკოცა და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ვისაც შენისთანა ვაჟი დარჩენია. ის მკვდარი არ არის. ასეთივე ბედი ეწია კაცობრიობის პირველი და უკანასკნელი თაობის უფალსაც, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს. ჩემო ბატონო, გამხიარულდი და მწუხარებას თავი ანებე.

— მაშინ ადგა ალი ნურ ად-დინი და მეჯლისის დარბაზს გაემართა. გადაიტანა ყოველივე, რაც საჭირო იყო. შეიკრიბნენ იმასთან მისი მეგობრები, ანის ალ-ჯალისიც იქ მიიყვანა. ათი ვაჭრის შვილი ეწვია. ალი ნურ ად-დინმა ჭამა საჭმელი, დალია სასმელი. მერე ნადიმს ნადიმი მიაყოლა და დაიწყო უხვად გაცემა და გაბოძება. მაშინ მოურავი შევიდა იმასთან და შეჰკადრა:

— ჩემო ბატონო, ალი ნურ ად-დინ, ხომ გაგიგონია, ვიღაცას უთქვამს: — ვინც ფლანგავს და არ ანგარიშობს, უეჭველად გაღატაკდებაო. და რა კარგად უთქვამს ერთ მგოსანს ეს ბეითები:

მე ჩემს დირჰამებს ვინახავ და არვის ვაკარებ,
ეგებ ოდესმე გამომადგეს ხმალად და ფარად.
რად დავახარჯო მტრებზე უმტრესთ ჩემი ფულები
და ხალხში ბედი შევიცვალო უბედურებით.
შეჭამს და შესვამს დამშვიდებით და არავისთვის
ის არაოდეს ერთ ფელსსაც კი არ გაიმეტებს.
მე ჩემს დირჰამებს დავუმალავ კაცსა მდაბალსა
და ყველას, ვინც ჩემს სიყვარულში არ არის წმინდა.
ეს მირჩევნია, ვიდრე ვინმე უკეთურს ვთხოვო,

მომე დირჰამი და ხვალ კიდევ ხუთს დაგიბრუნებ.
პირს მიაბრუნებს, უარს მეტყვის, განმერიდება,
დაემსგავსება სული ჩემი მაშინ ძაღლის სულს.
უფულო კაცი, ჰოი, რარიგ უბადრუკია!
თუნდაც რომ მისი თვისებები მზისებრ ბრწყინავდეს.

მერე უთხრა:

— ჩემო ბატონო. ბევრი ხარჯვა და უზომო ფლანგვა ქონებას ღუპავს.

ალი ნურ ად-დინმა თავისი მოურავის ნათქვამი მოისმინა, შეხედა და უთხრა:

— მე ყურად არ ვიღებ არც ერთ შენს სიტყვას. რა კარგად უთქვამს მგოსანს:

თუ მქონდეს ფული ოდესმე და არ ვიყო უხვი.
არ გაიშალოს ხელი ჩემი, არ ადგეს ფეხი.
მაჩვენეთ ძუნწი, სიძუნწემ რომ დიდება მისცა,
ანუ გულუხვი, ვინც მოუკლავს ხელგაშლილობას.

— მოურავო, იცოდე, თუ რამე დაგრჩენია ჩემი საუზმედ სამყოფი, ვახშამზე ფიქრით ნუ შემაწუხებ.

მოურავი თავისი გზით წავიდა. ალი ნურ ად-დინი კი ძველებურად ხელგაშლილობას მიუბრუნდა. რომელ მეინახესაც არ უნდა ეთქვა — ეს რა კარგი რამეაო. მაშინვე მიუგებდა — შენი ფეშქაში იყოსო, თუ იტყოდა ვინმე — რა ლამაზია ეს და ეს სახლიო, შენთვის მიბოძებიაო — უპასუხებდა ალი ნურ ად-დინი. განუწყვეტლივ იწვევდა სანადიმოდ თავის მეგობრებსა და მეინახეებს დილა-საღამოს და ასე გაატარა სრული ერთი წელიწადი. ერთ დღეს ზის ნურ ად-დინი და მისმა მხევალმა ეს ბეითები წარმოთქვა:

მოგწონდა დღენი, როს სიკეთე მოჰქონდათ შენთვის,
განგებისაგან უბედობის არ გეშინოდა.
შენ ღამეები გიცავდნენ და მოტყუვდი ასე.
ხომ შეიძლება წმინდა ღამეც აიმღვრეს ზოგჯერ.

ლექსი დაამთავრა და უეცრად კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ნურ ად-დინი ადგა. ერთი თანამეინახე მალულად უკან გაჰყვა, რომ გაეგო, რა მოხდა. კარი გაიღო და ნურ ად-დინმა თავისი მოურავი დაინახა.

— რა ამბავია? — იკითხა ალი ნურ ად-დინმა.

— დაგემართა ის, რისი შიშიც მქონდა, — თქვა მოურავმა, — ახლა შენს ხელში დირჰამისა ან დირჰამზე მცირედის საღირალიც კი არა არის რა. აი, აქ არის შენი გასავლის დავთრები, იმისა, რაც დახარჯე. აგერ კიდევ დავთრები შენი თავდაპირველი ქონებისა.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ალი ნურ ად-დინმა, მიწამდე ჩაქინდრა თავი და წარმოთქვა:

— არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა. ეს ამბავი იმ კაცმა გაიგონა, ალი ნურ ად-დინს რომ გაედევნა მალულად მოურავის ნათქვამის გასაგებად, მეგობრებთან დაბრუნდა და თქვა:

— შეხეთ, რაღას შვრებით. ალი ნურ ად-დინი გაკოტრებულა.

ალი ნურ ად-დინი როცა დაბრუნდა, იმათაც შენიშნეს დარდი მის სახეზე. ადგა ერთ-ერთი მეინახე, შეხედა და უთხრა:

— ჩემო ბატონო, მინდა წასვლის უფლება დამრთო. — რატომ მიდიხარ დღეს? — ჰკითხა ალი სერ ად-დინმა.

— ამაღამ ჩემი ცოლი მშობიარობს და არ შემიძლია, იქ არ ვიყო. მინდა წავიდე და მივხედო, — მიუგო მან.

ალი ნურ ად-დინმა ნება დართო. წამოდგა მეორე და ეუბნება:

— ჩემო ბატონო, ძმასთან უნდა წავიდე. დღეს ვაჟის წინადაცვეთა აქვს.

ყველამ რაღაც მოიმიზეზა, წასვლის ნება ითხოვა და გზას გაუდგა. ყველა წავიდა და ნურ ად-დინი მარტო დარჩა. თავის მხევალს მოუხმო და უთხრა:

— ანის ალ-ჯალის, ვერა ხედავ. რა დამემართა? და მიუთხრო, რაც მოურავმა ამცნო.

— ჩემო ბატონო. — უთხრა მხევალმა. — მე რამდენიმე ღამე ვფიქრობდი. როგორ მეთქვა შენთვის ეს ამბავი, მაგრამ გავიგონე ამ ბეითებს წარმოთქვამდი:

იყავ გულუხვი, სანამ გწყალობს წუთისოფელი.
და — ხელგაშლილი, გიმტყუნებდეს ვიდრე იღბალი.
ხელგაშლილობა ვერ დაღუპავს ბედს, თუ გეწია,
და ვერც სიძუნწე შეაჩერებს წასულ ბედ-იღბალს.

— ეს სიტყვები რომ გავიგონე. გავჩუმდი და ვეღარაფერი გაგიბედე.

— ანის ალ-ჯალის, — უთხრა ალი ნურ ად-დინმა. — შენ კარგად იცი, მე ჩემი ქონება მხოლოდ მეგობრებს დავახარჯე. ვფიქრობ. ისინი უნუგეშოდ არ დამტოვებენ.

— ალაჰს ვფიცავ, ისინი შენ არას გარგებენ, — მიუგო ანის ალ-ჯალისმა.

— მე ახლავე ავდგები, — თქვა ალი ნურ ად-დინმა და ჩემს მეგობრებს კარზე მივუკაკუნებ. იქნებ რაიმე მომცენ. იმას თავნ თანხად ვაქცევ. ვივაჭრებ და დავეხსნები გართობასა და დროსტარებას.

იმწამსვე ადგა და იარა, ვიდრე იმ ქუჩაზე არ მივიდა, სადაც მისი ათი მეგობარი ცხოვრობდა. ყველა იმ ქუჩაზე იყო. მივიდა პირველის კართან და დააკაკუნა. გამოვიდა მხევალი და ჰკითხა:

— ვინა ხარო?

— შენს ბატონს მოახსენე, — მიუგო მან, — კარზე ალი ნურ ად-

დინია და გითვლის: ხელებს გიკოცნის შენი მონა და შენს წყალობას ელის.

მხევალი შევიდა და თავის ბატონს გადასცა ნათქვამი. იმან კი დაუყვირა და უთხრა:

— დაბრუნდი და გადაეცი, შინ არ არის-თქო. მხევალი დაბრუნდა ალი ნურ ად-დინთან და უთხრა:

— ჩემი ბატონი შინ არ გახლავს, ბატონო.

ალი ნურ ად-დინი წავიდა. გულში ფიქრობდა: ეს თუ სიძვის შვილია და მემალება, სხვა მაინც არ იქნება სიძვის შვილი. მიკვდა მეორე კართან და იგივე გაიმეორა. არც მეორე მეგობარი ეჩვენა. მაშინ ნურ ად-დინმა ეს ბეითი წარმოთქვა:

გაქრნენ ისინი, ვინც თავის კართან
გიწყალობებდნენ იმას, რასაც მოისურვებდი.

ლექსს რომ მორჩა, თქვა:

— ვფიცავ ალაჰს. ყველა უნდა გამოვცადო. ეგების ერთ-ერთმა მათგანმა ყველას მაგივრობა გამიწიოს.

ათივეს შემოუარა. მაგრამ არც ერთმა კარი არ გაუღო, არც ერთი არ ეჩვენა და პური არ გაუზიარა. მაშინ ნურ ად-დინმა ეს ბეითები წარმოთქვა:

კაცი, ვიდრემდე ბედი სწყალობს, იმ ხეს მიაგავს,
მსხმოიარობის ჟამს რომ მუდამ ეხვევა ხალხი.
მაგრამ, როდესაც დასცვივდება იმ ხეს ნაყოფი,
გაეცლებიან და სხვა ხისკენ გზას იპოვიან.
დე, დაიღუპოს ამა დროის ძეთაგან ყველა.
რამეთუ წრფელი ათში ერთიც ვერ ვნახე ქვეყნად.

ალი ნურ ად-დინი კიდევ უფრო მეტად დაღონებული დაბრუნდა თავის მხევალთან. მხევალმა უთხრა:

— ჩემო ბატონო, აკი გითხარი, ისინი არას გარგებენ-მეთქი.

— ალაჰს ვფიცავ, — თქვა ვაჟმა, — არც ერთმა პირი არ მიჩვენა.

— ჩემო ბატონო, — მხევალმა უთხრა, — გავყიდოთ ნაწილ-ნაწილ სახლის ავეჯი და დავხარჯოთ.

ალი ნურ ად-დინი შეუდგა გაყიდვას და ყიდდა, სანამ ყველაფერი არ გაყიდა, სახლში რაც ებადა. არაფერი აღარ შერჩა. მაშინ შეხედა ანის ალ-ჯალისს და უთხრა:

— ახლა რაღა ვქნათო.

— მე იმ აზრისა ვარ, — მიუგო ანის ალ-ჯალისმა, — ახლავე ადგე, ბაზარში წამიყვანო და გამყიდო. შენ ხომ იცი, მამაშენმა ათი ათას დინარად მიყიდა და იქნებ ალაჰმა ამ ფასის ნაწილი მაინც გიწყალობოს. და განგებას თუ ჩვენთვის შეხვედრა დაუწერია, კიდევ შევიყრებით.

ვაჟმა უთხრა:

— ო, ანის ალ-ჯალის, ადვილად არ მიჩნს თუნდ ერთი წუთით შენთან განშორება.

— არც მე, — მიუგო ქალმა, — მაგრამ აუცილებელს ვერსად გაექცევი. მგოსნის სიტყვებისა არ იყოს:

კაცს გაჭირვება აიძულებს ზოგჯერ საქმეში,
დაადგეს იმ გზას, რაც ზრდილობას სულ არ შეჰფერის.
ადამიანი უმიზეზოდ არას იტვირთავს
და ყოველ საქმეს შესაფერი მიზეზი უძღვის.

მაშინ ვაჟმა ანის ალ-ჯალისს ცრემლთა ფრქვევით ხელი მოჰკიდა და ეს ბეითები უთხრა:

შეჩერდეთ, კიდევ შემომხედეთ განშორებამდე,

გულს ნუგეში ვცე განშორებით განადგურებულს.
და თუ არ ძალგიძთ, დე, დამღუპოს მე სიყვარულმა.
ოღონდაც თქვენ კი ოდნავადაც ნუ შეწუხდებით.

წავიდა ალი ნურ ად-დინი, მხევალი დალალს ჩააბარა და უთხრა:

— იცოდე იმის ყადრი, რასაც ყიდიო.

დალალმა უთხრა:

— ჩემო ბატონო. ალი ნურ ად-დინ, ფესვი ხომ რჩება. განა ეს ანის ალ-ჯალისი არ არის, მამაშენმა ათი ათას დინარად რომ იყიდა?

— დიახ, — თქვა ალი ნურ ად-დინმა.

დალალი ადგა და ვაჭრებთან მივიდა, მაგრამ ნახა, ჯერ ყველა არ მოსულიყო. დაიცადა, სანამ დანარჩენებიც არ შეგროვდნენ. და ბაზარი გაივსო სხვადასხვა ჯურის მხევლებით: თურქებითა და რუმელებით, ჩერქეზებით, ქართველებითა და აბისინიელებით. დალალმა სავსე ბაზარს რომ შეხედა, ადგა და თქვა:

— ჰეი. ვაჭრებო და ფულის პატრონებო, ყველაფერი, რაც მრგვალია, კაკალი არ არის და ყოველივე მოგრძო, ბანანი არ არის. არც ყველა წითელი — ხორცია, არც ყველა თეთრი — ქონია. ყველაფერი ოქროსფერი — ღვინო როდია, და ყველაფერი, რაც ყავისფერია, განა ფინიკია?

— ჰეი, ვაჭრებო, აი, თქვენ წინაშე ფასდაუდებელი ობოლი მარგალიტია. რა ფასით დაიწყებთ იმაზე ვაჭრობას?

— ოთხი ათას ხუთასი დინარითო, — თქვა ერთმა.

ვაზირი მუინ იბნ სავი ამ დროს ბაზარში ყოფილა. ბაზარში ალი ნურ ად-დინს თვალი მოჰკრა და გაიფიქრა — ნეტა აქ რას უდგას, რაღა შერჩენია, მხევლები რომ იყიდოსო. მაგრამ მერე მიიხედ-მოიხედა. გაიგონა, ვაჭრებით გარშემორტყმული დალალი იდგა

და მუშტარს უხმობდა. — მგონი გაკოტრებულა და მხევალი მოუყვანია გასაყიდადო. ეს თუ მართლაც ასეა, ო, როგორ გაიხარებს ჩემი გული! — დალალს დაუძახა. ისიც მივიდა და ემთხვია მიწას მის წინაშე. ვაზირმა უთხრა:

— ის მხევალი მსურს, მუშტარს რომ სთავაზობ.

იმან უარი ვერ გაუბედა. მხევალი მიუყვანა და ვაზირის წინაშე გააჩერა. ვაზირმა შეხედა იმის მშვენებას, ნატიფ ტანსა და ამო საუბარს. მოეწონა და დალალს ჰკითხა:

— რამდენზე ავიდა მაგის ფასი? — ოთხი ათას ხუთას დინარზე, — მიუგო მან.

ვაჭრებმა ეს ამბავი გაიგონეს და ვერც ერთმა ვეღარ გაბედა დინარისა ან თუნდაც დირჰამის დამატება. პირიქით, ყველამ უკან დაიხია, რადგან კარგად იცოდნენ, როგორი უსამართლო იყო ვაზირი. ვაზირმა მუინ იბნ სავიმ დალალს შეხედა და უთხრა:

— რაღას უდგახარ, წადი, მხევალი მომგვარე ოთხი ათას ხუთას დინარად. ხუთასი დინარი კი შენი იყოს.

დალალი ალი ნურ ად-დინთან მივიდა და უთხრა:

— ეჰ, ჩემო ბატონო, უფასოდ წაგივიდა მხევალი ხელიდან.

— რატომ? — ჰკითხა ალი ნურ ად-დინმა.

ოთხი ათას ხუთასი დინარით გავხსენით ვაჭრობა, — მიუგო დალალმა, — მოვიდა ის მტარვალი, მუინ იბნ სავი. ბაზარში შემოვიდა. მხევალი რომ დაინახა, მოეწონა და მითხრა:

— ოთხი ათას ხუთას დინარად მომეცი და ხუთასი კი შენი იყოსო. ვფიქრობ, იცის, ეს მხევალი რომ შენია. მაგის ფასი თუ ახლავე მოგცა, ღვთის მადლი იქნება, მაგრამ მე რომ მაგის უსამართლობა ვიცი, დაწერს თამასუქის ქაღალდს მოხელეების სახელზე და იმათთან გაგგზავნის. იმათ კი ეტყვის, არაფერი მისცეთო, ყოველთვის, როცა ფულის სათხოვნელად მიხვალ, გეტყვიან — სვალ მოდიო. სულ დაპირებაში იქნებიან, მაგრამ პირობის შესრულებას დღიდან დღემდე გადადებენ. შენ კი ამაყი გული გაქვს.

შენი თხოვნა რომ მობეზრდებათ, გეტყვიან, აბა, ერთი, თამასუ-ქის ქაღალდი მოგვეციო. როგორც კი გამოგართმევენ, დახევენ და ასე წაგივა ხელიდან მხევლის ფასი.

ალი ნურ ად-დინმა დალალის ნათქვამი მოისმინა, შეხედა და უთხრა: — რაღა უნდა ქნას კაცმა?

— მე ერთ რამეს გირჩევდი. — მიუგო დალალმა. — თუ დამყა-ბულდები. უკეთეს ბედს ეწევი.

— რას მირჩევ? — ჰკითხა ალი ნურ ად-დინმა.

ბაზრის შუაგულში რომ ვიდგომები, დაუყოვნებლივ მოდი ჩემ-თან, მხევალი ხელიდან გამომგლიჯე. სცემე და უთხარი:

— ვაი შენ. ხომ შევასრულე ჩემი აღთქმა და ბაზარში გამოგიყ-ვანე. ხომ გეუბნებოდი, ბაზარში მიგიყვან და დალალი მუშტარს შეაძლევს შენს თავს-მეთქი. ასე თუ იზამ, იქნებ ვაზირიც და ხალ-ხიც ამ ხერხს წამოეგოს და ეგონოთ, რომ მხევალი შენ მხოლოდ და მხოლოდ ოქმის შესასრულებლად გამოგიყვანია ბაზარში.

— სწორი აზრია. — თქვა ალი ნურ ად-დინმა.

დალალი ალი ნურ ალ-დინს გაეცალა, ბაზრის შუაგულში დადგა, მხევალს ხელი მოჰკიდა და მუინ იბნ სავის ანიშნა — აგერ მოდის მხევალის პატრონიო. მაშინ ვერ ად-დინი მივარდა და-ლალს, მხევალი ხელიდან გამოგლიჯა, ჩაარტყა და უთხრა:

— ვაი შენ, აღთქმის შესასრულებლად გამოგიყვანე ამ ბაზარ-ში, ახლა კი შინ წაბრძანდი და სიტყვის შებრუნება აღარ გამიბე-დო. მე შენი ფასი რად მჭირდება, რომ გაგყიდო. რამდენჯერმეც რომ გამეყიდა ჩემი სახლის ავეჯი და სხვა ამისთანები, შენ ფასს მაინც ვერ ამოვიგებდი.

— ვაი შენ, — უთხრა მუინ იბნ სავიმ. — განა კიდევ შეგრჩენია რაიმე საყიდელი ან გასაყიდი?

უნდოდა სცემოდა აი ნურ ად-დინს. ვაჭრებმა შეხედეს ნურ ად-დინს, რომელიც ყოველ მათგანს უყვარდა.

აი, მე თქვენ წინაშე ვარ, — თქვა ალი ნურ ად-დინმა. — და

თქვენ იცით, როგორი მტარვალია იგი.

— ალაჰს ვფიცავ, თქვენ რომ არა. უსათუოდ მოვკლავდი, — თქვა

ვაზირმა.

— ვაჭრებმა ერთმანეთს თვალე უყვეს და უთხრეს:

— არც ერთი ჩვენგანი თქვენ შორის არ ჩადგებაო.

ალი ნურ ად-დინი ვაზირ მუინ იბნ სავისთან მივიდა. ალი ნურ ად-დინი კი მამაცი იყო. უნაგირიდან დაითრია ვაზირი და ძირს დასცა, იქვე თიხის საზელი ვარცლი იყო და ვაზირი შიგ იმის შუ-აგულში ჩავარდა. ალი ნურ ად-დინმა ვაზირს ცემა დაუწყო. ერთი კბილებში მიარტყა და წვერი სისხლით შეუღება. ვაზირს ათი მამ-ლუქი ახლდა. მამლუქებმა რომ დაინახეს. რას უშვრებოდა ნურ ად-დინი იმათ ბატონს, ხელი ხმლის ვადაზე გაივლეს. ის იყო უნ-და დასხმოდნენ თავს ნურ ად-დინსა და აეკუწათ, რომ ხალხმა უთხრა:

— ერთი ვაზირია. მეორე კი ვაზირის შვილი. იქნებ ისინი ერ-თმანეთში მორიგდნენ. თქვენ კი ორივეს რისხვა დაიტეხოთ და ყველანი საზარელი სიკვდილით დაიხოცოთო. ჭკუას იზამთ, თუ იმათ საქმეში არ გაერევითო.

ალი ნურ ად-დინი მორჩა ვაზირის ცემას. მხევალს ხელი დაავ-ლო ღა შინ წავიდა. ვაზირი იმწამსვე წამოხტა ოდესღაც თეთრი მისი ტანსაცმელი სამ ფერად შეღებილიყო — თიხის, სისხლისა და მტვრისაგან. ასეთ დღეში რომ დაინახა თავი. ვაზირმა ჭილო-ფი აიღო, კისერზე ჩამოიკიდა, ხელში ორი კონა ალფა ბალახი დაიჭირა, წავიდა, სულტნის სასახლესთან დადგა და დაიძახა:

— ჰეი, ამ დროის მეუფევ, უსამართლოდ დამჩაგრეს.

ვაზირი შეიყვანეს. სულტანმა შეხედა და ხედავს, იგი ვაზირი მუინ იბნ სავია.

— ვინ გიყო ეს საქმე? — ჰკითხა მან. ვაზირმა ტირილი და გო-დება მორთო და ეს ბეითები წარმოთქვა:

ნუთუ დამჩაგროს იმ დროებამ, რომელშიც შენ ხარ,
დამჭამონ ძაღლთა მაშინ, ოდეს ლომი შენა ხარ.
ყველა მწყურვალი შენს წყალსატევს დასწაფებია,
მწყურია შენი მფარველობა, თუმც წვიმა შენ ნარ.

— ჩემო ბატონო, — თქვა ვაზირმა, — ნუთუ ასეთი უბედურება უნდა დაატყდეს ყველას, ვისაც შენ უყვარხარ და გემსახურება.

— ვინ გიყო ეს საქმე, — თქვა სულტანმა. ვაზირმა მიუგო:

— იცოდე, რომ დღეს მხევალთა ბაზარზე ვიყავი. მინდოდა, მზარეული მეყიდა. ბაზარში ერთი მხევალი, დავინახე; იმის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავს. დალალმა მითხრა — იგი ალის ეკუთვნისო, ხაკანია ძეს. ჩვენმა უფალმა სულტანმა უწინ მამამისს ათი ათასი დინარი მისცა ლამაზი მხევლის საყიდლად. იმან ის მხევალი იყიდა, მოეწონა და თავის ვაჟს მისცა. მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟმა ფლანგვას მიჰყო ხელი. ყოველივე გაყიდა, რაც ებადა — მამულები, ბაღები. ჭურჭელი. როცა გაკოტრდა და აღარაფერი შერჩა, ის მხევალი წაიყვანა ბაზარში და დალალს ჩააბარა. დალალმა დაიწყო მუშტრისათვის მისი შეთავაზება. ვაჭრები თანდათან უმატებდნენ ფასს, სანამ ოთხი ათას დინარს არ მიაღწია. გუნებაში ვთქვი: ამ მხევალს ჩვენს უფალ სულტანს ვუყიდი, მისი თავდაპირველი თანხა ხომ მაინც იმისია-მეთქი და ვუთხარი:

— შვილო, აიღე მაგას ფასი. ოთხი ათასი დინარი.

ჩემი სიტყვა რომ გაიგონა, შემომხედა და თქვა:

— ჰოი, შე ნავსო ბებერო, ურიას და ქრისტიანს მივყიდი და შენ კი არაო.

— ჩემთვის არა ვყიდულობ-მეთქი, ჩვენი მწყალობელისა და ჩვენი უფალი სულტნისთვის მინდა.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, გაშმაგებული მომეჭრა, ცხენიდან

გადმომაგდო. იმასაც არ დახედა, რომ მოხუცი ვარ, ხანდაზმული. მირტყა, ვიდრე ისე არ მომაქცია, როგორც მხედავ. ამ დღეში მხოლოდ იმიტომ ჩავვარდი, რომ იმ მხევლის ყიდვა მინდოდა შენი უდიდებულესობისათვის.

ვაზირი ძირს დაეცა. ტირილი დაიწყო და აცახცახდა. როდესაც სულტანმა იმის მდგომარეობას შეხედა და მის ლაპარაკს მოუსმინა, — რისხვის ძარღვი დააჯდა თვალებს შორის და იქ მყოფ სახელმწიფოს დიდებულებს მიუბრუნდა. და, აი, მის წინაშე მახვილის დამძგერებელი ორმოცი კაცი აღემართა. სულტანმა ბრძანა:

— ამ წუთშივე წადით ალი იბნ ხაკანის სახლში, დაარბიეთ და დააქციეთ. ნურ ად-დინი შებოჭილი მომგვარეთ იმ მხევალთან ერთად. პირქვე წამოათრიეთ და ჩემთან მოიყვანეთ.

— გისმენთ და გემორჩილებით, — მიუგეს მათ. სასახლიდან ჩამოვიდნენ და ალი ნურ ად-დინის სახლისაკენ გაემართნენ. სულტანს ერთი ქეშიკი ჰყავდა, სახელად ალამ ად—დინ სანჯარი. პირველად იგი ალ-ფადლ იბნ ხაკანის მონა იყო, ნურ ად-დინის მამისა. მისთვის ადვილი როდი იყო სულტნის ბრძანების გაგონება და იმის დანახვა, რომ მტრები მზად იყვნენ იმის ბატონის შვილს გასწორებოდნენ. ალამ ად-დინ სანჯარი ცხენს მოახტა და იარა, ვიდრე ნურ ად-დინის სახლს არ მიადგა. კარზე დააბრახუნა. გამოვიდა ალი ნურ ად-დინი, შეხედა და იცნო ალამ ად-დინ სანჯარი. სალმის თქმა უნდოდა, მაგრამ იმან დაასწრო:

— ჩემო ბატონო, რა დროს სალამი და ქალამია. გაიგონე. რა უთქვამს მგოსანს:

უსამართლობის თუ გეშინის, შენს თავს უშველე
და სახლმა თვითონ დაიტიროს ამშენებელი.
შენ ერთი ქვეყნის მაგიერად მეორეს ჰპოვებ,
მაგრამ საკუთარ თავის ნაცვალს ვერვის იპოვი.

— რა ამბავია, ალამ ად-დინ? — თქვა ნურ ად-დინმა.

— ადექი და თავს უშველე შენს მხევალთან ერთად, — მიუგო ქეშიკმა. — მუინ იბნ სავიმ ხაფანგი დაგიგო და ხელში თუ ჩაუვარდით, მოგკლავთ. სულტანმა თქვენთან ორმოცი მეომარი გამოგზავნა. ჩემი აზრია, გაიქცეთ, ვიდრე უბედურება თავს დაგტეხიათ.

სანჯარმა ნურ ად-დინს დინარები გაუწოდა. დათვალა და ორმოცი დინარი აღმოჩნდა. ნურ ად-დინ უთხრა:

— ჩემო ბატონო, აიღე. მეტი რომ მქონდეს, უეჭველად მოგართმევდი. მაგრამ ახლა გაკიცხვის დრო არ არის.

ნურ ად-დინი მხევალთან შევიდა და ეს ამბავი ამცნო. მხევალი შეცბა. მყისვე ქალაქგარეთ გაეშურნენ. ალაჰმა მათ თავისი საფარი გადააფარა. წყლის პირას მივიდნენ და სამგზავროდ გამზადებული ხომალდი ნახეს. გემის უფროსი ხომალდზე იდგა და ამბობდა:

— ვისაც გამოთხოვება სურს, რაიმეს მომარაგება უნდა, ან რაიმე დარჩენია, მოიტანოს, თორემ მივდივართ.

ყველამ უპასუხა:

— არაფერი დაგვრჩენიაო, მაშინ გემის უფროსმა ხელქვეითებს უბრძანა: — ჰეი, აუშვით ბოლოები. ამოაძრეთ პალოები. — საით მიდიხარ, გემის უფროსო? — ჰკითხა ალი ნურ ად-დინმა.

— ბაღდადში, „მშვიდობის სავანეში“ — მიუგო გემის უფროსმა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთხუთმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ გემის უფროსმა ალი ნურ ად-დინს უთხრა: — ბაღდადს მივდივართ, „მშვიდობის სავანესო“, — და იგი თავის მხევალთან ერთად ხომალდში ჩაჯდა. დაიძრნენ, გაშალეს აფრები და ხომალდი მიფრინავდა, როგორც ფრინველი ფრთებზე. ისე, როგორც ვიღაცას უთქვამს:

შეხედე ხომალდს, დაგატყვევებს იმისი მზერა,
მხიარულ სვლაში ქარს ეჯიბრება.
ასე გგონია, თითქო რაღაც ფრთაგაშლილ ფრინველს
უნებებია მაღლა ციდან წყალზე ჩამოსვლა.

მიფრინავდა ხომალდი და ქარიც ხელს უწყობდა. ასეთი იყო იმათი თავგადასავალი. რაც შეეხება სულტნის მიერ გაგზავნილ ორმოც მეომარს. ისინი კი ალი ნურ ად-დინის სახლში მივიდნენ, კარები შელეწეს, შეცვივდნენ. ყველა ადგილი მოიარეს, მაგრამ იმათი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. სახლი დააქციეს, სულტანთან დაბრუნდნენ და ეს ამბავი მოახსენეს.

მოსძებნეთ, სადაც არ უნდა იყვნენ, — ბრძანა სულტანმა.

— გისმენთ და გემორჩილებით! — მიუგეს მათ.

მუინ იბნ სავი შინ წავიდა, შემდგომ იმისა, რაც სულტანმა ხალათი უბოძა და უთხრა:

— შენს შურს მხოლოდ მე ამოვიგებო.

ვაზირმა დალოცა სულტანი და დღეგრძელობა უსურვა. მოისვენა იმისმა გულმა. სულტანმა კი ბრძანება გასცა, რომ ქალაქში გამოეცხადებინათ: „მთელი ქალაქის ხალხო, ჩვენმა უფალმა სულტანმა ბრძანა, ვინც წააწყდება ალ ნურ ალ-დინს, ხაკანის ძეს და სულტანთან მიიყვანს, ჯილდოდ მიიღეს ხალათსა და ათას დინარს. ვინც დამალავს, ანდა მისი ადგილსამყოფი იცის და არ გამხელს, ღირსი იქნება იმ სასჯელისა, რასაც მიიღებს“. მთელი ხალხი ნურ ად-დინის ძებნას შეუდგა. მაგრამ იმის კვალსაც კი ვერ მიაგნეს ასეთი იყო მათი ამბავი. რაც შეეხება ნურ ად-დინსა და იმის მხევალს, მათ კი მშვიდობით მიაღწიეს ბაღდადს. გემის უფროსმა თქვა:

— ეს არის ბაღდადი, უშიშარი ქალაქი, რომლისთვისაც ზურგი

შეუქცევია ზამთარს თავისი სუსხითა და დაუსადგურებია გაზაფ-ხულს თავისი ვარდებით, აყვავებულან მისი ხეები და მოედინები-ან მისი წყალნი.

ნურ ად-დინმა ხუთი დინარი მისცა გემის უფროსს და მხევალ-თან ერთად ჩამოვიდა ხომალდიდან. განგებამ ისინი ბაღნართა შორის მიიყვანა. ერთ ადგილას მივიდნენ და ხედავენ, იქაურობა დაგვილი და მორწყულია. გრძელი მასტაბები დგას. ზემოთ წყლით სავსე სარწყავებია ჩამოკიდებული. ქუჩას მთელ სიგრძე-ზე ლერწმის ჩარდახი ხურავს. ქუჩის დასაწყისში ბაღის კარიბჭეა, მაგრამ დაკეტილი. ალი ნურ ად-დინმა მხევალს უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, მშვენიერი ადგილია.

— ჩემო ბატონო, მოდი ცოტა ხანს დავსხდეთ ამ მასტაბებზე. — თქვა მხევალმა. ავიდნენ და დასხდნენ. ხელ-პირი დაიბანეს. ესიამოვნათ სიოს ქროლვა და დაეძინათ. დიდება მას, ვინც არო-დეს იძინებს! ამ ბაღნარს შვების წალკოტი ერქვა. იქვე იყო სასახ-ლე, გართობის სასახლედ წოდებული სასახლე ჰარუნ არ-რა-შიდს ეკუთვნოდა. როდესაც ხალიფას მოწყენილობა შეიპყრობ-და, იმ წალკოტში მიდიოდა, სასახლეში შევიდოდა და იქ დაჯდე-ბოდა ხოლმე. იმ სასახლეს ოთხმოცი სარკმელი ჰქონდა. შიგ ოთხმოცი კანდელი იყო ჩამოკიდებული. შუაგულში დიდი ოქროს შანდალი იდგა. როდესაც ხალიფა სასახლეს ეწვეოდა. მხევლებს სარკმლებს გააღებინებდა, ისჰაკ ან-ნადიმსა და მხევლებს კი სიმღერას უბრძანებდა ხოლმე. ხალიფას გულს შვება ეფინებოდა და დარდი უქრებოდა. იმ ბაღნარს დარაჯად ერთი ხანდაზმული ბერიკაცი ჰყავდა, სახელად შეიხ იბრაჰიმი. ერთხელ თურმე შეიხ იბრაჰიმს რაღაც საქმეზე წასვლა მოუხდა. მერე ბაღში ვიღაც სა-ეჭვო ხალხი უნახავს. ქალებთან ერთად სეირნობდნენ. ჯავრი მოსვლია. ხალიფას მოსვლას დალოდებია და იმისთვის მოუხსე-ნებია ეს ამბავი. ხალიფას უთქვამს:

— რაც გინდა ის უყავი, ვისაც ბაღის კარზე ნახავო.

იმ დღესაც რაღაც საქმეზე წასულიყო შეიხ იბრაჰიმ დარაჯი. დაბრუნდა და ნახა, ბაღნარის კარიბჭესთან იმ ორს ეძინა ერთი იზარის ქვეშ.

— ნუთუ არ იციან, რომ ხალიფამ ბრძანება გასცა, მოვკლა ყველა, ვისაც აქ მოვუსწრებო? ამათ მე ერთს წავუთაქებ, რომ აღარავინ გაბედოს ბაღნარის კართან ახლოს მოსვლაო.

პალმის მწვანე შოლტი მოსჭრა, მივიდა და დასარტყმელად ხელი ასწია, ისე რომ იღლიის სითეთრე გამოუჩნდა. გუნებაში კი გაივლო: ჰე, იბრაჰიმ, როგორ უნდა სცემო, როცა იმათი მდგომარეობისა არა იცი რა. იქნება უცხოელები, ანდა მოგზაურები არიან და აქ განგებას მოუყვანია. მოდი, სახეზე გადავაძრობ და შევხედავ. — სახეზე იზარი გადააძრო და თქვა:

— რა ლამაზები არიან, მე არ შემფერის იმათი ცემაო.

სახეზე დააფარა. მივიდა კაცთან, ალი ნურ ად-დინთან, და ფეხების ზელა დაუწყო. ნურ ად-დინმა თვალი გაახილა და ვიღაც ბერიკაცი დაინახა. შერცხვა, ფეხები აიკრიფა და წამოჯდა. შეიხ იბრაჰიმის ხელი აიღო და ეამბორა.

— საიდან ხარ, შვილო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— უცხოელები გახლავართ, ჩემო ბატონო. — თქვა ნურ ად-დინმა და თვალთაგან ცრემლი ჩამოუგორდა.

შეიხ იბრაჰიმმა უთხრა:

— შვილო, იცოდე, რომ მუჰამადმა ყარიბის პატივისცემა გვიანდერძა, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს.

მერე ეუბნება:

— შვილო, ხომ არ გინდა ადგე, ბაღში შემოხვიდე და დაათვალიერო, რომ გულს მოგეფონოს?

— ვისი ბაღნარია, ჩემო ბატონო? — ჰკითხა ნურ ად-დინმა.

— ჩემი ოჯახისაგან მივიღე მემკვიდრეობით, — თქვა შეიხ იბრაჰიმმა. ამით შეიხ იბრაჰიმს მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რომ ისინი დამშვიდებით შესულიყვნენ ბაღნარში. როცა ალი ნურ ად-

დინმა მისი ნათქვამი მოისმინა, მადლობა მოახსენა და თავის მხევალთან ერთად სდგა. შეიხ იბრაჰიმი წინ გაუძღვა და ბაღში შევიდნენ. ბაღნარს თაღიანი კარი ჰქონდა, კარზე ვაზი შესულიყო. ზედ სხვადასხვა ფერის მტევნები ეკიდა — წითელი, როგორც იაგუნდი, და შავი, როგორც აბანოზის ხე. ფანჩატურის ქვეშ შევიდნენ, დაინახეს ხილი. ზოგი ჯგუფად იზრდებოდა და ზოგი ცალ-ცალკე. ტოტებზე ჩიტები ჭიკჭიკებდნენ სხვადასხვა ჰანგზე. ბულბული უსტვენდა. გვრიტის ხმა იქაურობა ავსებდა. შაშვი ადამიანივით გალობდა და გარეული მტრედი კი ნასვამ კაცსა ჰგავდა. ხეებზე ყოველგვარი ნაყოფი დამწიფებულიყო, რაც კი საჭმელად ვარგოდა. ყოველი ხილი წყვილად ხარობდა, ქაფურისფერი გარგარიდან მოყოლებული, ნუშისებრ გარგარამდე გათავებული. ხორასნული ჭერამი, მზეთუნახავის კანის ფერი ქლიავი და შავქლიავი, ადამიანის გონებას რომ აბნევს, საუკეთესო ფერის ლეღვი: — წითელი, თეთრი და მწვანე; მარგალიტისა და მარჯნის მსგავსი ყვავილები; ვარდი, თავისი სიწითლით მზეთუნახავის ღაწვებს რომ გააწბილებს, ია, ცეცხლზე აალებული ფოსფორის ფერი. მურტისა და ლევკოიონის, ლავანდისა და ტყის ყაყაჩოს ფოთლებს ღრუბელთა ცრემლი დაფრქვეოდა, შავი თვალებით უცქეროდა ნარგიზი ვარდსა. ბადრანგი მრგვალ თასსა და ლიმონი კი ოქროს ბირთვსა ჰგავდა. დედამიწა სხვადასხვა ფერის ყვავილებს მოეფინა. გაზაფხული მოსულიყო და ამ ადგილს მისი მშვენების შუქი ადგა. ნაკადული ჩუხჩუხებდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ, სიო უსტვენდა. საამო დრო იყო და საამო ნიავი ქროდა. შეიხ იბრაჰიმმა ისინი დაკეტილ დარბაზში შეიყვანა. მოიხიბლნენ იმ დარბაზის მშვენიერებითა და იშვიათი სილამაზით. ერთ სარკმელთან დასხდნენ და ნურ ად-დინს გაახსენდა ის ნადიმები, თვითონ რომ მართავდა ხოლმე.

— ალაჰს ვფიცავ, — თქვა მან, — ძლიერ ლამაზია ეს ადგილი. წარსული გამახსენდა და მწუხარების ღადარი ჩამიქრო.

შეიხ იბრაჰიმმა საჭმელი მიართვა. ჭამეს, დანაყრდნენ, ხელები დაიბანეს. ნურ ად-დინი ერთ-ერთ სარკმელთან დაჯდა ისევ. თავის მხევალს მოუხმო და ერთად უცქერდნენ ნაირ-ნაირი ხილით დამძიმებულ ხეებს. მერე ალი ნურ ად-დინი შეიხ იბრაჰიმს მიუბრუნდა:

— დასალევი არა გაქვს რა, შეიხ იბრაჰიმ? ხალხი ხომ სვამს ჭამის

შემდეგ.

— შეიხ იბრაჰიმი წავიდა. საამო და გრილი წყალი მოიტანა. ნურ ად-დინმა უთხრა:

— ეს ის სასმელი არ არის, მე რომ მინდა. — ღვინოს ხომ არ ისურვებდი? — ჰკითხა ბერიკაცმა. — დიახ, — მიუგო ნურ ად-დინმა.

— ალლაჰმა დამიფაროს, — თქვა ბერიკაცმა, — ცამეტი წელია არ მივკარებივარ, რადგან მოციქულმა, ალაჰიც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს, შეაჩვენა მისი დამლევიც, დამწურავიცა და მომტანიც.

— ორი სიტყვა გამიგონე, — თქვა მაშინ ნურ ად-დინმა.

— თქვი, რა გინდა, — უთხრა ბერიკაცმა.

— თუ არც დალიე, არც დაწურე და არც ღვინო მოიტანე, მაშინაც გეწევა მისი წყევლა?

— არა, — უთხრა ბერიკაცმა.

— მაშ, აიღე ეს ორი დინარი და ორი დირჰამი. შეჯექი იმ ვირზე და შორიახლოს დადექი. როცა დაინახავ, ვინმე ღვინოს ყიდულობდეს, ორი დირჰამი მიეცი და უთხარი: — მეც ორი დინარის ღვინო მიყიდე-თქო. და ვირით წამოიღე. მაშინ არც დამლევი იქნები, არც წამომღები, არც დამწურავი და არც მყიდველი. არც არაფერი გეწევა, რაც მათ მოელის.

ბერიკაცს გაეცინა:

— შენზე ენამოქარგული და დათაფლული არავინ მინახავსო.

— ახლა, შენს იქით ჩვენ გზა აღარ გვაქვს, სხვა რაღა დაგრჩენია, რომ დაგვეთანხმო და ყველაფერი მოგვიტანო, რაც გვჭირდება, — უთხრა ნურ ად-დინმა. — მაშინ შეიხ იბრაჰიმმა თქვა:

— შვილო, ჩემი საკუჭნაო თქვენ წინაშეა (ის კი მართლმორწმუნეთა მბრძანებლისათვის მომზადებული საწყობი იყო) — შედი და აიღე, რაც გენებოს. იქ იმაზე მეტს ნახავ, რაც გინდა.

ნურ ად-დინი საკუჭნაოში შევიდა. ნაირ-ნაირი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ჭურჭელი ნახა. ღვინო თასებსა და სურებში ჩამოასხა და ღვინის სმას შეუდგნენ, გაოგნებულნი ხილულის მშვენიერებით. შეიხ იბრაჰიმმა სურნელოვანი ყვავილები მოიტანა და შორიახლოს დაჯდა. გახარებული სვამდნენ, ვიდრე ღვინო არ მოეკიდათ. ღაწვები აუწითლდათ, თვალები აუციმციმდათ და თმები აეშალათ.

ნეტა შორს, რაღას ვუზივარ, — თქვა შეიხ იბრაჰიმმა, — იმათთან როგორ არ დავჯდე. როდისღა ვნახავ ჩემთან ამისთანა ხალხს — მზესა და მთვარეს რომ ჰგვანან.

მივიდა იმათთან და დარბაზის ბოლოს ჩამოჯდა. ნურ ად-დინმა უთხრა:

— ჩემს სიცოცხლეს გაფიცებ, ჩემო ბატონო, მოდი ჩვენთან. ნურ ად-დინმა კათხა აავსო, შეიხ იბრაჰიმს შეხედა და უთხრა: — დალიე ეს კათხა, ნეტა იცოდე, რა გემრიელია!

— ღმერთმა დამიფაროს. ცამეტი წელია ასეთი რამ არ ჩამიდენია.

მაშინ ნურ ად-დინს ვითომ გადაავიწყდა ბერიკაცი. კათხა გამოსცალა და ძირს დაეცა. თითქოს სიმთვრალე მოერიაო. ანის ალ-ჯალისმა ბერიკაცს შეხედა და უთხრა:

— შეიხ იბრაჰიმ. ნახე, რა მიყო.

— რა დაემართა, ჩემო ქალბატონო. — იკითხა მან.

— ყოელთვის ასე მიშვრება, — თქვა ანის ალ-ჯალისმა. — ცოტა ხანს სვამს. მეორე დაიძინებს და მე კი მარტო ვრჩები. მეინახეს

ვეღარ ვპოულობ, რომ იმასთან ერთად ვინადიმო. ვინ მომაწოდოს, როდესაც დავლევ? ვინ მომისმინოს, როცა ვიმღერებ?

შეიხ იბრაჰიმმა სითბო და სინაზე იგრძნო ქალის ნათქვამის გამო და უთხრა:

— რა საკადრისია. მეინახე ასე მოიქცეს?!

ქალმა კათხა აავსო. შეიხ-იბრაჰიმს შეხედა და უთხრა:

— ჩემს სიცოცხლეს გაფიცებ, გამომართვა და დალიო ეს კათხა. უარს ნუ მეტყვი. მიიღე და ჩემს გულს ნუგეში ეცი.

შეიხ იბრაჰიმმა ხელი გაუწოდა, თასი გამოართვა და შესვა. ქალმა მეორე აუვსო და მიაწოდა.

— ეს დაგრჩა, ჩემო ბატონოო.

— ალაჰს ვფიცავ, აღარ შემიძლია მაგის დალევა. მეყო, რაც დავლე. — მიუგო შეიხ იბრაჰიმმა.

— უსათუოდ უნდა დალიო, ალაჰს ვფიცავ, — უთხრა ქალმა.

შეიხმა კათხა აიღო და გამოსცალა. ქალმა მესამეც მიაწოდა. ბერიკაცმა აიღო, ის იყო უნდა დაელია, რომ უეცრად ნურ ად-დინი წამოდგა და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთექვსმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვებედნიერო, ალი ნურ ად-დინი თურმე წამოჯდა და მოხუცს უთხრა:

— ეს რასა ჰგავს, შეიხ იბრაჰიმ. ცოტა ხნის წინ არ გაფიცებდი და უარი მტკიცე, ცამეტი წელიწადია, ეს არ ჩამიდენიაო?

შეიხ იბრაჰიმმა დარცხვენით უთხრა:

ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმანი, ეგ ჩამაცივდა.

ნურ ად-დინს გაეცინა და სანადიმოდ დაჯდა. მხევალი მოტრიალდა და ჩუმად უთხრა:

— ჩემო ბატონო, შენ დალიე და შეიხ იბრაჰიმს ნუ დააძალებ. მე გაჩვენებ მაგის სეირს.

— მხევალი კათხას ავსებდა, თავის ბატონს ასმევდა. მისი ბატონიც ავსებდა და მხევალს აწოდებდა. ზედიზედ ასე მოიქცნენ. უყურა იმათ შეიხ იბრაჰიმმა. უყურა და თქვა:

— ეს რა არის, ეს რა ნადიმია? რად არ მასმევთ, მეც ხომ თქვენი მეინახე გავხდი?

ბერიკაცის სიტყვებზე იმდენი იცინეს, რომ გრძნობა დაკარგეს. მერე დალიეს, იმასაც დაალევინეს და შეუჩერებლად სვამდნენ, ვიდრე ღამის მესამედი ნაწილი არ გავიდა. ამ დროს მხევალმა თქვა:

— შეიხ იბრაჰიმ, ხომ არ ავდგე და შენი ნებართვით ავანთო სანთლები, აქ რომ ჩამწკრივებულა?

— ადექი, მაგრამ ერთზე მეტი არ აანთო. — მხევალი ფეხზე წამოდგა. პირველიდან დაიწყო, ოთხმოცივე აანთო და დაჯდა. მერე ნურ ად-დინმა თქვა:

— შეიხ იბრაჰიმ, მე? ჩემ წილად კი რაღა გაქვს? ნებას არ დამრთავ, ავდგე და ერთ-ერთი კანდელი ავანთო?

— ადექი და აანთე ერთი კანდელი და შენც არ გამაბეზრო. ადგა ნურ ად-დინი, პირველიდან დაიწყო და ოთხმოცივე აანთო.

იმ ადგილმა თითქოს როკვა იწყო. შეიხ იბრაჰიმმა, რომელსაც სიმთვრალე მორეოდა, თქვა: — თქვენ ჩემზე გერგილიანები ყოფილხართო.

ფეხზე წამოდგა, ყველა სარკმელი გააღო და იმათთან დაჯდა. ისინი ქეიფობდნენ, ლექსებს ღიღინებდნენ. მხიარულებამ მოიცვა ის ადგილი. და ინება ალაჰმა ყოვლისგამგონემ და ყოვლისმცოდნემ, რომელმაც ყველაფერს თავისი მიზეზი დაუწესა, რომ იმ დროს ხალიფა მჯდარიყო იმ სარკმელთან, რომელიც დილას გადაჰყურებდა. ხალიფამ იქითკენ გაიხედა. დაინახა — მდინარეში კანდელთა და სანთელთა შუქი ლიცლიცებს. ბაღნარში აღმართული სასახლისაკენ გაიხედა და ხედავს, ისიც გაბრწყინებულა სანთელთა და კანდელთა შუქზე.

— მომგვარეთ ჯაფარ ბარმაქიანი, — ბრძანა ხალიფამ და ჯაფარ ბარმაქიანი ხალიფას წინაშე იდგა თვალის დახამხამებაში. ხალიფამ უთხრა:

— შე ძაღლთაპირო ვაზირთა შორის, მემსახურები და არ კი მაცნობებ, რა ხდება ამ ბაღდად ქალაქში?

— რა არის მიზეზი ამ სიტყვებისა? — შეჰკადრა ხალიფას ჯაფარმა.

— ბაღდადი რომ არ წაერთმიათ ჩემთვის, — თქვა ხალიფამ, — გართობის სასახლე სანთელთა და კანდელთა შუქით არ იქნებოდა გაჩაღებული და სარკმლები კიდევ გაღებული. ვაი შენ, ვინ გაბედავდა ამის ჩადენას, თუ მე უკვე ხალიფობა არ დამიკარგავს?

ჯაფარს შიშისაგან მუხლები მოეკვეთა. ხალიფას უთხრა:

— ვინ მოგახსენათ, რომ გართობის სასახლეში სანთლები და კანდელები ანთია და სარკმლები კიდევ ღიაა.

— მოდი ჩემთან და შეხედე, — უთხრა ხალიფამ.

ჯაფარი ხალიფასთან მივიდა და ბაღნარისაკენ გაიხედა. ნახა, სასახლე ცეცხლის ალს დამსგავსებოდა და მისი სინათლე მთვარის შუქს სჭარბობდა,

ჯაფარმა მოინდომა, რომ შეიხ იბრაჰიმ დარაჯისათვის ბოდიში მოეწმინდა: ეგების ეს ამბავი მისი ნებართვით იყო და მას სასიკეთოდ მიაჩნდა. ხალიფას უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, შეიხ იბრაჰიმი წარსულ პარასკევს მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— მინდა, ჩემი შვილები გავახარო შენი და მართლმორწმუნეთა მბრძანებლის სიცოცხლეშივე.

— რა გინდა-მეთქი, ამ ლაპარაკით.

— მინდა, ხალიფას სთხოვო, რომ ჩემი ვაჟების წინადაცვეთა სასახლეში გადავიხადოო.

— რაც გინდა, ის ქენი-მეთქი, შენი ვაჟებისდა სასიხარულოდ.

ინშალაჰ, შევხვდები ხალიფას და გადავცემ. გაუხარდა და წავიდა. მე კი დამავიწყდა შენთვის მეთქვა.

ხალიფამ თქვა:

— ო, ჯაფარ, შენ ერთი დანაშაული მიგიძღოდა ჩემ წინაშე, ახლა კი ორი გახდა. ორმხრივ შეცდი. ჯერ ერთი, რომ არ გამაგებინე ეს ამბავი. მეორე კი, რომ შეიხ იბრაჰიმის მიზანი არ შეუსრულე. იგი შენთან მოვიდა და ეს სიტყვა გითხრა მხოლოდ და მხოლოდ ვითარცა ქარაგმა, რომ ცოტაოდენი ფული მიგეცა. შენ კი არაფერი მიეცი და მეც არ მაცნობე. რომ რაიმე მებოძებინა

— დამავიწყდა. მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. ხალიფამ ბრძანა:

— ვფიცავ ჩემს მამათა და პაპათ. ეს ღამე იმასთან უნდა დავასრულო. შეიხ იბრაჰიმი ღვთისნიერი კაცია. შეიხებთან დადის. იგი პატივისცემით ეგებება უპოვართა და ანუგეშებს საწყალთ. ვფიქრობ. ამაღამ ყველა იმასთან იქნება. უეჭველად უნდა წავიდე. ეგების ერთ-ერთმა იმათგანმა ისეთი ლოცვით დაგვლოცოს. რომ სიკეთე გვხვდეს წილად სააქაოსაც და საიქიოსაც. ეგების ჩვენმა იქ ყოფნამ იმას სარგებლობა მისცეს და გაახაროს ისიცა და მისი მახლობლებიც.

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. — თქვა ჯაფარმა. — ღამის უმეტესი წილი უკვე გასულია. ისინი ახლა, ალბათ, იშლებიან კიდეც.

— უსათუოდ უნდა მივიდე. — თქვა ხალიფამ.

გაჩუმდა მაშინ ჯაფარი. დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეღონა. ხალიფა ფეხზე წამოდგა. ჯაფარი მის წინაშე იდგა. იმათთან იყო მასრურიც — საჭურისი. სამივენი სასახლიდან ჩამოვიდნენ და, ვაჭრებად გადაცმული. ქუჩებში მიდიოდნენ, ვიდრე ხსენებულ ბაღნარს არ მიაღწიეს. ხალიფა დაწინაურდა. ხედავს, ბაღის კარი ღიაა. გაუკვირდა:

— შეიხ იბრაჰიმს ამ დრომდე როგორ დაუტოვებია კარი ღია.

იმას ასეთი რამ არა სჩვევიაო.

შევიდნენ და იარეს. ვიდრე ბაღნარის ბოლოს არ მიაღწიეს. სასახლის ქვემოთ შეჩერდნენ. ხალიფამ თქვა:

— ჯაფარ. სანამ ავსულვარ, მინდა ჩუმად მივეპარო, რათა დავინახო, როგორ განიკითხავენ შეიხები და როგორ იღებენ სასწაულთაგან შემოსავალს. ისინი სხვადასხვაგვარად ირჯებიან, ჩუმად და აშკარად. ახლა კი მათი არც ხმა გესმის და ვერც ვერავითარ კვალს ვხედავთ.

ხალიფამ გაიხედა და ერთი მაღალი კაკლის ხე დაინახა.

— ჯაფარ, მინდა ამ ხეზე ავძვრე. მისი ტოტები ფანჯარასთან ახლოა და დავინახავ იმათ. ხალიფა ხეზე ავიდა. ხან ერთ ტოტს ებღაუჭებოდა, ხან მეორეს, ვიდრე იმ ტოტს არ მიაღწია, ფანჯრის პირდაპირ რომ იყო. ჩამოჯდა ზედ და სასახლის სარკმელში შეიხედა. დაინახა ჭაბუკი და ქალიშვილი ორი მთვარის მსგავსი, დაინახა შეიხ იბრაჰიმი, ის იჯდა ხელში კათხითა და ამბობდა:

— ლამაზების ქალბატონო. განა რა სასიამოვნოა სმა უსიმღეროდ? ნუთუ არ გსმენია სიტყვა მგოსნისა:

ჩამოატარე ჯერ დიდით და შემდგომ მცირეთი,
და გამოართვი შუქმფინარი მთოვარის ხელთა.
და არ დალიო ის საკრავთა ხმების გარეშე
რადგან მინახავს, მხოლოდ სტვენის ხმაზე სვამს ცხენიც.

როდესაც ხალიფამ თავისი თვალით დაინახა, რასაც აკეთებდა შეიხ იბრაჰიმი. ადგა, თვალთა შუა რისხვის ძარღვი დააჯდა, ძირს ჩამობრძანდა და ჯაფარს უთხრა:

— მე არასოდეს არ მინახავს ღვთისნიერთა ასეთი სასწაულები, ამაღამ რომ ვნახე. ადი ახლა ამ ხეზე და დაინახე, რომ არ აგცდეს ღვთისნიერთა ლოცვა-კურთხევა.

მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ნათქვამის გაგონებაზე ჯაფარი დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა, აძვრა მაღლა ხეზე და, აი, დაინახა ალი ნურ ად-დინი, შეიხი იბრაჰიმი და მხევალი. შეიხ იბრაჰიმს ხელში კათხა ეკავა. როდესაც ჯაფარმა თავისი თვალით დაინახა ეს ამბავი, დარწმუნდა, რომ დაიღუპებოდა. ძირს ჩამოვიდა და მართლმორწმუნეთა მბრძანებლის წინაშე გაჩერდა.

ხალიფამ თქვა:

— დიდება ალაჰს, რომელმაც წმიდა შარიათის ცხადი წესების მიმდევრებად გვაქცია და გვაშორა ბოროტება მატყუართა სიყალბისა.

— მეტისმეტი სირცხვილისაგან ჯაფარმა ხმა ვეღარ ამოიღო. ხალიფამ ჯაფარს შეხედა და უთხრა:

— ნეტა ვინ მოიყვანა ისინი ამ ადგილას, ვინ შემოიყვანა ჩემს სახლში? მაგრამ ჩემს თვალს არავინ უნახავს იმ ქალიშვილისა და ჭაბუკის მსგავსი სილამაზითა და სიტურფით, ტანადობითა და ტანკენარობით.

ჯაფარმა, რომელსაც ხალიფასაგან პატიების იმედი მიეცა, თქვა: —

— მართალი ხარ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო.

— ჯაფარ, მოდი იმ ტოტზე ავიდეთ, — თქვა ხალიფამ, — იმათ პირდაპირ რომ არის, და ვუთვალთვალოთ.

შეხედეს ქალ-ვაჟსა და გაიგონეს შეიხი იბრაჰიმი ამბობდა:

— ჩემო ქალბატონო, სიდარბაისლე მე ძველი ღვინისათვის დავთმე. მაგრამ ეს მხოლოდ სიმების ხმაზეა სასიამოვნო.

ანის ალ-ჯალისმა უთხრა:

— შეიხ იბრაჰიმ, ჩვენ რომ რაიმე საკრავი მოგვცა, ალაჰს ვფიცავ, ჩვენი სიხარული სრული იქნებოდა.

მხევლის ნათქვამის გაგონება და შეიხ იბრაჰიმის ფეხზე წამოდგომა ერთი იყო.

— ნეტა რას აპირებს? — უთხრა ხალიფამ ჯაფარს.

— არ ვიცი, — მიუგო მან.

შეიხი იბრაჰიმი ცოტა ხანს არ ჩანდა. მერე დაბრუნდა და თან უდი მოიტანა. ხალიფა დააკვირდა და ხედავს, იგი ისჰაკ ან-ნადიმის უდია. ჯაფარს უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, ყველას ჯვარს გაცმევთ, თუ მხევალმა ცუდად იმღერა. თუ კარგად იმღერებს, მაშინ იმათ ვაპატიებ და მარტო შენ გაგსვამ ძელზე.

— ო, ალაჰ, — თქვა ჯაფარმა, — ქმენ ისე, რომ ცუდად იმღეროს. — რატომ? — თქვა. ხალიფამ.

— ერთმანეთს მაინც გავართობდით, თუ ყველა ჯვარს გვაცვი.

ხალიფას გაეცინა. აი, მხევალმა აიღო უდი, მოაწყო სიმები და დაუკრა ისე, რომ რკინა დადნებოდა და ბრიყვი დაბრძენდებოდა. ქალმა დაიწყო ეს ბეითები:

ჩვენი სიახლოვე სიშორემ შეცვალა,
სიამე სოფლისა სიავედ გვექცა.
დავშორდით და მაინც გული ვერ გივიწყებთ.
ჩვენი თვალების უპენი შრება.
ჩვენმა სიყვარულმა მტრის რისხვა გვაწია,
გვისურვეს დაღუპვა, თქვა ბედმაც: ამინ!
თქვენთან რომ დაგვხოცონ, განა ის გვაშინებს!
არამედ ცოდვას რომ იღებენ მძიმეს.

ხალიფამ თქვა:

— ჯაფარ, ღმერთმანი, ჩემს სიცოცხლეში არა მსმენია ხმა მუტრიბისა ამის მსგავსი.

— იქნებ ხალიფას რისხვამ გაუარა? — იკითხა ჯაფარმა.

— დიახ, გამიარა, — მიუგო ხალიფამ. ჯაფართან ერთად ძირს ჩამოვიდა, მიუბრუნდა და უთხრა:

— მსურს იმათთან ავიდე და ჩემ წინაშე მოვისმინო იმ ქალის

სიმღერა.

ჯაფარმა მიუგო:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, მოერიდებათ შენი, იქ რომ ახვიდე, შეიხი იბრაჰიმი კი შიშისაგან სულს გააფრთხობს.

— ჯაფარ, — თქვა ხალიფამ, — უთუოდ უნდა მასწავლო ხერხი რაიმე, რათა გავიგო სიმართლე ამ ამბისა. ოღონდ არ მიხვდნენ, იმათ თვალს რომ ვუხვევთ.

ხალიფამ და ჯაფარმა დიჯლასაკენ გასწიეს ამ საქმეზე ჩაფიქრებულებმა. უეცრად დაინახეს, სასახლის სარკმელთა ქვეშ ერთი მებადური დგას და თევზაობს. მებადურმა ბადე ისროლა, რომ თავის სარჩენად რამე დაეჭირა. წინათ ხალიფას შეიხი იბრაჰიმისათვის დაუძახია და უთქვამს:

— ეს რა ხმაურია. სასახლის სარკმელთა ძირას რომ მესმისო.

— ეს იმ მეთევზეთა ხმებია, აქ რომ თევზაობენო, — უპასუხია შეიხ იბარაჰიმს.

— ჩადი და აუკრძალე ამ ადგილას თევზის ჭერა, — უბრძანებია ხალიფას და მებადურებს იმ ადგილას თევზაობა აეკრძალათ. იმ ღამეს იქ ერთ მებადურს გაუვლია და, კარი რომ ღია უნახავს, უფიქრია:

— აი, დაუდევრობის ჟამი! იქნებ ეს დრო სათევზაოდ გამოვიყენოო. — აიღო თავისი ბადე, წყალში გადააგდო და ეს ბეითები დააღიღინა:

ზღვით მოგზაურო, ხიფათსა და საფრთხეში მყოფო,
დაეხსენ შრომას, რადგან გარჯა არ მოგცემს სარჩოს.
ვერ ხედავ ზღვასა და მეთევზეს იქ რომ დამდგარა?
ღამეს, რომელიც მოუჭედავთ ღამის მნათობებს.
ბადის თოკები გაუჭიმავს და ურტყამს ტალღა
და თვალი მისი დაუცხრომლად გარს უვლის ბადეს.
მას მხიარული, ბედნიერი ღამე დაუდგა.

რა დიდი თევზი მოჰყოლია დამღუპველ მახეს!
ამ დროს სასახლის მბრძანებელი, განცხრომით მყოფი,
იმ ღამეს ათევს ბარაქასა და სიკეთეში.
და მერე ოდეს გაიღვიძებს მოსვენებული,
ნახავს, ქურციკი მის სამეფოს დაუფლებია.
დიდება უფალს, ერთს აძლევს და მეორეს ართმევს.
ზოგი თევზაობს. ზოგიც კიდევ მიირთმევს ამ თევზს.

დაამთავრა ლექსი მებადურმა და უეცრად ხალიფა წამოადგა თავზე მარტო. ხალიფამ იცნო მებადური.

— ქარიმ. — დაუძახა მან. დაძახებაზე მებადური მოტრიალდა და, ხალიფა რომ დაინახა, შიშისგან მუხლები მოეკვეთა.

— ალაჰს ვფიცავ, — თქვა მან. — ეს იმიტომ კი არ ჩავიდინე, რომ აბუჩად ვიგდებ ბრძანებას, გაჭირვება და ოჯახი კაცს აიძულებს, მოიქცეს ისე, როგორც ხედავ.

— ჩემს ბედზე ითევზავე. — უთხრა ხალიფამ.

გახარებულმა მებადურმა ბადე ისროლა. დაიცადა, სანამ ბადე სულ არ ჩაიძირა და ფსკერზე არ გაჩერდა. მერე კი მოზიდა და სხვადასხვა ჯიშის უთვალავი თევზი ამოიტანა. ხალიფას გაუხარდა და მეთევზეს უთხრა:

— ქარიმ. გაიძვრე შენი ტანსაცმელი.

მებადურმა გაიძრო ჯუბა, რომელსაც სამი შალის ასი ბებკი ეკერა და შიგ იმდენი კუდიანი მკბენარი და რწყილი იყო, რომ მთელი დედამიწის ზურგს შემოატარებდა იმის პატრონს. თავზე ჩალმა მოიძრო, რომელიც სამი წელი არ გაეხსნა, და რა ძონძსაც კი იპოვიდა, ზედ აკერებდა. მებადურმა ჩალმა და ჯუბა გაიხადა და ხალიფამაც გაიძრო ტანზე ალექსანდრიული და ბაალბეკური ფარჩის სამოსელი, წამოსასხამი და ფარჯია. მებადურს უთხრა:

— აიღე და ჩაიცვიო.

ხალიფა კი იმის ჯუბაში გამოეწყო. თავზე ჩალმა მოიხვია, სახე

პირბადით შეიბურა და მებადურს უთხრა:

— წადი, შენს საქმეს ეწიე.

კაცი ემთხვია ხალიფას, მადლობა მოხსენა და ეს ბეითები წარმოთქვა:

წყალობა მიყავ. მადლობით რომ ჯერ ვერც გადავიხდი,
და მომაშორე შენ ერთბაშად საქმე ყოველი.
მადლს შემოგწირავ, ვცოცხლობ ვიდრე, და თუ მოვკვდები,
ჩემს სამარეში ჩემი ძვლები გეტყვის მადლობას.

მეთევზემ ლექსის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ ხალიფას მკბენარი შეესია. ხალიფა ხან მარჯვენა ხელით იჭერდა მკბენარებს კისერზე და ხან კიდევ მარცხენათი და ძირს ყრიდა.

— ვაი შენ, მებადურო. — წამოიძახა მან. — რამდენი მკბენარია ამ

შენს ჯუბაში!

— ახლა გაწუხებენ. თორემ ერთი კვირა რომ აგრე იარო, ვეღარც იგრძნობდი და აღარც იფიქრებდი იმათზე.

ხალიფას გაეცინა:

— ვაი შენ. ამას როგორ დავიტოვებ ტანზე.

— რაღაცის თქმა მინდოდა. — თქვა მებადურმა. — მაგრამ ხალიფას რისხვისა მერიდება.

— თქვი. რა გინდა. — უთხრა ხალიფამ.

მებადურმა მიუგო:

— თავში მომივიდა — შენ თუ თევზაობაში გაწაფვა გინდა, რომ ხელში რაიმე სარფიანი ხელობა გეჭიროს, ეს ჯუბა სწორედ ზედგამოჭრილია შენთვის.

ხალიფას გაეცინა მებადურის სიტყვებზე და მებადური თავის გზას გაუდგა. ხალიფამ აიღო თევზების კალათა, ზემოდან ცოტაოდენი მწვანილი მოაყარა, ჯაფარს წაუღო და წინ გაუჩერდა.

ჯაფარს იგი ქარიმ მებადური ეგონა. შეეშინდა, რამე არ ასტეხოდა და უთხრა:

— ქარიმ, აქ რამ მოგიყვანა, თავს უშველე, ხალიფა აქ არის ამაღამ. — ჯაფარის სიტყვების გაგონებაზე ხალიფა სიცილისაგან გადაბრუნდა. ჯაფარმა თქვა:

— იქნებ შენ ჩვენი ბატონი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი ხარ?

— დიახ, ჯაფარ, — მიუგო ხალიფამ, — და შენ კი ჩემი ვაზირი ბრძანდები. აქ შენთან ერთად გეახელი. შენ ვერ მიცანი და შეიხი იბრაჰიმი კი როგორღა მიცნობს, მით უმეტეს, რომ მთვრალია. აქ იყავი შენს ადგილას, სანამ დავბრუნდებოდე.

— გისმენ და გემორჩილები! — თქვა ჯაფარმა.

ხალიფა სასახლის კარს ან მივიდა და დააკაკუნა. შეიხი იბრაჰიმი ადგა.

— ვინ არის კარზე? — თქვა მან.

— მე ვარ, შეიხ იბრაჰიმ, — მიუგო ხალიფამ.

— ვინ შენ?

— მე. ქარიმა მებადური. გავიგონე, სტუმრები გყოლია და ცოტაოდენი თევზი მოგიტანე. კარგი თევზია.

თევზი უყვარდა ნურ ად-დინსა და იმის მხევალს. თევზის ხსენებაზე ძლიერ გაიხარეს.

— კარი გაუღე. ჩემო ბატონო, შემოგვიტანოს თავისი თევზიო.

შეიხ იბრაჰიმმა კარი გააღო. მებადურად გადაცმული ხალიფა შიგ შემოვიდა და პირველი მიესალმა.

— სალამი ქურდსა, მპარავსა და მებანქოვეს, — მიუგო შეიხ იბრაჰიმმა, — მოდი, გვიჩვენე შენი თევზი.

შეხედეს და ნახეს. თევზი ცოცხალი იყო, ფართხალებდა. მხევალმა თქვა:

— ალაჰს ვფიცავ. ჩემო ბატონო, კარგი თევზია. ნეტა შემწვარი იყოს.

— ღმერთმანი, მართალი ხარ, — მიუგო შეიხ იბრაჰიმმა და ხალიფას უთხრა:

— ნეტა ეს თევზი შემწვარი მოგეტანა. ადექი, შეგვიწვი და მოიტა.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, — თქვა ხალიფამ, — შევწვავ და მოგართმევთ.

— ჩქარა შეწვი და მოიტანე, — მიუგეს იმათ.

ხალიფა სირბილით გაეშურა. ჯაფართან რომ მივიდა, უთხრა:

— ჯაფარ, თევზს შემწვარს მოითხოვენ.

— მოიტა შევწვა, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, — უთხრა ჯაფარმა.

— ვფიცავ ჩემს მამა-პაპათა სამარეს, მხოლოდ მე უნდა შევწვა. ჩემი ხელით.

დარაჯს ქოხში წავიდა. მოძებნა და იპოვა ყველაფერი, თევზის შესაწვავად და ჭურჭელიც სჭირდებოდა. თვით მარილი და ქონდარიც კი ნახა და სხვა რამეები. მივიდა მაყალთან, დაადგა ტაფა და, კარგად რომ შებრაწა თევზები, ბანანის ფოთლებში ჩააწყო. ბაღიდან ლიმონიც წამოიღო, თევზი აიტანა და იმათ მიართვა. მივიდნენ ჭაბუკი, ქალი და შეიხ იბრაჰიმი. ჭამეს და როდესაც დაამთავრეს, ხელები დაიბანეს. ნურ ად—დინმა უთხრა:

— მებადურო, ღმერთმანი, სიკეთე გვიყავი ამაღამო.

ჯიბეში ხელი ჩაიყო და სამი დინარი ამოიღო. იმ დინართაგანი. სანჯარმა რომ მისცა გამგზავრების ქამს.

— მებადურო, — თქვა მან. — მომიტევე. ალაჰსა ვფიცავ. წინათ, რომ მცნობოდი. ვიდრე ის ამბავი გადამხდებოდა. შენს გულს სიღატაკის სიმწარეს მოვაშორებდი. მაგრამ ახლა აიღე ეს. ისე, როგორც მდგომარეობას შეჰფერის.

ალი ნურ ად-დინმა ხალიფას დინარები გადაუგდო. ხალიფამ აიღო. აკოცა და ჯიბეში ჩაიდო. ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა. რომ იმ მხევლის სიმღერის მოსმენა სურდა და თქვა:

— შენ კარგად და მადლიანად მოიქეცი. მაგრამ ყოვლისმომცველი შენი მოწყალებიდან მე მხოლოდ ერთი რამ მინდა. ამ მხევალმა იმღეროს და მოვისმინო.

— ანის ალ-ჯალის. — თქვა ნურ ად-დინმა.

— დიახ. — მიუგო მან.

— ჩემმა სიცოცხლემ. გვიმღერე რაიმე ამ მებადურისათვის. შენი მოსმენა სურს.

როდესაც მხევალმა თავისი ბატონის ნათქვამი გაეგონა, აიღო უდი, შეეხო. ააწყო და ეს ბეითები იმღერა:

რამდენ მზეთუნახავს დაუკრავს უდი,
სული წარუღია თითების შეხებას.
ყრუსთვის სიმღერა შეუსმენიათ
და მუნჯსაც უთქვამს: — რა კარგად მღერის.

მერე საუცხოოდ დაუკრა. ისე, რომ კაცს ჭკუა დაებნეოდა და ეს ბეითები დაამღერა:

პატივი დაგვდეთ ჩვენს მიწაზე თქვენი ჩამოსვლით,
თქვენმა მშვენებამ გაგვიფანტა უკუნი ბნელი.
და ჯერ არს ჩემთვის, ჩემს სადგომში რომ მოვაფრქვიო
ქაფური, მუშკი და ვარდისწყალი.

ხალიფა აღელდა, მღელვარება მოერია, თავი ვეღარ შეიკავა და აღფრთოვანებით ალაპარაკდა:

— ალაჰიმც დაგატკბობს! ალაჰიმც დაგატკბობს! ალაჰიმც დაგატკბობს!

ნურ ად-დინმა თქვა: — მოგწონს ეს მხევალი და მისი დაკვრა?

— ჰო. ალაჰს ვფიცავ. — თქვა ხალიფამ.

— შენი ფეშქაში იყოს ჩემგან. — უთხრა ნურ ად-დინმა.

— ფეშქაში კეთილშობილი კაცისა, რომელიც გაჩუქებულს უკან არ იბრუნებს.

ფეხზე წამოდგა. აიღო მილვატა და მებადურად გადაცმულ ხალიფას გადაუგდო. უბრძანა წასვლა და მხევლის წაყვანა. მხევალმა შეხედა ალი ნურ ად-დინს და უთხრა:

— ჩემო ბატონო. ნუთუ გამოუმშვიდობებლად წახვალ! თუ ეს ამბავი აუცილებელია. დადექი, რომ გამოგეთხოვო.

და ეს ბეითები წარმოთქვა:

თქვენ შეიძლება მიმატოვოთ, მაგრამ დარჩებით
თვით ჩემს გულმკერდში, თვით ჩემს სულში და ჩემს წიაღად.
ვსასოებ, ღმერთმა შეგვახვედროს იქნებ ოდესმე.
ღმერთი თავის მადლს მას მიაგებს, ვისაც ინებებს.

ლექსი რომ დაამთავრა, ნურ ად-დინმა ამ სიტყვებით უპასუხა:

გამომეთხოვა ის გაყრის დღეს და ასე მითხრა,
ატირებულმა ტანჯვისა და განშორებისგან,
რაღას იზამო ჩემ შემდგომად? და მე მივუგე,
ეს იმას უთხარ, ვინც შენ შემდეგ ცოცხალი დარჩეს.

ეს რომ გაიგონა ხალიფამ, ეძნელა იმათი დაშორება და ჭაბუკს უთხრა:

— ჩემო ბატონო, შენ რაიმე დანაშაულისა ხომ არ გეშინია, ანდა ვისიმე ვალი ხომ არ გმართებს?

— ალაჰს ვფიცავ. მებადურო, — მიუგო ნურ ად-დინმა. — მე და ამ მხევალს საკვირველი ამბავი და საოცარი საქმე შეგვემთხვა. ის რომ ნემსით თვალის უპეებზე დაიწეროს, შეგონება იქნებოდა იმისათვის, ვინც შეიგონებს.

ხალიფამ უთხრა;

— ნუთუ არ მოგვიყვები შენს თავგადასავალსა და არ გვამცნობ შენს ამბავს. ეგების ამით შენც შვება ჰპოვო. ჭეშმარიტად, ახლოა შვება ალაჰისა.

ნურ ად-დინმა მიუგო:

— მებადურო, ჩვენს ამბავს ლექსად მოისმენ თუ მოთხრობად?

— მოთხრობა სიტყვებია და ლექსი კი მარგალიტი წყობილი. — თქვა ხალიფამ. მაშინ ნურ ად-დინმა მიწამდე ჩაქინდრა თავი და ეს ბეითები დაიწყო:

ო, მეგობარო. ჭეშმარიტად გამიკრთა ძილი.
და სამშობლოსთან განშორებამ სევდა მაგემა.
მყავდა მე ერთ დროს მამა, ჩემი მოსიყვარულე,
მიმატოვა და გადაიქცა საფლავის მძევლად.
მან რაც დამტოვა, მრავალი რამ გადამხდა თავზე,
გული და ღვიძლი დამიფლითეს მე იმ ამბებმა.
მიყიდა მამამ მშვენიერი, ასული ტურფა,
მოქნილი წელით, იგი მართლაც ნორჩ ყლორტს რომ ჰგავდა.
მას დავახარჯე მთელი ჩემი სამკვიდრებელი.
და ზოგიც კიდევ დავურიგე გვაროვან კაცთა.
ის გასაყიდად გავიმეტე გაჭირვების ჟამს,
თუმც გავურბოდი განშორების წუხილს და განცდას.
მაგრამ, როდესაც მუშტარს უხმო ქალთან დალალმა,
და დაუმატა მას ბებერმა გახრწნილმა ფასი,
განვრისხდი ამ დროს, რისხვით ძლიერით.
საუფლო ჩემი გამოვგლიჯე ხელიდან მაშინ.
და დამაწია მე სიავე იმ გარეწარმა
და მკრეხელობის უგვანოში იელვა ალმა.
სიბრაზისაგან მარჯვენა და მარცხენა ვურტყი,
ვიდრე არ ვიგრძენ, საკმარისად ვიოხე გული.
მერე შინისკენ გავემართე შეშფოთებული,

დარწმუნებული ძალმომრევი მტრის თავდასხმაში.
ჩემი შეპყრობა ბრძანა მაშინ იმ ქვეყნის მეფემ,
მაგრამ მეახლა მე ეჯიბი სანდო, კეთილი.
და მიმახვედრა იმ ეჯიბმა, შორს წავსულიყავ
მტრის საფარიდან მოშურნეთა დასამწუხრებლად.
უკუნ ღამეში მივატოვეთ სადგომი ჩვენი,
თავშესაფარის საძებნელად ვეშურეთ ბაღდადს.
ახლა სხვა არა მაბადია რა,
რომ ვუსახსოვრო ამ მებადურს იმ მხევლის გარდა.
მიბოძებია მიჯნური შენთვის,
მაგრამ გწამდეს, რომ მოგიძღვენი თვით გული ჩემი.

ნურ ად-დინმა ლექსი დაასრულა და ხალიფამ უთხრა:

— ამიხსენი შენი საქმე.

ნურ ად-დინმაც თავიდან ბოლომდე მოუთხრო თავისი ამბავი. და როდესაც ხალიფა ჩასწვდა მის მდგომარეობას, ჰკითხა:

— ამჟამად საით მიდიხარ? — ვრცელია ქვეყანა ღვთისა. — მიუგო მან. ხალიფამ უთხრა:

— ერთ ბარათს დაგიწერ. ბარათი სულტან მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის მიუტანე. როდესაც წაიკითხავს, აღარას დაგიშავებს... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეჩვიდმეტე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ხალიფამ ალი ნურ ად-დინს უთხრა:

— ბარათს დაგიწერ, სულტან მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის მიუტანე და როცა წაიკითხავს, აღარას დაგიშავებს.

ალი ნურ ად-დინმა მიუგო:

— განა არსებობს დუნიაზე ისეთი მებადური, რომელსაც მეფეებთან მიმოწერა ჰქონდეს? ეს ხომ არასოდეს არ იქნება!

— მართალი ხარ, — უთხრა ხალიფამ, — მაგრამ ამის მიზეზსაც მოგახსენებ. იცოდე, მე და ის ერთად ვსწავლობდით ფაკიჰთან ერთ სასწავლებელში. მე უფროსი შეგირდი ვიყავი. მერე იმას ბედი ეწია და სულტანი გახდა. მე კი ალაჰმა მეთევზედ მაქცია. მე ჯერ იმისათვის ისეთი არაფერი შემითვლია, რომ მას არ გაეკეთებინოს. დღეში ათასი რამე რომ ვთხოვო, უთუოდ შემისრულებს.

როცა ნურ ად-დინმა მისი ნათქვამი გაიგონა, უთხრა:

— აბა, დაწერე ვნახოო.

ხალიფამ აიღო სამელნე და კალამი და ალაჰის სახელის მოხსენების შემდეგ დაწერა: „და მერმე კი, აი, რა: წიგნი ესე ჰარუნ არ-რაშიდ მაჰდის ძისა მის აღმატებულებას მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის, ჩემს წყალობაში გაწვეულს, ვინც მე ჩემს მოადგილედ დავნიშნე ჩემი სამეფოს ერთ-ერთ ნაწილში. გაცნობებ, რომ ამ წერილის მომტანია ალი ნურ ად-დინ იბნ ხაკანი. იმის მოსვლისთანავე ხელი აიღე მეფობაზე და შენს ადგილას დასვი. მე იგი დავნიშნე მმართველად იმისა, სადაც შენ გაგამწესე ამაზე ადრე. ჩემს განკარგულებას წინააღმდეგობა არ გაუწიო და მშვიდობა შენდა“. წერილი ნურ ად-დინ იბნ ხაკანს მისცა. ნურ ად-დინმა აიღო წერილი, ემთხვია, ჩალმაში ჩაიდო და იმწამსვე გაემგზავრა. ასეთი იყო მისი ამბავი. ახლა რაც შეეხება ხალიფასა და შეიხ იბრაჰიმს. შეიხ იბრაჰიმმა შეხედა მებადურად გადაცმულ ხალიფას და უთხრა:

— ჰო, შე უმდაბლესო მეთევზეთა შორის, ორიოდ თევზი მოგვიტანე ორ-ნახევარ დირჰამად ღირებული, სამი დინარი აიღე და ახლა მხევლის წაყვანასაც აპირებ? — ამ სიტყვების გაგონებაზე ხალიფამ დაიყვირა, მასრურს ნიშანი მისცა. ისიც გამოჩნდა და შეიხ იბრაჰიმს ეცა. ჯაფარს კი ამ დროს ერთი თავისი ბიჭთაგანი

გაუგზავნია სასახლის მეკარესთან მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ტანსაცმლის წამოსაღებად. წავიდა ბიჭი, ტანსაცმელი მოიტანა და ემთხვია მიწას ხალიფას წინაშე. ხალიფამ გაიხადა ძველმანები და ის სამოსი ჩაიცვა. შეიხი იბრაჰიმი სკამზე იჯდა. ხალიფა კი

იდგა და უცქერდა, რა მოხდებოდა. შეიხი იბრაჰიმი დაიბნა, სირცხვილისაგან თითების კვნეტა დაიწყო.

— ნეტა მძინავს თუ მღვიძავსო, — ამბობდა იგი. ხალიფამ შეხედა და უთხრა:

— რა ყოფაში ხარ?

მაშინ კი გამოფხიზლდა ბერიკაცი, ძირს დაეცა და ეს ბეითები წარმოთქვა:

შემინდე ცოდვა, მე ხომ მხოლოდ ფეხი დამიცდა,
მონა მარადჟამს ბატონებთან ეძებს წყალობას.
ვგრძნობ, მოვიქეცი, ვით შეჰფერის ეს ჩემს სიბრიყვეს.
სადღაა იგი, რაც შეჰფერის შენს სულგრძელობას?

ხალიფამ შეუნდო შეიხ იბრაჰიმს და ბრძანა, მხევალი სასახლეში წაეყვანათ. როდესაც მხევალი სასახლეში მივიდა, ხალიფამ იგი ცალკე სადგომში მოათავსა, მსახური მიუჩინა და უთხრა:

— იცოდე, რომ შენი ბატონი ბასრას გავგზავნე სულტნად. ხალათს გავუგზავნი, თუ ალაჰი ინებებს, და შენც მას გაგაყოლებ.

ასეთი იყო ამბავი მათი. რაც შეეხება ნურ ად-დინს, ეს კი შეუჩერებლივ მიდიოდა, ვიდრე ბასრას არ მიაღწია, სულტნის სასახლესთან მივიდა და ხმამაღლა დაიძახა. სულტანმა გაიგონა და მისი შემოყვანა მოითხოვა. წარდგა ნურ ად-დინი მის წინაშე, ემთხვია მიწას, ამოიღო ბარათი და გადასცა. როდესაც სულტანმა მისამართზე მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ხელი დაინახა, ფეხზე წამოდგა, სამჯერ ეამბორა წერილს და თქვა:

— სმენა და მორჩილება მაღალ ალაჰსა და მართლმორწმუნეთა მბრძანებელს!

დაიბარა ყადიები, ამირები და სამეფო უფლებათა აყრა სურდა, რომ უეცრად ვაზირი მუინ იბნ სავი მოვიდა. სულტანმა მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ბარათი გადასცა. ვაზირმა რომ ბარათი წაიკითხა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია, პირში ჩაიდო, დაღეჭა და გადმოაფურთხა. რისხვით აღვსილმა სულტანმა უთხრა:

— ვაი შენ, ეს რამ გაგაკეთებინა?

ვაზირმა კი მიუგო:

— ეგ არც ხალიფას შეხვედრია და არც იმის ვაზირს, ეგ ვიღაც თაღლითია, შეითანი და გაიძვერა. ხალიფას ხელით წარწერილი ბარათი ჩავარდნია ხელში, გაუყალბებია და ჩაუწერია, რაც თვითონ სურდა. რად უნდა განეშორო სულტნობას, როდესაც ხალიფას შენთვის ელჩი არ გამოუგზავნია უზენაესი ხელრთვით. ეს ამბავი რომ მართალი იყოს. ხალიფა იმას ეჯიბს ანდა ვაზირს გამოაყოლებდა. მაგრამ იგი მარტო მობრძანდა.

— მაშ რა ვქნა? — იკითხა სულტანმა. ვაზირმა უთხრა:

— გამატანე ეს ჭაბუკი, წავიყვან და ეჯიბის თანხლებით ქალაქ ბაღდადს გავგზავნი. თუ მართალია მისი ნათქვამი, უზენაეს ხელრთვასა და განკარგულებას მოგვიტანს, თუ არა და, მაშინ კი ვიყრი ჯავრს ჩემს მეტოქეზე.

სულტანმა ვაზირის ნათქვამი მოისმინა და ჭკუაში დაუჯდა. ვაზის უთხრა: — რაც გინდა, ის უყავიო.

მაშინ ვაზირმა ნურ ად-დინი ჩაიბარა სულტნისაგან და თავის სახლში წაიყვანა. მოუხმო მონებს. წამოაქციეს ალი ნურ ად-დინი და ურტყეს, ვიდრე გრძნობა არ დაკარგა ვაზირმა ბრძანა, ფეხებზე ბორკილი დაედოთ ნურ ად-დინისათვის და მედილეგეს უხმო. იგი ეახლა ვაზირს და ემთხვია მიწას მის წინაშე. ვაზირმა უთხრა:

— კუტაიტ, მე მსურს, წაიყვანო იგი, შენი დილეგის ერთ-ერთ ხაროში ჩააგდო და დღედაღამ აწამო.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო მედილეგემ

ნურ ად-დინი დილეგში წაიყვანა და ჩაამწყვდია. მედილეგემ ბრძანა, დაეგავათ ის მასტაბა, კარის უკან რომ იყო. ხალიჩა გადააფარა, ბალიში დადო და ზედ ნურ ად-დინი დასვა. ბორკილი მოხსნა და მოწყალედ მოექცა. ვაზირი ყოველდღე გზავნიდა მედილეგესთან კაცსა და უბრძანებდა, ნურ ად-დინს სცემეო. მედილეგეც ვითომ აწამებდა. სინამდვილეში კი ტკბილად ეპყრობოდა. ასე გავიდა ორმოცი დღე. ორმოცდამეერთე დღეს კი ხალიფასაგან ძღვენი მოუვიდა სულტანს. სულტანი გაოცდა იმის დანახვაზე და ვაზირს მოეთათბირა. ვიღაცამ თქვა:

— იქნებ ეს ძღვენი ახალი სულტნისათვის არისო.

— ყველაზე უკეთესი იქნება, — თქვა ვაზირმა მუინ იბნ სავიმ. — თუ მოვკლავთ ნურ ად-დინს მისი მოსვლის ჟამს.

სულტანმა თქვა:

— ალაჰს ვფიცავ, შენ გამახსენე ნურ ად-დინი. ჩადი, მოიყვანე და თავი გააგდებინე.

— გისმენ და გემორჩილები, — თქვა ვაზირმა. მერე ეუბნება: — მინდა ქალაქში გამოვაცხადო, რომ ვისაც სურს უცქიროს ხაკანის ვაჟის, ნურ ად-დინის, თავის მოკვეთას, სასახლეში მოვიდეს. და მთელი ხალხი მოცვივდება მისი სეირის საყურებლად, ჩემი გულის მოსაოხებლად და მოშურნის დასაღონებლად. სულტანმა მიუგო:

— როგორც გინდა, ისე მოიქეციო. ვაზირი გახარებული და ბედნიერი წამოვიდა, ვალისთან მივიდა და უბრძანა, გამოეცხადებინა, რაც მოვიხსენიეთ. ხალხი დაღონდა, მაცნეს სიტყვები როცა მოისმინეს. ყველა ტიროდა. ტიროდნენ პატარები სასწავლებლებში და მდაბიონი თავის დუქნებში ხალხი ერთმანეთს ასწრებდა ადგილების დაკავებას, რომ ალი ნურ ად-დინისათვის შეეხედა. ზოგი საპყრობილეში წავიდა, რომ იმას წამოჰყოლოდა. ვაზირიც ათი მონის თანხლებით ჩავიდა დილეგში.

— რას ინებებ, ჩემო ბატონო, ვაზირო, — თქვა კუტაიტ მედილეგემ.

— მომგვარეთ ის გაიძვერა, — ბრძანა ვაზირმა.

— იგი ძალიან ცუდად გახლავთ ბევრი გვემისაგან, — უთხრა მედილეგემ. შევიდა და ნახა, ნურ ად-დინი ამ ბეითებს მღეროდა:

ო, ვინ დამეხმარება მე ჩემს უბედობაში?
გამიძნელდა მე სენი და ძვირია წამალი.
მე გული და სულისთქმა სიშორემ დამილია
და მტრად გადამიქცია ბედისწერამ მოყვასნი.
ხალხო, ეგებ თქვენშია მეგობარი შემწყალე,
ვინც იგლოვებს ჩემს ყოფას, ყურად იღებს ჩემს ძახილს.
მე არად მიჩნს სიკვდილი. არც მისი სულთაბრძოლა,
გადამიწყდა იმედი ბედნიერი სიცოცხლის,
ღმერთო, სწორ გზად წარმმართველს, რჩეულს და მახარობელს,
სიკეთის ზღვას გაფიცებ, მოციქულთა მეუფეს,
შემეწიე, მიშველე და შემინდე ცოდვები,
მომაშორე ვაება და მაკმარე წამება.

მედილეგემ ალი ნურ ად-დინს სუფთა სამოსი გააძრო, ჭუჭყიანი ჩააცვა და ვაზირს მიჰგვარა. ნურ ად-დინმა შეხედა და ხედავს, იგი მისი მტერია, რომელიც ნიადაგ მის მოკვლას ცდილობსო. შეხედა და ცრემლთა ფრქვევით უთხრა:

— შენ კი ენდობი ბედისწერას? განა არ გსმენია სიტყვა მგოსნისა:

ისინი დიდხანს მბრძანებლობდნენ, მაგრამ სულ მალე,
თითქო იმათი მბრძანებლობა არც კი ყოფილა.

— ვაზირო, იცოდე, რომ ალაჰი, დიდება მას და მაღალ არს იგი, სჩადის იმას, რაც სურს.

ვაზირმა მიუგო:

— ალი, ჩემს შეშინებას ხომ არ ფიქრობ ამ სიტყვებით? დღეს თავს გაგაგდებინებ ბასრელთა ჯიბრზე. და შენს რჩევას კი არ ვიღებ ყურად, არამედ მგოსნის ნათქვამს:

დე, ბედისწერამ აღასრულოს, რასაც ინებებს,
იყავ ნეტარი იმით, რასაც განგება სჩადის.

და რა მშვენიერია მეორის ნათქვამი:

ვინც თავის მტერზე ერთი დღით მეტს მაინც იცოცხლებს,
მიაღწევს იგი ამით თავის სანუკვარ მიზანს.

ვაზირმა თავის ღულამებს უბრძანა, რომ ნურ ად-დინი ჯორის ზურგზე დააგდეთ და წამოიყვანეთო. ღულამებმა, რომელთაც ეძნელათ ეს საქმე, ნურ ად-დინს უთხრეს:

— ნება გვიბოძე. ჩავქოლოთ და ავკუწოთ ვაზირი, კიდევაც რომ დავიღუპოთ.

მაგრამ ნურ ად-დინმა მიუგო:

— ნურასოდეს ნუ იქმთ ამას. განა არ გსმენიათ მგოსნის ნათქვამი:

იმდენს ვიცოცხლებ ქვეყანაზე, რაც მიწერია.
როს აღსრულდება დღენი ჩემნი, მაშინ მოვკვდები.
ლომებმა თავის ბუნაგშიაც რომ შემათრიონ,
რას დამაკლებენ, ჟამი ჩემი თუ არ მეწია.

ნურ ალ-დინს დაუყვირეს: — ეს უმცირესი სასჯელია იმისათვის, ვინც აყალბებს სულტნისათვის ხალიფას მოწერილსო. — ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ ბასრაში, ვიდრე სასახლის სარკმლის ქვეშ არ გააჩერეს, სისხლის სათხეველზე. ნურ ად-დინთან ჯალათი მივიდა და უთხრა:

— მე მონა ვარ, სხვისი ბრძანების მობილი, თუ რაიმე სურვილი გაქვს, მითხარი, რომ შეგისრულო, შენ იცოცხლებ მხოლოდ იქამდე, ვიდრე სულტანი სარკმელში გამოიხედავდეს.

მაშინ ნურ ად-დინმა მიიხედ-მოიხედა და ეს ბეითები წარმოთქვა:

ნუთუ მე თქვენში ვერსად ვპოვებ გულჩვილ მეგობარს, რომ შემიწყალოს?

გეკითხებით და ამას გაფიცებთ, რომ უეჭველად გამცეთ პასუხი.

გასრულდა ხანი ჩემი სიცოცხლის და აღსასრულის მეწია ჟამი.

ვინ შემიწყნაროს. ჩემი გულისთვის მიიღოს ჯილდო მან საიქიოს;

რომ შემომხედოს, რა ყოფაში ვარ და დამიამოს მე მწუხარება.

რომ მომაწოდოს წყლის ერთი ყლუპი და მომაშოროს ტანჯვა-წამება.

ხალხი დასტიროდა ნურ ად-დინს. ჯალათი ადგა, აიღო ერთი ყლუპი წყალი და ნურ ად-დინს მისცა. ვაზირი წამოხტა თავისი ადგილიდან. წყლის კულას ხელი ჰკრა, დაამტვრია და ჯალათს დაუღრიალა, თავის მოკვეთა უბრძანა. მაშინ ჯალათმა ალი ნურ ად-დინს თვალები აუხვია. ხალხმა ვაზირს ყვირილი დაუწყო. ატყდა ერთი ღრიანცელი და გახშირდა მითქმა-მოთქმა. ამ დროს უეცრად მტვრის ბუღი ამოვარდა. მტვრის კორიანტელმა ცა და ბარი აავსო. როდესაც სასახლეში მჯდარმა სულტანმა ის მტვერი

დაინახა, ბრძანა:

— შეხედეთ, რა ამბავია? ვაზირმა შეჰკადრა: — ჯერ ამას მოვ-კვეთოთ თავი და მერეო. — მოითმინე, სანამ გავიგებდეთ რა ამ-ბავია, — მიუგო სულტანმა.

ეს მტვერი კი ხალიფას ვაზირს, ჯაფარსა და მის მხლებლებს დაეყენებინათ. მათი მოსვლის მიზეზი კიდევ ის გახლდათ, რომ ხალიფას თურმე ოცდაათი დღის განმავლობაში არ მოჰგონებია ალი ნურ ად-დინი და არც არავის გაუხსენებია მისთვის იგი. სანამ ერთ დღეს ანის ალ-ჯალისის სამყოფისაკენ არ გაიარა და გაიგო-ნა, იგი მგოსნის სიტყვებს წარმოთქვამდა ტირილით:

შენი აჩრდილი ხან ახლოა, ხან კი მშორდება,
და შენს ხსენებას ჩემი ენა ვეღარ ელევა.

თქვა მან და ტირილს უმატა. ხალიფამ კარი გააღო და სამყოფ-ში შევიდა. დაინახა მტირალი ანის ალ-ჯალისი. ხალიფას რომ შე-ხედა, ფეხებში ჩაუვარდა, სამჯერ ემთხვია და ეს ბეითები წარ-მოთქვა:

ძირით სპეტაკო, წარმოშობით კეთილშობილო,
მწიფე ნაყოფის რტოვ მსხმოიარევ, გვარი, წმინდაო.
გახსენებ აღთქმას. რომლის დადებაც თვითვე ისურვე.
სიკეთე შენი საქმეა ქველი. ერიდე იმის გადავიწყებას.

— ვინა ხარ შენ? — თქვა ხალიფამ.

— მე ძღვენი გახლავარ შენი, ალი იბნ ხაკანისაგან მორთმე-ული. და მინდა, პირობა შეასრულო. შენ რომ დამპირდი, ნურ ად-დინთან გაგგზავნი ხალათის თანმხლებლადო. ოცდაათი დღეა აქა ვარ და ჯერ ძილი არ მიგემნია.

მაშინ ხალიფამ ჯაფარ ბარმაქიანი მოითხოვა და უთხრა:

— ოცდაათი დღეა ალი იბნ ხაკანის ამბისა არა მსმენია რა. მე ვფიქრობ, იგი სულტანმა მოკლა. მაგრამ ვფიცავ ჩემს თავსა და ჩემს მამაპაპათა სამარეს, ავი რამ თუ შეემთხვა, უთუოდ დავღუპავ იმას, ვინც ამის მიზეზი აღმოჩნდება, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი კაციც რომ იყოს. მსურს, ახლავე გაემართო ბასრასა და მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინ მეფისა და ალი იბნ ხაკანის ამბავი ჩამომიტანო.

ვაზირმა აღასრულა მისი ბრძანება და გაემგზავრა. ბასრას რომ მიუახლოვდა, ერთი აურზაური და ორომტრიალი დაინახა.

— ეს რა ჩოჩქოლი არისო, — თქვა ჯაფარმა.

უამბეს, რისთვისაც იყვნენ აქ. უთხრეს ალი ნურ ად-დინ იბნ ხაკანის ამბავი. მათი სიტყვების გაგონებაზე ჯაფარმა იჩქარა სულტანთან ასვლა. მიესალმა და ამცნო რისთვისაც მოსულიყო — ალი ნურად-დინს თუ ავი რამ შეემთხვა, ხალიფა დაღუპავს იმის დამღუპველსო. მერე კი შეიპყრო სულტანი და ვაზირი მუინ იბნ სავი. ბრძანა ალი ნურ ად-დინ იბნ ხაკანის განთავისუფლება. დასვა იგი სულტნად სულტან მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის მაგივრად. სამი დღე დაჰყო მან ბასრაში, როგორც ეს სტუმარმასპინძლობის წესია. როდესაც გათენდა მეოთხე დღე, ალი ნურ ად-დინმა ჯაფარს უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ნახვა მენატრებაო. ჯაფარმა მუჰამად იბნ სულაიმან მეფეს უთხრა:

— მგზავრობისათვის მოემზადე, განთიადის ლოცვას აღვავლენთ და მერე კი ბაღდადს გავემართებით,

— გისმენ და გემორჩილები, — უთხრა მან.

ილოცეს განთიადის ლოცვა. ყველანი ცხენებზე შესხდნენ იმათთან ერთად ვაზირი მუინ იბნ სავიც იყო, რომელიც უკვე ნანობდა თავის საქციელს. ალი ნურ ად-დინიც შეჯდა ცხენზე და ჯაფარს გვერდზე მიჰყვებოდა, შეუჩერებლად მიდიოდნენ, ვიდრე

არ მიაღწიეს ბაღდადს — მშვიდობის სავანეს. მერე ხალიფას ეახ-ლნენ და უამბეს ნურ ად-დინის ამბავი. ხალიფა ალი იბნ ხაკანს მიუბრუნდა:

— აიღე ეს ხმალი და თავი მოჰკვეთე შენს მტერს.

ალი ნურ ად-დინმა ხმალი აიღო და მუინ იბნ სავისთან მივიდა. ვაზირმა შეხედა და უთხრა:

— მე ისე მოვიქეცი, როგორც ამას ჩემი ბუნება მოითხოვს, შენ კი მოიქეცი ახლა შენი ბუნების მიხედვით. — მაშინ ნურ ად-დინმა ხელიდან ხმალი გააგდო, ხალიფას შეხედა და უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ჭკუაში მომატყუა ჭეშ-მარიტად. — და ეს ბეითი წარმოთქვა:

მოვიდა, ჭკუაში ვაჯობე ხერხით.
აზატი ტყუვდება ტკბილი სიტყვებით.

ხალიფამ უთხრა:

— შენ თავი დაანებეო, — და მასრურს მიუბრუნდა, — მასრურ, ადექი და შენ მოჰკვეთე თავი.

მასრური ადგა და ვაზირს თავი გააგდებინა. ხალიფამ ალი იბნ ხაკანს უთხრა:

— მთხოვე რამეო.

— ჩემო ბატონო, — თქვა ალი ნურ ად-დინმა, — მე ბასრის ხელ-მწიფობა არ მინდა. მე სხვა არა მინდა რა, გარდა იმისა, რომ შენი უდიდებულესობის სახეს ვუცქირო.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — მიუგო ხალიფამ. მერე იმ მხევალს დაუძახა. მხევალი ეახლა და ხალიფამ წყალობა უყო იმათ, ბაღდადის ერთ-ერთი სასახლე უბოძა და ჯამაგირი დაუნიშ-ნა. ალი ნურ ად-დინი თავის ერთ-ერთ მეინახედ აქცია და იყო იგი იმასთან, ვიდრე სიკვდილი არ ეწია.

და ეს ამბავი არ არის ვაჭრისა და მისი შვილების ამბავზე საოცარი. ხელმწიფემ თქვა: — ეგ როგორღა იყოო.

# ამბავი ვაჭარ აიუბისა, მისი ძის ღანიმისა, და ასულის ფითნასი

შაჰრაზადამ თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ დიდი ხნის წინათ, გარდასულ დროსა და ჟამს იყო ერთი ვაჭარი. ვაჭარს ჰქონდა ქონება და ჰყავდა ვაჟი, ენამჭევრი და სავსე მთვარის მსგავსი, სახელად ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიამ იბნ ალ-მასლუბი. იმას ერთი და ჰყავდა, რომელსაც, მეტისმეტი სიტურფისა და სილამაზის გამო, სახელად ფითნა ერქვა. გარდაიცვალა მათი მამა და შვილებს დიდძალი ქონება დაუტოვა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეთვრამეტე, — შაჰრაზადმა თქვა:

— მეფე სვიანო. მსმენია, რომ იმ ვაჭარს შვილებისათვის დიდ-ძალი ქონება დაუტოვებია, სხვა ნივთთა შორის ასი საპალნე დიბა და აბრეშუმი და მუშკით სავსე ჭურჭელიც ყოფილა. ამ ტვირთს ეწერა. ბაღდადს უნდა გაიგზავნოსო — ვაჭარს თურმე ბაღდადს გამგზავრება ჰქონია აზრად. როდესაც მაღალმა ალაჰმა იმ ვაჭრის სული მიიბარა და ერთი ხანი გამოხდა, მისმა ვაჟიშვილმა აიღო ეს ტვირთი და ბაღდადს გაემართა. ეს ამბავი ჰარუნ არ-რაშიდის დროს მოხდა. გამგზავრების წინ ღანიმი დედას, ნათესავებსა და ქალაქის ხალხს გამოეთხოვა, წავიდა და თავი ალაჰს მიანდო, მაღალ არს იგი. ალაჰმა ბაღდადამდე მშვიდობით ატარა. ღანიმმა ვაჭართა ჯამაათთან ერთად იმოგზაურა, იქირავა ლამაზი სახლი, ხალიჩებითა და ბალიშებით მოფინა, ფარდები ჩამოაფარა და იქ მიიტანა ის ბარგი, ჯორ-აქლემიც იქ მირეკა. დაჯდა და დაისვენა. ბაღდადელი ვაჭრები და დიდებულები ღანიმს მიესალმნენ. მერე ღანიმმა აიღო ერთი ბოხჩა, რომელშიც ძვირფასი ქსოვილების ათი ნაჭერი იყო და ზედ თავ-თავისი ფასი ეწერა, და ვაჭრებთან წაიღო ბაზარში. მიეგებნენ ვაჭრები, პატივისცემით მიესალმნენ, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, უთხრეს. ბაზრის შეიხია დუქანში გააჩერეს. ღანიმმა გაყიდა ნაჭრები და თითო დინარზე ორი დინარა მოიგო. გაუხარდა ღანიმს. ქსოვილების გაყიდვას მიჰყო ხელი. ასე ცხოვრობდა ერთ წელიწადს. მეორე წლის დამდეგს ბაზარში მივიდა და ხედავს, კარიბჭე დაკეტილია. იკითხა ამის მიზეზი. უთხრეს — ერთერთი ვაჭარი მოკვდა და ვაჭრები სულ მის დასაფლავებაზე წავიდნენო. შენც ხომ არ ისურვებდი. იმათთან ერთად წასულიყავი და ღვთისაგან სამაგიერო საზღაური მიგეღოო?

— კარგიო. — თქვა ღანიმმა. იკითხა — სად ასაფლავებენო და აჩვენეს ის ადგილი. ღანიმმა განბანა აღასრულა და ვაჭრებთან ერთად გასწია სამლოცველოში. ილოცეს მიცვალებულისათვის და მერე ყველა ვაჭარი კუბოს წაუძღვა სასაფლაოსაკენ. ღანიმიც

იმათ მიჰყვებოდა, ვიდრე კუბო ქალაქგარეთ, სასაფლაოზე არ მიიტანეს. მიდიოდნენ საფლავთა შორის. სანამ იმ სამარხს არ მიაღწიეს. მიცვალებულის ოჯახს საფლავზე კარავი გაეშალა და სანთლები და კანდელები მოეტანა. დამარხეს მიცვალებული ყურანის მკითხველნი საფლავზე დასხდნენ ყურანის წასაკითხად. დასხდნენ ვაჭრები და იმათთან ერთად დაჯდა ღანიმ იბნ აიუბიც. იგი დარცხვენილი იყო. გუნებაში ამბობდა: — მე არ ძალმიძს იმათი მიტოვება, მათთან ერთად უნდა წამოვიდეო. — ისინი კი ისხდნენ და ვახშმობის ჟამამდე ყურანს უსმენდნენ. მოართვეს მათ ვახშამი და ტკბილეული. ჭამეს, დანაყრდნენ. ხელი დაიბანეს და ისევ თავის ადგილას დასხდნენ. ღანირი საქონელზე ფიქრობდა. ქურდების შიში ჰქონდა. გულში ამბობდა: — მე ერთი უცხო კაცი ვარ. გუმანით იციან, რომ ფული მექნება ამაღამდელი ღამე რომ შინიდან შორს გავათიო. ქურდები მოიპარავენ მთელ ფულსა და საქონელს, რაც კი იქ არისო. თავისი საქონლის შიში მიეცა. ადგა, დატოვა საზოგადოება, ნებართვა ითხოვა, საქმე რამ მაქვს გასაკეთებელი. წამოვიდა და გზას მიუყვებოდა, ვიდრე ქალაქის კარიბჭეს არ მიაღწია. შუაღამე იყო და კარიბჭე დაკეტილი დაუხვდა. ვერავინ ნახა ვერც შემსვლელი და ვერც გამომსვლელი. არც არაფერი გაუგონია, გარდა ძაღლების ყეფისა და მგლების ყმუილისა.

— არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა, — თქვა მან. — მე ჩემი ქონების შიში მქონდა, იმის გულისათვის მოვედი და კარი ჩაკეტილი დამხვდა, ახლა კი ჩემი თავის შიშიც ზედ დამერთო.

დაბრუნდა და ღამის გასათევი ადგილის ძებნა დაიწყო. ნახა ერთი აკლდამა. აკლდამას ოთხი კედელი ჰქონდა შემოვლებული. შიგ პალმა იდგა. კარი ქვისა ჰქონდა და ღია იყო. ღანიმი შევიდა. დაძინება უნდოდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო საფლავთა შორის მყოფი. ფეხზე წამოდგა, კარი გააღო და გამოიხედა. შორს, ქალაქის კარიბჭესთან, რაღაც

სინათლე გამოჩნდა. ცოტა გაიარა და ხედავს, ის სინათლე ახლოვდება იმ აკლდამისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც მან თავი შეაფარა. ღანიმს შეეშინდა, ხიფათს არაფერს გადავეყაროო. საჩქაროდ კარი დაკეტა, პალმას მოეჭიდა, კენწეროს მოექცა და ტოტებში ჩაიმალა. სინათლე თანდათანობით ახლოვდებოდა, ვიდრე აკლდამასთან სულ ახლო არ მივიდა. დაუკვირდა ღანიმი იმ შუქსა და სამი მონა დაინახა. ორს სკივრი მოჰქონდა, მესამეს კი ხელში ბარი და ნათურა ეჭირა.

— ეს რა არის, სავაბ? — თქვა ერთ-ერთმა მონამ, რომელსაც სკივრი მოჰქონდა.

— რა დაგემართა, ქაფურ? — თქვა მეორემ. — ვახშმობისას რომ ვიყავით აქ, განა კარი ღია არ დავტოვეთ? — სწორია! — და, აი, კარი ჩაკეტილია და ჩარაზული.

— რამ გამოგასულელათ, — უთხრა იმათ მესამე მონამ, რომელსაც ბარი და ნათურა მოჰქონდა და სახელად ბახითი ერქვა, — განა არ იცით, რომ აქ ბაღების პატრონები დადიან ბაღდადიდან და თუ შემოაღამდათ, შემოდიან და კარებს კეტავენ? იმათ ეშინიათ, არ დაიჭირონ ჩვენისთანა შავკანიანებმა, არ შეწვან და შეჭამონ.

— მართალი ხარო, — უთხრა, — ჩვენ რა ჭკუათხელები ვართ, შენთან შედარებით.

— თქვენ არ დამიჯერებთ, ვიდრე აკლდამაში არ შევალთ და იქ ვიღაცას არ წავაწყდებით. მე მგონია, თუკი აკლდამაში ვინმე არის და სინათლე დაინახა, პალმაზე აძვრებოდა.

მონის ნათქვამი რომ გაიგონა, ღანიმმა გულში თქვა:

— რამ გააეშმაკა ეს მონა?! ალაჰიმც შეარცხვენს შავკანიანებს მზაკვრობისა და სიმდაბლისათვის. არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და ძლიერისა, — ამბობდა იგი, — რაღა გადამარჩენს ამ უბედურებას?!

მერე კი იმ ორმა მონამ, სკივრი რომ მოჰქონდათ, ბარიანს

უთხრა:

— აძვერი კედელზე და კარი გაგვიღე! დავიღალეთ სკივრის თრევით. გაგვიღე კარი და ჩვენზე იყოს ერთი იმათგანი, ახლა რომ დავიჭერთ. კარგად შეგიბრაწავთ, ისე რომ ერთი წვეთი ქონიც არ დაიკარგოს.

— ერთი რამისა მეშინია, — თქვა მან, — ნეტა ხომ არ გამოვჩერჩეტდი?! აი, რა მოვიფიქრე: მოდი, სკივრი კარს იქით გადავაგდოთ, ის ხომ მობარებული გვაქვს.

— დაიმტვრევა, რომ გადავაგდოთ, — მიუგეს იმათ. მაშინ ბახითმა თქვა:

— მეშინია, აკლდამაში ყაჩაღები არ იყვნენ, ხალხს რომ ხოცავენ და ძარცვავენ. იმიტომ რომა, იმათ როცა შემოაღამდებათ ხოლმე, ამგვარ ადგილას შედიან და ნადავლს იყოფენ.

— შე ჩერჩეტო, — უთხრეს მონებმა, — განა იმათ აქ შესვლა შეუძლიათ?

წაიღეს სკივრი, კედელზე აძვრნენ, გადავიდნენ და კარი გააღეს. მესამე მონა, ბახითი, იდგა და უნათებდა. ხელში კალათა ეჭირა, რომელშიც ცოტაოდენი დუღაბი იყო. დასხდნენ, კარი დაკეტეს და ერთერთმა თქვა:

— ძმებო, დავიღალეთ სიარულით, სკივრის აღებ-დადებით, კარის გაღებითა და დაკეტვით. ახლა შუაღამეა და ჩვენ იმის თავი აღარა გვაქვს, რომ აკლდამა გავხსნათ და ეს სკივრი დავმარხოთ. დავსხდეთ, ერთ სამ საათს დავისვენოთ, მერე კი ავდგეთ და ჩვენს საქმეს მივხედოთ. ეს ღამე რომ ჩქარა გავიდეს, თითოეულმა ჩვენგანმა თავისი დასაჭურისების ამბავი თქვას. გვიამბოს ყოველივე, რაც გარდახდა თავიდან ბოლომდე... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ოცდამეცხრამეტე, — მან თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ როდესაც იმ სამმა მონამ ერ-

თმანეთს უთხრა: — თითოეული მოჰყვეს ყოველივეს, რაც გარდახდაო, პირველმა, შუქი რომ მოჰქონდა, თქვა:

— მე მოგიყვებით ჩემს ამბავსო. — აბა, მოჰყევიო, — უთხრეს.

პირველი მონის ნაამბობი

და თქვა ბახითმა:

— იცოდეთ, ძმებო, პატარა ბიჭი ვიყავი, ხუთი წლისა. მონათვაჭარმა რომ ჩამომიყვანა ჩემი ქვეყნიდან და ერთ ჩაუშს მიყიდა. იმ ჩაუშს სამი წლის გოგონა ჰყავდა და მე იმასთან ერთად ვიზრდებოდი. იცინოდნენ ჩემზე, როდესაც ვუმღეროდი, ვცეკვავდი და ვეთამაშებოდი გოგონას. იმასთან ყოფნას არ მიკრძალავდნენ. სანამ მე თორმეტისა არ გავხდი და გოგონა კიდევ ათისა. ერთხელ მასთან შევედი, როდესაც იგი განმარტოებით იჯდა. თითქოს აბანოდან ახლახან გამოსულიყო, რომელიც იქვე სახლში ჰქონდათ. საკმეველი და სურნელი ეპკურებინა. სახე თოთხმეტი დღის მთვარეს მიუგავდა. გამეთამაშა და მეც გავეთამაშე. წამაქცია. მე ზურგზე დავეცი. ის მკერდზე დამაჯდა და კოტრიალი დაიწყო. მე ავენთე და ამ ბღლარძუნში ვერც კი გავიგე, როგორ მოხდა, რომ ქალწულობა დავაკარგვინე. ეს რომ დავინახე, ერთ მეგობართან გავიქეცი. დედამისი რომ შემოსულა და შვილის ყოფა დაუნახავს, გულს შემოყრია. მერე კი თადარიგი დაუჭერია. ქალის ამბავი არ გაუმხელია და მამამისისათვის არაფერი უთქვამს. ორ თვეს იცდიდა დედამისი. მეპატიჟებოდნენ და მიყვავებდნენ, ვიდრე არ წამომიყვანეს იქიდან. სადაც თავი შევაფარე. მამამისთან სიტყვა არ დაუძრავთ ამ ამბავზე, რადგან მათ ძლიერ ვუყვარდი. დედამისმა თავისი ქალიშვილი ერთ ჭაბუკ დალაქზე დანიშნა, რომელიც მამამისს პარსავდა ხოლმე. დედამ მზითევიც გაუმზადა. ყოველივე ისე ხდებოდა, რომ მამამისმა არა იცოდა რა თავისი ქალიშვილის მდგომარეობისა. იწყეს მისი მზითევის

მოგროვება. უეცრად მეც დამიჭირეს და დამასაჭურისეს. და როდესაც იგი სასიძოს მიჰგვარეს, მე მის ხადუმად მაქციეს. ამის მერე წინ მივუძღოდი ხოლმე. სადაც არ უნდა წასულიყო — აბანოსა თუ მამის ოჯახში. მისი ამბავი დამალეს და ქორწინების ღამეს მის პერანგზე მტრედი დაკლეს. დიდხანს ვცხოვრობდი იმასთან. ვტკბებოდი მისი სიტურფითა და სილამაზით, როგორც კი შემეძლო. ვეხვეოდი, ვკოცნიდი. იმასთან ვიყავი, ვიდრე არ მოკვდა ისიც, იმისი ქმარიც, მამაცა და დედაც. მერე კი სახაზინო სახლმა წამომიყვანა. აქ მოვხვდი და თქვენ დაგიმეგობრდით. ასეთია მიზეზი ჩემი დასაჭურისებისა. გათავდა და მორჩა!

მეორე მონამ თქვა:

## მეორე მონის ნაამბობი

— ჩემო ძმებო, იცოდეთ, რომ ჩემი ამბის დასაწყისში რვა წლისა ვიყავი, მაგრამ ისეთ ტყუილს ვეტყოდი ხოლმე მონათვაჭრებს ყოველ წელიწადს, რომ ისინი ერთმანეთს წაეკიდნენ. ბოლოს ისე გაბეზრდნენ, რომ დალალს ჩამაბარეს და უთხრეს:

— შეაძლიე მუშტარს: — ვინ იყიდის ამ მონას, მიუხედავად მისი ნაკლისა-თქო.

— რა ნაკლი აქვს ამ მონას? — ჰკითხეს დალალს. — ყოველ წელიწადს თითო ტყუილს ამბობსო, — მიუგო მან.

დალალთან ერთი ვაჭარი მივიდა და უთხრა: — რა მოგცე ამ მონაში მის ნაკლთან ერთად?

— ექვსასი დირჰამიო.

— ოცი დირჰამიც შენო, — უთხრა ვაჭარმა. დაქალმა იგი მონათვაჭრებს შეახვედრა. მათ ფული გამოართვეს, დალალმა იმ კაჭართან წამიყვანა და თავისი სადალალო აიღო. ვაჭარმა ჩამაცვა, როგორც შემეფერებოდა და იმ წლის მიწურულამდე იმას-

თან ვიყავი. სიკეთით დაიწყო ახალი წელიწადი. ის წელი ბარაქიანი და მოსავლიანი იყო. ვაჭრები ყოველდღე ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს სანადიმოდ, ვიდრე ჩემი ბატონის ჯერიც არ დადგა. ჩემმა ბატონმა ქეიფი ქალაქგარეთ, ბაღში გამართა. წავიდა ვაჭრებთან ერთად და თან ყველაფერი წაიღო, რაც საჭირო იყო — საჭმელი თუ სხვა რამ. ისხდნენ. ჭამდნენ, სვამდნენ და შუადღემდის ნადიმობდნენ. შუადღისას ჩემს ბატონს შინ რაღაც დასჭირდა. მითხრა:

— ჰეი, მონავ, შეჯექ ჯორზე, წადი შინ და შენს ქალბატონს უთხარი — ესა და ეს მომეცი-თქო და სწრაფად დაბრუნდი. — მეც დავემორჩილე მის ბრძანებას და შინისაკენ გავწიე. სახლს რომ მივუახლოვდი, ერთი ყვირილი და ცრემლის ღვრა აეტეხე. შეიყარა მელი უბნის ხალხი, დიდი თუ პატარა. ჩემი ხმა ბატონის ცოლსა და მის ქალებსაც გაუგონიათ. კარი გამიღეს და ამბავი მკითხეს. მე ვუთხარი:

— ჩემი ბატონი ერთი ძველი კედლის ძირას იჯდა თავის მეგობრებთან ერთად და კედელი ჩამოექცათ. როცა დავინახე, რაც დაემართა, შევჯექი ჯორზე და საჩქაროდ წამოვედი, რომ ეს ამბავი თქვენთვის მეცნობებინა.

ამის გაგონებაზე ჩემი ბატონის ცოლმა და შვილებმა ყვირილი ატეხეს. ტანსაცმელი შემოიხიეს და პირში ხელი წაიშინეს. მოცვივდნენ მეზობლები. ჩემი ბატონის ცოლმა ერთიმეორის მიყოლებით მთელი სახლი გადაატრიალა: თაროები ჩამოყარა, ფანჯრები ჩალეწა, კედლებს ტალახი და ინდიგო წაუსვა.

— ვაი შენ, ქაფურ, — მითხრა მან, — მოდი, მომეხმარე, დაამტვრიე ეს კარადები, დაამსხვრიე ეს ჯამ-ჭურჭელი!

მეც მივედი. იმასთან ერთად დავაქციე თაროები, დავლეწე, რაც ზედ ეწყო. დავამტვრიე კარადები და გავანადგურე, შიგ რაც იყო. ავიჭერი ბანზე, ყველგან დავტრიალდი და ყველაფერი დავანგრიე. თან ვყვიროდი.

— ვაი, ჩემო ბატონო-მეთქი. ჩემი ქალბატონი პირგაშიშვლებული გამოვარდა სახლიდან, მხოლოდ თავი ჰქონდა დაფარული. თან გამოჰყვნენ ქალიშვილები და ვაჟები.

— წინ გაგვიძეხ, ქაფურ! — მითხრეს მათ. — გვიჩვენე ის ადგილი, სადაც ჩვენი მკვდარი ბატონი აგდია კედელქვეშ მოქცეული. გამოვიღებთ ნანგრევებიდან, კუბოთი წამოვასვენებთ, შინ მოვიტანთ და კარგად დავასაფლავებთ.

წინ გავუძეხი. მე ვყვიროდი:

— ვაი შენ, ჩემო ბატონო-მეთქი. ისინი კი:

— ვაი ჩვენს უბედურებას, ვაი ჩვენს ბედშავობასო. და უკან მომყვებოდნენ თავშიშველნი და პირშიშველნი. არ დარჩენილა იმ უბანში კაცი, ქალი თუ ბავშვი. მოხუცი თუ ახალგაზრდა, რომ ჩვენ არ აგვდევნებოდეს. ყველა მოდიოდა და საზარელი მოთქმით პირში ხელს იცემდა. ქალაქში გავიარე იმათთან ერთად. ხალხი ამბავს გვეკითხებოდა და ისინიც უყვებოდნენ ჩემგან გაგონილს.

— არა არს ძალი და ღონე, — ამბობდნენ ისინი, — თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა და ძლიერისა.

ვიღაცამ თქვა:

— იგი უთუოდ ვინმე დიდი კაცი იქნება და ვალისთან მივიდეთ და ვუთხრათ ეს ამბავიო.

ვალისთან რომ მივიდნენ და გადასცეს ეს ამბავი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე მეორმოცე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ხალხი ვალისთან მივიდა და ეს ამბავი მიუტანა. ვალი წამოხტა, ცხენზე შეჯდა, მუშები იახლა ბარებითა და კალათებით, გამომედევნენ და თან დიდძალი ხალხი წამოყვა. მე წინ მივუძღოდი იმათ. ვტიროდი. ვყვიროდი, თავზე მტვერს ვიყრიდი და პირში ხელს ვიცემდი. იქ რომ მივედი, იმათთან, ჩემი ბატონი ხედავს, პირზე ხელს ვიცემ და ვამბობ: — ვაი,

ჩემო ქალბატონო, ვინღა შემიბრალებს მე შენს მერე. ნეტამც მე ვყოფილიყავი შენი სანაცვლო.

დაიბნა ჩემი ბატონი ჩემს დანახვაზე, გაყვითლდა და მითხრა:

— რა დაგემართა, ქაფურ, რა მოხდა, ეს რა ამბავია? მე მივუგე:

— შინ რომ გამგზავნე რაღაცის წამოსაღებად, წავედი, სახლში შევედი და ვნახე. კედელი დაქცეულა და მთელი დარბაზი თავზე დამხობია ჩემს ქალბატონსა და მის შვილებს.

— ნუთუ არ გადარჩა შენი ქალბატონი? — მკითხა მან.

— არა, არც ერთი არ გადარჩენილა და პირველად დიდი ქალ-ბატონი მოკვდა-მეთქი.

— ნუთუ ჩემი პატარა გოგოც არ გადარჩენილა? — არა-მეთქი.

— ჩემი ჯორი როგორღა არის, მე რომელზედაც ვჯდებოდი, ნუ-თუ ისიც არ გადარჩა? — მეკითხება ბატონი.

— არა, ჩემო ბატონო, მივუგე მე, — სახლისა და თავლის კედ-ლები ყველაფერს გადაემხო, რაც კი რამ იყო სახლში. ცხვრებსა, ბატებსა და ქათმებსაც კი... ყველაფერი ხორცის გროვად იქცა, ნანგრევების ქვეშ მოჰყვა და აღარავინ გადარჩა.

— და შენი დიდი ბატონი?

— არა, არც ერთი იმათგანი არ გადარჩენილა, — მივუგე მე. — იმ წუთში აღარც სახლი გადარჩა, არც შიგ მცხოვრები და აღარც იმათი კვალი. ცხვრებსა, ბატებსა და ქათმებს რაც შეეხება, ყვე-ლაფერი კატებმა და ძაღლებმა შეჭამეს.

ჩემი ნათქვამის გაგონებაზე ნათელი ბნელად ექცა ჩემს ბა-ტონს. ვეღარც თავი დაიმორჩილა და ვეღარც გონება. ვეღარც ფეხზე დადგა,

თითქოს დამბლა დაეცაო. წელში მოიკეცა, ტანსაცმელი შემო-იხია, წვერი დაიგლიჯა, პირში ხელი წაიშინა, თავზე ჩალმა მოიგ-ლიჯა. პირში ხელს იცემდა, სანამ სისხლი არ წასკდა.

— ვაიმე, შვილებო, ვაიმე, ცოლო, ვაი ჩემს უბედურებას, ვის

დამართნია ასეთი რამ, რაც მე დამემართაო. — ყვიროდა ჩემი ბატონი და მეგობრებიც აჰყვნენ მის ყვირილს და ტანსაცმელშემოძარცულნი დასტიროდნენ მის ყოფას. გამოვიდა ჩემი ბატონი იმ ბაღიდან თავში ხელის ცემით. სიმწრისაგან თავში ხელის ცემას უმატა და მთვრალივით შეიქნა. ბაღის კარიდან რომ გამოვიდნენ, რაღაც მტვერი დაინახეს და მწუხარე მოთქმა გაიგონეს. გაიხედეს იქითკენ და ხედავენ, ხალხის ბრბო უახლოვდებათ. ესენი კი იყვნენ ვალი და მისი რაზმი და სასეიროდ მოსული ხალხი. იმათ კი მოთქმა-გოდებით ვაჭრის დამწუხრებული ოჯახი მომყვებოდა. პირველი, ვისაც ჩემი ბატონი შეხვდა, მისი ცოლ-შვილი იყო. იმათ დანახვაზე ვაჭარი დაიბნა და სიცილი დაიწყო.

— როგორა ხართ. რა დაგემართათ, რა გადაგხდათ სახლში? იკითხა მან.

— დიდება ალაჰს, რომ გადაურჩენიხარ! დაიძახეს იმათ მის დანახვაზე და მივარდნენ, მამიკო, დიდება ალაჰს. რომ გადაურჩენიხარ, ჩვენი მამა, — ყვირილით ჩამოეკიდნენ შვილები ვაჭარს.

— დიდება ალაჰს, შენი სახე რომ მთელი გვაჩვენა, — ეუბნება მისი დანახვით დაბნეული და ჭკუადაკარგული ცოლი, როგორ გადარჩით შენ და შენი მეგობრები?

— სახლში როგორ ხართ? — ეკითხება ქმარი.

— კარგად და ჯანმრთელად. სახლსაც ავი არაფერი შემთხვევია. მხოლოდ ჩვენი მონა. ქაფური, მოვიდა ყვირილით, თავშიშველი და ტანსაცმელშემოხეული: — ვაი, ჩვენო ბატონო, ვაი, ჩვენო ბატონოო!

— რა ამბავია-თქო. ვკითხეთ და გვიპასუხა:

— ჩემი ბატონი ერთი კედლის ძირას იჯდა ბაღში საჭიროებისათვის, კედელი თავზე ჩამოექცა და მოკვდაო.

ჩემმა ბატონმა თქვა:

— ის მონა ამ წუთში აქ მოვიდა ყვირილით:

— ვაი, ქალბატონო, ვაი, ჩემი ქალბატონის შვილებოო. ყველა დაიხოცა, ჩემი ქალბატონიცა და მისი შვილებიცაო.

გვერდზე გაიხედა ჩემმა ბატონმა. დამინახა, ჩალმამოგლეჯილი ვიდექი. მწარედ ვტიროდი და თავზე მტვერს ვიყრიდი. დამიღრიალა. მივედი და მითხრა:

— შე ნავსო მონავ! შე კახპის შვილო! შე ჯილაგამოსაგდებო! ეს რა ამბები ჩაიდინე, ალაჰიმც გაგაძრობს ტყავს ხორცზე და ხორცს კიდევ ძვლებზე.

— ალაჰს ვფიცავ. ვერაფერს მიზამ. შენ ხომ ჩემი ნაკლით მიყიდე. ასეთია პირობა და მოწმეებიც დაადასტურებენ, რომ ჩემი ნაკლი იცოდი, მაგრამ მაინც მიყიდე. ჩემი ნაკლი ის გახლავთ, რომ ყოველ წელიწადს თითო ტყუილი უნდა ვთქვა. ეს მხოლოდ ტყუილის ნახევარი იყო, წელიწადი რომ დასრულდება, მეორე ნახევარსაც ვიტყვი და მთელი ტყუილი გამოვა.

— შე შეჩვენებულო, დამიყვირა ბატონმა, — ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ ნახევარი ტყუილია? უბედურებაც ამას ჰქვია! წაეთრიე ჩემგან, თავისუფლება მომიცია:

ალაჰს ვფიცავ. შენ კი გამიშვებ, მაგრამ მე ვერ დაგეხსნები, სანამ წელიწადი არ დამთავრდება და ტყუილის დარჩენილ ნახევარსაც არ ვიტყვი. ტყუილს რომ დავამთავრებ, წამიყვანე ბაზარში და ისე გამყიდე, როგორც მიყიდე — ჩემი ნაკლითურთ. ვერ გამათავისუფლებ, რადგან არავითარი ხელობა არა მაქვს, რომ თავი ვირჩინო. ეს საკითხი კი, ახლა რომ მოგახსენე, შარიათიდან არის. ფაკიჰები მას „განთავისუფლების“ კარში მოიხსენიებს.

სანამ ჩვენ ამ ლაპარაკში ვიყავი გართული, ხალხის ბრბო, ჩვენი უბნელები, ქალები, კაცები, ვალი და მისი რაზმი სამძიმრის სათქმელად მოვიდნენ. ჩემი ბატონი და მისი მეგობრები ვალის ეახლნენ და ეს ამბავი მოახსენეს. უთხრეს, ეს მხოლოდ ნახევარი ტყუილი ყოფილაო. ეს რომ იქ მყოფთ ესმათ, ემძიმათ ტყუილი და ძლიერ გაოცდნენ, დამწყევლეს და გამლანძღეს. მე კი ვიდექი და

ვიცინოდი:

— როგორ უნდა მომკლას ჩემმა ბატონმა, როცა ჩემი ნაკლით მიყიდა-მეთქი.

ჩემი ბატონი შინ მივიდა. ხედავს, ყველაფერი დარბეულია. ამის დიდი ნაწილი კი მე დავამტვრიე და გავტეხე ისეთი რამ, რაც მთელ ქონებას უდრიდა. ცოლს უთქვამს:

— ქაფურმა დალეწა ჯამ-ჭურჭელიო.

ბატონს ბრაზი მოემატა:

— ალაჰს ვფიცავ. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი არამზადა. ამბობს, ეს ნახევარი ტყუილიაო და რაღა იქნება მთელი ტყუილი. მაშინ, ალბათ, ერთ ან ორ ქალაქს დააქცევს. — ბრაზისაგან ანთებულმა ვალისთან გასწია. მერე ისე გამჯოხა. რომ გრძნობა დავკარგე და გული წამივიდა. უგრძნობლად რომ ვიყავი. დალაქი მოიყვანა. დამასაჭურისა და მომწვა. გრძნობაზე მოვედი და ვხედავ. საჭურისი ვარ. ბატონმა მითხრა:

— როგორც შენ დამიწვი გული ჩემთვის ყველაზე ძვირფას რამეზე. ისე დაგიწვი მეც გული შენთვის ყველაზე ძვირფას რამეზეო.

მერე კი ადგა და ძვირად გამყიდა, რადგან საჭურისად გადავიქეცი. სადაც არ გამყიდეს, ყველგან შფოთი დავთესე. გადავდიოდი ამირიდან ამირთან და ერთი დიდებულიდან მეორესთან, სანამ ასე ყიდვა-გაყიდვით მართლმორწმუნეთა მბრძანებლის სასახლეში არ ამოვყავი თავი,

უკვე მოტეხილმა, ძალაგამოცლილმა და დასაჭურისებულმა.

მონებმა რომ მისი ნაამბობი მოისმინეს, სიცილი დააყარეს და უთხრეს:

— შენ ხაბის იბნ ხაბისი ყოფილხარ, საზარელი ტყუილი გითქვამსო. ახლა მესამე მონას უთხრეს: — შენს ამბავს მოჰყევიო.

— ჩემო ბიძაშვილებო, — თქვა მესამემ, — ყოველივე აქ ნაამბობი არა არის რა, მე თქვენ მოგიყვებით ჩემი დასაჭურისების მიზეზს. მე ამაზე მეტის ღირსიც ვიყავ, რადგან ჩემს ქალბატონსა და

ბატონისშვილს დავეუფლე; მაგრამ ჩემი ამბავი გრძელია და ახლა მისი მოყოლის დრო არ არის, ჩემო ბიძაშვილებო, საცაა ინათებს. ვაითუ თავზე დაგვათენდეს ამ სკივრით, ხალხში სახელი გაგვიტყდეს და კიდევაც დავიღუპოთ. მოდი, ჯერ კარი გააღეთ. კარს რომ გავაღებთ და შინ დავბრუნდებით, მაშინ გიამბობთ ჩემი დაკოდვის მიზეზს.

მონა აცოცდა კედელზე, ჩამოვიდა და კარი გააღო. შევიდნენ, სანთლები დადეს და ოთხ საფლავს შორის იმ სკივრის ზომის ორმო ამოთხარეს. ქაფური თხრიდა. სავაბს კი კალათებით მიწა გადაჰქონდა. კაცის სიმაღლის ნახევარზე რომ გათხარეს, სკივრი ორმოში ჩაუშვეს, მიწა მიაყარეს და აკლდამიდან გავიდნენ. კარი გაიხურეს და ღანიმ იბნ აიუბის თვალს მოეფარნენ. როცა ის ადგილი დაცარიელდა და ღანიმი მიხვდა, რომ მარტო დარჩა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, თუ რა უნდა ყოფილიყო იმ სკივრში.

— ნეტა იმ სკივრში რა უნდა იყოსო, — გაივლო გულში.

მოიცადა, ვიდრე ცისკარმა არ იელვა, გაბრწყინდა და განათდა; პალმიდან ჩამოვიდა, მიწა ხელით გადააცალა და გამოჩნდა სკივრი. გაწმინდა სკივრი, აიღო ქვა, დაარტყა საკეტსა და მოამტვრია. გადასაფარებელი მოაცილა და შეხედა. დაინახა ბანგით დაძინებული ქალი. ქალი სუნთქავდა. იგი ტურფა და მშვენიერი იყო. მისი ოქროს სამკაულები და პატიოსან თვალთა ყელსაკიდები სულტნის საუფლოდ ღირდა. იმის ფასს ფული ვერ აუვიდოდა. შეხედა მას ღანიმ იბნ აიუბმა და მიხვდა, რომ ქალი შეთქმულების მსხვერპლი იყო. ამაში რომ დარწმუნდა, იწვალა, ვიდრე ქალი სკივრიდან არ ამოიყვანა და ზურგზე არ დააწვინა. ქალმა შეისუნთქა, ჰაერი ნესტოებსა და პირში მოხვდა და დააცემინა. რაღაც გადაცდა, წამოახველა და ყელიდან იმოდენა ბანგის აბი გადმოუვარდა, ის რომ სპილოს დაეყნოსა, ღამიდან ღამემდე იძინებდა უთუოდ. ქალმა თვალები გაახილა, იქაურობას თვალი მიმოავლო და კარგი არაბული ენით წარმოთქვა.

— ვაი შენ, ქარო, გადამხმარ მიწას შენ წყალს ვერ ასმევ და ვერცა მორწყულს მოუტან შვებას სად არის ზაჰ ალ-ბუსთანი?

ქალს არავინ უპასუხა. გვერდზე გაიხედა და დაიძახა:

— საბიჰა! შაჯარათ ად-დურ! ნურ ალ-ჰუდა! ნაჯმათ ას-სუბჰ! ნუზჰა! ჰულვა! ზარიფა! ხმა გამეცით!

მაგრამ არავინ გამოეხმაურა. ქალმა თვალი მიმოავლო იქაურობას და თქვა:

— ვაიმე, საფლავებში მოვუყვანივართ. ო. შენ, გულთამხილავო, შენ, ვინც განკითხვის დღეს სულს სამაგიეროს უზღავ, მითხარ, ვინ მომიყვანა ფარდებისა და მოფარდაგებული სამყოფებიდან ოთხ საფლავს შორის.

ამ დროს კი ღანიმი ფეხზე იდგა.

— ჩემო ქალბატონო, — უთხრა მან ქალს, აქ არც მოფარდაგული სამყოფებია, არც სასახლეები და არც საფლავები. არის მხოლოდ ღანიმ იბნ აიუბი, მონა შენი, რომელიც ფარულთა სამყაროს მეუფეს მოუყვანია აქ. რათა ტანჯვას გადაგარჩინოს და სანუკვარ მიზანს მიგაღწევინოს. — ღანიმი დადუმდა. ქალმა განჭვრიტა საქმის ვითარება და წარმოთქვა:

— ვადასტურებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი.

მერე გულზე ხელებდაკრეფილი ქალი ღანიმს მიუბრუნდა და ტკბილი ხმით უთხრა:

— კურთხეულო ჭაბუკო, ვინ მომიყვანა ამ ადგილას? უკვე გრძნობასა ვარ მოსული.

— ჩემო ქალბატონო, — მიუგო ღანიმმა, — აქ სამი საჭურისი მონა მოვიდა და ეს სკივრი მოიტანა.

ღანიმი ქალს ყოველივეს მოუყვა, რაც თავს გადახდა. როგორ შემოაღამდა და როგორ იქცა ეს ამბავი ქალის გადარჩენის მიზეზად.

— ეს რომ არა. უთუოდ მოკვდებოდი, — დაუმატა მან. ქალს მისი ამბავი და ხაბარი ჰკითხა. ქალმა მიუგო:

— დიდება ალაჰს, ჭაბუკო, შენისთანა კაცს რომ შემახვედრა. ახლა კი ადექი, ჩამდე ამ სკივრში და გზაზე გადი. როგორც კი ქირის მუშას ან მეჯორეს ნახავ, სკივრის წასაღებად დაიქირავე. შინ წამიყვანე. კარგი იქნება, შენს სახლში რომ ვიყო, მაშინ მოგიყვები ჩემს თავგადასავალს. ჩემი მზერით კი ხეირი მოგეცეს.

ღანიმს გაუხარდა და გარეთ გავიდა. კარგა გათენებულიყო. მზის სხივები ბრწყინავდა, ხალხი გარეთ გამოფენილიყო და მიმოდიოდა. ღანიმმა ჯორიანი კაცები იქირავა და აკლდამაში მოიყვანა. ქალი სკივრში ჩააწვინა და წაიღო. ღანიმს გულში ჩაუვარდა ეს ქალი. სიხარულით წაიყვანა. — იგი ათი ათას დინარად ღირებული მხევალი იყო. მისი სამკაულები და ტანსაცმელიც დიდძალი ფული ღირდა. შინ მისვლისთანავე გახსნა სკივრი ღანიმმა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ორმოცდამეერთე, შაჰრაზდმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ღანიმ იბნ აიუბმა სკივრი შინ მიიტანა, გახსნა და იქიდან ქალი ამოიყვანა. ქალმა შეხედა იქაურობას. დაინახა, რომ ლამაზი სახლი იყო, ფერად-ფერადი და მხიარული ელფერის ხალიჩებით მოგებული. შეხედა შეკრულ ქსოვილებს, საპალნეებსა და სხვა რამეთ.

მიხვდა, რომ იგი დიდვაჭარი, დიდი ქონების პატრონი იყო. ქალმა სახეზე გადაიძრო. ღანიმმა შეხედა. და, აი, იგი ლამაზი ქალი აღმოჩნდა. ქალმაც შეხედა და შეუყვარდა ვაჟი. უთხრა:

— მოიტანე რაიმე, ვჭამოთო.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი, — მიუგო ვაჟმა. ბაზარში წავიდა, შემწვარი ბატკანი და ერთი ხონჩა ტკბილეული იყიდა. თან წამოიღო ნუღლი, სანთლები, ღვინო და რაც კი საკმეველს მოწყობილობა სჭირდებოდა, შინ მივიდა და მიიტანა. ქალმა გაიცინა,

ღანიმი რომ დაინახა, აკოცა, მოეხვია და ალერსი დაუწყო. ვაჟს ამან კიდევ უფრო მეტად შეაყვარა ქალი და იგი მიჯნურობამ შეიპყრო. მერე კი დაღამებამდე დრო ჭამა-სმაში გაატარეს. ერთმანეთი შეუყვარდათ, რადგან ერთი ხნისანი და ერთნაირად ლამაზები იყვნენ. როდესაც დაღამდა, ადგა მუთაიამ ალ-მასლუბ ღანიმ იბნ აიუბი, სანთლები და კანდელები აანთო, სახლი გაანათა და ღვინის ჭურჭელი მოიტანა. დადგა მაგიდა და ქალთან ერთად დაჯდა. აავსებდა ღანირი სასმისსა და ქალს დაალევინებდა. ქალიც ავსებდა სასმისსა და ღანიმს, ასმევდა. საუბრობდნენ, იცინოდნენ და მღეროდნენ სიმღერებს; მოემატათ სიხარული და ერთმანეთის სიყვარული. და დიდება მას, ვინც აერთებს გულთა! ასე იყვნენ თითქოს განთიადამდე, მერე კი ძილი მოერიათ და თავთავის ადგილას დაწვნენ.

გათენებამდე ეძინათ. მერე ადგა ღანიმ იბნ აიუბი, ბაზარში წავიდა, იყიდა, რაც კი სჭირდებოდა: მწვანილი, ხორცი, ღვინო და ბევრი სხვა რამ. შინ მიიტანა და ქალთან ერთად დაჯდა საჭმელად. ჭამეს და დანაყრდნენ. მერე კიდევ სასმელი მოიტანა. სვამდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ვიდრე ღაწვები არ შეუწითლდათ და თვალები არ ჩაუშავდათ. გულში ღანიმს მხევლის კოცნა და იმასთან ძილი მოუნდა. ქალს უთხრა:

— ჩემო ქალბატონო, ნება დამრთე. ბაგეზე გეამბორო, იქნებ ამან მაინც დააცხროს ის ცეცხლი, გულში რომ მინთია.

ქალმა მიუგო:

— მოიცა, დავთვრე და გრძნობა დავკარგო. მაშინ მაკოცე უჩუმრად, ისე რომ ვერ გავიგო.

ქალი ფეხზე წამოდგა. სამოსი გაიძრო ნაწილობრივ და წმინდა პერანგსა და ქუფიაში დარჩა. ღანიმს ვნება მოერია. ქალს უთხრა:

— ჩემო ქალბატონო, ნუთუ არ დამრთავ იმის ნებას, რაც მსურს შენგან?

— არ გარგებს შენ ეს ამბავი, იმიტომ რომ ჩემი შეიდიშის სარტყელზე მძიმე რამ წერია, — მიუგო ქალმა.

ღანიმ იბნ აიუბს გული დაეკოდა და ვნება მოემატა. საწადელი რომ ასე მიუწვდომელი გაუხდა, და ეს ბეითები წარმოთქვა:

ვთხოვე მას, ვისმა სიყვარულმაც დამასნეულა:
ერთი ამბორი მიწყალობე და გავმრთელდები.
„ო, არა, არა, არასოდეს“, ასე მომიგო.
მე შევევედრე, „ო, უთუოდ. ო, უეჭველად“.
მაშინ ღიმილით მიპასუხა:
„მხოლოდ თანხმობით მიიღეო ნებადართული“.
მე შევეკითხე: ძალით-მეთქი? და ასე მითხრა:
„მხოლოდ ვითარცა საბოძვარი უძვირფასესი,
ო, შენ ნუ მკითხავ ნურასოდეს თავს რა გარდამხდა
ალაჰს შენდობა შესთხოვე და იძინე მშვიდად.
და ამას იქით როგორც გსურდეს, ისე იფიქრე.
ცილისწამება ხშირად მხოლოდ ატკბობს სიყვარულს.
ამიერიდან არ მაწუხებს და აღარად მიჩნს,
გამჟღავნდება ის ოდესმე, თუ დაიფარება“.

აზვავდა მისი სიყვარული და იმის სისხლში ცეცხლმა იფეთქა. ქალი კი ახლო არ იკარებდა ვაჟსა და ამბობდა:

— ჩვენი შეერთება არ იქნებაო.

ისინი აშიკობდნენ, ნადიმობდნენ და ღანიმ იბნ აიუბი უგონო სიყვარულის ზღვაში ჩაიძირა. ქალი კიდევ უფრო მკაცრი და უკარება განდა. ასე იყვნენ, ვიდრე ღამემ უკუნი არ შემოიტანა და ძილის ლეჩაქი არ გადააფარა. მაშინ ადგა ღანიმ იბნ აიუბი, გაანათა კანდელები, აანთო სანთლები და ოთახს ბრწყინვალება მოემატა. ღანიმმა ქალის ფეხები აიღო და ეამბორა. ნახა, მისი ფე-

ხები კარაქივით სათუთი იყო. ფეხებზე სახე მოუთათუნა და უთხრა:

— ჩემო ქალბატონო, შეიბრალე ტყვე შენი სიყვარულისა, იგი, ვინც განგმირეს შენმა თვალებმა. შენ რომ არა, გული საღსალამათი მექნებოდა.

ღანიმი ტიროდა ერთხანს. ქალმა უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, ჩემო ბატონო და თვალთა ჩემთა სინათლე, ალაჰს ვფიცავ, მიყვარხარ და გენდობი, მაგრამ ვიცი, ვერ შეგეყრები.

— რა გიშლის ხელს? — ჰკითხა ვაჟმა.

— ამაღამ მოგიყვები ჩემს ამბავს, — მიუგო ქალმა, — და იქნებ მაპატიო.

ქალი მიეჭრა ვაჟს, ხელები ყელზე შემოხვია და კოცნა-ალერსი დაუწყო. შეპირდა, შენი გავხდებიო. ლაღობდნენ და იცინოდნენ, ვიდრე იმათში ერთმანეთის სიყვარულმა არ დაისადგურა. ასე ატარებდნენ ყოველ ღამეს: ინადიმებდნენ, ერთ ლოგინში დაიძინებდნენ, მაგრამ ვაჟი თუ ქალთან შეერთებას განიზრახავდა, იგი არ ნებდებოდა. ასე იყო სრულ ერთ თვეს. თითოეულ მათგანში მეორის სიყვარულმა დაისავანა და აივსო მათი მოთმინების ფიალა. ერთ ღამეს, როდესაც ვაჟი ქალის გვერდით იწვა და ორივე მთვრალი იყო, ვაჟმა ქალის სხეულისაკენ წაიღო ხელი და შეეხო. მერე ხელი მისი მუცლისაკენ გააპარა და ჭიპამდე ჩამოვიდა. ქალს გაეღვიძა, წამოჯდა, ტანსაცმელი დაათვალიერა, ნახა, სამოსი შეკრული იყო და ისევ დაიძინა. ვაჟმა ხელი მოუსვა მის შეიდიშს, შეიდიშის სარტყლამდე ჩამოვიდა და მოსწია. ქალს გაეღვიძა ღა წამოჯდა. ღანიმიც გვერდით მოუჯდა.

— რა გინდა? — ჰკითხა ქალმა.

— მინდა შენთან დავწვე და ვისიყვარულოთ, — ეუბნება ვაჟი.

— ახლა კი აგიხსნი ჩემს ამბავს, რათა იცოდე ჩემი ყადრი, საცნაური გახდეს შენთვის ჩემი საიდუმლო და ცხადი ჩემი ბოდიში.

— კარგი, — უთხრა ვაჟმა. ქალმა პერანგის ბოლო გაიხია, სარტყლისაკენ ხელი წაიღო და თქვა:

— ჩემო ბატონო, აბა, წაიკითხე რა აწერია სარტყლის ბოლოს.

ვაჟმა ხელში აიღო სარტყლის ბოლო და ხედავს, ზედ ოქროს ასოებით აწერია: — „მე შენი ვარ, შენ ჩემი, მოციქულის ბიძის ნაშიერო“. ამის წაკითხვაზე ვაჟს ხელი ჩამოუვარდა და ქალს უთხრა:

— გამიმჟღავნე შენი ამბავი.

— კარგი, — მიუგო ქალმა, — იცოდე, რომ მე მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ხარჭი ვარ და ჩემი სახელია კუთ ალ-კულუბი. მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა თავის სასახლეში გამზარდა. როცა გავიზარდე და მან ჩემი ხასიათი, ის სიტურფე და სილამაზე დაინახა. რაც ჩემთვის უფალს მოუნიჭებია, შევუყვარდი. ცალკე სამყოფში დამაბინავა და ათი მხევალი მომიჩინა მსახურად. მერე ეს სამკაული მომცა, შენ რომ ნახე. მერე ერთ დღეს ხალიფა სხვა ქვეყანაში გაემგზავრა. საიდა ზუბაიდა მივიდა ერთ-ერთ მხევალთან. ჩემს მსახურთან. ღა უთხრა:

— როდესაც დაიძინოს შენმა ქალბატონმა, კუთ ალ-კულუბმა, ცხვირში ან სასმელში ეს ბანგის ნაჭერი ჩაუდე — და ჩემზე იყოს იმდენი ფული, შენ რომ გეყოფაო.

— სიყვარულითა და პატივისცემით, — მიუგო მხევალმა. სიხარულით გამოართვა ბანგი საიდა ზუბაიდას, რადგან თავდაპირველად მისი მსახური იყო და თანაც ფულს მოელოდა ამისათვის. გამოართვა ბანგი და ჩამიდო. მე ძირს დავეცი, თავი ფეხებზე დავირტყი და ჩემი თავი უკვე საიქიოს ვიხილე. ისე ოსტატური იყო მისი ხერხი. ჩამდო იმ სკივრში, ჩუმად მონები მოიყვანა, დაუყვავა იმათაცა და მეკარეებსაც. და იმ ღამეს. პალმაზე რომ გეძინა. მონებს გამატანა. იმ მონებმა რაც მიყვეს, შენც ნახე. ჩემი გადარჩენა შენს ხელთ იყო. შენ კი ამ სახლში მომიყვანე და კეთილად

მომეპყარი. ასეთია ჩემი ამბავი. მე არ ვიცი, რა შეემთხვა ხალიფას ჩემს არყოფნაში. იცოდე, ჩემი ყადრი და ჩემი ამბავი არ გავრცელო.

როდესაც ღანიმმა კუთ ალ-კულუბის ნაამბობი მოისმინა და დარწმუნდა, რომ იგი ხალიფას ხარჭი ყოფილა, ხალიფას რიდით უკან წავიდა. მარტო დაჯდა ოთახის კუთხეში. თავის თავს კიცხავდა და ფიქრობდა თავის ამბავზე. დაბნეული იყო, უყვარდა იგი, ვინც მიუღწეველი იყო მისთვის. ატირდა ძლიერი გატაცების, ტანჯული სიყვარულისა და ტრფობის გამო. იწყო სამდურავი წუთისოფელსა და მის უკუღმართობაზე. და დიდება მას, ვინც კეთილშობილთა გულს ტრფობით აღავსებს და მარცვლის ოდენსაც არ უტოვებს მდაბალთა გულებს! და წარმოთქვა ეს ბეითები:

ხშირად ჰკიცხავენ შეყვარებულს მიჯნურის გამო,
მისი უბადლო სილამაზით გონებამიხდილს.
რამდენი ვინმე მეკითხება: რა არის ტრფობა?
ის არის ტკბობა — ვამბობ — მაგრამ სიმწარეც ახლავს.

ამაზე კუთ ალ-კულუბი ვაჟთან მივიდა. მოეხვია და აკოცა. მის გული ვაჟის სიყვარულმა დაისადგურა. ქალმა გაანდო თავისი საიდუმლო და თავისი სიყვარული. კისერზე ხელები შემოაჭდო. ქალი ჰკოცნიდა, ვაჟი კი უარზე იყო. ხალიფას რიდი ჰქონდა. ერთხანს საუბრობდნენ სიყვარულის ზღვაში ჩაძირული და როდესაც გათენდა, ღანიმი ადგა. ტანსაცმელი ჩაიცვა და, ჩვეულებისამებრ, ბაზარში წავიდა. იყიდა, რაც სჭირდებოდა, და შინ დაბრუნდა. ხედავს, კუთ ალ-კულუბი ტირის. ღანიმის დანახვაზე ქალმა ტირილს თავი დაანება და ღიმილით უთხრა:

— მომენატრე, ჩემო გულის საყვარელო, ერთი საათი უშენოდ ერთი წელი მგონია, ღმერთმანი. მე შენთან განშორებას. ვერ

ვუძლებ. აი, გაგიმჟღავნე, რა დღეც მადგია უზომო სიყვარულისაგან. ახლა კი მოდი, დაანებე თავი იმას, რაც იყო, საწადელს ეწიე.

— ალაჰმა დამიფაროს, — თქვა ვაჟმა. — ეს ამბავი არ მოხდება. როგორ იქნება. ლომის ადგილას ძაღლი დაბრძანდეს. რაც ჩემს ბატონს აბადია, ის ხომ ჩემთვის არამია, ახლოც რომ ვიყო.

ქალი მოეშორა და კუთხეში დაჯდა. ვაჟის უარმა ქალის სიყვარულს კიდევ უფრო მეტი ძალა შეჰმატა. გვერდზე მოუჯდა. მასთან ერთად სვამდა და ესაუბრებოდა. ორივე დათვრა. ქალი ჭკუას კარგავდა ვაჟის ნდომით და ეს ბეითები წარმოთქვა:

შეყვარებულის გული თითქმის დაფლეთილია,
როდემდის იყოს, ო, როდემდის, ეს განრიდება?
შენ, ვინც უბრალოდ პირს მარიდებ, განშორებისას
იცოდე, შველსაც კი სჩვევია შემობრუნება.
განაპირება, სულ სიშორე და სიყვარული.
როგორ გაუძლებს ყოველივეს ჭაბუკის გული.

ატირდა ღანიმ იბნ აიუბი და ატირდა ქალიც მისი ტირილის გამო. დაღამებამდე სვამდნენ. მერე კი ადგა ღამემ იბნ აიუბი და ორი ლოგინი დააგო. ორივე ცალ-ცალკე.

— ვისია ეს მეორე ლოგინი? — იკითხა კუთ ალ-კულუბმა.

— ეს ჩემია, მეორე კი შენი. — მიუგო ღანიმმა. — ამაღამდელი ღამიდან ჩვენ მხოლოდ ასე დავიძინებთ, რადგან ის, რაც ბატონს აბადია, მონისათვის არამია.

— თავი დავანებოთ ამას, — თქვა ქალმა. — ყოველივე ისე ხდება, როგორც ბედი და წერაა.

მაგრამ ვაჟი უარს იყო. მაშინ ქალის გულში ცეცხლმა იფეთქა და ვნებამ იმატა.

— ვფიცავ ალაჰს. — თქვა მან. ჩვენ მხოლოდ ერთად დავიძინებთ.

— ალაჰმა დამიფაროს, — თქვა ვაჟმა, სძლია ქალსა და გათენებამდე მარტო ეძინა. ქალს სიყვარული და ტრფობა მოემატა, გატაცება და ვნება მოეძალა. ასე ცხოვრობდნენ სამ თვეს. როგორც კი ქალი ვაჟს მიუახლოვდებოდა, იგი იცილებდა და ამბობდა:

— ის, რაც ბატონს აბადია. მონისათვის არამიაო.

გაგრძელდა ეს ამბავი და ქალი კიდევ უფრო მეტად შეწუხდა და დადარდიანდა და ასეთი ბეითები წარმოთქვა:

ო, სილამაზის საკვირველებავ, როდემდის იყოს ეს განრიდება,
ვინ წაგაქეზა, რომ მე ზურგი შემომაქციო.
შენ მიითვისე სინატიფის ყველა ნიშანი,
მშვენიერების ყველა სახე დაისაკუთრე.
ყოველ გულს ვნება აგემებინე,
აგემებინე უძილობა ყოველ ქუთუთოს.
ვიცოდი ადრე, რომ ტოტებზე ნაყოფს დაკრეფდნენ,
არაქის ყლორტო, ახლა ვხედავ. შენ თვითონ დაგვკრეფ.
ვიპყრობდი ადრე ნორჩ ნიამორებს,
შენ თვითონ იპყრობ, ახლა ვხედავ, კაცთა თოროსანთ.
მაგრამ ყველაზე საოცარი, რასაც გაგანდობ.
და, რაც არ იცი — რომ მე შენგან მოხიბლული ვარ.
ნება არ დამრთო შენთან შეყრის, მე ვეჭვიანობ
შენს თავს თვით შენზე. მით უმეტეს, საკუთარ თავზე.

ო, სილამაზის საკვირველებავ, ვერ გაგიბედავ. ვიცოცხლებ ვიდრე
გითხრა ოდესმე, „როდემდის იყოს ეს განრიდება, ნეტა როდემდის“.

ასე ცხოვრობდნენ ერთხანს. ღანიმს შიში ეღობებოდა ქალი-საკენ. ასეთი იყო ამბავი ღანიმ იბნ აიუბისა, შეყვარებულისა, სიყ-ვარულის ტყვისა. რაც შეეხება ზუბაიდას ამბავს, იმან კი ხალიფას იქ არყოფნაში კუთ ალ-კულუბს ეს საქმე უყო და მერე დაბნეული თავის თავს ეუბნებოდა: — რა მეშველება, რა ვუთხრა ხალიფას, როდესაც მოვა და კუთ ალ-კულუბს მოიკითხავს, რა ვუპასუხო? — მოუხმო დედაბერს. რომელიც იმასთან ცხოვრობდა, თავისი სა-იდუმლო გაუმჟღავნა და უთხრა:

— რა ვქნა, კუთ ალ-კულუბს მეტისმეტი უყვესო. დედაბერმა რომ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა. ზუბაიდას უთხრა:

— ჩემო ქალბატონო. იცოდე, რომ ხალიფას მოსვლის დრო მოახლოვდა. დურგალთან ვინმე გაგზავნე და უბრძანე. ხის მიც-ვალებული გააკეთოს. მერე საფლავში დამარხეთ და ირგვლივ კი სანთლები და კანდელები დაუნთეთ. სასახლეში ყველას უთხარი, ძაძები ჩაიცვას. შენს მხევლებსა და მსახურთ უბრძანე. როცა გა-იგებენ, ხალიფა მოგზაურობიდან დაბრუნდაო, მწუხარება მოჰ-ფინონ დიჰლიზებს. ხალიფა შემოვა და ამბავს იკითხავს. ისინი ეტყვიან — გარდაიცვალა კუთ ალ-კულუბი, ალაჰს უხვად ეზღოს შენთვის მისი დაკარგვა. იგი იმდენად ძვირფასი იყო ჩვენი ქალ-ბატონისათვის, რომ კუთ ალ-კულუბი თავისთან. სასახლეში და-მარხაო.

ამის გაგონებაზე ხალიფა ატირდება, დამწუხრდება, ყურანის მკითხველთ ღამეს გაათევინებს ყურანის კითხვაში მის საფლავ-ზე. და თუკი გულში გაივლებს — ბიძაჩემის ქალი ზუბაიდა ეჭვია-ნობის გამო შეეცადა იმის დაღუპვასო, სიყვარული შეიპყრობს და ბრძანებს საფლავიდან ამოღება, შენ არ შეშინდე. გათხრიან და ამოიტანენ ადამიანის გამოსახულებას ძვირფას სუდარაში გახვე-ულს. თუკი ხალიფა მოინდომებს, რომ სუდარა მოაშოროს და შე-ხედოს, ხელი შეუშალეთ შენცა და სხვამაც. უთხარი — უჯეროა მი-

სი სიშიშვლის დანახვა-თქო. მაშინ კი დაიჯერებს იმის სიკვდილ-სა და თავის ადგილას დააბრუნებს. მადლობას გადაგიხდის და გადაურჩები ამ ხათაბალას, თუ ინებებს მაღალი ალაჰი.

საიდა ზუბაიდამ დედაბრის სიტყვები მოისმინა, დარწმუნდა, რომ იგი მართალი იყო და ძვირფასი სამოსი უბოძა. უბრძანა, ასეც მოქცეულიყო და ბლომად ფული მისცა. დედაბერი მყისვე ამ საქმეს შეუდგა. დურგალს უბრძანა ისეთი თოჯინის გაკეთება, როგორიც მოვიხსენიეთ. მერე ის თოჯინა საიდა ზუბაიდას მიართვა. იმან იგი სუდარაში გაახვია,

აანთო სანთლები და კანდელები. საფლავის ირგვლივ ხალიჩები მოჰფინა და ძაძები ჩაიცვა. სასახლეში ხმა გავარდა, კუთ ალ-კულუბი მოკვდაო. ცოტა ხნის შემდეგ ხალიფაც დაბრუნდა. სასახლეში ავიდა, კუთ ალ-კულუბის გარდა იგი სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ხედავს. მთელ მონებს, მსახურებსა და მხევლებს ძაძები მოსავს. გული აუთრთოლდა. საიდა ზუბაიდასთან შევიდა და ხედავს, იმასაც შავები აცვია. ამბავი იკითხა და კუთ ალ-კულუბის სიკვდილი მოახსენეს. გულწასული დაემხო ხალიფა; გონს როცა მოვიდა, მისი საფლავი მოიკითხა. საიდა ზუბაიდამ უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, იგი ჩემთან სასახლეში დავმარხე, იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის.

სამგზავრო სამოსიც არ გაუხდია ხალიფას, ისე გაემართა საფლავისაკენ კუთ ალ-კულუბის მოსანახულებლად. დაინახა მოფენილი ხალიჩები. სანთლები, ანთებული კანდელები. საიდა ზუბაიდას მადლობა უთხრა. დაბნეული წავიდა, ხან სჯეროდა ეს ამბავი, ხან არა. მერე ეჭვმა შეიპყრო. ბრძანა, საფლავი გაეთხარათ და მხევლის გვამი ამოეღოთ. სუდარა რომ დაინახა, მისი მოშორება ინება, რათა ქალისათვის შეეხედა. მაგრამ შეეშინდა ალაჰისა, მაღალ არს იგი. დედაბერმაც თქვა — თავის ადგილას დააბრუნეთო მიცვალებული. მაშინ ხალიფამ მყისვე ფაკიჰები და ყურანის მკითხველები დაიბარა და იმათ მთელი ყურანი წაიკითხეს

კუთ ალ-კულუბის საფლავზე, ხალიფა კი საფლავთან იჯდა და ტიროდა, სანამ გრძნობა არ დაკარგა. მთელ ერთ თვეს იჯდა ხალიფა მხევლის საფლავზე... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ორმოცდამეორე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ ხალიფას მთელი ერთი თვე არ შეუწყვეტია მხევლის საფლავზე სიარული. და მოხდა ისე, რომ ერთხელ, როდესაც ამირები და ვაზირები დაიშალნენ და შინ წავიდნენ, ხალიფა ჰარემში შევიდა. ცოტა წაიძინა. სასთუმალთან ერთი მხევალი უჯდა, ფერხთით კი მეორე. ხალიფას ეძინა, მერე გაიღვიძა და თვალები გაახილა. ესმის სასთუმალთან მჯდომი მხევალი ფერხთით მყოფს ეუბნება:

— ვაი შენ, ხაიზურან!

— რატომ, კადიბ ალ-ბან? — ეკითხება მეორე

— ჩვენმა ბატონმა არ იცის, რა მოხდა, — ამბობს პირველი, — და საფლავთან ათენებს, რომელშიც გამოთლილი ხის მეტი არა არის რა.

— მაშ, კუთ ალ-კულუბს რა დაემართა? — კითხულობს მეორე.

— იცოდე შენ. — ამბობს მხევალი, — რომ საიდა ზუბაიდამ ერთ მხევალს ბანგი გაატანა და კუთ ალ-კულუბი დაბანგა. ბანგი რომ მოეკიდა კუთ ალ-კულუბს, ადგა საიდა ზუბაიდა და იგი სავაბსა და ქაფურს გაატანა. უბრძანა, სასაფლაოზე გადაეგდოთ.

— ვაი შენ, კადირ ალ-ბან, — თქვა ხაიზურანმა, — ნუთუ არ მომკვდარა ქალბატონი კუთ ალ-კულუბი?

— მისი სიყმაწვილემც გადარჩენია სიკვდილს, — თქვა კადიბ ალ-ბანმა. — გავიგონე, საიდა ზუბაიდა ამბობდა: იგი ერთ ჭაბუკ ვაჭართან არის. ღანიმ დამასკელთანო. დღევანდელი დღის ჩათვლით ოთხი თვე იქნებაო. ჩვენი ბატონი კი გლოვობს და ღამეებს ათენებს საფლავთან, რომელშიაც მკვდარი არ არის.

საუბრობდნენ ამ ამბებზე. ხალიფა კი უსმენდა მათ საუბარს და

როცა მხევლები ლაპარაკს მორჩნენ. ხალიფამ გაიგო, რომ ეს საფლავი ყალბია და კუთ ალ-კულუბი ოთხი თვეა, რაც ღანიმ იბნ აიუბთან არის. რისხვით აღივსო, ადგა და სახელმწიფოს თავკაცები დაიბარა. ამ დროს ჯაფარ ბარმაქიანი მივიდა და ემთხვია მიწას ხალიფას წინაშე.

— ჯაფარ, — უთხრა მას აბობოქრებულმა ხალიფამ,— ხალხი ჩამოიყვანე. ღანიმ იბნ აიუბის სადგომი იკითხე, დაამხეთ მისი სახლი და მოაგვარეთ ჩემი მხევალი კუთ ალ-კულუბი. მე უსათუოდ ვაწამებ იმ ვაჭარს.

— გისმენ და გემორჩილები, — მიუგო ჯაფარმა. წავიდა თავისი მხლებლებითურთ. ვალიც თან ახლდა. იარეს, ვიდრე ღანიმის სახლს არ მიადგნენ. ღანიმი კი ამ დროს გასულიყო და ერთი ქოთანი ხორცი მოეტანა. ის იყო, ხელი გაიშვირა ხორცისაკენ — უნდა ეჭამა კუთ ალ-კულუბთან ერთად, რომ ქალმა გაიხედა და დაინახა — სახლს უბედურება შემოხვეოდა: ვაზირი, ვალი, ქეშიკები და ხმალამოწვდილი მამლუქები სახლს გარს შემორტყმიან, როგორც სითეთრე სიშავეს თვალში. მიხვდა, ხალიფას, ბატონსა მისსა, შეუტყვია მისი ამბავი, დარწმუნდა, რომ იღუპებოდა, გაფითრდა და იცვალა მისი მშვენება. ღანიმს შეხედა და უთხრა:

— თავს უშველე, ჩემო საყვარელო.

— რა უნდა ვქნა? სად წავიდე, — თქვა ღანიმმა, — როცა ჩემი ქონება და სარჩო ამ სახლშია.

— ნუ აყოვნებ, თორემ დაიღუპები და ქონებაც ხელიდან წაგივა, —

მიუგო ქალმა.

— ჩემო საყვარელო და ორთავ თვალის სინათლევ, როგორ მოვახერხო აქედან გასვლა, როცა სახლი გარემოცულია?

— ნუ გეშინია, — უთხრა ქალმა, — გააძრო ტანსაცმელი და ძველმანები ჩააცვა. აიღო ხორცის ქოთანი, შიგ ცოტაოდენი პუ-

რი და ერთი ფინჯანი საჭმელი ჩაუდგა, თავზე შემოადგა და უთხრა:

— გადი ამ ეშმაკობით და ჩემი შიში ნუ გექნება. მე ვიცი და ხალიფამ.

ღანიმმა კუთ ალ-კულუბის სიტყვები და რჩევა რომ მოისმინა, ადგა და გავიდა ქოთნიანად და დაიფარა იგი ყოვლად მფარველმა, სუფთა სინდისმა ზაკვასა და ზიანს გადაარჩინა.

როცა ვაზირმა ჯაფარმა სახლს მიაღწია, ჩამოჯდა ცხენიდან. შევიდა შიგ და დაინახა კუთ ალ-კულუბი. იგი მორთულ-მოკაზმულიყო. სკივრი აევსო ოქროთი, ძვირფასი ნივთებით, პატიოსანი თვლებითა და იშვიათი რამეებით, რაც წონით მცირეა და ფასით ძვირი. როცა ჯაფარი ქალთან შევიდა, ქალი ფეხზე წამოდგა, ეამბორა მიწას მის წინაშე და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ის დაწერა კალამმა, რაც განსაჯა ალაჰმა. ამის დანახვაზე ჯაფარმა უთხრა:

— ჩემო ქალბატონო, ალაჰს ვფიცავ, ხალიფამ სხვა არა მიბრძანა რა, თუ არა ღანიმის შეპყრობა.

ქალმა მიუგო:

— იცოდე, რომ ღანიმმა შეკრა თავისი საქონელი და დამასკში წავიდა. იმისი სხვა არა ვიცი რა. მე მსურს, ეს სკივრი შემინახო და მართლმორწმუნეთა მბრძანებლის სასახლეში წაიღო.

— გისმენ და გემორჩილები. — მიუგო ჯაფარმა. აიღო სკივრი და ბრძანა, წაეღოთ. კუთ ალ-კულუბიც თან ეახლა ხალიფას სასახლეში და მას დიდი რიდითა და პატივისცემით მოექცნენ. და ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც ღანიმის სახლი დაარბიეს. მერე ხალიფას ეახლნენ და ჯაფარი მოჰყვა ყოველივეს, როგორც იყო. ხალიფამ ბრძანა, კუთ ალ-კულუბი ბნელ სადგომში მოათავსეთო და ერთი დედაბერი მიუჩინა, თუ რამ დასჭირდებოდა, რადგანაც ხალიფას ეგონა, რომ ღანიმმა იმრუშა ქალთან. მერმე წერილი მისწერა ამირ მუჰამად იბნ სულაიმან აზ-ზაინის, თავის ნაცვალს

დამასკში. წერილის შინაარსი ასეთი იყო: „რა წამს ეს წერილი შენამდე მოაღწევს, შეიპყარ ღანიმ იბნ აიუბი და გამომიგზავნე“. მიიღო ამირმა ეს ბრძანება, ეამბორა, მორჩილების ნიშნად თავზე დაიდო და ბრძანა, ბაზრებში დაეძახათ:

— ვისაც ძარცვა სურს, იმისი იყოს ღანიმ იბნ აიუბის სახლი!

მიცვივდნენ ღანიმის სახლს და ხედავენ, ღანიმის დედასა და დას საფლავი გაუკეთებიათ, დამსხდარან და საფლავს დასტირიან. შეიპყრეს ისინი, სახლი კი დაარბიეს. ქალებმა არ იცოდნენ, რა მოხდა. როცა ისინი სულტანს მიჰგვარეს, იმან ღანიმ იბნ აიუბის ამბავი იკითხა. ქალებმა უთხრეს:

— აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც მისი ამბავი არ გაგვიგია-ო.

ისინი თავის ადგილას დააბრუნეს. ასეთი იყო მათი ამბავი. რაც შეეხება ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიამ ალ-მასლუბს, იმან კი ტირილით გული გაიხეთქა, როდესაც მისი ქონება დაარბიეს. წავიდა და შეუჩერებლად იარა დღის მიწურულამდე. მოშივდა, დაიქანცა და ერთ სოფელს მიაღწია. შევიდა მეჩეთში, ჭილოფზე დაჯდა და ზურგით მეჩეთის კედელს მიეყრდნო. დამშეული და ქანცგამოლეული დაეგდო. გათენებამდის იქ იყო და შიმშილისაგან გული გადაელია. მკბენარი დაესია, ამყრალდა და მისი მდგომარეობა სულ შეიცვალა. იქაურები დილის ლოცვისათვის მოვიდნენ და ხედავენ, რომ ღანირი შიმშილისაგან დაოსებული გდია, მაგრამ ფუფუნების კვალი კი ატყვია. მივიდნენ მასთან და ნახეს, რომ გათოშილი და მშიერია. სახელოშემოცვეთილი ძველი ტანსაცმელი ჩააცვეს და უთხრეს:

— საიდან ხარ, ყარიბო, ან ეგრე რამ დაგაუძლურა?

ღანიმმა თვალი გაახილა, შეხედა იმათ, ატირდა და პასუხი არ გაუცია. ერთი მათგანი მიხვდა, რომ დამშეული იქნებოდა. წავიდა და ერთი თეფში თაფლი და ორი ლავაში მოუტანა. ღანიმმა ჭამა. ისინი ისხდნენ ღანიმთან, ვიდრე მზე არ ამოვიდა. მერე კი

თავ-თავის საქმეებზე გასწიეს. ასე ცხოვრობდა იგი იმათთან ერთ თვეს. უძლურება და სენი მოერია. ხალხს ებრალებოდა იგი. მოითათბირეს და შეთანხმდნენ, ბაღდადში რომ სნეულთა სახლი იყო, იქ წაეყვანათ ღანიმი. ამ ამბავში რო იყვნენ, უეცრად ორი მათხოვარი ქალი შევიდა ღანიმთან. ესენი კი იყვნენ მისი დედა და და. ღანიმმა დაინახა თავისი და, პური მისცა, რომელიც სასთუმალთან ედო. იმ ღამეს იმათ ღანირთან ეძინათ, მაგრამ ღანიმმა ისინი ვერ იცნო. მეორე დღეს მოვიდნენ სოფლელები, მოიყვანეს აქლემი და აქლემის პატრონს უთხრეს:

— წაიყვანე აქლემით ეს სნეული, ბაღდადს რომ მიხვალ, სნეულთა სახლის კართან ჩამოსვი. ეგების მორჩეს, შენ კი კეთილი საქმისათვის სამაგიერო მოგეზღას.

— გისმენთ და გემორჩილებით, — თქვა აქლემის პატრონმა.

ღანიმ იბნ აიუბი მეჩეთიდან გამოიყვანეს და აქლემზე დადეს იმ ჭილოფით, რომელზედაც იწვა. ხალხთან ერთად ღანიმის დედა და დაც მოვიდნენ იმის საცქერლად. მაგრამ ვერ იცნეს. მერე შეხედეს, დააკვირდნენ და თქვეს:

— ეს სნეული ჩვენს შვილს ღანიმსა ჰგავს. ნეტა ის ხომ არ არისო?

ღანიმი კი გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა აქლემით წაიყვანეს. ტირილი და ქვითინი აუტყდა. სოფლელები უცქერდნენ ღანიმის დედასა და დას, რომელნიც დასტიროდნენ ღანიმს, თუმცაღა ვერ ეცნოთ. ისინიც ბაღდადში წავიდნენ. რაც შეეხება მეაქლემეს, იმან კი ატარა

ღანიმი, ვიდრე სნეულთა სახლის კართან არ ჩამოსვა. მერე წამოიყვანა თავისი აქლემი და წამოვიდა. ღანიმი გათენებამდე იქ იწვა. როდესაც ხალხმა გზაზე მოძრაობა იწყო, ღანიმი შეამჩნიეს. ღანიმი ისე ჩამომდნარიყო, რომ კბილის საწმენდ ჩხირს დამსგავსებოდა. ხალხი ათვალიერებდა ღანიმს, ვიდრე ბაზრის შეიხი არ მოვიდა და ხალხი არ მოაშორა. თქვა:

— მე სამოთხეს მოვიპოვებ ამ საბრალოს წყალობით. ის რომ სნეულთა სახლში შეიყვანონ, ერთ დღეში მოკლავენო.

თავის ბიჭებს უბრძანა, ღანიმი წამოეყვანათ. მიიყვანეს შეიხ-თან და

მან ღანიმს ახალი ლოგინი გაუშალა, ახალი ბალიში დაუდო და ცოლს უთხრა — კარგად მოუარეო.

— კი, ბატონო, — მიუგო ცოლმა, ხელები დაიკაპიწა, წყალი გა-აცხელა და ხელ-ფეხი და ტანი დაბანა ღანიმს. თავის მსახურთა ტანსაცმელი ჩააცვა, ერთი ფინჯანი სასმელი დაალევინა და ვარ-დის წყალი მოასხურა. ღანიმი გონს მოვიდა. გაახსენდა თავისი სატრფო და სევდა მოეძალა. ასეთი იყო მისი ამბავი. ახლა რაც შეეხება კუთ ალ-კულუბს, ხალიფა განრისხდა... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ორმოცდამესამე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ განრისხებულ ხალიფას კუთ ალ-კულუბი ბნელ სამყოფში მოუთავსებია. და კუთ ალ-კულუბს ამგვარად

გაუტარებია ოთხმოცი დღე. ერთ დღეს ხალიფამ იმ ოთახთან გაიარა და გაიგონა, კუთ ალ-კულუბი ლექსებს წარმოთქვამს. ლექსი რომ დაამთავრა, თქვა:

— ო, ჩემო საყვარელო. ო, ღანიმ, რა მშვენიერი ხარ, რა სპე-ტაკია შენი სული. სიკეთე უყავ იმას, ვინც შენ ბოროტად მოგექცა, ნამუსი შეუნახე

იმას, ვინც შენ პატივი აგხადა. შენ დაიცავი მისი ჰარემი. ვინც შენცა და შენი ოჯახიც დაატყვევა. უთუოდ წარდგებით სამარ-თლიანი მსაჯულის წინაშე შენცა და მართლმორწმუნეთა მბრძა-ნებელიცა. და შენ იმისაგან სამართალს მოითხოვ იმ დღეს, რო-დესაც მსაჯულია ალაჰი და მოწმენი — ანგელოზნი.

როდესაც ხალიფამ კუთ ალ-კულუბის სიტყვები გაიგონა და

მისი ჩივილი შეისმინა, მიხვდა, რომ ქალი უსამართლოდ იჩაგრებოდა. შევიდა თავის სასახლეში და კუთ ალ-კულუბთან მსახური გაგზავნა. კუთ ალ-კულუბი ხალიფას წინაშე წარდგა თავჩაღუნული, თვალცრემლიანი

და გულდამწუხრებული. ხალიფამ უთხრა:

— კუთ ალ-კულუბ, ვხედავ, ჩემზე სჩივი და უსამართლობას მაბრალებ. ამბობ, რომ ცუდად მოვეპყარ იმას, ვინც მე სიკეთე მიყო. ვინ არის იგი, ვინც მე ნამუსი შემინახა და მე კი პატივი ავხადე. ვინ არის იგი, ვინც დაიცვა ჩემი ჰარემი მაშინ, როცა მე იმისი ოჯახი დავატყვევე.

— ღანიმ იბნ აიუბი, — თქვა კუთ ალ-კულუბმა. — იმას ჩემთვის უღირსი არა უკადრებია რა, ვფიცავ შენს სიკეთეს.

— არა არს ძალი და ღონე თვინიერ ალაჰისა თანა, — თქვა ხალიფამ. კუთ ალ-კულუბ, ისურვე ჩემგან, რაც გინდოდეს და შეგისრულებ.

კუდ ალ-კულუბმა შეჰკადრა:

— მსურს ჩემი სატრფო ღანიმ იბნ აიუბი! ხალიფამ ქალის ნათქვამი მოისმინა და მიუგო: — ინშალაჰ! პატივით მოგვრი.

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, — თქვა ქალმა, — უბოძებ თუ არა იმას ჩემს თავს, როცა მოიყვან?

— თუ მოვიყვანე. შენს თავსაც ვუბოძებ, ისე როგორც კეთილშობილთა წესია, რომელნიც გასაჩუქრებულს უკან არ იბრუნებენ.

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ნება დამრთე, მოვძებნო იგი. ეგების ალაჰმა შემახვედროს.

— მოიქეცი ისე, როგორც გსურს, — მიუგო ხალიფამ.

ქალს გაუხარდა, გამოვიდა, თან ათასი დინარი წამოიღო. შეიხებს ეწვია და ღანიმის სახელით განიკითხა ისინი. მეორე დღეს ბაზარში წავიდა ვაჭრებთან, ბაზრის უფროსს ფული მისცა და უთ-

ხრა: — ამით უცხოელები განიკითხეო. მეორე პარასკევს პატიოსან თვალთა ბაზარზე წავიდა ოქრომჭედლებთან. ბაზრის უფროსი მოითხოვა, მოვიდა იგი, ქალმა ათასი დინარი მისცა და იმასაც უთხრა: — ამით უცხოელები განიკითხეო.

ბაზრის უფროსმა შეხედა ქალს (იგი ბაზრის შეიხი იყო) და უთხრა:

— ხომ არ წამოხვალ ჩემთან და ნახავ ერთ უცხო ჭაბუკს? რა მოხდენილია და რა სრულქმნილი!

ის კი ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიამ ალ-მასლუბი იყო, მაგრამ ბაზრის უფროსი არ იცნობდა. ეგონა ერთი ბედშავი და ვალებში ჩავარდნილი კაციაო, რომელსაც ქონება ხელიდან წასვლია, ან კიდევ სატრფოსაგან მიტოვებული მიჯნურიაო. მისი ნათქვამის გაგონებაზე ქალს გული აუძგერდა, შიგნეული აემღვრა და უთხრა:

— გამატანე ვინმე, რომ შენს სახლში წამიყვანოს.

ბაზრის უფროსმა პატარა ბიჭი გაატანა. ბიჭმა კუთ ალ-კულუბი იმ სახლში მიიყვანა, უცხოელი რომ იწვა. ქალმა მადლობა გადაუხადა, სახლში შევიდა და უფროსის ცოლს სალაში უთხრა. იგი ფეხზე წამოდგა, ეამბორა მიწას მის წინაშე, რადგან იცოდა, კუთ ალ-კულუბი ვინც იყო.

კუდ ალ-კულუბმა ტირილით უთხრა:

— სად არის სნეული, თქვენთან რომ წევსო?

— აი, იგი, ჩემო ქალბატონო, — თქვა მან, — დიდი ხალხის შვილი უნდა იყოს, ფუფუნების კვალი ატყვიაო.

კუთ ალ-კულუბი ლოგინთან მივიდა, სადაც ღანიმი იწვა. დაკვირდა, თითქოს ის არის, მაგრამ შეცვლილია. ძალზე გამხდარა. ისე ჩამომხარა, რომ კბილის საწმენდ ჩხირს დამსგავსებია. დაიბნა. ეჭვი შეეპარა.

ღანიმი არ იქნებაო, მაგრამ სიბრალულმა შეიპყრო და ტირილით თქვა:

— საბრალონი არიან უცხოელნი, ამირებიც რომ იყვნენ თავიანთ ქვეყანაში.

სასმელი და წამალი მოუმზადა და ერთხანს სასთუმალთან უჯდა. მერე კი გამოვიდა და სასახლეში წავიდა. ყველა ბაზარს ათვალიერებდა. იქნებ ღანიმი ვიპოვოო. მერე ერთხელ ბაზრის უფროსმა ღანიმის დედა და ღანიმის და, ფითნა, მოიყვანა. კუთ ალ-კულუბს შეუყვანა და უთხრა:

— მოწყალეთა ქალბატონო, დღეს ჩვენს ქალაქში ერთი დედაკაცი შემოვიდა თავისი ქალიშვილი. ისინი დიდებული ხალხიდან უნდა იყვნენ. აშკარად ეტყობათ ფუფუნების კვალი, მაგრამ ხამი ტილოს სამოსი აცვიათ და კისერზე გუდა ჰკიდიათ. თვალებში ცრემლი აქვთ და გულში მწუხარება. მოგიყვანე. რომ შეიფარო და დაიცვა დამამცირებელი მათხოვრობისგან. ისინი იმის ღირსი არ არიან, რომ მოწყალება სთხოვონ მდაბალთ. იმათი გულისათვის ჩვენ სამოთხეს შევალთ, თუ ალაჰი ინებებს.

კუთ ალ-კულუბმა უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, ჩემო ბატონო, იმათი ნახვის სურვილი აღმიძარ. სად არიან?

უფროსმა უბრძანა, შემოსულიყვნენ. მაშინ ფითნა და დედამისი კუთ ალ-კულუბთან შევიდნენ. შეხედა მათ კუთ ალ-კულუბმა (ისინი კი ლამაზები იყვნენ). ატირდა და თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, ისინი ფუფუნების შვილები არიან. აშკარად ეტყობათ სიმდიდრის კვალიო.

უფროსმა თქვა:

— ჩემო ქალბატონო, საიქიოს ჯილდოს იმედით ჩვენ სიყვარულით ვეპყრობით უპოვართა და საწყალთ. ეგების ამათ უსამართლოდ მოექცნენ ქეშიკები — გაძარცვეს მათი ქონება და სახლი დაუნგრიეს.

ქალები მწარედ აქვითინდნენ. გაახსენდათ ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიამ ალ-მასლუბი და ტირილს უმატეს. იმათი ტირილის

დანახვაზე კუთ ალ-კულუბიც ატირდა. ღანიმის დედამ თქვა:

— ჩვენ შევთხოვთ ალაჰს, შეგვახვედროს, ვისაც ვეძებთ, ჩემს ვაჟს — ღანიმ იბნ აიუბს.

კუთ ალ-კულუბმა ეს სიტყვები გაიგონა და მიხვდა, რომ ეს ქალი მისი სატრფოს დედა იყო, მეორე კი და. და ატირდა ისე, რომ გრძნობა დაკარგა. გონს როცა მოვიდა, კუთ ალ-კულუბი მივიდა და უთხრა:

— ნუ გეშინიათ, ეს დღე თქვენი ბედნიერების დასაწყისი და გაჭირვების დასასრულია. ნუ დარდობთ... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ორმოცდამეოთხე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია, რომ კუთ ალ-კულუბმა უთხრა იმათ:

— ნუ დარდობთო, — და ბაზრის უფროსს უბრძანა, თავის სახლში წაეყვანა ისინი. კუთ ალ-კულუბმა ქალებს დიდი პატივი სცა, ხოლო ბაზრის უფროსს ფული უბოძა. მეორე დღეს კუთ ალ-კულუბი ბაზრის უფროსთან გაემართა და მის ცოლთან შევიდა. იგი მიეგება, ხელები დაუკოცნა და მადლობა უთხრა წყალობისათვის. კუთ ალ-კულუბმა დაინახა ღანიმის დედა და და. ბაზრის უფროსის ცოლს ისინი აბანოში შეეყვანა და ტანსაცმელი გამოეცვალა. უკვე აშკარად დატყობოდათ კარგი ცხოვრების კვალი. ერთხანს იმათ ესაუბრებოდა კუთ ალ-კულუბი. მერე უფროსის ცოლს ჰკითხა:

— თქვენი ავადმყოფი როგორ არის? — ისევ ისე გახლავთ, — მიუგო იმან.

— ავდგეთ, ვესტუმროთ და მოვინახულოთო, — თქვა კუთ ალ-კულუბმა. ადგა და უფროსის ცოლისა, ღანიმის დედისა და დის თანხლებით ღანიმთან შევიდა. დასხდნენ იმასთან და როდესაც ჩამომხმარმა და გაძვალტყავებულმა ღანიმმა კუთ ალ-კულუბის ხსენება გაიგონა, სული მოუბრუნდა, ბალიშიდან თავი ასწია და

დაიძახა:

— ო, კუთ ალ-კულუბ! — ქალმა შეხედა, დააკვირდა და იცნო.

— ო, ჩემო საყვარელო, — წამოიძახა მან.

— მომიახლოვდი, — უთხრა ღანიმმა.

— შენ განა ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიამ ალ-მასლუბი არა ხარ? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ, მე ვარ, — უპასუხა ღანიმმა. და ქალი გულშემოყრილი

— როდესაც ღანიმის დედას და დას ეს საუბარი ჩაესმათ — ჰოი, სიხარულოოო! — შეჰყვირეს და გული წაუვიდათ. გრძნობაზე რომ მოვიდნენ, კუთ ალ-კულუბმა ღანიმს უთხრა:

— დიდება ალაჰს, რომელმაც ერთმანეთსაც შეგვახვედრა და შენს დედასა და დასაც.

მივიდა იმასთან და უამბო ყოველივე, რაც ხალიფასთან გარდახდა.

— ხალიფას მოვახსენე, მართლმორწმუნეთა მბრძანებელო. მე შენ სიმართლე გითხარი-მეთქი. იმანაც დაიჯერა ჩემი ნათქვამი. იგი კმაყოფილია შენი საქციელით და დღეს შენი ნახვა სურს.

მერე კიდევ ეუბნება ღანიმს: — ხალიფამ ჩემი თავი გიბოძაო. ღანიმმა გაიხარა დიდი სიხარულით. მერე კუთ ალ-კულუბმა თქვა:

— ჩემს მოსვლამდე ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთო. — ადგა იმ საათსა და იმწამსვე, სასახლეში წავიდა და ის სკივრი გამოიტანა, რომელიც მაშინ ღანიმის სახლიდან წაიღო. ამოიღო იქიდან დინარები. ბაზრის უფროსს მისცა და უბრძანა:

— აიღე ეს დინარები და ამ ხალხს, ყველას სათითაოდ საუკეთესო ქსოვილის ოთხ-ოთხი ხელი სამოსი უყიდე სრულადო. ოცი მანდილი და კიდევ სხვა რამეები, რაც სჭირდებათო.

ქალმა ისინიცა და ღანიმიც აბანოში შეიყვანა და მათი დაბანა ბრძანა.

აბანოდან რომ გამოვიდნენ და ტანსაცმელი ჩაიცვეს. კუთ ალ-

კულუბმა წვენები მოუმზადა: ხაფლანჯალის ნაყენი და ვაშლის წვენი.

ამ დღეს დაჰყო იმათთან კუთ ალ-კულუბმა და სულ ქათმის ხორცითა და წვენებით კვებავდა. სასმელად სუფთა შაქრის წყალს ასმევდა. სამი დღის შემდეგ. სული რომ მოითქვეს, ისევ აბანოში შეიყვანა. როცა გამოვიდნენ, ტანსაცმელი გამოუცვალა. მერე ისინი ბაზრის უფროსის სახლში დატოვა და თვითონ კი ხალიფას ეახლა. ემთხვია მიწას მის წინაშე და ამბავსაც მოუყვა. უთხრა:

— ჩემი ბატონი ღანიმ იბნ აიუბ ალ-მუთაიმ ალ-მასლუბი გამოჩნდაო და მისი დედა და დაც მოვიდნენო.

ხალიფამ კუთ ალ-კულუბის ნათქვამი მოისმინა და საჭურისებს უბრძანა:

— ღანიმი აქ მომგვარეთ!

ჯაფარი ღანიმისაკენ გაემართა. კუთ ალ-კულუბმა მიასწრო მისვლა. ღანიმიან შევიდა და უთხრა:

— ხალიფამ გამომგზავნა, ღანირი მომგვარეთო. ახლა შენზეა, იყო ენამჭევრი. გულმაგარი და ტკბილმოუბარი.

ძვირფასი ტანსაცმელი ჩააცვა, მრავალი დინარი მისცა და უთხრა:

— ხალიფასთან შესვლისას გულუხვად აძლიე იმის ამალას.

აი, თავის ჯორზე ამხედრებული ჯაფარიც მობრძანდა. ღანიმი ადგა, მიეგება, დღეგრძელობა უსურვა და ემთხვია მიწას მის წინაშე. ამოვიდა ვარსკვლავი მისი ბედისა და გამოჩნდა მნათობი მისი დიდებისა წაიყვანა იგი ჯაფარმა და იარეს, ვიდრე მართლმორწმუნეთა მბრძანებელთან არ შევიდნენ. როდესაც ღანიმი მართლმორწმუნეთა მბრძანებლის წინაშე წარდგა, დაინახა იქ ვაზირები, ამირები. ეჯიბები, ნაცვლები, სახელმწიფოს თავკაცები და ძალაუფლების მესაჭენი. და იყო ღანიმი მჭევრმეტყველი,

გულმაგარი, ენაწყლიანი და ენამოსწრებული. მერე მიწამდე დახარა თავი, შეხედა ხალიფას და ეს ბეითები წარმოთქვა:

თავსაც შეგწირავ, შენ ხელმწიფეს უღირსეულესს,
ვისი წყალობა და სიკეთე ერთმანეთს მოსდევს.
მგზნებარესა და შეუპოვარს, უსაზღვროდ გულუხვს,
და აღზევებულს თვით წარღვნისა და ცეცხლის მიერ.
არ ახსენებენ ამ ადგილას სხვას იმის გარდა,
არც კეისარს და არც ირანულ სასახლის პატრონს.
იმის დირესთან ხელმწიფენი მისალმებისას
მიწას ახებენ გვირგვინების პატიოსან თვლებს.
ისე, რომ ოდეს იმათ მზერას თვალს გაუსწორებს,
ძირს ემხობიან მის წინ პირქვე, შეძრწუნებულნი.
და ეს ადგილი მიანიჭებს, შენდობის გარდა,
მათ მაღალ ხარისხს, პატივსა და სულტნის დიდებას.
შენს ლაშქარს სივრცე და უდაბნო ევიწროვება,
მაშ, დაბანაკდი შენ კარვებით სატურნის წვერზე.
იმათ მსვლელობას ვარსკვლავები უმასპინძლებენ,
რადგან დიდია სულიერი სამყარო იგი.
შენ იძულებით დაეუფლე სიმაგრეს მაღალს,
რადგან გულადი და საქმეში გონიერი ხარ.
ეს შენ მოჰფინე სამართალი მთელს დედამიწას
და უშორესი უახლოესს გაუთანაბრე.

ღანიმმა ლექსი დაამთავრა. ხალიფას სიამე მოჰგვარა ღანიმის ბრწყინვალე სილამაზემ, მოეწონა მისი მჭევრმეტყველება და ტკბილი საუბარი... და შაჰრაზადს შემოათენდა და შეწყვიტა ნებადართული სიტყვები.

და როდესაც დადგა ღამე ორმოცდამეხუთე, შაჰრაზადმა თქვა:

— მეფევ სვიანო, მსმენია მეფეს ღანიმისათვის უთქვამს:

— მომიახლოვდიო.

მოუწონა ენამჭევრობა, ლექსი და ამო საუბარი. ღანიმი მიუახლოვდა. ხალიფამ უთხრა:

— ამიხსენი შენი თავგადასავალი, დამანახე სიმართლე შენი ამბისა.

— ღანიმი დაჯდა და მოუთხრო ხალიფას, რაც გარდახდა დასაბამიდან დასასრულამდე. და გამეორებაში რა სიკეთეა. როდესაც ხალიფა მიხვდა, რომ იგი მართალი იყო, ხალათი უბოძა, დაიახლოვა და უთხრა:

— შემინდეო. ღანიმმაც შეუნდო და უთხრა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, მონაცა და მისი ქონებაც ბატონს ეკუთვნის.

ხალიფას გაუხარდა ეს ნათქვამი. მერე კი ბრძანა, ღანიმისათვის სასახლე გამოეყოთ. დაუნიშნა ჯამაგირი და უმრავლა წყალობა. დედამისი და დაც იმასთან გადაიყვანა. ხალიფამ გაიგო, რომ ღანიმის და, ფითნა, სილამაზით ადამიანის საცთური ყოფილა, ადგა და დანიშნა იგი. ღანიმმა კი უთხრა:

— შენი მხევალი ყოფილიყოს იგი, მე კი მონა შენიო.

ხალიფამ მადლობა მოახსენა. ათასი დინარი მისცა. ყადი და მოწმეები დაიბარა და ქორწინების წიგნი დაწერეს. ხალიფაცა და ღანიმიც ერთ დღეს შევიდნენ თავის მეუღლეებთან — ხალიფა ფითნასთან, ხოლო ღანიმი კუთ ალ-კულუბთან. როდესაც გათენდა, ხალიფამ ბრძანა, თავიდან ბოლომდე ჩაეწერათ და სიგელგუჯრებში შეეტანათ ყოველივე, რაც ღანიმს გარდახდა, რათა წაიკითხოს მან, ვინც მის შემდეგ მოვა ამა სოფლად. გაუკვირდეს ბედის ტრიალი და თავისი საქმე დღისა და ღამის გამჩენს მიანდოს.

და ამ ამბავზე საოცარია მეფე ომარ ან-ნუმანისა და მისი ვაჟიშვილების შარ ქანისა და დავ ალ-მაქანის თავგადასავალი, ის

სასწაულები და საოცარი ამბები, რაც მათ გარდახდათ.

— როგორია მათი ამბავიო, — იკითხა ხელმწიფემ.

# განმარტებანი

=== უფალი სამყაროთა — მუსლიმური კონცეფციის თანახმად ალაჰი ორი სამყაროს — ადამიანთა და ჯინთა სამყაროს მეუფეა.

=== ვით განაძევა იბლისმა ადამ — იგულისხმება ბიბლიური თქმულება ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შესახებ, რაც ყურანშიაც აისახა (სურა მე-2, აია 32 — 34-ე).

=== ალაჰის დიდი დღესასწაული ან ზვარაკის შეწირვის დღესასწაული — მოდის მუსლიმური, მთვარის კალენდრის უკანასკნელ თვეში ზულ-ჰიჯჯაში. მექაში ჩასული პილიგრიმები, რომელნიც არაფათის მთიდან მექაში, მინას ველზე ბრუნდებიან, ასრულებენ სავალდებულო ზვარაკის შეწირვის რიტუალს. ამავე დღეს ზვარაკს სწირავენ ყველა მუსლიმურ ქვეყანაში.

=== არ გარგებს იმის მოსაპოვებლად არც დაწერილი და არც კალამი — იგულისხმება ბედისწერის წიგნი. მუსლიმური თქმულების მიხედვით ალაჰმა უპირველესად კალამი შექმნა და იმ

კალმით ჩაწერა ყოველივე, რაც უნდა მოხდეს მომავალში განკითხვის დღემდე.

=== ალაჰის უდიდესი სახელი — ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სახელი ალაჰის ოთხმოცდაცხრამეტ ეპითეტს (მოწყალე, მწყალობელი და სხვ.) შორის. შდრ. სულაიმანი.

=== როცა მზე სიკეთის მშვენებას მიესალმა — იგულისხმება მუჰამად მოციქული, რომელმაც თქვა: „მზე ისე არ ამოვა, რომ მე არ მომესალმოსო“.

=== ეს არს ის, რასაც ღრუბელთაგან იღებენ მთანი — ე. ი. წვიმა. წვიმა არაბულ კაზმულსიტყვაობაში უხვი საჩუქრის წყალობის სიმბოლოა. === შეასრულეთ პირობა, თორემ მოგეკითხებათ — ციტატა ყურანიდან, სურ, მე-17, აია 36-ე.

=== რამადანის თვის ნამგალა მთვარე — რამადანის (იხ.) მარხვის მაუწყებელი ვიწრო კიდე მთვარისა, რომლის გამოჩენასაც მოუთმენლად ელიან მუსლიმები. რამადანის მთვარე არაბულ პოეტიკაში ხშირად წარმოების ეპითეტია.

=== ბასილის ჯადოსნური თვალები — მუსლიმური თქმულების მიხედვით ბაბილში (იხ.) კლდის ლოდით თავდაცულ ჭაში ფეხებით არის დაკიდებული ორი დევნილი ანგელოზი ჰარუთი და მარული, რომლებიც ადამიანებს ასწავლიდნენ, და, ზოგიერთის რწმენით, დღესაც ასწავლიან ჯადოქრობას.

=== ალიფის მსგავსი წელი — ალიფი (იხ.) გამოისახება ვერტიკალური ხაზით, არაბულ ლიტერატურაში ხშირია ადამიანის სხეულის ნაწილების შედარება არაბული ანბანის, სხვადასხვა ასოსთან.

=== ქალს მივაწოდე წყალინაზავი. მისი ღაწვივით წითელი ფერის, ელვარე როგორც ნაკვერცხლის ალი — „წყალნაზავი“, „წითელი“, „ელვარე“ — ღვინის ეპითეტებია, რომლებიც არაბულ პოეზიაში იხმარება საგნის სახელის, ამ შემთხვევაში ღვინის ნაცვლად.

=== ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი — აბასიანთა (იხ.) დინასტიის მეხუთე ხალიფა (786-809), „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთი პოპულარული გმირია. „ათას ერთი ღამის“ მიხედვით იგი ძლიერი. მორჭმული, მოწყალე და გულუხვი, მკაცრი, თუმცა სამართლიანი მბრძანებელია.

=== მე პილიგრიმი ვარ და არ ვსვამო — მუსლიმი პილიგრიმები, წმიდა ადგილების მოსალოცად როდესაც ემზადებიან, მტკიცედ იცავენ რელიგიურ კანონებს. ისლამი კრძალავს ღვინის სმას.

=== მიმიყვანე მართლმორწმუნეთა მბრძანებელთან სამყაროსა მეუფის მოადგილესთანე — ე. ი. ალაჰის მოადგილესთან. იგულისხმება ხალიფა (იხ.).

=== ყურანის შვიდი წაკითხვა — იგულისხმება ყურანის წაკითხვის ის ვარიანტები, რომელსაც დასაშვებად თვლის ყურანის მკითხველთა შვიდი კანონიკური სკოლა.

=== დიდ არს ალაჰი (არაბულად ალ-ლაჰ აკბარ) — არაბთა საბრძოლო შეძახილია, რომელიც უპირატესად გამარჯვების დროს იხმარებოდა.

=== ის დაწერა კალამმა, რაც განსაჯა ალაჰმა — იხ. განმარტება 42-ე გვ-სა.

=== არა არს ლამაზი, თვინიერ იმისა – რემინისცენცია ისლამის სჯულის აღიარების სიტყვებისა: — „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა“. === ჩემი რწმენა კი საზიაროს ვერ იზიარებს — ქარაგმა ისლამის სჯულის ერთ-ერთ მთავარ დოგმაზე — ალაჰი არის ერთადერთი ღმერთი და მას არა ჰყავს მოზიარე.

=== სამოთხის ჭაბუკი — მუსლიმური ესქატოლოგიის თანახმად ალაჰმა მართლმორწმუნე მუსლიმებს მათთვის აღთქმულ სამოთხეში ჰურიების (ლამაზი შავთვალა სამოთხის ასულების) გარდა ლამაზი ჭაბუკებიც შეუქმნა. === როდემდის იყოს საყვარელნო, ეს სიჯიუტე — არაბულ პოეზიაში ხშირია მხოლობითი

რიცხვის ნაცვლად მრავლობითი (იშვიათად ორობითი) რიცხვის ხმარება, განსაკუთრებით სატრფიალო ლირიკაში, სადაც „საყვარელნი“ ნიშნავს საყვარელს, სატრფოს, ძვირფას ადამიანს, „ჩვენ“, „თქვენ“, „ისინი“ — მე, შენ, ის და ა. შ.

=== მე ვდნები სიცხით, როს სამოთხე სახეა შენი, ვკვდები წყურვილით, როს ქავსარი (იხ.) ნერწყვია შენი — არაბ-მუსლიმთა რწმენით, რომელთაც სააქაოს ჩრდილი სანატრელი ჰქონდათ, სამოთხე აღსავსეა ჩრდილით, სიგრილით, ცივი მდინარეებით. მუჰამად მოციქულს ალაჰის ერთ-ერთ უდიდეს წყალობად მიაჩნია ის გარემოება, რომ მან ხალხს ციდან წყალი მოუვლინა (ყურანი, სურა მე-2, აია მე-20). არაბულ პოეზიაში გრილი, ცივი წყალი, ცივი სასმელი — დადებითი ეპითეტები — ბედნიერების, ნეტარების სიმბოლოებია.

=== მითხარი. მარცხენა ხელით რატომ ჭამე“ — არაბებს მარცხენა ხელით ჭამა უზრდელობად მიაჩნდათ.

=== ფრანგების წესზე გაკეთებული — არაბები ევროპელებს ფრანგებს უწოდებდნენ.

=== შვიდას სამოცდასამი წელი მოციქულის გადასახლებიდან — მუჰამად მოციქულის გადასახლება მექიდან მედინაში, არაბულად ჰიჯრა (იხ.) მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისია.

=== შემკავებელნი რისხვისა და შემწყნარებელნი ხალხისა — (შევლენ სამოთხეში) ციტატა ყურანიდან, სურა მე-13, აია 128-ე.

=== მუსთანსირ ბილაჰი — აბასიანთა (იხ.) დინასტიის ერთ-ერთი ხალიფა (1226 — 1242).

=== ასე მგონია წინაპრებმა სწორედ ამიტომ დაარქვეს იმათ მეტსახელა სიტყვა „ხატია“ — აქ არის ზმა დამყარებული „ხატიას“ ორგვარ მნიშვნელობაზე: „ხატტია“ ერთი მხრივ „ხელნაწერს" ნიშნავს არაბულად, მეორე მხრივ „ხატტურ“ შუბს. ეს შუბები ასე იწოდებოდა ქალაქ ხატტის მიხედვით იემენში. სადაც მათ ამზა-

დებდნენ, ან ნავსაყუდელის მიხედვით ბაჰრეინში, სადაც შეჰქონდათ ისინი ინდოეთიდან.

=== ეკალნი შუბთა — წამწამების ეპითეტია.

=== ორივე აღსარება წარმოთქვა — ე. ი. წარმოთქვა ისლამის სჯულის აღიარების ორივე ნაწილი: „ვადასტურებ (ვაღიარებ), რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“ და „მუჰამადია მოციქული ალაჰისა“.

=== ჩამოატარე ჯერ დიდით და შემდგომ მცირეთი — ამ ლექსში „დიდი“ და „მცირე“ აღნიშნავს თასს, „შუქმფინარი მთოვარე“ — მწდეს, „ის, იგი“ — ღვინოს.

=== მოთხრობა სიტყვებია და ლექსი კი მარგალიტი წყობილი — მარგალიტი წყობილი, მარგალიტების ასხმა (ნაზმ) არაბულად ლექსის სინონიმია.

=== სწორი გზით წარმმართველი რჩეული მახარობელი, სიკეთის ზღვა, მოციქულთა მეფე — მუჰამად წინასწარმეტყველის ეპითეტებია.

=== ვერ გამათავისუფლებ, რადგან არავითარი ხელობა არა მაქვს, რომ თავი ვირჩინო — შარიათის (იხ.) მიხედვით განთავისუფლება მონისა, რომელსაც საარსებო წყარო არ გააჩნდა, უმძიმესი სასჯელი იყო. მონის უსახსროდ დატოვება სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა მისი პატრონისათვის, მით უმეტეს, თუ მონას რაიმე დიდი ბოროტმოქმედება არ ჰქონდა ჩადენილი.

=== საბიჰა, შაჯარათ ად-დურ, ნურ ალ-ჰუდა ნაჯმათ ას-სუბჰ, ნუზჰა, ჰულვა, ზარიფა — ქალის, აქ მხევალთა საკუთარი სახელებია.

=== მოციქულის ბიძის ნაშიერი — იგულისხმება ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი (იხ.). მუჰამად მოციქულის ბიძა, ალ-აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბი წინაპარია აბასიანთა დინასტიისა (იხ.). ალ-აბასის შთამომავალი ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი ამ დინასტიის მეხუთე ხალიფა იყო.

=== არაქის ყლორტი — ზმა დამყარებული „არაქის“ ერთნაირ ბგერადობაზე. რაც ნიშნავს „მე შენ გხედავ“ და ამავე დროს მცენარის სახელს.

# სქოლიო

აბანოზის ხე — ძვირფასი ჯიშის შავმერქნიანი ხე.

აბასიანები — ხალიფების (იხ.) დინასტია, რომელიც არაბულ სახალიფოს მართავდა 750-1258 წწ.

აბუ შიჰაბი — არაბულად „მამა კუდიანი ვარსკვლავისა“ — ეშმაკის ზედმეტი სახელია.

ადის ტომი — თქმულების თანახმად, რომელიც ყურანშიაც (იხ.) აისახა, ადის ტომი ღმერთმა გაანადგურა ურჩობისათვის. გადმოცემით ისინი არაჩვეულებრივი ახოვნებით გამოირჩეოდნენ.

აზანი — მინარეთზე (იხ.) გადმომდგარი მუეზინის (იხ.) მიერ მუსლიმთა მოხმობა სალოცავად.

აია — ყურანის სტრიქონი, მუხლი.

ალიფი — არაბული ანბანის პირველი ასო.

ამანი — აქ. უშიშროება, დაზოგვა, შენდობა.

ამბრი — სურნელოვანი ნივთიერება.

ამირი — მბრძანებელი. მთავარი, განმგებელი, მმართველი.

არდაბი — მოცულობის საზომი, უდრის 197,75 ლ^3.

ასაფ იბნ ბარახია — სულაიმან იბნ დაუდის (იხ.) ვაზირი.

ბაალბეკი — (ბერძნული ჰელიოპოლისი) ქალაქი სირიაში, განთქმული აბრეშუმის ქსოვილებით.

ბაბილი — ძველი ბაბილონის სახელია.

ბაკბაკი — არაბულად „ენაგრძელს“ — ნიშნავს.

ბაკბუკი — არაბულად „ყბედს“ — ნიშნავს.

ბეითი — ორტაეპიანი სტროფი.

ბილბეისი — გაჩერების პუნქტი კაიროდან სირიის გზაზე.

გეზა — ეგვიპტური ქერის ლუდი.

ბუსაინა — სატრფო ლეგენდარული პოეტის ჯამილისა. რომელიც ტომ ბანუ უზრას ეკუთვნოდა. ბუსაინა ჯამილს წმინდა, იდეალური სიყვარულით უყვარდა. „უზრიული“ სიყვარული არამიწიერი, ამაღლებული სიყვარულის სინონიმად იქცა არაბულში.

განბანა — მუსლიმური რელიგიური რიტუალის ერთ-ერთი ელემენტი — ხელფეხის და შუბლის წყლით დასველება ლოცვის წინ. იქ, სადაც წყალი არ არის მის მაგივრობა შეიძლება ქვიშამაც გასწიოს.

გიზა — შუა საუკუნეებში პატარა ქალაქი კაიროს მახლობლად. ახლა კაიროს გარეუბანია.

დერვიში — მოხეტიალე ასკეტი, მოხეტიალე მქადაგებელი, გლახა; ფართო მნიშვნელობით რელიგიური ძმობის წევრს აღნიშნავდა ისლამის ქვეყნებში.

დიადი წიგნი — იგულისხმება ყურასი (იხ.).

დიარ ბაქრი — ქალაქი მცირე აზიაში.

დივანი — აქ სულტნის დიდებულთა კრებული, სახელმწიფო დაწესებულება, სამეფო საბჭო, სამსჯავრო. ხშირად ეს სიტყვა აღნიშნავს ადგილს, სადაც ეს საბჭო იკრიბება.

დინარი — ოქროს ფული.

დირჰამი — ვერცხლის ფული.

დიჯლა — მდინარე ტიგროსი.

დიჰლიზი — წინკარი. დერეფანი, გალერეა აღმოსავლურ შენობებში.

ეჯიბი — მეფის კარის მცველი, მერე, წესრიგის განმგებელი სასახლის კარზე ეჯიბის, მნიშვნელობა და ფუნქციები განსხვავდებოდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში. იგი გვევლინება როგორც სასახლის განმგებელი, ხელჯოხიანთა (სასახლისა და წესრიგის დამცველთა) უფროსი, ზოგჯერ თვით ვაზირთუპირველესი და მთავრობის მეთაური.

ვალი — გამგე, მმართველი, მარზპანი.

ზარაფი — საფასურით ფულის გადამხურდავებელი.

ზირბაჯა — შაქრით, ვარდისწყლითა და მუშკით შეზავებული აღმოსავლური კერძი.

ზიქრი — მუსლიმური რელიგიური რიტუალის ერთ-ერთი ელემენტი. ზიქრის დროს ალაჰის სახელის განმეორებას თან სდევს თავის, ხელების ან მთელი სხეულის ერთგვარი მოძრაობა.

თუბა — თქმულების მიხედვით სამხრეთ არაბეთში მცხოვრები ძველი არაბული ტომის ძლევამოსილ მეფეთა ტიტული.

იბლისი — ეშმაკი, სატანა.

იბნ აბასი — ჰადისების, ე. ი. მუჰამად მოციქულის გამონათქვამთა და საქმეთა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გადმომცემი.

იეშუ იბნ ნუნი — ბიბლიური ისუ ნავინი.

იზარი — ტილოს ან აბრეშუმის ქსოვილის მთლიანი ნაჭერი, რომლითაც იმოსებოდნენ არაბი ქალები ქუჩაში გასვლისას.

იკლიმი — გეოგრაფიული ტერმინი, რომელშიაც არაბები გულისხმობენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ შვიდ სარტყელს.

ინშალაჰ — ინ შა'ალ-ლაჰ — თუ ალაჰი ინებებს, ღმერთმა ქნას.

იუსუფი — ბიბლიური იოსებ მშვენიერი.

იფრითი — იხ. ჯინი.

კალიუბი — ეგვიპტის ერთ-ერთი პროვინცია.

კანუნი — 1. სიმებიანი საკრავის ერთ-ერთი სახეობა. 2. ადგილი დამასკის ჩრდილოეთით, სადაც მოგზაურთა ქარავნები ჩერდებოდნენ.

კასიდა — ერთი საზომითა და ერთი რითმით შესრულებული, დიდი მოცულობის (15-100 ბეითი იხ.) პოეტური ნაწარმოები, საზეიმო ან ლირიკული ხასიათისა, სახოტბო ოდა.

კაფის მთა — ზღაპრული ქედი, რომელიც შუა საუკუნეების მუსლიმთა წარმოდგენით გარს ერტყმოდა დედამიწას.

კოლოკასია — ეგვიპტური ძირხვენა.

კოპტები — ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეების არაბი ავტორები ძველი ეგვიპტის ადგილობრივ მოსახლეობას არაბთაგან განსასხვავებლად.

კუმკუმა — ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი ლითონისა ან ფაიფურისა.

ლივანი — დარბაზი, რომელიც აღმოსავლური სახლების შიდა ნაწილში ძევს. სამი მხრივ კედელი აქვს, მეორე, ჩვეულებრივ ჩრდილოეთის მხარე, ოთახის გასაგრილებლად ღიაა და მოაჯირი აკრავს. შენობაში იგი ორი-სამი საფეხურით მაღლა მდებარეობს. შენობის ეს ტიპი სასანური სასახლეებიდან მომდინარეობს.

მამლუქი — თეთრკანიანი მონა (მამაკაცი), შდრ. შავი მონა.

მანი — მოცულობის საწყაოა. უდრის ორ რატლს (იხ.), ე. ი. დაახლოებით ერთ ლიტრს.

მანკალა — ერთგვარი თამაშია.

მარდინი — ქალაქი სირიაში.

მარიდი — ბოროტი ჯინი (იხ.).

მასტაბა — ქვის სკამი.

მაღრიბი — დასავლეთი.

მაშრიყი — აღმოსავლეთი.

მბრძანებელი მართლმორწმუნეთა — (არაბულად ამარ ალ-მუმინინ,

შდრ. ძვ. ქართ. ამირა მუმნი, ამირ მუმლი), იგულისხმება მბრძანებელი მუსლიმთა — ხალიფების (იხ.) ტიტულია.

მილვატა — ძვირფასი ქსოვილის ჯუბა.

მინარეთი — მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეზინი (იხ.) მლოცველებს უხმობს ლოცვაზე.

მისრეთი — ეგვიპტე.

მოგვები — მუსლიმები მოგვებს (არაბულად „მაჯუ-ს“) უწოდებენ ძველი ირანული რელიგიის ზოროასტრიზმის (მაზდაიზმის) მიმდევრებს, ცეცხლთაყვანისმცემლებს.

მოსული — ქალაქი მდ. ტიგროსის სანაპიროზე. განთქმული იყო თავისი ქსოვილებით.

მუეზინი — მეჩეთის მსახური, რომელიც ლოცვისაკენ უხმობს მუსლიმებს.

მუთაიამ ალ-მასლუბი — არაბულად ნიშნავს უგონოდ შეყვარებულს, (სიყვარულის) ტყვეს.

მუშკი — მძაფრი და სასიამოვნო სუნის მქონე მურა ფერის მარცვლოვანი მასა.

მუხლმოყრა — (არაბულად — რაქ'ათი) მუსლიმური რელიგიური რიტუალის ერთ-ერთი აქტია: გამეორება ყურანის სიტყვებისა და შეძახილისა „დიდ არს ალაჰი“, რომელსაც ახლავს გარკვეული მოძრაობა: — სიტყვების ნაწილს იმეორებენ გამართულნი, ნაწილს დაჩოქილნი, ნაწილს კიდევ სხვა მდგომარეობაში: თავისა ან სხეულის მოხრით, რასაც თან სდევს ორჯერ ძირს განრთხმა, — სხვადასხვაგვარად ყოველი მუხლმოყრის დროს.

მუჯამარი — საცეცხლური; საკმევლის, ნელსურნელების მაბურვებელი.

ნადი — მუშკ-ამბრისა და საბრისაგან (იხ.) შეზავებული ნელ-სურნელება.

ნაიბი — მოადგილე, ნაცვალი.

ნატი — ტყავის საფენი, რომელსაც იყენებდნენ ლოცვის, თამაშის ან მსჯავრდებულის დასჯისას

ნუღლი — თხილი, ჩირი. ტკბილეული.

ომაიანები — ხალიფების (იხ.) დინასტია, რომელიც არაბულ სახალიფოს მართავდა 661-750 წწ.

ომაიანთა მეჩეთი — არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი დამასკში. იოანე

ნათლისმცემლის ყოფილი ტაძარი, რომელიც მეჩეთად გადაკეთდა ომაიანთა (იხ.) დინასტიის მეექვსე ხალიფის ვალიდ I -ის (705 — 715) მიერ.

რამადანის თვე — მუსლიმური, მთვარის წლის კალენდრის მეცხრე თვე. თვე მარხვისა.

რატლი — წონის ერთეული, უდრის 449,28 გრამს.

რეიდანია — სოფელი კაიროს მახლობლად.

რეიჰანის ხელი — არაბული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა.

რიკაის ხელი — არაბული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა.

რუმანის ქვეყანა — უნდა იგულისხმებოდეს „რუმის“ ქვეყანა, ე. ი. ბიზანტია.

საბრი — ალოე.

საიდა ზუბაიდა — ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (იხ.) მეუღლე, მისი ბიძაშვილი, ხალიფა მანსურის (754 — 775) შვილიშვილი იყო. საიდა ზუბაიდა ხალიფა ამინის (909 — 913) დედაა.

სამითი — არაბულად მდუმარეს, უენოს ნიშნავს.

სასანიანები — ლეგენდარული მეფის სასანის შთამომავალნი. მეფობდნენ ირანში III-VII სს. მეფე შაჰრიარის მიკუთვნება სასანიანთა საგვარეულოსადმი პოეტური ანაქრონიზმია.

საფარი — მუსლიმური მთვარის წლის კალენდრის მეორე თვე.

სიკეთის მშვენება — მუჰამად მოციქულის ეპითეტია.

სიქბაჯი — ხორცის, პურის ფქვილისა და ძმრისაგან შეზავებული აღმოსავლური კერძი.

სულაიმანი ან სულაიმან იბნ დაუდი — სოლომონი, ძე დავითისა. ბიბლიური მეფე სოლომონი არაბული ზღაპრების ერთ-ერთი პოპულარული გმირია. მისი სახელი ხშირად იხსენიება „ათას ერთ ღამეშიც“. თქმულებათა თანახმად არც ერთ ადამიანს არ მოუპოვებია ისეთი სრული ძალაუფლება ჯინებზე (იხ.), როგორც სულაიმან იბნ დაუდს. ამას მან მიაღწია იმ საოცარი ავგაროზის მეოხებით, რომელიც მას თითქოს ზეციდან ჰქონდა ნაწყალობევი. ეს იყო თითბრის და რკინისაგან გაკეთებული ბეჭედი. ბეჭედზე ამოტვიფრული იყო ალაჰის ყველაზე დიდი სახელი მისი ოთხმოცდაცხრამეტი ეპითეტიდან. თითბრით იგი ბეჭედს ასვამდა კეთილი ჯინებისადმი, ხოლო რკინით, ბოროტი ჯინებისადმი გაცემულ ბრძანებებს. ორივეზე განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა მას, ისევე როგორც ფრინველებზე, ქარებსა და მხეცებზე. გადმოცემით მისმა ვაზირმა, ასაფ იბნ ბარახიამაც იცოდა „ალაჰის უდიდესი სახელი“, რომლის წარმოთქმით მას საოცარი სასწაულების ჩადენა, თვით მკვდრის გაცოცხლებაც კი შეეძლო. ბეჭედზე ამოჭრილი ამ სახელით სულაიმან იბნ დაუდმა აიძულა ჯინები, დახმარებოდნენ იერუსალიმის ტაძრის აშენებასა და სხვა საქმეებში. ბევრ მათგანს მან „ჭეშმარიტი“ სჯული. ე. ი. ისლამი მიაღებინა, ხოლო, ვინც არ მიიღო, საპყრობილეში გამოამწყვდია.

სულაიმან იბნ დაუდი — იხ. სულაიმანი.

სულსის ხელი — არაბული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა.

სულტანია — ქალაქი სპარსეთში, დაარსებული არღუნ ყაენის (1284-1291) მიერ. — ამჟამად იმ ადგილას პატარა სოფელია.

სურა — ყურანის (იხ.) თავი.

ტაბარია — (ძველი ტიბერიადა) ქალაქია პალესტინაში.

ტარბუში — ფესი, თავსარქმელი.

უდი — აღმოსავლური სიმებიანი საკრავის ერთ-ერთი სახეობა.

უზაირი — ბიბლიური ეზრა წინასწარმეტყველი.

ფაკიჰი — მუსლიმური სამართლის მცოდნე, ღვთისმეტყველი.

ფარჯია — გრძელი და ფართოსახელოიანი ზედა ტანსაცმელი, ხალათის მსგავსი.

ფაშარი — არაბულად „ცრუპენტელას“ ნიშნავს.

ფითნა — არაბულად „ცთუნებას“, „საცთურს“, „ხიბლს ნიშნავს.

ფიკჰი — მუსლიმური სამართალი.

ფელსი — წვრილი ფული.

ქავსარი — მუსლიმური ესქატოლოგიის მიხედვით სამოთხის ცივი მდინარეა.

ქუზ ალ-ასუანი — არაბულად „ასუანის კოკას“ ნიშნავს.

კუნაფა — ერთგვარი ნამცხვარია ვერმიშელის მსგავსი. ასხურებენ სუფთა ზეთს, მერე აცხობენ და ატკბობენ თაფლით ან შაქრით.

ქუჰლი — სურმა, თვალების საღებავი.

ღულამი — ყრმა, ყმა, ვასალი, მეომარი. ეს სიტყვა იხმარებოდა მსახურებისა და მცველების აღსანიშნავად, განსხვავებით საჭურისი მსახურებისაგან, არაბულად — ხადამ (შდრ. ქართულში ამ მნიშვნელობით შემოსული ხადუმი — „საჭურისი“). ღულამები უპირატესად ტყვეები იყვნენ. მმართველებს ჰყავდათ ღულამთა, ანუ მეომართა საკმაოდ დიდი რიცხვი, რომელთაც შეეძლოთ მიეღწიათ მაღალი თანამდებობისათვის სამეფო კარზე. ღულამთა ფუნქციები და საზოგადოებრივი მდგომარეობა სხვადასხვა იყო სხვადასხვა მუსლიმურ სახელმწიფოში.

ღული — ზღაპრული ქმნილება. იგი ქალის სახეს იღებს, უსაფრდება და ჭამს მარტოხელა მგზავრებს. ჯინის (იხ.) ერთ-ერთი სახეობაა.

ყადი — მსაჯული, მოსამართლე.

ყურანი — მუსლიმთა საღვთო წიგნი, რომელიც მათი რწმენით ალაჰმა შთააგონა მუჰამად მოციქულს. იგი შედგება 114 თავისა, ე. წ. სურისაგან. სურები შეიცავენ სხვადასხვა რაოდენობის აიებს, ანუ მუხლებს. იგი დაწერილია გარითმული პროზით. ყურანი იყოფა მექისა (ე. ი. მექაში წარმოთქმულ) და მედინის (მედინაში წარმოთქმულ) სურებად.

შავი მონა — ან უბრალოდ მონა (არაბულად — 'აბდ). ასე უწოდებდნენ ზანგებს ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, განსხვავებით თეთრკანიანი მონებისაგან (მამლუქ)

შაკაშიკი — არაბულად „მოლაყბეს“ ნიშნავს.

შარიათი — მუსლიმთა სასულიერო-საყოფაცხოვრებო კანონთა კრებული.

შეითანი — დემონი. სატანა, ეშმაკი.

შეიხი — მოხუცი, უხუცესი, სასულიერო მეთაური, სწავლული, მოძღვარი, სულიერი მოძღვარი.

ჩაუში — სამხედრო პირი, მეთაური, პილიგრიმთა ქარავნის წინამძღოლი. ხაბის იბნ ხაბისი — „ბილწი ძე ბილწისა“.

ხადუმი — საჭურისი მსახური (შდრ. ღულამი).

ხალათი — საპატიო სამოსი, მეფის ტანსაცმელი, რომელსაც იგი მოწყალების ნიშნად უბოძებდა ვინმეს. სამოსის გარდა იგი მეფისაგან იღებდა ძვირფას ხმალსა და შეკაზმულ ცხენს.

ხალიფა — არაბულად „მოადგილეს“ ნიშნავს. ხალიფა საერო და სასულიერო ხელისუფლების მეთაური იყო არაბთა მუსლიმურ სახელმწიფოში. ხალიფა ისლამის დასაწყისში მუჰამად მოციქულის მოადგილეს ნიშნავდა. აბასიანთა (იხ.) ხანიდან მოყოლებული იგი არამხოლოდ მუჰამად მოციქულის, არამედ ალაჰის მოადგილესაც ნიშნავს.

ხატიბი — ორატორი. მოქადაგე, ხუტბის (იხ.) მთქმელი იმამი მეჩეთში.

ხოსროიანი — ხოსრო (არაბულად — ქისრა) საკუთარი სახელია სასანიანთა (იხ.) დინასტიის ორი შაჰინშაჰისა: ხოსრო I ანუშირვანისა და ხოსრო II ფარვეზისა (VI — VII სს.). აღმოსავლეთის ისტორიკოსთა მიერ გაგებულია როგორც ირანის მეფეთა ტიტული.

ხუტბა — ქადაგება, შესხმა, მბრძანებელი ხალიფას მოხსენიება პარასკევ დღეს მეჩეთში, რითაც დასტურდებოდა მისი ძალაუფლების კანონიერება, იგი დაკავშირებული იყო ხალიფას ხელდასმასთან.

ჯაფარი — ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (იხ.) ვაზირი იყო. იგი ეკუთვნოდა ვაზირთა ცნობილ, წარმოშობით ირანელ, ბარმაქიანთა საგვარეულოს, რომელიც ორმოც წელს ვაზირობდა აბასიანთა სახალიფოში.

ჯინი — ჭინკა, დემონი. არაბული დემონოლოგიის თანახმად, ჯინი ჰაერისა თუ უკვამლო ცეცხლისაგან (ყურანი. სურა 55-ე, აია მე-14) შექმნილი გონიერი, უჩინარი არსებაა, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა სახით მოევლინოს ადამიანს. ისინი იყოფიან მორწმუნე და ურწმუნო (მუსლიმ და არამუსლიმ). კეთილ და ბოროტ. მდედრობითი და მამრობითი სქესის ჯინებად. ჯინი, იფრითი, მარიდი, ღული, სილათი — ჯინთა სხვადასხვა სახეობაა.

ჯიჰადი — მუსლიმთა ომი სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი, „ურწმუნოთა“— არამუსლიმთა წინააღმდეგ.

ჰადარი — არაბულად „მყვირალას“ ნიშნავს.

ჰალაბი — ქალაქი ალეპო.

ჰარუნი — ბიბლიური აჰარონი.

ჰაშიში — ნარკოტიკი, რომელსაც ინდური კანაფისაგან იღებენ.

ჰიმსი — ქალაქი სირიაში.

ჰიჯრა — მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისი (ჩვ. წ. 622 წ. 16 ივლისი).